ქართველი პროზაიკოსები

XXVI

ილია ჭავჭავაძე

ცისკრის ვარსკვლავის ოჯახი



შენაკადთა სათავე

ისევ მომაკითხე, ჩემო ციბედულ?

ჩემი გონებიდან მუდამ განუყრელო და ჩემი გულისთქმისათვის მუდამ სანუკვარო! ჩემთვის სულ უცნობო და უხილავო, მაგრამ ჩემი ცხოვრების გზაზე სულ სხვადასხვა მომხიბლავი ქალის სახით გამოცხადებულო!

შენ მუდამ მიყვარდი, ციბედულ!

აი ახლა კვლავ მარტო ვარ და ისევ ისე შორეული ხარ, წელთდაუჭერელი, მიუწვდომი, ციბედულ!

და კიდევ უფრო მეტის სიგიჟით მიყვარხარ, მოწიფულის, მთელი ჩემი არსების შემძვრელი სიყვარულით.

თუმცა ჩემთან არ ხარ, მაგრამ ჩემი კი ხარ.

არ მოსულხარ და მომაკითხე კი.

მაშ, დავსხდეთ ამ ლამაზ საღამოს ბინდბუნდში და... მივეცეთ ფიქრთა გვრიობას.

სოფელი ბერთუბი

გასწიე, ხარო, გასწიე,
საცაა გათენდებაო!
აღმოსავლეთი გვიცინის,
ბნელ წყვდიადს სული ხდებაო!

ხალხური

I

ტყიდან გამოვიდა კაცი.

ცხენოსანი.

ნაბდიანი.

თავი ყაბალახწაკრული ჰქონდა მეგრულად და ზურგთანწ თოფის ლულა მოუჩანდა გვერდზე მოგდებული ნაბდის კუთხიდან.

ცხენი მენჯი-რობუს ფერდობზე შეაჩერა და თვითონ აღმოსავლეთისკენ გაიხედა.

სოფელ ლეძაძამეს შეავლო თვალი.

სოფელი ჩვეულებისამებრ თითქოს ბაღნარში იყო ჩაფლული, ამ გაზაფხულის პირას კი თეთრად გადაპენტილ ბუჩქნარს ჰგავდა აქაური ხეხილნარი, აქა-იქ ატამიც აჭვიებულიყო მიმქრალ ჭიაფერად.

ეს გაზაფხულის სუნი თითქოს მოედინა მწვდარს, იგრძნოდა, რომ მის ზურგს უკან, ჩამოტოვებულ ტყიდან, მოდიოდა გამახალისებელი სურნელება. იქვე ახლოს იელის ბუჩქებსაც ყვითლად ეფეთქნათ და საყნოსველს დამათრობლად ელამუნებოდნენ.

ლეძაძამეს ზემოთ, ერთიმეორეზე მიყოლებით, სამ პაწიაგორაკზე, თითქოს სამტრედეებიაო, თეთრად შელესილი ეკლესიები გაცრცვნილ ხეებს შორის გამოკიაფობდნენ. აქ ჯერ

არ ეტყობოდა გაზაფხული, ნამაგიეროდ, ერთ-ერთ ამ ეკლესიის ეზოდან მხედარს მოესმა ბუკის ხმა.

ყური ცქვიტა.

— ეს რისგ ნიშანია? ცხადია, ხალხს თავს უყრიან. რაო ვითომ? პრისტავი ხომ არ ჩამოსულა და ჩემს დაჭერაზე ხომ არ ექნება საუბარი?

მაგრამ უეცრად გუნებაში ჩაეცინა:

„დამფრთხალი ძაღლი მთვარეს უყეფდაო“, სწორედ ისე მომდის. დღეს ხომ ბზობის წინა დღეა. ბუკის ძახილით ხალხს დაუქმებას აუწყებენ ხუცები. ჩვენში დიდი ზარები, გარდა დიდი მარტვილის მონასტრისა, ასეთ ეკლესიებს მაინც არ მოეპოვებათ, პატარა ზანზალაკები აქვთ, ათიოდე ნაბიჯის სიახლოვეზე თუ გაიგონება, ამიტომაც დღესასწაულებზე ძველებურ ბუკს აყვირებენ სოფლის კანცელარიებში, როდესაც გლეხების თავყრილობა უნდათ მოახდინონ. პრისტავიც უმეტეს წილად იქ მიდის. მე კი ჩვენი კანცელარიიდან ძალიან შორსა ვარ, აგერ, სოფლებს ლეძჰამესა და ბურთემს შუა. მენჯი-როზუსაც ხომ ეს უსიერი ტყე მოდგამს. აქ რომ მომავწონ კიდეც, ჩემი ქესქენჯი ისე გამაქროლებს, ჩიტიც ვერ დამეწევა. მაშინ მოკვდეს მანჩა ჯგერენაია, თუ მე ქესქენჯმა გამწიროს. მაგრამ, ახლა რა მოსდის? რა ატოკებს? ჰა, ჰა! არ გინდა გაჩერება, მეგობარო? გინდა მიეცე შენი მხედრისათვის ჩვეულ ტყე-ღრეთა მიდამოებს?

ცხენი ტოკავდა და მის ფლოქვებს ქვეშ მიწის თეთრი ხვეული ცვიოდა ძირს.

მანჩა ჯგერენაიამ მარჯვენა ხელით ქესქენჯს ყელზე მიუალერსა. დაუყვავა.

— მოვასწრებთ, მოვასწრებთ, ჩემო კარგო! ჯერ კიდევ დღეა, შებინდდეს ცოტა.

ქესქენჯი შეჩერდა, თითქოს დაუჯერა პატრონის დასაბუთებას, მაგრამ ფლოქვებს ქვეშ ხვეული მაინც ჩამოცვიოდა.

მანჩამ თვალი შეაჩერა ამ ხვეულზე.

მართლა, რა თეთრია! ეს არა ჰგავს ეწერის მიწას, თუმცა მენჯი-როზუ ხალხში ეწრად არის მიჩნეული. ეს არ არის სამეგრელოში ცნობილი უნაყოფო, თითქოს ბოში მიწა. მართალია, ირგვლივ, ფერდებს ზემოთ გვიმრიანია, ერთგან „გვიმარაპი-

ტას“ ტყუილა არ ეძახიან, მაგრამ იმის შემდეგ უდაბური ტყე ახლავს ასწლოვანი ხეებით.

ეს ტყე უფრო თელიანი და წიფლნარია, მუხა აქა-იქ თუ ურევია, სამაგიეროდ აქ ნახავთ პანტა მსხლისა და ჭკუტა ვაშლის ხეებსაც.

მაშასადამე, ნიადაგი ნაყოფიერი ყოფილა. ერთ დროს აამ არემარეში ბოსტნებიც ჰქონიათ ძაძამიების წინაპრებს.

ეს ხვერეფი კი საიდან წამოსულა?

კირსა ჰგავს, კირნარს, მაგრამ არ არის კირნარი.

ასე რომ ყოფილიყო, აქამდე, ამ სოფლის ბობოლა, ბიჭინწა ჭითანაა, აქ საკირეს გააჩაღებდა.

ეს კარგად იცის მანჩამ, ბერთემში ბიჭინას ხომ აგურხანაც აქვს!

არა! ეს არ არის კირნარი. მანჩას დიდი ხანია გაგონილი აქვს, რომ ამ თეთრ მიწაში და მის გარშემო მადნეულის პუდობიაო.

ახსოვს ისიც, რომ აქაურ მებატონეებს, გვირგვილიანებსს, ხშირად მოუყვანიათ სხვადასხვა უცხოელი მრეწველები, რომ აქაურ მენჯი-რობუსა და საერთოდ ამ არემარის მადნეულობას გაცნობოდნენ და შემდეგ მათთვის მიეყიდნათ, ან იჯარით გადაეცათ თავიანთი მამაპაპეული მიწა-წყალი.

ამით მოელოდნენ გვირგვილიანები გამდიდრებას. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ამის იმედით სულდგმულობდნენ. ახლაც ამის იმედი აქვთ: ეგების ოდესმე მაინც გასჭრაას ბედმაო.

მანჩას გულში ჩაეცინა. მიწას თვალი მოაშორა და გახედა ბერთემის მიდამოს.

უკვე ღამდებოდა, მაგრამ ამ მაღლობიდან მაინც კარგად მოჩანდა ბერთემის დაცემული ჭალა და ზედ დაკლაკნილი, ლაჟვარდოვანი და გამჭვირვალე მდინარე ტეხური. მის მოღმა ახალ-სენაკიდან მომავალი გზატკეცილი და მის ზემოთ კიდევ სამ ტერასად აწეული ტყიანი ეზო-კარ-მიდამოები, მაყვლის ეკლიანი ბუჩქნარებით გარშემოსხდული და ისლიანი ქოხებით გამომყურე. წყალგაღმა ნაქალაქევისა, ჯოლევისა და აბედათის გორები მოჩანდა. იმათ იქით კიდევ შორეული, ცხვირიანი კვაათი. უფრო ახლოს კი, ჩრდილო-დასავლეთით, თითქოს სოფელს უეცრად თავს წამოდგომიაო, — ლებარკალეს ფართო

გულმკერდიანი მთა, ამჟამად მზის სხივთაგან წვეროკანებზე ხალისიანი სიწითლით აჭვივებული, რაც თანდათან უკვე უჩინარდებოდა, როგორც ხელთდაუჭერელი, წარმავალი ბედნიერება, რომელსაც ატყობ, რომ ხელიდან გეცლება და ვერ მიწვდომიხარ კი.

მანჩას ენიშნა: ჩემს ბედსა ჰგავსო.

— ასეთ ახალგაზრდას როგორ გამეცალა ხელიდან ცხოვრების სიკეთე?

მაგრამ ამაზე ფიქრი აღარ შეაჩერა. რამდენჯერ განუსჯია თავისი ცხოვრება!

შორიდან მდინარე ტეხურის შხუილი მოესმა.

— აი ჩემი მისაბაძი! მუდმივი ბრძოლა წინშეხვედრილ დაბრკოლებებთან, მუდმივი მოქმედება, წინსვლა! ჰმ! — მწარედ გაეღიმა: — ბრძოლა? მარტოს, მიუსაფარს?

მის თვალთა წინ, წყალგაღმა, უკვე ჩამავდა გარშემოზღუდული გორები. თუმცა ეს სიშავე არ არის, ეს უფრო თითქოს სალუქი, მოლურჯო ლეჩაქია, ამ საყვარელ ფერდობებს ახლა რომ ასე ნაზად გადაეფარა.

არა, აქ უიმედობა არ არის. ამას განჭვრეტა უნდა.

თვალი მოაშორა ამ ადგილებს. სოფლის გამოღმა, წისქვილის თხრილზე შეუჩერდა მზედველობა. იქ ხომ, ამ წისქვილში, მისი ბავშვობის ნაამხანაგარიც, ფარნა ბჟალააც არის მონაწილე.

წისქვილი ადგილობრივი მებატონეების, გვირგვილიანებისაა, მაგრამ ორიოდე გლეხიც მონაწილედ არის შეყვანილი, რადგან მათ ამ თხრილის გაყვანაში და თვით წისქვილის გამართვაში მებატონეებზე ბევრად მეტი ამაგი მიუძღვით, განსაკუთრებით ფარნას.

ამისბანა საწისქვილე ქვის კოდვა ამ არემარეში არავინ არ იცის და საერთოდაც მშვენიერი ოსტატი კაცია. ხელიდან ყველაფერი გამოუდის, საუცხოო ხუროც არის მარტო ამ სოფელში კი არა, მისი სოფლის გარეთაც. ჯარგვალები თუ ფიცრულები, „პიტაფიცარა“, სახლებიც უმეტესად ფარნას ხელით არის ნაგები. კაცმა რომ თქვას, ეს წისქვილიც, იმ ორიოდე გლეხთან ერთად, უფრო ფარნას გაკეთებულია, მებატონეებმა მხოლოდ ზოგმა ფული გაიღო და ზოგმა მასალა შემოიტანა. მთავარი სამუშაო კი ფარნას ჩატარებულია.

მანჩას ბავშვობიდანვე უყვარს ფარნა.

თითქმის ერთად არიან აღზრდილნი და მათი სიყვარული ღერო თანდათან თუ ბერძნულდება და მტკიცდება, თორემ არ კლებულობს. ამას აქვს სხვა მიზეზებიც, მაგრამ სამწუხარო მხოლოდ ერთი აქვს ორთავეს: მათ რომ უნდათ, ისე ხშირად ვერ ხვდებიან ერთიმეორეს.

მანჩა უფრთხილდება ფარნას ოჯახს. მანჩა ხომ აბრაგი კაცია. ამიტომაც იშვიათად ესტუმრება ხოლმე ფარნას. უფრო ხშირად კი, საჭიროების დროს, ვისმე სანდოს პირით იბარებს სადმე საიმედო ალაგას.

დღეს კი ძალიან უნდა მისი ნახვა, მაგრამ რომ არ გაუფრთხილებია? მივიდეს, სახლში ეწვიოს? ამისათვის შავბნელი, ყურყუმელა ღამეა საჭირო. მართალია, შავი ღრუბლები უკვე ირევიან ცაზე, მაგრამ დასავლეთისაკენ, ზღვისკენ მოწმენდილია. ჰო, შეიძლება მთიდან, კურზუდან, წამოვიდეს წვიმა, აქამდე მოიტანს. ასე იცის ხანდახან.

სალხინოსაკენ, ეტყობა, წვიმს. ძალიან ჩაშავებულია.

ფიქრით უბრუნდება ფარნას. მანჩას ახსენდება მათი ბავშვობა. სოფელ მოხაშიდან არის თვითონ. ეს სოფელი ზედ აკრავს ლეძაძამეს და ბერთემს, ამიტომ მოჩიტულ მანჩას და ფარნას არ უჭირდათ ერთიმეორის ოჯახში ფეხშიშველი გადატანტალება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ან თხები უნდა გადაეყრეკნათ მენჯი-რობუს ჯაგნარისაკენ, ან ძროხა მოეძოვებინათ რომელიმე იქვემდებარე დაბლობის ხასხასა საბალახოზე.

აქ უსეირნიათ მათ, აქ გადასულან ორთურმას, აქ „უჭაკუნიათ“; აქ უოცნებიათ.

და წმინდა იყო, გულუბრყვილო, ხალისიანი მათი ოცნებით გატაცება. მაშინ წერა-კითხვა არც ერთმა არ იცოდა. ეს შემდეგ შეისწავლეს ბარამ გვირგვილიანის ღვთისნიერი მეუღლისაგან, მხოლოდ ფარნა ჩამორჩა და მანჩა ხელსაყრელი პირობების გამო ცოტა გაიწაფა, მეტი წიგნიერი გახდა. ფარნა სადმე ბრტყელ ქვას დაინახავდა თუ არა, მაშინვე ახალუხის ჯიბიდან თასმებში გახვეულ სადგისს ამოიღებდა და ხაზვას იწყებდა. პირველ ხანებში ქოხებს ხატავდა, საყდრებსა და ზოგჯერ ხეებსაც, შემდეგ სულიერ საგნებზეც გადავიდა და ერთხელ ვაციც კი დახატა.

ორ, რამდენი იცინეს მაშინ!

მანჩას რამდენჯერ უფიქრია, ფარნასათვის გარემოება რომ ხელი შეეწყო, ან მხატვარი გამოვიდოდა, ან ხუროთმოძღვარი.

მაგრამ სად იყო ეს გარემოება?

უბრ გლეხს, ისიც ხიზანის შვილს ფარნას, ვინ „მიასუნვიებდა" სასწავლებელში. ან ფარნას მამას კი ესმოდა სწავლის მნიშვნელობა, რომ როგორმე წელებზე ფეხი დაედგა და შვილის სწავლას გაძღოლოდა? აკი ამისთანებიც ხდებოდა ზოგჯერ მათ არემარეზე:

აგერ, ლუკაიას ქვრივმა ცისა და ქვეყნის შემწეობით, პირდაპირ მათხოვრობით აღზარდა თავისი შვილი და ამჟამად იგი ექიმია სამაზრო ქალაქში.

მაგრამ ეს იყო გამონაკლისი და ფარნას მამა ამისთანებს ყურადღებას არ აქცევდა. მას უნდოდა დამხმარე მუშახელი მის ღარიბ ჭოხში და მის მკვირცხლ ფარნაზე უკეთესს ვის იშოვნიდა?

ამ დროს სწავლის გემოს კიდევ არ იცნობდნენ ფარნას მამისმაგვარი ადამიანები.

ეს მერმე შემოვიდა სამეგრელოში, 90-იანი წლების მიწურულში, როდესაც გლეხობამაც, ასე თუ ისე, იწყო დენა სკოლებისაკენ.

მანამდე კი გლეხობა თითქოს შვრიგებულიყო თავის ბედს: 50-იანი წლების აჯანყება უტუ მიჭას მუთაურობით და კიდევ უფრო ახალი აფეთქებაც 70-იან წლებში რაკი მარცხით დამთავრდა, თითქოს მწარე გაკვეთილად მიიჩნიეს და გაყუჩდნენ. თუმცა გულში კი ჩაიმარხეს მთელი ბოლმა და ვაება მათი დუხჭირი ცხოვრებისა და ყრუ პროტესტად გაფანტეს შინაობაში.

ყველაფრის ამის გახსენება მოზღვავდა მანჩას გონებაში და ერთ წუთს მწარედ დანაღვლიანდა.

მაგრამ საკვირველია ადამიანის ფიქრი!

ახლა ამ ფიქრზე იწყო მანჩამ მსჯელობა:

როგორ დანავარდობს ეს ფიქრი წალმა-უკუღმა?! წან ალმართს მიადგება და ხან კი თოხარიკით ჩაიდალმართებს! ან საიდან სად გადახტება! ზოგჯერ თითქოს საერთო არაფერი

აქვთ ამ გაბმულ აზრთა გვრიობას ერთმანეთთან, თუმცა კარგა რომ დაუკვირდე, ერთ ძაფზე კია აცმული კრიალოსანივით: სხვადასხვაგვარი ქარვა, მარჯანი და გიშერი, მძივი და უბრალო შუშის ბურთულები, მაგრამ უთუოდ ერთ ძაფზეა გამობმული. ეს არის ფიქრი ცხოვრებაზე.

მანჩა კიდევ უფრო ღრმად ჩაფიქრდა:

— მეც ხშირად, ძალაუნებურად მარტოდ მყოფს, მიხდება ფიქრი ხანგრძლივი და... ჰო! მოუწყინარი. მოსაუბრეებად კი წყაროები მყვანან, რაღაცას რომ მილიკლიკებენ უცნაურსა, ეს ხეები, ასე ფართო გუმბათად გადართხმულნი, თავიანთ ფოთოლთ შრიალით რომ მინერგავენ სიბრძნეს ბუნებისას. ყველაფერი ეს მაცოცხლებს და მააზროვნებს. მხოლოდ ადამიანი? მას ხშირად ვერ ვხედავ სასაუბროდ. თუმცა გულით მივილტვი მისკენ, რადგან ყველაფერზე უკეთესი მაინც ადამიანია, უბედურება კი ის არის — ვერა აქვს მოწყობილი ცხოვრება. სიდუხჭირით აუვსია ამ ქვეყნის სიკეთე და ამიტომ, ხშირად, არც მენატრება მისი ნახვა.

ტეხური უკვე ბორგავდა.

მანჩამ ყური მიუგდო. გაიფიქრა:

— ჰო, ტეხური მატულობს. მთაში წვიმს და პატარა მდინარეები „გულს ასკდებიან“, ტეხურზე მოაქვთ იერიში. ჰა, ჰა! ტეხურიც ბრაზობს, მის ფუსტუღ გულ-მკერდზე აწირებულად არ იკარებს ამ მღვრია სტუმრებს და დაუზოგველად მიერეკება ფოთისაკენ, ზღვისაკენ, რომ იქ ჩაღუპოს ეს არამკითხეები, ეს უნდა გვინდოდეს ჩვენც, ადამიანებს, „გაწმენდა მწიკვლისაგან“.

ღრუბლები ძალზე ჩამოქუფრუხდნენ, კარგა ჩამობნელდა, მაგრამ მანჩამ შორიდან გარკვეულად შეამჩნია გზატკეცილზე მომავალი ორი ცხენოსანი.

თავის ქესქენჯს ოდნავ ქუსლი ჰკრა, ლაგამიც ცოტაზე მიუშვა, ჩაივაკა და ერთ ბერძნულ ხეს ამოეფარა.

შენაკადი

1

ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ეს შენაკადი?

მე ხომ ერთ გრძელ ამბავს ვუყვები სხვებს და შენაკადები აქ რა მოსატანია?! ბელეტრისტიკაში ეს მიღებული არ არის. მაშ მეც რად არ მივყვები გატკეპნილ ბილიკს?

აი ეს მართლა უცხო ამბავია...

ჩემს შენაკადებში ჩემი თხრობის მსვლელობას ვაჩერებ განგებ და გადმოვცემ სულ სხვა რაიმე შეხედულებას ამა თუ იმ საგანზე, ანუ იმ ისტორიულ მოვლენებზე, რომლებიც გვხვდებიან ჩემი თხრობის სხვადასხვა მანძილზე...

და ეს არის ავტორის ლირიკული გადახვევა.

ამით ვიქარვებ გულსა.

მაგრამ შენაკადი ხომ მდინარეში შერთულ მეორე მოწვანწკარესაც ნიშნავს.

მაშ ამ ნაწარმოებს მივცეთ ესეთი ტიტლი: „ბელეტრისტული მდინარე თავისი შენაკადებით“.

2

გზად მიმავალ ერთ ცხენოსანს მეფის მოხელის ყვითელფოლაქებიანი სერთუკი ეცვა და კოკარდიანი, ჩინოვნიკური ქუდი ეხურა. ერთ ხელში საკმაოდ გაბერილი პორტფელი ეჭირა და მეორეში — მოზრდილი შავი ჭოლგა.

მეორე ჩოხიანი იყო. ქამარ-ხანჯალი ერტყა და ზედ ბუდით გრძელი, წერწეტა რევოლვერიც ეკიდა, თან რაღაცას ბუზღუნებდა თავისთვის.

უეცრად სერთუკოსანს ცხენზე მათრახი დაურტყა და ცხენიც მოულოდნელობისაგან ცოტაზე გახტა, ისე რომ მხედარი კინაღამ ჩამოაგდო.

— რა დაგემართა, ბანძო, ხომ არ შეიშალე! — წყენით მიუბრუნდა სერთუკიანი და ცხენს ლაგამი დაუჭირა. — მართლა ბანძი ხარ, ვილაც ხარ! — უკვე უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა.

— ბანძი კი არა, ბატონო, გავუჩქაროთ, გავუჩქაროთ,

თორემ უკვე დიდ წვიმას აპირებს, სელედი წამოვა და გურძელიაში ვეღარ გავალთ... იმ წყეულმა ამისთანა დროს ტეხურზე უფრო დიდი მომატება იცის. გაუჩქარე, ევტიხი ბატონო, გაუჩქარე, თორემ ცუდად მოგვივა საქმე...

რაც შეუძლია მიდის ეს ცხენი და სხვა რა უნდა ვუყო! შენ მაინც არ უნდა დაგვრტყმია ჩემი ცხენისათვის... კინაღამ გადმოვვარდი. როგორ მაყადრე!

— გაყადრე, ბატონო, კი არა... უბედურ ადგილს მოვხვდით. უბედურს. აგერ მენჯი-რობუს მივადექით.

— მერმედა რაო?

— რაო და ნაძრახი ადგილია, შენი ჭირი შემეყაროს, სახიფათო, აბრაგების ბუნაგი აქ არის...

— მერმედა სად არის ჩვენში აბრაგები? ახლანდელმა მაზრის უფროსმა სულ ბოლო მოუღო...

— უჰ, ბაბა, რას ბრძანებ! მე და შენ მარტო ერთი მანჩა ჯგერენაიაც გვეყოფა. ღმერთო, ნუ მისმენ, ღმერთო!

— ოჰ, შენც იტყვი რაღა! მანჩა ჯგერენაია რა. აბრაგია! გამიგონია, არავის ერჩისო... ნასწავლი კაციაო.

— უი, ღმერთი ააშენებს! ნასწავლი კი არა, ბათუმში ევდო, იქ ჭარხნის უფროსი მოუკლავს და ახლა გადავარდნილია...

— ჰოდა სულ სხვა ჯურის გადავარდნილი ყოფილა. შენისთანა გამოცდილმა კაცმა ეგ როგორ არ იცი? აჰ, რა იყო? — ძლივს მოასწრო ამის თქმა ევტიხიმ, რომ ვიღაცამ წინიდან ცხენი დაატაკა და ცხენიანად გზატკეცილის თხრილში გადაჩეხა.

ბანძღი მიხვდა რაშიც იყო საქმე და რევოლვერზე ხელი წაივლო, მაგრამ სანამ ამოღებას მოასწრებდა, მანჩა ჯგერენაიამ მკერდზე თავისი რევოლვერი მიაბჯინა და შესძახა:

— არ გაინძრე! ახლავ აიხადე იარაღი!

ბანძღიმ ზანტად იწყო ქამრის შეხსნა, მაგრამ მანჩამ საძრაობა არ მისცა, რევოლვრის ლულა მის მკერდს არ მოაშორა, სანამ იარაღი მიწაზე არ დააგდებინა. შემდეგ ფულებიც მოსთხოვა, რაც ჰქონდა, დააყრევინა და უყვირა:

— ბაბა, მოჰკურცხლე! უკან არ მოიხედო, ისე. — თან თოფი მოუღერა.

ბანძღიმ იაფრა და ცხენი ჭინიგ-ჭინიგით წაიყვანა.

მანჩა თავის ქესქენჯიდან ჩამოხტა, ბანძღის იარაღი და ფულები აიღო და შემდეგ თხრილისაკენ გაემართა, სადაც ცხენს თავის მხედრისაგან თავი გაენთავისუფლებინა და თხრილის ზემოდან-თითქოს ამაყად დასცქეროდა მკვნესარე ევტიხის.

მანჩა მივიდა, დაეხმარა და რის ვაი-ვაგლახით თხრილიდან ამოიყვანა დაჟეჟილი ადამიანი. თან ბოდიში მოიხადა — ცოტა უსიამოვნობა მოგაყენეო.

ევტიხის მწარედ გაეცინა:

— დამცინი განა! შენგან ამას არ მოველოდი! შენ მანჩა არა ხარ, ჯგერენაია?

— გახლავართ!

— მერმედა შენ, რამდენადაც ვიცი, იდეის კაცი ხარ, მძარცველობა რატომ იკადრე? აკი აბრაგი არ არისო, შენზე ამბობდნენ.

— მე ვიცი, ვინ გავძარცვო... მე უსამართლობას არაფერს ჩავდივარ, მაგრამ თქვენ, თქვენ, ინტელიგენტ კაცს, არა გრცხვენიათ, რომ ვითომდა სასამართლოს სახელით ბევრჯერ უსამართლობას ეწევით და ბანძღისთანა წურბელებს ღარიბ-ღატაკების აწიოკებაში ხელს უწყობთ? მე გიცნობთ შორიდან. თქვენ სასამართლოს ბოქაული ევტიხი ბაწელაძე არ ხართ? როგორ არ გრცხვენიათ? ერთხელ მასწავლებლად ყოფილხართ და ახლა კი ქვეყნის ამწიოკებელი გამხდარხართ.

— რა ვქნა, შვილო! წვრილშვილი დამესია... თორმეტი სული ვართ ოჯახში. რჩენა არ უნდა? მასწავლებლის ჯამაგირი აბა რას მეყოფოდა. ისიც თვეობით ჯამაგირი არ გვეძლეოდა. ვაინაჩრობით ვცხოვრობდით, ჩვენებურ მასწავლებელზე უსაწყლესი ვინ არის ამქვეყნად? მე ვერ გავუძელ!

ევტიხის ხმას ცრემლების გადაყლაპვა დაეტყო. ხანდაზმულ კაცს გული აჩუყებოდა, თან გუნებაში თავის თავს უწყრებოდა: — ეს რა მომდის, ვის წინაშე ვიმართლებ თავს, სად ან რა გარემოებაშიო!

მაგრამ ამის გარკვევა არ დასცალდა. მანჩასაგან უკვე სულ სხვა, მტკიცე ხმა მოესმა:

— ახლა ეგ პორტფელი მე მიბოძეთ...

ევტიხი პირველად ვერ მიხვდა, რას სთხოვდნენ, მხოლოდ როდესაც მანჩამ მეორეჯერ შეუვალად მოსთხოვა პორტფე-

ლი, მაშინ კი აწრიალდა და ხმაში სრული უმწეობა დაეტყო:

— მაგას რას მეუბნები, შვილო! პორტფელი როგორ უნდა მოგცე? მერწმუნე, ამაში ფულები არა მაქვს... სულ საბუთებია:

— მე ფულებს არცა გთხოვ. ფულს მე თვით მოგართმევთ, თუ სახარჯო გჭირდებათ. შეიძლება ბანძღიმ თქვენი გასამრჯელო არც კი მოგართვათ.

— უი, დასწყევლოს ღმერთმა იმ ბანძღის თავი. რა იქნა? სად გამექცა? — და აქეთ-იქით მიიხედა ევტიხიმ.

— ბანძღის ნუ ეძებთ. იმას ახლა თქვენი თავი არა აქვს. ეგ პორტფელი კი მე მიბოძეთ.

— რას ამბობ, რას, ადამიანო! აქ საბუთებია, სასამართლოს ქაღალდები, აღმასრულებელი ფურცლები.

— ჰოდა, სწორედ ეგ მინდა მეც.

— როგორ შეიძლება? გინდა დამღუპო? სამსახურიდან დამითხოვენ, გამაციმბირებენ, — და იქვე, გზატკეცილზე, ვედრებით მუხლი მოიყარა.

მანჩამ შუბლი შეიჭმუხნა, ხელი წაავლო:

— ადექით! ადექით! როგორ გეკადრებათ ესეთი შიში? — წამოაყენა. განაგრძო: — არაფერს არ გაგაციმბირებენ, არც სამსახურიდან დაგითხოვენ. აბა გონება კარგა მოიკრიფეთ. ეს მე მჭონდეს... — და, თითქმის ძალით წაართვა პორტფელი ისედაც მოდუნებულ ევტიხის. შემდეგ მანჩა უფრო გაულმობიერდა: — იტყვით, რომ აბრაგი დაგხვდათ და გაგძარცვათ. ამას ხომ თვითონ ბანძღი სიამოვნებით დაგიმოწმებთ. არაფერია, არაფერი! არაფერიც არ დაგიშავდებათ. მობრძანდით ახლა, ცხენზე შეგსვამთ.

ცხენი თხრილ-გაღმა ლაგამადებული იყო, მაგრამ ბალახს მაინც წიწკნიდა. მანჩამ აღვირში ხელი წაავლო, მოუყვანა, ავჟანდი ჩამოუწია და შესვა თითქმის გამოლენჩებული ევტიხი. შემდეგ თვითონაც თავის ქესქენჯს მოახტა, გზა მშვიდობისა ეურჩა ჯერ კიდევ გაშტერებულ სერთუკოსანს და გაჭენდა.

ქარი ძალზე უბერავდა. მანჩა თითქოს სიამოვნებით შეეგება ამ ბორიოს. გაჭენებულ ცხენზე ქარი უფრო მძლავრად ხვდებოდა, მაგრამ თითქოს ამას არ ეპუებოდა. ფიქრობდა:

— ნეტა ამ ქარის ძალა მომცა: დავუბერო ვისაც მე მინდა და აღვგავო ამ ქვეყნიდან.

ცოტა ხნის შემდეგ, ერთ პატარა კოხტა ეზოსთან შეაჩერა მისი ქესქენჯი.

ეს ფარნას კარ-მიდამო იყო.

3

ევტიხი ძლივს მოეგო გონებას, ცხენი შეატრიალა და ბერთემისაკენ გასწია.

უკვე სრულიად დაღამდა. სენაკამდე ამაღამ რა ჩააწევს? მართალია, აქედან მხოლოდ 21 ვერსტია, მაგრამ ცხენით ოთხი საათის სასიარულოა. ახლა რვა საათზე მეტი იქნება. იქ მხოლოდ შუაღამისას მიაღწევს, მაგრამ გზაში, ამ სიბნელეში, ისიც ასეთ ქარში, მერმე მარტის სუსხიცაა, რომ გაცივდეს? ფილტვის ანთება? მერმე რაღა ეშველება მის წვრილშვილს? აი ახლაც სიცივისაგან ძიგძიგებს. ესეც არ იყოს, გზაში შეიძლება სხვა კიდევ რამ ხიფათი შეხვდეს, ან ერთი აბრაგი კიდევ, წელან იკვეხნიდა, მაზრის უფროსმა სულ გააქროო, მაგრამ ახლა კი ფიქრობს, რომ შეიძლება კიდევ იყოს სადმე. ყველა ჯგერენაიასთანა ხომ არ იქნება! ამას კიდევ იოლად გადაურჩა. პორტფელის საქმეში კი მართალია ჯგერენაია. აბრაგის წართმეულია, მოწმეც მყავს... ბანძი...

კინაღამ ხმამაღლა წამოცდა:

— ბანძი! ჰმ! რა უცნაური სახელები იციან მეგრელებმა. ბანძი ხომ მეგრულად დავიდარაბას ნიშნავს. და აკი გადამკიდა კიდეც დავიდარაბას. უჰ, რა დაქანცული ვარ! — წელზე წაივლო ხელი. ტკივილები იგრძნო. — ბიჭოს! აქამდე რატომ ვერ შევამჩნიე? უჰ რა კარგია ახლა თბილი ოთახი, რბილი საწოლი, დასვენება. მაგრამ სად? სად? ამ სოფელში არავინ არა მყავს ნაცნობი.

ამ დროს იგი უკვე შევიდა ბერთემის შუაგულ ჭალაში, საიდანაც გამოჩნდა მდინარე გურძემიაზე გადმომდგარი ძველებური ორსართულიანი სასახლე კნეინა ნექტარინა გვირგვილიანისა.

ევტიხიმ გაიხარა. სასაწლის მრავალ ფანჯრიდან უხვად მოჩანდა ლამპრების სინათლე. ამ ქარსა და სიბნელეში ფიქრობს

F-82878

წანეტაროდ იწვევდა წასახლე გაჭირვებულ მგზავრს. ევტიხიმაც იქით გაუხვია.

თან გულში ფიქრობდა.

„რა ვუყოთ, თუ არ ვახსოვარ კნეინა ნექტარინას! გაცნობილი კი ვარ. ერთი-ორჯერაც გამომივლია მის სახლში. საერთოდ, ძალიან მიმღებიანი ქალია. განთქმულია თავისი სტუმართმოყვარეობით, პურ-მარილით. განსაკუთრებით კარგადაც ღებულობს ჩინოვნიკებს. გუბერნატორიდან დაწყებული და გათავებული ბოქაულით. მეც ხომ ბოქაული ვარ, მართალია, არა პოლიციის, სასამართლოსი... — და აქ გულს ნაღველი შეემოაწვა: — რა უბედური ხელობა მაქვს, არავის არ უხარია ჩემი სტუმრობა. ყველას ჰგონია, რომ რაიმე ვალში ქონებას ახაწერად მოვდივარ. დასწყევლოს ღმერთმა ჩემი ბედი!“

ერთხელ კიდევ მიაჯოჯოხეთა თავის თავი ევტიხიმ და კნეინა ნექტარინას ფართო ეზოს ჭიშკარს მიადგა.

შენაკადი

II

ხომ არ მოგაწყინე, ციბედულ!

ვერ ვამბობ ისე, ვით შეჰფერის ამ ამბებს მბობა?

მიუტევე, ციბედულ, ჩემს ნიჭსა და უნარს, თუ ვერ შესძლო უკეთესი.

ხელვყავ ამ საქმეს კი იმისათვის, რომ დიდხანს ვიცხოვრე საცვიფრელ ეპოქაში და ჩემმა სათაყვანო საქართველომ ჩვენ თვალთა წინ განვლო დიდი, ისტორიული გზა.

ბევრი რამ ვნახე და განვიცადე.

სირცხვილი იყო, სხვა რომ არა ვთქვა რა, ეს აღმენუსხა ჩემი სუსტი ძალით.

ჰა, ჰა!

შენ მახსენებ, რომ შენ გაქვს დაწყებული შენი მოგონებები, შენი „რაც გამახსენდაო?“

იქ ვისაუბრო ნახულსა და განცდილზე?

მაგრამ შენ კარგად იცი, ჩემო ციბედულ!

შინ რა არ იცი!

მე ასე მყავხარ ყოვლისმცოდნედ წარმოდგენილი.
შენ იცი, რომ იქ მართლა სასაუბროდ ვარ განწყობილი. აქ კი მინდა ვცადო ერთხელ კიდევ მხატვრულად ჩამოძერწვა. რა ვუყოთ, რომ ყველა ჩიტი ბულბულებრ ვერა გალობს. მაინც და მაინც...
ყველა მწვინვარეს თავისი ხმა აქვს.
მეც მინდა შევაქო ჩემი სათაყვანო საქართველო.
აქ, მართალია, მარტო ჭუბა არ არის და არც შეიძლება იყოს, რადგან მე ისეთ დროს ვეხები, რომ იქ საქებური ცოტა მოიძებნება, მაგრამ საერთოდ კი მის საზეიმოდ, მის ასამაღლებლად არის ჩემი კალამი მომართული.
შენ ეს კარგად გესმის, ტურფა ციბედულ!
ჩემო ჩამგონებელო, ჩემო ყველავ!

4

თოთქმის ნახევარი კილომეტრის სიგრძეზე იყო გადაჭიმული წვრილ ეზო კნეინა ნექტარინას სასახლისა, ჭიშკრიდან მოყოლებული თოთქმის სახლის კიბემდე. ზევით ასხლეტილი ჭადრები ნელა მიდგყვებოდა. ასე რომ, ჭიშკრიდან შემოსული სტუმარი თუ შინაური, ვერაფრით ვერ დაემალებოდა სასახლეში მყოფთ, ისე პირდაპირ იყო გაისრული ხეივანი.
ღამე იყო, მაგრამ ევტიხიმ მაინც შეამჩნია, რომ აივანზე ვილაც გადმოდგა და მისკენ იწყო ცქერა. ეს ევტიხისათვის ურჩო ადვილი იყო, რადგან აივანზე გადმომდგარს ფანჯრებიდან გამოსული სინათლე ანათებდა და კარგად მოჩანდა მისი ნაკვთი. სამაგიეროდ ძნელი იყო ევტიხის აივნიდან შემჩნევა ჩაბნელებულ ეზოში, მაგრამ იქიდან გადმომდგარი ადამიანი მაინც არ ეშვებოდა თავის დაკვირვებას.
ევტიხიმ ცხენს გაუჩქარა და ის იყო კიბის ახლოს პაწია მოედანზე მდგარ დიდი ცაცხვის ქვეშ უნდოდა ცხენიდან ჩამოსხტარიყო, რომ იქვე, ყურის ძირში, მოესმა:
— პატონ ევტიხის სიცოცხლე და გამარჯვება!
ევტიხი მოულოდნელობისაგან, ცოტა არ იყოს, შეკრთა, მაგრამ მოსაუბრესთან თავი ახლოს რომ მიიტანა, იცნო ადგილობრივი მლვდელი, თედორე სისორდია.

— მგონია, შეგაშინეთ, ბატონო ევტიხი! ბოდიშს ვიხდი, მაგრამ თქვენ რომ ჭიშკარში შემობრძანდით, მეც აქეთ გეახლებოდით, შეგიცანით კიდეც, მხოლოდ აქამდე ვერ დაგეწიეთ. ჩამობრძანდით, ბატონო!

და ვიდრე ევტიხი უნაგირიდან ფეხს გადმოიღებდა, მანამ ეს ანაფორიანი ადამიანი დიდი სისწრაფით გადმოეშვა თავის განუყრელ მომცრო ჯორიდან და ევტიხის ცხენს აღვირი დაუჭირა.

სანამ ევტიხი თედორეს თავაზიანობისათვის მადლობას გადაუხდიდა, სიტყვაწყლიანი მღვდელი თავისას განაგრძობდა:

— აქეთ სად ბრძანებულხართ, ბატონო ევტიხი?! მერე ასე შეგვიანებით და ასეთ ამინდში? თუმცა, ეტყობა, წვიმა აღარ იქნება. ქარმა გაფანტა ღრუბლები და, ხედავთ, ეგერ მთვარეც აპირებს მის დამბნელებელს ხელიდან გაუსხლტეს. ჰა, ჰა! ასე იცის მარტმა, უცნაური თვეა.

ასე უხვსიტყვაობდა თედორე და თან ცაცხვის შტოებზე ევტიხის ცხენისა და მისი ჯორის მიბმაში იყო გართული.

— დაშლილი კი გვაქვს ამ ცაცხვზე ცხენების მიბმა... კნეინა ნექტარინამ აგვიკრძალა, მაგრამ არაფერია, ახლა ღამეა და მერმე კიდევ ეგერ გუტატი, აი, აივანზე რომ გადმომდგარა.... ვეტყვით და შინაყმებს წააყვანინებს ჩვენს ცხენებს შინა ეზოში. გუტატის ხომ იცნობთ?

— გუტატის? — ცოტა შეჩერდა ევტიხი. ბოლოს გაიხსენა: — ეს კნეინას მოურავი რომ არის?

— ჰო! — და, აქ, ეშმაკურად ჩაიქირქილა მამა თედორემ. შემდეგ საიდუმლოდ ყურში წასჩურჩულა ევტიხის: — მოურავიც არის და... ყველაფერიც ამ სასახლეში, გაგეგონება. თუ რამე საქმე გაქვს კნეინასთან, გახსოვდეს, გუტატის გარეშე არ გაკეთდება, აბა, გავწიოთ!

ცხენები უკვე მიბმული იყო. ტანისამოსი გაიბერტყეს, გაისწორეს და შეუდგნენ მოედნიდან კიბისაკენ მიმავალ, გადაკოინდრებულ პატარა ალმართს.

თედორე კვლავ განაგრძობდა:

— ამაღამ უთუოდ აქ დარჩებით, ბატონო ევტიხი, თუმცა კნეინას დიდძალი სტუმრები ჰყავს... და, ბატონო ევტიხი, — შეაბრუნა უცბად თედორემ, — ჩემსას წამობრძანდით, ვეცდებით კარგად მოგასვენოთ.

— დიდი მადლობელი ვარ, მამაო თედორე, მაგრამ რაკი მოვსულვარ, ვინახულებ მაინც კნეინას და თუ ისე შევატყე საქმეს, რა გაეწყობა! ამალამ შეგაწუხებ ჩემი სტუმრობით.

— კი, ბატონო, კი, შენი ჭირიმე! უთუოდ! არა, ნახეთ, რასაკვირველია, კნეინა, თორემ რომ გაიგოს თქვენ აქ იყავით და მისი უნახავი წამობრძანდით ჩემთან, მერმე მე აღარ დამედგომება აქ, დიდად შემომწყრება და მისი ატანა ჩემთვის კი არა, ამ არემარეში ჩემზე უფრო დიდებისთვისაც ძნელი საქმეა.

— ო-ო, დიდი კნეინაა უსათუოდ, — სხვა არაფერი თქვა ევტიხიმ. შეიძლება იმიტომაც, რომ აივნის დიდ კიბესთან იყვნენ მიღწეულნი. ეს კი იკითხა: — ვინ სტუმრები ჰყავს?

— ძალიან ძვირფასი სტუმრები. უცხოელების კამპანიაა ჩამოსული. ლევარსიმ ჩამოიყვანა ფოთიდან.

— ლევარსი, ეს ფოთელი ვაჭარი?

— დიახ, გვირგვილიანებთან მოიყვანა. მთაში ტყეს ევაჭრებიან, აქ კიდევ მენჯი-რობუს.

— მენჯი-რობუს?

— ჰო, რაღაც დიდი მადნეულია იქაო.

— უი, დასწყევლის ღმერთი მაგ მენჯი-რობუს! — ყრუდ წაიბოცდა ევტიხის. თედორეს გაუკვირდა ევტიხის წყევლა, მაგრამ კითხვა აღარ დასცალდა, რადგან უკვე აივანზე ავიდნენ კიდეც და მათ გუტატი შემოეგება.

დიდ დარბაზში კნეინა ნექტარინას სტუმრები იმყოფებოდნენ.

ერთ კარგა ფართო მრგვალ მაგიდას უსხდნენ უცხოელები და პეტერბურგიდან სააღდგომო დღესასწაულზე ჩამოსული კნეინა ნექტარინას და მინადორა, ბარონ იკსკულ-შტანგის ქვრივი.

ის ბავშვობიდანვე რუს ხელმწიფის ბრძანებით, როგორც დიდი გვარის შვილის ქალი, პეტერბურგში იყო წაყვანილი და სმოლნის ქალთა ინსტიტუტში იზრდებოდა.

ზოგჯერ რაიმე მიზეზის გამო, ან პროტექციით, ან რაიმე განსაკუთრებული წყალობის შედეგად, სმოლნის ინსტიტუტში კანტიკუნტად სწავლობდნენ მაღალი წრის ქართველი ქალიშვილებიც და პაწია მინაც ამ არისტოკრატიულ სასწავლებელში მოხვდა.

შემდეგში, რაკი წაწიერიც და წაუცხოო ტანადიც იყო გარეგნულად, თანაც კარგა ზრდილი და ტაქტის ადამიანი, ალექსანდრე III სახლის კარზე მოხვდა, იმპერატრიცის ყურადღებაც დაიმსახურა და ფრეილინობაც მიიღო. ამას კი ის მოჰყვა, რომ მისი სილამაზით და საქციელით მოხიბლულმა რუსეთის დიდმა შეძლებულმა არისტოკრატმა ფონ იკსკულ-შტანგმა შეირთო და ამიერიდან ბარონესა მინადორა ალექსეევნა იკსკულ-შტანგის ცხოვრების კარიერა სრულიად უზრუნველყოფილ იქნა. თავისი გამჭრიახობით და ქმრის ნათესაობის წყალობით, პეტერბურგის უმაღლეს წრეებში ისეთი თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა, რომ თუ ვისმეს რაიმე საქმე ჰქონდა ან სასამართლოს უმაღლეს ინსტანციებში და სენატში, ან თვით სასახლის კარზე, ან თუ რომელიმე ახალგაზრდას უნდოდა სამსახურებრივი დაწინაურება მიეღო, ბარონესა იკსკულ-შტანგი ამ შემთხვევებისათვის უსათუოდ ერთი მეტად საჭირო პიროვნება იყო. თანაც, რაკი ეს მიღებული იყო პეტერბურგის მაღალ წრეებში, ნელ-ნელა სხვაგვარ ქველმოქმედებასაც ეწეოდა და სტუდენტობის ხომ დიდი დამხმარე იყო.

თავისი მშობელი მხარე კი გულით უყვარდა და ამისათვის პეტერბურგში მყოფ ქართველების დიდი მფარველი იყო. ზოგჯერ საქართველოშიაც გამოეშურებოდა და მთელ ჰის მრავალრიცხოვან ნათესაობას ჩამოუვლიდა ხოლმე. მაგრამ, ყველაზე უფრო უყვარდა თავის დასთან ნექტარინასთან ჩამოსვლა, სოფლის პრიმიტიულ ცხოვრებაში, ასე ვთქვათ, ჩაყურყუმელავება; დიდად აფასებდა და მოსწონდა სამეგრელოს მცხოვრებთა ზრდილობიანი საქციელი, მათი გარეგნული იერი და თითქო დიპლომატიური ურთიერთობა ერთიმეორეს შორის.

ხშირად ალტაცებით იხსენებდა: ხომ არ შეიძლება, რომ მეგრელმა, უბრალო, უსწავლელმა გლეხმაც კი, გამოთხოვების დროს მაშინვე ზურგი შეგაქციოს და ისე წავიდეს. უთუოდ კარგა ძალზე უკან დაიხევს და მხოლოდ შემდეგ მიბრუნდება წასასვლელადო.

ბარონესას ეს დიდ ზრდილობად მიაჩნდა.

ბოლო ხანებში, რაც ქმარი გარდაეცვალა, კიდევ უფრო უხშირა ნექტარინასთან საგანგებოდ ჩამოსვლას. უკვე ყოველწლობით ჩამოდიოდა, რადგანაც ამ დროს აღდგომის დღე-

სასწაულები იწყებოდა და აღდგომის შემდეგ მთელი კვირა საშეგრელოს სხვადასხვა სოფლებში განუწყვეტელი ეგრეთ წოდებული ჯარიანობა იყო ერთიმეორეზე მიწყობილი და ხალხის ლხინს, ჭეიფს, მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა.

ამჟამადაც სააღდგომოდ იყო ჩამოსული დასთან და თან თავისი ერთადერთი ქალიშვილი დაგმარაც ჰყავდა ჩამოყვანილი.

დაგმარა კი ქალს მიტომ დაარქვა, რომ ალექსანდრე III ცოლის იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნას ქალიშვილობის სახელი იყო და მის პატივსაცემად უწოდა ქალიშვილს ეს უცხო სახელი.

დაგმარასთან ერთად ჩამოიყვანეს ქმრის მოწათესავე ერთი ობოლი ქალიშვილი მარინა რიაბინინა, დაგმარას ტოლი და თანაშეზრდილი ახალგაზრდა.

ეა ორი ქალიშვილი ამჟამად გვერდით უსხდებენ ახალგაზრდა ინჟინერ ვოლკოვს, რომელიც უცხოელების კამპანიას ჰყავდა წამოყვანილი, როგორც სამთამადნო საქმის სპეციალისტი.

ვოლკოვიც პეტერბურგიდან იყო. ეს კარგად ჩაცმული, მოხდენილი ინჟინერი ქალიშვილებს ართობდა სალონური ანეგდოტებით.

განზე, პატარა მაგიდაზე, ნარდს თამაშობდნენ ფოთელი გაჭარი ლევარსი კვიზინია და ნექტარინას მაზლი, თავადი ბარამ გურგვლიანი.

მათ თავზე ადგა ბარამის უმცროსი ძმა ბეგი და გულით ხარხარებდა, როდესაც ლევარსის კამათელი არ მოსდიოდა და ამის გამო წითლდებოდა, ოფლში იწურებოდა, თან „დავ, დავ-ბაისეთი" საგინებელ თანხას აგებდა. ბარამი კი აუშფოთებლად, თითქოს უდარდელად, ეთამაშებოდა და ლევარსის მიერ გადადებულ ფულს, მოგებასთან ერთად, სათნო ღიმილით, თანდათან თავისკენ ეზიდებოდა, რაც, ეტყობოდა, აბრაზებდა ლევარსის. ამაზე იცინოდა ბეგი და კიდევ უფრო ცეცხლს უქიდებდა ლევარსის. ლევარსი კი ზოგჯერ წამოიძახებდა:

— აი, იმას რა ვუთხრა, ვინც მე ამ ოხრობის თამაში მასწავლა! — და ხელს გაიშვერდა ნარდის დაფისაკენ.

— პორტში მცხოვრები კაცი ხარ, ნარდსა და დომინოს ძალაუნებურად შეისწავლიდი, თქვენთან ხომ ყველა ყავახანის

წინ, ვინც არ გინდა, ნარდს თამაშობს, — ჩაუღიმილებდა ბარამი.

— ო-ო, დასწყევლოს ღმერთმა ჩემი გამჩენი! — თითქოს მაინც ვილაც სხვას აბრალებდა ლევარსი თავის დღევანდელ წაგებას და იმას არ ფიქრობდა, რომ მოშვებოდა თამაშს და ამით უზრუნველეყო შემდგომი მოსალოდნელი წაგება. ყოველი წაგების შემდეგ ის კიდევ უფრო შინაგანი გაფთრებით იწყებდა ახალი ხელის თამაშს.

მაგრამ, აგერ, მათთან მოვიდა ახალგაზრდა, მეტად მწყაზარი სახის კნეინა ნექტარინას ტანწერწეტა შვილობილი და ბარამს თავს დაადგა.

კვიზინიამ ზევით აიხედა და, ახალგაზრდა გოგო რომ დაინახა, თამაში სულ აებნა და თითქმის თვალი ვეღარ მოაშორა გულმკერდსავსე ქალის მკვრივ სხეულს.

ქალი კი იდგა კდემამოსილებით აღსავსე და ლევარსის მიშტერებული თვალების გამო, თითქოს რაღაც უსიამოვნო იგრძნოო, თვალები ძირს დახარა და პირისახე უფრო ბარამს მიაპყრო. ბარამი კვლავ თამაშში იყო გართული და რძლის შვილობილისათვის ყურადღება არ მიუქცევია. სამაგიეროდ ბეგი გამოელაპარაკა:

— რა გინდა, თოლისქვამი? ჩემს რძალს ხომ არ გამოუგზავნიხარ?

— დიახ, ბატონო! — წარმოთქვა თოლისქვამმა, მაგრამ როგორი ხმით? თითქოს ცოტა შეშინებულია, დარცხვენილი, თითქოს ერიდება კიდეც ხმის ამოღება — არავინ შევაწუხოო, მაგრამ ხმა მაინც იყო გულში ჩამწვდომი, მომაჯადოებელი თავისი გულუბრყვილობით, თავისი თითქოს ბავშვური უმანკოებით. ლევარსი ამ ხმის გაგონებაზე სულ აირია, თამაში მიატოვა და, ნარდის ხელი არ დაუთავებია ისე, რაც ერგებოდა, ის ფული ბარამს მიაწოდა. ახლა უფრო დაკვირვებით შეავლო თვალი ლევარსიმ თოლისქვამის სრულს აღნაგობას და ის აზრი, რამაც პირველად ოდნავ გაუელვა თავში, როცა აქ მოსვლისას პირველად მოკრა თვალი თოლისქვამს, ახლა თითქოს უფრო შედედდა, უფრო შემჭიდროვდა, გულში გაივლო: ვითომ რა? კნეინა ნექტარინა ამ თავის შვილობილს ვერ მომათხოვებს? მართალია, თავადი არა ვარ, არც აზნაური, ამათი ნაყმევი ვარ, მაგრამ განა ჩვენს დროში ამას ყურადღება მიექ-

ცევა? კარგად იცის ამ არემარეში ყველამ, რომ გვარიანი შეძლების პატრონი ვარ, სახელმოხვეჭილი ფოდრაჩიკი. ამ თავადებს ჩემი ქონებით სულერთიან შევისყიდი. რაღა გააჩნიათ საწყლებს? იქ, მთაში, რაღაცა ტყე და აქ კიდევ ბერთემში — მენჯი-რობუს მადნეული. ეს კამპანიაც მე მოვუყვანე. შეიძლება ამითი მაინც მოიბრუნონ სული. მე სიკეთე მინდა მაგათთვის და ვითომ არ დამიფასებენ?

თანდათან ფართოვდებოდა კვიზინიას ფიქრთა კიდე-განი. ამასობაში კი გამოირკვა, რომ მთავრობის მიერ გამოგზავნილ მიწის მზომელს გვირგვილიანებისათვის უწყებები გამოუგზავნია, რომ ის ბერთემში მოდიოდა მათი მამულების ასაზომად და ამისათვის შემზადებულიყვნენ.

ბარამი და ბეგი წავიდნენ კნეინა ნექტარინასთან, რომელიც თავის ოთახში მამასახლისის ნაცვალს ელაპარაკებოდა და თან სათვალებადებული უწყებებს კითხულობდა. თოლისქვამიც მათ გაჰყვა და თან წაიყოლა ლევარსის მამაცური და თითქოს ერთგვარად კადნიერი ფიქრი და ზრახვანი.

5

სწორედ ამ დროს შემოვიდნენ დარბაზში ევტიხი ბაწვლაძე და მამა თედორე.

დარბაზში დარჩენილებს მათთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ, მხოლოდ ბარონესამ მისალმებისათვის ცოტათი თავი დაუქნია.

მოსულებს გუტატიც შემოჰყვა და იქაურებს მოახსენა მათი ვინაობა, მაგრამ არც ამას დაუტოვებია იმათზე დიდი შთაბეჭდილება. მხოლოდ ფართო მაგიდასთან უცხოელებთან მჯდომმა ერთმა სერთუკოსანმა ცოტაზე წამოიწია და სათნოდ თავი დაუკრა მღვდელსა და ევტიხის. ისინიც მორჩილებით, ხელჩამოურთმევლად მიჯდნენ მოშორებით დარბაზის ერთერთ კუთხეში.

ევტიხიმ მაშინვე იკითხა იმ სერთუკოსანის ვინაობა, რომელმაც მათ თავი დაუკრა.

გუტატიმ უპასუხა:

— როგორ? არ იცნობ? ეს ვამეხია.

— ვამეხი? კატორღელი?

/ — ჰო, იყო კატორღაშიც, მაგრამ ჩვენში მაინც მიჩნეული კაცია.

— ეგ ვიცი. ბევრი კარგი გამიგონია. მხოლოდ აქამდე არ მინახავს.

— გაეცან, საინტერესო კაცია, — უპასუხა გუტატიმ და დარბაზიდან გავიდა. თან შორიდან ანიშნა ლევარსის და ისიც თან გაიყოლია.

ევტიხი მიაჩერდა ვამეხს.

არ ჰგავდა გვირგვილიანებს, თუმცა ევტიხიმ იცოდა, რომ ვამეხი მათი მკვიდრი ძმა იყო. ვამეხის მთელს აღნაგობას ევროპული იერი ჰქონდა, მხოლოდ თვალ-წარბში იპოვნიდით მსგავსებას. ვამეხის თვალ-წარბიც გვირგვილიანების საგვარეულო განთქმული თვალწარბი იყო: უპეებში ცოტა განზიდული, მაგრამ კარგა ფართო და მრგვალი, არც ძალიან წინ წამოსული და არც ცხვირის არეებში ღრმად შევარდნილი. პირისახესთან სათანადო დონეზე მდგარი, მხოლოდ ამ თვალების ფერი იყო იშვიათი. თითქოს მათი სოფლის ანკარა მდინარე ტეხურის ფერს მოგაგონებდათ — სისვი, ზოგჯერ ლაჟვარდოვანი იერი რომ დაჰკრავს. ასეთი თვალები ჰქონდათ ვამეხის ძმებსაც — ბარამს, ბეგის და სხვა მათ ბიძაშვილებს. ეს თითქოს მარდლა საგვარეულო თვალები იყო. ამას დაუმატეთ წარბებიც, მართლა მშვილდურად მოზიდული; არცთუ ძალიან ხშირი და სქელი და არც ძაფივით წვრილი, თითქოს განგებ ჩამოქნილი.

ასეთი თვალებით ცხოვრობდნენ, საერთოდ, გვირგვილიანები. ამ თვალებით უყვარდათ, ამ თვალებით მრისხანებდნენ, ამ თვალებით ხიბლავდნენ სხვებსაც, ამ თვალებით გადმოიტანეს დიდი ტვირთი მათი გვარის მშფოთვარე, ხანგრძლივი ცხოვრებისა. ამ თვალებს გვირგვილიანები ბევრჯერ განსაცდელისაგანაც დაუხსნიათ.

ვამეხი კი ერთ დროს თვალებმა ვერ გადაარჩინეს განსაცდელს: ალექსანდრე II დროს მას 20 წლის კატორღა მიესაჯა და მხოლოდ ნიკოლოზ II ხანაში დაბრუნდა საშობლოში, დაბრუნდა როგორც ღირსებაახდილი და მამულჩამორთმეული ადამიანი.

ეს იცოდა ევტიხიმ, და აი, შესცქერის ამ თითქმის კაზონგარეშე მდგარ კაცს. მაინც როგორ დიდი ღირსებით უჭირავს

თავი. სანეზე უკვე ეტყობა ერთგვარი სევდის თუ წუთისოფლის უმადურობის კვალი, მაგრამ ისიც ეტყობა, რომ იგი ტანჯვას ვერ მოუტეხნია. სხეულებრივადაც ემჩნევა ჯანსაღი არის: კარგა ჩასხმული, ტანმკვრივი კაცი, მოკლე, კოხტად შეკრეჭილი შავი წვერ-ულვაში მის დაუბერებლობას ამჟღავნებს, მხოლოდ თმა აქვს შეთეთრებული, მაგრამ ეს გარემოება კიდევ უფრო მიმზიდველ ადამიანად აჩენს. მთელი მისი პირისახე და სხეულიც მიუკარებლობის მეტყველია. აცვია შავი, მოძველებული, მაგრამ სუფთად დაცული, მტკიცე კამგარის სერთუკი, რომლის ღილები შეკრული აქვს.

ეს არ გაჰკვირვებია ევტიხის.

ხუმრობაა 20 წელიწადს კატორღაში ყოფნა! იქ გულჩათხრობილობასაც შეეჩვეოდა. მაგრამ საკვირველია, რომ არ დავარდნილა და თავის ფარეზობაც არ უკუუგდია. აგერ, როგორი გაქათქათებული თეთრი საყელო გამოუჩანს შავ წვერქვეშ და პერანგის სახელოებიც როგორ საუცხოოდ აქვს გახამებული. ეტყობა ფაქიზი კაცია. მაგრამ ვინ უვლის? მგონი ცოლ-შვილი არა ჰყავს. რითი ცხოვრობს?!

ყველა ამ კითხვამ უეცრად გაუბრწინა ევტიხის, და ხმადაბლა მიმართა მამა თედორეს:

— ვისთან ცხოვრობს? — ანიშნა ვამეხზე, — რითი ცხოვრობს?

მამა თედორე ამ კითხვებზე გამოცოცხლდა და თავისებურად გრძლად მოუყვა:

— ო-ო, უცნაური კაცია! დაბრუნდა თუ არა, კნეინა ნექტარინამ და მისმა ძმებმაც შესთავაზეს სათითაოდ, ვისთანაც მოისურვებდა, იმასთან ეცხოვრა, თან მისი მამულის წილის შემოსავლის გაზიარებაც დაჰპირდნენ, მაგრამ არ ინება და ამითი ცოტა აწყენინა კნეინა ნექტარინას. ახლაც ერთმანეთში, მაინცდამაინც, კარგად ვერ არიან, მხოლოდ ამჟამად თუ აქ არის, უთუოდ იმიტომ, რომ უცხოელები არიან სტუმრად და, როგორც თავისიანსა და განათლებულ კაცს, დაუძახეს. დიდი ნასწავლი კაცი ყოფილა. თავის დროზე ნიკო ნიკოლაძის, აკაკი წერეთლის ნაამხანაგარია თურმე, ხომ იცი?

— რას ლაპარაკობ! მართლა?

— ასე ამბობენ. თავის დროზე მაგას ოდიშში ჰკუით და ნასწავლობით ვერავინ სჯობნიდა თურმე.

— არა, ეს ვიცი, რომ ამ სოფელში ჭკუის საკეთხავ კაცად გყავთ...

— ამ სოფელშიო? სოფელში კი არა, მთელს ჩვენს მაზრაში, არაფერი ისეთი საზოგადო საქმე არ გაკეთდება, რომლის შესახებ მაგას არ შეეკითხონ, ჩვენი სოფელი ხომ, თუ ვინმეს რამე უჭირს, — სასამართლოს საქმეა ეს თუ რაიმე პასოფლო — გზის გაყვანა, სკოლის აშენება, მამასახლისის არჩევა და სხვა ამგვარები, სულ მაგას ემუდარებიან: ერთი სწორ გზაზე დაგვაყენეო.

— ჰოო, ახლა კი მივხვდი რითიც ცხოვრობს. ადვოკატობს უთუოდ და, რასაკვირველია, კარგი შემოსავალიც ექნება.

— არა, შენ წარმოიდგინე, სასამართლოში არ გამოდის...

— ჰა, ჰა! სასამართლოში რომ გამოდიოდეს, ხომ მეც მეცოდინებოდა, იქ არა ვარ? — გაეცინა ევტიხის, — მაგრამ ამის უფლება, როგორც ღირსებაახდილ ადამიანს, მაგას არა აქვს. უთუოდ აზრებს და სხვადასხვა ქაღალდს უწერს სოფლელებს და ამით ირჩენს თავს...

— არა, ბატონო ევტიხი. ეგ არავის არაფერს არ უწერს, მხოლოდ რჩევა-დარიგებას აძლევს, განუმარტავს რა არის სწორი და რა არის მრუდე. და მარტო სასამართლოს საქმეებში კი არა, როგორც მოგახსენე, სხვა საკითხებშიაც, მაგალითად, სოფლის მეურნეობაზედაც ესაუბრება ხალხს: ეს ჭირნახული სჯობია მოვიყვანოთ, ამასა და ამას უნდა მოჰკიდოთ ხელიო და სხვა. ამას წინათ უთქვამს, ჩაი უნდა მოვიყვანოთო.

— ჩაი?

— ჰო! ჩვენში ჩაი ვის გაუგონია? სადღაც ჩინეთში მოდის მგონი, ძაგრამ აკი გეუბნები, უცნაური კაცია-მეთქი. ამ ჩაიმ, ცოტა არ იყოს, გააცინა ხალხი, მაგრამ უნდობლად მაინც ვერ მოეპყრნენ, რადგან სხვას რასაც ამბობს, ყველაფერი გზიანია და მართალი.

— კარგი და ამ რჩევა-დარიგებაში ცოტა რამეს ხომ ართმევს ხალხს?

— რას ბრძანებ! როგორ გეკადრება! მეტად უანგარო კაცია. — ის კი არა, ღარიბ-ღატაკებს, გაჭირვებულებს, დავრდომილებს თვითონ ეხმარება კიდეც.

— საიდან?

ენაწყლიან მამა თედორეს მეტიც არ უნდოდა და დაიწყო,

დარბაზში მყოფნი ყურადღებას მაინც არ აქცევდნენ და წა-
უბრისათვის ბევრი დრო ჰქონდათ.

— მოგახსენო! ჩამოვიდა თუ არა — ეს მეორე წელიწა-
დია რაც დაბრუნდა — მექათმეობას მოჰკიდა ხელი.

— მექათმეობას?

— მისმინე. დადგა ერთი თავის ოდესღაც ნაყმევ გლეხის იოსე ხუბუნაიას ოჯახში და იქ გააჩაღა თავისი საქმიანობა. უნდა ნახო, როგორ მორთო ამ საცოდავი გლეხის ოჯახი. მის ჩამოსვლამდე იოსე — ერთი უსაწყლესი გლეხი იყო და მხოლოდ მეთევზეობით ირჩენდა თავს. ამისათვის სოფელიც მას იოსე მებადურს ეძახდა. ჩვენს სოფელში კი, მოგეხსენებათ, ორი მდინარეა: ტეხური და გურძემია. ორივე მეტად კარგი სათევზაოა. იოსეც ამით ირჩენდა თავს. თუმცა ბატონ ვამეხს მექათმეობაში იოსეც და მისი ცოლიც ეხმარებიან და აქედანაც გვარიანი შემოსავალი აქვთ, ასე რომ, ახლა იოსე საწყალი აღარ არის, მხოლოდ ისევ ის ძველი ისლით გადახურული და პიტა-ფიცრით აგებული ქოხი უდგას. ვამეხმა ერთი განსხვავება კი შეიტანა: სამხრეთის მხარეზე ერთგან სარკმელი გამოაჭრევინა და მინებიანი ფანჯარაც ჩადგა შიგ. ერთ კუთხეში კიდევ კერიის მაგივრად ასეთი რუსული ღუმელი გააკეთებინა, რომ ყველაფერში გამოხადეგია. სითბოსაც მშვენიერს იძლევა და ზედ რამდენიმე თავი კერძის გაკეთებაც შეიძლება. უდგას თავისი ხელით გაკეთებული საწერი მაგიდა და ლამაზი ხის ლოგინი. განჯინა სულ წიგნებით აქვს გამოტენილი და გაზეთებიც მოსდის. ამ არემარეში ის თითქმის ერთადერთი კაცია, რომელიც გაზეთს ღებულობს. კვირაში ერთხელ, საღამოობით, ან თვითონ მასთან, ან წისქვილში, სადაც ხშირად უყვარს სიარული და იქ თავმოყრილ გლეხებთან საუბარი, გვიკითხავს გაზეთს სოფლელებს, მეც დავდივარ ხოლმე მოცლილობისას და გვაცნობს ქვეყნის ამბებს. ყველაფერი გამოუდის ხელიდან: დურგალიც არის, ზეინკალიც, ჩვენს სამჭედლოში ზოგჯერ ისეთ ბასრ თოხს ან ნაჯახს გამოაწრთობს, რომ შენი მოწონებული. უსაქმოდ გაჩერებულს ვერასოდეს ვერ ნახავ: ან წიგნებს კითხულობს, ან წერს, ან ბაღჩაშია. სხვადასხვა ბოსტნეულს უვლის და მოჰყავს. შარშან ისეთი ნესვები და კვახები გადმოაგორა, რომ თითო კვახი ორ ფუთს მაინც იწონიდა, საიდანღაც საუცხოო თესლები გამოიწერა, მიწა ძალიან ღრმად

გადააბრუნა, მოანაკელა, შემდეგ თოწით კვლებიდ ზედაპირი სულ ფქვილად აქცია, მერმე მწკრივად, თან შორიშორ დათესა ყოველგვარი ბოსტნეულის თესლი და ასე ჩამორაზმა. მორწყა კიდეც ეზოში ამოთხრილი ჭის წყლით. ახლა ზოგიერთმა მეზობელმაც წაბაძა და ერთ-ორს მართლა რომ მშვენიერი ბოსტანი აქვს. იმასავით ჯერ კიდევ ვერ უვლიან, მაგრამ მისივე რჩევითა და დარიგებით უსათუოდ დაეწევიან.

— საინტერესო კაცი ყოფილა, — ჩაურთო ევტიხიმ.

— როგორ გეკადრება! პირდაპირ ხვითო კაცია, ხვითო. ქათმებზე მოგახსენებდი. შარშან დაიწყო მათი მოშენება. რა და რა ჯიშის არა ჰყავს, საზღვარგარეთიდანაც კი გამოიწერა. ახლა კიდევ რაღაც ყუთი მოატანინა და ლამპის შემწეობით წიწილებს აჩეკინებს. კვერცხებიდან კი დიდი შემოსავალი აქვს. დაესიენ ბანძელი ებრაელები, მაგრამ კვერცხი იმათ არ მიჰყიდა. პირდაპირ თბილისში აგზავნის და იქ ასაღებს. სოფლელებს ეუბნება — სადღაც ევროპაში არსებობს ერთი პატარა სახელმწიფო, რომელიც თითქმის ქათმის კვერცხის შემოსავლით ცხოვრობსო. ახლა უნდა მაზრაში საზოგადოებაც დააარსოს, რის შესახებ პირველად თავის ძმებს და რძალს მიმართა, მაგრამ იმათ შორს დაიჭირეს თურმე — მეკვერცხე გვირგვილიანები არავის გაუგონია, ნეტავი შენც თავს არ გვჭრიდე მაგ შენი მექათმეობითო.

და გააგრძელა და გააგრძელა მამა თედორემ ვამეხის დახასიათება.

ამასობაში ინჟინერმა ვოლკოვმა, ეტყობოდა, ცოტა არ იყოს გაანაწყენა ქალიშვილები, თავისი ანეგდოტები მეტად მდაბალ ხარისხის ამბებზე ჩამოიტანა და ბოლოს ერთი უხეში ანეგდოტი უამბო.

— რიაბინინამ ზიზღით შეხედა ინჟინერს და თან მკვახედ მიმართა:

— უზრდელი ყოფილხართ, ქალებთან თავის დაჭერა არა გცოდნიათ! — და მრგვალ მაგიდას მიაშურა.

დაგმარა კი სახტად დარჩა: კარგად ვერ გაიგო ანეგდოტის შინაარსი და თან თავისი მეგობარი ქალის წყენაც გაუკვირდა, გრძნობდა კი, რომ რაღაც უხერხულობა შეიქმნა. მაგრამ ვოლკოვმა ამის გამორკვევა არ აცალა და ჩაილაპარაკა:

— მეც სწორედ ეგ მინდოდა. კარგი ინება, რომ გაგვეცა-

ლა, — თქვა და თვალით ანიშნა რიაბინინას ქალზე. — მომიტევეთ და, მეტიჩარა ვინმე ყოფილა. ახლა კარგია მარტო დავრჩით და შემიძლია რაც მინდა გითხრათ.

დაგმარა კიდევ უფრო გაცბუნდა. მან თითქოს უნებლიეთ წარმოთქვა:

— რა გაქვთ ჩემთან სათქმელი?

მაგრამ ვოლკოვს არ დასცალდა ეთქვა სათქმელი. ბარონესამ დაუძახა დაგმარას და ლმობიერად დატუქსა. ფუთუოდ რიაბინინამ მოასწრო ორი სიტყვით გადაეცა ვოლკოვის უხეშობა.

უკმაყოფილო ვოლკოვი მაგიდასთან მივიდა და ვამეხის სკამის ზურგს მოურიდებლად ჩამოეყრდნო.

ვამეხმა უკმაყოფილოდ შეხედა, მაგრამ არაფერი არ უთხრა და დაწყებული საუბარი განაგრძო.

უცხოელები ეტყობოდათ, უფრო ზრდილობის გამო უგდებდნენ ყურს. რიაბინინა კი მაშინვე სმენად იქცა. ჯერ ერთი, ვამეხს მშვენიერი ბარიტონი ჰქონდა, მოლუღუნე, თანაგრძნობის გამომწვევი. პირველად ამან მიიპყრო რიაბინინას ყურადღება და შემდეგ ვამეხის ნალაპარაკევის შინაარსმაც.

ვამეხი ამბობდა:

— თქვენ ძალიან კარგი გინებებიათ, რომ ჩვენი ქვეყნისათვის მიგიქცევიათ ყურადღება. ამ დიდებულ მთებს სწორედ სჭირდება ოსტატის ხელი, რომ მათი გული ფართოდ გააღოს და მისი საგანძურის სასარგებლო სიუხვე მოფინოს კაცობრიობას.

— კაცობრიობას? — დაცინვით ჩაურთო ვოლკოვმა.

— დიახ, კაცობრიობას, რადგანაც ჩვენში არის ისეთი განძიც, ისეთი მადნეულიც, რომელიც მსოფლიო ბაზარზე პირველობას მოიპოვებს.

ვოლკოვმა ირონიულად ჩაიქირქილა.

ვამეხმა ერთი ალმაცერად ახედა ზურგს უკან და ასე მოახსენა:

— მე მართალს მოგახსენებთ. თქვენ იქნებ გგონიათ, რომ საქართველოს მარგანეცის მეტი არაფერი გააჩნია, მაგრამ, გარწმუნებთ, რომ ჩვენში უხვად არის გაბნეული თუთია, რკინა, სპილენძი, ნახშირი, მოლიბდენი, ოქრო და სხვა ძვირფასი მადნეული. სამკურნალო წყლებზე ხომ ლაპარაკიც მეტია.

ჩვენი ქვეყნის თითქმის ყოველ კუთხეში უსათუოდ არის თი-თო-ოროლა მეტად მარგებელი სამკურნალო წყალი, მაგრამ თითქმის ყველა ეს გამოუყენებელია და მიუკვლეველი...

— აგრეც იქნება. — არ ითმენდა ვოლკოვი. თითქოს რა-აღაც ეშმაკი შეუჯდაო, გულით უნდოდა რაიმე საწინააღმდეგო ეთქვა ვამეხისათვის. მას თითქოს სწყინდა, რომ აქ, კავკასიის გადაკარგულს, მიყრუებულს სოფელში წააწყდა ევროპულად განსწავლულ კაცს და პირველი გაცნობისთანავე აიძულის-წუნა. ეს მაშინვე შეაძჩნია რიაბინინამ და დიდი ზრდილობით მიუთითა, რომ საერთოდ მორიდებული ყოფილიყო ყველას-თან. მაგრამ ვოლკოვი მაინც თავს ველარ იჭერდა და თითქოსს სწორედ რიაბინინას გასალიზიანებლად განაგრძობდა:

— მაგასვე გვიმტკიცებდა ფოთში იქაური ქალაქისთავი, ბატონი ნიკოლაძე, მაგრამ, განა ამ ქვეყანაში შეიძლება სხვა-აგვარად იყოს საქმე?

ეს სიტყვები გაიგონა ევტიხიმ, ფეხზე წამოდგა და მაგი-დას მიუახლოვდა.

ბარონესას კი წამოსცდა:

— ოი, ოი, ოი. აბა რეებს ამბობთ, ყმაწვილო კაცო?

ვოლკოვმა საპასუხოდ პირი დაალო თუ არა, რიაბინინამ ერთი საყვედურით შეხედა, თან თითქოს ემუდარებოდა, სხვაგა კიდევ უფრო უხეში რამ არ დაეყოლებინა, მაგრამ ვოლკოვ-მა თვითონაც ასე გადაუხვია:

— ბატონი ნიკოლაძე კი მომეწონა. მე მგონია, ეგ ერთად-ერთი კაცი გყავთ ქართველებს...

ვამეხი მიხვდა, რომ ეს გადაკრული სიტყვები მასაც შეეხე-ბოდა, მაგრამ წარბიც არ შეუხრია, ისე უპასუხა:

— თქვენ, რალა თქმა უნდა, ერთი ჩვენი დიდებული პი-როვნებათაგანი გაგიცვნიათ და ღირსეულადაც აფასებთ. ესეც კარგია, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ საქართველოში, ჩვენდა საბედნიეროდ, ის ერთი არ არის. ჩვენ გვყავს კიდევ დიდი დიდა საამაყო პიროვნებები. ესენი არიან ჩვენი მწერლები და საზო-გადო მოღვაწენი. მაგალითად, თუნდაც აკაკი წერეთელი დავ-ითი ჭავჭავაძე, ორივე დიდად განსწავლულნი, დიდი დიაპა-ზონისა და უნარის ადამიანებია.

ამჟამად უკვე ყველანი ყურადღებით უსმენდნენ ვამეხს, თედორე მღვდლის გარდა. ის მაინც მიღმა იჯდა და აშკარად

ეტტყობოდა, რომ თვლემდა კიდეც. ასეთი ჩვეულება ჰქონდა: თუკი მას პირადად არ აინტერესებდა ნალაპარაკევი ან ფაქიზი, მაშინვე ძილი მოეკიდებოდა.

უცხოელები კი გარინდულნი იყვნენ. ცოტა არ იყოს, მათ აკვირვებდათ ვამეხის მომზადება, საუბარში ევროპული ტერმინების ხმარება და თითქოს მისდამი მოკრძალებით იმსჭვალებოდნენ, მაგრამ ვოლკოვისა და ვამეხის უკანასკნელ დიალოგში მაინც არ ერეოდნენ, თითქოს ნეიტრალიტეტს იცავდნენ. მხოლოდ ბელგიელი არწმუნებდა ვოლკოვს, რომ ისინი აქ საქმისათვის იყვნენ ჩამოსულნი და არა საპაექროდ და სალაპარაკოდ. ან რა მათი საქმეა საქართველოზე ლაპარაკი, ვინ ეკითხება?! თავიც უტეხიათ, როგორც უნდათ, ისე წარმოიდგინონ თავისი თავი. მით უფრო, მათ დიპლომატიური მისია ხომ არა აქვთ დავალებული, სავაჭროდ არიან მოსულნი და დაჭამოკიდებულება არ უნდა წაახდინონ, თუნდაც ნიჭიერი ინჟინრის შეხედულების გამო, — თავი მოუქონა ვოლკოვს ბელგიელმა.

უცხოელებმა გასწიეს ქალებისაკენ.

იქ მარინა ეხვეწებოდა ბარონესას — რაიმე დაუკარი, რომ ეს უცხოელები გავამხიარულოთ და ვაცეკვოთო.

ბარონესა უარზე იდგა: აბა მისმა მზემ, ვოლკოვი თუ არ ვახსენეთ, ისე არ დავდგებიო. მაგრამ ამ დროს მოუსწრეს უცხოელებმა და საერთო მხიარულების შესაქმნელად ბარონესასა დათანხმდა, რომ რაიმე დაეკრა.

ის მიუჯდა პიანინოს და გაისმა ვენიავსკის მაზურკის შმაგი ხმები.

ეს სწორედ ვოლკოვზე იყო ზედგამოჭრილი. ერთ დროს ოფიცრადაც ნამყოფი საერთოდ ცეკვაზე იყო გადაგებული, ინჟინრობა მხოლოდ შემდეგ შეისწავლა...

მგზნებარე პოლონურმა ხმებმა თითქოს შეაზარხოშეს და ისიც გასრიალდა ქალის გამოსაწვევად. მხოლოდ... უცხოელებს გასაკვირად დაგმარა კი არ გამოიწვია, მარინას მიადგა.

მარინა კი, მისი ბოდიშის შემდეგ, უკვე კეთილად იყო განწყობილი ვოლკოვისადმი და მოხდენილად გაჰყვა.

უცხოელებმა ერთიმეორეს გადაუჩურჩულეს თავიანთი აღტაცება ამ მწყაზარი ქალ-ვაჟის ცეკვით:

— ძალიან შვენის ეს წყვილი ერთმანეთს! ამათი ცეკვით

კიდევ უფრო გავიგე მაზურკის შინაარსი, იშვიათად დავკვირვებივარ ასე. ეს ხომ ქალ-ვაჟის მთელი პოემაა!

— მშვენიერია! — შეუბრუნა მეორემაც. — აქებენ ამათ ცეკვასაც, მგონი „ლეზგინკას“ ეძახიან. ამბობენ, კიდევ უფრო ნაზი და კდემამოსილი ცეკვააო.

— არ მინახავს.

— აქ უთუოდ ამასაც გვაჩვენებენ. აგერ კნიაზებიც მობრძანდნენ...

დარბაზში ბარამი და ბეგი შემოვიდნენ. ორივე ერთ ხანს შეჩერდა, მაგრამ ბოლოს, ეტყობა ბეგის გულმა არ მოუთმინა და დაგმარა ცეკვით გააჭროლა.

ესენიც კარგი მოცეკვავენი აღმოჩნდნენ. ბეგის ჩოხა-ახალუხმა და მაღალყელიანმა წაღებმა სულ სხვა, თითქოს რალაც ეგზოტიკური ელფერი მისცეს ცეკვას.

ვოლკოვი კი ცეკვის დროს მარინას ასე ებუტბუტებოდა:

— მაშ ბოდიშის შემდეგ მომიტევეთ ჩემი ცინიკობა?

— ძალიან კარგად მოიქმედეთ, თორემ, აბა, რას ჰგავდა! ისე იქცეოდით, როგორც ბუშმენი.

— ბუშმენი — წარმოთქვა სიცილით ვოლკოვმა და დაჩოქილმა მარდად თავს შემოივლო მარინა. ისიც კოხტად გასრიალდა.

— თქვენგან მაინც არ მოველოდი. ზრდილი კაცი ხართ. ამბობთ, რომ გვარდიაში ოფიცრადაც ხართ ნამყოფი.

კვლავ შეერთდნენ ვოლკოვი და მარინა და ერთად გაიწავარდეს ფართო დარბაზის ერთი კუთხისკენ.

მარინა მაინც არ ეშვებოდა ვოლკოვს თავისი უხუმარი შენიშვნებით. თუმცა მისი მოღიმარი, მარილიანი სახე და ვოლკოვის მხიარული გამომეტყველება შორიდან ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს ერთიმეორეს სატრფიალო გრძნობებს უზიარებენო.

მარინა ეუბნებოდა:

— მე ვიცი, წამიკითხავს, მიამბეს, რომ საქართველო წარსულში მეტად კულტურული ქვეყანა ყოფილა... უცხოეთის მწერლებს: ბერძნებს, ბიზანტიელებს, ფრანგ და იტალიელ კათოლიკე-მისიონერებს აქვთ აწერილი.

ვოლკოვმა ხმამაღლა გადაიხარხარა:

— თქვენ რა? ისტორიკოსი ხართ?

— არა, მაგრამ აქეთ რომ მოვდიოდი გავეცან ცოტაოდნად აქაურობას. თქვენც, როგორც განათლებულ კაცს, არ უნდა გიკვირდეთ, ახლანდელ დროში მაინც, რომ აქ შეხვდეთ გაევროპელებულ მეგრელს.

— კი, მაგრამ, მაგათი საქმე მაინც წასულია. თუ ჩვენში მთლად არ გაითქვიფენ, ვერ გადარჩებიან.

— ჰო, ეგ სულ სხვაა! — დაეთანხმა მარინა.

ვოლკოვმა ბეგისა და დაგმარას წყვილთან ერთად წრე გააკეთა, რომ გაერთიანებულად ეცეკვათ და შემდეგ თავიანთი ქალებიც საცეკვაოდ გაეცვალათ.

ამაზე მარინამ გადაულაპარაკა:

— ახლა კი მიაღწევთ მიზანს — დაგმარასთან იცეკვებთ!

— მე თქვენ ძალიან მომწონხართ.

— ნუ ცრუობთ! მე თქვენი რომანის გმირი არა ვარ, — საუცხოო კბილების გაკრიალებით შეჰღიმილა რიაბინინამ და თავად ბეგის ფართო ვაჟკაცურ ხელს მიანდო თავისი სათუთი, ნატიფი პატარა ხელები.

დარბაზში მყოფნი ერთ ხანს შესცქეროდნენ იქ მოფრთქიალე ახალგაზრდებს და შემდეგ ისევ ჯგუფ-ჯგუფად იწყეს ჩუმი საუბარი.

ვამეხი კვლავ უცხოელებს შეუერთდა, ბარამი — ევტიხის და მამა თედორეს.

უცხოელმა გაიკვირვა:

— ბარონესა დიდხანს უძლებს დაკვრას!

— ო-ო, ბავშვობიდანვე ჰქონდა დაკვრის ნიჭი. ეგ რომ მაღალი წრის ქალი არ ყოფილიყო და ხელმწიფის კარზე არ მოხვედრილიყო, მასწავლებლები თურმე ვირტუოზობას უქადიდნენ. მხოლოდ არ იფიქროთ, რომ მარტო საცეკვაოებს უკრავს, მაღალი ღირსების მუსიკალურ ნაწარმოებებსაც საუცხოოდ ასრულებს.

— გიყვართ მუსიკა?

ვამეხს თითქოს შერცხვაო, მაგრამ მაინც თამამად წარმოთქვა:

— ტრფიალი ვარ.

— უთუოდ უკრავთ კიდეც?

— ჰოო... — აქ კიდევ უფრო დაირცხვინა ვამეხმა, — ზოგჯერ ვაქლაუნებ.

— რა კარგი იქნება, გთხოვოთ თქვენა და ბარონესას დაუკრათ ზოგი რამ.

— რატომ, სიამოვნებით! მხოლოდ ჯერ ვაცალოთ ახალგაზრდებს მხიარულება.

— რასაკვირველია, რასაკვირველია! — დაეთანხმნენ უცხოელებიც, მხოლოდ ერთმა ცოტა ხნის შემდეგ შენიშნა:

— ძალიან კარგი ინსტრუმენტი ჰქონია კნეინა ნექტარინას, ვამეხს გაეცინა:

— თქვენ გიკვირთ, რომ აქ, სადღაც, კავკასიის მიყრუებულ კუთხეში ხვდებით ასე თუ ისე ევროპულად გაფერილ ადამიანებს, ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე „ველურებს“ და... ასეთ საუცხოო ინსტრუმენტს, არა?

უცხოელი ცოტა შეწრფა და იუარა — მე ეგ სრულებით არ მინდოდა მეთქვაო.

ვამეხმა კი აუხსნა, რომ ინსტრუმენტი ამ რამდენიმე წლის წინათ სწორედ ბარონესამ გამოუგზავნა თავის დას, რომ თუ ადგილობრივ ვერავინ შეისწავლიდა, მისი მოსვლის დროს მაინც დახვედროდა მისი სულიერი განწყობილების გამზიარებელი საკრავი და აქაც, ამ ბუნების უბრალოებაში ერთხელ კიდევ ზიარებოდა დიდებულ კომპოზიტორთა პოეტურ სიჩქუფეს, თუ გნებავთ, მათს ამაღლებულ ფილოსოფიურ აზროვნებასაც.

უცხოელებმა ერთიმეორეს შეხედეს: ვამეხმა ერთხელ კიდევ გააკვირვა, მაგრამ ამაზე არა თქვეს რა. ერთმა კი ეს შენიშნა:

— პიანინო მშვენიერი აწყობილია. ერთი სიყალბე არ ემჩნევა. თქვენ ხომ არ აწყობთ?

ვამეხს კვლავ გაეცინა:

— არა, არც ამდენად დახელოვნებული ვარ. ამაზე ჩემი რძალი, კნეინა ნექტარინა ზრუნავს მუდამ. ყოველ წლობით ქუთაისიდან... ხომ გაგიგონიათ? ჩვენი საგუბერნიო ქალაქია. იქ ასეთი ინსტრუმენტების ერთადერთი ამწყობია, სხვათა შორის, უცნაური გვარის პატრონი — ნეპოიუშჩი და ის მოჰყავს.

— ჰაა... მაგრამ, მართლა! კნეინა ნექტარინა დღეს საღილობის შემდეგ უკვე აღარ გვინახავს. ხომ არ გვიწყრება?

— როგორ გეკადრებათ? მაგრამ ძალიან საქმიანი ქალია

და ნასადილევს, ცოტა მოსვენების შემდეგ, საოჯახო საქმეებ შია გართული.

— დიდებული ქალია. შეშვენის მბრძანებლობა.

— დიახ, მტკიცე ხასიათის ქალია, — დაუდასტურა ვა მეხმა.

— მომიტევეთ და, — ჩაურთო მეორე უცხოელმაც, — ბა რონესას ახლაც სჯობია თავისი იერითა და დედოფლური მიმ ზიდველობით.

ამასობაში მაზურკა დასრულდა და მოცეკვავე ქალები კა ვალრებმა სავარძელზე ჩამოსხეს. უცხოელებმა და ბარამმ ალტაცება გამოთქვეს მაზურკის საუცხოო შესრულების გამო და ქალებს უქებდნენ სინარნარესა და მოხდენილობას. ევტი ხიმაც გაბედა და რაღაც სასიამოვნო ჩაილუღლუღა.

ბარონესამ ერთი კი გადმოხედა დარბაზში შეჯგუფებულთ შემდეგ თვალები სადღაც შორს წაუვიდა, მიუბრუნდა პიანი ნოს და თითქოს კლავიშებს პირველად სინჯავსო, რამდენიმე საამური აკორდი აიღო და ბოლოს გადავიდა ლისტის რაფსო დიაზე.

როგორც კი დაიწყო ბარონესამ მარტო დაკვრა, რაღა თქმა უნდა, რომ ყველანი, ზრდილობის გამო, სმენად იქცნენ, მაგ რამ ბევრს კი გაეგებოდა, თუ რას უკრავდა დამკვრელი?

ბეგი სულ არ იყო ასეთი მუსიკის გაგმგები და ისევ მარინას შორიახლოს შესცინცინებდა.

ბარამიც არ იყო დიდი მუსიკოსი და ყბაზე ხელმოდებული ისმენდა ბგერათა სხვადასხვაობას, თვითონ კი, ვინ იცის, რა და რა ფიქრი არ ესეოდა.

თედორე მღვდელი, უკვე გამოფხიზლებული, მიჩოჩებუ ლიყო ბარამის უკან და ჩუმად რაღეებსაც ეჩურჩულებოდა. ბარამი არცთუ ისე ხალისიანად აძლევდა პასუხს, ისიც ჩუმად და ისიც აქა-იქ.

დაგმარას თავი ჩაქინდრული ჰქონდა და თითქოს აუცილე ბელ მოვალეობას ასრულებსო, არ უსმენდა დედას, მაგრამ გარინდებული იყო.

უცხოელებიც, ერთის გარდა, ჯერ თვალებგაფართოებუ ლები უსმენდნენ — აკვირვებდათ ბარონესას ოსტატური დაკვ რა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მათ სახესაც დაეტყო გულგრი ლობა. მხოლოდ ის ერთი თითქოს უკვირდებოდა ბგერათ ნაი-

რობას, მაგრამ ეტყობოდა აწუხებდა, რომ-კარგად ვერ ერკვეოდა მათ შინაარსში.

უფრო ვამეხი და მარინა იყვნენ გატაცებული მუსიკის თხრობით, — ეს ხომ ევროპის სამოცდამეათე წლებია, ბურჟუაზიის გამარჯვება. აი, მიაღწიეს თავიანთ საქმეს, ერთი მძლავრი აკორდიც და... შეჩერდა. შემდეგ წავიდა როკვა, ცეკვა, მხიარულება თავწართმევით.

ამის გარკვევას თითქოს დასჯერდა რიაბინინა, მაგრამ ვამეხი, ეტყობა, აქ არ შეჩერდა: აგერ წამოვიდა შორეული, თითქოს ჯერ სუსტი, ნაგრამ თანდათან განმტკიცებული ხმები, თითქოს სულ სხვა სფეროდან. ეს ხომ კომუნაა, საფრანგეთის კომუნა, როგორც უკვე თანდათან ბრდღვინავს, ძალი მოიცა და, ეტყობა, მძლავრად შეეჭიდა შესაჭიდებელს. —

ვამეხი აქ აღარ იყო. ახსენდებოდა ილდას მომწოდებელი სიტყვები:

„ღმერთო, ღმერთო, ეგ ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!“

მაგრამ კომპოზიტორმა ლისტმა გადაუხვია, „ჭიდილი“ შეწყვიტა და ბოლო-მაინც ცეკვა-ხტუნვით დაასრულა.

ღრმად ამოისუნთქა ვამეხმა:

— მართალია! ლისტი სხვაფრივ ვერც მოიქცეოდა. იმ მაინცდამაინც თავისი დროის შვილი იყო, ეკუთვნოდა განსაკუთრებულ წრეს. იმასაც თავისი საუცხოო-ნიჭი ამ წრის დასაკმაყოფილებლად ჰქონდა განკუთვნილი.

„ჰმ... — გაიფიქრა ვამეხმა, — ეს რა მოისმინა ჩემმა სოფელმა, ბერთემის უბიწო ყურებმა? განა იცის თუნდა ამ ეზოში, ფერდობზე თხმელის ხეებზე ასულმა ვაზის ყლორტებმა, ან ჩვენს ყანებში, ახლა რომ სიმინდს ამოუწვერავს, მცსმა ღეროებმა, ან ჩვენმა ახწლოვანმა ცაცხვებმა, ჭადრებმა, რა ჰანგები დაირხა მის მიდაბოებზე?! ან აგერ, ნექტარინას მოსამსახურე გოგო-ბიჭები როგორ შემოდგომიან უკანა-ეივნის ფანჯრებსა და კარებს და როგორ ცაფაცურებით იხსენებენ ბათვის სრულიად უცხო და გაუგებარ მუსიკალურ ჯადოსნობას დიდი ლისტისას. ესვით რამე?“

ამ დროს სასახლის უკანა აივანზე ლევარსი-და გუტატი საიდუმლო საუბარში იყვნენ გაბმულნი.

გუტატი ლმობიერად, მაგრამ მაინც საყვედურობდა:

— ნუ ჯანჯლობ, ნუ, ლევარსი! კარგად იცი, კნეინა ნექტარინას ნაშენის ყანა რა შემოსავლიანია. შენთვის რა არის ერთი ათასი მანეთი ამ ყანის გირაოში, ნაშენი კი მაგ ფულს თავისი სარგებლით, თუ უფრო ადრე არა, ორი წლის განმავლობაში მაინც, უთუოდ აგინაზღაურებს. თუ არა და, ხომ იცი ხიზნების საქმე მოიგეს გვირგვილიანებმა, ახლა მეჟევანია მოდის და ხიზნების საცხოვრებელი საბოლოოდ გადმოვა კნეინას ხელშიაც. აქედან კიდევ უფრო ადრე შეუძლია ქალბატონს შენგან ნასესხები ფული გადაიხადოს. ნუ ხარ ჯანჯალი კაცი, ლევარსი!

— მე არ ვჯანჯლობ, — წარმოთქვა ლევარსიმ და უნდოდა განეგრძო, მაგრამ გუტატიმ საჭიროდ დაინახა, ერთი რამ კიდევ ეთქვა ლევარსის დასარწმუნებლად:

— შენ კარგად იცი, ქალბატონს შეუძლია ნაშენის ყანა კი არა, მთელი თავისი მამული ბანკშიაც დააგირაოს. ერთხელ ჰქონდა კიდეც ასეთი აზრი, მაგრამ ვერ გადაწყვიტა, რადგან ხედავს, თუ როგორ შემოეხარჯათ ჩვენს თავადებს ბანკიდან ნასესხი ფული და შემდეგ დარჩენ ცარიელ-ტარიელი. ეს იმიტომ, რომ თავის დროზე სარგებელიც კი ვერ შეიტანეს. მართალია, კნეინას ასე არ მოუვა, კარგად იცი, რა თავიანი ქალიც არის, მაგრამ...

— რად მელაპარაკები ყველა მაგეებს, ჯოთომ კნეინა ნექტარინას უჩემოდაც შეუძლია ფული იშოვოს, არა? რასაკვირველია, მაგრამ მე კარგად ვიცი, რომ კნეინას ეს ფული ახლა, სახელდახელოდ ესაჭიროება! აღდგომის დღესასწაულები კარზეა მომდგარი, მეტად საჭირო და საპატიო სტუმრები ჰყავს. ბანკში დაგირავებას ახლა ვერც კი მოასწრებს, მაგას დროც უნდა და წინასწარი ხარჯიც. ეს ყველაფერი ვიცი.

— ჰოდა, აგაშენოს, — კვლავ შეეწინააღმდეგა გუტატი, — შენ შეგიძლია ახლა ხელი მოგვიმართო, ჩვენც გირაოდ საუკეთესო ადგილს გაძლევთ. სხვა რა გინდა? ჯიბეზე ათასი მანეთი კი არა, მეტიც გექნება, მე ვიცი შენი ამბავი. თუ არა და გავაგ-

ზავნით კაცს ფოთში და მოვატანინებთ. ეს არ გვაბრკოლებს. ამას გარდა, აკი რამდენჯერ თქვი, რომ ქალბატონის დიდი პატივისცემაცა გაქვს.

— ნამდვილია! — შეუვალად წარმოთქვა ლევარსიმ. — კნეინა ნექტარინას ბავშვობიდან პატივსა ვცემ. შეძლებით, ჭკუითა და გარეგნობით შემკული ასეთი კნეინა ამ სოფელში კი არა, მთელ ამ არემარეზე არ მოიპოვება, მაგრამ...

— რაღა მაგრამ, კაცო! რა გადაუწყვეტელი ყოფილხარ. „ჩიხოტკა! ნუ გამიჩინე,—ჩიხოტკა კი იმიტომ წარმოთქვა, რომ, მისი ფიქრით, ასეთი დასახელება უფრო აძლიერებდა ამ სენის საშინელებას. ამას გარდა, ეს სიტყვა მეტად გავრცელებულიც იყო. ზოგმა არც კი იცოდა, რომ ჩიხოტკა ჭლექი იყო.

ლევარსის გაეცინა:

— რას დაგაკლებს, ვეშაპივით კაცი ხარ, მაგრამ რაც მაბარკოლებს, ის რომ ვთქვა, შენ მაინც ვერ გეტყვი, ვერა.

— რა არის ვითომ ამისთანა უთქმელი?

— მაგას მხოლოდ კნეინას თუ ვეტყვი.

— ოჰო, შენ, ჩემო ლევარსი, მზაკვრული რაღაც გიძევს გულში, — ცოტა შეშფოთებით წარმოთქვა გუტატიმ, — მხოლოდ რაც შენ განგიზრახავს, ტყუილი იმედია, შენ კი არაა, პრინციც რომ მოვიდეს, ანგლიცკი პრინციც... ჰა, ჰა! მშრალზე დარჩება.

— აჰ, არა, ღმერთმა დამიფაროს, — სრულიად გულწრფელად წარმოთქვა ლევარსიმ. — ეს რა გიფიქრია! — ეჭ კი თავისი სახე გუტატის ყურთან მიიტანა და ჩასჩურჩულა: — შენ მაინც ამაში ვინ შეგეცილება.

გუტატი შეიძრა, თავი მოიშორა და თითქოს ხუმრობით თუ წყენით ასე მიაყოლა:

— გადი, შე წუპაკო, დამეკარგე! რეებს ლაპარაკობ, მეორედ აღარ გამიბედო!

გუტატის თავისი თავი რაინდ კაცად მიაჩნდა და საერთოდ, როდესაც ასე პირდაპირ კი არა, გადაკრულადაც რომ უხსენებდნენ მის დამოკიდებულებას კნეინასადმი, შეიძლება გულში უხაროდა, მაგრამ ძალიან შორს კი იჭერდა და ზოგიერთივით არასოდეს თავს არ იქებდა.

ცოტა უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მაგრამ რაკი ლევარსის გარკვეულად არ უპასუხია, ფულის შოვნის საჭიროება კი

დიდი იყო ხექტარიხას ოჯახისათვის. გუტატიმ კიდევ სცადა ლევარსისაგან ნამდვილი პასუხი მიეღო.

— აბა რას იტყვი საბოლოოდ? გირაოდ გეძლევა ნაშენის ყანა ორი წლის ვადით. შენ გვაძლევ ათას მანეთს თავისი სარგებლით.

— ჰმ... სარგებლით კი არა, — წამოსცდა ლევარსის, — ვინ გგონივარ მე? თქვენი მევახშე ბანძღი კი არა ვარ.

— მაშ როგორ? — მაინც შეუბრუნა გუტატიმ, — ვაჭარ კაცს სარგებელი არ გინდა?

— მევახშეობით არც მიცხოვრია და არც ვიცხოვრებ. ფულის გაბესხება არ არის ჩემი ხელობა. ჩარჩი არასდეს არ ვყოფილვარ. მე ერთი ფოდრაჩიკი კაცი ვარ და ევროპული მრეწველობის მიმდევარი.

გუტატის კარგად არ ესმოდა ლევარსის „მრეწველური“ მიდრეკილებანი და, ცოტა არ იყოს, აკვირვებდა მისი უანგარობა, მაგრამ მაინც გულდასმით ყურს უგდებდა, ლევარსი კი განაგრძობდა:

— მე თუ ფულს მივართმევ კნეინას, სესხად კი არა და არცთუ მარტო ერთ ათას მანეთს, არამედ ბევრად მეტს, მხოლოდ ჩემი პირობა სულ სხვა იქნება.

გუტატის ახლა სრულიად არაფერი გაეგებოდა, მაგრამ მაინც მიმართა:

— ჰოდა, ამოშაქრე ეგ შენი პირობა.

— მაგას მხოლოდ კნეინას მოვახსენებ. შენ მხოლოდ შემიყვანე ერთი კნეინასთან.

— არაფერსაც არ შევიყვან, — ცოტა გახელდა გუტატი, — თუ ის გინდა, რასაც ვფიქრობდი, იცოდე, თვითონ კნეინას ბრძანებით, აქედან სულ კინწის კვრით გაგისტუმრებ, არ მივხედავთ იმას, რომ შენ ეს საჭირო ხალხი მოგვიყვანე და ამისთვის პატივისცემის და მადლობის ღირსი ხარ. მხოლოდ თუკი საქმიანი რამ პირობა გაქვს, მაშინ კარგად დაიხსომე: კნეინა უჩემოდ არაფერს საქმეს არ გააკეთებს.

— მაშ არ შემიყვან?

— არა.

— უშენოთაც ვიხელთებ დროს და მოვახსენებ ჩემს გულისნადებს.

— გეუბნები: თუ რამ საქმიანი წინადადებაა, აუცილებლად კნეინა შემეკითხება.

— ნამდვილად?

— ვითომ არ იცი.

— რაც მე მინდა მოვახსენო ის ისეთი საკითხია, რომ შეეხება მხოლოდ თვით კნეინას და კიდევ ერთს ვისმე. მე თუ შენ არ გეუბნები და არც სხვას ეს იმიტომ, რომ ეს ამბავი არ მინდა დრომდე გახმიანდეს. რადგან შეიძლება უარი მივიღო. უხერხულ მდგომარეობაში კი არ მინდა თავი ჩავიყენო.

— მართალია, ისე ახლო ვერ მიცნობ, ლევარსი, მაგრამ ესეც უნდა იცოდე, რომ ჩემთან საიდუმლოს განდობა შეიძლება. ეგ კი არა, რამდენი რამ საიდუმლო ვიცი მე გვირგვილიანებისა, მთელი სოფლისაც. პირიქით, პირველად მე გამანდობენ ხოლმე საიდუმლოებას, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ მათი საიდუმლო ჩემთან დარჩება და არ გავცემ. მერწმუნე, შენც თუ რაიმე ასეთი საიდუმლო გაქვს და ისიც კნეინასთან, მე აქ ძალიან გამოგადგები.

აივანზე ბნელოდა, მაგრამ ერთ-ერთი უკანა ოთახის სინათლე აქაც გამოდიოდა და ლევარსისა და გუტატის ნაკვთებს ოდნავ ანათებდა.

ამ სუსტ სინათლეზე მოინდომა ლევარსიმ გუტატის სახის დანახვა. სახე სინათლის შუქისაკენ მიუბრუნა და ისე ჩახედა თითქოს დახელოვნებული ფსიქოლოგი ყოფილიყოს და შეძლებოდეს აღწმიანის სახეზე მისი შინაარსის ამოკითხვა.

ეტყობა, ამ ჩახედვამ დააჯერა და უთხრა:

— გეტყვი. მე მინდა კნეინას თოლისქვამი ვთხოვო ცოლად.

ამას გუტატი სრულიად არ მოელოდა და ცოტა ხნის შემდეგ უეცრად გულიანად გადიხარხარა.

— რა იყო? რა გაცინებს? — წყენით მიმართა ლევარსიმ, — რა არის აქ სასაცილო? ვითომ ის, რომ მე გვირგვილიანების ნაყმევი ვარ და ერთ დროს ბარამის ფარდში ვიყავ მოქცეული?

გუტატი მაშინვე მიხვდა, რომ ლევარსისთან ამ დროს ასეთი დაუფარავი სიცილი არ იყო მართებული და ეწყო თავის შეკავება. მაგრამ მაინც მეტი ვერაფერი თქვა სიცილმოყოლებით:

— არა... ჰო...

— ძალიან კარგი სამოყვრო კაცი ვიქნები, — იწყო მტკიცება ლევარსიმ. — აბა შენ გასინჯე, თუ კნეინას თავისი შვილობილისათვის სიკეთე უნდა, უკეთეს ქმარს ვერ უშოვნის ხომ იცი, რომ ჩიტის რძეს არ დავაკლებ და კნეინას კიდევ დედოფლურად ვაცხოვრებ.

გუტატი არ იყო პრაქტიკულ ჭკუას მოკლებული და ლევარსის მტკიცება მოეწონა. დაეთანხმა კიდეც. გაიფიქრა: „მართლაც და ვის უნდა მიათხოვოს ნექტარინამ თოლისქვამი? ვინმე ჩვენებურ კნიაზს, ღარიბს, გაღატაკებულს, რადგან არამცთუ მდიდარი, ცოტაოდნად შეძლებული თავადებიც კი აღარ მოიძებნებიან ჩვენს მაზრაში. ძალიან იშვიათად. მერედა რა იქნება? ჩამოესიძება ამ ოჯახს და ის შემოსავალი, რასაც ჩვენ დიდი გამოზოგვით და მომჭირნეობით წლობით ვხარჯავთ, მან შეიძლება რამდენიმე თვეში შთანთქას. განა არ ვიცი ჩვენებურების ამბავი: კარგი ცხენი, ჩოხა-ახალუხი, ჯარიანობა, წვეულება, ლოთობა, ღრეობა, ბანქოს თამაში, აი სად წავა მთელი მონაგარი, შეიძლება მთელი მამულიც დააგირაოს ბანკში, ან წვრილ-წვრილად ჰყიდოს ოხრის ფასად. დაბოლოს დარჩება პირში ჩალაგამოვლებული, მიუსაფარი და ლუკმა-პურის მონატრული. და განა მარტო თვითონ! მთელი მისი ოჯახი, თვით კნეინა ნექტარინაც. ისინი ლევარსის როგორ შეედრებიან! ლევარსი არამცთუ გაფლანგავს, შეიძენს კიდეც და მეფურად აცხოვრებს ამ სასახელო ოჯახს. მე? მეც მშვენიერი მდგომარეობა. შემექმნება ასეთი კაცის მეგობრობით, ამას რა აჯობებს? მაგრამ კნეინა? კნეინა უთუოდ გაჯიუტდება. მართალია, მთა და ბარი თითქმის გასწორდა, განსაკუთრებით ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ — და ახლა ვისაც შეძლება და ფული აქვს, ის არის თავადიც და ცხოვრების პატრონიც, მაგრამ კნეინა მაინც თავისებურად აზროვნებს და კნეინობას კიდევ არ იშლის. მათს ნაყმევს მაინც არას გზით არ მიათხოვებს თავის შვილობილს, ო-ო, რა ძნელი საქმეა კნეინას დაჯერება. მერე კიდევ თოლისქვამი თავის ბაზლისწულს, ტაიას, უნდა შერთოს. ტაია საცაა ჩამოვა ჭუთაისიდან. ახლა გიმნაზიიდან საბოლოოდ ითხოვეს მოწაფეებს. კნეინა გულით მოელის, ყოველი მხრივ ხელს უწყობს ტაიას, რომ თოლისქვამს დაუახლოვდეს, შეიყვაროს და... მერმე, რაცა ერთი წლის შემ-

დეგ ტაია გიმნაზიას დაასრულებს, შერთოს კიდეც მისი გაზრდილი. თოლისქვამს კი, დიდი ხანია, ვიცი, სულით და გულით უყვარს ტაია... თუმცა... ჰმ...

გულში გაეცინა გუტატის: „ქალიშვილი ქალის სიყვარულის რა მცოდნია! მაგას ვინ შეეკითხება? მთავარი თვითონ კნეინაა, მისი დაყოლიება“.

ამან ყველაფერმა ელვის სისწრაფით გაუელვა თავში გუტატის და შემდეგ, თითქოს რაღაც გადაწყვიტაო, ასე მიმართა ლევარსის:

— კარგი. მენდე, რომ შენი საიდუმლო ჩემთან დარჩება. მხოლოდ კნეინასთან ცალკე მოლაპარაკებას მაინც არ გირჩევ. ეგ საქმე ისევ მე მომანდე. ჯერ მე მოვახსენებ, შევამზადებ და შემდეგ...

— შემდეგ ვნახოთ?

— არა, არა, შენ ფული მაინც გვასესხე. სულ ერთია, ასევა თუ ისე, ჩვენთან არ დაგეკარგება. შენი საქმის კი მე ვიცი. მერწმუნე, ასე სჯობია.

ლევარსი დიდხანს არ დაფიქრებულა, მხოლოდ ჰკითხა:

— ფული ახლა არის ხაჭირო?

— ვითომ არ იცი. აკი თვითონ შენ თქვი: აღდგომის დღესასწაულები, სტუმრები.

— კარგი, კარგი. შენ კარგად მიხვდი. მე ფულები ცოტა მეტი წამოვიღე, რადგან ვინც ჩამოვიყვანე, მათ ხარჯი ხომ უნდა, მისვლა-მოსვლა, ადგილების დათვალიერება და სხვა. მე ეს ყველაფერი თვითონ ვიკისრე და ამითი მივიზიდე, თორემ ესენი კახეთისაკენ მიდიოდნენ. მოგართმევ ფულს. ათასი მანეთი, არა?

— დიახ.

— მაშ სინათლეზე შემიყვანე სადმე.

— კარგი, აგერ შევიდეთ, — უთხრა და ერთ პატარა უკანა ოთახში შეუძღვა. ეს ნექტარინას ერთგული გამდელის, ძილხანის, ოთახი იყო და ამჟამად აქ არავინ იმყოფებოდა. როდესაც ერთ უბრალო მაგიდას მიუსხდნენ ფულების გადასათვლელად, ლევარსიმ შეახსენა:

— აი გაძლევ, მაგრამ ახლა შენზეა ჩემი ბედი დამოკიდებული. თოლისქვამი უთუოდ უნდა გამირიგო.

— აბა, იცი რას გეტყვი? — უპასუხა გუტატიმ სრულის

ეკლესიის კალთაში. — დასაფიქრი ის იაქვს: ამის გაკეთება კარგა ძნელი საქმეა, მხოლოდ თუ გავაკეთე...

ლევარსი მიხვდა.

— მაგაზე არ არის საჭირო ლაპარაკი. სიკეთით აგავსებ. ჯერჯერობით ერთ კარგ ლაფშას თავისი მოსირბილი უნაგირით და ერთ კარგ ჩოხა-საახალუხეს ამთავითვე მოგართმევ.

და ორთავენი მიაჩერდნენ წითელ თუმნიანებს, რომელთაც გადათვლის დროს სიახლის გამო ტკაცატკუცი გაჰქონდათ.

დარბაზში ბარონესას თავის კონცერტული შესრულებით კვლავ ტყვედ ჰყავდა ყველა იქ მყოფი; ვამეჯი ხომ გატაცებული იყო მომჯადოებელი ჰანგებით, ზოგიც ისევ და ისევ ზრდილობის გამო გაუნძრევლად იჯდა და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. მხოლოდ მამა თედორე, რომელიც უკვე გამოფხიზლებულრყო, ქალ-ვაჟთა წინანდელი ცეკვით და სხვა მისთვის უცნობი ხმების ბგერით მოუსვენრობას იჩენდა და ახლომყოფ ბარამ გვირგვილიანს ჩუმად თითო-ოროლა კითხვას აძლევდა. მან გაიგო ბარამისაგან, რომ სოფლად მოსული იყო ცნობა: გაზაფხულზე, ნააღდგომევს, მიწების ზომვა უნდა დაეწყო მთავრობის მიერ წარმოგზავნილ სპეციალისტს. გაიგო ისიც, რომ ამ გაზომვის შედეგად თავის მიწა-წყალს ნამდვილი მებატონე უფრო კანონიერად და უფრო საბოლოოდ დაეპატრონებოდა და ამით ბოლო მოეღებოდა დაუსრულებელ დავა-ჩივილს გლეხებსა და მებატონეებს შორის და ხიზნების საქმე ხომ თითქოს საბოლოოდ გადაწყდებოდა.

ო-ო, ეს ხიზნები!

რამდენიმე ათეული წელიწადი ტრიალებდა მათი საქმე სასამართლოების სხვადასხვა ინსტანციაში და ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი. არც ხიზნებისათვის და არც მებატონეებისათვის არ იყო ეს საკითხი გამორკვეული და მამა თედორესაც ძალიან ხშირად უხდებოდა ტყუილი ეთქვა უფრო ხიზნებისათვის, რადგან კარგად თვითონაც არ იცოდა, როგორ იყო მათი საქმე, და მას კი ევალდებულებოდა, როგორც სოფელში ერთ-ერთ „განათლებულ“ ადამიანს და სასულიერო პირს, ცოდნოდა ამ საკითხის თავი და ბოლო. ზოგჯერ მეტად უხერხულ მდგომარეობაშიც იყო, განსაკუთრებით თუ ამის შესახებ ფარნა ბჟალაასთან ან მისი თანდასწრებით მოუხდებოდა სხვებთან აზრის გაზიარება. ფარნა ყოველთვის სჯობნიდა თა-

ვინი მოსაზრებებით, საგნის ცოდნითაც და მამა თედორე, რომ როგორმე თავი დაეძვრინა, სიცილით ასე მიმართავდა ხოლმე: შენ, ჩემო ბაბაია, თვითონ ხიზანი ხარ და მოვალეც ხარ შენი საქმის გარემოება შენვე იცოდეო. ახლა კი საბოლოოდ უნდოდა ბარამისაგან გაეგო მიწისმზომელის მოსვლასთან დაკავშირებით ხიზნების ბედიც, მაგრამ უხერხული დრო შეარჩია და ბარამმაც ჩურჩულით გაუზიარა, რომ ამის შესახებ ვამეხისათვის უნდა ეკითხნა. ის ყოველივეს ნათლად და გასაგებად აუხსნიდა:

მაგრამ ვამეხს ახლა ვინ გაეკარებოდა.

ეტყობოდა, რომ ვამეხი ცალკე, განკერძოებით თავისთვის მომჯდარი მისცემოდა მუსიკის მოჩქრიალე ტალღებს და ვინ იცის საითყენ ჰქროდა მისი გონება და გრძნობა.

ხიზნების საქმე კი არა, სხვა, მისი გულის სანუკვარი საგანიც რომ გეხსენებიათ ახლა, ეს იქნებოდა მისთვის დიდი სასჯელი.

ის ამჟამად არ ეკუთვნოდა დარბაზში მსხდომთ. თითქოს ამაოფლად არც კი იყო. ეს შენიშნა რიაბინინას ქალმაც და ბეგის ამაზე გაბაულაპარაკა.

ბეგიმაც დაუდასტურა, რომ ვამეხი ახლა უთუოდ დიდ მოგონებაშია ჩაფლული. ვინ იცის, შეიძლება აგონდებოდა თავისი სიჭაბუკე, როდესაც ახალგაზრდული გატაცებით თვით უკრავდა ამგვარადვე თავისი გულის ტრფიალის დასატკბობად.

მუსიკა მინელდა. საოცარი სიჩუმე–ჩამოვარდა ირგვლივ.

ამ დროს იღება დარბაზის კარები და სიჩუმეში მეტად უხეშად იჭრება მაღალყელიანი წაღების ბრახუნი.

ბანძღი შემოვიდა.

ყველაზე უწინ ევტიხიმ დაინახა და კინაღამ შეჰყვირა, რას სჩადიხარო! მაგრამ ბარონესამ უეცრად შეწყვიტა დაკვრა: მას ხელი შეუშალეს, ამოაგდეს უნაზესი პოეზიის კალაპოტიდან.

ყველამ ყურადღება მიაქცია ახალ შემოსულს.

ბანძღიმ მოურიდებლად, ხმამაღლა წარმოთქვა:

— ბატონებს ვახლავარ! — და ეგონა, რომ ზრდილობის პირველი წესი მართებულად შეასრულა, თან ჭკუაც ნაბიჯით ევტიხის მიაშურა.

ევტიხიმ ახლა შეამჩნია, რომ ბანძღის ჩოხა-ახალუხიც და

ჭამარ-ხანჯალიც გამოეცვალა, მაგრამ კეთილი თვალით მაინც არ შეგებებია.

ბანძღიმ ევტიხი განზე გაიყვანა.

ბარონესას მიაშურეს უცხოელებმა და თვით ვოლკოვმაც. ერთგვარი ბოდიშიც კი მოიხადეს ბანძღის მაგივრად და კვლავ სთხოვეს განეგრძო დაკვრა, მაგრამ იგრძნეს, რომ ბარონესას ამჟამად არ შეეძლო ერთი აკორდის აღებაც კი და ალარ ჩააცივდნენ.

ბარონესა წამოდგა და აივნისაკენ გაემართა. აქ უკვე მთვარე ანათებდა. ღრუბლები გაფანტულიყო და მთვარეს თავისი სრული სხივები მოეფრქვია მიდამოსათვის.

უცხოელები, ვოლკოვი და დაგმარა გაჰყვნენ ბარონესას.

— როგორ, თევზაობა ღამით? — გაკვირვებით ეკითხებოდა რიაბინინა ბეგის.

— დიახ, ღამით. საერთოდ ჩვენში უფრო ღამით თევზაობენ, ღამით უფრო ადვილი დასაჭერია თევზი, მაგრამ ამ დიდმარხვაში! — დღეს ხომ ბზობის წინა დღეა?! ჩვენს მდინარე გურძემიაში თევზი ქვირითს ჰყრის.

— მერმე?

— მერმედა იჭერენ ფუთობით. ქვირითის დაყრის დროს თევზი მთვრალივით არის და არსად გასხლტომის თავი არა აქვს. ამოდის წყლის ზედაპირზე და რომელიმე ბრტყელ ქვაზე დებს თავის ქვირითს. მაშინ მოუსვი და მოუსვი. თითქმის მთელი სოფელი იყრის თავს იმათ დასაჭერად.

— აჰ, ეს მეტად საინტერესოა, — თავისებური აღტაცებით წარმოთქვა რიაბინინამ და თან დასძინა: — ხო შეიძლება ჩვენც გვიჩვენოთ ასეთი თევზაობა?

— თუკი მოისურვებთ, მაგას რა აჯობებს. ჯერ ვახშმობამდე ბევრი დროა. თუ გნებავთ, წავიდეთ.

— ოჰ, ძალიან კარგი იქნება, — და წამოდგა რიაბინინა, თან აივნისაკენ საჩქაროდ ვასწია. გასცქერისთანავე დაიძახა: — ბატონებო, ბატონებო! აგერ თავადი ბეგლარი რას ბრძანებს: აქვე, ყურის ძირში, დღეს დიდი თევზაობაა თურმე, წავიდეთ:

— თევზაობა? ჰო... ვიცი, — შეგვიანებით წარმოთქვა ბარონესამ. — კარგი საყურებელია. თუ გნებავთ, წადით, ყმაწვილებო, მე მინახავს წინათ, მაგრამ ხედავ, მარინა, რა საოცარი

მთვარიანი ღამეა, რა მოჩვადოებელი, როგორი სიწყნარეა და მყუდროება! ხედავთ იმ კლდეს? იქ ხომ კლდეა, არა, ბეგი? — და ხელი გაიშვირა დედამოკას გზატკეცილის ერთ ცხვირიან კლდისაკენ.

ყველამ თავი იქითკენ მიიბრუნა, ბეგიმ კი დაუდასტურა, რომ ის მართლა კლდე იყო.

— ჰოდა, ხედავთ, — გაჰნაგრძობდა ბარონესა, — როგორ ზღაპრულ, უცნაურ სასახლესა ჰგავს.

— აგერ სვეტები, სვეტები! — აღფრთოვანდა დაგმარაც, — თითქოს მარმარილოსიაო, მოწიგრული, ყვითელი მარმარილოსი და... საოცარი! კიბეებს ვერა ხედავთ, კიბეებს?

ვოლკოვმა ხმამაღლა გაიცინა:

— ვხედავ, ვხედავ, ზედ შუაზე წითელი ატლასის ფიანდაზაა დაგებული და თქვენ, საჭორწილოდ მორთული, ვიღაც მეტად მოხდენილ, ახალგაზრდა რაინდს ჩამოჰყავხართ...

— ჰა, ჰა! — გაიცინა ყველამ, მარინას გარდა, რადგან ის ჩრდილოეთით, შორეულ, ჯერ კიდევ თოვლისაგან თეთრად მოლაპლაპე ბუმბერაზ მთებს შეფრფინვით შესცქეროდა.

— რა მშვენიერებაა ეს მთები! ნეტა რა ჰქვია? — კითხულობდა რიაბინინა.

— ასხი, ჩხვინდილულა, — ჩაუბოხისხმავა ბეგიმ.

— ჰოდა შემრთეთ ეგ მთები, რა? — გადაიკისკისა რიაბინინამ.

— გადარეული, გადარეული! — ალერსით წარმოთქვა ბარონესამ.

აივანზე უკვე ვამეხი და ბარამიც გამოსულიყვნენ. ბარამმა, რიაბინინას სიტყვები რომ გაიგონა, ღიმილით მიმართა:

— მაგ მთების შერთვისა რა მოგახსენოთ და იქიდან კი შეიძლება გამოვიდეს ვინმე მეგრელი აბრაგი და მოგიტაცოთ, მარინა ივანოვნა!

— მერე და რა? — არ ცხრებოდა მარინა. — ცუდი იქნება?

— რა მშვენიერი ქალიშვილებია, — წარმოთქვა ბელგიელმა.

— ო-ო, მარინა ივანოვნა ბროლია, ბროლი. — წაეხმარა ვოლკოვი, — მხოლოდ თქვენი დაგმარა კი, ბარონესა, მარგალიტია...

ამ ქათინაურმა ბარონესაზე ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდი-

ლება, შეიძლება ვერც სხვებზედაც, რადგან არავინ ამაზე არაფერი არ თქვა. ბარონესამ დაგმარა თავისკენ მიიზიდა და თავზე აკოცა.

დარბაზიდან უკვე ხმამაღალი ლაპარაკი მოისმოდა, მაგრამ მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიაქციეს.

ბანძღი დიდ ამბავში იყო.

— მე მოვითხოვ, ევტიხი ბატონო, რომ ახლავე შეუდგეთ თქვენი მოვალეობის შესრულებას.

— ხომ არ გადირიე, კაცო, რა დროს ჩემი მოვალეობის შესრულებაა! ვერ ხედავ აქ საპატიო სტუმრებს, აღდგომის დღესასწაულებიც კარზეა მომდგარი. ასეთ დროს ამას ვერ ვაკადრებ კნეინა ნექტარინას.

— ახირებული კაცი ხარ, შენ არ მომიკვდე, ბანძღი, — არწმუნებდა შამა თედორე, — გაგიგონია ამისთანა დროს ვალის მოთხოვნა?

— შენ, ხუცესო, რატომ ერევი ჩემს საქმეში. შენ ნათლობაში ან ქორწილში თუ დაგიძახო, იქ შეასრულე შენი წესი, თორემ ჩემი ანგარიშების შენ რა იცი? ესეც რომ არ იყოს, როგორ მეუბნები, რა დროს ვალის მოთხოვნააო?

მღვდელს ეწყინა:

— ამისთანა გარეწარი ხარ, შე უბედურო, თორემ შენს მოძღვარს როგორ არ უნდა დაუჯეროო კეთილი რჩევა?

— არა, ბატონო, არავისი რჩევა მე არ მჭირდება.

— არ გჭირდება და აგერ შენ და აგერ ბატონი ევტიხი — ცოტა გაჯავრებით წარმოთქვა თედორემ და განზე გადგა.

— არა, როგორ გგონიან — ყვიროდა ბანძღი, — სწორედ ახლა არის დრო ფულების მოთხოვნის. კამპანიაა ჩამოსული და ფული აქვს ასაღები კნეინა ნექტარინასაც. ჩემს ვალს თუ გავინაღდებ, სწორედ ახლა, თორემ წლები გადის, ნეუსტროიკა ნეუსტროიკას ემატება, მართალია, ვექსილს გადავაწერინებ ყოველ წლობით, მაგრამ ფარას ვერ ვხედავ, ფარას, ბაბაია! რას ამბობთ თქვენ! უი, ბეჩა! აბა, გენაცვალე, ბატონო ევტიხი, აგერ ჩემი აღმასრულებელი ფურცელი კნეინა ნექტარინას ვალისა და შეუდექი აქაურობის აღწერას.

— ბანძღი! შენ რომ მართლა ბანძღი კაცი ყოფილხარ, ახლა დავრწმუნდი, როგორ შეიძლება, ვის გაუგონია! ვალის მოთხოვნას ასეთ პიროვნებასთან თავისი დრო აქვს. ყოველთვის

მოასწრებ. ახლა რა? ვითომ გინდა შეარცხვინო ამისთანა საპატიო სტუმრებთან კნეინა ნეჭტარინა?

— შევარცხვინო კი არა, სწორედ ახლა ავიღებ ვალს მისგან და ის არის! მართლა, ლევარსი კვიზინიაც აქ არ არის?! იმას გამოართვას და მე ჩემი მომცეს.

— არ იქნება, არა, ბანძღი. მე მაინც ამ საქმეს ახლა ვერ შევასრულებ,

— ვერ შეასრულებ?

— ვერა.

— უჰ, შენი რჯული, შენი, კაი კაცი არც შენ ყოფილხარ.

— აა, ეგენი არ იყოს, ენას კბილი დააჭირე.

— კბილი კი არა, რომ გიჩივლო, მაშინ სად მიძვრები, სად?

კარგა ხმამაღლა ყაყანი გამოვიდა.

და სწორედ ამ დროს დარბაზის განიდ კარიდან შემოვიდა თვითონ კნეინა ნეჭტარინა.

არ დაუქუხნია, მაგრამ გრგვინვას ჰგავდა მისი გამოხმაურება.

— ეს ვინ მოთრეულა? ბანძღი ხარ შენ? გუტატი, გუტატი! — კარგა ხმამაღლა დაიძახა კნეინამ. იმწამსვე მასთან გამოყოლილი ხნიერი გამდელი ძილხანი გავარდა კარში. — სადა ხარ, გუტატი, სად? ერთი პალური ამ დალრეკილს, ამას, ამ საცოდავს, ამას! ვის უბედავ, შენ, ბანძღი ხარ თუ რალაც ჯანდაბა! მე ყველაფერი გავიგონე, როგორ? რალაც საცოდავი შენი გროშებისათვის ახლა გინდა ამ სტუმრებში შენი ფიქრით, ვითომ გამომაჭენო, არა? ვაი, შე უბედურო, შენა! მერედა არ იცი, რომ არც შენი მეშინია და არც შენი აწერის? აბა, გაბედე და ამიწერე!

გუტატი შემოვიდა. შორიახლო გამოჰყვნენ ლევარსი და ძილხანი.

— გუტატი, სადა ხარ, შე კაი კაცო! ვერ წედავ, ამ უბედურს რა მოუნდომებია? ყველაფერს ჰგიწერო?! პალური არ ეკადრება ახლა მაგას? მაგრამ, ვაი მე უბედურს, ქვრივ-ობერს, პატრონი ღალარ მყავს და გამკითხავი.

გუტატი წინ დაუდგა კნეინას.

— ნუ იკადრებ, ქალბატონო, მაგასთან თვის გაყადრებას. მიბრძანდით თქვენს ოთახში. მაგას მე გავუსწორდები. — და ცალი თვალი გადაუბრიალა ბანძღის.

ეს ბანძღის არ იამა, იცოდა გუტატის ალიყურების ამბავი და აქეთ რომ მოდიოდა, იმდენად იყო გატაცებული თავისი „მახვილით" მოსაზრებით, რომ გუტატიზე სულაც არ უფიქრია. ახლა კი მისი შემხედვარე შეკრთა და როდესაც თქვა, რომ მაგას მე გავუსწორდებიო, სრულიად მოიკუნტა.

მანამ თედორე კი მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ ნექტარინას შესცქეროდა და ტკბებოდა მისი ცქერით.

რა ქალი არის, რა ქალი! ნამდვილად დედოფალია! რა ახოვანი, წარმოსადეგი, რა ნატიფი სახის პატრონი და გაჯავრების დროსაც რა საუცხოო, რა მიმზიდველია. გინდა, რომ მას ეახლო, მისთვის თავი დადო, კლდეზე გადავარდე, ცეცხლში დაიწვა. ვაი მე უბედურს ქვრივ-ოხერსო რომ თქვა, როგორ თქვა ეს სიტყვები? -ამითი თავი კი არ შეუბრალებია ვისთვისმე, პირუკუ, სხვებისადმი იყო სიბრალული გამოთქმული: მე რომ ქვრივ-ოხერი ვარ, თქვენ რა გეშველებათ, თქვე უბედურებო, ან რომელი ხართ ღირსი ჩემი ერთგულებისაო!

თედორე თავს ძლივს იკავებდა.

უჰ, შენ გენაცვალე მაგ იერსა და დიდებულებაშიო, თითქმის ჩურჩულებდნენ მისი ბაგეები.

კნეინას ლევარსიც მიუახლოვდა და დამშვიდება დაუწყო. გუტატიმ კიდევ შეახსენა, რომ ამ აურზაურზე შეიძლება სტუმრები დაბრუნებულიყვნენ და არ ივარგებდა, თვით მამა თედორეც ეახლა და იმანაც ურჩია ბანძღისათვის მეტი აღარ მიემართნა. საბთაველმ, როგორც იყო, დაამშვიდეს აღშფოთებული ქალბატონი და კვლავ მის ოთახში შეაბრუნეს.

გუტატი კი იმავ წამს მობრუნდა და თვალის დახამხამებაში ერთი ხელი ბანძღის ხანჯალში წაავლო, მეორეთი, ეტყობოდა, უნდოდა კისერზე მოეკიდნა და ისე გაეგდო დარბაზიდან, მაგრამ ამ დროს ლევარსიმ, თითქოს დიდსულოვნობამ მოუარაო, გუტატი შეაჩერა და სთხოვა, რომ ბანძღი მისთვის დაენებებინა. გაიყვანა განზე და ნელი დაყვავებით უკანა აივნის კიბემდე მიაცილა.

ეტყობოდა, გასჭრა ლევარსის დათათბირებამ, რადგან ძალიან მალე გამხიარულებული ბანძღი თავისი სახლისაკენ გაემართა.

სახლში მშვიდობა ჩამოვარდა. მხოლოდ მოსამსახურეებმა დწყეს საბაზრო სთორის აშლა, მაგრამ ამ დროს აივნიდან

სიცილ-ხარხარით შემოჯგრიალდნენ ბაღონესას მეთაურობით ყველანი და გამოაცხადეს, რომ სათევზაოდ მიემართებიან. წაბსვლელებს აჰყვნენ ევტიხი და მამა თედორეც და შეიქმნა კოკა მოზრდილი ასაბია, მაგრამ წასვლა არ დასცლიათ.

დარბაზში შემოვარდა მოთქმა-ტირილით ნექტარინას გამდელი ძილხანი:

— ვაი უბედურ იოსეს? ვაი მის უბედურ ოჯახს, — იკხადებდა ძილხანი.

ყველაზე უწინ ვამეხი გამოეხმაურა:

— რა იყო? რა მოუვიდა?

— შენს მტერსა, და დუშმანს, ბატონიშვილო!

ძილხანი დაჩვეული იყო ბავშვობიდანვე, რომ ყველა გვირგვილიანი მუდამ ბატონიშვილობით მოეხსენებინა, და ვამეხსაც ასე ეძახდა. მისთვის სულ ერთი იყო, ან არ უწევდა ანგარიშს, რომ ვამეხი ღირსებაახდილი კაცი იყო. ის კი არა, გულში იზიარებდა ბარამის ერთხელ ნათქვამს: ვამეხს ღირსება რუსულმა სუდმა ახადა, თორემ საუკუნეობით მინიჭებულ წოდებას მას ვინ წაართმევსო.

ამგვარად „ბატონიშვილო, ბატონიშვილოო!“ ბევრი ივიშვიშა ძილხანმა და თან საცოდავ იოსე ხუბუნაიას ამბებიც ჩააყოლა.

ვამეხი, როგორც კი ჩაწვდა ძილხანის ნაამბობს, იხარივით მოსწყდა ადგილს და ისეთი სისწრაფით გაეშურა, რომ უცხოელებსაც კი არ გამოეთხოვა.

უცხოელებს გაუკვირდათ ჯერ ამ მოხუცებული ქალის ტირილი და გზდება და შემდეგ ვამეხის უეცარი წასვლა, მაგრამ აუხსნეს, რომ ვამეხი ამ იოსეს სახლში ცხოვრობდა და დიდი მეგობარი იყო მისი. თვითონ იოსე, მშვენიერი კარგი კაცი, მეთევზეობით ცხოვრობდა, მაგრამ თან მძიმე ავადმყოფი იყო; ავიზნე სჭირდა და დღეს საღამოთი, როდესაც თევზაობა დაუწყია, მოუვლია მის ზნეს და, ეტყობა, ცდილა კიდეზე როგორმე გამოსულიყო, მაგრამ ვერ მოუსწრია, დაცემულა და სწორედ კიდესთან პეშვისოდენა წყალს დაუხრჩვია.

ასე მოთქვამდა კიდეც მოხუცი ძილხანი:

— პეშვისოდენა, პეშვისოდენა წყალმა დაგახრჩო, შე უბედური დღის გაჩენილო!

მაგრამ, როგორც იყო, ვამეხის წასვლის შემდეგ ძილხანი

გააჩუმეს. მხოლოდ ბეგის, ბარამს, თედორესა და თვით ბარონესასაც დაეტყოთ მწუხარება. სხვებიც ზრდილობის გამო ჩუმად იყვნენ და, არავინ იცოდა, ეს მძიმე წუთი როგორ გადაელახათ.

ისევ ბარონესამ წარმოთქვა სევდიანად:

— საცოდავი იოსე! ვიცნობდი საწყალს. ყოველ ჩემ ჩამოსვლისას ორჯერ მაინც უთუოდ მომიტანდა კარგა ბლომად ახუნძლულ თევზების აკიდოს.

— კარგი კაცი იყო, კარგი, — ნელა დააყოლა ბარამმაც, — თვინიერი, სათნო, მისგან განაწყენებული არავის არავინ აწსოვს.

ვოლკოვს გაუკვირდა, რომ თავადები ასე გულთბილად იხსენიებდნენ ვიღაც მდაბიო გლეხს, რაც ჩუმად გაუზიარა რიაბინინას ქალს, მაგრამ იმან ამაზე არაფერი უპასუხა.

— ჩვენ მაინც წავალთ სათევზაოდ, არა, კნიაზო? — მიმართა მან ბეგის.

ბეგიმაც ხალისიანად უპასუხა:

— უსათუოდ, მხოლოდ სათბურები კი უნდა ჩაიცვათ. მარტია და ამინდს ვერ ვენდობით. ისედაც ცივა საერთოდ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, — დაამოწმა ბარონესამ, — მერე ისიც წყლის პირად. აბა გასწით, მხოლოდ ვახშამზე მაინცდამაინც ნუ დაიგვიანებთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ დარბაზში მყოფნი, ბარონესას გარდა, გაეშურენ მდინარე გურძემიისაკენ, რომელიც იქვე, ეზოს ნაპირად, ჩამოდიოდა.

მხოლოდ თედორე ჩამოშორდა მგზავრებს. გუტატიმ მიაძახა: საით მიდიხარ, შენ ხომ თევზი ძალიან გიყვარს, ხვალ ხომ ბზობა არისო?! რაზედაც თედორემ უპასუხა, რომ ის იმასა სწუხს, ერთი თავის მრევლთაგანი უზიარებლად რომ დაურჩა, და ახლა მაინც მივა, რომ მიცვალებულს წინასწარი, პატარა პანაშვიდი გადაუხადოს; თან ევტიხის გადაულაპარაკა:

— თქვენ, ეტყობა, აქედან უვახშმოდ არ გაგისტუმრებენ და მოსასვენებლად კი, თუ აქ ვერ დაეტიეთ, ისევ მე წაგიყვანთ. მაინცდამაინც მე კიდევ გამოვივლი და მაშინ, როგორც ბჯობებს, ისე მოვიქცეთ.

ლევარსიც წაჰყვა მეთევზეებს, თან თვალით დიდხანს ეძებდა თოლისქვამს, ეგონა, ისიც წამოვიდოდა, მაგრამ თოლის-

ქვამი ამ დროს გასულიყო წინა ფართო აივანზე, მიმჯდარიყო კუთხეში და მთვარის შუქზე მისცემოდა ქალწულებრივ ჰიჩ-ქურეს.

შენაკადი

III

მინდა შენთან ვიყო სულ ახლოს, ციბედულ! სულ ახლოს!

ვგრძნობდე შენს ნაზ ხითბოს, შენს გამამხნევებელს, მფარველობის სულს!

შენს მეტი არავინა მყავს, ციბედულ! ჩემგან ერთხელ და სამუდამოდ გონების ფიანდაზზე აღზრდილო და ჩემი გულის უნარნარეს ტბასთან ლერწამივით აშოლტილო.

ზედ რომ ზოგჯერ უცნაური, ზღაპრული ყვავილების მოსწხმა იცი.

ხშირად მათი სურნელებით ვარ მიბნედილი.

და არ მინდა, ამ ტკბილი ბურანიდან გამოვიდე, თუმცა ჩემი მხატვრული თვალი — მე რომ მკითხო — დიდი სიზუსტით ისრუტავს თავის თავში ცხოვრების სწორ სინამდვილეს.

მე ორივე მხარეს გარკვევით ვხედავ:

ჩრდილოვანსაც და სანთლოვანსაც.

და, მე მგონი, არასოდეს არა ვარ იმე გაუგნებელი ამ ბნელსა და ნათელს ალმართ-დალმართში — ჩემი გზა ვერ მოვნახო.

ჩემი გზა!

ამ ნაწარმოებშიაც უთუოდ ამ „ჩემი გზით“ ვივლი სინამდვილის ალსანუსხავად...

ოღონდ შენ ჩემთან იყავ, ძალიან შორს ნუ წამიხვალ, ციბედულ, ჩემო, ჩემო!

7

როცა ვამეხი თავის ბინაზე მივიდა, მეზობლებს უკვე თავი მოეყარათ და მარტის ცივ ღამეში იოსებ ოთახის კარებთან იხურხლებოდნენ. შიგნიდან კი მოისმოდა იოსებ მეუღლის რუსუნდიას მეგობრული გულსჩამწვდომი მოთქმა და მის ვარშემო მყოფი დედაკაცების ვიშვიში.

ვამეხმა იწყინა, მიცვალებული რატომ ჩემს დიდ ოთახში არ დააწვინეთო, რადგან რუსუნდიას სანთიობოში დიდი ვიწროობა იყო, და განკარგულება გასცა, რომ ცხედარი მასთან გადმოესვენებინათ. იმავ დროს თავის ღუმელში ძლიერი ცეცხლი დაანთებინა. როდესაც ეს ყველაფერი გაკეთდა, იქ თავმოყრილნი თავისუფლად დაეტიენ ვამეხის ფართო სამყოფელში, რადგან ამ პირველ შეცხადებაზე უფრო ახლო მეზობლის ქალები იყვნენ შეკრებილნი, იყო თითო-ოროლა მამაკაცი, რადგან ბევრი მათგანი სათევზაოდ იყო წასული.

იქ მყოფმა მამაკაცებმა ვამეხის ოთახის შუაგულში დადგეს ფარდაგგადაფარებული ტახტი, ზედ მიცვალებული დააწვინეს, თეთრი, სუფთა ზეწარი გადახფარეს, ირგვლივ კედლებთან დედაკაცები ჩამორიგდნენ, შუაში მთავარი ჭირისუფალი რუსუნდია ჩაჯდა და კვლავ მოთქმა მორთო, მხოლოდ ახლა უფრო ხმადაბლა, — ვამეხის ერიდებოდა. მამაკაცები კი მიცვალებულს შორიახლოს თავს დაადგნენ. ამ დროს ვამეხმა ფეხი წინ წადგა და ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ლამპის ნელი სინათლე ციგლიგებდა ოთახში და იქაურობას მიბნედილ შუქში ახვევდა. ასეთი სინათლე და თითქოს გაქვავებულ ადამიანთა მდუმარება მიცვალებულის გვამთან ერთად იქ მყოფთ შორის ქმნიდა ერთგვარად ამამაღლებელ სულიერ განწყობილებას. თვით რუსუნდიაც დაიპყრო ასეთმა საერთო ვითარებამ და, თუმცა გულამოსკვნილი იყო, თითქოს რაღაც სასწაულს ელისო, სრულიად გაყუჩდა და თვალებგაფართოებული რწმენით მიაჩერდა ვამეხს.

ვამეხი ხომ ღვთაებრივი კაცია!

თავიდანვე ასე იწამეს მან და მისმა უბედურმა იოსებ ვამეხის პიროვნება. შეიძლება მან გააცოცხლოს კიდეც მიცვალებული. მოხდეს ის, რაც არასოდეს არ მომხდარა.

ვამეხი მივიდა მიცვალებულთან. დაიჩოქა და თავი დაბლა დახარა. ცოტა ხნის შემდეგ იქ მყოფთ ვამეხს მზრების ძიგძიგზე შეატყვეს, რომ ის ყრუდ ქვითინებდა და... საკვირველი!

ყველაზე უფრო კერპ კაცსა და ხე ადამიანს ამ სოფელში, თვით გუდია ხუბუნაიასაც კი ცხელი ცრემლი წარსტაცა ვამეხის ჩუმმა ტირილმა.

ასეთ დროს მიღებული და ჩვეულებად განმტკიცებული მამაკაცური ბღავილი არავის წასცდენია. არც ქალებს დაუ-

წყიათ ხმამაღალი მოთქმა. ყველანი ჩუმად თავთავისად იცრემლებოდნენ.

თვით რუსუნდიაც, მისდა განსაცვიფრებლად, უხმოდ ცრემლად იღვრებოდა და უნებლიეთ გრძნობდა, რომ ვამეხის ამ ჩუმ ქვითინში ყველანი, ვინც იქ იყვნენ, გაერთიანდნენ ერთი სამგლოვიარო განწყობილებით იოსეს მოულოდნელი სიკვდილის გამო. ასეთი ვითარება კი რუსუნდიასთვის მეტად ნუგეშისმცემელი იყო.

ამ დროს ვამეხმა თავი აიღო და, უკვე ფეხზე წამომდგარმა, ნელი ხმით თითქოს მიცვალებულს გამოესაუბრა:

— იოსე! ჩემო კარგო! მართლა კარგი იყავ, საცოდავო! ადამიანის საუკეთესო თვისებებით იყავ შემკული: მშრომელი და გამრჯელი, გულწრფელი და პატიოსანი, მეზობლებისათვის საუკეთესო სამეზობლო, საჭიროების დროს მათთვის თავდადებულიც კი; უწყინარი, თავმდაბალი, მაგრამ სულიერად ამაყი და თავისი ადამიანური ღირსების დამცველი... მახსოვს, ერთხელ, ჩემმა ძმამ ბეგიმ რაღაზედაც უსამართლოდ რომ შეგახელფეხა, შენ არ შეუშინდი, მაგრად შეხვდი და თავი არ დაუდე. მაშინ ეს გამიკვირდა და მომეწონა. შემდეგ როდესაც უფრო ახლო გაგიცანი, დავრწმუნდი, რომ კარგად გესმოდა ახლანდელი დუხჭირი ცხოვრების ვითარება და ზოგჯერ მხოლოდ ოხვრით წამოგცდებოდა: — არა, ბატონო ვამეხ, გლეხის გაჩენაში ღმერთს მონაწილეობა არ მიუღიაო. გესმოდა ეს ყველაფერი, მაგრამ დაბმული იყავ საზოგადოებრივი წესწყობილების ათასნაირი თასმებით და შენს კეთილშობილ აზროვნებას გაქანება არა ჰქონდა. მარტო შენ იყავ ასეთი, იოსე? ყველა შენი მოძმეები, მეზობლები ასეთ მდგომარეობაში არ არიან? ისინიც ასეთივე თასმებით არ არიან შებოჭილნი? მათ ავიწროებენ პოლიცია, მებატონეები, ბანძღისთანა მევახშეები და თვითონ მღვდელიც კი, დრამის ფულისათვის სწორედ მოსავლის შემოტანის დროს თავზე რომ წამოადგებოდა ხოლმე. და განა ასე დაჩაგრული უნდა იყოს მშრომელი ადამიანი? განა პირიდან მის მონაგარ ლუკმას უნდა ართმევდნენ? განა ამ თასმებს გაწყვეტა არ უნდა? ეეჰ! შენ ზოგჯერ შემეკითხებოდი ხოლმე: განა სულ ასე იქნება, სულ ასე დაჩაგრულები უნდა ვიყოთ გლეხებიო? არა, საყვარელო იოსე. ასე არ იქნება... ერთ დროს თქვენც იგემებთ თავისუფლებას, ერთ დროს

თქვენც გადაიგდებთ მძიმე უღელს. და ეს დრო არც ისე შორსაა. ერთი პირი გინდათ მხოლოდ, ერთი პირი! — აქ ცოტა დაყოვნა ვამეხმა, შემდეგ წარმოთქვა: — შენ ვერ შეესწარი ამ დროს, საცოდავო, მაგრამ შენი ვაჟი მაინც შეესწრება. სად არის სქვამაია? — და მიიხედ-მოიხედა.

დედის კალთაში იჯდა 4-5 წლის შავტუხა, მგზნებარეთვალებიანი სქვამაია და ვამეხის მოკითხვაზე დაუყოვნებლივ მასთან მივიდა. ვამეხმა თავზე ხელი გადაუსვა, წინ დაიყენა და ასე მიმართა:

— შენ ახლა ბევრი რამ არ გესმის, ბიჭუნა! უთუოდ კარგად ვერც ერკვევი, რომ მამაშენი სამუდამოდ განგშორდა... მაგრამ დაიხსომე მისი კარგი კაცობა, მისი ადამიანობა და, რომ გაიზრდები, შეებრძოლე სიდუხჭირეს!

ბავშვი ახლა უფრო გაფაციცებით დაუკვირდა მამამისის გაშოტილ სხეულს და, თითქოს რაღაც საშინელი, გამოუსწორებელი გაიგოო, ხმამაღლა შეჰყვირა:

— ბაბაია!

ბავშვის ღრიალზე დედაკაცებიც ავიშვიშდნენ და რუსუნდიამაც იწყო მოურიდებელი, ხმამაღალი მოთქმა-ტირილი.

ვამეხი წამოდგა, ბავშვი უკანა ოთახში გაიყვანა, მოეფერა და ბავშვმა ტირილი შეწყვიტა, შემდეგ რომელიღაც იქ მყოფ დედაკაცს ჩააბარა ბავშვი, თან უთხრა: — ხმაღამ შინ არ მოვისვენებ, ფარნასთან გავათევ ღამესო — და გასწია.

ხალხი უკვე იშლებოდა, როდესაც თედორე მღვდელიც მოვიდა. მაგრამ ბევრს მისთვის აღარ დაუცდია. თედორემ კი რუსუნდიას სამძიმრის შემდეგ დაგვიანება იმითი მოუბოდიშა, რომ მედავითნეს გამოუარა: უნდა წამომეყვანა და იმან შემაფერხაო.

ვინც პანაშვიდზე არ დარჩა, ცოტა რომ წაიარეს, ასეთი საუბარი შეუდგათ, ერთი ამბობდა:

— დიდი კაცია ჩვენი ვამეხი!

— სულ სხვანაირი ადამიანია! — უდასტურებდა მეორეც.

— როგორ დაიტირა საცოდავი იოსე, მართლა რომ ჰყვარებია! — ჩაურთო კიდევ ერთმა.

— იოსე კი არ დაიტირა, — ჩაერია სხვებზე უფრო ხანდაზმული, — იმან ჩვენ გვიქადაგა, ჩვენი გულისათვის ილაპარაკა.

— ოჰ, რეები თქვა, გული როგორ მომფხანა, — აიმაღლაურა ხმა გუდუიამაც, — თასმებით ხართ შებოჭილებიო! ოჰ, უნდა დავგლიჯოთ ეს თასმები, სულერთიან დავფლითოთ!

— ჰო, ჰო! — ჩამოართვა მეორემ. — მძიმე უღელი უნდა გადავიგდოთო...

— რა არის ეს მძიმე უღელი? რომელ უღელზე ლაპარაკობდა? ა, ობიშხია? — მიმართა ერთმა შუახნისამ ხანდაზმულს და მკხობლებში ნელი სიცილი გამოიწვია. ობიშხია კი მაშინვე ყვედრებით მიუბრუნდა:

— შე ჩერჩეტო, ეს თუ აღარ გესმის, აბა სხვა რა გესმის, შე უბედურის შვილო! მაგრამ კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო.

„ჩერჩეტი“ გაჩუმდა. თვითონაც იცოდა, რომ სოფელში თავის ჭკუამახვილობით განთქმული არ იყო და ობიშხიას აღარ გამოედავა.

გუდუიამ კი განაგრძო:

— ერთი პირი უნდა გქონდეთო, ყაზაწებო, ერთი პირი, გესმით! მე რომ მებატონეებს მთაში ტყეზე შევედავე, ტყე ჩვენია, აქ რა გინდათ-მეთქი და კინაღამ კაცი შემომაკვდა, არავინ მხარი არ დამიჭირეთ, მაშინ რომ ერთი პირი გვქონოდა, ხომ ჩვენ დაგვრჩებოდა ის ტყეც და ის მთაც.

— ჰმ... ერთი პირი, — დაიწყო ისევ ობიშხიამ, — იცოცხლე, ერთი პირი კარგი იყოს, მაგრამ გატანა უნდა ბოლომდის, გატანა. მაგრამ ძალი უნდა მოგდევდეს, ღონე უნდა შეგწევდეს, თორემ განა არ გახსოვთ, აჴ არ გაგიგონიათ — უტუ ჭიჭაას დროს ისეთი ერთი პირი გვქონდა, რომ მთლად შევძარით მთელი ოდიში. მერმე რა? მოვიდა ხენწიფის ჯარი და სულ თხებივით გაგვფანტა.

— მართალია, მართალი! — დაუმოწმა ბევრმა.

— უუჰ, თქვენი რჯული! — შესძახა გუდუიამ. — კურდღლები ხართ, კურდღლები, — და გადაუხვია სახლისაკენ.

— აბა, როგორ გგონიათ! შენ აჯობებ რუს ხენწიფეს? — მაინც მიაყოლა ობიშხიამ. მაგრამ გუდუია აღარ მობრუნებულა, ერთმა მაინც შენიშნა:

— რუს ხენწიფეს? ჰო. მერმედა შენ რომელი გერჩია, დადია რომ გჯდომოდა ისევ თავზე თუ რუს ხენწიფე?

— ეეჰ, ერთი შეწვი და მეორე შეცხე! — ამოიოხრა ობიშ-

ხიან, თან წაღვლიახად დააყოლა: — მაგრამ რას იზამ, ნათქვამია, დათვი რომ მოგერიოს, ბაბაია დაუძახეო! ეს დალოცვილი ვამეხი კი გაიძახის: ერთი პირი გიშველითო. რისი იმედით! ვისი იმედით?!

ერთ წუთას ყველა დაღონდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ერთმა მათგანმა სიტყვა ვამეხზე შეაბრუნა:

— ვამეხი მაინც კაი კაცია, მერწმუნე, და მე ეს მიკვირს, რომ ამისთანა კაცი კინაღამ დალუპეს კატორღაში.

— არ იცი? — აუხსნა მეორემ, — ერთ დროს ვილაცა დიდი მაცის ქალი მოუკლავს. სიყვარულის გამო შემოკვდომია...

— აჰ! — გამოენაცვლა მესამე, — ქალი კი არა რუს ხენწიფეს დაუწყო თურმე ჭიდილი და იმიტომ გააციმბირეს.

— ჰოდა, თვითონ რომ ვერ მოერია, — სიცილდაყოლებით დაურთო ობიშხიამ. — ახლა უნდა, რომ ჩვენც შეგვაჭიდოს. მაგას სიტყვების მეტი რა ეხარჯება, ჯიმაგეე, ჩვენ კი სისხლი უნდა დავღვაროთ.

— შენ როგორ, წინააღმდეგი ხარ ვამეხის? — წამოიძახეს ორივე მხრივ.

— ჭკვიანი კაცია!

— სასარგებლო კაცია!

— ნასწავლი კაცია!

— ჰოდა, ნასწავლი რომ არის, იმისი გზა სულ სხვაა და ჩვენი კიდევ სხვა...

ობიშხიას ამ სიტყვებმა თითქოს ყველა ჩააფიქრა, თითქოს ობიშხიამ რომელიღაც უფსკრულში ჩაახედა ხალხი, იმ უფსკრულში, რომელიც თითქოს მათ და ვამეხს, ერთიმეორეს აშორებდა. ვერ გაეგო, რატომ იყო ეს უფსკრული მათ შორის, მაგრამ თითქოს ნაწილობრივი სიმართლე ამ სიტყვებისა მაინც იგრძნეს, და უჩუმრად წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ სახლებში.

8

მარტის ცივი ღამე საკმაოდ საგრძნობელი იყო, მაგრამ თოლისქვამი მაინც ნექტარინას სახლის ფართო აივნის კუთხეში იყო ჩამომჯდარი და ღრუბლებს შესცქეროდა. მთვარე საოცნებო სინათლით ამკობდა არემარეს, მხოლოდ ღრუბლებს

მაინც სრულად ვერ გაქცეოდა, თუმცა იმათაც უქარგავდა ბაგე-პირს, თითქოს უნდა მოამშვიდოს და მიიყვავილოსო.

ღრუბლები კი ათასნაირ სახეს ღებულობდნენ მის გარშემო.

შესცქერის თოლისქვამი და უხარია. ბავშვივით ჰყლოპინებს გუნებაში. აგერ ნელა გამოცურდა დიდი ხომალდი. ანძაც აქვს და აფრაც, მხოლოდ მთვარისაგან ცოტა მოოქვრილია. თოლისქვამს ხომალდი თავის დღეში არ უნახავს, ჯერ თითქმის ზერთემიდან ფეხი არ გაუდგამს, მაგრამ აუწერიათ მისთვის მნახველებს, წიგნშიაც უნახავს მისი გამოსახულება. ხომალდია სწორედ! კარგა სრული მოყვანილობის, თანდათან მისრიალებს მთვარისაკენ. არ გადაეფაროს, არ ჩანთქას მთვარის მშვენიერება.

მერმე განა მთვარე მშვენიერია?

რითი არის მშვენიერი?

მრგვალია, ყვითელია, ზედ რაღაც ლაქებიცა აქვს.

მაშ რად მოსწონს ყველას?

ბიძია ბეგი რომ მღერის ზოგჯერ:

„ახ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო“.

ვინ არიან ეს „დამწვრები?“

ჰოო!

თოლისქვამს თავის თავის შერცხვა. იგრძნო, რომ უნებლიეთ გაწითლდა კიდეც.

ერთხელ აუხსნეს, რომ ეს შეყვარებულებზე იყო ნათქვამი.

მერმე, თოლისქვამს რად უტოკავს გული „დამწვრების“ ხსენებაზე?

თვითონ ხომ არ არის შეყვარებული?

უეცრად! ო, ცუდი ამბავი მოხდა!

ხომალდი გასკდა, ორ ნაფლეთად იქცა. ერთი გაწმორდა მთვარეს და თითქოს ვეშაპივით გაიკლაკნა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დასრულებული მისი მთლიანი სახე. ზოგჯერ თითქოს ფრთები გამოებმება, ერთგან კიდევ ბატივით ფეხი გამოუჩნდა. მხოლოდ მეორეა, მეორეა საქმე... ჰა, ჰა! ეს ხომ აქლემია, უშნო, აყლაყუდა, ორკუზიანი. ნამდვილად!

თოლისქვამს არც აქლემი უნახავს თავის ცხოვრებაში, მაგრამ ესეც ნაამბობით იცის და წიგნებშიაც აქვს ნახული.

ჰმ! წიგნები, ტაიას წიგნები!

ეს ტაიას მოწაფეობის წიგნებია. ყოველ ზაფხულს ჩამოიტანს ხოლმე ბევრნაირ წიგნებს და უმეტესობას ტოვებს სოფელში. ამბობს — შემდეგ კლასში აღარ მჭირდებაო.

თოლისქვამს კი უყვარს ეს წიგნები: ტაიას ნაქონია. მაგრამ ეგ კიდევ არაფერი. ამ წიგნებზე ტაიას და თოლისქვამს ერთად უმეცადინიათ, ერთად უშრომიათ, ერთად გაუხარიათ.

...მაშინ!

მაშინ რა? ო-ო, რაღ არის ეს თოლისქვამის გრძნობა აწე მორიდებული თვით მარტოობის დროსაც? ეს ამბავი ხომ თითქმის გამხელილია. თვითონ ბიცოლა ნექტარინაც ზოგჯერ არ მალავს შინაობაში, რომ მის სიხარულს საზღვარი არ ექნება, თუ ტაია და თოლისქვამი შეუღლდებიან. ო-ო, როგორ აუძგერდება მაშინ გული თოლისქვამს, როგორ აუჭვივდება ლოყები და თვალებდახრილი გარბის ნექტარინასაგან. გარბის ხან ეზოში, ხან განრიდებულ ოთახში და, თუ განმარტოებულ ძილხანს მოასწრებს სადმე, მაშინვე ახლო ჩაუცუცქდება და კალთაში თავს ჩაუდებს. ძილხანიც თითქოს მიუხვდება გულის წადილს, თავზე ალერსით ხელს უსვამს და თან ჩურჩულით ასე ელოლიავება:

— მოესწრები, მოესწრები მაგას, შვილო! მალალი ღმერთი მეც შემასწრებს შენ და ტაიას წითელ გვირგვინს! რა გატირებს, გოგო?

თოლისქვამს კი ჰგონია, რომ ძილხანს ეს ტირილი მხოლოდ შვებად მიაჩნია.

თვითონ თოლისქვამს არ ესმის, რომ ძილხანმა ბევრი რამ იცის შეყვარებულების შესახებ, იმიტომაც არის, რომ ამჟამად იცინის და ეალერსება კურდღელივით დამფრთხალ გოგონას.

ისევ ზევით აიხედა თოლისქვამმა. ცა თანდათან ისარკებოდა და უკვე ვარსკვლავებიც კიაფობდნენ. თოლისქვამს ვარსკვლავებიც უყვარდა. ერთი უფრო ბრწყინვალე და გაბრდღიალებული ტაიასათვის ჰქონდა მიჩენილი, იქვე ახლოს კი, ცოტა მომცრო, მაგრამ ნაირფერი, ბრილიანტივით რომ თამაშობს მთვარის მიბნედილ შუქზე — ეს თავისთავისაა. მოძებნა თკალით ორივე მიჩენილი და შეფრფრინვით უწყო ცქერა.

მერმე გულში დაალაგა:

„ვარსკვლავო, ჩემო ვარსკვლავო! მეძნელება შენთან განშორება, შენთან ვარ ოცნებას მიჩვეული, რადგან მე ხომ

უოცნებოდ ჯერ არც კი მიცხოვრია. იბრწყინე ასე, იკაშკაშე, არ მოშორდე ამ დიდ მანათობელს. მეც არ მინდა ოდესმე მოვშორდე ტაიას, მუდამ მას უნდა მივყვე კვალში... დეე, ტაიას ცხოვრება იყოს ისე ბრწყინვალე, როგორიც თქვენი, ვარსკვლავებო!"

„ჰმ! რატომ არა ვარ პოეტი? ამას ხომ საუცხოოდ გამოთქვამდა რომელიმე პოეტი... მიყვარს განა ლექსები! როგორც ხელთ მოვიგდებ ხოლმე, უსათუოდ ვკითხულობ და ზოგს ვიზეპირებ კიდეც, მაგრამ, ეს რა მოხდა?"

ღრუბლები კვლავ ჩაიშალნენ: აქლემი სულ დაფლეთილიყო და მთვარისაგან მინათებით მისი პატარა-პატარა ნაწილაკები ახლად გამოჩეკილი წიწილებივით შეჰკედლებოდნენ ზეცის გულ-მკერდს. ვეშაპივით მოყვანილი ღრუბლის ზოდი კი დიდხანს ინარჩუნებდა თავის სახეს, მაგრამ ახლა რა მოსდის? ზედა წელს გამოეყო ერთი ნაწილი, რომელმაც მიიღო უფრო მრგვალი სახე და თითქოს ადამიანის თავს დაემსგავსა... სწორედ, სწორედ! აგერ ნიკაპი, ცხვირი, შუბლი, გაშლილი, მაღალი და ზედ დაყრილი თმის კულულები.

თოლისქვამი კინაღამ შეხტა.

— ეს ხომ ტაიაა, ზედგამოჭრილი ტაია. ჰა, ჰა, ჰა! ვეშაპიდან გამოვიდა. ვეშაპის ჯიშის ხომ არ არის? გვირგვილიანები ერთ დროს ვეშაპივით ხალხი ყოფილა! აგერ, მოდის, მოდის, ნელა მოცურავს, თითქოს ნავში ზისო, პირდაპირ მთვარისაკენ მიეშურება... ოჰ, უთუოდ ტაიაა, ნამდვილი ტაიაც ახლა მოეშურება ბერთემისკენ. ახლა იმათ ხომ არდადეგები ეწყებათ.. ხვალ ბზობაა... მოვა, უთუოდ მოვა! აი, ღრუბლებმაც კი მანიშნა...

ზიხარულით ფრთქიალებდა თოლისქვამის შეგრძნობა. უეცრად, თითქოს ალალმა ჩამოუფრინაო, გუნება შეეცვალა და უნებლიე სევდამ მოიპყრო. თვითონაც ჰქონდა შემჩნეული, რომ ზოგჯერ ასეთი უნებლიე ნაღველი გულს მოაწვებოდა.. თითქოს ამის მიზეზი არ არსებობდა: ჯანმრთელი იყო, უდარდელი, გარშემოც ეფერებოდნენ, ეალერსებოდნენ. საფიქრალი რა ჰქონდა? კარგად აცმევდნენ, აჭმევდნენ, შეევიწროებას არავისგან განიცდიდა. ნექტარინა თითქოს ტაიას საცოლედაც კი ამზადებდა. რა უნდოდა მეტი, სხვა ბედნიერება რალა იყო მისთვის? მიუხედავად ამისა, მას მაინც ზოგჯერ გული ერთბა-

ძად ეხურებოდა, თავს გრძნობდა მეტისმეტ უბედურად და თითქოს გამოსავალს ვერსად ვერ ხედავდა.

ასე მოხდა ახლაც.

ვინ არის თოლისქვამი? რა ცხოვრებაა მისი ცხოვრება? — უდედმამო, ობოლი, უმამულო- და უყოლიფრო. შორეულმა ნათესავმა, დიდმა და შეძლებულმა კნეინა ნექტარინამ შეივრდომა და იშვილა კიდეც. აქ თითქოს არაფერი არ აკლდა, მხოლოდ დედის ალერსი არასოდეს უგრძვნია. ნექტარინა ყველაფერს უკეთებს, თითქოს ყოველივე მისთვის უნდა, დიდ ბედნიერებასაც უმზადებს, მაგრამ მაინც სიცივე მოჭრის მისგან. დედობრივად მაინც ვერ ექცევა და ამას მწვავედ გრძნობს თოლისქვამი. ისიც... შვილობილია ხომ. ვერ არის მასთან შვილივით დაახლოებული... ის ძალზე ერიდება ნექტარინას. მასთან ისეა, როგორც მოსამსახურე, და არცთუ მაინცდამაინც უყვარს მასთან მარტოდ ყოფნა. გუნება აწრიალებული აქვს, რაღაცისა ეშინია. არ გამიწყრეს, არ გამირისხდეს და საშინელი რამ არ დამმართოსო. ამიტომ არის, რომ ხმა უწყდება ხოლმე, როდესაც რაიმე უნდა უპასუხოს კნეინას და ამ „ხმაჩაწყვეტილობას“ ისე დაეჩვია, რომ სხვებთანაც მუდამ თითქოს შემკრთალია. ამის გამო ხშირად უწყრება თავის თავს. უწყრება იმიტომ, რომ გულში ბევრად უფრო თამამია, ვიდრე გარეგნულად. ო-ო, ზოგჯერ ისეთი თამამი აზრი გაუელვებს და ისეთი გაბედული სიტყვებიც მოაწყდება ბაგე-პირს, რომ ყველას გაუკვირდება, მაგრამ სიტყვები ჭუჭმელნი რჩებიან და თვით თოლისქვამი კიდევ გულჩახურული. არც ტოლ-ამხანაგი ჰყავს ვინმე. მრავი წრისანი ამ სოფელში თითქმის არავინაა და გლეხების გოგოებში კი არც ნექტარინა აძლევს ნებას, რომ დაუახლოვდეს-და არც თვითონ ცდილა ვისთანმე დაახლოებას. ეკლესიაში ან სადმე „ჯარიანობაში“ შეიძლება ზოგჯერ შეუერთდეს მათ, ერთი-ორი ტკბილი სიტყვა უთხრას კიდეც რომელიმე მათგანს, მაგრამ ისინი ისე ეჭცეკიან, როგორც მოსარიდალ ბატონიშვილს და გულთან ახლოს არ იკარებენ. ამიტომ გრძნობს დიდ მარტოობას. ამიტომ ეუცხოს ვარსკვლავებთან ოცნება და ღრუბლებთან ლაპარაკი. ეს მისი სიცოცხლის წყაროა, მისი სიმშვიდე, მისი ქალწულებრივი განცხრომა.

ჰო, არის კიდევ ერთი ვინმე, უფრო ახლობელი, უფრო გულთბილი. ეს ძილბანია, მაგრამ ისიც დედა არ არის, არც

ტოლ-ამხანაგი. ეს უფრო გამდელია, რომელიც მაინც ჭვევი-დან შეჰყურებს ზემდგომ არსებას.

და არავინ არის, არავინ, რომ იგრძნოს მეგობრული გუ-ლის სიმხურვალე, სულთაზიარობა.

ტაია?

ო-ო, ტაია სულ სხვაა! ეს კერპია თაყვანსაცემი, მასზე მხოლოდ ლოცულობს და თუ იმას გრძნობს, რომ ტაია მეტის-მეტად უბრალოდ, ამხანაგურად ექცევა, ეხუმრება, ზოგჯერ ჭირდავს კიდეც და თვითონაც თუ ზოგჯერ აჰყვება ხუმრობა-ში, ზოგჯერ თუ თვითონაც „გაუჭილიკებს“, ეს მაინც თანა-ტოლობა არ არის. აქაც ჭვევიდან შეჰყურებს გოგონას გული-ღირსეულს, სულიერად მაღალმდგომ ჭაბუკს.

სტუმრებში? განსაკუთრებით დაგმარა და მარინა მშვენივ-რად ეპყრობიან, თვით ბარონესა ზოგჯერ ეხვევა კიდეც, ქალი-შვილებიც კოცნიან, მაგრამ აქაც თოლისჭვამი გრძნობს, რომ ეს მოპყრობა ისეთია, როგორც ბავშვისადმი დიდთა დამოკი-დებულება!..

ძილხანი გამოვიდა აივანზე და უთხრა, ქალბატონი თავის-თან გიხმობსო.

შენაკადი

IV

ერთ ქალს ერთხელ ასე ვუთხარი, ციბედულ!

— მე თუ ახლა შევირთავ ქალს — ბუნებით უნდა იყოს შემკული, სახით, აზროვნებით და... მზე ჩემზე ამოსდიოდეს.

ეწყინა:

— როგორ? შენ გინდა ქალი მონად იყოლიო?

ეწყინებოდა — მას სწამდა ქალის ნამდვილი ადამიანობა, მამაკაცის შემძლები მეუღლეობა. გესმით თქვენ? მეუღლეობა აქ მარტო ცოლქმრობას კი არ ნიშნავს, არამედ ნამდვილი უღლის გაწევას, თანატოლობას, თანასწორობას.

და მეც ვიწამე, ახლაცა მწამს ქალის ნამდვილი, ადამიანუ-რი პოტენცია...

შენ რომ ნამდვილ მენახე, ციბედულ! შენ, ნაზო და თანა

შყარმაგარო ქმნილებავ, საუცხოო, ყველა მაღალი თვისებით შემკულო!

შენ რომ ნამდვილ მენახე, მაშინ... მაშინ სრულყოფილად ფიქნებოდი ბედნიერი.

მაგრამ მე აქ გავერთე, ისევ შენთან, ციბედულ, და იქ მელოდებიან ჩემი გმირები:

— ბარემ დაბრუნდი ჩვენზე სათქმელი. რას გვაწვალებ და გვაკახირებ ამდენს. მოუყევ მკითხველს, როგორც იყო საქმე...

კარგი, ბატონებო!

აი როგორ იყო:

9

სადაც გურძემია ტეხურს ერთვის, იმის ცოტა ზემოთ, ნექტარინას ეზოს უკან იყო ამ მთვარიან ღამეს თევზაობა გაჩაღებული.

სოფლის მამაკაცების უმრავლესობას იქ მოეყარა თავი, მათ თან ახლდნენ ცოტა მორბედი ბიჭები კალათებით, ქვაბებითა და ტომსიკებით დაჭერილი თევზების ჩასალაგებლად.

ზოგიერთს იქვე, წყლის პირად, რიყის ქვებისაგან პაწია სახელდახელო კერა გაეკეთებინა, ქვებსშუა ცეცხლი შეენთო, ზედ კარდალა დაედგა და პირის ჩასაგემრიელებლად „ცრცხალს“ ხარშავდა. მათ თანვე ჰქონდათ წამოღებული მჭადი და ხელდრქით ღვინოც. ერთგან ღილინიც იყო „აშვებული“. საერთოდ, ამჟამად ხმაურსა და სიცილ-ყიყინს არ ერიდებოდნენ. იცოდნენ, რომ ამით გურძემიაში შვილიერების დასაყრელად შემოსულ თევზებს ვერ დააფრთხობდნენ. და იყო წალისი და ხუმრობა ერთიმეორეზე მიყოლებული.

მეთევზეებს თანდათან ემატებოდნენ. შემომატებულებში ნექტარინადან წამოსული ასაბიაც გაჩნდა.

ისინი ერთ მოხერხებულ კოდმეზე ჩამოსხდნენ და იქიდან უკურებდნენ თევზების ჭერას.

მთვარემ თანდათან დაიწყო გურძემიას და მისი ზედაპირი აათვრცხლისფერა. ამას კიდევ უფრო ხელი შეუწყო მდინარის ჭავლთა ნელმა ჩქროლვამ. ამას კი იწვევდა თევზების ხტომა წყლის ზედაპირზე. ისინი ეძებდნენ წყალში რომელიმე

ბრტყელ ქვას, რომ ერთი წუთით ამოეყუჩუჭუჭებინათ ცოტა ხნით ზედ დაკვდომოდნენ ქვირითის დასაყრელად და შემდეგ ისევ გასრიალებულიყვნენ საყვარელ სტიქიაში.

მაგრამ სწორედ ამ დროს იყო, რომ მეზვადურები სასროლი ბადით აღარ უშვებდნენ მათ სასიცოცხლოდ.

თევზები უხვად გამოჰქონდათ და იქვე ყრიდნენ მინდვრად, განაწილებამდე. თევზები კი ერთ ხანს ფართხალებდნენ მშრალზე. მიიწეოდნენ მდინარისაკენ, მაგრამ შემდეგ ფანდათან დუნდებოდნენ, იქანცებოდნენ და ეტყობოდათ, რომ სული ეხუთებოდათ.

ეს ყველაფერი კარგად შეამჩნია რიაბინინამ და სიბრალული აღეძრა: გაუზიარა კიდეც თავისი გრძნობა მასთან ჩამომჯდარ ბეგის:

— რა მეუბრალებია ადამიანი! თავისი სტომაქისათვის არ ზოგავს სხვის სიცოცხლეს!

ბეგიმ გადაიხარხარა. არაფერი უპასუხა და ერთი მოფართხალე თევზი ხელთ ჩაუდო.

რიაბინინა ცოტა შეკრთა, რადგან სველი და ცივი თევზის ქერტლი უსიამოდ მოეჩვენა, მაგრამ მაინც მომდიმარემ თევზი წყალში გადაუშვა.

— რას სჩადიხართ, რას? — მიაძახა ბეგიმ. — მეტისმეტი გულჩვილი ყოფილხართ. მოხარშულს და დამზადებულს რომ მოგართმევენ, ხომ კარგად მიირთმევთ?

რიაბინინამ ამაზე არაფერი უთხრა, მხოლოდ სახეში ჩახედა ლმობიერად, თითქოს დაუდასტურა, რომ მართალს ამბობს, და გულში კი გაიფიქრა: „ეტყობა, ასე ხდება ცხოვრებაში, თვით არ გვინდა სხვის ტანჯვას ვუყურობთ, მხოლოდ თუ ამ ტანჯვისაგან ჩვენ რაიმე სარგებლობას მივიღებთ, ამაზე კი არ ვიტყვით უარს“.

ვოლკოვი და დაგმარაც თევზებით იყვნენ გართულნი. ვოლკოვმაც დაგმარას ცოცხალი თევზი მიაწოდა გასასინჯად. დაგმარაც შეეცადა თევზის დათვალიერებას, მაგრამ თევზი გაუსხლტა ხელიდან და კარგა მანძილზე მდინარიაკენ გასრიალდა.

ვოლკოვმა დასცინა:

— ეგ როგორ შეიძლება! წელთ ჩავარდნილი ბედნიერება ხელთაც არ უნდა გაუშვათ, არ უნდა გაგისხლტეთ.

— მერედა ეგ რა ბედნიერება არის? — უპასუხა დაგმარამ.

— ეგ მანიშნებელია თქვენი სუსტი ხასიათისა, დაგმარა ალბერტოვნა, ეტყობა, კარზე მომდგარ ბედნიერებას მაგრად ხელს ვერ ჩასჭიდებთ.

— ვითომ ასეა? — თითქოს გულუბრყვილოდ შეეკითხა დაგმარა.

ვოლკოვი ცოტა ჩაფიქრდა და შემდეგ განაგრძო:

— ჰო, მივხვდი, რაც გინდოდათ გეთქვათ. მართალია, გაუთხოვარი ქალი გამოუცნობი რამ ამოცანაა, სფინქსია, სწორად ვერ გაიგებ მის მთავარ ხასიათს: სანამ ქალწულია, ნაზია და ულმობელი თავისი საქციელით, რომ გათხოვდება, შემდეგ შეიძლება ბრჭყალებიც გამოიჩინოს.

ამასობაში ლევარსის გარშემო მთელი ჯგუფი შეკრებილიყო. ეტყობოდათ, რომ პატივისცემით ეპყრობოდნენ, თითქოს თავი ესახელებოდათ, რომ მათი თანასოფლელი მგზობელი ასე დაწინაურდა, ასეთი შეძლებული და გავლენიანი გახდა. იმავე დროს ცოტა შური და სიხარბე იგრძნობოდა მათს დამოკიდებულებაში, რომ ლევარსი იყო ასეთი და არა ისინი. თაკიანთი თავი თითქოს მეტად დაბლა საფეხურზე მდგომად მიაჩნდათ, ხოლო ლევარსი ამაღლებულად.

ამას ადასტურებდა მათი მორიდებული სიტყვები, მათი შეგებება და სიხარული, რომ მოიწვია და თავისი წმობელი სოფელი იხსენა. თან მისკენ ეზიდებოდნენ თევზებს: ზოგს ათოდე მოჰქონდა, ზოგს კიდევ მეტი და ამგვარად თევზების ქარგა ხვავი უდგებოდა.

ლევარსიც მადლობას უხდიდა, ხალისით ესაუბრებოდა, ზოგი თავისი შავშვობის ნაცნობიც შეიცნო და, შეიძლება უნებლიეთაც, ცდილობდა ყველასათვის საყვარელი და სანაქებო ყოფილიყო.

ერთმა ნაცნობმა ისიც კი სთხოვა, რომ ეკადრებინა და მის სახლში მირონი შეეტანა, ე. ი. მოეწათლა მისი პაწია ბავშვი.

ლევარსი დაეთანხმა. და ამან კამოიწვია იქ მყოფთა შორის ჩუმი, შურით აღვსილი ჩურჩული, რადგან ყველამ იცოდა, რომ ლევარსის დამოყვრება, სულიერი დანათესავება, მომავალი ნათლიმამის ღვაწისათვის მეტად სასარგებლო საქმე იყო.

ბარამი ამ დროს თევზის ჭერას უყურებდა, მაგრამ დაეტყო

უკმაყოფილება, რის ნიშნად ორჯერ თავიც გაიქნია და ბოლოს წყალში მდგარ მეთევზეებს შესძახა:

— შეჩერდით, ცოტა ხანს შეჩერდით!

შებადურები მართლაც შეჩერდნენ და კიდეზე მდგარმა ხალხმაც მისკენ მოიბრუნა თავი.

ბარამმა ხმამაღლა განაგრძო:

— ასე არ შეიძლება თევზის ჭერა! ყველაფერს თავისი წესი აქვს. თქვენ ყველანი ერთიმეორეში ხართ არეულები და ვინ რამდენს იჭერს, ალაჰმა უწყის. აგერ ნიტუიას და ოისიმეს კი ნაღამ ჩხუბი მოუვიდათ — არა ჩემი დაჭერილია ეს თევზები, არა ჩემიო. ასე არ შეიძლება! განა დაგავიწყდათ, ერთხელ იმ მიგითითეთ: თევზის ჭერა უნდა იყოს მორიგისით, გვაროვნობით, ოჯახობით. ამისათვის დრო უნდა განვსაზღვროთ. ვთქვათ, ერთი გვარისანი ოც წუთს რომ იჭერენ, მეორე გვაროვნებამ მეორე ოცი წუთი უნდა ითევზაოს. მაშინ, უჩხუბრად და უფრო სამართლიანად გერგებათ ყველას თქვენ თქვენი.

ახრიალდნენ. ბევრი დაეთანხმა — ასე აჯობებსო, ბევრი კი ამბობდა — რაც დაგვიჭერია, იმაზე როგორ მოვიქცეთო. ჩაჭრამ დაჭერილის ხელახლა გადანაწილება არავის არ მოუსურვებია და ამაში ბარამიც დაეთანხმა — რაც იყო, იყო, მომავალში მოვიქცეთ რიგიანადო.

მხოლოდ ვიღაცამ ხმა ამოიღო:

— ეგ კარგი, ბატონო ბარამ, მაგრამ, ვთქვათ, როდესაც ჩვენი გვაროვნობა დაიწყებს თევზის ჭერას, შეიძლება, მანამ თევზი იმდენი არ შემოვიდეს „საყრელად“ და აგერ ჭითანჯები რომ დაიწყებენ ჭერას, მაშინ შეიძლება მოზღვავდეს თევზი?

— ჰო, ჰო! — ყველამ გაიცინა.

ამაზე ბარამმა ღიმილით უპასუხა:

— თქვენ რუსთაველი ხომ გაგიგონიათ, ძმებო!

ამ „ძმობაზე“ რომელიღაც ახალგაზრდამ თავისიანებში ჩუმად ჩაილაპარაკა:

— რომ არაფერი ძმები ვართ ჩვენ და გვირგვილიანები?!

ფხუო, წაცდა მის გარშემო მყოფთ, მაგრამ ეს შენიშვნა თავის წრეშივე ჩაკვდა, არავინ არ გამოხმაურებია და არც ბარამს გაუგონია ახალგაზრდის ამონაკვნესი.

— რუსთაველი ამბობს: „ვისაც ბედმან ვის რა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს!“

— მართალია, მართალი! — ცოტა გულისტკენით, მაგრამ მაინც დაუმოწმეს ბარამს და შეუდგნენ მისი წინადადების განხორციელებას.

ჯერთი მაინც შეეკითხა ბარამს:

— თავიდან დავიწყოთ, ბატონიშვილო?

— ჰო, თავიდან, რასაკვირველია! რა ამდენი გვაროვნობა ჩვენშია! სულ თხუთმეტიოდე თუ იქნება!

— აბა კარგი! დავიწყოთ ჭითანავებიდან.

ეაიწყეს.

ჭითანავებს მოჰყვა ხუბუნაიები, გვაძაბიები, დავითაიები, ბარძემიშვილები, ბეალავები, პირტახიები და სხვ.

არც ერთი არ დარჩა უკმაყოფილო, რადგან ამჯერზე თევზი ხუხვად შემოდიოდა გურძემიაში და მონაგარიც დიდი იყო.

როდესაც თევზის ხვაკები ჩამორიგდა ცალ-ცალკე ზვინებად გვაროვნობაზე, ბარამი ცალკე მიმჯდარი, გაჩუმებული ჩუყურებდა სანახავს. ამ დროს მიმართა ერთმა ხანდაზმულმა ბზნაურმა:

— თქვენ, ბატონო ბარამ! თქვენს წილს რატომ არ იღებთ? თქვენი არაა ეს გურძემიაც და მისი თევზებიც?

— მართალია, მაგრამ როდის იყო, სოფელს რომ ვაწუწებდი?

— აჰ, ეგ არა, ბატონიშვილო! თქვენისთანა ანგელოზი კაცი ამ სოფელს ჯერ სულ არ ღირსებია. აქაურ კაცს, ბატონო, თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელს არავინ ამოისვამს...

— კარგი, კარგი, როსთოხან! რაში გჭირდება ახლა შენ ამბეთი რამ ჩემთან? — ცოტა წყენით წარმოთქვა ბარამმა, შემდეგ დააყოლა: — სათხოვარი გაქვს რამე?

— არა, თქვენი რისხვა არ მომეცეს. რა მექნება თქვენი შესაწუხებელი. მე იმაზე მოგახსენებთ, რომ არაფერ ხმას არ იღებთ არც თქვენ და არც კნიაზ ბეგი, მაშინ, როდესაც ხალხი აივსო თევზებით და გუტატიმაც თქვენს მობრძანებამდე კნეინა ნექტარინასათვის თავისი ნაყმევებისაგან კარგა ძალი წაალებინა.

— ყველამ თავისი საქმე იცის, ჩემო როსთოხან! მე კი... თვითონ მოიფიქრებენ უთუოდ და არც მე და არც ბეგის არ

დაგვტოვებენ უნაწილოდ. ნათქვამია: კეისარსა კეისარს და ღვთისა ღმერთსო. ეს უნდა ახსოვდეთ.

ცოტა ხნის შემდეგ როსტოხანი ჩამოშორდა ბარამს და მყისვე მეთევზეებში გაიელვა ბარამის ნაბრძანებმა. ამას მოჰყვა ის, რომ ძალიან მალე ბარამისა და ბეგის გარშემო კარგა მოზრდილი ზვინები დადგა თევზებისა. თვითეულმა გვარონობამ მრავალეობად ჩათვალა თავისი ხვავიდან ერთი მეათედი მაინც გაეზიარებინა „თავაზიანი“ მებატონეებისათვის.

როდესაც რიაბინინამ გაიგო, რომ ერთ-ერთი ზვინი ბეგის მოართვეს გაკვირვებით შეეკითხა მას:

— შერმედა ამდენი თევზი ერთ-ორ დღეში როგორ უნდა მიირთვათ! ხომ წახდა სულერთიანად.

— არა... რამდენიც გვინდა, იმდენს ხვალ გიახლებით, დანარჩენს კი ვამარილებთ, ვშაშხავთ; დიდხანს ინახება და მშვენიერი საჭმელიც არის. ბევრად უფრო გემრიელი, ვიდრე გათქმული „კაპჩონი სელიოდკა“.

მეგობარმა მარინა თითქოს ყურს არ უგდებდა. აგერ სწორედ მის თვალწინ, ძალიან ახლოს მის ფეხებთან, წყლიდან ამოხტა კარგა მოზრდილი ტობი და იქვე მდებარე ბრტყელ ქვას ზედ დააკვდა.

ახლო მყოფმა მებადურმა ცოტა ხანს აცალა და შემდეგ იმდენი იმარჯვა, რომ ხელით დაიჭირა და მინდორზე გადმოაგდო.

— საკვირველია! — წამოიცდა მარინას. — ეს მებადური მარჯვე ყოფილა, მაგრამ თვითონ თევზი რამ შეჭამა ასე, მტერს ხელიდან ვერ გაუსხლტა. ბადე რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო! თორემ ხელით? ან მიახლოება ვერ იგრძნო? საფრთხემ ვერ შეაშინა? თევზებიც ხომ ძალიან ფრთხილები. არიან, „ხელთდაუჭერი?“

— როდესაც თევზი „ჰყრის“, ჩვენ ასე ვეძახით მშობიარობას, — აუხსნა ბეგიმ, — მაშინ ისეთ მდგომარეობაშია, თითქოს მთვრალიაო და სიფრთხილეს ჰკარგავს. იმიტომ-არის ასეთი დიდი მოსავალი. ეს ხდება ყოველი გაზაფხულის პირას, განსაკუთრებით საღამოთი, დილმარხვაში.

— რა საკვირველია ბუნების ამბავი! — ჩაილაპარაკა იქვე რიაბინინამ, — უდიდესი აქტი სიცოცხლისა თევზებისათვის

თავდავიწყების ძოძგვრელი ყოფილა, — ძებდეგ დააძატა: — მაშ ხიზილალა ამ ქვირითებისაგან კეთდება?

— აგრე უნდა იყოს, — დაუმოწმა ბეგიმაც. — მხოლოდ ჩვენში ხიზილალას პალიასტომის ტბაში დაჭერილ ზუთხის ქვირითებისაგან აკეთებენ. ამ პატარა თევზებიდან კი არ გამოგონია... მაგრამ აგერ, გაჩვენებთ. ბიჭო! — გადასძახა ბეგიმ იმ მებადურს, რომელმაც ხელით დაიჭირა თევზი. — მოიტანე ის ქვა... აი, თევზმა რომ ქვირითი დაჰყარა. ჰო, ქვა, ქვა! რა? დიდია? ოჰ, შე უბედურო, რა უნდა მაგას! — და წამოიწია თითქოს მის ამოსატანად, მაგრამ მანამ მებადურმა მოურბენინა.

ქვა კარგა მოზრდილი და მრგვალი იყო, მხოლოდ ერთ მხარეზე თითქოს განგებ გაბრტყელებული. ამაზე მიუთითა ბეგიმ რიაბინინას. ისიც დააცქერდა, მაგრამ სისვი ფერის ქვისაგან მთვარის ნელ სინათლეზე ძნელი გასარჩევი იყო თითქმის იმავ ფერის ქვირითი. დიდი დაკვირვების შემდეგ რიაბინინამ დაინახა პატარ-პატარა მარცვლებივით ჩაწყობილი თევზის „კვერცხები“.

ბეგი უხსნიდა: აქედან გამოდიან ბაწრის ლიფსიტები და შემდეგ თევზდებიანო. რიაბინინა მაინც გაოცებული იყო და ხშირად იმეორებდა:

— რა საკვირველია და მრავალფეროვანი ბუნება და მისი კანონები.

უკვე იცვლება პირველი დაბნელება წამოიჭრა სიცივისაგან, მას სხვებიც აჰყვნენ და გაუდგნენ გზას ნეჭტარინას სასახლისაკენ. მხოლოდ ევტიხი და ლევარსი ჩამორჩნენ, სოფლელებთან საუბარში გართულები.

ბარამმა კი უბრძანა თავის მეზობელ გლეხებს, მოზრდილებს, მისი და ბეგის წილი წაეღოთ ბათუმს. ვოლკოვი და დაბნელება დაწინაურდნენ და თითქმის სირბილით აივაკეს ნეჭტარინას უკანა ეზო.

რიაბინინა და ბეგი კი ერთ ხანს ჰდიოდნენ სერნობით, მაგრამ როდესაც ბეგიმ შეატყო, რომ მარინა სიცივემ აიტანა, ნაბდის ერთი კალთა მას შემოახვია და ასე წაიყვანა. მარინას წინააღმდეგობა არ გაუწევია, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, სიამოვნებით მიიყუჟა ბეგის ჭილებიან გულმკერდზე და ამ მდგომარეობაში განაგრძო გზა.

ფარნა ბჟალაახთან ვახშმად ისხდნენ, როდესაც ვამეხთ კარზე დაუკაკუნებლად მათთან შევიდა და მხიარული კილოთი მიმართა მასპინძელს:

— ხიზანო! ამაღამ მე უსდა შემოგეხიზნო, მაგრამ... — თვალი შეავლო მანჩა ჯგერენაიას, — ოჰო, შენ სხვა სტუმარიც გყოლია!

ვამეხის სიტყვებზე ყველა იქ მყოფი საჩქაროდ ფეხზე წამოდგა და ღიმილით მიეგება საამურ სტუმარს.

— მობრძანდით, ბატონო ვამეხ, დაბრძანდით! — გულთბილად სთხოვეს ფარნამ და მისმა მეუღლემ. მაგრამ ვამეხმა თავი უკმაყოფილოდ გაიქნია:

— გაუფრთხილებლები ყოფილხართ. მე ვამჩნევ, ყმაწვილო, — მიმართა მან ჯგერენაიას, — რომ თოფი მუხლებს შუა გიყუდია, მაგრამ დაუკეტელ კარებში თქვენი ჯდომა ამჟამად ვერ არის კარგი.

ფარნას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ისევ ვამეხმა დასწრო:

— ეს ყმაწვილი ვიცანი, ვინც არის... ჯგერენაიაა ხომ? მართალია, მაგას არცთუ ისე ფიცხად სდევნიან, რადგან აბრაგად არც კი მიაჩნიათ, მაინც სიფრთხილეს თავი არა სტკივა. კნეინა ნექტარინასთან ათასი ხალხი ირევა; კარგად იცით, რომ ხშირად მაზრის უფროსიც მოდის, პრისტავებიც, მამასახლისიც ხშირად იცის გამოვლა. ვინმემ რომ შენიშნოს მაგისი აქ ყოფნა, არ გამოვა კარგი საქმე.

ფარნამ მაინც გაბედა:

— მართალს ბრძანებ, ბატონო, მაგრამ თითქმის წამდაუწუმ ხან ჩემი ბიჭი გატანტალდება ეზოში, ხან თვითონ ჩემი მეუღლე, ეზოს და მისადგომებს მუდამ ათვალიერებენ. თქვენც მოსვლამდისაც ჩემი ბიჭი იყო გარეთ და საეჭვო არაფერი შეუმჩნევია. კარები კი ღია დარჩენია მაგ შერცხვენილს.

— ჰოდა, თქვენმა ბიჭმაც უნდა ისწავლოს სიფრთხილე. ვინ იცის, რა დრო დადგება. შეიძლება ძალიანაც დაგჭირდეთ საიდუმლოდ თავის შენახვა. ასე კარღიად ვერ იბოგინებთ მაშინ.

— შენი ჭკუის დარიგება ნუ მოგვეშალოს, ვამეხ! — ჩაურ-

თო ფარნას მეუღლემ და წელახლა შესთავაზა დაბალი, სამფეხა სკამი, რომ ვამეხი ტაბლას მისჯდომოდა.

ვამეხი ჩამოჯდა, ფარნამ კარებს ურდული გაუყარა.

— გამიკვირდა, საწყალ იოსეს დატირებაზე რომ არც ერთი არ იყავით. შენ, ფარნა, სათევზაოდ მეგონე წასული, მაგრამ ფანთა რომ არ იყო, ეს კი უფრო მაკვირვებდა.

— აბა, საწყალი იოსე! ღმერთო მომკალი, — შეწუხდა ფანთა.

ვამეხმა ალარ დააცალა:

— აარა! ახლა მიხვედრილი ვარ. ამისთანა სტუმარს როგორ დატოვებდით. მხოლოდ ამაღამ მეც თქვენთან მინდა ღამე გავათიო.

— კი, ბატონო, კი, შენი ჭირიმე! — წამოიძახა ცოლ-ქმარმა. — მანამდი კი ცოტა რამე მიირთვი, ბატონო, გეშიება.

— მართალია, ცოტა მომშეული ვარ.

— აგერ, ბატონო, აგერ, მოხარშული თევზი, ყველი, ღომი.

— ო-ო, თქვენ უწვნოც გქონიათ, უწვნო, ჩემი საყვარელი საჭმელი. მე რომ მკითხო, საცივს ეს მირჩევნია. მეტად გემრიელი რამ არის.

და ვამეხი შეუდგა პურადღებას. თან სიცილით თქვა:

— საკვირველი ის არის, რომ უწვნოს ეძახიან და ამდენი წკენი კი აქვს!

— ეგ, ბატონო, — ეცადა ფანთა განმარტებას, — თითქოს უწყლოდ არის ქათამი თავისი საკაზმით გაკეთებული, მარტო თავის წვენში და იმიტომ ვეძახით უწვნოს.

— ვიცი, ჩემო ფანთა, ვიცი. შენ გგონია, მე ვერ გავაკეთებ უწვნოს? აი, ციმბირში რომ ვიყავი, ზოგჯერ გიშოვიდი ქათამს, საკაზმავებსაც, მხოლოდ ეს ყვითელი კოჭი მიჭირვებდა საქმეს, მაგრამ მაინც კარგად ვამზადებდი.

— უი, ნანა, ნანა! სი ქოგალე!* — თანაგრძნობით წარმოთქვა ფანთამ მეგრულად და თან გულში უკვირდა: „როგორ იოლად იხსენებს მის ციმბირში ყოფნას, თითქოს აქ სადღაც ყურის ძირში ყოფილიყოს და ისიც თავისი ნებით წასული, მაგრამ ის კი არ იცოდა ფანთამ, რომ საერთოდ იქაურ თავის

* შენ შემოგევლე.

ცხოვრებაზე ლაპარაკი არცთუ ისე უყვარდა ვამეხს და იშვიათად თუ ვისმე გაუზიარებდა თავის თავგადასავალს. ფანთამ ეს არ იცოდა იმიტომ, რომ ამაზე საუბარი ვამეხთან არასოდეს არ ჰქონია.

ვამეხი გემრიელად შეექცეოდა, მაგრამ როდესაც შინდისფერი ღვინოც ბატარა ჭიქით იგემა, დიდად მოიწონა.

— ეს საიდან, ფარნა? იზაბელის ღვინო ამ გამოზაფხულზე, ასე შენახული, გადაუბრუნებელი, მერე ისე გემრიელი?! შენია თუ პეპუიასი? ამბობენ, იმან იცის ღვინის კარგი შენახვაო.

— ჩემი გახლავთ, შენი ჭირი შემეყაროს, ნაქუჩულოროუს დობილო ხომ ჩემი გაშენებულია, კნეინა ნექტარინას ვდგილზე. მაგრამ ახლა მისი მოურავი გუტატი მედავება. ხომ იცი, ჩვენი ხიზნების საქმე, ვადა გაგივიდა და ვენახი ადგილის პატრონს, კნეინას, უნდა დაუბრუნდესო.

— ტყუილი უთქვამს! ეგ, ჩემო ფარნა, კიდევ შეიძლებოდა მანამდე, სანამ 1891 წლის ივნისის 1-ს კანონი გამოვიდოდა ხიზნების შესახებ: მებატონეს შეეძლო ხიზანი გაეგდო თავისი ადგილიდან, რომელსაც მოესურვებოდა, მხოლოდ ხიზანი კი უნდა დაეკმაყოფილებინა ცოტა რამეთი მაინც, თანახმად იმ დროინდელი ჩვეულებისა და ადათისა.

— ვიცი, ბატონო, თავის დროზე თქვენ აგვიხსენით, მაგრამ გუტატი მეუბნება: ეგ კანონიც მებატონის სასარგებლოდ ლაპარაკობს, მებატონემ თავის დროზე უნდა გამოგიცხადოს თავისი ნებასურვილი, მეც კანონისამებრ, ერთი წლით ადრე, შარშან გამოგიცხადე. შენ დანახარჯს აგინაზღაურებთ ისე, როგორც ორივე მხრივ არჩეული კაცები გადაწყვეტენ, და წადი, მოგვშორდიო.

— ეგ მართალია, ფარნა! ამის ნებას 91 წლის კანონი მებატონეს აძლევს.

— მე კი, ბატონო ვამეხ, ცოცხალი თავით არ დავანებებ ჩემს ნაწვავ-ნაკვდავს.

ამაზე ვამეხმა არაფერი არ უთხრა. ჭამა მიატოვა და დაკვირვებით შეხედა. შემდეგ ღრმად ჩაფიქრდა.

სიჩუმე აქამდე მდუმარედ მყოფმა მანჩამ დაარღვია:

— მართლა საკვირველია ამ ჩვენი ხიზნების საქმე, ბატონო ვამეხ! ხიზნები, ასეთი მდგომარეობის გლეხობა, გამიგონია, რომ მხოლოდ საქართველოშია.

— ა? — თითქოს გამოერკვა ვამეხი ფიქრისაგან, — დიახ, ხიზნები მხოლოდ ჩვენშია.

— მე ის მინდა მოგახსენოთ, — განაგრძო მაშამ, — რომ ეს ჩვენი ხიზნები თითქოს პირადი თავისუფლებით სარგებლობენ და სარგებლობდნენ თვით ბატონყმობის გადავარდნამდეც კი, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ყმები განთავისუფლდნენ და დროებით ვალდებულ გლეხებად გახდნენ, ხიზნებს პირადი თავისუფლების გარდა მაინც არაფერი არ შერჩათ. საკუთარი არაფერი არა აქვთ. მაშინ, როდესაც დროებით ვალდებულ გლეხებს, თუ თავს დაიხსნიან, ასე თუ ისე, საკუთარი მიწა-წყალიც გაუჩნდებათ, ეზო-კარმიდამოც და სხვა. ხიზანი კი მუდამ სხვის ადგილზე მუშაობს, ისიც რალაც ვადებით და მებატონეც თუ მოისურვებს, გააგდებს, ამას გარდა, ხიზანს მებატონის ბეგარა კიდევ შერჩა, ეს ღალაო, ეს კულუხიო და თან ბატონის ყანაში თუ ვენახში მუშაობა, თესვა, მოყვანა, მკრეფა, დაწურვა და სხვა.

— აგრეა, ჩემო მანჩა, აგრე... მანჩა გქვიათ, არა? ჰოდა სწორედ ამისთანა უსამართლობას უნდა გამოსწორება, მაგრამ ამის გამოსწორებას სულ სხვაგვარი შეტევა უნდა, ჩემო მეგობარო!..

მანჩას, თითქოს რალაც ენიშნაო, ულვაშებში ჩაეცინა და არაფერი კი არ თქვა.

ფანთა ვამეხს შეეკითხა:

— ეს მიბრძანე, რა არი თვითონ ეს სიტყვა ხიზანი? ამდენი ხანია ხიზნის ცოლი ვარ, — ღიმილით გადახედა ფარნას, — და მდგომარეობით კი გავიგე, რას ნიშნავს ხიზნობა, მაგრამ თვითონ სიტყვის მნიშვნელობა არ მესმის.

— დედაცარ! — თითქოს უხუმრად, თითქოს ხუმრობითაც შემოწყრა ფარნა. — რამდენჯერ ამიხსნია შენთვის, რა ღმერთი გაგიწყრა, როგორ ვერ დაიხსომე!

— დედამ რომ იცის, მე არ ვიცი, სკოლაში ჩვენთან არ განუმარტავთ, — წამოიძახა ფარნას პატარა ბიჭმა.

— ჰა, ჰა! — გაეცინა ვამეხს. — ჰმ, სკოლაში? შენ სად სწავლობ? ჩვენს სამრევლო სკოლაში?

— დიახ, ბატონო! — ცქვიტად მიუგო პატარამ.

— ჰოდა, ამისთანებს ვინ გასწავლის, ბიძია, სკოლაში? ეჰ,

ეჰე! — გულიანად ამოიოხრა ვამეხმა და მანჩას კარგა ხანს შეაჩერდა.

მანჩაც ჩაფიქრებული, თითქოს თვალებით დაეთანხმა: — მიგიხვდი მაგ ამოოხვრაში რამდენი გულის ტკივილიც ჩაატანე არსებულ დუხჭირ წესწყობილებისადმიო.

ვამეხს კვლავ ღიმილი მოუვიდა:

— მერმედა სამრევლო სკოლაში თედორე მღვდელი გასწავლის ამისთანა რამეს? ან რა იცის ამისი, რა ესმის! ის უთუოდ უფრო ლოცვებს გაზეპირებინებს!

— დიახ, ბატონო! — კვლავ სხარტად მიუგო პატარამ, — „მამაო ჩვენო“, „მრწამსი“, „თვალნი ყოველთანი“, „გმადლობ შენ უფალო, რამეთუ განმაძღე მე“ და სხვა.

— ჰო, შვილო, — კვლავ ამოხვნეშით წარმოთქვა ვამეხმა, — ხიზნების საქმე მამაშენმა ბევრად უკეთ იცის, ვიდრე ჩვენმა პატიოსანმა ხუცესმა. სიტყვა ხიზანი კი, ფანთა, ნიშნავს შევრდომებულს, თავშეფარებულს. აი, მე... ჰა, ჰა! ამაღამ თქვენი შევრდომილი ვარ, თქვენთან თავშეფარებული, თქვენი ხიზანი.

— რას ბრძანებ, ბატონო! — მოუბოდიშა ფანთამ.

— არა! როგორც ხედავ, ხიზანი ცუდი სიტყვა არაა: მინდობილს ნიშნავს, ზოგჯერ რაიმე უბედურებისაგან განრიდებულს. როდესაც მტერი მოადგებოდა ქვეყანას, მაშინ ხალხი მთებში ან რომელიმე საიმედო ალაგას გაიხიზნებოდა, ან, რაიმე გადამდები სნეულება რომ ჩამოვარდება სოფელში, მაშინ წინდახედული ადამიანები ოჯახს სადმე გახიზნავენ, განარიდებენ ფათერაკს.

— ჩვენც, ბატონო ვამეხ, თავს ვარიდებდით ფათერაკს, დამთხვეული მებატონის სისასტიკეს გამოვექცეოდით და სხვას ვაფარებდით თავს, — ჩაერია ფარნა.

— სწორედ, ჩემო ფარნა, სწორედ. ჩვენში ხიზნებს შეადგენდნენ რომელიმე მებატონისაგან გამოქცეული გლეხები, ან ისეთები, რომლებიც თავდახსნილები იყვნენ და საცხოვრებლად ეძებდნენ უფრო ნაყოფიერ და სასარგებლო შიწა-წყალს, ეს ის გლეხები იყვნენ, რომელთაც ან სრულიად არა ჰქონდათ დასამუშავებელი მამული, ან თუ ჰქონდათ ისეთი, რომ საცხოვრებლად არა ჰყოფნიდათ და ამიტომაც ერთი მებატონისაგან მეორესთან გადაინაცვლებდნენ ხოლმე.

— დიახ, ბატონო, დიახ და... „ვაის" გაეყრებოდნენ და ვუის შეევყრებოდნენ" ხოლმე.

— მართალი ხარ, ფარნა, მართალი, ეგ ძალიან ძველი ანდაზაა საქართველოში და, ჩემის ფიქრით, სწორედ ასეთი შეჭირვებული გლეხების გამოთქმულია ეგ ანდაზა, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ეს ხალხმა იმ გარემოებას მიაწერა, როდესაც ერთი გარეშე მტერი დაიჭერდა ქვეყანას და იყო ერთი ვაი უშველებელი, როგორც იყო ამისგან თავს რომ გაიხთავისუფლებდნენ, შემდეგ მეორე მტერი ამპყრობდა სამშობლოს და კიდევ უფრო მეტი „ვუის" ძახილი ატყდებოდა ხოლმე.

— ჩვენ ბატონო, გამოქცეულები ვართ.

— ვიცი, ფარნა! თქვენ ფალავების ნაყმევები ხართ და გვირგვილიანებს მოგვაშურეთ. ეს ასეა, მაგრამ ხიზნები საერთოდ კიდევ ისეთ ხალხისაგან შედგებოდა ცოტა უფრო ძველად, როდესაც, ვთქვათ, ქართლში ომი იყო გარეშე მტერთან და იმავ დროს, ვთქვათ, ოდიშში მშვიდობიანობა, აი მაშინ ზოგი ქართველი ოჯახი აქეთ მოაშურებდა და აქ ესახლებოდა, ან პირუკუ: როდესაც სამეგრელოს ოსმალო შემოესეოდა და ხალხს გაუჭირდებოდა, ჩვენებური გლეხები ქართლსა და კახეთს მიაშურებდა.

— შეხედე, რა ყოფილა! — გაიკვირვა ფანთამ.

— ამის დასამოწმებლად თუნდ ისიც გაიხსენეთ, რომ სამეგრელოში თქვენ ახლაც შეხვდებით გვარებს — ქართველიშვილს, ჭორთუას ან გურიაში: მეგრელიძეს, მეგრელიშვილს და სხვა.

— აგრე უნდა იყოს, — წარმოთქვა მანჩამაც. — მე ყოველთვის მაკვირვებდა სამეგრელოში ესეთი გვარის ხალხი. მაგრამ, ასეა თუ ისე, საქმე მაინც ისაა, რომ ხიზანი თითქოს უფლებამოსილია, პირადად თავისუფალია ვითომ, არავისი ყმა არ არის და არც არავის ვალდებული, მაგრამ სინამდვილეში კი განთავისუფლებულ სხვა ფენის გლეხებთან შედარებით მეტად შებოჭილიც არის და მეტი დაბეგრილიც.

— ჰო, აგრე გამოვიდა, — წამოიწყო ფარნამ, — მამაჩემა თავის მებატონე ფალავას გაშოექცა. ეს ფალავა მეტად ჯუჯღურა კაცი იყო თურმე და სულ უბრალო მომიზეზებით ძალიან გაუჭირვა საქმე მამაჩემს. მამაჩემმაც ერთ ბნელ ღამეს დაავლო თავის ცოლ-შვილს ხელი, მეზობლების შემწეობით თავის

„პიტაფიცარა“ ჭონი დაარღვია, დაუდვა ურემს და ბანძიდან ბერთემს გამოსწია:

— ოჰ, ძალიან შორს არ წამოსულა? — შეეჭრა მანჩა — ბანძიდან აქამდე, კაცო, რალაცა რვა ვერსტი თუ იქნება.

— არა, ვერსტზე არაა საქმე. გვირგვილიანებზე ხმა დადიოდა, რომ სათნო და გავლენიანი ხალხიაო და ფალავა ისე ადვილად ვერ შემოეღავებოდა, ეს იცოდა მამაჩემმა და ამიტომაც წამოვიდა აქეთ.

— მერედა რა გამოვიდა, ფარნა! — კვლავ ჩაურთო მანჩამ. — შენგან გამიგონია: აქეთ გვირგვილიანების სამსახური დამჭირდა და იქით ფალავა მართმევდა ჩემს მონაგარს, რადგან თავდახსნილი არ ვიყავითო...

— ო-ო, ამ ხიზნების საქმემ გადაიტანა ჩვენი გვირგვლიანების ოჯახი, — წარმოთქვა ვამეხმა. — თავის დროზე, ბევრ სხვის გლეხებს შეოუფარებიათ ჩვენთან თავი და ჩვენი ხიზნები გამხდარან, ამიტომაც აგერ ორმოცი წელიწადია დიდი დავა გვაქვს ფალავებთან, აფაქიძეებთან, დადიანებთან ამ ხიზნების საქმეებზე და ჯერ კიდევ არაფერი არ გასაშუალებულა. ვინ იცის, რამდენი ენერგია და ფული დაიხარჯა ჩვენი და სხვა მებატონეების მხრიდანაც. დავამდიდრეთ უხეიროდ აბლაკატები, სასამართლოს მოხელეები, რადგან ჯერ საქმე ადგილობრივ, ჭუთაისის ოლქის სასამართლოში ირჩეოდა, შემდეგ თბილისის სუდებში პალატაში, შემდეგ პეტერბურგში სენატმაც გაარჩია. მაგრამ საქმე კიდევ უფრო დაიბურდა: ხან ჩვენ მოვიგეთ, ხან ჩვენმა მოწინააღმდეგე მებატონეებმა და თვითონ ხიზნების მდგომარეობას კი მაინც არაფერი ეშველა.

— ვითომ თავადებიც შეაწუხა ამ ხიზნების საქმემ? — ღაეჭვებით შეეკითხა მანჩა.

— წარმოიდგინე! — მაშინვე შეაგება პასუხი ვამეხმა. — ხიზნებს ბეგარა და ჯაბირი ლუკმაპურის მოსაპოვებლად, თავადებს — ხარჯი და დავიდარაბა სასამართლოებში. შენ კი კვირს უთუოდ, ჩემო მანჩა, რომ კანონი თავადების მხარეზეა და მაშ სხვა რალა უნდა ნებავდეს, მაგრამ ასეთია თვითმპყრობელური რეჟიმის კანონი, რომ ვერც იმას ამაგრებს, ვისი ჯამაგრებაც უნდა, და დაჩაგრულს ხომ უფრო ჩაგრავს და ჩაგრავს.

— ჰმ! თვითმპყრობელობა! როდის მოვიშორებთ ამ მაჯ-ლაჯუნას? — ნელა წარმოთქვა მანჩამ.

— ეჭვი შეგდის? — სათნო ღიმილით მიუბრუნდა ვამეხი.

მანჩა თითქოს გასწორდა და მუხლებს შუა მიყუდებულ თოფს უფრო მარჯვედ წაავლო ხელი:

— მეტად დუნედ იქცევა, ბატონო, რუსის მოწინავე ხალ-ხი. ალექსანდრე II მოკვლის შემდეგ ჯერ ვერავინ მოსპეს შველეშაპთაგანი...

— ჰოო! — აქ მწარე ღიმილი დააყოლა ვამეხმა, — შენ, ცხადია, ტერორის მომხრე ხარ. ვიცი, შენც გაქვს შესრულე-ბული ტერორისტული აქტი, მაგრამ... — აქ შედგა ვამეხი და არ თქვა, რაც გულში ჰქონდა; იფიქრა, ვერ გამიგებენო, და არჩია უფრო უბრალო და გასაგები რამ ეთქვა: — რუს ხელ-მწიფეს ნუ ეხუმრები, ჩემო ძმაო!

თან დაუკვირდა — როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს რუს ხელმწიფის ხსენება: ხომ არ შეაშინებთ, ან ხომ არ ათქმევი-ნებს ზედმეტ თაბაშმს და გაბედულსო, მაგრამ უეცრად ფარნას ვაჟმა გაიწკრიალა:

— ხენწიფე? — ხეჭიფე!* — ჩაათავა მეგრულად.

ვამეხმა გადაიხარხარა. მანჩამ ჩაიღიმა. ფაითა და ფარნა შეშფოთდნენ. ფარნამ შეუბღვირა კიდეც:

— გოდიხი ვიშო! — მუ-რე ჩვარჩვალან-ე? თი ხეჭიფეს ფერი ხე უკუ-ათქი, ოდიშის გითმაშქვანი მა დო-სი.**

ამ დროს ქარებზე ძლიერი კაკუნი მოისმა.

ყველანი შეცბუნდნენ. მანჩა სწრაფად წამოიჭრა და თოფ-მომარჯვებული უკანა საკუჭნაოსაკენ გაჭიდა. ფარნამ მოინ-დომა ქარის გაღება, მაგრამ ფაითამ არ დაანება; ძალით დასვა თავის ალაგას და თვითონ გასწია ქარის გასაღებად.

გაღო და შეშინებულ მხიარულ გუნებაზე დადგა:

— უჰ, შენ შემოგეკლე, ტაია ბრძანებულხარ. მობრძან-დი, ბატონო... კი ბატონო, ვამეხიც აქ ბრძანდება.

---

* ხეჭიფე — ხელწვრილი.

** დაიკარგე იქით! რას ბრი რომ ჩემახავ? იმ ხელწერილს ისეთი ხელი

V

ციბედულ!

შენ ხედავ, რომ შორიდან ვიწყებ ჩემს თხრობას. დღევანდელ დღემდე კი მინდა მოვიდე.

ოჰ, რა დიდ საქმეს ვეჭიდები!

გამიგონია — თუ გადმოვარდნაა, ბედაურიდან გადმოვარდნა სჯობიანო, და აი, მეც...

ამჟამად ამ თავებში ვიწყებ იმის თხრობას, რომ იმ ხანებში ქართველი მშრომელი ხალხი თვალებს იფშვნეტდა...

ქედდადრეკილი გლეხობა სულიერად თითქოს წელში სწორდებოდა და ყელს იღერებდა.

მას აღვიძებდა ყივილი და საყვირები ქარხნის მუშებისა ბათუმიდან, თბილისიდან, ჭიათურიდან, და საერთოდ იმ ადგილებიდან, სადაც უკვე ღვივდებოდა მომავლისათვის ჩაუმქრალი რევოლუციის ნაპერწკლები, რომელთა ამგიზგიზებელი მოწინავე მუშები და ინტელიგენცია იყო.

თავადაზნაურობა, იმ დროის მდაბიო მოქალაქეები და მათი ავანჩავანნი ყურებდაცქვეტილები იყვნენ, თითქოს კურდღლებია ბუჩქნარში ჩამჯდარი და შათ უკვე მეძებრებმა შემოუყეფესო: საცაა მწევრებიც მოვლენ და გაიგდებენ და გამოიგდებენ.

„კურდღელმა თქვა ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო!“

ორივე მხარე რალაცის მოლოდინში იყო.

ზოგს სწამდა, რომ ხალხი — გოლიათი ერთს მძლავრად გაიზმორებს და დაგლეჯს მის შემბოჭველ თასმებს, დაამტვრევს ბორკილებს. ზოგი კიდევ ნაღვლიანად შესცქეროდა ჰორიზონტს და ამჩნევდა, რომ მათ თავზე საეჭვო ღრუბლები ირეოდა: ვაითუ გავარდეს მეხი და სულ ერთიან განადგურდეს ჩათბუნებული ბუნაგებიო.

ელოდნენ, ელოდნენ!

ეს ამბები ჩემი თხრობის მსვლელობას გადახლართვია ისე, ციბედულ, როგორც დასავლეთ საქართველოს ვაზი დობილოებზე შეფენილ აშოლტილ თხმელის და ხურმის ხეებს.

ამ ხეებზეც ცოტა რამ მინდა ვთქვა, გენაცვალე!

შუაღამე კარგა გადასულიყო, მაგრამ ფარნას ოჯახსა და მის სტუმრებს ჯერ კიდევ არ ეძინათ.

პატარა ბიჭიც კი ფხიზლობდა, რადგან ბევრი რამ უცნაური ესმოდა მოსაუბრეთაგან მის მახვილ ყურებს, განსაკუთრებით ახლად მოსულ ტაიასაგან. ბევრი რამ არ გაეგებოდა მისგან თქმულისა, მაგრამ ეს სიტყვები მაინც ძალიან ჩააჩნდა მის ხსოვნას!

„პატარა წრე საქმისათვის გამზადებული“,

ასე თქვა ტაიამ. ქუთაისში დაარსდა პატარა წრე დიდი საქმეებისათვის და ჩვენც, უფროსი კლასის გიმნაზიელებიც, ამ წრეში მონაწილეობას ვღებულობთო. თუმცა თვითონ, თურმე, გიმნაზიელი აღარ არის, გაურიცხავთ. რა არის ეს გარიცხვა? პატარას გონება მიიხვდა, რომ ეს არის გამოგდება. აკი თვით მაგასაც ხანდახან ცელქობისათვის ხუცესი თუდორე ემუქრებაა — გაგაგდებ სკოლიდანაო. ნეტა რა იცელქა ტაიამ? ჰოო, „ხეჭიფეზე“ ლაპარაკობს ხშირად... რაღაცას უწუნებს, რაღაზეც კიცხავს. საკვირველია! თვითონაც რომ არ მოსწონს ეს „ხეჭიფე“! რატომ? ჰა, ჰა, რამდენი იცინა ვამეხმა, პირველად „ხეჭიფე“ რომ წამოცდა. მერმედა მამამ რატომ უთხრა: ისეთი ხელი აქვს „ხეჭიფეს“, აქაც მოგვწვდებაო? საიდან? როგორ? ო-ო, ამას ჰკითხავს უთუოდ... ვის ჰკითხავს? ვამეხს? ვფრ ვაუბედავს. მანჩას? მანჩა საცაა გაჭრება, გაჭუსლავს, აბრაგი კაცია, არ დაედგომება, ეს კარგად იცის. მამას? მამამ შეიძლება ყურებიც აუწიოს არამკითხვობაზე. ისევ ტაიას! ტაიაა უთუოდ ეტყვის. ტაია კარგი ყმაწვილი ყოფილა. აქამდინაც უნახავს, მაგრამ უფრო შორიდან. ასე ახლოს, ასე გაშინაურებულად კი არასოდეს, ანდა რა მშვენიერი სიცილი სცოდნია. სულში ჩაიძვრენ კაცი. ან რა თვალები აქვს! ფართო, ლამაზად მოყვანილი, მიმზიდველი. მხოლოდ როდესაც გაფიცხდება, ო-ო, თითქოს ცეცხლს აფრქვევს თვალებიდან ზღაპრული რაშივით. თან საოცარი! როგორ უგავს თვალები ვამეხს! მხოლოდ ვამეხის თვალები უფრო წყნარია, უფრო დინჯად გამოიყურებიან. ტაიასი კი სრიალებს, დაუდგრომლობს, ხან ღიმილით აციმციმდება, ხან რაღაც ნაღველი მოებურება. ამეებს კარგად არჩევს ფარნა. ვაჟი. მაგრამ ხედავს, გრძნობს და იხიბლება.

თვალი ვერ მოუშორებია. რა ვაჟკაცური მოყვანილობისაც არის, მხარბეჭიანი, მაღალი. ჩვენს კარებში კინაღამ ვერ შემოეტია. წვერულვაში კი? წვერებს, ეტყობა, იპარსავს, მხოლოდ მომცრო ულვაშები ბოლოებში ცოტა აპრეხილან ცხვირისაკენ. ან რა თეთრი სახე აქვს! მრგვალი, ლოყებსავსე. ოჰ, საუცხოო ვინმეა! მაგან რომ მებრძანოს, წყალში გადავვარდები. ეგეც ხომ აქაური მებატონეა. ამიყვანოს, რა იქნება, ხელზე მოსამსახურედ. ჩემზე ერთგულს ვის იშოვნის? მაგრამ, დაიცა, ყური დავუგდოთ რას ლაპარაკობს ტაია?

— დიდკაცობა არ არსებობს, არც უნდა არსებობდეს, ეს შენ კარგად იცი, ბიძია, მაგრამ აგერ ფარნამ რომ თქვა, ბიძაჩემ ბარამზე დიდი კაციაო, ამის საპასუხოდ ვამბობ, დიდი კაცი მხოლოდ იმას ეთქმის, ფარნა, ვინც ჰკუით, გონებით, განათლებით და მომზადებით არის დიდი კაცი, ჩამომავლობით დიდი კაცი არაფერს არ წარმოადგენს.

მართალია, რუსთაველმა თქვა: თუ კაცი თვითონ არ ვარგა. ცუდია გვარიშვილობაო.

— ეგ ცოტათი მესმის, ბატონებო, მაგრამ ჩამომავლობით დიდი კაცი იმითია დიდი, რომ გავლენიანია, შეუძლია კაცის წახდენაც და გაკეთებაც.

— ჰოდა, ეგ არის სავალალო, ჩემო ფარნა, — კვლავ მიუბრუნდა ტაია, — სწორედ მაგას უნდა ვებრძოლოთ, ამ უსწორმასწორობას. ბარამიც ისეთი კაცია, როგორც შენ. ცხოვრების პირობები ორთავეს ერთი უნდა გქონდეთ.

— კაი დაგემართოს, კარგი ეს იყოს. ჩვენ, გლეხებმა, სამეგრელოში ვიცით, რომ ადამიანი ადამიანის ბატონი არ უნდა იყოს, ეს ჯერ კიდევ თავის დროზე უტუ მიქაამ გვასწავლა, მაგრამ რა გამოვიდა აქედან? წავაგეთ, და ისე წავაგეთ, რომ აქამდის სული ვერ მოგვითქვამს.

— ის სხვა დრო იყო, ფარნა! მარტო გლეხობა ვერ გაუწყობდა იმას, რაც უტუ მიქაას უნდოდა. ახლა კი თქვენ გაგიჩნდათ წინამძღოლად მძლავრი მუშათა კლასი.

— ჰო, მაგას მანჩაც ამბობს: ბათუმში ნამყოფია ხომ..

— ცხადია, ეცოდინება. ბათუმის მუშები დიდი მოწინავეები არიან, რადგან მათ ამას წინათ ხელმძღვანელობდა ისეთი კაცი, რომ მან ერთსხეულად ჩამოასხა მუშები, დარაზმა, შე-

ააჭიდოვა და გაეთიაოეულეოს იუეთი დიდი საქოე გააკეთებინა, რომ...

— მართლა, მართლა, ერთი გვიამბეთ როგორც იყო, ბატონო ტაია! — აღტაცებით შესძახა მანჩამ, — მე იმ დროს უკვე ბათუმში აღარ ვიყავ.

ყველანი სმენად იქცნენ. მხოლოდ ფარნას ვაჟი ცოტათი დანაღვლიანებული იყო:

„თუ დიდკაცობა არ უნდა იყოს, თუ ადამიანი ადამიანს ბატონი არ უნდა იყოს, მაშინ არც ხელზე მოსამსახურე იქნება საჭირო... მაშ, ტაია მე არ ამიყვანს მოსამსახურედ“...

გული დაწყდა.

ამასობაში კი ტაია უამბობდა 1902 წლის ბათუმში მომხდარ დიდი დემონსტრაციებისა და შებრძოლების ამბებს.

შენაკადი

VI

ციბრუტყელი!

აი ახლა, როდესაც ამ სტრიქონებსა ვწერ, ზამთარია, ჩემს ოთახში კი გაზაფხული იწყება. და მეტად რაგორი გაზაფხული! — სამეგრელომ რომ იცის ნაზი, მსუბუქი, მზეც რომ თითქოს ალერსით იკბინება, მარტის მცხუნვარება შეუმჩნეველად რომ გიცვლის ფერს. განსაკუთრებით თუ დიდხანს გარეთ ტრიალებ, ბუნების წიაღში შავად რომ მოგეკიდება. თუ ქერა ხარ, შავგვრემანად რომ გაგხდის, თუ შავგვრემანი — არაბად რომ გადაგაქცევს.

გაზაფხული!

ყველაზე წინ წითლად აჭვიებული ყოჩივარდა რომ ამოყოფს თავს, უფრო ხშირად, შემოდგომისას დაცვენილ, ზამთარში დალბობილ და გაზაფხულის პირას თითქმის დამპალ ფოთლებს შორის. ნეშოებში. შემდეგ იმას იაც რომ მოჰყვება, მოლურჯო და „მორცხვი“ ია, სატრფოს გულთან მისაბნევი და თავისი საკვირველი სურნელებით თანდათანობით მათრობელი ქვინმე ტურფა ასულისა.

მეც შენსავით, ჩემო ჭაბუკო მკითხველო, თუნდაც მოხუცო

და დარბაისელო, ჭაბუკობისას სოფლად მიკრეფია იის კონები, თაიგულად შემიკრავს და მოკრძალებით მიმირთმევია იმისათვის, ვინც მაშინ ციბედულად მეჩვენებოდა.

„წარვიდნენ, გაჰქრნენ ეგ დრონი მარად!

მე იგივე ვარ მარად და მარად!“

რა მართალი ნათქვამია პირველი ფრაზა. მეორე კი როგორი გაბედულია.

პირველი მართალია იმიტომ, რომ განვლილი დრო გამქრალი და დალუპულია და ამას ხანდაზმულზე კიდევ უფრო მწვავედ გრძნობ, განსაკუთრებით, როდესაც ახალგაზრდობას იგონებ.

მეორე კი გაბედულია იმიტომ, რომ იგივეობა „მარად და მარად“ ძნელი შესარჩენია. ჰო, თუ სულიერ „მე“-ზე ვილაპარაკეთ, შეიძლება მართალი იყოს.

მე კი გავბედავ და ვიტყვი, რომ ჩემი თავი „იგივე“ მგონია. სარკე რომ არ მიმჟღავნებდეს ჩემს დალარულ სახეს და თეთრ თმას, შინაგან ვერ ვგრძნობ ცვლილებას და ისევ გულით და ხალისით ვეძლევი შემოქმედების ალმურს, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც ოდესღაც, ჩემი ახალგაზრდობის გარიჟრაჟზე, როდესაც მეგონა, რომ მთებს შევძრავდი, მდინარეებს შევაბრუნებდი და ვიქმდი საქმეებს გრლიათურს.

ჰოი, სიჭაბუკევ! რა აროის ის ძალთაძალი, რომელიც თავიდან აგაბორგებს და ბოლოს... შეიძლება დონ კიხოტობამდე მიგიყვანოს?

ესეც კია, რომ დონ კიხოტი კეთილშობილი სულის პატრონი იყო და კეთილშობილური სურვილები ამოძრავებდა.

ახლა კი ზამთარია, მე მაინც მინდა გაზაფხულში გადავეშვა და ისიც სამეგრელოში. მოსკოვში კი ვარ.

რამდენი ათასეული კილომეტრი მაშორებს სამეგრელოს, რამდენი ათეული წელი იმ ამბებს, რომელზედაც ასე აღშფოთდალმართიანად მოვუთხრობ მკითხველს.

და მაინც მინდა ვილაპარაკო სამეგრელოზე. რადგანაც...: რა დასამალია, სამეგრელო მიყვარს ძალზე. მიყვარს მისი ნოჭიერი და ზრდილი ხალხით, მისი გამჭრიახობით, მისი მიმდრეკილებით სიბრძნის მეტყველებისადმი, უცნაურს რასმე, რომ გეტყვის რომელიმე უსწავლელი, რიგითი „მოხანდე“ — მშრო-

მელი გლეხი, რომლის სიტყვებში ცხოვრების დაყურსული სიბრძნე გამოსჭვივის.

მიყვარს სამეგრელო მისი დიდებული და თან ქეკლუცი ბუნებით, რომელსაც არ ახლავს, ილიასი არ იყოს, სისასტიკე და მიუკარებლობა მყინვარ-მთებისა, გულგრილობა ამ ახოვან ბუმბერაზებისა.

სამეგრელოს მთები უფრო ადამიანურ, ზღაპრულ ფალავნებს მაგონებს — ზამთარში რომ თეთრ ჯავშანს იცვამს და ზაფხულში ხალისიან; ნაირფერ ჩოხა-ახალუხში რომ გამოეწყობა, თითქოს სტუმრებს ელის, უნდა მათთან დამეგობრება, ნადიმი, უნდა უჩვენოს მისი საგანძური: უსიერი ტყეები, მოცქრიალე, მოჩანჩქარე წყაროები, მარდი, მაგრამ ზვიადი მდინარეები, ზოგან კიდევ სამკურნალო წყლები, მდიდარი მთამადნეული, ატეხილი ჭალები და სხვა.

სამეგრელო! გურიისა და იმერეთის საზღვრებს მოყვარულ ძმასავით გვერდში რომ ამოსდგომია, მაგრამ... ვაიმე! რომელსაც ცოტა სახელი აქვს გატეხილი — ჭაობიანიაო, გაიძახიან!

ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში, ამ ბოლო ხანებში მაინც, სულ ეს სამეგრელოს ჭაობიანი ადგილებია აღწერილი, თითქოს სხვა, ჯანსაღი სამეგრელო არ არსებობდეს.

ამიტომაც ახლა უფრო ამ ჭაობით გვიცნობენ მეგრელებს.

ეს კი სამეგრელოს ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში შესძინა რკინიგზამ და ცივილიზაციამ: დალოცვილმა ისეთ უვალ ტლაპოებში გაიარა, რომ საუკეთესო ჯანმრთელი ადგილები ძველი ოდიშისა სულ განზე მოიტოვა და, თითქოს უფრო პირდაპირ, შავი ზღვის ნავსადგურს მიაშურა.

ეს მისწრაფება პოლიტიკურისა და ეკონომიურის მიზეზებით, ცხადია, მართებული იყო, თუმცა...

ციბედულ!

ესეც უნდა ითქვას — ინჟინრებს შეეძლოთ სამეგრელოს მდიდარი ბუნების წიაღში მოენახათ ნავსადგურიდან არცთუ ისე შორი სხვა გზა, მაგრამ...

რაკი ამას აღარა ეშველებოდა რა, ამიტომაც მოსაწყლეობა ჩამოვიდა მთებიდან და, ცივილიზაციის დასაწაფებლად, რკინიგზის გარშემო გააჩაღა ცხოვრება.

კარგი ის არის, რო თანამედროვე დიადმა ეპოქამ ეს ნაკლიც გამოასწორა.

უკვე შრება უდიდესი ნაწილი კოლხიდის ჭაობისა და ის, რაც აქამდე ადამიანისათვის მაწყინარი იყო, სასარგებლო გახდა.

მე კი მიყვარდა და მიყვარს მთიანი სამეგრელო, ახლა კი ამ სიყვარულში შემოვიდა მისი დაბლობიც, ქარვისფრად აყვავებული ნარინჯოვანი მცენარეებით.

და არ ვიტყვი ილიასებრ:

„მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიკვდება გული!“

სამეგრელო უკვე აყვავების გზას ადგას. სამეგრელოც — სხვა მოძმეებთან ერთად — ჩაბმულია დიდ სოციალისტურ მშენებლობაში და, ცხადია, ამ მიმდინარე ხუთწლედის მანძილზე კიდევ უფრო გაამშვენიერებს თავის ტურფა ქვეყანას, თავის თავს და შექმნის ღირსეულ საგანძურს თავის მხრივაც.

ასე იქნება ჩემი საყვარელი სოფელიც სამეგრელოში — ბერთემი, სადაც ჯერჯერობით უმთავრესად მიმდინარეობს ჩემი სიტყვაკაზმულობა და...

ჯერჯერობით ამ ნაწარმოებითაც წავიდეთ წინ, ჩემო ციბედულ!

იმისათვის, რომ მოვიდეთ დღევანდელ დღემდე, რადგანაც ჩვენი სანუკვარი ხომ დღეინდელობაა.

მხოლოდ მაინცდამაინც ნუ ავჩქარდებით.

შორიდან დავიწყეთ, მაგრამ გვამხნევებს ის ნალხური თქმა, რომ.

„შორიდან მოუარე და შინ მშვიდობით მიდიო“.

ერთია საშიშარი: ჩემი გულის ძგერა!

ვუბრძანებ ჩემს გულს ამ ნაშრომის დამთავრება დამაცალოს.

12

ყველანი გულდასმით უსმენდნენ ტაიას. მხოლოდ ნულ სხვადასხვა იყო მათი უნარი სმენისა.

ვამეხი ტაბლას მოშორებოდა და კედლის მოფარდაგულ გრძელ ტახტზე, ნახევრად წამოწოლილი, მუთაქას დაყ-

რდწობოდა. თვალთა გამომეტყველება კი სადღაც შორს იყო გატყორცნილი. ეტყობოდა, რომ დიდ ფიქრს მისცემოდა.

ფარნა ისევ ცეცხლის პირას იჯდა, ტაბლასთან, და თავჩაღუნული დროგამოშვებით ცეცხლს უკვთებდა. ტაიას ზოგჯერ თუ შეავლებდა თვალს.

ფანთაც მის გვერდით იჯდა დაბალ სამფეხა სკამზე და, ტუჩზე ორთითმრდებული, პირდაპირ ტაიაზე იყო მიშტერებული.

ფარნას პატარა ვაჟი უფროსების ბრძანებით თავის ლოგინში იწვა და მოსაჩვენებლად თავს თითქოს იმძინარებდა, მაგრამ ძილი სულ არ ეკარებოდა, რადგანაც ტაიას ნაამბობი მისთვისაც დიდად წარმტაცი და მომხიბლავი იყო და ხშირად, თავზე საბანწახურული, ცალ თვალს აჭყეტდა.

მანია კი უძრავად იჯდა თავის ამოჩემებულ ალაგას — პირით წინაყარებისაკენ ზურგით კედლისაკენ — და, ეტყობოდა, ტაიას ყოველ სიტყვას ხარბად ყლაპავდა, თან ზოგჯერ თოფის ჩახმახს აჩხაკუნებდა, ვითომდა გულის მოსაოხებლად.

თვითონ ტაია სახეგაბრწყინებული, თვალებმოელვარე, ხან მჯდომარე და ხან ფეხზემდგომი, დიდი აღფრთოვანებით გაიხსენებდა 1902 წლის ბათუმის მუშაობის დემონსტრაციის ამბებს.

უეცრად კერიიდან ცეცხლის ალმა იფეთქა და ბრიალ-ბრიალით ჭერისაკენ ავარდა. სხვებს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ ფანთა კი მეტად შეშფოთდა და ქმარს მიაძახა:

— რას სჩადიხარ, კაცო? სახლი არ დაწვა!

თითქოს დარცხვენილმა ფარნამ შეშა და ნაკვერცხლები ისე მისწი-მოსწია, რომ ცეცხლი შეანელა და შემდეგ ღიმილით წარმოთქვა:

— არა, მე ის მომეწონა — საწყალი მუშა რომ ისეთი დიდი ამბით გაუსვენებია იმ დალოცვილ ახალგაზრდას. აბა როგორ ეგონათ?! მუშა ადამიანი არ არის? რა ჰქვიან, ტაია გვიბაცვალე, იმ ყმაწვილს?

— ბათუმში ხელმძღვანელს ეძახდნენ.

— ო-რ, მისი ჭირი შემეყაროს, მისი! კაცი ის ყოფილა, ძმაო...

— ო-ო, ნეტავი მეც იქ ვყოფილიყავი! — მოულოდნელად წამოიძახა ფარნას ვაჟმა და ლოგინიდან თავი წამოჰყო.

ფარნამ ისეთი სიყვარულით გადახედა ვაჟს, თითქოს გულში მოუწონა ასეთი სურვილი გამბედაობისა და არაფერი უთხრა, მხოლოდ ფანთამ დატუქსვით მიმართა:

— გური, გური! რატომ არ გძინავს? უკვე საცაა გათენდება და შენ კი სკოლაში წასასვლელი ხარ, — თან წამოდგა, ჩამოჯდა შვილის ლოგინთან და საბანი გაუსწორა.

— არა, დედა, არა, ხვალ ბზობაა, სკოლაში არა ვარ წასასვლელი... შენ ასე ადრე ტყუილა დამაწვინე.

— ჰო, კარგი, ახლა გაჩუმდი. თუ გინდა, ყური დაუგდე. — და ცოტა ხანს ორივე დედა-შვილი გაილურსნენ.

ვამეხი ისევ ისე ღრმა ფიქრში იყო წასული, თითქოს ტაიასაგან ნაამბობ 1902 წლის ამბებს კარგად სინჯავს, კარგად უკვირდებაო. ეს ამბავი მისთვის უცხო იყო. გაზეთებში ამაზე არაფერი ეწერა გარდა ოფიციალური ქრონიკისა, და ისე კი, ბერთემში მოღწეული, ჭორებშემოსილი ერთგვარი „სახოგადოებრივი აზრი“ უარყოფითად აშუქებდა ბათუმის მუშაობის საქციელს. აქ კი, ტაიას ნაამბობში, სულ სხვაგვარ მოჩანდა საქმის ვითარება და ერთგან, ტაიას მოთხრობის დროს, ეს წამოცდა მის ბაგეს:

— დიდი გრგვინვა მოისმის, დიდი! — და დაჩუმდა. ნეტი აღარაფერი უთქვამს რა.

აი ტაიას მოთხრობამ იქამდე მიაღწია, როცა ბათუმის მუშები პირდაპირ შეებრძოლენ თვითმპყრობელობის ჯარსა და პოლიციას, მაშინ კი აქამდე გაქვავებულივით მჯდომარე ნანჩა ზეზე წამოიჭრა და თითქოს გულიდან ამოსკდა:

— ვაი დედასა, სად ვიყავი?! ჩემსობას არაფერი წაგვს მსგავსი არ ყოფილა ბათუმში. მე არავის არ ვაცლიდი, ჩავუსაფრდებოდი სადმე ცალკე და იმ გენერალ დრიაგინს სულს გავაფრთხობინებდი.

— ჰა, ჰა! შენ ისევ ისე ტერორის მომხრე ხარ! — ჩაიცინა ტაიამ, — მაგრამ ეგრე აღარ არის საქმე. ახლა უკვე ჩვენ ვიცით, რომ ტერორით საქმე არ კეთდება და არაფერი არ სწორდება, რადგან მოკლულის ალაგას მეორე ჩნდება და ხშირად უფრო უარესიც. მთავარი მაინც არ კეთდება — ჩაგვრა არ ის-

პობა, თანასწორობა არ მყარდება და დიდი უმრავლესობა ისევ ისე უუფლებო, უხმო და დაჩაგრული რჩება...

მანჩა თითქოს ჩაუფიქრდა ტაიას სიტყვებს. უცებ მაინც არ დაეთანხმა:

— მე კი მაინც ასე მგონია, რომ ასეთი ბობოლების მოკვლით დავაშინებდით მთავრობას, კაპიტალისტებს და ერთგვარ შვებას მიიღებდა ხალხი...

კიდევ ბევრი ილაპარაკეს მანჩამ და ტაიამ. ვამეხიც თითქოს გამოერკვაო თავისი ღრმა ფიქრიდან და ისიც ცოცხლად ჩაერია სჯა-ბაასში.

ფარნა კვლავ ცეცხლის გაღვივებითა და შეწელებით იყო თითქოს გართული, თუმცა ეტყობოდა, რომ მოსაუბრეებს გაფაციცებით ყურს უგდებდა, თან ზოგჯერ წამოიძახებდა, ბათუმის ამბებით გატაცებული:

— არა, რა კაცი ყოფილა, რა კაცი, ის ბათუმელი. წელმძღვანელი! აი მაგისთანა მეთაური გვჭირდება ჩვენ. — შემდეგ ისევ ჩუმდებოდა და მოსაუბრეების ყურისგდებას განაგრძობდა.

ფანთა კვლავ გურის უჯდა წინ და რაკი ვაჟს მაინც არ ეძინებოდა, რაღაზედაც ორთავენი საამურად ჩურჩულებდნენ. ეტყობოდათ, მომავალზე ჰქონდათ საუბარი, რადგან ბოლოს დედამ ასე მიმართა:

— ჰო, ჰო, შვილო! კარგი კაცი უნდა გამოხვიდე, აბა როგორ?

— მამას უნდა ვაჯობო?

— ჰო, შვილო, მამაშენსაც და ყველას ამ არემარეზე, შენისთანა მოწინავე, შენისთანა ვაჟკაცი არავინ არ უნდა იყოს.

— ვიქნები, დედა, ვიქნები! შენ არ მომიკვდე, ნახავ, თუ ასეთი არ გამოვიდე.

— მე ეს მწამს და შენც მუდამ გახსოვდეს შენი დაპირება, ჩემო ქვაჩაჩია! — ღიმილით ჩაუჩურჩულა დედამ, ხუჭუჭა, შავად ბზინვარე თმაზე ხელი გადაუსვა და თითქოს ქურდულად შუბლზე აკოცა.

ვამეხი კი მანჩას ასე არიგებდა:

— არა, მანჩა, აბრაგობას თავი უნდა დაანებო. გასაკეთებელი კი მაინც ბევრი გექნება, მხოლოდ სულ სხვა მხრით და სხვაგვარი.

— მართალია ბიძაჩემი, მანჩა! ჩვენ ყველანი ცალ-ცალკე და დაქსაქსულად კი არ უნდა ვმრქმედებდეთ, ერთად უნდა შევუტიოთ დამყაყებულ რეჟიმს. ხალხის სულთამხუთავ მაჯლაჯუნა თვითმპყრობელობას. აი, ჩვენი არის ჩვენი მოვალეობა და აქ შენ ბევრი რამის გაკეთება შეგიძლია, მანჩა!

ეტყობა, მანჩაზე დიდი გავლენა იქონია ტაიასა და ვამეხის დარიგებამ, რადგან ამჟამად მან სრულიად უყოყმანოდ განაცხადა:

— მიბრძანეთ და მზად ვარ! თავს გადავდებ საერთო საქმისათვის.

— დიახ, დიახ, ერთობისათვის. ხალხში უნდა ტრიალი, შენ ხომ იცნობ ხალხს, აი მათ უნდა შემზადება. პირველად პატარა წრე ერთგული და თავდადებული წევრებისაგან, პირველად ბევრს არ უნდა გამოუდგე. ის შემდეგ იბარტყებს. ასე მოიქცა ხელმძღვანელი ბათუმში. ასე იქცევა საშა წულუკიძეც ქუთაისში. ჩვენც მათგან უნდა ავიღოთ მაგალითი.

მანჩა წელში სრულიად გაიმართა. ღვედში მარცხენა წელი გაუყარა, თოფი ზურგზე მოიქცია და გაშლილი სახით თითქოს სადღაც შორს გაიხედა, თითქოს რაღაც სანუკვარ სურათს ხედავდა. შემდეგ თვალით ნაბადი მოძებნა, თან ვამეხისაკენ გაიხედა და ჰკითხა:

— რომელი საათი იქნება ახლა ნეტა?

ვამეხმა ჯიბის საათს დახედა და უპასუხა ოთხიათ.

— ოჰო, საცაა გათენდება. სწორედ ჩემი წასვლის დროა.

ფარხა წამოდგა, ფანთაც. არც ერთი არ შეეპატიჟა მანჩას დარჩენილიყო.

მწოლოდ შეშფოთებული ფანთა ოთახში დატრიალდა, რაღაცას ძებნა დაუწყო და ბოლოს ტახტის ქვეშ მიგდებული პორტფელი მანჩას მიაწოდა.

მანჩა უკვე ნაბადმოხურული იმ იყო კარების გაღებას აპირებდა, რომ პორტფელი მიაწოდეს, რაზედაც გულიანად გაეცინა:

— ო-ო, ეგ კი სრულიად დამავიწყდა!

— რა არის ეგ? — შეეკითხა ვამეხი. — წიგნებიც თან დაგაქვს?

— აჰ, არა! ამჟამად ეს წიგნები არ არის.

— იმიტომ შეგეკითხე, რომ დაგცინიან: რა აბრაგია მანჩა ჯგერენაია, ხურჯინით წიგნები თან დააქვსო.

— ჰა, ჰა, არა, ეს ჩემი ხურჯინი არ არის. ეს სუდებნი პრისტავის პორტფელია.

— სუდებნი პრისტავის ევტიხის?

— დიახ; დღეს, შებინდებისას, მგწყრალ-როზუსთან დავხვდი იმას და ბანძღის, ბანძღის იარაღი და ფულები ჩამოვართვი, პრისტავს კი ეს პორტფელი.

— უჰ, ხელი შეგარჩინა ღმერთმა! — გახარებით წამოიძახა ფარნამ. — სწორედ მიამა, ბანძღი რომ შეგიხელფეხებია. იმის დამზოგავს რა ვუთხრა მე! მთელი სოფელი, ბატონო ვამეხ, მოგეხსენება, შეწუხებული ჰყავს და განა მარტო ჩვენი სოფელი? ფულს აძლევს სესხად და შემდეგ გაჭირვებულ გლეხებს მამასისხლად ახდევინებს.

— ვიცი, სოფლის წურბელაა.

— ოჰ, ძალიან მიამა, ის რომ შეგიწუხებია, — გულით ამბობდა ფარნა, — ვაცხონე შენი მშობელი! მარა ეს პორტფელი რალად გინდოდა?

— ო-ო, ეს არის რაც არის, ჩემო ფარნა!

— ევტიხი მე ვნახე ამ სალამოს ნექტარინასთან. იქ მოვიდა უთუოდ შენ რომ გაძარცვე იმის შემდეგ, მაგრამ არავისთვის არაფერი არ უთქვამს.

— ეთქვა თუ გინდა, ბატონო ვამეხ! რას დამაკლებდა. რა იცის, მე საით წავედი?

— კი მაგრამ ბანძღი? ან გუტატი, ნექტარინას მოურავი?

— ბანძღიმ არ იცის, მე რომ ფარნასთან დავიარები და გუტატი? გუტატი ჰო, მაგრამ იმანაც ხომ არ იცის, რომ დღეს აქ ვიმყოფები. მერმე კიდევ თქვენ ამბობთ, რომ ევტიხის არავისთვის არაფერი არ უთქვამსო?

— ჰო, ჩემსობას ევტიხი სულ ჩვენთან იყო, სტუმრებთან, არსად არ განძარტოებულა. ამიტომ ვამბობ, არავისთვის არაფერი უთქვამს-მეთქი, თორემ გაძარცვის ამბავს ჩვენც გავიგებდით.

— გამიგონია, პატიოსანი კაციაო, — წარმოთქვა ფარნამ, — ააშენა ღმერთმა, რომ არ გაუცხარო, თორემ, გუტატი მართლა ეჭვს აიღებდა.

ვამეხი კი საყვედურის ნიშნად თავს იქნევდა.

— მაინცდამაინც ვერა ხართ კარგი მეწაიდუმლე, მანჩა! ეს თქვენთვის გაკვეთილი უნდა იქნეს. ჩვენი საუბრის შემდეგ თქვენ მოგელით მეტად ფრთხილი და დაკვირვებული მოქმედება.

მანჩამ სერიოზული სახე მიიღო:

— მესმის, ბატონო ვამეხ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ზომებს მივიღებ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — და საჩქაროდ კარებისაკენ გასწია.

— ეს რომ დაგრჩა? რა ჰქვია, კაცო ამას? მანჩა, მანჩა! — მიაყოლა ფარნამ, მაგრამ მანჩა არ შემობრუნებულა, მხოლოდ ეს კი მიაძახა:

— ამოიღე, შიგ რაც ქაღალდებია და დახიე ნაკუწ-ნაკუწ!!

ფარნამ პორტფელი ისევ ტახტზე დააგდო და თვითონ მანჩას გამოედევნა ეზოში. მაღალ ბოძებზე შემდგარ სასიმინდეს ქვეშ ჩალაზე მიყენებულ ქესქენჯს ლაგამი ამოსდო, უნაგირ-მოუხდელი და სამგზავროდ მუდამ მზადმყოფი ცხენი მანჩას მიაგება. თან მოღერებულ კისერზე ქესქენჯს ხელი ალერსით დაჰკრა.

— მართლა კარგი ბედაური გყავს, შეგეფერება.

მანჩას ალარაფერი აღარ უთქვამს, ისე მოატრიალა მარჯვნით თავისი ქესქენჯი და ისე გაჭრა ღამის წყვდიადში, თითქოს რუსთაველის ტარიელი ყოფილიყოს:

„ჰგვანდა ქვესკნელს ჩაბრომილსა, ანუ ზეცად ანაფრენსა!“

ფარნას სახლში კი ახლა უკვე ტაია მისჯდომოდა სასამართლოს ბოქაულის პორტფელს და იქიდან ამოღებულ ქაღალდებს თანდათანობით ათვალიერებდა.

მართლაც, სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლებისა და ვექსილების მეტი შიგ არა იყო რა: „Именем его Императорского величества“... და სხვ. შემდეგ მოხსენებული იყო სენაკის სასამართლოს განაჩენი, თარიღი და ის, თუ ვისი ვალი ვის მართებდა, რაოდენობა თანხისა და სხვ.

— ჰმ... ჰმ! რამდენი ცრემლებია ამ თითქოს უმანკო ქაღალდებზე დაღვრილი... რამდენი ტანჯვა-ვაებისა, გაჭირვებისა მაუწყებელია! — წარმოთქვა ტაიამ და მთელი რიგი ფურცლებისა განზე გადააწყო. — მართლაც, ბიძია, ხედავ? ამ აღმასრულებელი ფურცლების მეტი ნაწილი სულ ბანძიის წასარგებლოა.

— დიახ, ბანძღიც სოციალური სიდუხჭირის წარმონაშობია, — მოკლედ მოსჭრა ვამეხმა.

ფარნა შემოვიდა. გადაშლილ ქაღალდებს რომ დახედა, შეეკითხა:

— რა ყოფილა, ბატონო?

პასუხი ტაიამ ღიმილით შეაგება:

— აი სულ შენი ბანძღის მოვალეებია აქ ჩამოთვლილი.

— უჰ, ჩემი ბანძღი კი აბა! მაინც ვინ არის, ბატონო?

— ვინა და... ნამკოლოუში ბოშინა ქვარცხავა...

— უი უბედური! ვიცნობ. ძალიან გაჭირვებული გლეხია.

— გურძემიაში გუძა ლომია.

— მაგასაც ვიცნობ, არც ეგ არის დიდად დალხინებული.

— უშაფათში ოტია წირლვავა.

— უი საწყალი! რა წვრილშვილის პატრონია!

— ბერთემში უთუთია დავითაია.

— უიმე, უიმე! — ეს კი უკვე ფანთამ შეიცხადა, — საწყალი! აგერ ახლა არ დავმარხეთ? რა უნდა ახლა მაგ უხეიროს ბანძღის მისი გაჭირვებული ცოლ-შვილისაგან? რა უნდა აუწეროს, როდესაც აღარაფერი გააჩნიათ იმ უბედურებს?

— იცით, ბატონო ვამეხ, რას შვრება თურმე ეს უკუღმართი კაცი — იმალება თურმე...

— ვის ემალება? — გაიკვირვა ტაიამ.

— აი იმას, ვისაც მისი ვალი მართებს.

— როგორ?

— ვთქვათ, ვალის გადახდის ვადა დღეს არის. სწორედ დღეს მოუტანა მოვალემ მისგან ნასესხი და უნდა გადაუხადოს, მაგრამ ბანძღი სახლში არ უჩვდება არც დღეს, არც ხვალ, არც ერთ კვირეს. ასე რომ ვადას გადააცდევინებს მოვალეს და მერე ახდევინებს, ნეუსტოიკაოთ რაღაც ჯანდაბა, ერთიორად, ერთიოთხად და ასე აძრობს ტყავს ხალხს.

— უი, უი, დაიფაროს ღმერთმა ყოველი ჩვენი კეთილი ბანძღის ვალისაგან, — კვლავ შეიცხადა ფანთამ.

— უბრალო ცელქობა კია მანჩასაგან, მე მგონი, ეს ამბავი, — ჩაიღიმა ვამეხმა.

ფარნა და ტაია მიაჩერდნენ.

— როგორ?

— როგორ და ამით ბევრი არაფერი გაკეთდება. მევახშე-

ები თავიანთ საქმეებს წელანწლა აღადგენენ და ახალ ალმაც-რულებელ ფურცლებს აიღებენ.

— ჰო, მაგრამ ცოტა ხნით ხომ მაინც დააბრკოლა ბანძლით და მისთანები მანჩამ... გული ხომ მოიფხანა.—მოინდომა ტაიამ მანჩას გამართლება.

ვამეხი მაინც იღიმებოდა:

— გულის მოფხანა კი, მაგრამ ეს შენგან წელან დაწყ-ნებულ ტერორისტულ მოქმედებას ჰგავს. ამგვარი საქციელით გაჭირვება არ მრისპობა, მევახშეობა არ შეწყდება.

— ეგ ცხადია, ბიძაჩემო, ეგ ხომ უკვე მეც ვიცი, რომ სო-ციალური სიდუხჭირე სულ სხვაგვარ უნდა აღმოიფხვრას ძი-რიან-ფესვიანად. მაშინ ასეთი, შედარებით წვრილმანი, შევწ-როებაც ხალხისა თავისთავად მოისპობა.

— კი, ბატონო, კი, — ჩაერია ახლა ფარნაც მუსაიფში, — მთელი ღამე სულ მაგაზე არ გველაპარაკებოდი? მაგრამ აგერ, ბატონო ვამეხ! აქ ვექსილებიც ყოფილა... ჰოდა, ვექსილებიც თუ მოისპო, მევახშე შემდეგ როგორ აღადგენს თავის საქმეს? რამდენადაც ვიცი, ახლანდელის კანონით ფულის საქმეში მოწმეები არ მიიღებიან.

— მართალი ხარ, ფარნა, მხოლოდ მანდ არა მგონია ყვე-ლას ვექსილი იყოს.

— მაინცდამაინც მე შევასრულებ მანჩას ნათქვამს, მხო-ლოდ ნაკუწ-ნაკუწ კი არ ვაქცევ, აგერ ცეცხლს შევუკეთებ, ევრე არა სჯობია? — და ქაღალდების მთელ ხროვას ცეცხლში შეუძახა, თან მიაყოლა:

— ევრე დაიწვას და ნაცარტუტად იქცეს ყოველივე, რაც უსამართლობითა და თაღლითობით არის გაჩენილი ხალხის შესავიწროებლად...

ტაიას და ვამეხს ხარხარი აუტყდათ ფარნას ამგვარ პათო-სიან ღაღადზე და მხიარულ ცეცხლს შეუერთდა ფანთასა და გურის მხიარულებაც...

შენაკადი

VII

ციბედულ!

იმ დროს, რომელზედაც ქვემოთ მინდა ვილაპარაკო, მე არ შახსოვს, რომლის სახით იყავ ჩემთან მოვლენილი, ან — უფრო შაოთალი იქნება — შეიძლება გავიხსენო, მაგრამ არ არის საჭირო დასახელება.

არაკის ახაფერს არ მოუტანს.

მთავარი ჩემთვის მაინც ის არის, რომ ეს შენ იყავ მაშინ და განა სულ ერთი არ არის, თუ რა გერქვა იმ დროს?

ეს შენ იყავ და მე მოხიბლული ვიყავ, მრჯადოებული, შთვოალი მთელი შენი არსებით.

ის იყო გამოვდიოდი ცხოვრების სარბიელზე.

და შეიძლება ეს იყო ჩემთვის პირველი გაცნობა მშვენიერი სქესის წარმომადგენლისა.

ეჰ, სიყმაწვილევ, სიჭაბუკევ დაუვიწყარო? მაშინდელი თვით შეცდომებიც კი მოხაკცევზე სანუკვარად გეჩვენება კაცს!

როგორ თავბრუ გესხმის, არჩევანში არ შედიხარ და გგონია, რომ გაბედნიერდი!

თან იცი გგონია, რომ შენისთანა რჩეული ალიკინ არ არის, შენისთანა სათნო, ლმობიერი და ადამიანის მოყვარული.

რომ შენს შეტს სხვას არ განუცდია ზენაარი რაღაც გრძნობები.

მეც ასე შიყვარდა. შეც ასე ვიყავ გატაცებული და გატაცებული კი არა — პირდაპირ ჩაფლული უსაზღვრო ნეტარებაში.

ჩემი კერპი მხოლოდ ხელოვნება იყო, თეატრალური გზით გამრავლიებული.

ხელოვნების სამსახურში კდებდი თავსა.

ირგვლივ კი სულ სხვა ამბები ხდებოდა.

ხალხი ღელავდა, ხალხი ბობოქრობდა, მართალია, ჯერ კიდევ სუსტად და მხოლოდ აქა-იქ, მაგრამ დაკვირვებულებმა მაშინაც კარგად იცოდნენ, რომ ამ თითქოს წვრილ ფრთონას ზვირთთა დიდი, მძვინვარე, უმძაფრესი ტალღათა ღელვა მოჰყვებოდა.

Будет буря: мы поспорим
И помужествуем с ней.

შაგრამ გავყვეთ თხრობას.

13

ბზობა გათენდა და დილის თერთმეტ საათზე ნექტარინას სასახლის კარის ეკლესიაზე ზარმა გაიწკრიალა, თედორე მღვდელი თავის მნათეს ხელით იუწყებოდა წირვის დაწყებას.

მართალია, სოფლის ეგრეთ წოდებული „შტატის“ ეკლესიაზე, თედორე ძალიან ადრე იწყებდა ხოლმე მღვდელმოქმედებას, იქ მაინცდამაინც არავის ელოდებოდა, რადგან, ეუბნა რომ, ეს ეკლესია სოფლიდან ძალზე შორს, ერთ განმარტებულ მაღალ ბორცვზე იყო წამოდგმული, მეორეც, მოსახლეობა არცთუ ისე ძლიერ ეტანებოდა წირვა-ლოცვას. აქ ხალხი უფრო დიდ დღესასწაულებზე და განსაკუთრებულ საეკლესიო დღეებში თუ შეიკრიბებოდა. ეს იყო ზაფხულის დასაწყისში სულიწმინდის მოფენის დღე. ამ დღეს დღესასწაულობდა მთელი სოფელი და წირვაზეც ხალისით მიდიოდა არამცთუ ახლომდებარე სოფლის მოსახლეობა, არამედ ახლომახლო სოფლებიდანაც მოდიოდნენ სტუმრები და ნაწირევევს, თავისი ნაცნობ-მეგობრების ოჯახებში მიპატიჟებულნი, ი, მშველი დღე ჭეიფობდნენ. საღამო ხანს კი კვლავ ბრუნდებოდნენ ეკლესიის გარშემო და იქ მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ბუბურთობდნენ, ჯირითობდნენ...

უბრალო კვირა-უქმეებზე კი ეკლესიაში თითო-ორორი მლოცველი თუ ისმენდა თედორეს წირვა-ლოცვას, ისიც ეკლესიასთან უახლოეს მცხოვრებთაგანი. ამიტომაც აქ მღვდელი ადრე იწყებდა წირვას და თერთმეტ საათზე წირვა გამოყვანილი ჰქონდა კიდეც.

კარის ეკლესიაზე კი ასე არ იყო. აქ სოფლის ხალხი ბლომად იკრიბებოდა და გვირგვილიანებიც თავიანთ სტუმრებით აქ მოდიოდნენ. გვირგვილიანებისათვის კი თედორე მღვდელს უნდა დაეცადნა, განსაკუთრებით კნეინა ნინისათვის. ნექტარინა კი საერთოდ გვიან დგებოდა, და, ვერ ირთვებოდა და უბრალო დღესაც კი მხოლოდ დილის თერ

მეტ საათზე გამოდიოდა დარბაზში ჩაისა და დილის საუზმისათვის. ეს, რასაკვირველია, იცოდა თედორე მღვდელმა და კარის ეკლესიაში ყოველთვის ამას უფარდებდა წირვის დაწყებას.

ასე რომ არ მოქცეულიყო, ვაი მისი ბრალი, მერე სად წაუვიდოდა კნეინა ნექტარინას რისხვას. კნეინას ხომ შეეძლო, რომ გაეგებინებინა, სადაც ჯერ არს, და ურჩ მღვდელს გადაეყენებინებდა კიდეც. საზოგადოდ კი გვირგვილიანების ამაყობა კარგად იცოდა თედორემ. მას გაგონილი ჰქონდა, რომ ერთხელ ერთ-ერთმა მათმა წინაპართაგანმა, როდესაც წირვას ვერ მოუსწრო, მღვდელს მეორეჯერ აწირვინა თურმე, რაც ეკლესიის წესით სრულიად შეუწყნარებელი იყო. თუმცა ახლა ეს არ მოხდებოდა, მაგრამ მისთვის მაინც ასე გვიან წირვის დაწყება ვერ იყო სასურველი, რადგანაც ეკლესიური წესით წირვამდე მღვდელი უზმო უნდა იყოს, უნდა მარხულობდეს, მას მხოლოდ წირვის დამთავრების შემდეგ, წმინდა ზიარება მიღებულს, შეუძლია პურადიღოს. აქ კი ხუცესი ნაშუადღემდე კუჭგამოცარიელებული უნდა ყოფილიყო. სოფელში, მართალია, დადიოდა ბოროტი ხმები, რომ მათი ხუცესი ხსენებულ წესს არცთუ ძალიან ერთგულად იცავდა, მაგრამ ეს ჩვენი საქმე არ არის.

ისე კი მამაო თედორეს, როგორც მას უფრო ხშირად ბარამ გვირგვილიანი იხსენიებდა, უყვარდა კარის ეკლესიაზე მღვდელმოქმედება, რადგანაც ეს საყდარი ბევრად უფრო კარგად იყო მოწყობილი, ვიდრე მისი „შტატის“ ეკლესია. ერთი, რომ თვით შენობა იყო გვირგვილიანების წინაპრის „დიდი ოტიეს“ აგებული, მაღალგუმბათიანი, ლურჯი ქვით ნაშენი, რაც შესახედავად მბზინავ ფირუზის ელფერს იძლეოდა. ამბობდნენ, რომ ეს ლურჯი ქვაც ბერთემის სანახებში იპოვებაო, შჭაში-ოთოკეზთან, მაგრამ დიდი ხანია ამ ადგილს ბერთემის მოსახლეობა არ აქცევდა ყურადღებას და მიტოვებული იყო.

უცხოელებმა და ვოლკოვმაც კი, როდესაც პირველად ნახეს ასეთი ქვით აგებული კარის ეკლესიის გარედან თითქოს მომცრო, მაგრამ კოხტა შენობა, დიდად გაიკვირვეს და მაღალი შეფასება მისცეს ქვის მასალას და ნაცრისფერ ფიქალის სახურავს. უკვირდათ ისიც, რომ თუ ასეთი საუცხოო ქვის მასალა გეშოვებათ, რატომ კნეინა ნექტარინას სახლიც ამისაგან

არ არის აშენებულიო, მაგრამ როდესაც აუხსნეს, რომ საზოგადოდ სამეგრელოში, ნესტიანობის გამო, საცხოვრებელ სახლებს ქვისაგან კი არა, მხოლოდ ხისაგან აშენებენო; გაიგეს საქმის ვითარება, მაგრამ სკეპტიკურად მაინც თავები გაიქნიეს. იქვე მყოფმა ბარამმა კი გადაწყვიტა — მომავალში მას ამ ლურჯი ქვისაგან აეგო თავისი სახლი, რადგანაც მას შემდეგ, რაც თავის ძმებს გამოეყო, მხოლოდ ერთ პატარა, ორთვალიან ოდაში ცხოვრობდა და დაქვრივების შემდეგ მაინც ვერაფრით ვერ დაუდო გული კარგი და სრული სახლის აშენებას. აქამდე ვერც თანხა შეაგროვა იმდენი. ახლა კი, რაკი იმედი მოეცა, რომ უცხოელებისაგან იჯარაში თავის წილადაც კარგ თანხას აიღებდა, გაიფიქრა, ბარემ საუკეთესო მასალისაგან ავიშენებ ქვიტკირსაო.

შიგნითაც, ეკლესია, ეტყობოდა, ოდესღაც მოხატული ყოფილა ანგელოზებითა და წმინდანებით, მაგრამ ამჟამად კი ჩამოფხეკილი და გამოხუნებული იყო: ზოგ წმინდანს მხოლოდ ცალი ყბა ჰქონდა სრულად კვალგამქრალი ჟამთა ვითარების გამო, ზოგ ანგელოზს ფრთები აღარ შერჩენოდა და ალაგ-ალაგ არშიებად მოვლებული ყურძნის ბტევნები თუ სხვა სამკაული, ზოგან ლამაზ მურდახილებად გამოყვანილი, აგრეთვე წაშლილიყო; მხოლოდ ერთ ადგილას გვირგვილიანების წინაპრის „დიდი ოტიეს“ სურათი იყო უფრო ცოცხლად შერჩენილი და აგრეთვე კანკელი იყო „გადაბდღიალებული“, მაგრამ ის სრულიად არ შეეხამებოდა კედლებზე შერჩენილ ძველ ფრესკებს. ეს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ტრაფარეტული, რუსული კანკელი იყო. ერთ დროს ეს კანკელიც ბარონესამ გამოუგზავნა გვირგვილიანებს მათი საგვარეულო საყდრის შესამკობლად. აქ ქრისტე ჭერა იყო, ღვთისმშობელიც თეთრი სახისა და წმინდა გიორგიც და მიქელ-მთავარანგელოზიც ლამაზები იყვნენ, კარგად მოყვანილი ვაჟკაცები; ადგილობრივად მხატვრული ხერხით შესრულებულებს მაინც არ ჰგავდნენ. იქვე კუთხეში კი ღვთისმშობლის ხატი იყო დაკიდებული და აქ ღვთისმშობელი შავგვრემანი სახის ქალად იყო დახატული, მეტად მშვიდი სახისა და უფრო ქართველ ქალს მოგაგონებდათ. ერთხელ როგორღაც ბარამმა ჰკითხა ვამენს: „ეს როგორ არის, ღვთისმშობელი შავგვრემანიც ყოფილა და ქერაცაო, ქრისტეც აგრე. რატომ ხატავენ ასე

სხვალასხვანაირადო“; ვამეხმა მიუგო: „ყოველ ხალხს თავისი წარმოდგენა აქვს და ყველა ხალხი თავის მსგავსად ხატავს წმინდანებს, ეს არის ნაციონალური იერის გამოვლინებაო“.

მაგრამ თედორე მღვდელს უფრო არის მოსწონდა, რომ აქ შესამოსავი თავისი ჰქონდა ეკლესიას სადღესასწაულოც და სამგლოვიაროც; განსაკუთრებით ერთი ფილონი, თავისი ოლარით და სახელურებით, ვერცხლისფერი ფარჩისა, ზედ ზურგზე ვერცხლისფერისავე ბრტყელი, მუყაოს ჯვარი რომ ჰქონდა დაკრული, მშვენიერი იყო და თედორე მღვდელის სახელო პირისახის მოყვანილობას დიდად ამკობდა.

მერე ვისი შეკერილი იყო! — თვით კნეინა ნექტარინას ხელით.

ახლა „გარდამოხსნა“, მიცვალებულ ქრისტეს გვამი რომ არის ვერცხლისავე სირმით ამოქარგული და მუდამ ტრაპეზს რომ აფარია — მხოლოდ წითელ პარასკევს რომ გამოასვენებენ საკურთხევლიდან და აღდგომის დღემდე შუაგულ ტაძარში რომ ასვენია მლოცველების სამთხვევად. ეს ძველისძველი საჭაულია გვირგვილანების ეკლესიისა.

მაგრამ აგერ ბარძიმ-ფეშხუმი, ოქროთი ნაჭედი, ესეც ძველი საგვარეულო, რა ძვირფასია და მშვენიერი. მათი დაფარნები, ესეც საუცხოო ოქრომკედით ნაქარგი? ახლა თვითონ წევნები? ჟამნი, დავითნი, კურთხევანი, საწირნასწარმეტყველონი, ეგეც ძველი დროისა, ოდესღაც მოსკოვში დაბეჭდილი საქართველოს მეფის არჩილის მიერ და თბილისში დასტამბული ვახტანგ VI მიერ XVIII საუკუნეში. ანდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, ნაცრისფერკანიანი, კარგა მოსქო წიგნი; ეს ახალი დროის გამოცემაა, მაგრამ როგორ უყვარს ხალხს იქ მოთაუსებულ ქადაგებათა მოსმენა! მხოლოდ მშვენება და ჯავარი მაინც ამ ეკლესიისა სახარებაა, ყვითელ ეტრატის ფართო ფურცლებზე რომ არის მსხვილ და თითქმის უქარაგმო ხუცურით დაწერილი. ო-ო, ქარაგმები არ უყვარს თედორე მღვდელს, განსაკუთრებით საქმეს უჭირვებს საწირნასწარმეტყველოები, იქ თითქმის სულ მოქარგულია მთელი წიგნი და ხშირად ვერ არკვევს, რომელი სიტყვა ღმალება ქარაგმაში, ამიტომ ხშირად გადახტება და რაღაცას ჩაიბურტყუნებს — ვინ გაუგებს? კნეინა თითქოს ღვთისმოსავია, მაგრამ უფრო გარეგნულად,

სასულიერო წიგნებისა არა გაეგება რა. ეს იცის თედორემ, იცის! იცის, რომ ნექტარინას ამეებს ბევრი არაფერი გაეგება.

სხვა ვინ? ბარამ და ბეგი? მათ მშვენიერი გალობა იციან, გალობენ დიდ დღესასწაულებში, წირვაზე. ზოგმა „სძლის პირებიც“ კი იცის და „ღირს აარს ჭეშმარიტიც“. ესენი მათგან მეტად კარგი მოსახსმენია, დღეს უთუოდ დაეხმარებიან, მაგრამ სამღვთო წერილისა არც იმათ გაეგებათ რამე. ვამეხი? შეიძლება ესმოდეს, მაგრამ ეკლესიაში იშვიათად დაიარება. გლეხობამ კი ამისი სულ არაფერი იცის. გლეხი ეკლესიას არ ეტანება, ამიტომაც მამა თედორე ქარაგმიან წიგნებს ყოველთვის ბუტბუტით ჩაიკითხავს ხოლმე. სახარება? ესენი ამბობენ, რომ ეს სახარება მეცხრე საუკუნისა არისო. ვინ იცის? თედორეს ჭკვარია, რომ გასაგებად დაწერილი სამღვთო წერილი უჭირავს ხელში და თამამად შეუძლია საკითხი ისე განალაგოს კითხვის დროს, რომ როცა საჭიროა, ხმას დაუდაბლოს, როცა საჭიროა ხმას აუკიდოს და რაკრაკით ჩაათავოს. მარტო ერთი მისი ხელში დაკავება ღირს რათმე. როგორი ოქროთი მოჭედილი ყდა აქვს და ზედ ამ ნაჭედში როგორი ამობურცულობით არის გამოყვანილი ოთხი მახარებლის სახე? არა! ამისთანა შემკული საყდარი ამ არემარეში არ მოიპოვება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დადიანების კარის ეკლესიას ზუგდიდში და მარტვილის, ხობისა და წალენჯიხის განთქმულ მონასტრებს.

დღესაც ამ ფიქრებით იყო მოცული მამა თედორე, როდესაც საკურთხეველში იმოსებოდა საწირველად, მაგრამ კიდევ უფრო გაიხარა, როდესაც შეატყობინეს — დღესვე ნაწირავებს, ამავე ეკლესიაში, ნათლობა უნდა მოხდეს და ნათლიად ლევარსი კვიზინია არის მოპატიჟებულიო.

წუხელის, თევზაობის დროს, ლევარსი დაჰპირებოდა ეთგლეხს — შვილს მოგინათლავო და რაკი ის დღეს ნასადილევს უნდა გავიდეს ბერთემიდან, უცხოელებს უნდა გაჰყვეს ფაღავების მამულის სანახავად სოფელ ნახუნუუს, რადგან იქ მარგანეცის, შავი ქვის ბუდობი ყოფილა, ამიტომ დღესვე მოისურვა ბავშვის მონათვლა და ისიც ეკლესიაში, რადგან არ უნდოდა გლეხი ხარჯში შეეყვანა ოჯახში მასპინძლობის გამართვით.

ლევარსი ჭკვიანი კაცია და კარგად მოქცეულა. თედორე-

სათვისაც გასახარელი ის არის, რომ ამ ნათლობით მასაც მოელის საგრძნობელი გასამრჯელო.

ხალხი უკვე შეგროვდა.

აგერ მობრძანდნენ მებატონეებიც კნეინა ნექტარინას მეთაურობით და ნექტარინა რიკულებით გადაყოფილ ტაძრის საქალებოში დადგა, გვერდით ბარონესა ამოიყენა და წინ კიდევ ქალიშვილები გაამწკრივა: დაგმარა, რიაბინინა და თოლისქვამი. ვაჟები კი საქალებოს წინ დადგნენ, მხოლოდ ახლა სტუმრებს მიმატებოდა ბანძიდან ნახუნუფს გასაყიდად ჩამოსული ფალავები და ესენიც მარჯვენა მხრით დადგნენ ქრისტეს ხატის წინ უცხოელებთან და ვოლკოვთან ერთად, რომელთა ცოტა უკან ლევარსი მოთავსდა. ბარამი და ბეგი კი სადავითნესკენ წავიდნენ და თან გვერდში ამოიყენეს გუტატის ძმა, ბათუ, როგორც მათთან შეზრდილი და კარგი მგალობელი. გლეხობა კი დადგა მარცხნით, მაგრამ ყველა მაინც შიგნით ტაძარში არ შესულა და ეკლესიის განის კედლებთან ჩამომწკრივდნენ, თითქოს იმისათვის, რომ მოვალეობის გამო იყვნენ მოსულნი, თორემ წირვა-ლოცვა და ხუცესის ბუტბუტი მათ სულსა და გულს ბევრს არაფერს ეუბნებოდა.

მაგრამ აგერ გაისმა იმერულ კილოზე აწყობილი საეკლესიო საგალობლები, თითქოს ცოტა ჩქარი ტემპით წაყვანილი, მაგრამ ადამიანის საზეიმო ხმებით მოქარგული, თითქოს განცვიფრებულია მიუწვდომელი სიმაღლით და მის საქებრად თბზავს გულში ჩამწვდომ ბგერათა ხვეულს, ხმებისაგან წნავს ხელთდაუქერელ გვირგვინს ზენაარის კვარცხლბეკის შესამკობლადაო; ზოგჯერ კი იყო ამ ხმებში ვედრებითი კილოც ჩაყოლებული, თითქოს ვიღაც უმაღლესის გულის მოსალბობად, მაგრამ საერთო მთელი აღნაგობა ღაღადისისა იყო დამოუკიდებელი, ამაყი და ლაღი, ზოგჯერ ძალიან ჰგავდა საერთო სიმღერებს მათი კრიმანჭული, მაგრამ მაინც იგრძნობდით, რომ აქ უფრო წეამწევი კილო იყო დაცული და მის მსმენელს თუ ერთი მხრივ, როგორიღაც ნუგეშისმცემლად ევლინებოდა, მეორე მხრივ, თითქოს ამხნევებდა, უკეთესი მომავლის იმედს უნერგავდა.

როგორც ყველა ეკლესიას საერთოდ, ქართულ ეკლესიასაც ახლდა ეს ბანგი — ოსტატურად შეთხზული საგალობლები, რომ მლოცველს დავიწყებოდა ამქვეყნიური გაჭირვება და ტანჯვა-

წვალება და იმედი ჰქონოდა საიქიოს ცხოვრებისა, ესე იგი განცხრომითი ცხოვრებისა.

ბარამის, ბეგისა და ბათუს ხმაშეწყობილი გალობა ასეთ ხელთდაუჭერელ სამომავლო ბედნიერებას უქადდა წირვაზე მყოფთ და რამდენად მშვენიერი იყო მათი მაღალხარისხოვანი შესრულება საგალობლებისა, იმდენად უფრო იხიბლებოდნენ თვით ჯიუტი გლეხებიც და არამცთუ ტაძარში მყოფნი, არამედ ტაძრის გარეთაც მდგარნი გულდასმით ისმენდნენ მგალობელთა მწყობრ საგალობლებს.

ამაზე იყო, რომ თედორე მღვდელი იტყოდა ხოლმე: გვირგვილიანებისთანა მგალობლები რომ მყავდეს მუდამ, მთელს სამეგრელოში ჩემისთანა მლოცველი მრევლი არავის არ ეყოლებაო.

უცხოელები განცვიფრებით ისმენდნენ მათთვის უცხო ხმებს და ვინ იცის, რას ფიქრობდნენ, მაგრამ არაფერი დაუმჩნევიათ და მთელი წირვის განმავლობაში განკრძალვით იდგნენ მხოლოდ, როდესაც შუაწირვისა დარეკეს და მღვდელმა ამბიონზე ბარძიმ-ფეშხუმი გამოიტანა, წესისამებრ მოიხსენია ჯერ რუსეთის ხელმწიფე იმპერატორი თავისი უკანგუსტოესიხ ოჯახით, შემდეგ, სინოდი, საქართველოს ექსარხოსი, გურია-სამეგრელოს მღვდელმთავარი, დაბოლოს მიაყოლა კნეინა ნექტარინა, ბარამ, ბეგი გვირგვილიანები (ვამეხი კი არ დაუსახელებია), ყველა გვირგვილიანთა შთამომავალნი, მათი ძენი და ასულნი, — უცხოელებმა ყური ცქვიტეს და ნექტარინასაკენ მიიხედეს. ნექტარინა დაჩოქილი იყო და სასოებით პირჯვარს იწერდა. უცხოელებმა ეს მოვლენა ჩუმად ერთიმეორეს იმით აუხსნეს, რომ მათი კარის ეკლესია არის და მღვდელიც მათ საკუთრად მოვნოდ აღავლენს მათთვის ლოცვასაო. ვოლკოვი აქამდე საც ძლივს იდგა ეკლესიაში, ახლა ჟი საბოლოოდ გავიდა ტაძრიდან. მას ორიოდე სტუმარი ფაღავაც გაჰყვა, ღმთოდ მის პატივსაცემად, რომ საპატიო კაცს ტაძრის გარეთ არ მოსწყენოდა. ვოლკოვმაც შეიფერა ეს პატივისცემა, გაბოელაპარაკა, ჰკითხა, თუ რამდენად შორს იყო მათი დასათვალიერებელი მამული, აქამდე გამოკვლეული იყო თუ არა შავი ქვის საბადოები და სხვა ამგვარი, თან თავისი ვერცხლის პორტსიგარით ან პაპიროსით გაუმასპინძლდა მოსაუბრეებს.

ამასობაში წირვაც გამოვიდა და თედორე მღვდელი ჯვრით

ხელში იდგა ამბიონზე და ხალხს ლოცავდა. ხალხიც მიდიოდა, ჯვარს ემთხვეოდა და ხელზე ეამბორებოდა, მხოლოდ პირველად მაინც ყველამ ნექტარინა გაუშვა, ამას მიჰყვა ბარონესა, დაგმარა და თოლისქვამი. რიაბინინა ადგილიდან არ დაძრულა. უცხოელებმა მხოლოდ შორიდან მოიხარეს თავი ჯვრისა და მღვდლის წინაშე და გავიდნენ ტაძრიდან. სწორედ იმავ დროს ჯვარზე უმთხვევლად ბეგიც გავიდა განის კარიდან.

ამით შემდეგ იყო, გლეხობა რომ დაიძრა ჯვრისაკენ, მხოლოდ როდესაც ყველა გალაგდა, ეკლესიაში მარტო ამბიონზე მდგომი, შემოსილი, ჯვრით ხელში თედორე მღვდელი იდგა და სადავითნესთან მნათე, მედავითნე, ბათუ და ბარამი. თედორემ ბარამს შეხედა, თითქოს რატომ არ მოდიხარ სამთხვევადო, და ბარამიც მორჩილად მივიდა, ჯვარს ემთხვია, მხოლოდ, როდესაც მღვდლისათვის ხელზე უნდა ეამბორა, შედგა, მცირეთ კლებით შეხედა თედორეს და ღიმილით უთხრა:

— ხომ იცი, მამაო თედორე, შენ ხელზე არ გაკოცებ. უკაცრავად, არ გემთხვევი, უი, შენი მადლი გამიწყრეს, შენი! გახსოვს, ჯერ კიდევ მღვდელი არ იყავ.

— ფხუუ! — წაბოცდა მედავითნეს, რომელსაც სოფელში დიაკვანს ეძახოდნენ. აბა, იმან კი იცოდა თავისი ხუცესის ასავალ-დასავალი. დიაკვნებს ხალხი ტყუილად კი არ ეძახდა ქრისტეს ფეხის მჭამელს.

თედორეს ბარამის სიტყვებმა სიცილისაგან თვითონაც გაუბერა ლოყები, მაგრამ დიაკვანს ერთი მკაცრად გადახედა, ბარამს კი მხოლოდ ეს უთხრა:

— უჰ, წყეული, წყეული! — თუმცა ეს გულითადი წყევლა არ იყო, მაინც შენიშნა: — სად მეუბნები მაგას, შე ბილწო კაცო, შენა! — და სწრაფად მიბრუნდა საკურთხევლისაკენ.

ტაძრიდან გამოსულ ნექტარინას მაშინვე ხალხი შემოესია. ჯერ სტუმარი ფალავები მოვიდნენ და ხელზე კოცნით მიესალმნენ, შემდეგ იმ სოფლის დედაკაცები, მამაკაცი გლეხები კი შორიახლო დაბლა თავს უკრავდნენ.

ნექტარინა თითო-ოროლა სიტყვით სოფლის დედაკაცებს გამოესაუბრა, ფალავები მოიკითხა და როდესაც დაინახა, რომ საყდარში ემბაზი შეჰქონდათ, დაუძახა:

— ო-ო, ლევარსი, აბა ახლა შენი რიგია! მე ბოდიშს ვიხდი,

ნათლობაზე ვერ დაგესწრები, მაგრამ შენ დიდხანს არ გვაცდევინო. ხომ იცი, თუ ფალავები ჩქარობენ.

— თანხმობის ნიშნად ფალავებმაც და ლევარსიმაც თავი დახარეს. ნექტარინა გაემართა სახლისაკენ და მათ მიჰყვა ყველა წვეული.

ერთი უცხოელი ბარონესას ჯგუფში ლაპარაკობდა.

— მაინცდამაინც რელიგიას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ხალხში. ჯერ ერთი რომ, რიღასიც რწმენა გაქვს და... ეს კარგია. მეორე კიდევ მღვდელმოქმედების დროს, თუ შეიძლება ასე ითქვას, დისციპლინირებული ხდება კაცი, მოკრძალებითა ხარ, განმარტოებული, თითქმის ერთი საათი, ზოგჯერ მეტიც და ეს გარემოება კი თავის თავში ჩაგახედებს. ეს უკვე განსაწმენდელია.

— თქვენ კათოლიკე ხართ? — შეეკითხა რიაბინინა.

— რჯულით გახლავართ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ორთოდოქსი ვიყო.

— მე კი ასე მგონია, — თავისებური სიცხოველით დაიწყო რიაბინინამ, — რელიგია ეს ჩემი სინდისის საქმეა. თავის დღეში მე ხუცებისაგან, სასულიერო წოდების ადამიანებისაგან, არავითარი ისეთი ჭეშმარიტება არ გამიგია — მანამდე ჩემს სინდისს არ ეკარნახებინოს. იმათ სხვა ენა აქვთ და მე სხვა, მაგრამ ასე მგონია, რომ ჩვენ ერთსა და იმასვე ვგულისხმობთ. მაგალითად, რასაც მე ჟამსა და დროს ვეძახი, მას მარადიულობას უწოდებენ; ზეცაზე როცა ლაპარაკობენ, დედამიწის აღწერა გამოდის; ის არსებანი კი, რომელთაც ღვთაებრივს ეძახიან, ყველანი ადამიანურ თვისებებს ატარებენ და ასეთი ტყუილებით თავს გვიბრუებენ.

ამ სიტყვებზე ბარონესამ მეგობრული საყვედურით გადახედა რიაბინინას, მაგრამ ის არ შეჩერებულა:

— დროა აღვდგეთ ამ სიცრუის წინააღმდეგ. მას უმრავლესობისათვის ჭირისა და ვაების მეტი არა მოაქვს რა...

— ო-ო, მარინა, მარინა! შენ ხომ გამოუსწორებელი ათეისტი მყავხარ... — და ალერსით ხელი მოხვია ბარონესამ.

— მე კი არ მომეწონა მათი გალობა! — ზურგს უკან ღაცა წამოიძახა ვოლკოვმა. — როგორ კატებივით ჩხაოდნენ. ტურკები ხომ არ არიან?

რიაბინინა გაუსხლტა ბარონესას.

— თქვენ რა, ბატონო ვოლკოვ, კიდევ დაიწყეთ? — და თვალები შეანათა.

— არა, გავიხსენე ჩვენებური სლავური საეკლესიო ხმები და...

— მართალია! რუსული გალობა განთქმულია!

— ჰო, რუსულიც და აი თუნდა კათოლიკების ორგანი აიღეთ. არა, ბატონო ჩემო? — შეეკითხა ვოლკოვი უცხოელს. უცხოელმა ჯერ ყოყმანით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ასე დაუდასტურა:

— არა... ჰო... მაგრამ, წარმოიდგინეთ, მე ამათ გალობაში, რომელიც პირველ ხანად ძალიან ეხამუშა ჩემს ყურებს, რალაც მაღალი, საზენაო დავინახე მაინც. არა, მაგათ სამღვთო საგნებზეც ეტყობა, რომ თავისი ენა და გამოთქმა აქვთ.

— თქვენ რა აზრისა ხართ? — შეეკითხა ვოლკოვი ახლა მეორეს, თითქმის მუდამ მდუმარე უცხოელს, როდესაც ესენიც კიბეს აუყვნენ.

მან კი მოკლედ მოუჭრა:

— გამიგონია, ფსალმუნშია ნათქვამი: „ყოველი სული აქებდეთ უფალსა“. — და უეცრად დადუმდა, მხოლოდ ვოლკოვს ისე შემოესმა, რომ ამ სიტყვების შემდეგ მან მზაკვრულად ჩაიქირქილა კიდეც.

როდესაც დარბაზში შევიდნენ, სადილობამდე კარგა ხანი იყო ჯერ კიდევ, მაგრამ სუფრა მაინც გაეშალათ, რადგან ფაღავები და უცხოელები წასვლას იჩქაროდნენ.

ნექტარინამ წამსვლელები სუფრაზე მიიწვია და თვითონ ჩვეულებისამებრ სუფრის თავში დედოფალივით დაბრძანდა, სხვა ქალები კი ოთახებში გაიკრიბნენ, რადგან მათი იქ ყოფნით არ უნდოდათ სახელდახელო საუზმე გაეხანგრძლივებინათ. სუფრას გუტატი და შინამოსამსახურეები დასტრიალებდნენ მხოლოდ.

სუფრა უხვი იყო თევზეულობითა და სამარხვო სხვადასხვა გვარის ფხალეულობით: ახლად შემოსული ქორფა ჭინჭარი, ნიგვზით შეკაზმული, მოლოქი, ჯიჯილაყა, ჩიტისთავა, ისპანახი, ვარხალი, ესენიც საკაზმით გაგემრიელებული. ზოგი ყვითელი კოჭით და ზოგიც უცხო სუნელით შეზავებული, თან წნილები: მთელი ზვინი ფოჩიანი პრასისა, ნიახურის ძირებისა, კეჟერა კომბოსტოსი, პირის გასაღიზიანებლად შემზადებული და პილ-

პილით ამწვანებული. ლობიო ხომ სულ სხვადასხვაგვარი: ძაძა, გურული, წვრილი წითელი, ზოგი კირკაჟად გაკეთებული ძმრითა და ხახვით, ზოგი ამოლესილი, ზოგი დაგუფთავებული და ყველა ამათი მშვენება თავის პარკით მარილწყალში მოხარშული მსხვილკაკლიანი ცერცვი.

ბოლოს კი ტკბილეულის ნაცვლად ჯანჯუხის ჩხირები და, ტკბილისკვერი, თან ბურთულები თაფლში მოზელილი ფეტვის ცომისა, ქუმუს რომ უწოდებენ. ნექტარინამ ბოდიში მოიხადა კიდეც, უფრო უცხოელებთან, რომ დღეს სახსნილო ვერ მოგვართვითო, მაგრამ განუმარტა, რომ უკვე ვნების კვირა იწყება და ამ კვირაში კი ჩვენში თითქმის ურწმუნოებიც კი მარხულობენო.

ერთ-ერთმა უცხოელმა თავაზიანობით უქო სუფრა და თავისი აღტაცება გამოთქვა უცნაური საჭმელების გამო.

ამასობაში მამა თედორეც და ლევარსიც შემოუსხდნენ სუფრას. ფეხზე მდგომმა გუტატიმ კი აიღო პატარა ყანწი, უცხო სტუმრები და ფალავები დალოცა და უსურვა, რომ მათი საჭმე ორთავ მხარის საკეთილდღეოდ დამთავრებულიყო.

გუტატიმ იცოდა მოჭახრაკებული სადღეგრძელოების დალევა და იმ არემარეში უქებდნენ კიდეც თამადობას, მაგრამ აქ კი, ამ სუფრაზე, თავისებურად ფრთები არ გაუშლია და, მართალია, მასპინძლად გრძნობდა თავს, მაგრამ საუზმეზე არც კი დამჯდარა და ისევ თავზე მდგომი მოურავის როლში დარჩა. მხოლოდ რაკი ეს სახელდახელო პურადღება იყო, გუტატიმ იცოდა, რომ არც ბარაში და არც ბეგი ამჟამად თამადად არ დაგვებოდნენ, სტუმრები კი უთუოდ ვისმე მასპინძელთაგანს უნდა დაელოცა, ამიტომ მოურავისათვის უპრიანი იყო ამის თაოსნობა და იმიტომ აიღო კიდეც ყანწი. ყანწი კი სიჩქარისთვის იყო საჭირო, რადგან სტუმრები ეშურებოდნენ და ამით უნდა მოთავებულიყო სმის ხანგრძლიობა.

უცხოელებს ყანწი არ გაჰკვირვებიათ, რადგან ნექტარინასას სადილ-ვახშმებზე შეეჩვივნენ მის დანახვას. ის კი არა, ერთხელ თვითონ კნეინა ნექტარინამაც დალია ყანწით და ერთ-ერთ უცხოელს გადაულოცა. ბევრი უარის შემდეგ უცხოელმა მაინც აიღო, დალია და შემდეგ მეორე უცხოელს და ვოლკოვსაც დაალევინეს, თუმცა ვოლკოვის გარდა მეორე-

ჯერ ყანწით ღვინის მიღება სტუმრებმა განირიდეს. ვოლკოვი კი აჰყვა გვირგვილიანებს და კარგად შეზარხოშდა კიდეც.

ახლა კი, საუზმეზე, ყველამ უარი თქვა ყანწზე და გუტატიმ ამის გამო ფალავების უფროს წარმომადგენელს, გუჯა ფალავას გადაულოცა. გუჯამ ევტიხის გადასცა, ევტიხიმ — ლევარსის და ამგვარად ყანწმა ერთი ჩამოვლა მაინც ჩამოუარა უცხოელთა გარდა სუფრაზე მსხდომ სხვა მამაკაცებს. ბოლოს ისევ გუჯა წამოდგა და ყანწით ნექტარინა და სხვა გვირგვილიანები დალოცა, თან მოიბოდიშა, რომ წასვლა ეჩქარებოდათ. ამაზე გუტატი შეეპიტყვა — ასე რომ არ იყოს საქმე, ძვირფას სტუმრებს კნეინა ნექტარინა ასე ახირებულად არ გაგიშვებდათო, რაზედაც კნეინამ მადლობით გადახედა გუტატის, თითქოს ამით დაუდასტურა — რაც საჭირო იყო, სწორედ ისა თქვიო, მაგრამ თქმით არაფერი კი არ უთქვამს. სტუმრები წამოიშალნენ და მასპინძლებს გამოემშვიდობნენ. მასპინძლებმა სტუმრები გააცილეს. ბარამი, ბეგი და გუტატი ეზოშიაც ჩაჰყვნენ, ნექტარინა მხოლოდ აივანზე გამოჰყვა.

ეზოში მათთვის ცხენები მზად იყო.

ევტიხიც მიეჩქარებოდა სენაკისაკენ და გამოთხოვებისას ნექტარინამ ასე დაარიგა:

— შენ, ჩემო შვილო, ვიცი, რომ კარგი კაცი ხარ და არაკის შეწუხება არ გიყვარს.

— რას ბრძანებთ, კნეინა ბატონო!

— არა, ვიცი, მაგრამ სამსახური გიბრძანებს და რას იზამ! მხოლოდ, თუკი ოდესმე დაგჭირდეს ვალის გადახდევინებისათვის ჩემთან მოსვლა, წინდაწინ შემატყობინე და შევარდენივით წუ დამეცემი თავს. — თან ლმობიერად გაუღიმა.

ევტიხი კინაღამ გაწითლდა.

— ოჰ, ბატონო, შევარდენი კი არა...

— არა! ასე ითქმის, თუმცა ვალი მაინცდამაინც არ მიყვარს და სასუდოდ არავის არ გავუხდი ხოლმე საქმეს. იმ უხეირო ბანძიმ შემაწუხა ცოტა, მაგრამ ის ვის არ აწუხებს.

— დიახ, კნეინა, ცოტა მოუსვენარი კაცია.

— ჰოდა ასე, ჩემო შვილო, გახსოვდეს, წინდაწინ გამაგებინე უთუოდ.

— თქვენ კარგად ბრძანდებოდეთ და ჩემს მეტი შემწუხებელი არავინ მოგსვლოდეთ, კნეინა!

— ჰო, ჰო! — და კნეინამ ხელი გაუწოდა გამოსათხოვრად ევტიხიმ კიბე ჩაირბინა.

ნექტარინა კი ახლა თედორეს მიუბრუნდა:

— აბა, თედორე, ახლა შენ იცი. ხვალიდან საზიარებლად უნდა მოგვამზადო ხალხი.

— კარგი, ბატონო, მაგრამ თქვენს ეკლესიაში მიცვალებული რომ იქნება დასვენებული?

— ვინ მიცვალებული?

— ვამეხმა ბრძანა, რომ საწყალი იოსე დასაფლავებამდე აქ, თქვენს ეკლესიაში, დავასვენო... დიდ ხუთშაბათს მარხავს.

ნექტარინა ჩაფიქრდა. შემდეგ წარმოთქვა:

— ძალიან კარგი უნებებია, საცოდავის ოჯახსაც ააცდენს ამ კვირაში ზედმეტ ხარჯს. მაგრამ დიდი ხუთშაბათი კი მაინც შორია: მეც მიყვარდა საწყალი იოსე. სამშაბათს დამარხოს რა? გუშინ არ დაიხრჩო საცოდავი? სამშაბათს კანონიერი საღი დღეც გასული იქნება. ჩვენ კი ზიარება დიდ ხუთშაბათს მივაღებინე. — ამ დროს თვალი მოჰკრა, რომ ეზოში ერთი შავადშემოსილი ქალი შემოვიდა პატარა ვაჟის თანხლებით და მიმავალ სტუმრებს შეერია — უიმე, ეს კესარია არ არის? წყეული ჩემი მული? ბარამისა და ბეგის და, ბეჩა!

თედორემაც დაუდასტურა, რომ ის არისო.

ნექტარინას აღელვება დაეტყო.

— რა უნდა ახლა, ამ სააღდგომოდ რომ მოეთრია და მისი ნაბუშარიც თან მოჰყავს? ძილხან, ძილხან! — შესძახა შიგნით დარბაზში, თან უკმაყოფილოდ გაიქნია თავი.

ძილხანიც მალე გამოვიდა.

— ძილხან! ეგერ კესარია მობრძანდება, ჩვენი ოჯახის მასახელებელი და შენ იცი ახლა... კუდი-კუდში მიჰყევი, არ მიშორდე, ხომ იცი, ხელმრუდეა და არაფერი გააყოლოს ხელს. ღამითაც შენს ოთახში დაიწვინე, სხვაგან არსად, გესმის?

თედორეს არ გაჰკვირვებია, რომ ნექტარინა ასე ცუდი გუნებით შეხვდა თავისი მულის მოსვლას. იმასაც კარგად მიხვდა, თუ ძილხანთან თქმული კნეინას სიტყვები: „მობრძანდა“ და „ჩვენი ოჯახის მასახელებელი“ როგორი შინაგანის ზიზღით იყო თქმული. ყველაფერი ეს არ გაჰკვირვებია თედორეს, რადგან ამ რძალ-მულის დამოკიდებულება დიდი ხანია ყველამ იცოდა ამ არემარეზე: ბოლო ხანებში, თორემ წინათ კნეინა

ნექტარინა თავის სახლში არც კი იკარებდა თავის შერცხვენილსა და „გაბახებულ“ მულს კესარიას.

„გაბახებული“ მიტომ იყო კესარია, რომ ახალგაზრდობისას შეუყვარდა ბერთემში სტუმრად ჩამოსული ერთი ახალგაზრდა გლეხი და ჯვარდაუწერელს მის ხელში შვილიც ეყოლა.

თედორემ კარგად იცოდა, ასეთი ორგვარი თავლაფდასხმა გვირგვილიანებისათვის რა ძნელი მოსათმენი იყო. თავის დროზე ბეგიმ სასიკვდილოდაც კი მირიწია კესარიაზე, მაგრამ უფროსმა ძმამ, ბარამმა, ლმობიერება გამოიჩინა და კესარია გადარჩა. ორგვარი თავლაფდასხმა ის იყო, რომ, ერთი, კესარიამ გლეხის შვილი შეიყვარა და, მეორე, ჯვარდაუწერლად შვილიც გაიჩინა.

თედორეს ისიც ახსოვს, — კესარიას საყვარელი გლეხი ამ ამბის შემდეგ აჭაურობას რომ არ გაჰკარებია. კესარია გაგდებულ იქნა გვირგვილიანების ოჯახიდან და სადღაც შორეულ სოფელში ერთი მოკეთის ოჯახში მოილოგინა. თავის საყვარელსაც ბევრი სწერა წერილები, მოახერხა და კაცებიც მიუგზავნა, მაგრამ საყვარელი უგულო ადამიანი გამოდგა და თავის სატრფოს, როგორც მეგრელები იტყვიან, „განაჩენიც არ მისცა“. ასე რომ, სრულიად განმარტოებული დარჩა კესარია. შინ ძმები აღარ იღებდნენ, განსაკუთრებით ნექტარინას მისი სახელის გაგონებაც არ უნდოდა, მეორე მხრივ თავისმა რჩეულებმაც ზურგი შეაქციეს და დიდხანს გამოუვალ მდგომარეობაში იყო, მაგრამ შემდეგ კვლავ მის მოკეთე მასპინძლის რჩევით და დახმარებით ჭუთაისს წავიდა და ბერთემიდან წამოსულ და ჭუთაისში დასახლებულ ერთი მეეტლის ოჯახს შეეკედლა.

ამბობდნენ, პირველ ხანებში კესარიას უნდოდა ბავშვი ჭუთაისში ამ კეთილი ოჯახისათვის დაეტოვებინა აღსაზრდელად და თვითონ მონასტერში წასულიყო, მაგრამ ესეც ვერ მოუხერხდა, რადგან ახალგაზრდობამ და მისმა სხეულის სილამაზემ თავისი გაიტანეს და ცხოვრების სიტკბოებას ვეღარ შეელია.

ამასობაში გავიდა წლები. საზოგადოებრივ აზროვნებაში ბევრი ცვლილება შეიპარა. თავადებსა და გლეხებს შორის ერთიმეორეში ქალების მითხოვება გახშირდა, ძველებურად საჩოთირო აღარ შეიქნა. შემდეგ ვამეხიც დაბრუნდა კატორღი-

დან და კესარიას „დიდი შეცოდება“ მისი ძმებისა და ნექტარი-ნას თვალში მისატევებლად გახადა და ერთ მშვენიერ დღეს ქუთაისიდან დაიბარა კესარია და თავისიანებს აწვია.

ნექტარინამ მაინც დიდი ამრეზით მიიღო „შემცოდე“ მუქ-ლი, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ კესარია უკვე მიღებული იქ-ნა გვირგვილიანებში და მათთან ნუგეშცემული იმით იყო, რომ ამიერიდან დროგამოშვებით მაინც მიესვლებოდა თავის დედულეთში და ესეც მისთვის დიდად გასახარელი იყო.

აი ახლაც, ეს მესამეჯერ არის, რომ მოდის თავისიანებთან და თან უკვე თავისი მოჩიტული ვაჟიც მოჰყავს.

ნექტარინამ კი ძილხანი კარგად დაარიგა, გაისტუმრა და შემდეგ ისევ თედორეს მოუბრუნდა:

— მაშ ასე, როგორც გითხარი, მამაო! ხვალიდან შეუდგე-ბი ჩვენს საზიარებლად შემზადებას და იცოდე დაუჯდომელიც უნდა გვალოცო. შენებურად არ წაუსიო და არ შეგვიკვეცო. წირვაზე რომ იციან ხანდახან, უცებ რომ მიაფიშფიშებ! ჰა, ჰა! სულწასული ხარ, ხუცესო, სულწასული! — და თავი მისკენ მო-იბრუნა და პირდაპირ თვალებში ჩახედა.

ჩახედა და, თითქოს მოულოდნელობისაგან შეკრთაო, რა-რაღაც ეუცხოვა: თედორეს თვალთა გამომეტყველებას არა-ფერი სასულიერო და სადიდმარხვო არ ახლდა. ნექტარინას მაშინვე თავში გაუელვა:

— რას შემომღნავის ეს ანაფორიანი?! — და თავი საჩქა-როდ განზე მიიბრუნა, თითქოს რაც იგრძნო, ამას არ უნდა ჩაუღრმავდესო, მხოლოდ გულში მაინც გაივლო: — მაშ ჯერ კიდევ... ჯერ კიდევ ჩემი ეშხი მოქმედებს... ჰმმ! — აქ ერთი ამ-რეზით აათვალიერ-ჩაათვალიერა თედორე სისორდია. გაიფიქ-რა: — მერე ვისთვის? ამისთვის? — და გულით ამოოხვრას ხმამაღლა ამოაყოლა: — ვაი ჩემი ცოდვა! — შემდეგ სრულიად უხუმარი სახე მიიღო და ისე შეეკითხა:

— მართალია, რომ ვნებათ კვირეში მიცვალებული ნამ-დვილად ცხრნდებაო?

თედორე თავბრუდახვეული თუ იყო — ლუღლუღით შე-ეპასუხა:

— რა მიბრძანეთ?

— რომ ამბობენ, ამ კვირეში ვინც მოკვდება, მისთვის სა-მოთხის კარი გაღებულიაო, მართალია?

— ასე მოგახსენებენ.

— ბედნიერი ყოფილა საცოდავი იოსე.

ამასობაში ეზოში, როგორც იყო, ცხენებზე შესვეს სტუმრები. მასპინძლები ძალიან ფათურობდნენ და განსაკუთრებით უცხოელებს დასტრიალებდნენ თავს, მათ ცხენებს უნაგირსა და მოსართავებს უსინჯავდნენ, თუ რაიმე არ მოეწონებოდათ, ხელახლა ხდიდნენ ცხენებს უნაგირებს და ხელახლა ჰკაზმავდნენ. ამასობაში დრო გადიოდა, უცხოელები კი ნერვიულობდნენ, მხოლოდ ვოლკოვი იყო მარჯვედ, ის უველაზე წინ სხვებს დაუხმარებლად მოაჭტა ცხენს და ახლა გამარჯვებულივით გამოიყურებოდა — უხაროდა, რომ ფიცხი ცხენი შეხვდა, მოუსვენარი, მტოკავი, თითქოს ცეკვავსო. თვითონ კი მაგრად აკავებდა ცხენს და მხედრულის სიამაყით იმსჭვალებოდა, რომ თავის მერანს ყელს მშვილდურად აღუნვინებდა. იცქირებოდა თვნისაკენ — ეგებ ჭალებმა დაბინახონო, მაგრამ იქ ამჟამად წექტარინასა და თედორე მღვდელის მეტი არავინ არ იყო.

გუტატი კი, მიუხედავად გუჯა ფალავას წინააღმდეგობისა, ლევარსის მაინც ასე ათათბირებდა:

— როგორც დათქმულია, თუ ამ სამ-ოთხ დღეში ვერა, საალდგომოდ მაინც ისევ აქ უნდა დააბრუნო სტუმრები. ხომ იცი, ჯერ მენჯი-რობუ ხეირიანად არც კი დაუთვალიერებიათ. არა, ბატონო გუჯა, არა, ნუ მეწინააღმდეგებით! თქვენი, ფალავების, პურ-მარილის ამბავი როგორ არ ვიცი, მაგრამ გეფიცები, კნიაზო, რომ მჭვენიერობას უველა ამათ გაახლებთ ბანქოს და მეც გეახლებით.

— ჰო, ჰო, შენი იმედი მაქვს, შენი, გუტატი! ძალიან მარიფათიანი ყაზახი ხარ, — წარმოთქვა გუჯამ და შემდეგ ხუმრობით ბარამსა და ბეგის მიუბრუნდა. თან თავი გუტატისკენ გადაიქნია:

— რაში ჩამოგივარდებათ, თუ გიყვარდეს, ეს ძაღლიშვილი, ესა? — აქ ფალავამ თავის ხმას მეგობრული კილო მისცა და შემდეგ განაგრძო:

— ნამდვილი გვირგვილიანი არ არის?

ბარამი მიუხვდა გუჯას ჩამოკრულს, მაგრამ, ვითომ ვერ გაიგოო, გულუბრყვილოდ უპასუხა:

— აკი, ჩვენც ძმად მიგვაჩნია!

ლევარსიმ გუტატის გადაუჩურჩულა:

— აბა, გუტატი, შენი იმედით ვარ. რომ დავბრუნდები, კარგი ამბით დამხვდი.

გუტატიმ თავი დაუქნია იმედის ნიშნად.

ამ დროს იყო, რომ მათ კესარია შემოუერთდა, მაგრამ დიდი სიხარული მისი დანახვით არავის არ გამოუთქვამს; არც სტუმრებისათვის გაუცვნიათ. გულგრილობა ეტყობოდა მათ შეხვედრას, მხოლოდ ვოლკოვს კესარიას დანახვაზე მისთვის თვალი არ მოუშორებია. კესარიამ შეამჩნია მასზე მიშტერებული ვოლკოვი და შეიძლება ამიტომაც სტუმრებს მანამ არ მოშორდა, სანამ უცხოელები ცხენზე არ შესვეს. აქ კი კესარიამ გულიანად გაიცინა:

— შეხედეთ, შეხედეთ, აღვირი როგორ უჭირავთ!

უცხოელებს აღვირის თითო ღვედი ცალ-ცალკე ხელში ეჭირათ. ამას სამეგრელოში მიჩვეულნი არ იყვნენ, აქ მიღებული იყო, რომ ორივე ღვედი აღვირისა ცალ ხელში, მარცხენაში, დაეჭირათ და მარჯვენაში კი მათრახი. ამიტომაც უცხოელების ასეთი ჩვეულება მარტო კესარიას არ გაჰკვირვებია, მხოლოდ ბარამმა შენიშნა, რომ აღვირის ასეთი დაჭერაც მიღებულია სხვაგან, ხშირად ჯარში, კავალერისტებიც ასე იქცევიანო და იქ მყოფთა გაკვირვება ამითი თითქოს შენელდა.

სტუმრები უკვე გალაგდნენ ნექტარინას ეზოს ჭიშკარში.

კესარიამ კი აივანს მიაშურა თავისი ბავშვით.

სრულიად შავებში იყო მოსილი მონაზონივით და ეს შავი ფერი მის სახის სითეთრეს კიდევ უფრო ამჟღავნებდა. სახეს კი შესდგამდა სურათა, მომცრო ცხვირი, პაწია ბაგე-პირი, მშვილდურად მოხრილი შავი წარბები. თვალები კი თითქოს რუხი წყლისფერი, ეგრევ ცვალებადი, როგორც წყლის ჭავლი, გრძელწამწამიანი, ჟუჟუნა და ეშხით სავსე, მაგრამ ყოველივე ეს მიჩრდილული იყო თითქოს კდემამოსილების იერით, რაც უახლოვდებოდა ერთგვარ თავის მოსაწყლებას.

და მართლაც, ნექტარინასთან მისალმებისას სრულიად საცოდავად გამოიჩინა თავი. ჯერ შორიდან დაბლა თავი დაუკრა მერე მიუახლოვდა, მკერდს ეამბორა და ხელზე აკოცა. ნექტარინა კი ადგილიდანაც არ დაძრულა, ისე მიიღო კესარიასაგან თავმდაბლური შეგებება, მხოლოდ ეს უთხრა ცივი კილოთი, გულის გარეთ:

— რას შვრები, კესარია, როგორა ხარ?

— რას ვიზამ მე უბედური დღის გაჩენილი! ვსუნთქავ!.. ეს რომ არ მყავდეს, ან კი რაღა სასიცოცხლო პირი მაქვს ქვეყანაზე! — და თავის ბავშვისაკენ მიიხედა.

თედორემ და ნექტარინამაც ბავშვს გადახედეს. კარგა ჩამკვრივებული ბავშვი იყო, ეტყობოდა, რომ თავის ხანზე უფრო დიდად გამოიყურებოდა. თავჩაღუნული ჯიუტად იდგა, პირდაპირ არ იცქირებოდა, წარბებქვეშ ველურად თვალებს აელვებდა.

ნექტარინამ დაუზოგავად წარმოთქვა:

— ეგ რა არის? კუზიანია?

ამის თქმაზე კესარია ისე გადაფითრდა, ადამიანს ეგონებოდა გული შეუღონდაო, თუმცა იმისი თვალები ისეთი ვედრებით შესცქეროდნენ ნექტარინას — ნუ იტყვი მაგას, ბავშვს ნუ გააგონებო, — რომ მართლა საცოდავი გახდა, თან ხელებიც გაასავსავა, თითქოს უშლის ნექტარინას — ნუ ხარ ასე სასტიკიო, მაგრამ ნექტარინას ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მაინც წარმოთქვა:

— მახინჯი შვილი გაიჩინე, შე უბედურო?

კესარია სულ ჩაკვდა. ბავშვმა კი ერთი ისეთი ზიზღით და გესლით სავსე თვალებით ამოხედა ნექტარინას, რომ ამის დამნახავ თედორეს კინაღამ ფერი ეცვალა, ნექტარინას არ დაუნახავს, ისე კი თითქოს იგრძნო თავისი სისასტიკე კესარიასადმი და ამის გამოსაკეთებლად ასე ანუგეშა:

— თვალების მოყვანილობა კი გვირგვილიანებისა აქვს...

— არა! — ხმამაღლა წამოიძახა ბავშვმა და ნექტარინას ზურგი შეაქცია.

— როგორ? არ გინდა, რომ გვირგვილიანი იყო? — ახლა ცოტა უფრო ლმობიერად შეეკითხა ნექტარინა.

ბავშვი არ მობრუნებულა ისე, თითქოს თავისთვის, უკმეხად წამოიძახა:

— მე ჭაა ვარ!

თედორეს ახლა გაახსენდა, რომ კესარიას მაცდუნებელის გვარი მართლა ჭაა იყო, მაგრამ საიდან იცოდა ეს ამბავი ბავშვმა, ამას კი ვერ მიმხვდარიყო: ნუთუ დედამ უთხრა? ნუთუ იცის, რომ ბუშია?

აივანზე ბარონესა გამოვიდა და იქაურობა რომ დაინახა, იგრძნო, რომ იქ მყოფი ყველა რაღაც უხერხულ მდგომარეო-

ბაში იყო. ნექტარინას შეხედა და თვალებით შეეკითხა — რა ამბავიაო.

ამის სამაგიეროდ ნექტარინამ გააცნო:

— კესარიბ, ბარამისა და ბეგის და... ჩემი მეული.

ბარონესა წამოვიდა და დიდი თავაზიანობით კესარიას ხელი ჩამოართვა, თან შეეკითხა:

— ეს თქვენი შვილია?

— დიახ, ჩემო ბატონო.

— გამარჯობა შენი, ბიჭუნა!

ბიჭუნა მაინც არ მობრუნდა, კიდევ უფრო განზე გაიწია.

— რა მიუკარებელი ყოფილხარ? — სათნოდ წარმოთქვა ბარონესამ.

ბავშვი მიხვდა, რომ ეს სიტყვები მას ეკუთვნოდა და კვლავ ზურგშემობრუნებულად წამოიძახა:

— ასეთი ვარ.

— ოჰო! — სიცილდაყოლებით შეიკვირვა ბარონესამ. კესარიამ კი დატუქსვით მიმართა თავის ვაჟს:

— რა დაგემართა, იეროთეოს?

— როგორ, როგორ? — ისევ ბარონესამ შეიკვირვა, — უცნაური სახელია.

— რა ვიცი, შენი ჭირიმე! ნათლობის დროს მღვდელმა, ჟამნში ეს ამოუვიდაო, და ასე დაარქვა: იეროთეოს! ყველას უჭირს თქმა, მეც მიჭირდა, ახლა შევეჩვიე, — შემდეგ შეცვალა საუბარი მოსაბოდიშებლად. — ხანდახან იცის ასე ჯიუტობა, თორემ ისე კეთილი გულისაა და ძალიან ნიჭიერი.

— დედა! — უკმაყოფილოდ შესძახა კესარიას იეროთეოსმა.

მაგრამ ამისათვის დიდი ყურადღება არავის მიუქცევია. კესარიამ კი ჯიბიდან ამოიღო ჩალათიანი ბარათი და გადასცა ნექტარინას.

თედორე მღვდელმა დრო იხელთა და იქაურებს თავის დაკვრით გამოეთხოვა.

— ეს ჭუთაისიდან კანდიტერ სანიკიას მეუღლემ მოგართვათ.

— ო-ო, ჩემი სალომე, ჩემი. ტაია რატომ არ გამოუშვა, ნეტავი, ამ საღდგომოდ?

— რა მოგახსენოთ, გენაცვალოს ჩემი თავი, მანდ წერილში ეწერება.

აივანზე ძილხანი გამოვარდა.

— ქალბატონო, ქალბატონო! ბენოია მოვიდა.

— კარგი, იქ ამოიყვანე, უკანა აივანზე, მეც ახლავე მოგვალ.

— ო-ო, ბენოია! — თითქოს დიდი სიხარულით წარმოთქვა ბარონესამ, — ეს მშვენიერებაა! ახლა კი მოვრთავ შენ დარბაზს ჩემს გემოზე, — ღიმილით გადაულაპარაკა ნექტარინას და საჩქაროდ შინა ოთახებში მიიმალა.

კესარიამაც ამის შემდეგ მიმართა ნექტარინას:

— ნებას მომცემ მეც გავიდე უკანა აივანზე?

ნექტარინა ჩალათას ნაწიბურს ხევდა, მაგრამ უეცრად ფაცი აიღო და ძილხანს თვალებით ანიშნა: ძილხან! გახსოვდეს, რაც წეღან გითხარით, და შემდეგ მიაყოლა: — გააცილე!

14

ბენოია პირდაპირ ნექტარინასთან არ მოსულა.

ბერთენში რომ ჩამოვიდა, პირველად ლუთუთიას ქვრივობოლს ეწვია.

საცარი კაცი იყო ბენოია. სრულიად არ ჰგავდა მეწვრილმანეს. ჯერ ერთი, მოყვანილობითაც ახოვანი და კარგი შესახედი იყო და თითქოს სულ არ უხდებოდა კურტნიანი ცხენით სიარული და ფართლითა და გუნდა-ლახუსტაკით ვაჭრობა. ამას ხშირად პირშიაც ეუბნებოდნენ და ისიც გულიანად ხარხარებდა.

— კნიაზობა უფრო შემეფერება, ჩემი ჯურის მადმა, მაგრამ ისრაელი ვარ და არ გამოდისო, — აჰყვებოდა ისიც შეხუმრებულებს, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ თითქოს ნაკლებად ახლდა ჩარჩი ვაჭრის წუწურაქობა. ის გულღია იყო და ფართო გაქანების ადამიანი. სოფელში რომ შემოდიოდა, სხვებივით არ გაჰყვიროდა „საწვრიმალო, საწვრიმალო“, ან „ფართალი, ფართალი“. ის მხიარული სახით, სიცილითა და ხუმრობით ეგებებოდა შეხვედრილებს და ეს უკანასკნელნიც უკვე მთელ სოფელს მოსდებდნენ ბენოიას მოსვლის ამბავს.

მას თითქოს სწამდა, რომ ყოველ სოფელში შეჰქონდა სი-

ხალისე და კმაყოფილების გრძნობა, რომ ყოველ არშინ ფართალში მყიდველისათვის მას ბედნიერება მოჰქონდა. ამიტომ იყო თვითონ მხიარული, მოცინარი და ცოტა როხროხა მოლაპარაკე.

სოფლებშიაც უყვარდათ ბენოია, რადგან მეძვირე არ იყო, და არც ჭინჭყლი ვაჭარია. ნისიაც უხვად იცოდა. მართალია, შემდეგში თუ ფულად არა სიმინდით მაინც აბდევინებდა მოვალეებს ნისიად გაცემულ საქონლის საფასურს, მაგრამ თუ უჭირდა ვისმეს გადახდა, კიდევ ადროვებდა. და შეწუხებით არასოდეს არ შეაწუხებდა.

ხალხი ამბობდა კიდეც: ეს ვაჭარი კი არა ვიღაც ღვთისნიერი ადამიანია, ღმერთმა ააშენოსო.

ბარამი ხომ „თეთრ ყორანს“ ეძახდა: — როგორც თეთრი ყორანი არავის უნახავს, ისე ბენოიასთანა ვაჭარი ჯერ არავის გაუგონიაო, — მაგრამ თვითონაც გრძნობდა, რომ ბენოია როგორღაც სულ სხვანაირი ნაჭედი ადამიანი იყო. ძალიანაც უყვარდა მასთან საუბარი, რადგან ბენოიამ მუდამ ცისა და ქვეყნის ამბავი იცოდა და მუდამ ახალი, ცხელ-ცხელი ამბების მომტანი იყო. ასე რომ, ბარამის გარდა სოფლელები ამისათვისაც ეტანებოდნენ ბენოიას.

თავის ფუთებს რომ გაშლიდა ბენოია და ნაირ-ნაირ ჭრელ-ჭრელა ჩითებს გადმოალაგებდა, ან საწვრილმანო ხის ყუთს რომ გახსნიდა და სავარცხლებს, ლეკვერთხებს, „შპილკებს“ და სხვა ამისთანებს წარუდგენდა სოფლის ქალების გაცეცებულ თვალებს, შიგადაშიგ ჩააყოლებდა:

— ჩემი ჯუბის მადმა, კორშიას ქალი გათხოვილა უშაფათში.

ანდა:

— საწყალი გუძა — ამასწინათ ნოქალაქევში რომ დაიჭირეს, ხომ გაუციმბირებიათ!

ამას კი მოჰყვებოდა ქალების შეცხადება და ერთი გაიუშველებელი. აქედან წასული კი სხვა სოფლებში ბეროების ახალ ამბებს გადახცემდა და ასე, მავრამ ბენოიას თავის შინდა მოვალეობად მიაჩნდა ქვრივ-ობლების ოჯახებში მისვლა და აი ახლაც, ბერთემში შემოსვლისას, პირველად უთუთიას ოჯახს მიადგა. კარგად იცოდა უთუთიას ქვრივ-ობლის გაჭირ-

ფებული მდგომარეობა, მაინც უნდოდა, რამდენადაც შეიძლებოდა, საალდგომოდ ესენიც გაეხარებინა.

უთუთიას ეზოს რომ მიადგა, ქოხის აბარწაზე* ერთი ფეხშიშველი, შავტრუხა გოგო იქაურობას ცოცხით ჰგვიდა.

— ჩელა, ჩელა! — ჭიშკრიდანვე შესძახა ბენოიამ, — დედაშენი სად არის? არ არის სახლში?

— სახლშია, მაგრამ ეწყობა, სატირალში მიდის.

— სად სატირალში? ვინ მოკვდა? — თან შეაღო ჭიშკარი და ცხენის ჩიქჩიქით აბარწის წინ გაჩერდა. — ვინ მოკვდა ბოშო? ვინ? — ახლა უფრო ახლოს გაიმეორა.

— ვინ და იოსე ხუბუნაია.

— იოსე? უი საწყალი! ჩემი იოსე, ჩემი! როდის?

— გუშინ.

— ოჰო, ხომ არ დამასწრო იმ წყეულმა... ელოია ხომ არ ყოფილა სოფელში?

ჩელამ გაიღიმა და ჩარაზმული, ბროლივით კბილები გაუჩოაჩინა:

— არა, არ ყოფილა... მაგრამ, — აქ ცოტა შეყოყმანდა ჩელა, მაინც თქვა: — ელოიას შენ გვირჩევნიხარ.

— უი, შეხედე ამ მატრაკვეცას! როგორ გაზრდილხარ, გოგო! ვაი, რა უთხრა ამ რჯულის საქმეს, თორემ ღმერთის მადმა, ისეთი ვაჟი მყავს, ჩემ რძლად წაგიყვანდი...

— დედაიმ! რას ლაპარაკობ!

— რა იყო, რა ამბავია, ვის ელაპარაკები, გოგო? — მოიწმა შიგნიდან ხმა და ყვითელ ხამებში გამოწყობილი ჩელას დედაც გამოვიდა აბარწაზე.

ყვითელი ხამი უდიდესი, ღრმა მგლოვიარობის ნიშანი იყო და ახლო ჭირისუფალი მიცვალებულის ორმოცამდე უთუოდ ასეთ უხეშ და „გამოჭენებულ“ ფერის ტანისამოსს ატარებდა. მხოლოდ ორმოცის შემდეგ შეეძლო მძიმე შავების ჩაცმა.

ეს შენიშნა კიდეც ბენოიამ:

— რა არის, ქალო, კიდევ ხამები გაცვია? უკვე რამდენი თვეა ახლა, რაც უთუთია გარდაიცვალა? ოთხი, ხუთი თვე ხომ იქნება? ჰოდა თქვენი წესითაც ამდენ ხანს ხამის ტარება არ შეიძლება.

---

* აბარწა — ქოხის წინ აივნის თუ ერდოსმაგვარი ადგილი.

— უი, დალოცვილო ბენოია, ეგ დიდკაცების საქმეა. ჩვენ, გაჭირვებულებს, ვინ მოგვცა იმდენი ალლაკი, რომ ხაში ერთი წლის განმავლობაში არ ვატაროთ?

— ოჰ, რას ამბობ ერთი შენც აგერ მაქვს, ქალო, იმისთანა შავი საქონელი რომ... აილე!

— რას ამბობ, ბენოია, ავიღო? რითი? სად რა გამაჩნია, მე უბედურს?

— არაფერია, არაფერი! მე დაგიტოვებ და „ღმერთი დიდია, ღარიბო, გული ნუ შეგიშინდება“, ეს ჩემმა ბიჭმა მასწავლა; სადღაც წიგნში ამოუკითხავს, — თან კურტნიდან გარდაგარდმო გადადებული ორი ფუთა ჩამოიღო და ხელში დაჭერილი ხის ყუთიც იქვე დირეზე ჩამოდო.

— რას შვრები რას, ბენოია? ტყუილა არ გახსნა, ღმერთს გეფიცები, არაფერი მაბადია.

მაგრამ ბენოია არ უჯეროდა და ერთი ფუთა მაინც გახსნა.

— შენ კარგად იყავი, ქალო, წრეულს ისმინდი ხომ მოგივა, იმაში გამოგიბრი.

ქალიც თითქოს ბედს შეურიგდაო და მორიდებით, მაგრამ დაკვირვებით შეუდგა ფართლეულის სინჯვას. ჩელას კი თითქოს თვალები გაუფართოვდა და შეფრფინვით დააცქერდა ნაორ-ნაირ ქსოვილს.

ბენოიამ გადმოალაგა და ერთი შავი ქსოვილი განზე გადადო. თან ხელში რკინის არშინი აიღო.

— რამდენი მოგინდება? — და დაუწყო ზომვა. — ეს განწერი საქონელია... ოთხი გეყოფა?

ქალი ერთხელ კიდევ უარზე დადგა, მაგრამ ბოლოს შეთანხმდნენ და ოთხი არშინი გადაუჭრა ბენოიამ.

— შენ კი, ძლაბი! აგერ დახედე! — და ხის ყუთი გააღო, თან ერთი მოყვითალო, შუშის ბურთულებიანი მძივი ამოიღო. — აბა, შეიბი ყელზე.

ჩელამ არ გამოართვა, დედას შეხედა. დედამაც ვერ მისცა ნება. ყოყმანობდა.

ბენოიამ ოდნავ გაძალიანებულ ჩელას სიცილ-ხარხარით მაინც შეაბა ყელსაბმური.

გაწითლებული ჩელა ცდილობდა არ შეემჩნია, მაგრამ თვალებში მაინც დაეტყო სიხარული. საერთოდ ამაყი თვალები ჰქონდა, დამოუკიდებელი და ახირებულად არაფერს შეიმჩნევ-

და, მაგრამ ამჟამად კი ეს სიამაყე თითქოს ქალწულის მორცხვობაში ჩაჰკარგა.

შავი იყო ჩელა, მაგრამ სანდომიანი, უკვე ტანაყრილი, მოზვანილი, სახიერი. ბენოია თვალს ვერ აშორებდა. ის ისეთი ალტაცებით შესცქეროდა გოგოს, როგორც ხელოვნების მცოდნე დასცქერის ხელოვნების რომელიმე საუკეთესო ნაწარმოებს.

თან გადაიროხროხა:

— შეხედე, როგორ დაშვენდა ყელსაბმური! შეხედე-მეთქი, ჩემო რძალო! — მოუბრუნდა ბენოია ჩელას დედას. სოფლის დედაკაცებს ბენოია თითქმის ყველას „ჩემო რძალოს“ ეძახოდა. ეს უფრო მოხერხებული იყო და უდავიდარაბოც. დედაკაცებიც სიცილით ღებულობდნენ ასეთ სახელწოდებას და ხშირად ხუმრობით ერთიმეორესაც გადასძახებდნენ შეზობლები: „ბენოიას რძალო!“ რასაც მოჰყვებოდა ქალების გულიანი კისკისი და ხანდახან ლმობიერი შეკურთხებაც ბენოიასადმი.

ამასობაში ჩელას დედა თითქოს რაღაც მორიდებით, მაგრამ სიყვარულით შესცქეროდა თავის ქალიშვილს და ბენოიას სიტყვებზე არაფერი არ უთქვამს, მხოლოდ ეროი სათნოდ გაიღიმა.

სწორედ ამ დროს ჭიშკარი შეაღო ჩელას ძმამ მიქემ. ხელში კარაბჩხა* ეჭირა, რომელშიაც წინა ღამით გურძემიაში დაჭერილი თევზები ეწყო.

ბენოიამ შორიდანვე მიაძახა:

— ო-ო, ოჯახის ბურჯს გაუმარჯოს, ოჯახის ბურჯს!

მიქემაც სათნოდ გაუღიმა.

— ო-ო, ბენოია! ვალებით დაგვტვირთავს ახლა.

— აბა, აბა! — თითქოს სინანულით წარმოთქვა დედამ და შვილს თავისი ნავაჭრი წინ დაუდო:

— არა, ეგ კარგი გაიკეთებია, კარგი! არაფერია, მაგას კი გადაფუხდით, დედაჩემო! ჩემთვისაც ეროი საახალუხე გადააჭრევინე ამ საალდგომოდ. ეს რა არის? — და მიაჩერდა ჩელას ყელსაბმურს.

ჩელა ცოტა შეიშმუშნა, მაგრამ მიქემ მაშინვე დაუყვავა.

---

* კარაბჩხა — მომცრო კალათი.

კეთილი გულის იყო მიქე. თავისიანებისათვის არაფერი არ ეზოგებოდა.

ყელსაბმური ხელით მოსინჯა, შემდეგ დააყოლა:

— აბა როგორ? მარტო გვირგვილიანების ძღაბებს უნდა ჰქონდეთ ამისთანები? ჩვენ ხალხი არა ვართ თუ? ნუ გეშინიან, გოგო, ძალიან მალე ყველა თანასწორი ვიქნებით.

ბენოიამ თვალი ჩაუკრა მიქეს დედას:

— ახალი თაობის კაცია შენი მიქე.

— ჰოდა რა არის აქ ცუდი? — თითქოს ჩუმად, მაგრამ მტკიცედ ჩაილაპარაკა ჩელამ.

ბენოიამ თვალები შეაჭყიტა ჩელას, მაგრამ არაფერი თქვა.

— მართლა! ტაიას არ გაუღვიძია? — უეცრად შეეკითხა მიქე თავისიანებს.

— რას გაიღვიძებდა! გამთენია მოვიდა დღეს, — გამოეწმაურა ჩელა.

— ვინ ტაიაა? — ცნობისმოყვარეობა აღეძრა ბენოიას.

— ტაია, ჩვენი ბატონიშვილი. სხვა ვინ იქნება! — გაკვირვებით უპასუხა ახალგაზრდების დედამ.

— მერმედა აქ რა უნდა? თავის ბიცოლასთან, კნეინა ნეჩტარინასთან ვერ მოისვენა?

— რა ვიცი, შენი ჭირი შემეყაროს, — წაიწუწუნა ფთუთიას ქვრივმა, — ამ საალდგომოდ რაც ჩამოვიდა, თავის ბიძებსა და ბიცოლას არ გაჰკარებია.

— აბა თქვენთან არის ეე, უფრთხილდი, ჩემო რძალო, ახალგაზრდა კნიაზია, შენც მოწიფული გასათხოვარი სახლში გყავს. — და უნდოდა თავისებური როხროხით ხმამაღლა გადაეხარხარა, მაგრამ ამ დროს მოხდა უცნაური რამ:

ჩელამ თითქოს იგრძნო, თუ რა იმალებოდა ბენოიას სიტყვებში, საშინელ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, უეცრად ყელსაბმური ჩამოიწყვიტა, იქვე ყუთზე მიუგდო ბენოიას და თვითონ სწრაფად მოჰკურცხლა ეზოს ფერდობისაკენ.

— უჰ, რა ამაყი ყოფილა! ასეთი რა ეწყინა ჩეჩგნ, — უკვირდა ბენოიას, მაგრამ აქ მიქემ ხმა აუმაღლა:

— ჩემს დას ვერ იცნობ, ბენოია! ტაია ჩვენ ყველას მიკვაჩნია როგორც თაყვანსაცემი კაცი და იმ სხვა კნიაზებს არცა ჰგავს. ტაია ჩემი ძმაა, გულისგული და მე და ჩელას კი არა,

მთელი სოფლის გლეხობას თვალში რომ ჩაგვივარდეს, ხელს არ მოვისვამთ,

ბენოიამ ჩალაგება დაუწყო თავის საქონელს და ყელსაბმურსაც ხელი წაავლო.

მიქემ გამოართვა:

— არა, ეგ დატოვე, ხომ არ დაბნეულა მძივები? ჰოდა, მაგას ჩვენ აგინაზღაურებთ. საახალუხეც გადაჭერი ერთი. იმ გოგოს ერთი საროუბაშკეც დაუტოვე.

ბენოია ისევ აროხროხდა, ცოტა ბოდიშიც მოიხადა და საახალუხე და „საროუბაშკე“ ფართალს გადარჩევა დაუწყო, თან ხან ერთ ჩითს აწონებდა მიქეს და დედამისს, ხან მეორეს. ბოლოს, საქონლის გადარჩევის შემდეგ, ბენოიასაგან გაიგეს, რაც ვალი ედებოდათ, და ნავაჭრი ახალგაზრდების დედამ სახლში შეიტანა. იმავ დროს სახლიდან ტაიამ გამოიხედა:

— ო-ო, ბენოია, სწორედ შენ მინდოდი. საქმე მაქვს შენთან.

ბენოია საბეგაბრწყინებული მიეგება.

— დილა მშვიდობისა, კნიაზო! რასაც მიბრძანებ, ყველაფერს შეგისრულებ, ჩემი ჯურის მადმა!

ბენოიამ იცოდა, რომ ტაიაც გვირგვილიანებში კარგი მემამულე იყო და თითქმის მათი ერთადერთი მემკვიდრე. ამავე დროს, მართალია, გიმნაზისტი იყო, მაგრამ სრულწლოვანი, თავისი ქონების სრული ბატონ-პატრონი, ამიტომაც გაიფიქრა: უთუოდ ახალგაზრდა კნიაზს ამ საალდგომოდ ფული-სჭირდება, აბა სხვა ჩემთან რა საქმე უნდა ჰქონდესო, და მართლაც ასე გამოდგა.

ტაიამ თავის მოურავ ბათუ მატახერიასთან, გუტატის ძმასთან, ბარათი დაუწერა, რომ ახალაღებულ ვალში ბენოია სიმინდით გაესტუმრებინა. ბენოიაც ამით დაკმაყოფილდა, ტაიას საჭირო ფული ჩააბარა, და მალე გამოეთხოვა უთუთიას ოჯახს, გარდაცვლილ იოსეს ოჯახს მიაშურა. იქ საჭირო შავები დაუტოვა ჭირისუფლებს და შემდეგ ნექტარინასაკენ გასწია.

VIII

მეუბნებიან — ეს რა კარგი გამოიგონე, რომ შენს ციბე-დულს ამდენს ესაუბრები და ყველაფერზე შეგიძლია გაბოეხმაუროო.

„ცის, ბრის!“

მჭონდა ასეთი პიესაც, ციბედულ!

მეც მართლა ზოგჯერ ცა და ბარიშ ამბებს ვედები შენთან საუბარში. ერთია საშიში: ჩვენში რომ იციან თქმა: „როგორ თავმოხეულ ბარათივით ყველაფერზე ლაპარაკობს ეს კაციო“, ისე არ გამოვიდეს.

ჰა, ჰა!

ამან შეიძლება დააშინოს ზოგიერთი — შენთან ჩემნა ასე ხშირმა საუბარმა. მაგრამ კიდევ მეტი უბედურება ის იქნება, თუ თვით ნაწარმოებში დააშინა „ზედმეტმა ადგილებმა“.

მაგალითად, რა საჭიროა სასულიერო ამდენი წვრილმანი — ეკლესია, ზიარება და სხვა. ვის რად უნდა ეს ჩვენს დროში?

ან ეს სადიდმარხვო საჭმელები! ჰა, ჰა!

ან ვილაც „ბენრია-ვაჭარი“ სად გამონახა ავტორმა. მაინცდამაინც „ტიპიური“ რომ არ არის;

ჩვენ კი, იცი, რა ვუთხრათ ასეთ შემნიშვნელებს, ციბედულ!

ვნაწოთ „რა გამოვა რისაგან!“

გამოგონება კი... არა, ციბედულ, მე შენ არ გამომიგონიხარ, შენ ცხოვრობ ჩემს არსებაში, მე შენით ვსუნთქავ მთელი ჩემი სიცოცხლე და შენ ჩემთვის გამოგონებული დიალაც არა ხარ.

ჩემო... კიდევ რა დაგარქვა? —

ჩემო გულთამხილაო ციბედულ!

15

ტაიამ კი მიქეს დაუძახა და აბარწის ბოკონზე ჩამოჯდა. შემდეგ ჩელას დაძახებაც მოითხოვა და როცა ჩელაც მოვიდა, ასეთი საუბარი გაუბა და-ძმას:

— მე თქვენი დიდი იმედი მაქვს ორთავესი. თქვენ პატარები ალარა ხართ და უნდა იცრდეთ, რა დრო დადგა. ძალიან მალე სულ შეიცვლება ჩვენი ცხოვრება. ალარ იქნებიან ალარც თავადები, არც ხუცები და არც პოლიცია, ახლა რომ გლეხობას თავზე მაჯლაჯუნასავით დასწოლია. ადგილ-მამულიც ჩამოერთმევა ყველა მუქთახორას და შემოსავალს ის წაიღებს, ვინც დაამუშავა მიწა მოიყვანა ჭირნახული. ხომ გამიგეთ, რასაც გეუბნებით?

— გაგებით კი გავიგე, მაგრამ ეს როგორ მოხდება? — თამამად შეეკითხა ჩელა და ტაიას გაკვირვება გამოიწვია. ტაია თვითონაც ახალგაზრდა იყო და რასაც ამ და-ძმას ეუბნებოდა, ეს სწამდა, მაგრამ სადღაც შეგრძნობის კუნჭულში ამჩნევდა, რომ ეს მისი მონაფიქრი არ იყო, მისი სიტყვები არ იყო. ეს უფრო ამოკითხული და უფროსი ადხანაგებისაგან გაწაგონი, ნააზრევი იყო. ჩელას ასეთმა შეკითხვამ კი ვერ შეარყია, რადგანაც ამის პასუხიც მზად ჰქონდა, მაგრამ ჩააფიქრა კი. ის უფრო მიქესგან მოელოდა მძლავრ შეკითხვებს. ჩელას კი... ჩელა უნდოდა, რომ საქმეში ჩაება და შედარებით უფრო მსუბუქი დავალებანი მიეცა. ჩელას ასე უპასუხა:

— ეს როგორ მოხდება და... ყოველივე ამას ხალხი მოახდენს.

— ხალხი? ესე იგი ჩვენ?

— ჰო, თქვენ... რად გიკვირს, ჩელა? შენთან აქამდე არ მილაპარაკია, მაგრამ აი, შენმა ძმამ, მიქემ, ეს კარგად იცის... ყველა თქვენ ცალ-ცალკე თქვენს მოვალეობას თუ შეასრულებთ, სხვებიც კიდევ თავთავისას, ეს იქნება ხალხის ერთობა, და გაერთიანებული ხალხი კი ყველაფერს დასძლევს. გაიგე?

— ეგეც გავიგე, მაგრამ ამ ხალხს მეთაური არ უნდა?

— ჰა, ჰა, ჩელა! საკვირველად აზროვნებ. საიდან დაასკვენი, რომ მეთაურია საჭირო?

— საიდან? — ცოტა ჩაფიქრდა ჩელა, შემდეგ წარბშეკრა: — ეს იქიდან ვიცი, რომ, როდესაც ჩვენები ყანაში მუშაობენ, მეთაური ჰყავთ, შუშის მოსაჭრელადაც რომ მიდიან ტყეში, იქაც ერთი ვინმე მეთაურობს. ასეა ოჯახშიაც... ვინმე უნდა იყოს ხელმძღვანელი.

ტაია აღტაცებით შესცქეროდა ჩელას. შემდეგ მოულოდნელად შეეკითხა:

— რამდენი წლისა ხარ ახლა, ჩელა?

ამ შეკითხვაზე მიქემ ჩელას სიყვარულით წელზე ხელი მოხვია და მის მაგივრად უპასუხა:

— ჯერ პაწაწაა ჩემი ჩელა, თხუთმეტი წლის თუ იქნება!

რიგითა და წესით ამ სიტყვებზე ჩელას მორცხვობით თავი უნდა ჩაეღუნა. ის კი, პირიქით, თამამად შესცქეროდა ტაიას, თითქოს ეუბნებოდა, — მიუხედავად ჩემი მცირე ხნოვანებისა, ხედავ მზადა ვარ დიდი საქმეებისათვისო.

ტაია ახლა მიქეს მიუბრუნდა:

— შენ რამდენისა ხარ;

— მე უკვე ოცისა. ხუთი წლით ვარ უფროსი ჩელაზე, ხუთით — თან ლმობიერად გაიხუმრა: — ჰოდა, ჩელა როგორც უფროსს, ხომ მე უნდა მიჯეროდეს?

ამაზე ჩელამ თავისი წელი მიქეს ხელიდან გაითავისუფლა და ცოტა განზე დადგა.

ტაია კვლავ მიუბრუნდა ახალგაზრდებს:

— ერთიმეორეს უნდა მიყოლა, რასაკვირველია... ჰოდა, როგორც გითხარით, ყმაწვილი, ბაღნები არც ერთი აღარა ხართ. რასაც გავალებთ, მისი შესრულება ორთავეს შეგიძლიათ.

— მე, თუ გინდა, ჰო, — შეაწყვეტინა მიქემ, — რასაც მეტყვი, გადავაკვდები და შევასრულებ, მაგრამ ამას, — და თავი გადაიქნია ჩელასკენ, — ამას რა შეუძლია? რა უნდა გააკეთოს? პატარაა, — აქ გაიღიმა მიქემ, — ცხვირიც ხეირიანად ვერ მოუხოცია.

ეს ჩელამ ითაკილა და გაიბუტა. მიქემ კი განაგრძო:

— მერე კიდევ გოგოა, ძღაბი. ქალს სად შეუძლია ვაჟკაცური საქმე გააკეთოს?

ჩელას სახეზე ალმური მოედო, დიდი წყენა დაეტყო, ყელი მოიღერა და უნდოდა გამოკამათებოდა ძმას, მაგრამ ტაიამ არ დააცალა.

— არა ხარ მართალი; მიქე. ქალიც ადამიანია, როგორც მამაკაცი, და ქალს ძალიან ბევრი რამე შეუძლია გააკეთოს. აი რევოლუციონერები... ეს სიტყვა თქვენ უკეთ იცით, რასაც ნიშნავს.

— ჰო, რასაკვირველია! — შესძახა და-ძმამ.

— რევოლუციონერები სწორედ იმაზე ზრუნავენ, რომ ქა-

ლი და კაცი მომავალში ერთგვარი უფლებებით სარგებლობდნენ, თანასწორები იყვნენ.

აქ ჩელამ თითქოს ნიშნის მოგებით გადახედა მიქეს. მიქემ კი ერთი სიყვარულით შეხედა და თან ჩაიცინა. ეტყობა, ეს თყო მათი შერიგების ნიშანი, რადგან ჩელამაც სამაგიეროდ ჯაუღიმა ძმას.

ტაია კი არიგებდა ახალგაზრდებს, თუ რა უნდა გაეკეთებინათ. ცდილობდა ელაპარაკა მათთვის გასაგები ენით, მწერნობრული არაფერი შეპარვოდა. ეს ცოტათი უძნელდებოდა, რადგან ის უფრო ჩვეული იყო გიმნაზისტთა რევოლუციურ წრეში საუბარს, რეფერატებსა და მოხსენებებს. შეატყო, რომ უშუალოდ ხალხის წიაღიდან გამოსულ პიროვნებებთან უჭირდა ლაპარაკი, მაგრამ აქ უშველა მეგრულმა. ის ხომ ახალგაზრდებს მეგრულ ენაზე ესაუბრებოდა, მეგრულად კი განყენებული, მეცნიერული შემეცნებითი სიტყვები არ არსებობდა და ტაიას ძალაუნებურად უხდებოდა უბრალო სასაუბრო ფრაზეოლოგიით გადაეცა, რაც სჭირდებოდა. ზოგიერთ აუცილებელ ტერმინს კი უხსნიდა, თუ რას ნიშნავდა. ასე რომ, ორთავ გულისხმიერ ახალგაზრდას კარგად გააგებინა, თუ რა უნდა ეკეთებინა.

უმთავრესი ის იყო, რომ ორთავეს უნდა შეედგინათ თავიანთი წრე, მიქეს ვაჟებისა და ჩელას ქალების. არც ერთი წრე, პირველ ხანებში მაინც, არ უნდა ყოფილიყო მრავალრიცხოვანი და თვითონ წრეში შემავალნიც კარგად უნდა ყოფილიყო შერჩეული, ახალგაზრდებმა კარგად გაიგეს, რომ მათი საქმის წარმართვა დიდ საიდუმლოებას და დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. იმავ დროს ჩელას ევალებოდა თავის დროზე წრეების წევრთათვის ეცნობებინა, თუ სად და როდის შეკრებილიყვნენ, და აგრეთვე ტაიასაგან გამოგზავნილი პროკლამაციების გავრცელება.

ბოლოს ესეც უთხრა ტაიამ ახალგაზრდებს:

— აი, შენ რომ მეთაური გინდოდა, ჩელა, ამჟამად აქ, ბერთემში, ამ წრეების მეთაური თქვენ იქნებით...

— იი, მეთაური კი არა, — გაკვირვებით და თან კმაყოფილებით შეიცა ჩელამ.

— ასეა, — დაუდასტურა ტაიამ. — თქვენი წრეები იქნება ერთ-ერთი უკრედი ბერთემში. კარგად დაიხსომეთ, უკრე-

დი. კავშირი დაიჭირეთ ფარნა ბჟალაასთან და ის ყოველთვისს ჩემი შემწეობით მოგაწოდებთ ჩვენი მოძრაობის განკარგულებებს ცენტრიდან. ცენტრიც ხომ გახსოვთ, რა არის? ჰოდა, იქ ყველა ესეთ უჯრედებს, რომლებიც როგორც აქ, ისე სხვაგანაც არსებობს და დაარსდება, მეთაურობს ერთი რჩეული კაცი, რომელსაც ჯერ კიდევ ბათუმში ყოფნისას მოძღვარი დაარქვეს. ის აკეთებს ამ დიდ საქმეს მთელს საქართველოში და მთელს ამიერკავკასიაში. ამიერკავკასიას ეძახიან იმ ქვეყანას, რომელშიც შედის საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი. ბაქო ხომ გაგიგონიათ, აი საიდანაც მოდის ნავთი... ჩვენც აქ, ბერათემში რომ ვხმარობთ. აი, ნოქალაქევის გოჭკადილის დუქნიდან რომ მოგვაქვს, ანდა ლეძაძამიდან, ერისთუ ძაძამიას დუქნიდან. აი, იმ კუთხეს აზერბაიჯანი ჰქვია მათებურად. კავკასიაში შედის აგრეთვე კავკასიონის დიდი მთაგრეხილის აქეთ და იქით მთიულების სხვადასხვა ხალხი... აი, ყაბარდოელებიც ხომ გაგიგონიათ, ჩერქეზები, ლეკები და ბევრი სხვა, აგრეთვე თერგის ყაზახ-რუსობა მთელ ამ მიწა-წყალს, რომელზედაც ასეთი სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს, ჰქვია კავკასია, და მთელ ამ ქვეყანაში რევოლუციურ მოძრაობას სათავეში უდგას ის კაცი, რომელზედაც მე გელაპარაკებით. ის ამჟამად ჭიათურაშია და მეც ახლა იმასთან მივემგზავრები. ბენიას სწორედ იმიტომ გამოვართვი ფული.

— დღეს წახვალ, ტაი? — შეეკითხა მიქე.

— ჰო, აი ახლავე. აბაშაში უნდა ჩავუსწრო მატარებელს.

— მერედა ჩვენ აქ უშენოდ რა უნდა გავაკეთოთ? — ახლა ჩელა შეეკითხა.

— ჰო, როგორ ვერ გაიგე, ძღაბო?! — წაუსაყვედურა მიქემ. — უნდა გავაკეთოთ ის, რაც დაგვიბარა.

ჩელა ცოტა შეწუხდა. მიქემ კი ახლა ტაიას მიმართა:

— კარგი, წაბრძანებით წაბრძანდები. მაგრამ შენიაჩეთან არ შეივლი? ჯერ ხომ არ მოგინახულებია?

— ჩემიანებთან? — ცოტა გაჭიანურებით წარმოთქვა ტაიამ, შემდეგ მტკიცედ დააყოლა: — არა, ახლა იმათთვის არა მცალია.

— მერმედა, ტაი... — ცოტა შეყოყმანდა მიქე, მაგრამ მა-

ინც უთხრა: — არც თოლიასქვამს იწახულებ? თუ გინდა, ჩელა წავალ და ახლავე აქ მოგიყვანს.

— თოლიასქვამს? — კვლავ ფიქრმიყოლებით წარმოთქვა ტაიამ. — როგორ? უჭირს რამე?

— არა, რა უნდა უჭირდეს, მაგრამ მთელმა ქვეყანამ იცის, რომ შენ იმის საქმრო ხარ და...

— ჰმ, საქმრო? ბიცოლაჩემმა ნექტარიწამ დაარხია ამისთანა ხმა. არა, მე ახლა იმათთვის არა მცალია. თუმცა თოლიასქვამს წერილს კი მივწერ. ჩელა, ხომ წაუღებ?

— კი, ბატონო!

— ნუ მეძახი ბატონს, ჩელა! ბატონები არ არსებობენ, აღარ იარსებებენ.

— მაშ როგორ დაგიძახო? დედა აკი ბატონიშვილს გეძახის!

— ეგ სულ არ ვარგა, მაგრამ მოხუცებს კიდევ ეპატიებათ. ჩვენ კი ახალი თაობის ხალხი, როგორც გვეძახიან კიდეც, ერთიმეორის თანასწორები ვართ. ბატონობა გათავდა უკვე. ჩვენს დროში არც არავინ ბატონია და არც არავინ ყმა.

— აბა მე როგორ უნდა დაგიძახო, ბატონო? — კვლავ შეეკითხა ჩელა.

— კიდევ „ბატონო!“ დამიძახე ისე, როგორც მიქე მეძახის, ტაი.

— აჰ, ამას მე ვერ გაგიბედავ.

— აბა, მაშ ამხანაგი დამიძახე... მაყალე!

— ამხანაგი? — ამან სულ გააოცა ჩელა.

— ჰო, ჩვენ ყველანი ამხანაგები ვართ, უნდა ვიყოთ, უნდა გავხდეთ.

ჩელა გაკვირვებით კიდევ თავს იქნევდა, მაგრამ, გულში თითქოს რაღაც სრხარული ჩაეფინა, გაახარა ამ უჩვეულო სიტყვამ და ჩუმად თავისთვის გაიმეორა: „ამხანაგი, ამხანაგი!“

ტაია ჯიბეში მიქეს მიუბრუნდა:

— შენ კი წადი და ორი ცხენი იშოვნე აბაშაში წასასვლელად. შენც წამოხვალ ჩემთან. ჩემი ცხენი ვინმემ ხომ უნდა დააბრუნოს.

— კარგი, ტაი, წავალ, ცხენებს რა შოვნა უნდა, შენს მოსურავს ბათუს ვეტყვი და ორ ცხენს კი არა, სულ მორეკავს მცირაველიანების ცხენებს.

— აჰ, არა, მიქე, არა! ეგ არ ივარგებს. მართლა, სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩემი ჭიათურას წასვლა არავინ არ უნდაო გაიგოს. მე მგონია, ამას თქვენც მიხვდებოდით.

— არა, ტაი არა, მაგას ბათუს როგორ გავაგებინებ, არცა ერთ სულიერს. მაგრამ ცხენი რომ მოგიყვანოს ბათუმ, ამას რაა უჭირს?

— არა, არა! ბათუ პოწოლიკი კაცია. ჩამაცივდება: ამ ხაა-ლდგომოდ სად მიბრძანდებიო, როგორ გეკადრებაო და სხვ. თოლისქვამს გამიხსენებს. არა, არა! არაფერი არ გაუმხილოო არც ბათუს და არც ჩემს ბიძებს. ცხენებს როგორ ვერ იშოვიო, კაცო ბერთემში. ეგერ პეპუია ბარკალაიას უთხარი, ის მე ცხენს არ დამიკავებს, შენც შენთვის პირტახიებს გამოართვი, იმათაც ჰყავთ, მგონია, ცხენი.

— კარგი, კარგი, ტაია, გენაცვალოს ჩემი თავი. მივდივარ, ნახევარ საათში აქ ვარ, იცოდე. დედა, დედა! — გასძახა, — ტაი მიბრძანდება და ხელდაბელ საუზმე დაუმზადე. თევზიო რომ მოხარშე არაფერია, ახლა ვნების კვირეა, მაგრამ ტაია ჭამს ხახსნილოს. შენ კი, ტაი, მართლა მიწერე წერილი თოლისქვამს, ცოდვაა!

ტაიამ თავი დაუქნია და მიქეც, თავისი განკარგულებების შემდეგ, გავიდა ეზოდან.

ტაია ჭოხში შებრუნდა და თავის პორტფელიდან საწერი ქაღალდი ამოიღო და ფანქარიც ხელში დაიჭირა: თითქოს არ იცის, რა მისწეროს თოლისქვამს! უეცრად გაახსენდა ამას წინათ წაკითხული ცნობილი რუსი ქირურგისა და მოაზროვნის პიროგოვის ბიოგრაფია. როგორ წერილებს სწერდა თავის საცოლეს: ჩემთვისაო, ამბობდა პიროგოვი, ჭეშმარიტება შეიქნა უდიდესი მიზანი ჩემი ცხოვრებისაო. და ჭეშმარიტება ხომ არის საფუძველი მეცნიერებისაო. მეც ამ ჭეშმარიტებისაკენ მივისწრაფი გამუდმებითო. ცხოვრების რომელი ნეტარება შეედრება მეცნიერულ კვლევა-ძიებასო. მაშასადამე, უმაღლესი საზოგადოებრივი მიზანი, იდეა არის მთავარი ცხოვრებაშიო, უდასტურებდა თავის თავს ტაია. მეც ხომ მაქვს ეს ჩემი უმაღლესი მიზანი: ხალხის კეთილდღეობისათვის, რევოლუციის სამსახური. ამას განა შეედრება ცალკეული ადამიანის სიყვარული? მერმედა მე განა მიყვარს თოლისქვამი?

ჰმ, თოლისქვამი! მაშ რად მიხარია მისი გახსენება? უმან-

კოა, კარგია თოლისქვამი. არც უჭკუოა და არც უნიჭო, საჩი-
ერიც არის, მაგრამ მიყვარს კი? რა ვუყოთ, რომ მიხარია მისი
გახსენება. ეს იმიტომ, რომ მაგონებს ჩემს ბავშვობას, მე ხომ
თითქმის მასთან თანშეზრდილი ვარ. ეს ისეთივეა, როგორა-
დაც მოგონება გვირგვილიანების დიდი ეზოსი, სახახლის წინა
კიბესთან ლამაზი კოინდარისა, უკანა ეზოში დობილოზე შე-
ფენილი იზაბელას ვაზისა, ბავშვობისას პირს რომ ვიტკბარუ-
ნებდი უცნაურად გემრიელი ყურძნით, იქვე, ამ დობილოებს
ქვეშ, ფერდობზე ხბორები და პატარა ციკნები რომ „ხუნ-
ტრუცობდნენ“ და მეც მათ ზოგჯერ გავეთამაშებოდი და...
სხვა ათასი. თამაშში იქვე იყო თოლისქვამი, იმასაც ციკნები-
ვით წვრილი და მარდი ფეხები რომ ჰქონდა და მუდამ ამას-
წრებდა კარგა აკოკოლავებულ უხარიხო სახლის უკანა კიბეზე.

შემდეგ... შემდეგ ორივენი რომ წამოვიჩიტენით, თოლის-
ქვამი უკვე მერიდებოდა, მე ეს არ გამეგებოდა, თუმცა უკვე
თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ვიყავ, მაინც ისევ ბავშვურად
ხელს წავავლებდი კაბაში, ის მიძალიანდებოდა, მხოლოდ რო-
გორც კი ხელი მომიხვდებოდა გულ-მკერდზე, ის წივილ-კივი-
ლით ხელიდან გამისხლტებოდა და... მე კი მაინც არაფერი არ
მესმოდა... შემდეგ, შემდეგ? შემდეგ რა? უკვე იშვიათად ვხე-
დავდი, მხოლოდ არდადეგების დროს და ისიც ერთხელ, არ ვი-
ცი, როგორ, სადღაც კუთხეში მომწყვდეულს ვაკოცე! ეს იყო
და ეს. მერმე მე გამიტაცა გიმნაზიაში რევოლუციური წრის
მოძრაობამ და... განა ეს სიყვარულია?

ახლა არაფერი არ არის ჩემს გულში. შეიძლება, შეიძლება
მე გამოუცდელი ვიყო ნამდვილ ტრფობაში, მაგრამ რომ ვუ-
კვირდები, ასეთი გრძნობა დროებითი უნდა იყოს. განა ვერ
ვხედავ, ქუთაისში, მაგალითად, ახალგაზრდობა არშიყობს.
რუსთაველის ტარიელისებური და ნესტანისებური იქ არაფე-
რია. მე ასე მგონია. მე ძალიან რეალურად ვუყურებ ამ ამბავს.
იუ ოდესმე ვითომდა გატაცებული ვიყავ თოლისქვამით,
ესეც უთუოდ ჩემი გულისთქმა იყო, ერთგვარი მოფეთქება...

ო-ო, ბიცოლას კი, დიდ კნეინა ნექტარინას, სულ სხვა რამ
წუხებს, მას სულ სხვა მოსაზრება აქვს, განა არ ვიცი? მას
წუხებს, რომ გვირგვილიანებს ჩემს გარდა მემკვიდრე ვაჟი
რა ჰყავთ. ამიტომ უნდა მისი შვილობილი შემრთოს, მისი
ვიქრით ეს იქნება კარგი შეუღლება. მერე? მერე? ამ გაერ-

თიანებული ოჯახიდან, რომელიც მისი ძვილობილის ძეობე-
ბით ერთ მუჭში, ე. ი. მის მუჭში, იქნება მოთავსებული, შეიძ-
ლება ითხოვოს ბიცოლამ, სთხოვოს რუს იმპერატორს მისი
დის, ბარონესა იკსკულ-შტანგის დახმარებით, რომ ამ გაერ-
თიანებულ მამულზე იმპერატორმა „კეთილ ინებოს“ და დაამ-
ტკიცოს ეგრეთ წოდებული მაიორატი. ბიცოლა ფიქრობს,
თუკი მინგრელსკი სამეგრელოში მაიორატის მფლობელია, რა-
ტომ არ შეიძლება გვირგვილიანების შედარებით პატარა, მაგ-
რამ მაინც კარგა შერგვალებული მამული სამაიორატო შეიქ-
ნეს. მაიორატის მფლობელი კი ვიქნები მე... ჰა, ჰა, ჰა! — ხმა-
მაღლა გაეცინა ტაიას, — მე და მაიორატის მფლობელი?!

ტაიას სიცილზე ჩელამ შემოიხედა. მას ეგონა, რომ ამდენ-
ხანს ტაია წერილს წერდა, და ვერ გეტყოდათ რატომ, მაგრამ
სადღაც გულის სიღრმეში კი სწყინდა, რომ ასე გრძელ წე-
რილს სწერდა თოლისქვამს. მაგრამ როდესაც დაინახა, რომ
ტაიას სუფთა ქაღალდი ედო წინ და ფანქარიც ხელში ეჭირა,
გაუკვირდა და თან თითქოს რაღაც აფორიაქებისაგან დამ-
შვიდდა.

ტაიამ დაინახა ჩელა და მიაძახა:

— ახლავე, ახლავე, ჩელა! — და თავი დაღუნა ქაღალდზე.

ერთ წუთში წერილი მზად იყო.

ფიქრს მოუნდა თითქმის თხუთმეტი წუთი, წერილის და-
წერას კი ერთი წუთი. წერილში მხოლოდ ეს ეწერა:

„თოლისქვამი, ჩემო კარგო! ეს მეორე დღეა ჩამოვედი
ბერთემს და აქამდე ვერ გნახე. იცოდე, მე ისეთი მოვალეობა
მაწევს, რომ შენი ნახვის თავი არა მაქვს... არც ჩვენიანების,
მოტევებას არ ვითხოვ ამისათვის არც შენგან და არც სხვის-
გან. დღესვე გავდივარ ბერთემიდან და შეიძლება ვერც ვერა-
სოდეს ველარ გნახო. მე ისეთ საქმეში ვარ ჩაბმული, რომ ჩე-
მი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. ჩემზე თუ ფიქრობდი ოდესმე,
იცოდე, ეგ ბავშვური გატაცება იყო და ამიერიდან ნუღა იფიქ-
რებ. შენს ბედს ვწირე. ერთი კია: თუ მოახერხებ, ხალხს ეწსა-
ხურე; შენც ხედავ, რა დრო დგება. და ეს იქნება შენი ადა-
მიანური ვალის მოხდა ხალხის წინაშე.

ტაია“.

— აბა, ჩელა! აი ეს წერილი, მე და მიქე რომ გავალთ ბერ-
თემიდან, მაშინ მიუტანე თოლისქვამს. კარგი?

— კარგი, ბ... — შეჩერდა, შემდეგ თვალებაციმციმებულმა გარკვევით წარმოთქვა: — კარგი, ამხანაგო!

16

ნექტარინამ რომ კესარიასაგან ქუთაისიდან მოტანილი წერილი წაიკითხა, ერთი ხმამაღლა შეიცხადა.

— ვაი, ჩემს მოსწრებას! გუტატი, გუტატი, კაცო, სადა ხარ?

ეტყობა, ბარონესამ და დაგმარამ ვერ მოიცალეს, ბენოიასთან ვაჭრობით იყვნენ გართულნი, ძილხანი კი კესარიას ჰყავდა მიჩენილი და ამიტომ ნექტარინას ძახილზე თოლისქვამი გამოვიდა წინა აივანზე, ნექტარინას წინ შეჩერდა და დაელოდა, რას მეტყვისო.

ნექტარინამ თოლისქვამი რომ დაინახა, ამრეზილმა ერთი ახედ-დახედა და ბოლომით ალსავსე საყვედურით მიმართა:

— ვაი, შე საცოდავო, შენ!

თოლისქვამი გაოცდა, ვერ მიმხვდარიყო, თუ რა აწყენინა ასეთი ნექტარინას, რომ ასეთი უხეში შებრალება დაიმსახურა, და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. უეცრად დაუყვირა ნექტარინამ:

— რას გაჩერებულხარ და გაშეშებული თავზე დამდგომიხარ, შე უბედური დღის გაჩენილო, შენ! გასწი ახლავე და გუტატი მოშგვარე!

თოლისქვამი სწრაფად გატრიალდა ბრძანების შესასრულებლად, მაგრამ გული მაინც ძალზე ეტკინა. მართალია, დიდ ალერსს არასოდეს არ იყო დაჩვეული ნექტარინასაგან, მაგრამ ასეთი წყევლანარევი შეურაცხყოფა მისი თითქოს კეთილისმყოფელისაგან მაინც დიდად გულსა ტკენდა.

უკანა აივანზე ბენოიას თავისი ფუთები გაეშალა და ბარონესას ხან ერთ ჩითს აწოდებდა, ხან მეორეს. ბარონესამ ერთი მოყვითალო ჩითი აირჩია, ზედ მარწყვისებური რაღაც ეხატა, და მთელი თოფი გადაადებინა.

— აი იცოცხლე, კნეინა, შენ გენაცვალე! მყიდველი ამისთანა უნდა. სხვა კიდევ რას მიბრძანებ, კნეინა?

— კნეინა არა ვარ, შე კაი კაცო, რად მეძახი?

სწორედ ამ დროს უკანა კიბეზე ამოვიდა გუტატი და ბა-

რონესას სიტყვებმა მოჰკრა ყური. იმწამსვე ბენოიას მიუბრუნდა:

— როგორ არ იცი, ბენოია, ეს ქალბატონი კნეინა ნექტარინას და არის და თვითონ კნეინა კი არა ბარონესაა...

— მერედა ბარონესა კნეინა არ იქნება? — ცოტა ებრაულად მოუქცია ბენოიამ.

— არა, ჩემო ბენო... ბენიამინ.

— კი, ჩემი ჯურის მადმა, ბენიამინი ვარ.

— ჰოდა, მე კნეინაზე უფრო დაბალი ხარისხისა ვარ, თუმცა ბარონი თავის კუთხეში კარგა დიდი აზნაურია. გაგაგებინე ჩემი ქართული?

— რას მიბრძანებ, ქალბატონო, მშვენივრად ლაპარაკობ, ჩემი ჯურის მადმა*.

— აბა ახლა ეს მიჩვენე, — და ბარონესამ ერთ წითელ ატლასს დაადგა თვალი.

ბენოიამ გადაუშალა. გუტატიმ კი მიმართა:

— ბენოია! ახლა თქვენი აღდგომა არ არის? კარვობა, თუ როგორ ეძახით? შენ კი უქმეებზე სავაჭროდ დადიხარ.

— კარვობა გაგვითავდა რამდენი ხანია, გენაცვალე გუტატი. ახლა თქვენი ვნების კვირეა და ჩვენ უკვე თავისუფლები ვართ.

ამ დროს გამოვიდა გულამომჯდარი თოლისქვამი და გუტატის გადასცა, რომ ნექტარინა ხმობილობდა.

გუტატი ნექტარინასთან გამოცხადდა თუ არა, ნექტარინამ მიაძახა:

— შეხედე, გუტატი, რა მიყო ჩემმა გამკეთებელმა, ჩემმა იმედმა და სასოებამ, ჩემმა ტაიამ... ვაი ჩემს მოსწრებას, ვაი დიდი ოტიეს ოჯახის დალუპვას!

— რა იყო კნეინა, რამ შეგაწუხა ასე? აწ ტაიას რა მოსვლია?

— უი, უი, უი! იმას რომ მოსვლია, შენს მტერსა და დუშმანს იმისთანა. აგერ წერილში წაიკითხე, რა წერია.

მაგრამ წერილის წაკითხვა როდი აცალა გუტატის.

— ჩვენი სანიკიას ცოლი მწერს ქუთაისიდან, რომ თქვენი

---

* ბენოია ბანძელი ებრაელი იყო და ქართული და მეგრული კარგად იცოდა მაგრამ ქართული უფრო ემარჯვებოდა.

ტაია სულ გატყევდა და გადირიაო. ქუთაისში რაღაც წაეჭვო წრეა და იქ ჩაწერილა თურმე ის უბედური, ის.

— კი, ბატონო, მაგას მოგახსენებენ, რომ ქუთაისშიაც და ბათუმშიაც რაღაც წრეები შემდგარა და უნდათ ხემწიფე ჩამოაგდონ, თავადობა მოსპონ და ქვეყანა გააერთიანონო.

— აი ღმერთი არ მოასწრებთ მაგას! არა, ეს კი ვიცი, ბათუმში რომ რაღაცას ბჟუტურობენ, მარა ეგ მუშებია, ბოშო, და გიმნაზისტები? ისიც თავადიშვილე, მერე რა ოჯახის ჩამომავალი! დიდი ოტიეს შვილიშვილი, ან რა, მამის შვილი! ვაი საწყალი არჩილი! ეს რომ გააგებინა, ხომ საფლავში გადაბრუნდება. მთლად გარკვევით არ მწერს, მარა ეტყობა, რომ გიმნაზიიდანაც გაურიცხავთ, ვაი მის დღეს უბედურს! იმიტომ არ ჩამოეთრა უთუოდ ამ სააღდგომოდ, რა პირით მობედავს ჩემთან.

— არა, ბატონო, მგონია, ჩამოსულა.

— მერე აქამდი სად აგდია ის არ დასაცალებელი, ისა. ახლა იმასაც უნდა რუსის ხელმწიფეს შეეჭიდოს? ო-ო, თუ ეს მართალი გამოდგა... ერთი ეს აღდგომები მოვისტუმრო. თუ მართალი გამოდგა, მაშინ, მაშინ გავრისხავ, შევაჩვენებ. ო-ო, როგორ ჩამიშალა განზრახული! ჩვენ გვირგვილიანები, აქ თითქმის ყველანი უშვილოები ვართ. ეგ ერთადერთი ბიჭი დაღინღლებს და თოლისქვამის მითხოვებით, ხომ იცი, მინდოდა მაგის ხელში გამეერთიანებინა ჩვენი მამულები. ერთ ხელში, გუტატი, ერთ ხელში. ეს იცი, რა იქნებოდა? მაიორატი, ნამდვილი მაიორატი! რა? მინგრელსკის თუ აქვს, ჩვენ არ გვეკადრებოდა თუ?

გუტატი აქამდე გალურსული უგდებდა ყურს ნექტარინას, რადგან იცოდა, რომ როდესაც ის გაიფოფრებოდა, მაშინ მისი შეჩერება ძნელი იყო. ახლა კი, როდესაც ცოტა ამოისუნთქა ნექტარინამ ერთი რამ მაინც შეჰბედა:

— ეგ რამდენჯერ გიბრძანებიათ, ქნეინა ბატონო!

— მიბრძანებია და ამაზე ვიყავ სულ გადაგებული, მაგრამ, ხედავ, როგორ წყალში უნდა გადამიყაროს ამდენი ხნის ნაწვავ-ნადაგი და გულის უდიდესი სურვილები. ვაი მე უბედურს, ვაი ამ დღის მომსწრეს!

ერთი კიდევ ამოიოხრა ნექტარინამ და შემდეგ შეეკითხა:

— მაინც სად აგდია ახლა ის უბედური დღის გაჩენილი?

უთუოდ ვამეჯთან ეგდება. წადი, გუტატი, და სულ ყურით მომითრიე აქ ის უბედურის შვილი, ის.

ამ დროს დიდ დარბაზში გუტატიმ თოლისქვამთან ერთი ახალგაზრდა გოგო შეამჩნია.

— ო-ო, ეს ის უნდა იყოს, ნამდვილად... უთუთიას ქალიშვილი. აი მაგას ეცოდინება ტაიას ამბავი. ტაიას ხომ მაგის ძმა მიქე უყვარს და უთუოდ მიაკითხავდა სახლში. ძლაბო, ძლაბო, მოდი აქ! — შესძახა ჩელას გუტატიმ.

„ძლაბი“ აივანზე გამოვიდა. თავი არ დაუკრავს, ისე წექტარინას წინ, შორიახლო, დადგა და გაკვირვებით შეაჩერდა, შემდეგ გუტატისაც გადახედა — ვითომ რა გნებავდათ რაზე დამიბარეთო.

გუტატი მსუნაგად შეჩერებოდა ახლად ათქვირებულ გოგოს და უთუოდ იმიტომ იყო, რომ ცოტა ლმობიერი საყვედურით მიმართა:

— შენ, ძლაბი, ზრდილობა არ გისწავლია? რომ გამოხვედი, ქალბატონს მუხლზე ვერ მოეხვიე და გულმკერდზე ვერ ეამბორე?

ჩელას ხმა არ ამოუღია. ამაყად შესცქეროდა მუხლზემოსახვევ ქალბატონს.

ერთ ხანს ნექტარინა მიაჩერდა გოგოს. ნექტარინას მედიდური თვალები ჰქონდა, ლამაზი მოყვანილობისა და ჩხია, მაგრამ თითქოს სიცივე ჰქროდა იქიდან და საერთოდაც, როდესაც ნექტარინა სხვას შეხედავდა, მუდამ ამპარტავნულად გადმოხედავდა, თითქოს არ იკარებს არავის, ვინა ხართ, თქვე ჭიაღუებო!

ჩელას შავი თვალები კი სულ სხვა გამომეტყველებისა იყო. არც მას ჰქონდა ლმობიერი, ისიც თითქოს თავის სულში თუ შინაგან არავის არ იკარებდა, მაგრამ გამჭვალავი ჰქონდა გამოხედვა, გეგონებოდათ, რასაც უყურებს უნდა თავით ბოლომდე შეისწავლოს, გაიგოს მისი კიდე-განიო.

და აი, შეხვდნენ ერთმანეთს ამ ორი სხვადასხვა წარმოშობის ადამიანის თვალები.

ჩელა პირდაპირ შესცქეროდა, თამამად, გაბედულად.

ნექტარინას ამპარტავნობით სავსე თვალებმა კი ვერ გაუძლეს ჩელას გამომეტყველებას. წექტარინას მოეჩვენა, რომ

თითქოს მის შინაგნობაში ჩაანათეს როგორღაც დიდი შუქი და ეს სინათლე თითქოს ვერ იგუა.

პირი გვერდზე მოიბრუნა და ტუჩამრეზილმა წარმოთქვა:

— ეჰ, ერთი შენც, გუტატი, რა ზრდილობას თხოულობ. ტურტლიან ძღაბისაგან! რა იცის, რა უნახავს! შენ ეს მითხარი, ძღაბო, ტაია იყო თქვენსა?

„კი ბატონო“, კინაღამ წამოცდა ჩელას, მაგრამ თავი შეიკავა. თან გულით მოუნდა ეთქვა „იყო, ამხანაგოო“, მაგრამ ალღომ უკარნახა, რომ ნექტარინა მისი ამხანაგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, და უბრალოდ უპასუხა:

— დიახ, იყო.

— ერთი შეხედეთ! — სული მოიბრუნა კნეინამ და შემდეგ მაინც ჰკითხა: — ახლა სად არის ტაია?

— სადღაც წაბრძანდა.

— სად, თუ იცი?

— არ ვიცი.

— კარგი, წადი, მომშორდი. მარა, მოიცა, მოიცა! აქ რაზე მოხვედი?

— თოლისქვამთან გიახელი. კაბის ზედაწელი ვთხოვე თარგის გამოსაჭრელად.

ნექტარინას უნებლიეთ გაეღიმა:

— შეხედე, ჯოხტაობს, ამ საალდგომოდ უნდა გამოიპრანჭოს! კარგი, წადი.

მარტო დარჩნენ ნექტარინა და გუტატი. ნექტარინამ თვალები შეანათა.

— რავა ქორივით მისჩერებოდი, შე მსუნაგო, შენ..

გუტატიმ შეამჩნია, რომ ქალბატონი უკვე მომბალი იყო და... ცოტა მოიშინაურა:

— ძალიან დამშვენებულა ეგ ოხრის შვილი და თვალი წამართვა...

— ოჰ, შე წუწკო, შენ!..

გუტატი კიდევ უფრო გათამამდა:

— ეჰ, სულ ერთია, ბატონო, ვილაცა ბინძური ყაზახი გააფუჭებს და არ ჯობია ჩემისთანა ვაჟკაცმა სიკეთე უყოს.

— ოჰ, შე ბილწო, შენ! — და ამ „ბილწოში“ ჩააყოლა მთელი თავისი ქალური ალტკინება გუტატისადმი.

მოურავი მიხვდა, რომ ახლა კარგი დრო იყო ლევარსის კვიზინიას განზრახვა გაეზიარებინა ნექტარინასთვის, ამიტომ უხუმარი სახე მიიღო და გაუზიარა.

პირველად, როგორც იტყვიან, ლევარსის წინადადებაზე ნექტარიანა „ერთი შეხტა და შეტრიალდა“, მაგრამ როდესაც გუტატიმ დაარწმუნა, რომ ტაია მისი განზრახვის აღმსრულებლად არ გამოადგებოდა და კვიზინიას სიძეობა კი, მიუხედავად მისი წოდებისა და შთამომავლობისა, სარფიანი იყო, ნექტარინა არ იყო პრაქტიკულ ჰკუას მოკლებული და დათანხმდა.

მხოლოდ ახლა იმან ჩააფიქრა, თუ როგორ ამოეგდო თოლისქვამის გულიდან ტაიას სიყვარული. აქამდე ხომ სულ იმას ჩასჩიჩინებდა თოლისქვამს — ტაიას უნდა მიგათხოვოო. ჩემი ბრალია, ჩემი ბრალი, თუ შეუყვარდაო, ბევრი ივიშვიშა გუტატისთან, მაგრამ ბოლოს იმ აზრს დაადგა, რომ ახლავე მოლაპარაკებოდა თოლისქვამს და რაკი ლევარსიც იჩქარობდა, ბარემ მალე გაეთავებინა ეს საქმე, ამიტომ უბრძანა გუტატის, თოლისქვამი მასთან გამოეგზავნა.

გუტატი რომ გაეცალა, ფიქრი გუტატიზე შეუდგა:

— რა ერთგული კაცია ეს გუტატი, რა ვაჟკაცი, რა ფხიანი, ყველა აქაურებს სჯობია! კარგად ახსოვს, როგორ უძრახავდნენ, როდესაც ქმარს უღალატა და ქმრის მოურავი საყვარლად გაიჩინა. ზოგმა იმ დროს პირშიაც კი გაუბედა გინება, მაგრამ აბა რა ქმარი იყო მისი ქმარი? ერთი ჩიჩია, ერთი ღვთის გლახაკი რაღაც, მხოლოდ ასეთ ქმარს თუ გაჰყვა, ეს იმიტომ რომ მისი მაზლი, ტაიას მამა, არჩილი ჯერ კიდევ გუთხოვარს შეუყვარდა გაგიჟებით, მაგრამ რაკი მასთან შეკრთებას „რჯულიერად“ ვერ ეღირსა, იმდენი იხერხა, რომ გვრგვილიანების ოჯახში მაინც შემოვიდა და, მიუხედავად თავისი ქმრისა, ტაიას მამას, არჩილს ფიზიკურად მაინც დაუახლოვდა. მაგრამ რუს-თათართა ომის დროს 77 — 78 წლებში ბრძოლის ველზე არჩილი რომ მოკლეს, მის შემდეგ ალარ გაუხარია ნექტარინას გულს. უმამაკაცოდ განა შეიძლებოდა გაეძლო გუნებით ისეთი ალტკინების ქალს, როგორიც ნექტარინა იყო. გუტატი კი... ოჰ, რად არ დაუნიშნა პაემანი? ჰო, აგერ... წითელ პარასკევს. წითელი პარასკევი ხომ უდიდეს სამარხო და სამგლოვიარო დღედ ითვლებოდა. მზაკვრულად გაიღიმა. დიდ

წუთშაბათს ხომ ეზიარება, მას შემდეგ წითელ პარასკევს რა უშავს... ამაში იყო აკრძალული ხილის გემო.

გუტატიმ კარგა ხანს ეძება თოლისქვამი და შემდეგ ერთ პატარა ოთახში მიაგნო. თოლისქვამი ოთახის კუთხეში იყო მიკუნჭული და მთელი ტანით ძიგძიგებდა, თვალებიც დაწითლებული ჰქონდა.

— რა იყო? რა მოგსვლია, თოლისქვამი, გენაცვალე? ტაიას ამბავი შენც გაიგე?

— აა... არ ვიცი... არაფერი არ ვიცი, — ძლივს ამოილუღლუღა თოლისქვამმა. დამალა რაც იცოდა, რადგან ჩელამ დაუფიცა — არ ეთქვა, თუ ჩელამ ტაიას წერილი მოუტანა.

— არაფერია, არაფერი, გენაცვალე. ანდა რად გინდა ტაიას ამბავი იცოდე. ყველაფერი კარგად იქნება. ისეთი ბედი მოგელის, რომ... მაგრამ, აგერ ქალბატონი გეძახის და ის გეტყვის ყველაფერს. ოჰ, კარგი ახლა, ცრემლები მოიწმინდე, გამხნევდი, რა გაქვს სატირალი? აბა, იახელი ქალბატონს.

თოლისქვამმა როგორც იქნა თავს ძალა დაატანა და თითქმის ბარბაცით გასწია ნექტარინასაკენ.

მას შემდეგ, რაც ტაიას წერილი წაიკითხა, კარგად ვერ იყო გარკვეული. მის თავში ცეცხლის ასოებით შეიჭრა წერილის სიტყვები, რომ ის ტაიას ვერასოდეს ვეღარ ნახავს, რომ ტაიას სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. რატომ, რისთვის? ერთს გრძნობდა მხოლოდ, რომ მისთვის ბნელდებოდა ამქვეყნად, რომ ის დიდი უბედურების პირას იდგა.

ჰმ... მწერს შენს ბედს ეწიეო. რა ბედი, რისი ბედი, თუ ის ტაიასი არ იქნება, თუ მას ტაია არ ეყოლება? ან რა საქმეა ამისთანა, რაშიაც ტაია ჩაბმულა?

ვერაფერს ვერ მიმხვდარიყო და ანუ გაოგნებული მივიდა ნექტარინასთან.

ამხელად ნექტარინა დიდი დაყვავებით შეხვდა:

— მოდი აქ, შვილო, მოდი! ერთად მოვიოხოთ გული, ერთად გამოვიტიროთ ჩვენი ოდესღაც საყვარელი...

თოლისქვამი მთლად აკანკალდა.

როგორ თუ გამოვიტიროთ? მოკვდა? აბა, მაშ იმიტომ მწერდა ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდიაო? მაგრამ აბა ყური დავუგდო, რას მელაპარაკება ქალბატონი!

— ტაიამ გიღალატა, შვილო, არ დაინდო შენი უმანკო სი-

ყვარული. მაგრამ ჩემი ბრალია, ჩემი, მე უბედურის, მე შეგაყვარე იმ უხეიროს თავი მე... ტაიამ გიღალატა, გაგცვალა სხვაში, ახლა გულიდან ამოვირეცხოთ ორთავემ იმ ულირსის სიყვარული... არ არის; არ არის-მეთქი ღირსი ის შენი უმაწყო სიყვარულის. სხვაში გაგცვალა, გიღალატა.

თოლისქვამი ერთი წაბარბაცდა, ნექტარინამ ხელი შეაშველა.

— მხნედ იყავ, შვილო, მე ვიცი, რა ძნელია საყვარელი კაცის დაკარგვა, რომ მომკვდარიყო, ის სჯობდა, ახლა კი ალარ ღირს ამისთვის აღელვება, ვაი და ვიში. დამშვიდდი, ახლა წადი ოთახში და მოისვენე. სალამოთი კი მოდი ჩემთან, მოსალაპარაკებელი მაქვს, — და თითქმის ძალით გაისტუმრა თავისი ოთახისაკენ თოლისქვამი. ლევარსის წინადადებაზე არა უთქვამს რა ნექტარინას. უნდოდა კი ეთქვა, მაგრამ ქალს რომ გონებადაბნეულობა შეატყო, იფიქრა, ჯერ ეს მოინელოს და შემდეგში ამაზედაც დავიყოლიებო.

თოლისქვამი მიდიოდა, მაგრამ, თითქოს თავის თავს არ ეკუთვნოდა, მხოლოდ ახსოვდა ნექტარინას სიტყვები: „გიღალატა, გაგცვალა“.

ასეა, ასე, უდასტურებდა თავის თავს თოლისქვამი. ტაიამ ყველაფერი დამიმალა, რაღაც მიკრიბ-მოკრიბა, რაღაც სხვა საქმეში ვარ ჩაბმულიო, ქალბატონი კი ყველაფერს მართალს მეუბნება.

თოლისქვამი თავის თავზე ძალიან მდარე წარმოდგენის იყო.

მაშ რა გასაკვირია, რომ ტაიასაც უმჯობესი მოეძებნა? ამას ეძახის ქალბატონი „გაგცვალაო“; რა ბედნიერია ის გოგო, ვინც ტაიას ესე მოსწონებია!

უეცრად აღმოცენდა მის გონებაში მტკიცე გადაწყვეტილება.

გავიდა უკანა აივანზე. მისდა ბედად იქ ალარავინ არ იყო. სწრაფად ჩაირბინა ქვის ვიწრო, უხარისხო კიბე და მიაშურა იქითკენ, სადაც გურძემიას მორევი ეგულებოდა.

ეზოში კი, კიბის ქვევით, პატარა იეროთეოსი ჯიბის დანით რომელიღაც ხეზე თავის სახელს ჰკვეთდა. თუმც ეს აკრძალული ჰქონდა ბიძა ბარამისაგან, რომელსაც ხეები და მცენარეები ძალზე უყვარდა. ის ეუბნებოდა:

— შვილო იეროთეოსი! ეგ ხეებიც ადამიანებივით არიან, იმასაც ტკივა, როცა ასე ვეპყრობით... იცრემლება კიდეც... აბა დააკვირდი!

საჩქაროდ ჩარბენილი თოლისქვამი რომ დაინახა, ბავშვის გულს როგორღაც არ ეჭაშნიკა და შორიახლო დაედევნა. ბოლოს, რომ დაინახა თოლისქვამი წყალში გადაეშვა, პირი სახლისაკენ იბრუნა და ყვირილი მორთო.

ბავშვის ყვირილზე, უფროსი ქალების გარდა, ყველა გამოლაგდა, სამზარეულოდანაც მოსამსახურეები გამოცვივდნენ და თოლისქვამი დახრჩობას გადაარჩინეს.

17

ამ შემთხვევის შემდეგ პატარა იეროთეოსის ხმა გავარდა მთელ სოფელში. ყველა ეფერებოდა, ყველა უალერსებდა, ყველას უნდოდა რითიმე ესიამოვნებინა ბავშვი. სოფლელებიდან ზოგს სადღაც საკუჭნაოში შენახული ზამთრის ვაშლი მოჰქონდა, ზოგს იმერული ჯანჯუხი, გუტატიმ ბიჭებს სათამაშოდ მისთვის მშვილდ-ისარი გამოაჭრევინა, ბარონესამ სახალათე და საშარვლე უყიდა, რაც რიაბინინამ თავი გამოიდო და სჯერავ მანქანაზე დაუგვირისტა. ნექტარინამაც თავზე ალერსით ხელი გადაუსვა. ასე რომ თვითონ იეროთეოსს უკმეხობა მთლად არ მიუტოვებია, მაგრამ თავისი მიუკარებლობა თითქმის ჩაუგდო. სახეც თითქოს დაეწმინდა და მისი საუცხოო სილამაზის თვალები კიდევ უფრო გასხივოსნდა და აელვარდა. ახლა იეროთეოსი უკვე დარბაზშიაც შედიოდა, ძველებურად ეზოში განიგან აღარ დადიოდა. უფროსებს და თვით ნექტარინასაც აღარ უფრთხოდა. ზოგჯერ ნარდის თამაშსაც გულდაგულ თვალყურს ადევნებდა. ერთხელ კიდევ ერთ პატარა ყუთს მიაგნო. გვერდები აჭრელებული ჰქონდა ყვითელი ოთხკუთხიანი უჯრედებით, გახსნა, რაღაც ოკრო-ბოკრო სპილოს ძვლის, წითელი და თეთრი ფიგურები ამოიღო და ხელით სინჯავდა. არ იცოდა როგორ მოეხმარა. მაგიდაზე დააწყო არეულ-დარეულად, შემდეგ ერთი წითელი ფიგურა მეორე თეთრს მიახალა და წააქცია, თან გულით გადიხარხარა. ამაზე ვამეხმა შემოუსწრო და ღიმილით დააცქერდა მის საქმიანობას.

— არ გინდა იცოდე ეს რა არის? — შეეკითხა ვამეხი.

იეროთეოსი შეკრთა. დარბაზში მარტო იყო და არავის არ ელოდა.

ვამეხი ჩამოჯდა. რუკა გაშალა, ფიგურები თავ-თავის ალავას დააწყო და აუხსნა:

— ამას ჭადრაკი ჰქვია ქართულად. ესენი სათამაშო კაცები არიან.

და ჩამოუთვალა სახელები. შემდეგ აუხსნა რუკის მნიშვნელობა, რომ ეს იყო ამ „კაცების“ ბრძოლის ველი. ისიც აუხსნა, თუ თამაშის ბოლო რაში მდგომარეობდა. შემდეგ ფიგურათა სიარული, მათი ფუნქციები. აუხსნა ისიც, რომ, საჭიროების დროს, მოწინააღმდეგის მოკვლაც შეეძლო. თან გაეცინა:

— აი შენ, იერო, წელან კაცი კაცს რომ მიახალე და წააქციე, რამ მოგაფიქრა?

— რა ვიცი!

— ან მაინცდამაინც წითელს რომ წააქცევინე თეთრი, ეს საიდან მოიტანე?

— რა ვიცი- წითელი მომეწონა.

ვამეხი მიხვდა, რომ იეროთეოსს განზრახ ან ვისიმე ჩაგონებით არაფერი მოუხდენია, რომ ეს იყო ბავშვის წითელი ფერით გატაცება და შეაჩერდა ბავშვს. მოეწონა მისი გულუბრყვილობაც და მისი სითამამეც. შემდეგ სვლებით ასწავლა თამაში და ბოლოს სათამაშოდაც გამოიწვია.

ვამეხის გასაკვირად ბავშვი მშვენივრად გაერკვა ჭადრაკის თამაშში და რამდენიმე ხელი რომ ჩამოათავეს, უკანასკნელად ვამეხი ცოტა არ იყოს შეახელფეხა ბავშვმა.

ამ დროს მოუსწრეს ბარამმა, ბეგიმ, გუტატიმ და გაოცებით შეაჩერდნენ იეროთეოსს, რომელიც უკვე მეტად გაბედულს და საზრიან სვლებს აკეთებდა.

— ნიჭიერი ყოფილხარ, ბიძია! — წარმოთქვა ბარამმა, — თუ სწავლაშიაც ამისთანა ნიჭს გამოიჩენ, შენს ბედს ძალი არ დაჰყეფს.

— უსათუოდ უნდა ვასწავლოთ. მე ვიკისრებ ამის გაძღოლას. ხომ გიდნა სწავლა? — შეეკითხა ვამეხი.

— რატომ! — მოკლედ მოსჭრა იეროთეოსმა მოწიფული უკაცივით, თითქოს უარს არ ამბობს შეძლეულ სიკეთეზე, მაგრამ დამადლებული კი არავის არაფერი არ უნდაო.

გვირგვილიანებმა ერთმანეთს შეხედეს.

იეროთეოსის დედა ხომ სიხარულისაგან თითქმის მიწაზე ფეხს აღარ ადგამდა. ოთახიდან ოთახში თითქოს დაფრინავდა, რომ მისი შვილი უეცრად ასეთი მიღებული შეიქნა ყველასაგან.

პირველად ხომ, როდესაც თოლისქვამი მდინარიდან ცოცხალი ამოიყვანეს, კესარიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, სულ გულში იხუტებდა, ეალერსებოდა, კოცნიდა. ეს ალერსი იეროთეოსმაც შეიფერა და შეეკითხა.

— ახლა ხომ ჩემია, ჩემი?

კესარიამ ჯერ ვერ გაიგო და შეეკითხა:

— ვინ? რა არის შენი?

— თოლისქვამი.

— ო-ო, შენ კი გენაცვალე, ჩემო ბიჭუნი. რასაკვირველია, შენია, შენგან დახსნილი, შენგან გადარჩენილი. დარწმუნებული ვარ, თოლისქვამი თავის დღეში არ დაივიწყებს შენს სიკეთეს.

— ჰო, ჰო... ჩემია, ჩემი, თოლისქვამი, — როგორღაც დაჟინებით იმეორებდა იეროთეოსი, მაგრამ ამისათვის კესარიას ყურადღება აღარ მიუქცევია.

დადგა დიდი ხუთშაბათი. გვირგვილიანების კარის ეკლესიას აუარებელი ხალხი მოაწყდა. საცოდავ იოსეს მარხავდნენ და მის საპატივცემლოდ იყვნენ მოსული სოფლელები.

წირვაზე ნექტარინა და სხვა გვირგვილიანები, გარდა ვამეხისა, ყველანი აზიარეს. იეროთეოსი ცოტა გაჯიუტდა, მაგრამ კესარიამ ძალით მიიყვანა თედორე მღვდელთან და, როდესაც მღვდელმა ღვინის წვეთი და პატარა ხმიადიც ჩააყლაპა, იეროთეოსი დაიჭყანა, მაგრამ უკმეხობა აღარ გამოუჩენია.

შემდეგ იოსეს წესი აუგეს, რაც მოხდენილი გალობით დაამშვენეს ძმებმა გვირგვილიანებმა. ჭირისუფლებმა კი მეგრული, შემღერებული მოთქმითა და ვაი-ვიშით სასაფლაოსაკენ წაასვენეს. წირვაზე ნექტარინამ ყველანი გააკვირვა თავისი საქციელით: წადგა თუ არა საზიარებლად, უეცრად მოუბრუნდა ხალხს და ხმამაღლა განუცხადა:

— შვილებო, ძმებო, მომიტევეთ, თუ რამ თქვენთვის შემიცოდნია. მოწიწებით გთხოვთ შენდობას.

ბარამმა პირველად გასცა პასუხი: „ღმერთმა შეგიღირსოს, ჩემო რძალო!“ და ამის შემდეგ დანარჩენებიც აგუგუნდნენ: „ღმერთმა შეგიღირსოს, ღმერთმა შეგიღირსოს!“, ე. ი. თითქოს იმას ეუბნებოდნენ: შეგარგოს ზიარებაო. ეს რომ ეკლესიის გარეთ მდგარმა გლეხებმა გაიგეს, ჩუმად ჩაიცინეს და თან ერთიმეორეს წაუჩურჩულეს: დიდი თვალთმაქცი ქალია ჩვენი ქალბატონიო!

არც წირვას და არც გასვენებას გვირგვილიანების ოჯახიდან არ დასწრებია მხოლოდ თოლისქვამი. ის, გადარჩენის შემდეგ, იყო თავის პატარა ოთახში განმარტოებული და გარეთ არ გამოდიოდა, თავის ოთახშიც არავის უშვებდა გარდა ძილხანისა და კესარიასი. დაგმარა და-მარინა ეწვივნენ ერთხელ, მაგრამ თოლისქვამმა ისე დაიჩცხვინა მათ წინაშე, რომ ხმა ვერ ამოაღებინეს. ამის შემდეგ კი არც ერთ მათგანს არ შეუწუხებიათ თოლისქვამი სტუმრობით.

ძილხანს მხოლოდ საუზმე და სადილი მოჰქონდა მასთან, რასაც, პირველ ხანებში მაინც, თოლისქვამი თითქმის არ ეტანებოდა, ისე იყო გაოგნებული. მაგრამ თანდათან ძილხანი ისე უახერხებდა, რომ ალერსით და მოფერებით ყურადღებას შეიჩვია. სხვა არაფერზე ელაპარაკებოდა ძილხანი, არაფერს არ უხსენებდა, ტაიაზე ხომ სულ კრინტსაც არ ძრავდა; ისე იყო დარიგებული ნექტარინასაგან. ძილხანი ისე ეპყრობოდა, როგორც მძიმე ავადმყოფობაგადატანილ ადამიანს; ზოგჯერ რაიმე მოკლე ზღაპარს თუ ეტყოდა, ან რაიმე ძველ სახუმარო მეგრულ შაირს და იმასაც მალე შეწყვეტდა, რადგან ატყობდა, რომ თოლისქვამი მას ყურს არ უგდებდა. მაგრამ იმასაც ამჩნევდა, რომ არცთუ რამე სხვაზე ფიქრობდა. თითქოს თავი გამოცარიელებული აქვსო, უაზრო გამომეტყველება, გამოშტერებული თვალები. ეს ყველაფერი ძალიან აშინებდა ძილხანს და ამ შიშს უზიარებდა ნექტარინას, მაგრამ ნექტარინა აშშვიდებდა: „არაფერია, არ შეიშლება. შენ მხოლოდ ეცადე ჭამოს როგორმე, განსაკუთრებით იძინოს, რაც შეიძლება მეტი იძინოს“, მაგრამ თოლისქვამს ერთ ხანს არც ძილი ჰქონდა ხეირიანი. მიწვებოდა, თვალს მილულავდა, უეცრად წამოხტებოდა და თვალებგაშტერებული მიაჩერდებოდა ერთ წერტილს და ასე იყო გარინდული დიდხანს, სანამ ერთხელ კესარია არ ეწვია,

ნექტარინას არ ეამა თოლისქვამთან კესარიას მისვლა, გაუწყრა კიდეც ძილხანს — რატომ შეუშვბო, მაგრამ ძილხანმა თავი გაიმართლა: „ბევრი მეხვეწა შემიშვი, რა იქნებაო, ვნახო ერთი ჩემი შვილისაგან დახსნილი, ჩემი შვილისაგან გადარჩენილი ადამიანი, ვენაცვალე იმასო, და მართლაც, მე ვერ გავიგე ვის ენაცვლებოდა კესარია: თოლისქვამს თუ თავის ვაჟს. რა უცნაური სახელი ქვია! ვერც კი გამომითქვამს... ვერ გავიგე, მაგრამ შემეცოდა და შევუშვი. მას შემდეგ ყოველდღე შედის და უნდა მოგახსენო, რომ თოლისქვამსაც მეტ ხანს სძინავს და მეტი დამშვიდებაც ეტყობა.

— ჰო, თუ აგრეა, მაშინ იაროს! რაც თოლისქვამს მოუხდება, ის უნდა გავუკეთოთ, — ბრძანა ნექტარინამ, თან გულში გაიფიქრა: ჩემს საქმეს აკეთებს კესარია, მე არ დამივალებია ისე და... ძალიან კარგი. ასე თუ წავიდა საქმე, მაშინ გათხოვებაზეც მალე დავითანხმებ... გადაწყვიტა, ამ ორ დღეში მოლაპარაკებოდა თოლისქვამს.

თოლისქვამი ისევ თავის ოთახში იჯდა ჩვეულებისამებრ. ერთ წერტილზე იყო მიჩერებული. ძილხანმა ის იყო აულაგა სუფრა და გავიდა, კარი კი არ ჩაუკეტია ჩვეულებისამებრ.

კარებთან იეროთეოსმა გამოიარა. შეიხედა და თოლისქვამი მარტო რომ დაინახა, ველარ მოითმინა, თუმცა მასაც აკრძალული ჰქონდა აქ შესვლა, მაინც შევიდა. ქალს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. მაშინ იეროთეოსი თოლისქვამს ფეხაკრეფით მიეპარა და ორივე მხრებზე ხელი დაადო, ქალმა ოდნავ შეჰკივლა, მაგრამ ბავშვი რომ დაინახა, თითქოს გონებას მოეგოო, სათნოდ გაუღიმა, იეროთეოსმა კი ხელები ლოყებში ჩაავლო, თვალებში ჩახედა და თითქოს ხმაც ჩაეხლიჩაო, ისე ჩასძახა:

— ახლა ჩემი ხარ, ჩემი თოლისქვაო! — და დაუწყო კოცნა მთელ პირისახეზე.

თოლისქვამს კოცნით არ უპასუხნია, მაგრამ თავზე კი ალერსით ხელი გადაუსვა.

ამ დროს გარედან მოისმა კესარიას ხმა:

— იეროთეოს, სადა ხარ, გენაცვალოს ჩემი თავი? იერო, იერო!

ბავშვი გამოარკვია დედის შეძახილმა და მოეშვა თოლისქვამს... თოლისქვამმაც შესძახა:

— კესარია ბატონო, კესარია!

— ოო, შენ აქ ყოფილხარ, იეროო? — უთხრა კესარიამ შვილს, ოთახში რომ შევიდა. — ოო, რომ აცოდე, თოლისქვამ, როგორ უყვარხარ!

თოლისქვამმა ღრმად ამოიოხრა.

— ვიცი, კინაღამ დამახრჩო!

— ჰოო, აგრე იცის, ვენაცვალე მაგას! რად იცი, ბიჭო, კაცის ასეთი გაწვალება? ისე, შენ ხომ ახლა კარგადა ხარ, თოლისქვამ?

თოლისქვამმა არაფერი არ უპასუხა, მხოლოდ მწარედ გაეღიმა. კესარიამ შეამჩნია, რომ თოლისქვამს ახლა მარტოობა ერჩია, თავის ვაჟს ხელი ჩაავლო და ორთავენი გავიდნენ ოთახიდან. იეროთეოსმა მაშინვე მოსძებნა გუტატის ნაჩუქარი მშვილდ-ისარი და ეზოში ბეღურებს სროლა დაუწყო.

თოლისქვამი მარტო დარჩა თუ არა, კვლავ ფიქრებს მიეცა. ახლა თავი გამოცარიელებული აღარ ჰქონდა. ფიქრები ხტოდნენ წალმა-უკუღმა, თითქოს შეტბორებული მდინარე ეხეთქება ნაპირებს და გამოსავალი ვერ უპოვიაო. მისი ფიქრი სულ ტაიას გარშემო ტრიალებდა.

ჰოდა, განა ღირს უმისოდ თოლისქვამის ცხოვრება? რა ქნას? რა? თავისი სიცოცხლის მოსპობა უნდოდა, არ მოუხერხდა... ოო, საიდან გაჩნდა ის კუზიანი ბავშვი? რად გადაარჩინა? სიძულვილი იგრძნო იეროთეოსისადმი. ტაია კი სად არის? სად წავიდა? სად დაეკარგა? ვინ იცის, შეიძლება ახლა ბედნიერებას გრძნობს მის საყვარელთან... გააკანკალა. რა ქნას? რად უნდა სიცოცხლე? რა მიზანი აქვს? ვის რად უნდა, რაში გამოადგება მისი თავი?

ვერაფერი ვერ მოიგონა. ბოლოს კი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა ნექტარინას საშსახურისათვის. ის ხომ მაინც მისი კეთილისმყოფელია... სამაგიერო უნდა გადაუხადოს, ემსახუროს. აგერ ძილხანიც ხომ მისი ერთგულია. ისიც ასეთივე ერთგული იქნება.

ღრ ითქმის, რომ ამ აზრმა დაამშვიდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. „მაგას შევწირავ თავს, რასაც მიბრძანებს, ყველაფერს ავუსრულებ!“ ეს იყო და ეს ნამდვილი და მიზანშეწონილი. ამავე დროს კი ფიქრობდა: ეს რა ცხოვრება იქნება, ეს ხომ მხოლოდ ძალის ერთგულებას ემსგავსება! არა, არა,

სხვა გამოსავალი არ არის, არა... თავის მოკვლა? ამის გახსენებაზე გააზანზარა, კარგად გაახსენდა, როდესაც გურძემიაში გადავარდა, ერთ წუთას როგორ დაენანა თავისი სიცოცხლე. ის კი არა, პირველ ხანად ერთი გაიბრძოლა კიდეც, წყლის ზვირთებს შეებრძოლა, ალარ ჯუნდოდა დახრჩობა, მაგრამ ის იყო მოეშვნენ. არა, არა, თავს ვეღარ მოიკლავს. ისევ ნექტარინას სამსახური... ო-ო, როგორი „გულის გავლა“ იქნება ნექტარინასათვის... და ახლა იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ და რით უსიამოვნებინა თავისი კეთილისმყოფელისათვის.

ამაზე საბოლოოდ შეჩერდა. თითქოს სრულიად წაერთვა სულიერი ძალ-ღონე; თავისი აღარაფერი აღარ გააჩნდა.

წამოდგა ლოგინიდან. ოთახში გაიარ-გამოიარა. პატარა სარკეში ჩაიხედა. გამხდარი, გატანჯული ფერმიხდილი სახე დაინახა. ჩამოჯდა სკამზე და აქვითინდა; თითქოს თავის თავს ეთხოვებოდა.

— რა დაგემართა? კიდევ ტირი? — მოესმა ნექტარინას ხმა.

ამის გაგონებაზე უეცრად წამოხტა თოლისქვამი.

დღეს პირველად შემოვიდა მასთან ნექტარინა, გადარჩენის შემდეგ ხომ ჯერ სულ არ ენახა ეს მისი კეთილისმყოფელი, ამიერიდან მისი მბრძანებელი, ახლა კი აი, დადგა დრო და თოლისქვამიც დაელოდა ბრძანებას. მაგრამ ნექტარინამ ბრძანების მაგივრად ხელი მოხვია და შუბლზე აკოცა.

ეს პირველი კოცნა იყო ნექტარინასაგან. ამან ცოტა გააკვირვა, მაგრამ ცოტა აამა კიდეც. შემდეგ ნექტარინა ტახტზე ჩამოჯდა, თოლისქვამიც გვერდით მოისვა და ასეთი საუბარი გაუბა:

— კარგად ვიცი, ახლა რა გუნებაზე იქნები, ჩემო შვილო. ჰე ხომ... მას შემდეგ არ მინახივხარ. აი, ცოტათი გამხდარხარ, ფერი მიგხდია კიდეც... ეს არც არის გასაკვირი. მაგრამ დროებითაა, საყვარელი კაცის დაკარგვა, კარგად ვიცი, როგორი ძნელიც არის... გამომიცდია, მაგრამ თავი არ მომიკლავს! შენც მაგისთანა სისულელე თავის დღეში არ უნდა ჩაიდინო! ჰა, ჰა, შე საძაგელო, შენ! — და აქ ნექტარინამ ოდნავ ყური აუწია, — თუმცა ამისთანა შენ აღარაფერი მოგველის. მხოლოდ ეს კი უნდა იცოდე: რაც არ უნდა შეგხვდეს ცხოვრებაში, გესმის? რაც არ უნდა შეგხვდეს, კარგად დაიმახსოვრე, თვითმკვლე-

ლობას არასოდეს არ უნდა მიმართო. სწვა არა იყოს რა ჩვენი რჯული გვიშლის თვითმკვლელობას. მერმე კიდევ სიცოცხლეს რა სჯობია? არაფერი, მერწმუნე... მაგრამ ამას დავეთხოვოთ.. ჰოდა, ახლა შენ პატარა ალარ ხარ, შენ თავზე უნდა იფიქრო.. პატრონი გინდა. მე ყოველთვის ვეღარ გამოგადგები. მოვხუცდი.

სიტყვა „მოვხუცდიზე“ თოლისქვამი გულ-მკერდში ჩაეხვია ნექტარინას და შემდეგ ხელზე აკოცა. ნექტარინა მიხვდა, რომ ეს გულწრფელი მოფერება იყო, მაინც უთხრა:

— არა, ეს მართალია, მაგრამ, შენ ხომ დამიჯერებ, რასაც გეტყვი.

— როგორ არ დაგიჯერებ, — სუსტი ღიმილით შეაგება თოლისქვამმა. მოინდომა თავისი გადაწყვეტილება გაეზიარებინა, მაგრამ არ დასცალდა. ნექტარინამ შეუვალად განუცხადა:

— უნდა გათხოვდე, თოქისქვამ.

თოლისქვამმა კინაღამ მიაკივლა. ყველაფერს მოელოდა, ამას კი არა.

ნექტარინა კი არ უსვენებდა:

— დიახ, უნდა გათხოვდე და ბედნიერი ქალი გახდე. შენს ბედს უნდა ეწიო, შვილო!

აჰა, ამასვე არ სწერდა ტაია. მერმედა რატომ ფიქრობენ ასე ერთნაირად სულ სხვადასხვა ხასიათის ბიცოლა და მაზლისწული? ამან სულ დააბნია.

ნექტარინა განაგრძობდა:

— მე კი შენთვის უკვე ამორჩეული მყავს საქმრო... დედოფალივით შეგინახავს, ცივ ნიავს არ მოგაკარებს.

თოლისქვამმა გაბედა:

— მე შენთან მინდა, ბატონო.

— ჩემთანაც იქნები. ხან შენ ჩემთან, ხან მე შენთან. დასაკარგავად კი არ მყავხარ განწირული. მართალია, ქალაქში იცხოვრებ, კიდევ უფრო განათლებული ცხოვრება გექნება, რა უნდა მოისურვო, რომ არ აგისრულდეს. ბედნიერი იქნები, ბედნიერი, გენაცვა, ლევარსი კვიზინიას ხელში.

— ლევარსი? — მისდა უნებურად წამოცდა თოლისქვამს.

ნექტარინამ შეატყო თუ რამდენი ზიზღი ჩააყოლა ამ სახელს თოლისქვამმა.

თოლისქვამს უნებურად გაეცინა. გაახსენდა, რომ ერთ-ერთ საღამოს უცხოელ სტუმრებთან ერთად ლევარსიც აცეკვეს, მგონი, კადრილში და... რა უხეიროდ დაჩინდრიკობდა თავისი მაუდის ჩოხით და მოოქროვილი ვერცხლის ქილებით. რა უშნო სანახავი იყო.

— რა გაცინებს? კი! ახლა მაინცდამაინც დიდ სილამაზეს ვერ დაიჩემებს, მაგრამ ისე ვაჟკაცია, მდიდარი, ჭკვიანი და ეს დიდი საქმეა. სიმდიდრე დიდი ღონეა. შვილო, ამ ცხოვრებაში. შენ რომ ახლა ის არ გიყვარს და არც შეიძლება რომ გიყვარდეს, ეს ცხადია... ის კი არა — გეზიზღება, მაგრამ შენისთანა ობოლი ქალისათვის შესანიშნავი ქმარი იქნება.

თოლისქვამის გონება ისევ ჭაოსმა მოიცვა. ვერაფერში ვერ გარკვეულიყო. ნექტარინა კვლავ არიგებდა. შემდეგ თავისი ცხოვრებიდან მოუყვა:

— აი, მეც საწყალ სამსონს ისე გავყევი ცოლად, რომ არ მიყვარდა, მაგრამ ხომ ხედავ, რა ბედნიერი ქალიც გავხდი. თუ ვინმეა წარჩინებული ჩვენს არემარეში, მეცა ვარ. შენც ასე იქნები, შვილო.

და კიდევ მოეხვია, თავზე წელი გადაუსვა, თმები თავისებურად გაუსწორა. შემდეგ თვალებში ჩახედა და ამოუკოცნა კიდეც. მართლაც რომ თვალთმაქცი ქალი იყო ნექტარინა, ყველამ იცოდა, რომ ნექტარინასაგან არავინ იყო ჩვეული ასეთ ალერსს, განსაკუთრებით თოლისქვამი. მასაც ახლა აკვირვებდა კიდეც ნექტარინას საქციელი, მაგრამ თითქოს შეჩვეულებრივად ნებდებოდა ამ ალერსს, ამ დარიგებას, შეგონებას და სრულიად არა ჰქონდა განჭვრეტილი, თუ რას მოუტანდა მას ნექტარინასაგან შეთავაზებული ბედი, თითქმის კარგად არც კი იცოდა ამ საქმის კიდე-განი, მაგრამ ბოლოს მაინც დაეთანხმა თავის კეთილისმყოფელს:

— როგორც შენ მიბრძანებ, ბატონო, — უთხრა მან.

ნექტარინა გამარჯვებულივით გამოვიდა თოლისქვამის ოთახიდან.

ახლა თავში სულ სხვა აზრი უტრიალებდა. მით უფრო, დღეს გაიგო, რომ ტაია უკვე წასულიყო ბერთემიდან. არც წაბრძანებულა, არც მოკითხვა, არც ამბის გაგებინება. არა, ნამდვილად ხელიდან წასულია ის ბიჭი. მართალს ამბობს გუტატი: საჩვენო ალარ არის. ჰოდა, ჯანაბამდინაც გზა ჰქონია. ნექტარინა მაინც

თავს არ დაანებებს თავის განზრახვას. მაიორატი მაინც უნდა შექმნას: ჯერ მთლიანად ბერთემი ხომ გვირგვილიანებისაა. ერთი-ორი შემოსახლებული აზნაური სახსენებელიც არაა და გლეხობა სულ ამათი ნაყმევია, გვირგვილიანების მიწა-წყალზე ცხოვრობენ; ახლა უშაფათოსა და ლეძაძამიაშიაც აქვთ მამულები. კიდევ ხიზნები სხვადასხვა ალაგას, სხვადასხვა სოფელში. რა თქმა უნდა, შესაძლებელია მამულის დარგვალება. მიწის მზომელიც მოდის ამ გაზაფხულზე. ჩემი მაზლები და გუტატიც მარწმუნებენ, რომ ყველა მიწა ჩვენ შეგვიძლია მივიზომოთო, ან, როგორც ამბობენ, შემოვიკორღნოთ. მაშასადამე, ამას არაფერი წინ აღარ დაუდგება. ტაია აღარ არის? ბეგი ხომ არი აგერ, უცოლოა, ვაჟკაცად რა უჭირს, ისეა ცოტა ქარაფშუტა, მაგრამ დიდი მამულის ქონება დაადინჯებს, სახელს და გავლენას მოუპოვებს, ვინ იცის, შეიძლება თავის დროზე მაზრის მარშლადაც აირჩიონ... ჰო, ტაიას წილი მამული? ჰა, ჰა! ტაია ისეთი გაქსუებული შეიქნა. რომ... ვინ მითხრა? ბეწოიასათვის სახარჯო ფული გამოურთმევია და ისე წასულა, სულელი, სულელი! მაგისთანა კაცი თავის წილს ნიახურის ფასად შეახსნის ბეგის. ასე, ასე! ჩემი არჩილის ხსოვნას მაინც უკვდავს გავხდი.

ამ ფიქრებმა გაიტაცა ნექტარინა, თან მეტად აღფრთოვანებულიც იყო, რომ ეს კარგა მოისაზრა თავისი ოჯახის საშინაო საქმე და თოლისქვამის ბედიც ასე სასიკეთოდ შეატრიალა, სწორედ ამ დროს მოახსენეს ბარამი და ბეგი გეახლათ და პირადად თქვენთან სურთ მოლაპარაკებაო.

ნექტარინამ მაზლები თავის საკუთარ ოთახში მიიღო და უბრძანა, რომ სხვა არავინ შემოსულიყო გუტატის გარდა, მაგრამ როცა გაიგო, რომ გუტატი უშაფათოს წასულიყო ხიზნებთან მოსალაპარაკებლად, მიმართა თავის მაზლებს:

— როდის მოელება ბოლო ამ ჩვენი ხიზნების საქმეს? გადავყევით თან.

— ხიზნების საქმე უკვე გათავებულია, კნეინა ბატონო. როგორც მოგახსენეთ, ზემლემერი გადაწყვეტს მაგ საკითხს, — აუხსნა ბარამმა.

— ჰო, ეგ კი მითხარით და მეც მაგის იმედი მაქვს, მაგრამ ისე კია ვითომ?

— ასეა, ასე, რასაკვირველია. ხელმწიფემ გამოუშვა აწალ

ყანონი და მამულების გამიჯვნაზეა ახლა ყველაფერი დამოკიდებული.

— კარგია, კაი დაგემართოს, ჩემო ბარამ, მაგრამ, გადავყევით კი. ნეტავი თუ გიანგარიშნიათ, რა ფული დაგვიჯდა ხიზნების საქმის წარმოება ამ სასამართლოებსა და სენატში და სხვაგან. მე რომ თქვენს ოჯახში შემოვედი რძლად, მაშინ საცოდავი თქვენი ძმა, არჩილი, თაოსნობდა ხიზნების საქმის წარმოებას სასამართლოებში, მერე თქვენ ყველანი, სწყალი ჩემი ქმარიც და აქამდი ხარჯის გარდა არაფერი არ მოგვსვლია.

— ახლა, ახლა, ჩემო რძალო, მაგას უკვე ბოლო მოეღება და მაგაზე ნუღა ნაღვლობ, მხოლოდ მე და ბეგი ახლა სულ სხვა საქმეზე გეახელით და გვინდა გაგიზიაროთ.

ნექტარინამ ორივე მაზლი გამომცდელი თვალით შეათვალიერა, თითქოს ახლა უნდა უფრო დაკვირვებით შეისწავლოს მათი სახეო. ორთავე მართლა კარგი სანახავი იყო: ბარამი უფრო ხანდაზმული, თეთრწვერა, მწყაზარი სახის ადამიანი, ბეგი ბევრად უფრო ახალგაზრდა, მეტად სანდომიანი, კოხტა წვერულვაშიანი, რაც კიდევ მეტ იერს აძლევდა მის გარეგნობას. ორივე მხარბეჭიანი, მოყვანილი, ზომიერი სიმაღლის ვაჟკაცები. თვალები კი ორივეს თითქოს ერთნაირი სილამაზის, გვირგვილიანების თვალები ჰქონდათ. თან ორივეს შვენოდა ჩოხა-ახალუხი. განსაკუთრებით ბეგის უფრო გამოწკეპილი, „წელში გამოჭირებული ჩოხა-ახალუხი“ ეცვა.

ნექტარინა უფრო ბეგის მიაჩერდა და გულში გაუელვა: „არა, ივარგებს, ივარგებს!“ შემდეგ თავის გუნებაში ბეგის საცოლეს დაუწყო ძებნა: ვინ, ვინ? და ბოლოს წარმოიდგინა ახლომახლო თავადების ოჯახები, მაგრამ ფიქრი არც ერთზე არ შეუჩერდა. შემდეგ, უეცრად: აგერ, ის რუსის ქალი რომ მოიყვანა ჩემმა დამ, კარგი შეძლებულიც ყოფილა, დიდი და გავლენიანი ოჯახის შვილიც, ამას რალა აჯობებს.

ამასობაში მაზლები უცდიდნენ — ნებას დაგვრთავს თუ არა მოსახსენებელი მოვახსენოთო. ცოტა ხნის შემდეგ აგრეც ჰკადრეს:

— მოგახსენოთ?

ნექტარინა თითქოს ვამოერკვა თავის ფიქრებისაგან და უთხრა: ბრძანეთო.

ბარამმა დაიწყო:

— ჩვენ ის გვინდოდა გვეთქვა, რომ აგერ ჩვენი კესარია რომ არის, მისი ვაჟი...

ნექტარინამ მრისხანე სახე მიიღო და არ დაზოგა:

— რომელი, ჭაას ნატრიკვალი?*

— მაგას რატომ იკადრებ, ნექტარინა ბატონო! რაღა დროს ეგ არი. ქვეყანას უკვე გადაავიწყდა ეგ ამბავი. კესარია კი ჩვენი ღვიძლი დაა, ჩვენი სისხლი და ხორცი.

— მერმედა რა გნებავთ?

— რა და ის ბიჭი ნიჭიერი ჩანს. ცოდვაა, რომ უსწავლელი დარჩეს.

— მერმედა მე რა უნდა ვქნა?

— შენ მარტო რას იზამ? აი, ჩვენ ყველამ. აი ახლა, ქეთაისში რომ ჩავალთ და უცხოელებისაგან ფულს ავიღებთ, ცოტაოდენი გადავდოთ ამ ბიჭის სასარგებლოდ.

— ვაი, რა კეთილი გულის ბრძანდები, ბარამ. შენ ის გირჩევნია, შენ ტყეზე რომ ხარ შეყვარებული, იმას მოუარო.

— დამცინი, კნეინა? თუმცა შენგან ამას მიჩვეული ვარ, მაგრამ ამას დავეთხოვოთ! ტყე ტყედ და ადამიანზე ზრუნვა კი გვმართებს, ისიც ჩვენიანზე.

ამაზე ნექტარინას უნდოდა ბევრი რამ ეთქვა, მაგრამ არ მოინდომა თავისიანებში ამ დღესასწაულ დღეებში დამოკიდებულების გამწვავება, მერმე კიდევ ამჟამად კარგ გუნებაზე იყო და მხოლოდ ბეგის მიმართა:

— ბეგი, შენ რა აზრისა ხარ?

— მე, ბატონო... პირველ ხანად არც მე ვიყავი თანახმა. გახსოვს, ჭაას გულისთვის ჩემი მათრახით როგორ გავროზე კესარია... თუმცა ჩემი და იყო, მაგრამ არ დავინდე. მხოლოდ შემდეგ, როცა გავიდა ხანი, ჟამი, ვამეხმაც შემოგვირიგა და ახლაც, როცა ამბობენ ბავშვი ნიჭიერიაო, მართლაც და რას ვურჩით. ჩვენ კი არა, უცხო ჭალმა, ჩვენმა სტუმარმა, რიაბინინამ . იმანაც გვირჩია, ახლა რომ ფულს აიღებთ, ერთი წილი მაგ ბავშვის აღსაზრდელად გადადევითო.

— რიაბინინამ? — ერთი მზაკვრულად შეხედა ნექტარინამ და, თითქოს კმაყოფილებით, ოდნავ ჩაიღიმა. — ო-ო, რიაბინინა ჭკვიანი ქალია.

* ნატრიკვალი — ნაბუშარი.

— ჩვენც ახლა იძიტომ მოგმართეთ, — კვლავ ბარამი ჩაერია საუბარში, — რომ დღესასწაულები იწყება, ალდგომა, ახლა სტუმრები, სალაპარაკოდ ღარ გვეცლება, შერმე, მგონია, ბავშვში აპირებ სამჭვეწიერებოდ წასვლას.

— კი, ვაპირებ, ჩემს დუიდაშვილს მართას რომ არ ვეწვიოთ, ხომ ამიკლებს და ამაწიოკებს, ჰა, ჰა!

— რასაკვირველია, ჩემო რძალო, ჩვენც გეახლებით. ბარონესა და დაგმარაც ხომ წამოვლიან?

— რიაბინინაც აპირებს, — ჩაურთო ბეგიმ.

ნექტარინამ კვლავ შეხედა ბეგის და კვლავ კმაყოფილებით ლიმილში გადაუარა სახეზე.

— რალა თქმა უნდა, აბა აქ ხომ არ დარჩება! — თქვა ბარამმა. — ჰოდა ამიტომ ახლა ვარჩიეთ მოლაპარაკება.

— რა მოლაპარაკება, რა! — ცოტა გააჭიანურა ნექტარინამ. — მართალი გითხრათ, დღემდე მე ძაან ნაწყენი ვარ ჯესარიაზე. საქვეყნოდ თავი მოგვჭრა, დიდი ოტიეს ოჯახი შეარცხვინა და გააბახა.

ამაზე ბარამმა გულში გაიფიქრა: „შენ კი ნაკლები გვიყავი? ჯერ იყო და მაზლთან სამარცხვინო კავშირი დაიჭირე, ახლაა და მოურავი საყვარლად გყავს. ეს ვითომ ნაკლები თავის მოჭრაა, ეს ხომ მთელმა ქვეყანამ იცის". მაგრამ ამაზე არაფერი არ თქვა. სულ ერთია, უსიამოვნების მეტი ამას სხვა არაფერი მოჰყვებოდა.

ნექტარინა კი განაგრძობდა:

— ერთი კი მართალია, ბავშვს რის ვერჩით. რაკი ყველამ მოვიწდომებიათ, თვითონ სტუმარ ქალსაც კი, — კვლავ შეხედა ბეგის, — მე ჩემი მხრით ერთ ხუთას მანეთს გავიღებ.

მაზლები ჩუმად იყვნენ.

— რაა, ცოტაა თუ? არა, ჩემო ძვებო, არა! გადასაყრელი ფული მე არა მაქვს.

— ერთი რამეა კიდევ, — ცოტა დაყოვნების შემდეგ წარმოთქვა ბარამმა, — აი ახლა ზემლემერი რომ მოდის, გვიწდა იმ ბავშვსაც მივუზომოთ პატარა სამოსახლო და შენი თანხმობაა საჭირო, ნექტარინა!

აქ კი აიმრიზა კნეინა ბატონი.

— როგორ? ახლა გინდათ ჩვენი მომჯაყებელი კესარია აქ შემომისახლოთ?

— მაგას რატომ კადრულობ, ბატონო? მომჯაყებელი იყო თუ რაც იყო, მორჩა, გათავდა, ახლა რა, კესარია თუ გემსახურება, თუ არა, ისე რას დაგიშავებს?

— კაია, კაი, მამაშენი ნუ წაგიწყდება! თქვენი და კი არის, მარა კარგად ვერ იცნობთ კესარიას. ო-ო, რა ხასიათი აქვს, სულ აამტუტებს აქაურობას, მთელ სოფელს არევ-დარევს.

— აბა მაგას რატომ ბრძანებ, ნექტარინა? — მაინც დინჯობდა ბარამი. — რა შეუძლია საწყალ კესარიას ამდენი და ისიც თქვენ წინააღმდეგ?

— შენ რას იტყვი, ბეგი, ა?

ბეგიმ მხრები აიჩეჩა, თითქოს არ იცოდა რა ეთქვა, მაგრამ მის მაგივრად ბარამმა გასცა პასუხი:

— ამის შესახებ არც ბეგია მაინცდამაინც თანახმა, მარა... ეს საქმე უთუოდ უნდა გავაკეთოთ, — ეს „გავაკეთოთო“ კი ისე შეუვალად თქვა ბარამმა, რომ ნექტარინა აღარ გაჯიუტდა და ეს წარმოთქვა:

— როგორც გნებავთ, ბატონებო, თქვენი ფარდიდან მიუზომეთ, თუ გნებავთ სამოსახლო და მეკი, ნურას უკაცრავად, ერთ გოჯ მიწასაც კი არ დავთმობ კესარიას ნაბუშარისათვის.

მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ნექტარინამ ერთი მაგრა სული ამოითქვა და დაიწყო:

— ანდა თქვე დალოცვილებო, ასე რომ აწიწილაკებთ თქვენს მამულს, როგორ? მე ანგარიშს აღარ მიწევთ? დიდი ხანია თქვენ ჩემი განზრახვა იცით, რომ რაკი ჩვენ ყველანი უშვილოები ვიყავით და ჩვენს ბარობაზე მარტო შერცხვენილი ტაია იყო, ის მეგონა ჩვენი მემკვიდრე, ამის წინააღმდეკი არც თქვენ იყავით და ამიტომ ვფიქრობდი, რომ ყველა ჩვენი მამულისაგან ერთი დიდი საპატრონო გამეჩინა, აი, რუსების მემამულეებს რომ აქვთ იმისთანა და მინდოდა მაიორატი გამომეთხოვა იმპერატორისათვის. მარა ახლა რა? ტაიამ ყელი გამომჭრა და, ეტყობა, რაღაც სულ სხვა უბედურ გზას დაადგა, მარა თქვენ კარგად იცით, რომ მე ასე ახირებულად ჩემს განზრახულს არ დავთმობ. ამიტომ ახლა ამ გზას დავადეკი: ტაია აღარ არი, აღარ არი. ჯანდაბას მისი თავი, მარა თქვენ აქ არ მყავხართ! ერთი კია: ვამეხი ამ საქმისათვის არ გამომადგე-

ბა, სულ სხვანაირი აზრის კაცია და, ამას გარდა, უფლებააყრილიც. შენ ხარ, ჩემო ბარამ, და... ნუ გეწყინება, არც შენ ხარ ამ საქმისათვის გამოსადეგი. ხანშიაც ხარ შესული და არა მგონია, რომ ახლა შენ ცოლი შეირთო.

ბარამმა სათნოდ გაიღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია.

— მაშასადამე, დაგვრჩა ბეგი.

ბეგი შეინძრა, იგრძნო, რომ ნექტარინა რაღაც კარგს უმზადებდა და ჩოხის კალთაზე კოხტა ხანჯალი სიამოვნებით გაისწორა, თან სულ სმენად იქცა. ნექტარინა ამბობდა:

— ბეგი კარგი ვაჟკაცია, ცოტა ქარაფშუტა რომ არ იყოს, კიდევ უკეთესი იქნება.

„ქარაფშუტობაზე“ ბეგის შემცოდე ბავშვივით, საქციელწამხდარივით უხეირო ღიმილი ღრეჭად გამოუვიდა.

— მარა ეს არაფერია, თავის დროზე შინაურ თავადებში კარგი ყაზახი დადგება. ერთ დროს შეიძლება თითით საჩვენებელიც კი გახდეს... დიდი მამული, ეს მშვენიერი სასახლე, ყველაფერი მაგისი იქნება... ახლა მაგის ცოლის შერთვაა საქმე.

ბეგის ცოლის შერთვაზე სიტყვის ჩამოგდება მაინცდამაინც არ მოეწონა, რადგან უეცრად წარმოიდგინა, რომ ნექტარინას, რადგანაც ტაია აღარა ჰყავს, თოლისქვამი უნდა მე შემართოსო... თოლისქვამი ხომ მასთან იყო შეზრდილი, მარამ არასოდეს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია როგორც ქალისათვის, მაშინაც კი, როდესაც თოლისქვამი დაჭალდა და დამშვენდა. თავის საცოლედ ხომ სულ ვერ წარმოედგინა. ამიტომ შეეშინდა, ნექტარინამ თოლისქვამი არ შემართოსო, თუმცა იმავ წამს ფიქრი ასე დაუტრიალდა: ჯანდაბას, იყოს თოლისქვამი, ეს ცხვირმოუხოცელი ძღაბი, თუ დიდება და ქონება მექნება, რა ვუყოთ, ამას მოვითმენო, მაგრამ ნექტარინამ სულ სხვა თქვა:

— მე მგონია, ურიგო არ იქნება, რომ ბეგიმ რიაბინინა შეირთოს.

ნექტარინას ეს მოსაზრება მეხივით გავარდა ბარამსა და ბეგისათვის. გაოცებულები იყვნენ და უეცრად ვერ მოისაზრეს რა. ნექტარინა კი განაგრძობდა:

— მოწდენილი, ჭკვიანი, განათლებული, დიდი ოჯახის შვილი. მერწმუნე, შვილო, თავის დროზე მაგ შენს მარიანას ჩემს დაზე, ბარონესაზე ნაკლები გავლენა არ ექნება პეტერბურგში.

ბეგი უკვე გონს მოეგო. ეს განწირახვა მეტად ეამა, სიხარულმა შეიპყრო, მაგრამ თავისი ეჭვი მაინც გამოთქვა:

— რას ბრძანებ, კნეინა-ბატონო? ეგ ქალი მე-წამომყვება? ვარსკვლავებს ეთამაშება.

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, — ღიმილით შეუბრუნა ნექტარინამ. — ვიცი მე ეგ ვარსკვლავები... შენ გგონია, ვერ ვატყობ როგორ გეხურჩლება?

— არა, ბატონო, არა! სად მე და სად ის? მე ერთი ხათა-ვადაზნაურო სკოლის მეოთხე კლასიდან გამოსული სოფლის თავადიშვილი, ის კი უმაღლეს სწავლამიღებული, პეტერბურგელი არისტოკრატი ქალი.

ნექტარინამ ხმამაღლა გაიცინა:

— მე უფრო გამოცდილი მეგონე, ბიჭო! მაგრამ, ნუ გეშინია, მე ერთ ისეთ რამეს გასწავლი, რომ სულ კისერზე ჩამოგეკიდოს.

მაზლებმა გაიღიმეს, ბარამი კი შეეკითხა:

— თოლისქვამს რალას უშვები, ბატონო? როგორ არის ალა ნეტაი. რამდენი წანია არ მინახავს.

— ო-ო, თოლისქვამს ვათხოვებ.

— უჰ, ქაი დაგემართოს, ეგ ქაი საქმეა, მარა... მართლა რომ დიდი... — არ თქვა თვალთმაქცი — დიდი ბრძენი ქალი ხარ. ვინ უშოვე, ბატონო?

— ვინ და აგერ ჩვენი ლევარსი კვიზინია.

— უჰ!.. — წამოსცდა ბეგის. დანარჩენი ნექტარინამ არ ათქმევინა.

— რაო, რატომ იმწუთხრე? ჩვენი ნაყმევი რომ არის ლევარსი მიტომ?

— არა, ბატონო, — ჩაერია ბარამი, — ძალიან ჭკვიანურად მოგიფიქრებია... კაცი მდიდარი, მდგომარეობაც კარგი აქვს. ქალს დიდებულად დაარჩენს. ნაყმევობა რა არის. ყველა ვნებდეთ, რომ გასწორდა მთა და ბარი. ამას აღარაფერი მნიშვნელობა აღარ აქვს.

— ჰოდა მეც მინდა, ჩემო მაზლო, ახალმოდურად მოვიქცე, — სიცილით წარმოთქვა ნექტარინამ და მაზლებმაც გადაიხარხარეს.

18

ბარამი, რომ ნექტარინასაგან თავისი სახლისაკენ წავიდა, სოფლის ორღობეში ვამეხს შეხვდა. ისიც იოსებსკენ მიდიოდა და გზა ერთი ჰქონდათ.

ვამეხს უყვარდა ბარამი მისი სათნო ხასიათისათვის, ადამიანური გრძნობებისათვის, მოსწონდა ისიც, რომ ბარამი ხალხთან არ იყო დაშორებული და სოფელში სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. არ ჰგავდა იმ არემარეზე მცხოვრებ სხვა თავადებს, მიუკარებლებს, ყოყლოჩინებს, გლეხების შევიწროებასაც რომ არ ერიდებოდნენ. უბარამოდ მისი სოფლის გლეხებში არც ქორწილი და არც ტირილი არ ეწყობოდა. ბარამს იწვევდნენ იქ თავკაცად და ისიც ყოველთვის დიდი ხალისით ეხმარებოდა მათ, ასეთ შემთხვევებში მთავარი განმკარგულებელი ის იყო. არც ორგანიზატორულ ნიჭს იყო მოკლებული: ხიდი სჭირდებოდა სოფელს, განსაკუთრებით უკუღმართ გურძემიაზე, თუ რომელიმე თემშარის გაყვანა, აქაც ბარამი მეთაურად ევლინებოდა ხალხს და მუდამ საზრიანად და სწრაფად აკეთებდა ყველაფერს. ამავე დროს ერთი მაღალი სიტყვა არავის გაუგონია მისგან, პირუკუ, — ის მუდამ ხუმრობდა, გამოჰბზიდა ისეთ სახუმარო რაიმე მიზეზს, რომ ყველას ახალისებდა და ამისათვის მომუშავეებიც ერთგულად მუშაობდნენ. ყველა ამისათვის, გარდა ძმობისა, უყვარდა ვამეხს ბარამი. ახლაც სიამოვნებით შეეგება:

— რა კარგია, რომ შეგხვდი, ბარამ! სწორედ შენ მინდოდი. საიდან მოდიხარ?

— ნექტარინასთან ვიყავით მე და ბეგი, კესარიას იმ პატარა ვაჟზე, იმ დღეს შენ რომ თქვი — ამ ბავშვს უწდა სწავლა შევალებინოთო და ამისთვის თქვენ არ შეგაწუხებთო, მაშინ შენ არაფერი არ გითხარი, მარა გულში კი ჩამივარდა იმ ბავშვის აღზრდა და მოვიფიქრე: ამაზე ვამეხი რატომ უნდა შევაწუხოთ, როდესაც აგერ ჩვენ ყველას ფული გვაქვს ასაღები და აქედან გადავდვათ ერთი წილი-მეთქი.

— კეთილი გულის კაცი ხარ, კეთილი, ბარამ! მერე?

— მერმედა... ბეგი როგორც იყო დავითანხმე. საქმე ნექტარინას დათანხმება იყო.

— მერმე? — ახლა დამცინავის კილოთი შეეკითხა ვამეხი, თითქოს ნექტარინასაგან სიკეთეს არ გამოელისო. — მაგრამ ვიცი რასაც გეტყოდათ.

— ჰო. ლანძღვა დაუწყო კესარიას: ჩვენი მომჯაყებელიაო, გამბახებელიო.

— ჰა, ჰა, თავისი თავი კი არ გაახსენდა? ასეა: სხვის თვალში ბეწვს ვამჩნევთ, ჩვენსაში კი დირესაც არა... მერმე, კესარიას გამო უარი თქვა დახმარებაზე?

— არა, მთლად უარი არ უთქვამს. ბოლოს ხუთასი მანეთი ძლივს გამოიმეტა.

— ო-ო, დიდი წუწურაქი ქალია ჩვენი რძალი.

— იმაზე კი სულ უარი გვითხრა. გვინდოდა ბავშვისათვის აწლა პატარა სამოსახლო მიგვეზომა. არ ქნა. თქვენ თუ გინდათ თქვენი წილიდან მიეცით და მე კი ნურას უკაცრავადო.

— ეს მისი გულკეთილობით არ იყო, რასაკვირველია, მაგრამ ისე კი კარგად მოქცეულა.

— რატომ ვამეხ, რატომ?

— მიტომ რომ, ბარამ, იეროთეოსის დროს მესაკუთრეობა ალარ იქნება.

— რას ამბობ?

— მართალს, მაგრამ ნექტარინას, რაღა თქმა უნდა, ეგ არ ჰქონია მხედველობაში. იმას, ჰა, ჰა! მაიორატი აბოდებს.

— მითხარი, გეთაყვა, ვამეხ, რა არის ეს მაიორატი? ვიცი, რომ რაღაც შეღავათიანი საქმე ყოფილა, მაგრამ აქამდე შენ ვერ გკითხე და ნექტარინას კი ალარ შევკითხებივარ.

— მაიორატი ის არის, ჩემო კარგო, რომ თუ მამული სამაიორატოა, იმ მამულს მისი პატრონი ვერც გაჰყიდის და ვერც დააგირავებს, ასე შვილიდან შვილზე გადადის ხელშეუხებლად, თუკი წელმწიფისაგან არ გამოითხოვს განსაკუთრებულ ნებართვას.

— ბიჭო, ეგ კარგი ყოფილა. უყურე ნექტარინას! არა, უჭკუო ქალი რომ არ არის, ეს ცხადია. დღესაც ჩამოაგდო მაიორატზე ლაპარაკი. გვისაყვედურა, მე მამულის შეგროვება მიწდა ერთ ხელში, თქვენ ნაჭერ-ნაჭერ ანაწილებთო.

— კარგი და რაღად უნდა ეს მჭიორატი, ტაია რომ აღარ ჰყავს?

— მოძებნა სამაგიეროო!.. ბეგი!

— ოჰო!

— ბეგი გაბდება ჩვენი მემკვიდრე და მაიორატობასაც მისთვის გამოსთხოვს იმპერატორს. ამაში უთუოდ იმედი აქვს, რომ ბარონესა დაეხმარება, მოუხერხებს.

— კარგი და ახლა ბეგის უნდა შერთოს თოლისქვამი?

— არა, თოლისქვამი ლევარსს უნდა შერთოს.

— კაი, შე კაცო! მერმედა თოლისქვამი მიჰყვება?

— თოლისქვამი, ვამეხ, მე არ მინახავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც დახრჩობას გადაარჩინეს, ისეა თურმე გაოგნებული, რომ თავის თავს აღარ ეკუთვნის... ჯერ ისედაც, ხომ იცი, რა უმწეო რამ იყო და ახლა ხომ სულ ნეჭტარინას გავლენის ქვეშ იქნება.

— საცოდავი გოგო! მაშ ბეგი, ა?

— ბეგისაც მოუძებნა საცოლე.

— ვინ?

— რიაბინინა.

— ო-ო, ეს კი მართლა კარგა მოუფიქრებია. ეტყობა ის ცოცხალი და ნიჭიერი ქალია, თუ მართლა გაჰყვა ბეგის. რატომ არ შეიძლება? რატომ? ცოტა რომანტიკოსი ქალიც უნდა იყოს. ეს ბეგისათვის პირდაპირ მისწრება იქნება. პეტერბურგი, უმაღლესი საზოგადოება... გაიფერება, ერთგვარ იერს მიიღებს. იყო ამისთანა მაგალითებიც. ის კი არა, არ გაგიგონია: თბილისში ერთი ჩვენებური ლამაზი ლაქია მოეწონა რომელიღაც სასეირნოდ ჩამოსულ რუსის მდიდარ არისტოკრატკას და ცოლად გაჰყვა. შემდეგ საზღვარგარეთ წაიყვანა, იქ მასწავლებლები დაუყენა, შეასწავლა ენები, წიგნიერი გაბადა, კაცად გამოიყვანა, ისე რომ ბოლოს იმ ლაქიამ მეცენატობაც კი დაიწყო: ფულად დახმარებას უწევდა საზღვარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტებს. ჰო, იყო ამის მაგალითებიც. არა, ეს კი მართლა არ მოუფიქრებია ბეგისათვის ცუდად, მხოლოდ.. მაიორატობა კი... ჭირი მოგჭამა! ძალიან მალე მესაკუთრეობა მოისპობა, ბარამ, გეუბნები მე შენ.

— აბა როგორ იქნება, ვამეხ?

— როგორ და ხალხის იქნება ყველაფერი.

— მერე და ხალხის თუ იქნება, მე ხალხში არ ვურევივარ?

— შენ თავადი ხარ, ბარამ. რა ვუყოთ, რომ კეთილი კაცი ხარ და ბევრი ადამიანური ღირსებით შემკული. მაინცდამაინც შენ ხომ არ ამუშავებ შენი ხელით შენს ყანას, შენს ბოსტანს?

— ეგ რა ვუყოთ მერმე? სხვას რომ ვამუშავებ, წილსაც ვაძლევ.

— არა, ბარამ, არა, მიწას ვინც ამუშავებს, მიწაც მისია. ჩვენ, თავადები კი, განწირულები ვართ. ჰმ! ჩვენ-მეთქი რომ ვამბობ, მე ეს არ შემეხება, ერთი უფლებააყრილი კაცი ვარ, მაგრამ მე ვამბობ საერთოდ. მთელი თავადაზნაურობა ჩვენშიაც და რუსეთშიაც განწირულები არიან. ნუთუ არ იცი, რომ ხალხში ამიტ გამო უკვე მოძრაობა დაიწყო, ქარხნებში მუშები ირაზმებიან, სოფლებში — გლეხები. თუ ამას არ აქცევ ყურადღებას?

— არა, ცოტა რამე მეც მაქ გაგონილი... ამბობენ, გურიაში უკვე დაიწყო გლეხებში ასეთი არეულობა. მებატონეებს გლეხები აღარ აძლევენ ღალატსო და თავადი გურიელები დათბობაზეც წავიდნენო.

— ჰოდა წინდახედულად მოქცეულან.

— არა, ვამეხ, ეგ არა, შენი ჭირიმე! ანდა ჩვენ რას გვეკადაგურება ეს ახალი თაობის ხალხი? განსაკუთრებით სამეგრელოში, მინგრელსკის გარდა, თავადაზნაურობას რა გაგვაჩნია ამდენი... — აქ ცოტა გაფიცხდა ბარამი. — თუ ვაჟკაცები არიან, ჩემთან კი ნუ მოდიან მამულის წასართმევად, აი, რუსეთში რომ იმპერატორია, ყველაზე უფრო შეძლებული და უთვალავი მამულ-დედულის პატრონი, იმპერიაში პირველი აზნაური რომ არის, იმას შეებრძოლონ და წაართვან, რაც ახადია. ასე თუ მოიქცევიან, პატიოსან სიტყვას გაძლევ, რაც კი მაბადია, მაშინვე გლეხებს დავუთმობ.

— ეგეც იქნება, ბარამ, ეგეც...

— რა?

— იმ შენს იმპერატორს... კარგი სიტყვა გვაქვს მეგრელებს... „გეითორაგუანა“*.

— ახლა ნამიტანს ნუ მოინდომებ, ვამეხ!

ვამეხს ვაიცინა:

---

* გ ე ი თ ო რ ა გ უ ა ნ ა — ჩამოგდება.

— არა, მაგრამ ეს რომ ასე იქნება, ჩემმა ცხვირის ცხვირზე უცხადესია... მაგრამ ახლა მე ამაზე კი არ მინდოდა შენთან საუბარი. შენს ტყეზე მინდოდა ჩამომეგდო სიტყვა. აი, შენს ეზოს რომ არტყია.

— აააა... ვამეხ, ჩემს ტყეზე სიტყვა არ ჩამომიგდო. ხომიცი, ძალიან მიყვარხარ, შენი თითოეული სიტყვა მჯერა და ყოველთვის მორჩილად გისმენ, მაგრამ ტყეზე არაფერი არ მითხრა, ძმაო! იმ ტყეს მე აბასოდეს არ გავყიდი და არც დავაგირავებ. — აქ ხუმრობაც დააყოლა: — ის ჩემი მაიორატია.

თან გაეცინა. გაეცინა ვამეხსაც.

— არა, ბარემ, არც დაგირავებაზე გეუბნები და არც გაყიდვაზე, არც ხეს გთხოვ მოსაჭრელად. პირუკუ, მინდა ამ ტყემ კარგი შემოსავალი გაგიჩინოს.

— ვერ გავიგე. არც მოჭრი, არც გაყიდი, არც დააგირავებ, მაშინ რა შემოსავალი უნდა მომცეს?

— ყური კარგად დამიგდე! სოკოები უნდა მოაშენო შენს ტყეში...

— სოკოები? სოკოები ახლაც არის რამდენიც გინდა... მე ის მაწუხებს, რომ ზოგიერთ ხესაც უჩნდება და მიფუჭებს.

— არა, ეგ სოკოები გამოსადეგი არ არის. მე რომ ვამბობ, ის საჭმელი სოკოებია, ახლად მოკრეფილსაც ათასნაირად ამზადებენ: ხრაკავენ, წვავენ, ჩახოხბილივით აკეთებენ, ამას გარდა, და ეს მთავარია, მისგან კონსერვებს აკეთებენ დაძმარულს, მწნილად ჩადებულს და ბევრ ამისთანებს.

— მერმედა ვინ იქნება ამის გამსაღებელი?

— ბევრი, ბევრის ბევრი, ძველებური ქართულით რომ ვთქვათ. მართალია, ჩვენში არცთუ ისე ეტანებიან სოკოს, აქაიქ ქალაქებში, ვიღაც თუ შეაგრძნობს, ისიც ნიყვის და კვლაზე შემწვარ ერთ-ორ ცალზე, ისე კი ხმარობენ, მაგრამ რუსეთში, მოგეცა სიცოცხლე, ათიათასობით კი არა, ასიათასობით გასაღდება და ამას შენი ტყე ვერც მოჰპირავს, შენ კი კარგ შემოსავალს გაგიჩენს.

— მერმედა როგორ უნდა მოვაშენო? დავრგა? დავთესო?

— შენ ოღონდ დათანხმდი და მე ამას ყველაფერს თავის დროზე აგიხსნი.

— შენ სიზმარიც დაგეჯერება, ისეთი უცნაური კაცი ხარ, მაგრამ ახლა ვატყობ, რომ გინდა სოკოს მაიორატი გამხადო,

ჰა, ჰა! ჯერ შენი მეკვერცხეობა მეზარებოდა და აწლა გინდა მთელმა ქვეყანამ სოკოჭამია გვირგვილიანი დამიძახოს? შეეტყემლია დგებუაძეები კი გამიგონია ჩვენში, მაგრამ სოკოზე არაფერი არ მსმენია.

ამაზე ძმებმა გაიცინეს.

მერმე მაინც ბარამი შეეკითხა:

— მართლა, როგორ მიდის შენი მეკვერცხეობის საქმე, იოსე რომ მოგიკვდა, ხომ არ დაგაბრკოლებს. ან რას შვრება შენი ეშმაკური საჩეკი? რა ჰქვია?

— ინკუბატორი, ამდენ ხანს როგორ ვერ ისწავლე.

— ჰო, ბატონია თუ რაღაცა, ძალიან კი დაგეხმარა და მეტი რალა გინდა!

— არა, ეგ კიდევ უფრო უნდა გავაუმჯობესო. თბილისს მივდივარ ამ დღეებში, ნიკოლაძე უნდა დავიხმარო, ილია ჭავჭავაძე, იმათ ამგვარი საქმეებისაც კარგად ესმით და მეკვერცხეობის დიდი ამხანაგობა უნდა შევადგინო მთელ საქართველოში.

— როგორ, მაშ თბილისში მიდიხარ? მერე ჭუთაისი? ქუთაისს ჩვენ არ წამოგვყვები? შენი წილი არ გინდა მიიღო?

— რისი წილი? მე უფლებააყრილი კაცი ვარ. ვერაფერ იურიდიულ საქმეში ვერ ჩავერევი. კვერცხების საქმეც ხიხომ იოსეს სახელზეა და... ჩემი წილი? ჯერ ერთი, კანონი არ მაკუთვნებს და, რომ მაკუთვნოს კიდეც, არ ავიღებ, ღმერთთმა თქვენ მოგახმაროთ.

— უცნაური კაცი ხარ, უცნაური, ვაშენ! მაშ მეკვერცხეობით გინდა თავი დაირჩინო?

— ჰოდა შენი სოკოებით! აგერ ჩავალ თბილისში და ა იქ სოკოს საკითხსაც უფრო დავაზუსტებ. იქ სოკოს წარმოება ა არ არსებობს, მაგრამ გამოვძებნი სპეციალისტებს და ყველაფერს ზუსტად გეტყვი.

უკვე მიადგნენ გზაჯვარედინს. აქ უნდა გაყრილიყვნენ.

ბარამმა გამოთხოვებისას ეს მაინც დაატანა:

— თბილისში ამ არეულობის ნამდვილი გაიგე რამე, ა, ვამეხ.

— კარგი კარგი, — ღიმილით მიაძახა ვამეხმაც და ერთმეორეს გაშორდნენ.

ბარამმა თავისი ეზოს ჭიშკარი შეაღო. როგორც ყოველ

გგვირგვილიანების ეზო, ბარამის ეზოც გრძელი იყო და ფართო ჭიშკარიც სახლამდე კარგა მოშორებით იყო, თუმცა ამჟამად ოდა სახლი არ ედგა ბარამს, ერთი რალაც პიტაფიცარა ჰქონდა თავისი სადგომით, იმის იქით, კიდევ ჭის შემდეგ სამზადი შმენობა ედგა. ეს იყო მთელი მისი სამოსახლოს ავლადიდება. მხოლოდ იქვე ახლოს, ჭის ზემოთ, ჭიშკრის პირდაპირ, საუცხოო მტრედისფერი ქვები ეწყო, იქვე ახლო მთიდან, შჭაშიოთოკედან ამას წინათ ჩამოტანილი და ეტყობოდა, რომ სახლის ასაშენებლად იყო განკუთვნილი.

ბარამი შორიდან შეაჩერდა და მაშინ, როდესაც აქამდე ყოველ მათ დანახვაზე გული სიხარულით ევსებოდა, ახლა სევდამ შეიპყრო.

— რა სულელი ვყოფილვარ, რომ სახლის აშენება განვიზრახე და ისიც ასეთი საუცხოო ქვისაგან. რა ოხრად მინდა! მე ხომ უშვილო ვარ და... მართალი თქვა წელან ნექტარინამ: მე ხომ ახლა ცოლს ალარ შევირთავ, მაშ ვისთვის ვაშენებდი?

გაახსენდა, რომ სადღაც გულის სიღრმეში ამასაც განზრახული ჰქონდა თავისი სახლიც ტაიასათვის დაეტოვებინა.

მაგრამ ახლა? ტაიაც რომ ალარ არის და მთავარი კიდევ ის, რომ თურმე ძალიან მალე მესაკუთრეობა მოისპობა, ყველაფერი ხალხს დარჩება... აიშენოს თვითონ ხალხმა, რაც უნდა და როგორც უნდა, ბარამმა რატომ უნდა იმტვრიოს თავი?

ქვებისაგან პირი იბრუნა და მის თვალწინ აღიმართა მის ეზოს გარშემორტყმული მაღალტანიანი ხშირი ტყე, ამის დანახვამ ისევ გული გაუნათა და მარჯვედ გასწია იქ შესასვლელად.

ტყე საერთოდ კარგი გამოწმენდილი იყო, მაგრამ აქა-იქ მაინც ტყის პატრონს განგებ ჰქონდა ეკალ-ბურდი დატოვებული, ისეთიც კი, რომ კაცს არ გაევლებოდა, თუმცა თვითონ ბარამი, როცა უნდოდა ისე დაივლიდა მთელ ტყეს, რომ არსად არ შეჩერდებოდა. არც შარვალზე და არც ჩოხის კალთაზე ერთი ბირკაც კი არ წამოედებოდა. ტყე არც თუ ისე დიდი იყო, ათიოდე ქცევაზე იყო გადაჭიმული, მხოლოდ ბარამისათვის ის იყო შესანიშნავი, რომ გარდა ერთი ათიოდე ბებერი მუხისა, სულ მისი საკუთარი ხელით იყო თითოეული ხე დარგული და გაშენებული.

ტყის მოშენება კი ბარამმა მაშინ დაიწყო, როდესაც ჯერ კიდევ უფროსი ძმის, არჩილის დროს ძმებმა თავიანთი მამუ-

ლი გაიყვეს, როგორც თვითონ იტყოდნენ, თავთავიანთი ფარდის კუთხეები მიიჩნიეს. მაშინ ბარამი თოთხმეტი წლის იყო, ბეგი — რვისა, დედაც ცოცხალი ჰყავდათ და, ჩვეულებისამებრ, მამაპაპეული ციხე-დარბაზიანი დიდი ეზო ბეგის არგუნეს თავისი სამთვალიანი ოდით, სამზარეულოთი, სასიმინდეებით და სხვა საჭირო, საოჯახო ნაგებობით. დედაც ბეგისთან გადავიდა. ბეგის სახლ-კარი ერთ მაღალ ბექობზე იყო წამოდგმული, ლებარკალეს მთის ძირას და ამაყად გადაჰყურებდა ფერდობს, დაბლა, მოშორებით მდგარ, დიდი ოტიეს აშენებულ ეკლესიას, რომელიც ახლა ნექტარინას ეზოში იყო მოხვედრილი, და აგრეთვე მთელს ბერთემის ჭალასა და მიდამოს. მხოლოდ ახლა ამ ციხე-დარბაზში, რაც ბეგის დედა გარდაცვალა, თითქმის არავინ ცხოვრობდა. ერთი მოჯამაგირე ჰყავდა ბეგის, აქაურობასთან შებერებული, უსახლკარო მოხუცი და ის თუ ღონღილებდა ამ არემარეზე, თორემ ბეგი მხოლოდ ჩაცმა-დახურვისათვის, ან ცხენზე შესაჯდომად თუ მოიკითხავდა თავის სამოსახლოს, თორემ სადილ-ვახშმად და საერთოდ უფრო ხშირად, რრდესაც კი ბერთემში იყო, ნექტარინას სახლში იმყოფებოდა.

ნექტარინას სამყოფელი ჯერ კიდევ ტაიას მამამ, არჩილმა ააშენა და თავისი ძმა სამსონი ნექტარინასთან ერთად თავისთან გადმოიყვანა ბეგის მამაპაპეულ სახლიდან სწორედ იმ დროს, როდესაც ძმებს შორის გაყოფა მოხდა. მაშინ არჩილს ცოლი გარდაცვლილი ჰყავდა. პატარა ტაია აღსაზრდელი, თვითონ უფრო ხშირად ჯარში იყო, როგორც სამხედრო პირი, და თავის სახლ-კარს უკეთესს გის მიანდობდა, თუ არა თავის ძმას და უმთავრესად მის საყვარელ რძალს, ნექტარინას. ნექტარინასაც ხომ ეს უნდოდა. სხვა არა იყოს რა, ეს სახლი მართლაც სასახლეს ჰგავდა, რადგან აშენებული იყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც სამეგრელოს გლეხთა დიდი აჯანყების შემდეგ ზოგიერთმა თავადმა დიდი და ვითომ ევროპულ ყაიდაზე გამწყაზრული სასახლეები დაიდგა.

ამჟამად კი ნექტარინას „დოხორე"* ორსართულიან, ჭინ და უკან დიდაივნიან, თორმეტთვლიან სახლს წარმოადგენდა. ჭვეშ შელესილი, რიყის ქვისაგან აგებული ეგრეთ წოდებული

* დ ო ხ ო რ ე — სასახლე.

პალატი ჰქონდა, სადაც სტუმრების, შინაყმების მისაღებად ცალკე განკუთვნილი ოთახიც იყო, პატარა მარანიც და აგრეთვე სხვადასხვა საოჯახო ნივთების საწყობი. ზედა სართულში კი, სახლის შუაგულის დიდი დარბაზი იყო თავისი დიდი მოყვანილობის, უცნაურად მოხარატებული ბუხრით, რომელსაც წინაპირზე მზის დისკო ჰქონდა ამოღრუტნული და მის გვერდებზე რაღაც უცნაური ცხოველები, ფრთებიანი, ლომ-ფაფარგადაყრილი. მთელ დარბაზს ჩალისფერი შპალიერი ჰქონდა გაკრული, რომელზედაც აგრეთვე მზის დისკოები მოლურჯო ფერადით იყო მოხატული. დარბაზში ერთი გასაშლელი მრგვალი მაგიდა იდგა თავისი სკამებით და ირგვლივ კედლებზე კი ჩამორიგებული იყო სხვადასხვა ზომის ტახტი. მხოლოდ ერთგან, ფანჯრებს შუა კედელზე, მოვარაყებული ჩარჩოთი დიდი სარკე ეკიდა, რომელიც მთელი ტანით გამოაჩენდა მასში ჩამხედავს და ამიტომ აქ უყვარდათ ხშირად ბანოვანებს, სტუმარსა და მასპინძელს ჩახედვა და კოპწიაობა. დარბაზის მარცხენა მხარეზე ერთი კარგა მოზრდილი სასტუმრო ოთახი იყო, მოდიდო ბუხრით, აქ იდგა უცნაურად გამომყურე ფეხებმოგრეხილი დივანი, მის წინ ოვალური მაგიდა და რამდენიმე სკამი. ეს იყო და ეს, მხოლოდ შპალიერი კი ამ ოთახს მეტად ორიგინალური ჰქონდა. ცისფერ ნიადაგზე სულაჭოლგებიანი ჩინელები იყვნენ მოხატული და დაჭყეტილი თვალებით შესცქეროდნენ იქაურობას. გარდა უკანა მომცრო ოთახებისა, ყველა ოთახი, სრული, მაღალჭერიანი და მაღალკარებიანი იყო და ყველა ისინი ასე სადად და თითქმის უავეჯოდ მოერთოთ. მხოლოდ ყველგან ტახტები იყო ჩამორიგებული თავის ფარდაგებით თუ ნოხებით. აქა-იქ ტახტზე მოლურჯო ხავერდგადაფარებული მუთაქები ეწყო და ზოგან სირმით თუ აბრეშუმის ნაირფერი ძაფით მოქარგული ბალიშები. მაინცდამაინც თავისი მორთულობით ყველას ნექტარინას ოთახი სჯობდა. ჯერ ერთი: ედგა ორსაწოლიანი ევროპული შავი ხის საწოლი თავისი ბუმბულ-ლეიბებით. ერთ კუთხეში იდგა მუცელგამობერილი წითელი ხის განჯინა, რომლის თავზე ელაგა: ზეთიანი შუშები, ნელსაცხებლები და მალამოები. განჯინის თავზე კი იდგა ვერცხლის ჩარჩოში ჩასმული კარგა მოზრდილი სარკე. მის წინ ყოველ დილით კნეინა ნექტარინა დიდი გულმოდგინებით უვლიდა თავის პირისახეს და ირთვებოდა.

ეს სახლი იყო იმ დროს სანაქებო არამცთუ გვირგვილიანებისათვის, არამედ თითქმის მთელ იმ გარემოში.

ეს იცოდა ბარამმაც, მაგრამ ის აქ ასეთი დიდი ოდის აგებას არც აპირებდა, მხოლოდ როცა უცხოელებმა ეკლესიის ქვების საუცხოო ფერი მოიწონეს, გაიფიქრა, რატომ არ შეიძლება მეც გავიშენო სამყოფელი და დარჩეს ეგეც ტაიასო, მაგრამ ახლა სულ შორს იყო ამ ფიქრებისაგან.

ის თავის ტყეში იყო ამჟამად.

მერმე როგორი იყო ბარამის ტყე?

დაბურული, თითქოს რაღაც დიდი საიდუმლოების შემნახავი, თავისებურად რომ მოურთავს არემარე. ზოგან თაღი რომ შეუკრავს, ზოგან კიდევ საუცხოო სვეტები აუმართავს, ზოგან რომ ჩარაზულა მოაჯირივით, ზოგან დაკლაკნილა უცნაურად რომელიმე ხე და იქვე ახლო მდგომ მეზობლისაკენ იწვდის თავის შტოებს, ჩასახვევად მიიზიდება, თითქო შმაგი ტრფიალი იყოსო. ან როგორი დამატყვევებელი ხმაურიანი სიჩუმეა ამ ტყეში. როგორ შრიალებენ ხოლმე მისი ფოთლები, რას საუბრობენ, რა გამოცანებს ეუბნებიან ერთიმეორეს!

ტყეში შესვლისას ბარამს ათასი ფიქრი აღეძვრებოდა ხოლმე.

ახლა ფოთლები არ შრიალებენ; გაზაფხულია, მაგრამ მწვანედ კი უფეთქია მთელ ტყეს. ბარამმა იცის, რომ სააღდგომოდ ყოველთვის ასე ხდება. აკი ვამეხი ამბობს, რომ აღდგომა კი ზაფხულის დღესასწაულიაო. ძველად, ქრისტიანობამდე, ხალხი ჩვენშიაც და სხვაგანაც სწორედ ამ დროს დღესასწაულობდა გაზაფხულის დადგომას, უქმობდა, ჰქონდა ზეიმი და ზატიკობა. არ შეიძლება, რომ ამ დროს არ მოირთოს და მოიკაზმოს საერთოდ ბუნება, მცენარეულობა და ორძილოვანი. ერთად შეჯგუფებული ხეების, ე. ი. ტყის გამწვანება ხომ უფრო დასანახია, თვალში მისავარდნი.

აგერ კვირტები! წიფელას, თელას, მუხასაც კი უფეთქია კვირტებად.

„მუხას... წავალ, ჩემს დიდ მუხას ვეწვევი, — გაიფიქრა ბარამმა. — ის ჩემი დარგული არ არის, მამაპაპეულია, მაგრამ სათაყვანო კია". — და ტყის სიხშოსაკენ გასწია. ერთ ალაგას თითქოს პაწია მოედანი იყო გაკეთებული, თითქოს სხვა ხე-

ებს უფროსისათვის დაეთმოთ ადგილი და თვითონ შორიახლო ჩამორიგებულიყვნენ.

თვითონ მუხა ბუმბერაზივით იდგა მათ შორის. სამი საჟენის სიმრგვალე ექნებოდა. რამდენჯერ გაუზომია ბარამს. მხოლოდ სრულიად მრგვალი კი არ არის მუხა, სამი ჭდე აქვს, ჭდეებს შორის რამდენიმე ადამიანი ჩაეტევა. კარგა ძალზეა ამაღლებული თვითონ ძირი მუხისა, თითო მომცრო ხისოდენა შტოები კი სათავნეზე ფართოდ გადაუშლია, იმ შტოებს კიდევ კარგა მომსხო მესერისოდენა ანაყარი აქვს და შემდეგ წვრილ-წვრილ ღეროებად იფანტებიან. აქ უკვე ისინი სხვა ხეებს გადაფარებიან და თითქოს მოფერებით უჩრდილებენ, მხოლოდ ვაითუ სინათლეს ართმევენ! მაგრამ ბარამმა დაინახა, ამ ანაყარ შტოებსა და შტოებს შუა თითქოს განგებ ჩამოუშვიათო მზის შუქი, რომელიც ხელთდაუჭერელ სვეტებად ქვევით ჩამოწოლილა. დაბლა მუხის ფესვები აქა-იქ ადამიანის მუხლებივით ამობურცულა და ზოგი იმ სიფართეა, რომ თავის თავზე ერთ ხუთ კაცს თავისუფლად დაიტევს.

ბარამი ჩამოჯდა. ირგვლივ ნეშოებით იყო მოფენილი არემარე. ზევით ჯერ კიდევ მოყვითალო ფოთლები ეყარა, მაგრამ ზოგ ადგილას მათ შუა ჩაშავებული, თითქმის მიწადქცეული იყო მათი მონათესავე. ბარამმა უეცრად დაინახა, რომ ნეშოებს შორის იას ამოეყო თავი.

გაეცინა. სადღაც ჰქონდა გაგონილი: „რა უშავს, რომ დიდი მუხის ძირას იაც ჰყვაოდესო?“ ჰოდა ჰყვაოდეს. არ მოწყვიტა. წამოდგა, ცოტა მოშორდა მუხას და შორიახლო გახედა.

ჩაფიქრდა — ეს ხომ ჩვენ ვართ გვირგვილიანები, აი, ეს დიდი მუხა, საუკუნეობით რომ დგას აქ. მე კი ახალგაზრდები მივუყენე მხლებლებად. აი, ტანწერწეტა თელები ახლავს ირგვლივ: ესენი მაგის ყმებია. მაგრამ ეს რა არის? მუხა ძირში ყაკისფერია, თითქმის ჩაშავებული და ეტყობა მოხუცია, ზევით კი ამონაყარი თეთრი აქვს, უმწიკვლო და თითქოს თავისი ახალგაზრდობით ხარობს.

არა, ესენი გვირგვილიანები არ არიან! ეს ძირი — ხალხია და ის შტოები კი — ახალი თაობის ხალხი! ო, რა შხამი ჩამაწვეთა ვამეხმა? თუ თვით ცხოვრებამ? მეც ხომ ვხედავ, მეც ხომ მესმის, ირგვლივ რა ხდება ცხოვრებაში! ჰაი, ბეჩაო, ბე-

ჩაო ბარამ! ეს თელები და წიფლები კიდევ ყმები კი არა, მოკეთეები არიან ამ ახალი თაობისა, ხედავ, ესენიც როგორ ცისკენ მიიზიდებიან! ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის შვილები არიან, ესენიც ამ მუხის შტოების თანამგრძნობნი.

ბარამმა თავი დახარა დიდი მუხის წინაშე და ერთ ხანს გარინდდა.

როცა გამოერკვა, ახლა სულ სხვაზე ფიქრობდა: წეც ხომ ადამიანსა ჰგავს. ხეც ხომ სულდგმულია, მისი ფოთლებიც ხომ სუნთქავენ, ისიც ხომ მგრძნობიარეა, დარწმუნებული ვარ მას სტკივა, როდესაც შტოს მოვტეხავთ ან მოვჭრით. ხომ იცრემლება, ა? ანდა როგორა გვგავს ჩვენ ხე. ეგეც ითესება, იზრდება, ტანს აიყრის, იფურჩქნება, ყვავილს გამოიღებს, ნაყოფს ისხამს. ცოცხლობს! მშვენებაა ბუნებისა, მთისა და ბარის, ტყისა და მინდვრის. ადამიანისათვის ხომ შემჩრდილებელი, სიცხე-პაპანაქების შემამსუბუქებელი, წვიმა-თოვლის ამრიდებელი, სურნელოვანი ნაყოფის გამომღები და დამაკმაყოფილებელი როგორც ადამიანის, ისე გარეული თუ შინაური პირუტყვების. როგორ არ უნდა შეგიყვარდეს, როგორ არ უნდა მოუარო, როგორ არ უნდა ეთაყვანო ამისთანა მშვენიერებას.. ვამეხი კი დამცინის, შენო... როგორ იტყვის? ჰო, დრუიზმის! მიმდევარი ხარო. უთუოდ მემკვიდრეობითი ძალით შორეულ წინაპართაგან ხმაურობს შენში ეს გრძნობაო.

ფეხით გადაქექა ნეშოები. კვლავ გამოჩნდა შავმიწად ქცეული ფოთლები.

— აქ კი უნდა სოკოები გააშენოს. შეიძლება მართალია.. ეს ნიადაგი ნოყიერი უნდა იყოს.

გაეცალა იქაურობას. ცოტაზე რომ გაიარა, ერთ დიდ წიფელს შეაჩერდა. რა ამაყი შეხედულება ჰქონდა, როგორ დაბერძულებულიყო.

— აქედან მართლა კარგი ხის მასალა გამოვა. მართალია! ხე ჯანმრთელობის საუკეთესო ხელშემწყობი რამ არის ადამიანისათვის. განსაკუთრებით იქ, სადაც ნოტიო ადგილებია. სამეგრელოში უმეტესად ხის სახლებს ვაშენებთ. ქვისაგან ციხეებს აგებდნენ ჩვენი წინაპრები. მეც კინაღამ ქვებს მივმართე, მაგრამ, ეს ხომ გათავდა. სამეგრელოში ხის სახლებს ჯანმრთელობის დაცვის მიზნით აგებენ. ხისაგან აშენებენ ოდას, პატაფიცარა სახლს, ხულას, ბეღელს, სასიმინდეს, ბოსელს,

საჯინიბოს, თავლას, საღორეს, საქათმეს და სხვ. და თუ ეს დამხმარე ნაგებობანი ხის მორებისაგან არ არის გაკეთებული, წვეულით მაინც არის მოწნული. მე არ მიყვარს. ვცხოვრობ და ვხარობ ამ ხის ნაგებობით, მაგრამ არ მიყვარს, როდესაც ხე იჭრება, იხერხება და შეშდება ფიცრებად. არა, ჩემს ტყეში ხეს ვერ მოგაჭრევინებთ!

თითქოს ვიღაცას დაემუქრაო ბარამი.

— ხე მენანება სასიკვდილოდ, მებრალება, ვერ ველევი. ამიტომ დამცინიან, — ბარამი თავის ტყეში ერთ გამხმარ ფიჩხსაც არ გამოგატანინებსო. ეს გადაჭარბებულია, მაგრამ ხეს... ხეს.

შორიდან რაღაც ფაჩიფუჩი მოესმა. ახალგაზრდასავით სწრაფად გასწია და ტყის შუაგულ ბილიკზე გავიდა. წინა და უკანა ჭიშკრის გარდა, სოფლისაკენ ეს ბილიკიც ჰქონდა გაყვანილი ბარამს და არ ეშინოდა, რომ ვინმე მისი სოფლელი შემოიპარებოდა და მოჭრიდა რამეს. იცოდა, რომ სოფელს ის უყვარდა და მის ტყეს ერიდებოდნენ.

ბილიკზე დაინახა, რომ მის პირდაპირ გუდუა მოდიოდა.

ბარამი თითქოს საყვედურით შეხვდა:

— რა ამბავია, გუდუა, რომ წალდი წელში გაგირჭვია და ისე შემოსულხარ ჩემს ტყეში? ეშმაკური ხომ არაფერი გიდევს გულში?

— რა ეშმაკური, რა? შენს ტყეს, დალოცვილო, ცივ ნაჯახს არ აკარებ და შენი ტყის ყოველ ხის ძირში ლოცულობ.

გუდუამ იცოდა, რომ სოფლელებს სწამდათ ზოგიერთი ხის წმინდანობა და ამას, მიუხედავად მისი უხეში ხასიათისა, ბარამს, მხოლოდ ახლა კი მართლა ხეს თაობაზე იყო მოსული.

ბარამმა თითქოს შეატყო გუდუას მიზეზი მოსვლისა და როგორღაც მოინდომა მისი მომადლიერება. აქ შეიძლება ერთგვარი მზაკვრული აზრიც კარნახობდა ბარამს: სხვა დროა ახლა, გუდუასთანა თავში გამწევი კაცის მომადლიერება ურიგო არ იქნებაო, და ჰკითხა:

— რა გინდოდა, ჩემო გუდუა?

— რა და... — ცოტა შეყოყმანდა, — რა და ერთი სახნისის ტარი, კავი მინდა. ის ოხერი, ჩემი ძალიან ძველი იყო და... გამიტყდა.

— შენ რომ გიჟი ხვწა იცოდე, ჩემი რა გადასახდელია, მაგრამ... კარგი, გუდუია, წამოდი, ავარჩიოთ.

გუდუია ცას აწვდა სიხარულით და წაჰყვა.

აარჩიეს, მაგრამ ნაჯახი დაჰკრა თუ არა გუდუიამ არჩეულ ხეს, ბარამს თითქოს მართლა გული შეუწუხდა, მაინც არ შეიმჩნია და უთხრა:

— აბა მოჭერი და ღმერთმა შეგარგოს. მე აქ რაში გამოგადგები. — ეს უთხრა და საჩქაროდ სახლისაკენ გასწია. გზაში კი ეს ფიქრი წამოეშალა: მე ვგავარ ამ ხეებს. ამბობენ, რომ ტანად არა მიშავს რა. ჯანმრთელიცა ვარ და უკვე ჩემებურად განშტოებულიც, მხოლოდ მეც ამ ხეებსავით ჩუმი ვარ და არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი. ზოგს შეიძლება ეგონოს, რომ ვერ ვიგებდე გარემოს. არა! ხე გრძნობს, შეიძლება ხედავს კიდეც, შეიძლება არჩევს მტერს, მოყვარეს, მაგრამ უტყვია, უხმო, მეც ისე ვარ... მე და ჩემი ტყე ვგავართ ერთიმეორეს, მხოლოდ ჩემი ხეები ჩემზე უფრო წმინდაა, უფრო უმანკო და ამიტომ კიდევ უფრო ვეთაყვანები.

19

ბეგი ბარამის წასვლის შემდეგ სასახლეში დარჩა. მაგრამ უკანა აივანზე რომ გავიდა, მისთვის ამ სახლში ჩვეული საღდგომო ფუსფუსი შეუნიშნა. უკანა ოთახებში მოსამსახურე გოგოები რეცხდნენ, აუთოებდნენ, ჯანდარაში ატარებდნენ თეთრეულს. ზოგი კიდევ ჭრიდა და კერავდა საღდგომო ტანისამოსს, აკი მოსამსახურეებმაც იყიდეს საღდგომოდ ბენრიასაგან სხვადასხვაგვარი წითელ-ყვითელი ჩითი. ნექტარინამ ეს კი იცოდა — გოგოებს ჯამაგირს არ აძლევდა, მხოლოდ აჭმევდა, ასმევდა და დრო-დროთი აცმევდა კიდეც, შემდეგ გაათხოვებდა. ამიტომ ეტანებოდნენ სოფლის ღარიბი გლეხის ქალები ნექტარინას, ის კი არა, ზოგიერთს ესახელებოდა კიდეც დიხორეში ყოფნა, აქედან თითქო უფრო მარჯვედ თხოვდებოდნენ. მართალია, გლეხობაში ალმაცერად უყურებდნენ თავადის სახლში ნამსახურ გოგოებს, იქ ხშირად ახალგაზრდა თავადები ელაბუცებიანო, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამას არ ერიდებოდნენ, რადგანაც ამითი ისინი უახლოვდებოდნენ ნექტარინას გავლენიან ოჯახს და ეს იმათთვის ხელ-

საყრელი იყო. საღდგომოდ ხომ ნექტარინას თითქოს საკალდებულოდ მიაჩნდა მოსამსახურეებისათვის უთუოდ ეყიდია რამე, ქალებს — საკაბეები, ვაჟებს — წუღები და ზოგს საახალუხეებიც, ასე რომ, ცოტა ფული არ უჯდებოდა ყოველწვე ეს. აკი ხშირად დაიჩივლებდა თავისიანებში: — რა ვქნა, ამათ ხარჯს ვერ აუვედი, მაგრამ, რა ვუყო, მებრალებიან საცოდავებიო. სინამდვილეში კი ჯერ კიდევ ჰქონდა ნექტარინას შესაძლებლობა და ისევ ძველებურად უნდოდა, რომ ბლომად ყოფილიყო მის სახლში მოსამსახურე გოგო-ბიჭები.

უკანა აივანზე ბეგიმ დაინახა, რომ მოაჯირთან უშაფათიდან ჩამოსული ახალგაზრდა, ეშხიანი ქვრივი დესი ხუბუა მიმჯდარიყო და მამაკაცის წუღა-მესტს ჰკერავდა. ბეგის თვალები გაუბრწყინდა:

— ჰო, დესი ჩამოსულხარ კიდეც? გამარჯობა შენი.

დესი წამოდგა, თავი დაუკრა და უპასუხა:

— გაგიმარჯოს, ბატონო!

ბეგიმ გაიფიქრა:

„რა მშვენიერი სანახავია ეს წყეული, აშოლტილი, ტანწერწეტა. მკერდსავსე და სანდომიანი. ისეთი, როგორიც მე მიყვარს“.

ხარბად შეაჩერდა დესის ლამაზად მოყვანილ შავ თვალწარბს. დესი თითქოს მორიდებით იდგა მის წინაშე, მაგრამ წელვამართული მაინც იყო და არც თვალები დაუხრია, თამამად შეჰყურებდა.

— აა, მაგას გუტატის უკერავ? ამისთვის ჩამოხვედი?

— მე, ბატონო, აღდგომებზე ყოველთვის აქ არ გახლავართ?! — თან მზაკვრულმა ღიმილმა გადაჰკრა.

— დიდი ეშმაკი ხარ, ვინც არ გიცნობს შენ! — ღიმილით წარმოთქვა ბეგიმაც, თან დააყოლა: — ახლა მე არ შემიკერავ საღდგომოდ წუღა-მესტს?

— რატომ! თუკი იკადრებთ ჩემ შეკერილს.

— როგორ არ ვიკადრებ, შენ წუღა-მესტის განთქმული მკერავი ხარ. მხოლოდ უნდა მომისირმო კიდეც. მასალა ძილხანს აბარია. რალაც გული მითქვამდა, რომ მოხვიდოდი და სხვას არავის მივეცი შესაკერად, მაგრამ მოასწრებ კი? რალაც დღე-ნახევარი დარჩა აღდგომამდე.

— წირვამდე მოგისწრებ, ბატონო! გადავაკვდები და მოგინწრებ.

— ოჰ, შენ კი გენაცვალე.

— რატომ იკადრებ, ბატონო?

— ვიკადრებ კი არა. ჰოდა, რითი მჯობია მე შენი ბანჯგვლიანი გუტატი?

დესის სახეზე კვლავ მზაკვრულმა ღიმილმა გადაურბინა, მაგრამ არაფერი უპასუხა, უფრო ჩაკეკებით მიაშტერდა ბეგის, თითქოს პირველად ხედავსო, თითქოს უნდა დარწმუნდეს, რომ გუტატიც კარგი, სუფთა ყაზახია, მაგრამ ბეგიც არ უნდა იყოს ბანჯგვლიანიო. შეხედეთ, რა თეთრი პირისახე აქვს!

— მე მაშინ გამიწყრა ღმერთი, გუტატის რომ შენი თავი დავანებე, მარა არაფერია. მაინც ჩემი იქნები. ახლა კი მოგიტან მასალას. — შევიდა ძილხანთან, რომელიც დაგმარასთან ერთად მოზრდილ ქვაბში კვერცხებს ჭიაფერით წითლად ღებავდა, გამოართვა თავისი სამოგვე, სირმის ბრტყელი ზონრები და დესის მიუტანა. დესიმაც მაშინვე ბეგის ფეხის ზომა აიღო და იქვე ბეგის თვალის წინ მჭრელი, თავში წაწვეტილი მოგრძო დანით საუცხოოდ გამოჭრა ფეხსამოსი. ბეგი კიდევ ელაზღანდარებოდა, მაგრამ დესი ჩუმად იყო, თითქოს არ უსმენდა და თავდაღუნული თავის საქმეს ჩაჰკირკიტებდა.

ამ დროს აივანზე გამოვიდა ბარონესა და ეს წყვილი როდ დაინახა, ბეგის ალერსით თითი დაუქნია და წარმოთქვა:

— Ах, ты, балконный кавалер!* თან აივნიდან გადაიხედა: — ეს რა ამბავია?

ეზოში შემოჰყავდათ საკლავი: ერთი კარგი ძროხა, ბატკნები, გოჭები, ინდაურები და მათ ბღავილს და ჭყვირილს მთელი ეზო ჰქონდა აკლებული.

კიბეზე ფარნა ბუჟალაა ამოვიდა და თან მოიტანა თავისი სადურგლო ხელსაწყო.

ბეგი შეეკითხა — აქ რაზე უნდა იმუშაოო, და ფარნაჯაც ანიშნა — ბარონესას დაბარებული ვარო.

ბარონესამ კი მხიარულად აუხსნა ბეგის: დარბაზს ვამშვენიერებო.

---

* ოჰ, შე აივნის კავალერო.

— მოდი აქ, რა გაჩვენო! — და ბეგი და ფარნაც დარბაზში შეიყვანა.

დარბაზი მთლად მოფენილი იყო ბენოიასაგან ნაყიდი წითელყვავილებიანი ჩითით. ჩითები ერთიმეორეზე მიეკერებინათ და რამდენიმე დიდ სალაფარდოდ ექციათ. იატაკზე ეწყოაგრეთვე წვრილად დახერხილი, გაშალაშინებული ხის ნაჭრები, რაზედაც ფარნას მიუთითა ბარონესამ და აუწყსნა, თუ კარებთან და ფანჯრებთან როგორ უნდა შეეკრა ამ ხეებისაგან თაღები, აგრეთვე ჭერზე როგორ გუმბათივით უნდა მიემაგრებინა და მაღლა კედლებზე ჭერთან როგორ უნდა მიეჭედა ფარდების ჩამოსაკიდებლად.

ფარნა მაშინვე შეუდგა მუშაობას. ბეგი კი ვერ მიმხვდარიყო, თუ რას აკეთებდა ბარონესა.

— კარავი მინდა გავაკეთო, ბეგი, კარავი! ხვალ დილისთვის რომ შემრხვალ, ვერ იცნობ, ისეთი იქნება. მთელი ღამეც რომ გავათიო, მაინც გავაკეთებ. მანამდი არც შენ გაგიშვებ. რა გქვია? — მიმართა ფარნას.

ბეგიმ უპასუხა:

— ეგ ფარნა ბჟალაა. მაგაზე უკეთესი დურგალი არ შეიძლება რომ მოიძებნოს.

— უჰ, რას ბრძანებ, ბეგი! ერთი უბრალო სოფლის ხურო ვარ.

— არა, რატომ?—ჩაერია ბარონესა.—რაც გითხარი, ვატყობ, რომ მიმიხვდი, და მეც მეტი არაფერი მინდა.

ფარნამ კმაყოფილებით ულვაშებში ჩაიცინა, თან გაიფიქრა: „ჰაიტ, მეც რომ თქვენსავით მესწავლა, ხურო და დურგალი კი არა, ინჟილერი ვიქნებოდი. მარა რა უბრალოზე ხარჯავენ ეს სულწაწყმედილები. ამდენ ფულებს და რად უნდათ ახლა ეს კარავი? არც სულს არგია და არც ხორცს“. — ფიქრები აეშალა, ცუდ გუნებაზე დადგა და მაგრად მოუქნია ლურსმანს ჩაქუჩი.

— მარინა სადღა ბრძანდება? — შეეკითხა ბეგი ბარონესას. — რატომ არ გეხმარებათ? დაგმარა ვნახე, ძილხანს კვერცხების შელებვაში ეხმარებოდა.

ბარონესამ გაიღიმა:

— მოგეწატრა მარინას ნახვა? ის საწყალი დაიღალა, ამ ფარდების შეკერვაზე ბევრი იმუშავა და ახლა ისვენებს ეგერ,

წინა აივანზე. მიდი, თუ გინდა, ხელს არ შეუშლი. თავს ირთობს კითხვით.

მარიწა აივანზე, ეჩთ კუთხეში მიმჯდარი ფრანგი ავტორის, პანსონ დიუტერაილის რომანს „როკამბოლის თავგადასავალს“ კითხულობდა.

ბეგის აივანზე გამოსვლა მაშინვე შეამჩნია მარინამ, წიგნი მუხლებზე ჩამოიდო და მხიარულად მიესალმა.

— რაა, ასე რომ გაგიტაცათ, მარინა ივანოვნა?

— ო-ო, ეს სწორედ საოქვენო რომანია, კნიაზ ბეგლარ! — მარინამ გაიგო, რომ „ბეგი“ შემოკლებული „ბეგლარი“ იყო და ასე მიმართავდა კიდეც, მხოლოდ ბეგლარს ფრანგულის კილოთი „ბეგლიარად“ გამოთქვამდა. — აქ ბევრი ისეთი ამბავია, რომ თქვენი ცხოვრებიდან ბევრი რამ გენიშნებათ. განსაკუთრებით რაინდობასა და ქალების ტრფიალში, თუმცა როკამბოლი, ამ რომანის გმირი, ზოგჯერ მეტად საეჭვო საქმეებშიაც ერევა, მაგრამ სულით კი მაინც კეთილშობილი რჩება. სახალისო წასაკითხია. წაგაკითხებდით, მაგრამ ფრანგულად არის დაწერილი.

— მაშინ მომიყევით.

— მოგიყვეთ? ო-ო, ეს დიდი ამბავია, ე. ი. გრძელი და რთული. ამას ბევრი დრო უნდა.

— ცოტა დღეს მიამბეთ, ცოტა ხვალ და...

— ჰოო, ეგ შეიძლება. მერმე კიდევ ესეც არის: მე და თქვენს გარდა ახლა აქ ყველანი საქმეში არიან ჩაბმულნი, მგონია, კნეინა ნექტარინაც.

— რასაკვირველია. ის განკარგულებას იძლევა. თავის ოთახიდან იშვიათად გამოდის, მარა იქით იბარებს ხალხს და ყველას თავთავის დავალებას აძლევს.

— ძალიან კარგი. მაშ მე და თქვენ ვართ მხოლოდ აქ მოცლილები. აგრე იყოს. მოგიყვებით როკამბოლის ამბავს. გნებავთ, დავიწყებ ზღაპრულად: იყო და არა იყო რა...

— როგორც გნებავთ.

მარინა მოუყვა. მას თანდათან იტაცებდა ამბის თხრობა და სახეზე რაღაც განსაკუთრებული იერი ედებოდა. ბეგი მის ნაამბობს იმდენად ყურს არ უგდებდა, რამდენადაც მარინას სახეს და აღნაგობას უკვირდებოდა. თან გულში ადარებდა დეისის და მარინას. ორთავენი მომხიბვლელნი იყვნენ, მხოლოდ

ბეგის თვალში მარინას მაინც უპირატესობა ენიჭებოდა. რატომ? ვერ გეტყოდათ. ხილს გააჩნიაო, ეს კი გაიფიქრა და თანდათან იბნიდებოდა მარინას ეშხით, მაგრამ გულში კი მტკიცედ გადაწყვიტა:

— რადაც არ უნდა დამიჯდეს, დესი ჩემი უნდა იყოს!

შენაკადი

IX

ახლა შევდივართ დიდ ტყეში, ციბედულ!

ჩემს რომანში გაშუქებული ცხოვრების დიდ ტყეში.

აქ ბევრ ხანს მოგვიხდება ტრიალი, შეიძლება წრიალიც, რადგანაც ამ ტყეში, მე რომ აღვწერე, იმ დროს, ბევრი ეკალ-ბარდი იყო; გამოუწმენდელი, გაუკაფავი იყო ტყე. ეკალნარი, ფითრი და სურო ხეებს ახრჩობდა. მათ სარგო, მაცოცხლებელ წვენს ესენი სწუწნიდნენ.

მეტად ვიწრო ბილიკებიც აქა-იქ თუ იყო გაყვანილი. ზოგიერთი კი ახლა იტკეპნებოდა გაბედულთაგან.

ეს იმიტომ, რომ სოფ. ბერთემში ქვეყნის ხმაური ძალზე ცოტა ისმოდა, ახალი დრო თითქოს გვერდს უვლიდა ბერთემს. მისი ტალღები ნელ ზვირთებად მიჩქრიალებდნენ მის ჟიდეებთან. არ იყო ისე ცოცხალი მათი დაძგერება. ამიტომაც იქაური ცხოვრებაც ჩემი გმირის, ბარამის ტყესავით იყო დახშული.

მხოლოდ ქალაქებში იწყებდა ცხოვრება დუღილს, მაგრამ ქალაქის ამბავი ბერთემში და ბერთემისებურ სოფლებში იმ დროს ძალიან ცოტა მოდიოდა.

მაინცდამაინც ტყეს ხომ თავისებური განლაგება აქვს და დაგეჭირდება ცოტა კარგა ხნით ამ ტყის ლაბირინთში მიხვევ-მოხვევა.

ცხადია, ბოლოს გამოვალთ ამ ტყიდან, რადგან თვითონ ცხოვრება გამოვიდა დიდ შარაგზაზე. მხოლოდ ჯერ ნუ გავიკირდება, ციბედულ, თუ ზოგჯერ წიფელასთან შევჩერდებით, ზოგჯერ რცხილასთან და ზოგჯერ ჭყორთანაც მოგვიხდება დაყოვნება.

ჰა, ჰა! შენ ხომ იცი, ციბედულ, რომ ამ მომცრო მცენარეს, ჭყორს, ლათინურად უზარმაზარი სახელი რომ ჰქვიან როდო-დენდრონი!

ახლა ჩვენში ტროპიკული პალმები ხარობენ, ნარინჯოვანი, მცენარეები ქარგავენ მიდამოს, ჩაის ბუჩქებით გადაგვირისტებულია არემარე, ევკალიპტები მუხებივით გადაბარდნილან, სხვადასხვა წარმტაცი ყვავილებით შემკულია ჩვენი ბაღნარები.

ქალაქებში ცად მბჯენი სასახლეები წამოჭიმულან, გზები მოასფალტებულია, ელექტრონის ლამპიონები ქმნიან ირგვლივ დღიურ სიცხადეს... შეიძლება დღეს ეს მენჯი-რობუშიაც იყოს.

მაშინ კი არ იყო ასე.

ტყის სიხშოში დავდიოდით.

მოდი, გავეცნოთ.

20

დაღამდა წითელი პარასკევი. გუტატი დაბრუნდა უშაფათიდან და მისი ძმა ბათუ კი ქუთაისიდან, სადაც თურმე გუტატის დავალებით იყო გაგზავნილი საყიდლებზე. მან ჩამოიტანა ურმით რამდენიმე გუდა სვირული ღვინო, აგრეთვე სანიკიას საკანდიტროში დამზადებული პასქები. სხვა მაღაზიებიდან კიდევ „სარდინკები“ და სხვა ასეთი სასაუზმე. სანოვაგე. დანარჩენი ხომ ოჯახში ეგულებოდა ნექტარინას და ამიტომაც ბათუს სხვა არაფერი ჩამოუტანია, ჩამოტანისთანავე ბათუ შეუდგა ნაყიდი საქონლის დაბინავებას და ღვინის ჩამოსხმას, რადგანაც ამ საქმეებში ის დიდი დახელოვნებული იყო და საერთოდ ალდგომის ევლოგიის სუფრის გაშლა და მორთვა-მოკაზმა მას ჰქონდა მინდობილი.

გუტატიმ კი მაშინვე მოიკითხა დესი, მოძებნა და ნახა, რომ დესი სხვას მოსირმულ წუღას უკერავდა. ცოტა აიმრიზა, მიხვდა, რომ ეს წუღები ბეგისათვის იყო განკუთვნილი, ბაგრამ დესისთვის საყვედური არ უთქვამს, მხოლოდ თავისი უკვე შეკერილი წუღები გამოართვა და გაშორდა. გულში გაიფიქრა: „ჯანდაბას შენი თავი, ჩემი ცოლი არა ხარ და მამიდაშვილი. ბეგი გინდა? გყავდეს. როცა დამჭირდები, მაინც ჩემი არა ხარ!

დღეს მაინც შენთვის არა მცალია". ივანზე გაიარა. ნექტარინას მესაიდუმლე ძილხანი შემოხვდა, იმან კი საიდუმლოდ გადასცა გუტატის: კნეინა ახლა ტანს იბანს, — თან თვალი ჩაუკრა, — ამაღამ მიგელისო.

გუტატი დამშვიდებული ამასაც გაბშორდა და მისთვის მიჩენილ ოთახში შევიდა ახალი წუღების მოსარგებად.

ძილხანი თავისებურად მორწმუნე ადამიანი იყო, წითელი პარასკევი დიდ სამგლოვიარო დღედ მიაჩნდა, ქრისტე ჯვარს აცვეს ამ დღითო და ყოველივე ამსოფლიური ადამიანებს ამ დღით განრიდებული უნდა ჰქონოდათ: ჭამა-სმა, გართობა და სქესობრივი გატაცება ხომ კიდევ უფრო, ასე რომ გულში უძრახავდა ნექტარინას ამაღამის პაემანს გუტატისთან, ან რა სულის წასვლაა. გუტატი სულ აქ არა ჰყავს, რალა მაინცდამაინც წითელ პარასკევს, თუმცა რა ექნა, ის მესაიდუმლე იყო ნექტარინასი და ზოგჯერ მრჩეველიც, მაგრამ ასეთი საქციელისათვის სიტყვას ვერ შეუბრუნებდა, ეს მის ძალას და უფლებას აღემატებოდა. ახსენდებოდა, რომ აკრძალული ხილის ჭამა მეტად გემრიელია და გარეგნულად ურიგდებოდა ნექტარინას ასეთ თავაშვებულებას. ამიტომაც იყო, რომ გუტატის შეხედვრულად თვალი ჩაუკრა — ხედავ, როგორი გაბედულებიცა ვართ მე და ჩემი ქალბატონიო! ეს სცენა ეშსგავსებოდა რომელიმე მსახიობი ქალისაგან კარგად გათამაშებულ როლს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ძილხანი ნექტარინას ოჯახში დიდ როლს თამაშობდა. ჯერ ერთი, მესაიდუმლე და მრჩეველი ხომ იყო და იყო ნექტარინასი, ამას გარდა, მას ებარა დიდი ნაწილი საოჯახო საქმეებისა: მას ევალებოდა თვალყური ედევნებინა მოსამსახურეებისათვის: რომ ყოველდღე დანიშნულ დროზე მთელი სასახლე დაეგვათ და გაეწმინდათ. ახლა, საალდგომოდ ხომ ოთახები აფორიაქებული იყო და ჩვეულებრივზე მეტი ზომები იყო საჭირო ოთახებისა და ავეჯეულობის გასაპრიალებლად. ძილხანის მოვალეობა იყო ყური მიეგდო იმისათვის, რომ თავის დროზე გოგოებს სტუმრებისა და მასპინძლების ქვეშაგები აელაგებინათ და საითაოდ ჩაებარებინათ ძილხანისათვის, აგრეთვე კვლავ თავის დროზე პირდაებანინებინათ ყველა უფროსისათვის. ძილხანსვე ებარა სასახლის ჭურჭლეულობა, რომელთაც თავის დროზე არიგებდა საჭიროებისამებრ და შემდეგ უკანვე იბარებდა გაწმენდილსა და

გასუფთავებულს. მასვე ებარა მთელი სასახლის თერთრეული და განაგებდა სარეცხის საქმეს. მასვე ეკისრებოდა განათების და გათბობის საქმე. ის იყო განმკარგულებელი, მოსამსახურენი კი ასრულებდნენ ამ განკარგულებებს: ვაჟებს მოჰქონდათ მათ მიერ დახერხილი და დაპობილი შეშა, ზოგჯერ კარგა მოზრდილი ჯუნძებიც, ბუხრის ზომისა და ძილხანისვე მეთვალყურეობით ანთებდნენ ცეცხლს. ძილხანსვე ებარა ჩაი, შაქარი, ყავა, ბარონესას ჩამოსვლის დროს — შოკოლადი და კაკაოც და სხვა საწუგბაროები: იმერული ჯანჯუხები, ხილის ჩირები, ტკბილი კვერები, სხვადასხვაგვარი ქილებში დაცული წნილები და სხვ.

სხვა სანოვაგის საქმეს განაგებდა უფროსი მზარეული, რომელსაც, გარდა სამზარეულოსი, ჰქონდა თავისთვის მიჩენილი ცალკე სალარო, ისე როგორც ძილხანს თავისი საკუჭნაო. მზარეულისთვის მიჩენილ ოთახს ერქვა სალარო, მაგრამ ფულები კი ან ძვირფასი რამ ნივთები არ ინახებოდა.

ასეთ ნივთებს თვითონ წექტარინა ინახავდა თავის ოთახში და ერთ პატარა, ზანდუკისებურ სალტებიან კოხტა კოლოფში ჰქონდა ჩაკეტილი. ეს კოლოფიც იმავ ოთახში დიდ ზანდუკში იყო მოთავსებული, სადაც აგრეთვე ინახებოდა ნექტარინას ძვირფასი კაბები, თავსამკაულები, ფეხსამოსები და სხვ. და ეს იმიტომ კი არა, რომ ძილხანს არ ენდობოდა. ურჩევნოდა თავისი საყვარელი ნივთები თავის ახლოს ჰქონოდა ხშირხშირ მისაკითხავად.

მზარეულის სალაროში კი ცალკეულ კაკვებზე ჩამოკიდებული იყო ღორის, ბატის და ზოგიერთი გარეული ნანადირევის შაშხი, აგრეთვე დოში, ზურგიელი და სხვა დამარილებული თევზები. აქვე ინახებოდა სადილისა თუ ვახშმისათვის დამზადებული, ცივად შესანახი სანოვაგე. ღვინოები და მარანი კი გუტატის განკარგულებაში იყო, ხოლო ბეღელს და სასიმინდეებს განაგებდა ამისათვის საგანგებოდ მიჩნეული ოჯახის ერთგული ხელოსანი. ხოლო ძილხანის საკუჭნაოში, გარდა ზემოთ დასახელებულისა, ვინ იცის, რა არ ინახებოდა. ეს უფრო ჰგავდა პაწია უნივერმაღს, ახლებურად რომ ვთქვათ, ანუ, უკეთ, საკომისიო მაღაზიას, და იყო ნექტარინას ოჯახის გაჭირვების ტალკვესი.

თვითონ ძილხანი მამით ღვიძლი და იყო ნექტარინასი,

ოღონდ ბუში იყო და მზითევში ჰყავდა ნექტარინას გამოყოლილი. ეს იყო ბატონყმობის დროიდან შემონარჩუნებული ჩვეულება.

ძილხანი ხნით უფროსი იყო ნექტარინაზე, მაგრამ ახლაც ეტყობოდა ერთ დროს მოხდენილი ქალი იქნებოდა. ის არასოდეს არ გათხოვილა, მაგრამ ორი რომანი კი ჰქონდა თავისი ცხოვრების მანძილზე: ერთი რომელიღაც ახალგაზრდა იმერელ თავადიშვილთან, ნექტარინას დედულეთს, რაიც ახლაც ტკბილმოსაგონრად აქვს თავის მეხსიერებაში აღბეჭდილი და მეორე ნექტარინას ქმართან — სამსონთან.

სამსონთან დაახლოება მოეწყო მას შემდეგ, რაც ნექტარინას მის უფროს მაზლთან არჩილთან დაენთო ტრფობის ალი. არჩილის შემდეგ ნექტარინა სამსონს აღარ იკარებდა. სამსონიც ვეღარ ბედავდა ამ მამაც ქალთან შებრძოლებას და ამიტომაც მან ძალიან მალე ნექტარინას ოთახის მაგივრად ძილხანის სანთიობოსაკენ გაიკვლია გზა.

ძილხანსაც თავიდანვე არ ეუცხოვა სამსონის მასთან მისვლა და დიდსულოვნობით გაუღო გული-ჯარი ბედისაგან დაჩაგრულ ქმარს. შეიძლება ამითი თავიც მოსწონდა, რომ თვითონაც, ჯვარდაუწერელი, მაგრამ მაინც, გვირგვილიანის ცოლი გახდა. ეს იყო და ეს. სანამ სამსონი არ დაავადმყოფდა და არ გარდაიცვალა, მანამ სამსონისა და ძილხანის ცოლქმრული დამოკიდებულება არ შეწყვეტილა.

ნექტარინამ მალე გაუგო თავის ქმარს „ცელქობა“, მაგრამ ცური მოიყრუა, თვალები დაიბრმავა და ამისათვის არასოდეს არ გაფოფრილა, ისევე როგორც სამსონი, რომელმაც იცოდა მისი მეუღლისა და მისი ძმის არჩილის ურთიერთობა, არჩილის სიკვდილის შემდეგ მოურავ გუტატისთანაც დაახლოება ნექტარინასი, მაგრამ არც ამას გამოუდვია თავი ამ ამბების გამო.

ასეთი იდუმალი შეთანხმებითა და მშვიდად ცხოვრობდა ამ საუცხოო „დოხორეში“ ეს ორი წყვილი ადამიანი.

ხასიათით კი ძილხანი, თუმცა და იყო, მაინც არ ჰგავდა ნექტარინას. შეიძლება გარეგნული იერით ზოგჯერ მოჰგავდა მას.

ზოგჯერ ბატონკაცური თავის დაჭერა ამანაც იცოდა, მაგრამ ხასიათით ბევრად უფრო კეთილი იყო და მეტი თანაზია-

რი ადამიანებთან. ზოგჯერ, ნვქტარინასაგან მალულად, სოფლის გაჭირვებულ ქვრივ-ობრებს ეწეოდა კიდეც, მაგრამ ამითი ნექტარინას დოვლათს კი არ ანიავებდა, არამედ თავდაჭერით და ზომიერად მრქმედებდა, შეყვარებულების ხომ უზომო მფარველი იყო და აშკარად არ მაჭანკლობდა, მაგრამ ისე საერთოდ ხელსაც კი უწყობდა ზოგიერთებს „უკანონო“ სქესობრივ კავშირს.

აი ახლაც, თავის ოთახში რომ შევიდა, ნახა: დესი ბეგის წუღებს უკვე ათავებდა. გაიღიმა, ახლო მივიდა და ალერსით ხელი გადაუსვა.

— ჰა, ჰა! ძალიან მოგისწრია. ბატონიშვილი კარგ მადლობას გადაგიხდის. მხოლოდ... — აქ ცოტა ჩაიქირქილა, — არ შეგვიცდინო კი!

— უი, რას ამბობ, ბეჩა ძილხან! რომელი შემცდენელი მე ვარ.

— ჰო, ვიცი, ვიცი: „ერთი საწყალი, ქვრივი ქალი!“ მე მირჩევნია: შენ აშმორებულ გუტატის ბატონიშვილი. ბეგი გერჩიოს. ვერ ხედავ, რა ვაჟკაცია! მერე კიდევ, ძლაბი, ხომ იცი, როგორ დაგასაჩუქრებს. ხომ იცი, რომ ამ ნააღდგომევს ძალიან ბევრ ფულს აიღებს.

გულწრფელი იყო ძილხანის ასეთი რჩევა. გუტატი არ უყვარდა, უთუოდ უფრო იმიტომ, რომ ის თავის სატრფიალო საქმეებს ძილხანის გარეშე აკეთებდა ახლომახლო სოფლებში, დესიც უძილხანოდ ჰყავდა გუტატის მოპოვებული და, ამას გარდა, ძილხანს უნდოდა გუტატი მარტო ნექტარინასათვის შეენარჩუნებინა. ახლა რაკი იყნოსა, რომ ბეგი და დესი შეიძლება დაახლოვდნენო, ამას ჩასჭიდა ხელი. ჩასჭიდა იმისთვის, რომ დესი ჩამოეშორებინა გუტატისათვის.

დესის კი გულში უკვირდა: ძილხანი როგორ მიმიხვდა გულის ნადებს, როცა მას ამას წინათ გუტატიმ წუღა ჩამოართვა და უსიტყვოდ გაშორდა, დესიმ თვალი გააყოლა და, გულში კი დასცინა:

— წადი, თორემ, შენმა მზემ, შენზე უკეთესს ვერ ვიშოვნიო!

თან ოცნება გაუტაცდა: ბეგი ჯერ ისედაც შეძლებულია, ახლო მომავალში დიდძალ ფულს აიღებს და, ვიცი, არ შემირთავს, მაგრამ ისე კი გამაკეთებსო. ჩემი მაზლები მაინც საკვ-

რივოსაც არ მაძლევენ და ბეგიმ კი შეიძლება აქ, ბერთემში, მის მახლობლად ერთი ნაკვეთი სამოსახლოც მომცეს და ერთიორი თვალი უბრალო სახლიც დამიდგასო. მხოლოდ ჩემს სიმარჯვეზეა ყველაფერი ეს დამოკიდებულიო.

და თანდათან უფრო უფართოვდებოდა მისი ოცნების კიდე-განი, თან უკვირდა — ეს ძილხანი კუდიანია, თუ რა არის, როგორ მიხვდა ჩემს საწადელსო. მაგრამ არაფერი არ უთხრა ძილხანს. მარტო ეს წარმოთქვა მოსაწყლებულად:

— დია, რას მეუბნები! სად მე და სად ბეგი ბატონიშვილი!

— აი, შე მაზაკვალო, შენ! განა არ იცი, ყველა მამაკაცი წუწკია, და შენ?.. თუ მარჯვედ იქნები, ბეგი როგორ არ დაბარბდება შენ მშვენიერ სხეულს.

ამაზე დესის თვალებში მზაკვრულმა ნაპერწკალმა გაუელვა, თითქოს ეთანხმება ძილხანს და თითქოს თავისი თავის დიდი იმედი აქვსო, თან მომავლის იმედები ბეგისაგან მონიჭებულ „გაკვთებისა“ თავში უფუსფუსებდა. ენა ამოიდგა, უფრო გულღიად დაუწყო ლაპარაკი ძილხანს.

და ორთავენი ჩაებნენ საკიჭმაკიჭო საუბარში.

ბეგიმ კი იღლამესვე მიაღწია თავის საწადელს და თავისი ქადილი დესის მიმართ შეისრულა.

21

სასახლეში უკვე მინელებული იყო ფაციფუცი. ყველა ოთახი თავისი მორთულობით გაწმენდილი და გაპრიალებული იყო; დიდი დარბაზი ხომ ბარონესას თავისი სალაფარდოებით მართლა დაემშვენებინა. ჩითები პირდაპირ კედელზე კი არ იყო მიკრული შპალერივით, არამედ ფარდებივით იყო ჩამოფარებული და უფრო, როგორც თვითონ თქვა, კარავს მოგაგონებდათ, რომელსაც ძალიან უხდებოდა ფანჯრების და კარების სათავეებზე მაისის ვარდივით გამონაკული ჭსოვილის ყვავილები. შუაგულ ჭერზე ხომ კოხტად იყო კიდევ ერთი დიდი ვარდი გაშლილი, საიდანაც პაწია ჯაჭვებზე ქვევით ეშვებოდა დიდი ლამპა. დარბაზში ამჟამად მხოლოდ ბარონესა იყო და აქა-იქ ასწორებდა ნაოჭებს და გამოფუყულ ადგილებს.

ახალგაზრდობა, ეტყობა, ისვენებდა, ბეგიც არსად ჩანდა, მოსამსახურეებიც სასახლიდან გალაგებულიყვნენ, მხოლოდ

ორ გოგოს ნექტარინას ოთახიდან გამოჰქონდათ ნაბანი წყლით სავსე ერთი კარგა მოზრდილი ქვაბი, დიდი ხის გობი და სხვადასხვა ზომის ტაშტები და ავაზდასტები.

გზაში მათ გუტატი შეეფეთა, შეეკითხა:

— ქალბატონი ისვენებს?

— არა ჯერ. ემზადება. — და გასწიეს კიბისაკენ, მაგრამ გუტატისკენ ერთი მაინც მოიხედეს და რაღაც ჩაიფრუტუნეს.

გუტატიმ თვალი გააყოლა გოგოებს და სანამ ისინი არ მიეფარნენ, მანამდე არ დაძრულა. მხოლოდ შემდეგ ერთი აქეთ-იქით გაიხედა, დაბოლოს თითქოს ფეხაკრეფით ნექტარინას ოთახში შეიპარა.

ნექტარინამ მაშინვე მიაძახა:

— არ შემოხვიდე, არ შემოხვიდე, შე ურჯულო!

მაგრამ გვიანღა იყო. გუტატის ახლა მთელი ლაშქარი ვერ გამოაგდებდა ამ ოთახიდან.

ნექტარინა სრულიად შიშველი იყო და მისი გრძელი წითელი თმები, რომლებიც კოჭებამდე სწვდებოდა, მთელ სხეულზე ჩამოშლოდა.

— რა ხარ, ბატონო, შენი ჭირიმე? — კინაღამ შებღავლა გუტატიმ, მაგრამ თავი შეიკავა, მხოლოდ გულამოსკვნით კი წარმოთქვა ეს სიტყვები.

ნექტარინა შეეცადა ტანის გასამშრალებელი ზეწარი აეფარებინა, მაგრამ გუტატი სწვდა ზეწარს და არ დაანება.

— აწე იყავ, შენი ჭირიმე, ასე! უკეთეს სანახავს რას ნახავს კაცი! — ჩურჩულებდა გუტატი. — ზღვის სირინოზი ხარ, ტყის ფერია, თუ რა! გამაგიჟებ ნამდვილად...

— ჰოდა კარები ჩაკეტე, შე გიჟო, შენ!

გუტატი წავიდა კარების დასაკეტად.

ნექტარინამ თავი გაიქნია და უკვე საკმაოდ გამშრალებული თმები კიდევ უფრო გაიშალა სხეულზე, თან ხელითაც აქაიქ გაისწორა, რომ შიშველი ადგილები დაეფარა.

გუტატი რომ მობრუნდა, წითელ ნაბადში გახვეული დახვდა ნექტარინა.

ამ ნაბდიდან მხოლოდ მისი ნატიფი და მედიდური პირისახე მოჩანდა. თვალები კი, თვალები ალბავსე იყო უცნაური სიხარულით და ვაჟკაცს თავისკენ ეზიდებოდა.

გუტატი დავარდა მუხლებზე და თმის წვეროებს ეამბორა.

— არა, შენ სულ სხვა ხარ, მართლა ჭალბატონო! — გვიწვნა გუტატი, — არავის არ ემსგავსები! ღვთის მშობელი არა ხარ, ცხადია, ეს ნუ გეწყინება, მაგრამ ისე კი დედოფალი ხარ ყოველთაესი.

ეს გადაპრეხილი სიტყვა გვირგვილიანების ოჯახში ჰქონდა გაგონილი და ეამა, რომ კარგ დროზე გაახსენდა.

სხვა სიტყვა კი აღარ წარმოუთქვამს, რადგანაც ამჟამად თმებს კი არ ჰყრიდა ამბორს, არამედ ფეხებს უკოცნიდა.

— კარგია, გეყოფა, შე მაცდურო! — გაისმა მინაზებული და მთრთოლვარე ხმა ნექტარინასი. თან ყურზე ხელი წაავლო გუტატის და თავისკენ მაღლა აზიდა. გუტატიც გაიმართა და ანაზდად ქალს მკლავები მოხვია. ნექტარინამ პირისახე აარიდა გუტატის და თითქოს ყურში ჩასჩურჩულა:

— ჰაიტ, შე წუწკო, შენ! წითელ პარასკევს გაგიგონია ამისთანები?

გუტატიმ კარგად იცოდა, ვისი გამოგონილიც იყო ეს წითელი პარასკევის პაემანი, მაგრამ ვერაფერი ვერა თქვა: ვნებამორეულს ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდა.

ნექტარინას კი უხაროდა, რომ თავის მზაკვრობას სხვას აბრალებდა: ვითომ თვითონ არაფერ შუაში იყო და სხვამ ჩაითრია დანაშაულში. ამიტომაც ამბობდა:

— არ-ცხონდები, გუტატი. ამ წითელ პარასკევს ჩემი შეცდენისათვის... პირდაპირ ჯოჯოხეთში ამოჰყოფ თავს!

— ჯანდაბას ჩემი თავი! შენ შემოგევლე!

22

— შენ შემოგევლე! — უთხრა ქვრივმა რუსუნდიამ თავის პაწია ვაჟს, სქვამაიას, როდესაც დიდ შაბათს დილით პირი დაბანა და თმა დავარცხნა.

მეორე ოთახიდან მოისმა ვამეხის ხმა:

— ბავშვს ნუ ანებივრებ, რუსუნდია!

— აბა რა ვქნა, მე უბედურმა, ამის მეტი არავინა მყავს. ვამეხი დილის ხალათში თავისი ოთახის კარებს მოადგა.

— ანდაზა არსებობს, ჩემო რუსუნდია: შვილი მტრულად გამოზარდე, მოყვრულად გამოგადგებაო.

საუბარი მეგრულად იყო და ბავშვს მოსაუბრეთა სიტყვე-

ბი თუმცა ესმოდა, მის აზრში მაინც ვერ ერკვეოდა, ისე კი თითქოს იგრძნო, რომ ვამეხი მის სასარგებლოდ არაფერს ამბობდა, და თავჩაღუნულმა შეუბღვირა.

ვამეხი განაგრძობდა:

— არა, მტრულად აღზრდა ნამეტანია, მაგრამ ზომიერება კი საჭიროა ბავშვის მიმართ: არც ნამეტანი მოფერება, არც ნამეტანი წყრომა.

აქ ვამეხმა შეამჩნია, რომ ბავშვი გაბუტულიყო, ვერ მოითმინა და თავზე ალერსით ხელი გადაუსვა. იოსებ ობოლი მასაც უყვარდა და არ უნდოდა, რომ ბავშვს გული დაჩაგვროდა. ამისათვის შევიდა ოთახში და სქვამაიას ერთი მომცრო კვერცხივით გამოყვანილი მწვანე ფერის ბროლი გამოუტანა. თვალის წინ დაუტრიალა და სინათლეზე ათასნაირად აბრჭყვიალდა ბროლის გარედან ნაჭდევი ოთხკუთხედები. შემდეგ თვალთან მიიტანა და შიგ გაახედა.

სქვამაიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

— მხოლოდ, — დაარიგა სქვამაია ვამეხმა, — ამაღამ ეკლესიაში ეს კვერცხი არ წაიღო სხვა ბიჭების კვერცხების სატრფიალოდ. ეს მათი მოტყუება იქნება. მოტყუება კი საკადრისი არ არის. მერმე კიდევ რომ შეგამჩნევენ, ხელში სხვა რაღაც გიჭირავს, არავინ დაგირტყამს ნამდვილ კვერცხს. დედა მოგცემს ჩვეულებრივ კვერცხებს. ეგერ ხომ ხედავ, რამდენია, — და ბავშვი აახედა კედლის მაღალ თაროზე, სადაც კარგა ფართო და ღრმა ჯამში მოპირქვავებული იყო წითლად შეღებილი კვერცხები.

სქვამაიამ იცოდა ამ კვერცხების არსებობა — გუშინ, ხარასკევ სალამოთი არ შეღებეს?! — მაგრამ მაინც სიამოვნებით გაიხედა თაროსაკენ. მხოლოდ გააკვირვა კედელზე ჩამოკიდებულმა გატყავებულმა ბატკანმა, გაპუტულმა ინდაურმა და ჯაგარგაცლილმა გაპუტკუნებულმა გოჭმა. ესენი გუშინ აქ არ ეკიდა. საიდან გაჩნდა? სქვამაიამ არ იცოდა, რომ ეს ყველაფერი და კიდევ სხვა რამეებიც, რომელიც გარეთ არა ჩანდა და განჯინაში ინახებოდა, სულ ვამეხის თაოსნობით იყო იოსებ ობოლის სახლდგომოდ დაგროვილი. საერთოდ სქვამაიამ არ იცოდა, თუ საიდან ჩნდებოდა საჭმელ-სასმელი; მართალია, ხან ბევრი, როგორც დღეს, ხან ნაკლები, მაგრამ მათი ასავალ-დასავალისა მაინც არა გაეგებოდა რა, მისი ფიქრით, ეს ასეც

უნდა ყოფილიყო; საუთელ-საჭმელი მუდამ უნდა ყოფილიყო საქვამაია ხომ ჯერ კიდევ ბავშვი იყო.

სქვამაიამ აგრეთვე არ იცოდა, რომ მისი მეზობელი გლეხების სახლშიაც ყველგან სამზადისი იყო, რადგან საღდგომოდ, რაკიდა გაჭირვებულიც უნდა ყოფილიყო ოჯახი, უთუოდ რასმე შემატებულს დაიმზადებდა. მოსახლეობისათვის ღდგომა სხვა ყველა დღესასწაულზე უფრო დიდად იყო მიჩნეული.

ეს არაფერი არ იცოდა სქვამაიამ.

არც ის, რომ მათ ახლო მეზობელ გუდუია ხუბუნაიას ერთი დაკლული თხა ხეზე ჩამოეკიდნა და ბასრი დანით დიდი დაჟვირვებით ატყავებდა, რომ არც ტყავი გაეჭრა და არც ხორცი. გუდუიას იზაბელას ღვინოც საკმაოდ ჰქონდა მომარაგებული, წადული და „გადაბრუნებული“ და თავისებურად ეგეც მზადებული იყო აღდგომისათვის.

მხოლოდ ასე არ იყო მიქეს ოჯახში. იქ ამჟამად მიქეს დედა ლეძაძეს დუქანში ნაყიდი ღორის თავს ხარშავდა, ათიოდე შეღებილი კვერცხიც ჰქონდა შეწყობილი უბრალოდ გაჩლოგნილ გაწკინაში და ერთი კარგა მოზრდილი ბოთლი არაყიც იქვე ჰქონდა ობლად მიყუდებული.

ყველაფერი ამისი რცხვენოდა მიქეს დედას, მაგრამ სოლარიბეს რა ეთქმოდა!

სანუგეშოდ ის ჰქონდა, რომ ბენოიას მეოხებით შვილები შეძმობილი ეყოლებოდა ამ საღდგომოდ და თვითონაც ყვითელ ხამს გამოიცვლიდა და წესიერ შავ სამგლოვიარო კაბას ჩაიცვამდა.

აგერ მისი ჩელა!

— გეწაცვალე! ჩემი კაბაც ჯერ კიდევ გუშინ მოათავა, თავისი ზედაწელიც, თალხი, მაგრამ მაინც უცნაური ყვავილებიანი შეიკერა. ახლა მიქეს სახალუხეს კერავს. რა ჩქარი ხელი აქვს და რა ზუსტი! ამაღამ წირვისათვის უთუოდ მოუსწრებს მიქეს.

ამ ფიქრებში რომ იყო მიქეს დედა, ვილაცამ ჭიშკარში შემოიძახა:

— ეი, მიქე, მიქე ჭითანაა, გამოდი გარეთ!

მიქეს დედამ გარეთ გაიხედა და იცნო, რომ ბაწძი იყო. არ ეამა მისი დანახვა—სასიკეთოდ არ იქნება მოსულიო, მაგ-

რამ მაინც შეეგება. ძახილზე ჩელამაც გამოიხედა. ბანძღი რომ დაინახა, ისევ თავის საქნარს მიუბრუნდა.

ბანძღი კი უკვე წყრებოდა:

— სად არის ის ბიჭი, სად იკარგება? ბიძამის ჭითანაა-თან მუშაობს ხომ აგურჭარხანაში?

— სად მუშაობს, შენი ჭირი შემეყაროს, — მოკრძალებით იძლეოდა პასუხს მიქეს დედა, — განა არ იცი? — ბიჭინას აგურჭარხანა ამ ზამთარში სულ არ მუშაობდა.

— ეგ არ ვიცი მე! ჩემს ფულს გადახდა უნდა თუ არა... ბევრი მაინც იყოს, რაღაცა შვიდი თუმანია. მაგითი არ დამარხე შენი ქმარი?

მიქეს დედა მორჩილებით თავს უქნევდა ბანძღის, რადგან აღებულ ფულზე უარს როგორ იკადრებდა.

ბანძღი უფრო და უფრო რიხიანობდა:

— როგორ დავიჯერო, რომ აქამდე მიქეს ჩემი ვალის კა-დასახდელი არ მოეკვირებინოს. იქ გექნება, იქ სადმე ზან-დუკში ჩინჩში გამოხვეული, ეშმაკი ქალი ხარ. კარგად ვიცი მე.

— მიქე არ მომიკვდეს, ჩემი ორი შვილის სიცოცხლეს ვფიცავ, რომ ჩვენ ბარობაზე სამი მანეთის მეტი არ მოიპო-ვება.

— ჰოდა ის სამი მანეთი მომეცი აქ, სარგებელში წავიღებ. რამდენი ხანია თქვენგან სარგებელიც არ წამიღია.

— დიდუ, იმ სამ მანეთს რაფერ მოგცემ, ფოჩტის ფულად ვინახავ.

— ჰოდა, მე რომ აქამდე სარგებელიც არ ამიღია?

ამ სიტყვებზე ჭიშკართან ზოფლის საპატიო გლეხმა ობიშ-ხიამ ჩამოიარა, შეჩერდა და ბანძღის მიმართა:

— ქვეყანა გაგიძარცვავს და ახლა ამ ქვრივ-ობერს მოს-დექი, შე გაუმაძღარო?

ბანძღი გაბრაზდა:

— ყაძახო! ზრდილობა დაგავიწყდა? ჯერ გამარჯობა უნდა თქვა და მერე ჩაერიო ლაპარაკში, ანდა ვინ გეკითხება შენ ჩემს საქმეს?

— ვინ მეკითხება და აგერ ვერ ვხედავ: ეს თხა რომ წმოგიპროწიალებია, ეს ლამაზი ფარდაგიც რომ მოჯამაგირისაა-ვის

იღლიაში ამოგიჩრია და ქათმებიც რომ აგიღლეტია ხალხისაც.

— აბა როგორ გნებავს, ეს სულ ჩემი ოფლით მონაგარი ფულების სარგებელია. როგორ, მე აღდგომა არ უნდა გავითენო?

— შენ კი გინდა გაითენო, მაგრამ ვისაც წაართვი, იმათ არ უნდათ აღდგომის გათენება, შე ქვეყნის ცოდვით სავსევ?

— ბიჭოს! რა ახირებული კაცი ხარ, ობიშხია! ჩემი ოფლია ამ ფულებში ჩაღვრილი და ახლა თავწში სარგებელი არ უნდა ავიღო?

— ვიცი, რა ოფლიც გაქ ჩაღვრილი!.. იმიც ვიცი, ეს თწა ვისია: უშაფათიდან არის საწყალი წერილვავაში. ეს ფარდაგი კი სოფელ გურძემიდან უნდა იყოს, რაღაცა მენიშნება. ქათმები? ქათმები, ვინ იცის, რომელ გაჭირვებულ ქვრივს და ობერს წაართვი ამ საღდგომოდ შენს ვალსა და ვახშში.

— ენა ნუ წაიგრძელე, უაძახო! ამ ოჯახთან საქმე მაქვს და შენ კი ხელს მიშლი.

— ვაი, არ შემიძლია, თვარა, ხელს შეგიშლი კი არა, მეტსაც გიზამ. წურბელა ხარ, წურბელა, მთელ ამ არემარეს სისხლსა სწოვ.

— დამეკარგე იქით, შე კუბაქო! — ცხენიდან ჩამოხტა, ალვირი ჭიშკრის სარზე ჩამოჰკიდა და თვითონ ოლაგეთი* ეზოში ჩავიდა. დატვირთულ ბიჭს კი დაუბარა — აქ დამიცადეო, და მიქეს სახლისაკენ გასწია შეუპატიჟებლად.

ობიშხიაც გადმოჰყვა ოლაგეს.

— ახლა რა გინდა ამათ რომ წაართვა? რა აბადიათ საწყლებს?

— ის მე კიცი... შენ რას მომდევ? შენ გართმევ რამეს თუ?

— არ მინდა, რომ საზიზღარი რამ ჩაიდინო, მებრალებიან საცოდავები.

— მე კი არ მებრალებიან თუ! მეცოდებიან და იმიტომ ვარი, რომ აქამდი სარგებელი არ გამოვართვი. თორემ გაგიგონია, რომ ბანძის თავნზე სარგებელი არ აელოს. მე ამათი მოკეთე ვარ, ღმერთმა ხომ იცის!

---

* ო ლ ა გ ე — ღობეზე გადასაბოჯებელი ადგილი, პატარა ჭიშკრის მაგიერ.

— აი, იმე ღმერთი შენ გიშველის!

— იმე ღმერთმა გამახაროს მე! შემეძრალა და იმიტომ! იყო, რომ ამ ქვრივს ქმრის დასამარხი ფული ვასესხე.

ამ ლაპარაკით მიადგნენ კიდეც სახლს, მაგრამ მთავარ ოთახში კი არ შევიდა ბანძღი, არამედ ერთ პაწია მოდგმულ ფიცრულში, სადაც კერაზე ცეცხლი ენთო და ზედ ნაჭაჭე ჰა-მოკიდებული პატარა ქარდალით ღორის თავი იბარბეცოდა.

— რა არის ეს? — ჰკითხა ბანძღიმ და, როდესაც იცნო ღორის თავი, ერთი უხეიროდ გაიცინა: — უი, თქვენ დაიღუ-პეთ, თქვენ. ხვალ ევლოგიისათვის ამის მეტი არაფერი არ გაქვთ?

მიქეს დედას სირცხვილისაგან არ იცოდა, რა ექნა, თითქოს მისი ბრალი იყო, რომ მეტი არა ჰქონდა რა. რცხვენოდა უფ-რო მიტომ, რომ ალდგომას მარტო ღორის ხორცის ამბარა ღა-რიბი გლეხის მეტი ვინ იქნებოდა.

— აბა რა გეგონა, ბანძღი! შენსავით წართმეულით და სხვისი ანაღლეტით ექნებოდა ევლოგია გაწყობილი? — შე-ნიშნა ობიშხიამ.

მაგრამ ბანძღის მისთვის ყური არ უგდია, რადგან დიდ ოთახში შესულმა მოსაქნარე ჩელა დაინახა და ერთ ხანს შეა-ჩერდა, შემდეგ ტახტზე ჩამოჯდა და მიქეს დედას მიმართა:

— აბა ახლა რითი მისტუმრებ? ჩემსას არ შეგარჩენ, იცო-დე...

მიქეს დედა თავჩაღუნული ადგა. ჩელა თავის სამუშაოს არ მოშორებია, ობიშხიაც ამხელად მდუმარებდა.

სიჩუმე ისევ ბანძღიმ დაარღვია:

— გახსენი ეგ შენი ზანდუკი, მაჩვენე, რა გიწყვია შიგ?

— რა მიწყვია მე უბედურს: ეკონ-მოკონი* რაღაც...

— გახსენი-მეთქი. — კედელზე შალის ჩოხა და ბაშლაყი დაინახა: — ეს ვისია? მიქესი ხომ? აი მაგას წავიღებ.

— უიმე, ღმერთო მომკალი! მაგას როგორ დაგანებებ, შა-გის მეტი რა აბადია საწყალ მიქეს! — შეიცხადა დედამ.

— კარგი ახლა — მთლად მხეცი კი ნუ გახდები, ბანძღი. არც გაქ კანონით მაგის უფლება. ამდენი ჩვენც გვეხმის. უკა-ნასკნელი ქვეშაგებისა და ერთი ხელი ტან-საბოსის წაღების უფლება არა გაქვს.

* ე კ ო ნ-მ ო კ ო ნ ი — ხარახურა.

ბანძღიმ უხეიროდ გაიღიმა.

— ო-ო, ქვეშაგები! ეს კარგად გამახსენე, ობიშხია! რაა ამდენი ბალიშები რომ გიწყვია? მშვენიერი ბუმბულიც გქონია.

— უი! — თითქმის შეჰკივლა მიქეს დედამ და კედლის კუთხეში ტახტზე აკოკოლავებულ ქვეშაგებს თითქოს გადაეფარა.

— მაშ კარგი! გახსენი ზანდუკი!

— რა დაგემართა, ბანძღი, რა? ჩხრეკავ ამ ხალხს თუ რა? — წარმოთქვა ობიშხიამ.

— აბა როგორ გნებავს! რომ მოვინდომო, მთელ სახლს ავუწერ და ამ ქოხსაც თავის ყველაფრით გავუყიდი. რა გგონიათ თქვენ! გახსენი-მეთქი ზანდუკი!

მიქეს დედა ზლაზვნით მივიდა ზანდუკთან და იმ იყო უნდა გაეღო, რომ ჩელა წამოიმართა, თითქოს რიღაცის სათქმელად და ამ დროს საკერავი იატაკზე დაუვარდა.

ბანძღიმ ხელი დაავლო საკერავს.

— ეს რა არის? რა მშვენიერი საახალუხეა, შეგიკერია კიდეც, გოგონი! შენ შეხედე, რა კარგი მოხელე ყოფილა. აი ამ ახალუხს კი წავიღებ, ჩემ მოჯამაგირეს გავისტუმრებ ამითი... — და უნდოდა თავისკენ გადაეგდო ჩელას ნახელავი, მაგრამ ჩელა უეცრად დასწვდა ახალუხს, ხელიდან გამოგლიჯა ბანძღის და შეჰყვირა:

— არა!

— არ მანებებ? — ცოტა უფრო ლმობიერად მიმართა ბანძღიმ, თან მუშტრის თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა: — როგორ გაზრდილხარ, გოგო? რა დამშვენებულხარ!

წამოდგა. ჩოხა გაისწორა და შემდეგ გამოაცხადა:

— კარგი. მართლა საცოდავები ყოფილხართ, არაფერი გაგაჩნიათ და მეც დღეს არაფერს არ წავიღებ აქედან. მებრალებით. ბზოლოდ, იცოდეთ, ამ აღდგომას დაგაცლით და ნაახალკვირევს კი, თუ ვალი არ გაგისტუმრებიათ, ამ გოგოს წაგიყვან ბეღლზე მოსანსახურებლად.

— არა! — კვლავ შეჰყვირა ჩელამ, მაგრამ ბანძღის მისთვის ყური არ დაუგდია, ისე გასწია ჭიშკრისაკენ. თან გულში ანგარიშობდა: „წელიწადში სამ თუმან-ნახევარს მივცემ, კარგი ჯამაგირია გოგოსთვის, ორი წელიწადი მემსახურება და

ჩვითი მაგათი დავალიანება... აღარც პროცენტი მინდა და აღარც არაფერი... მარჯვე გოგოს კი ჰგავს...“

მხიარულად შეჰხედა ცხენზე. მოსწონდა მისი გადაწყვეტილება.

ობიშხია კი თავს იჭნევდა გულმოსული, მხოლოდ ეს ერთი კი წამოცდა:

— მართალი ყოფილა: ავი კაცი აღდგომასაც ავიაო!

ობიშხია გამოვიდა ეზოდან და შუკაში რამდენიმე ცხენოსანს შეეფეთა. მეგრული ჩვეულებისამებრ ყაბალახი მოიხადა და დაბლა თავი დაუკრა ცხენოსნებს. პირველად ვერც ერთმა ვერ იცნობდა, არც მისი ნაბატონარები იყვნენ, რომ მათ წინ ჭედი მოეხარა, მაგრამ შეხვედრილ მგზავრთან თუ მგზავრებთან თავის დაკვრა სავალდებულოდ მიაჩნდა. მან მხოლოდ თავი დაუკრა, მაგრამ გამარჯობა არ უთქვამს, რადგან ასეთ შემთხვევაში თავის რეპლიკად საპასუხო „გაგიმარჯოსო“ მიაჩნდა. მგზავრებს ყურადღებაც არ მიუქცევიათ და არც გამარჯობა უთქვამთ.

შეიცნო კი, ვინც იყვნენ: სულ რუსულად გამოწყობილი ხალხი და მათ შორის ერთი ჩოხოსანი, ლევარსი კვიზინია. ობიშხია მიხვდა, რომ ეს ის უცხოელები იყვნენ, გვირგვილიანებს მთაში ტყეს რომ ევაჭრებოდნენ.

გაუკვირდა. აკი წავიდნენ, რაღაზე დაბრუნებულანო, ამის პასუხი უნდოდა გაეგო და მისდა ბედად ერთ-ერთ ჩამორჩენილ მხლებელს წააწყდა.

— რა იყო, ნიკოლოზა... გამარჯობა შენი.

— გაგიმარჯოს!

— ცხენი დაგივარდა? ძლივს ადგამს ფეხებს.

— უი, დასწყევლის ღმერთი. რაც მე კლდეში და ღრეში მაბროდიალეს! კი, ჭირას მაძლევენ, მაგრამ რად გინდა? პირდაპირ დამიდგა ცხენი.

და მხლებელის ცხენი მართლაც სულ დადგა. ობიშხიასთან შესვენება, ეტყობოდა, მისთვისაც საამური შეიქნა.

— ეგ რა ამდენი ბარგია, რომ მოგაქ. ამ ტვირთითაც მოგიკლავს ცხენი.

— არა, ობიშხია, არა, ეს ტვირთი მაინცდამაინც მძიმე არ არის. მიწის საზომი იარაღებია რაღაც.

— მერმედა რად უნდოდათ ამ უცხოელებს?

— კაცო, არ იცი, ჩვენ ფალავებში ვიყავით. მათი მამული უნდა დაგვეთვალიერებინა სოფელ ნახუნუუს. დასწყევლოს ღმერთმა, რა საშინელი გზებია. ჩემი ცხენის გადამკიდე მაინც. სულ ოჩნობდა და სულ ვიგვიანებდი. რამდენი საყვედური მომხვდა. ერთი ვოლკოვი ახლავთ იმ უცხოელებს, საშინელი ფიცხი კაცია. იმას ევალებოდა ადგილების გაზომვაც და მადნეულობის გამოცნობაც. ერთხელ შემოსაკრავადაც კი გამოიწია:

— შენ ეს მითხარი, მორიგდნენ ფალავები და ეგენი?

— როგორ არა. ამ ნაალდგომევს უნდა ჩაუთვალონ ფალავებს ფულები.

— კაი დაგემართოს, მაგრამ აქეთ რალაზე დაბრუნდით?

ბევრი პატიჟეს ფალავებმა, ახლა ბანძას წამობრძანდით და ეს დღესასწაულები ჩვენთან გაატარეთო, მაგრამ იმათ დაიჯერეს, უთუოდ უნდა წავიდეთ ბერთემს და გვირგვილიანების მენჯი-რობუ უნდა დავათვალიეროთო.

— მენჯი-რობუ? — შეიკვირვა ობიშხიამ და კიდევ უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს წინა ცხენოსნებმა შორიდან დაიყვირეს: „ნიკოლოზა, უუ!“ ნიკოლოზამაც უპასუხა: „უუ, მოვდივაროო!“ და რის ვაი-ვაგლახით წააჩინდრიკა თავისი ოჩანი.

ობიშხია კარგა ხანს იდგა ჩაფიქრებული და გულში სულ იმეორებდა: „მენჯი-რობუ, ა“?

შემდეგ ნელი ნაბიჯით გასწია შინისაკენ, მაგრამ ამაზე ფიქრი არ შეუწყვეტია:

— მერმედა, მენჯი-რობუ გვირგვილიანებს რომ არ ეკუთვნის? ეს ადგილი ხომ მუდამ ძაძამიების და მოხაშელი მალანიების იყო... საიდან სადაო? თუმცა არა, ჰო! ამ ბოლო ხანებში გვირგვილიანები ეპოტინებიან და კაცი მოდავე არავინა ჰყავთ: არც ძაძამიები იღებენ ხმას და არც მალანიები! დაიცა ღმერთო შენი სამართალი, რა შეუძლია ძალას და გავლენას.

დაეშალა ძველი იარები ობიშხიას.

ის ერთ გონიერ გლეხად ითვლებოდა ბერთემში და ჭკუას აკითხავ კაცად ეგულებოდათ მეზობლებს. იყო ბევრის მომწრე და ბევრის მცოდნეც. იცოდა, რა უსამართლობაც ტრიალებდა საუკუნეობით გლეხების თავზე. იცოდა, რომ ამ უსა-

მართლობას ჯერ უტუ მიჰყაა შეებრძოლა ჭირიანობის დროსა სამეგრელოში და შემდეგ, აგერ ახლა... აგერ ახლა ქვია, 25—30 წლის წინათ... სოფელ საჯიჯავოში იფეთქა გლეხთა აჯანყებამ, მაგრამ რა მერე? ორივე მოძრაობა გლეხების დამარცხებით გათავდა და უსამართლობამ თუ იმატა, თორემ არ მოიკლო.

23

ამ ფიქრებით მიადგა თავის საბლ-კარს ობიშხია და დაინახა, რომ მისი სახლის ლაფაროზე მიჭე და მისი უფროსი ვაჟი თადა მდელოზე დამსხდარიყვნენ და რაღაც გრძელ ქაღალდზე ანაბეჭდ სიტყვებს კითხულობდნენ.

ორივე ჭაბუკი ისე იყო კითხვაში გართული, რომ არც კი გაუგიათ, თუ ობიშხია როგორ წამოადგათ თავზე.

— მაგას რას კითხულობთ, თქვე ავაზაკებო, თქვენ! — ლმობიერად შეუტია ახალგაზრდებს ობიშხიამ.

ახალგაზრდები პირველ ხანად შეკრთნენ, მაგრამ ბოლოს სათნოდ გაუღიმეს მოხუცებულს.

— რა არის-მეთქი, არ გესმით? გამაგებინეთ, რას კითხულობთ?

— რად გინდა, ბაბაია, — უპასუხა თადამ, — შენ ამას მაინც ვერ გაიგებ.

— დია! კაცის დაწერილია ხომ, კაცის მოფიქრებული.... როგორ ვერ გავიგებ.

— ეს თბილისური ამბავია, თბილისელი მუშების, — ახლა მიქემ განუმარტა.

— მერმედა, ბიჭო, მე რა მუქთახორა მნახე, მეც მუშა არა ვარ... მოხანდეს ტყუილა ხომ არ მეძახიან.

— შენ მოხანდე კი ხარ, ბაბა, მაგრამ აქ ქალაქის ჰუმეშზეა ლაპარაკი და ისიც რკინიგზის მუშებზე.

— მერმედა რა უყოთ. თუ რამე კარგია იმათზე დაწერილი, მათ ვაჟკაცობაზე, მათ ერთიმეორის გატანაზე, ეს მეც გულს მომფხანს. წამიკითხეთ, ბიჭებო!

— ობიშხია ბატონო! რად გინდა? სხვა არა იყოს რა, ეს ძველი ამბავია, ამ რამდენიმე წლის წინათ არის მოხდარი. თბილისის რკინიგზის მუშებს შეეხება.

— ეე, მიქე, ვინ გგონივარ, ბიჭო, მე? შენ ფიქრობ ეჲ ამ-

ბები არ ვიცი? უშაფათში არ იყო, ამ რამდენიმე წლის წინათ რომ ჩამოვიდა ასლან ხურცია. ის ხომ თბილისში იყო რკინიგზის მუშად. იმან არ გვიამბო, რომ მუშებმა იბუნტეს თურმე.

— აა, ბაბა, ეგეც არ იცი! კი არ იბუნტეს, გაიფიცნენ.

— ჰო, რაც გინდა დაარქვი, ერთი სიტყვით, გაკრეს პირი და აღარ იმუშავეს. ერთი დღე, ორი დღე, მთელი ერთი კვირა. მთავრობას მოთხოვნილება წარუდგინეს, მაგრამ მთავრობამ ითითქმის არაფერი არ შეუსრულა და დამარცხდნენ.

— წაუკითხოთ, თადა, ეს ერთი ადგილი, — და მიუთითა ერთ-ერთ პროკლამაციაზე მიქემ. თადა დაეთანხმა.

— ამას ჰქვია, ამ ქალალდზე დაბეჭდილს, პროკლამაცია, შატონო ობიშხია, ე. ი. ეს მოწოდებითი ფურცლებია, რომელიც დრო-დრო იბეჭდება საიდუმლოდ გასავრცელებლად, — უხსნიდა მიქე ობიშხიას. — ეს ძველი დაწერილია და თავის დროზე მუშებში გავრცელებული, მაგრამ ახლაც არის გამოსადეგი და ჩამაფიქრებელი.

— შენ წამიკითხე, კი ნუ მიქადაგებ, — ცრტა წყენით წარმოთქვა ობიშხიამ.

— ა ბატონო! — და მიქემ წაუკითხა შემდეგი: — „ასი ათასობით თვალი შემოგყურებთ თქვენ დაძაბული ყურადღებით", — მუშებს ეუბნებიან ამას ხელმძღვანელები, — ახსნა მიქემ და განაგრძო: „გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს თქვენს განმათავისუფლებელ მოძრაობას. თქვენი ძალების სასწაულებრივი ზრდა შიშს ჰგვრის თქვენს მტრებს და ბადებს მათ გულში თქვენდამი უნებლიე პატივისცემას".

„თქვენი ვაჟკაცობა და ერთსულოვნება აღაფრთოვანებს თქვენს მეგობრებს და უკეთესი მომავლის იმედებს უღვივებს მათ.

ტაქტიკა და დისციპლინა, თქვენს ბრძოლაში რომ ჩანს, შურს იწვევს ძალმომრეობის თაყვანისმცემლებში, რომელნიც იძულებულნი არიან თქვენს წინააღმდეგ ამოწვდილი ხმალი ქარქაშში ჩააგონ... არ დაივიწყოთ, რომ თქვენ მარტონი არა ხართ, თქვენს ზურგს უკან იფარება ძალთა მილიონები, რომელნიც მზად არიან გამოგიწოდონ თავიანთი რკინის ხელები..."

— უჰ, შენი ჭირი შემეყაროს! — თითქოს უნებლიეთ წაიცდა ობიშხიას. — მერე? მერე?

— მერე? — თვალებაციმციმებულმა გადახედა მიქემ თავლას, თითქოს ამითი უთხრა, ხომ ხედავ ობიშხიასაც მოვუძებნე მისთვის გულის მოსაფხანი ადგილებიო, და ხელში „ბრძოლის“ № 2-3 დაიჭირა. თან ობიშხიას მოკლედ უთხრა, რომ ეს რევოლუციონერების საიდუმლო გაზეთიაო. დაურთო:

— აი შენ, წელან რომ თქვი, ობიშხია, მუშები დამარცხდნენო, აი ეს გაზეთი რასა წერს ამის გამო: „...მუშებმა მართლა დაჰყარეს იარაღი, თითქოს დამარცხდნენ... მაგრამ ეს დამარცხება ბევრ გამარჯვებას აღემატებოდა თავისი მნიშვნელობით და შედეგებით. ეს დამარცხება ერთნაირი გამარჯვება იყო დამარცხებულთათვის“.

ობიშხიას თვალები გაუფართოვდა:

— რაო, რაო? მოიცა, გენაცვალე, ასე ჩქარა ნუ კითხულობ. კარგად გამაგებინე რას წერენ — ...დამარცხება გამარჯვება იყოვო?

— აი ყური დამიგდე. აქ კიდევ წერია: „ყოველ შემთხვევაში ეს დამარცხება მომასწავებელი იყო გამარჯვების მოახლოებისა. მართლაც და, ჯერ ბრძოლაში გამოუცდელ მუშათაგან მთელი ათი დღე სამკვდრო-სასიცოცხლო ომის ველზე მედგრად დგომა და იქიდან თითქმის უვნებლად გამოსვლა აღარაფრად ჩამოუვარდებოდა ბრწყინვალე გამარჯვებას...“

ობიშხია, ეტყობოდა, სმენად იყო გადაქცეული. გაქვავებულივით იჯდა და თვალები დაწკურული ჰქონდა, რომ უფრო ჩაღრმავებოდა მოსმენილს.

მიქემ კვლავ დაიწყო:

— ეს ახლა სხვა პროკლამაციაა, კიდევ იმ დროისა, ობიშხია, — და ხელში სხვა სიფრიფანა ფურცელი დაიჭირა. — ეს ცოტაოდენი შენც შეგეხება, ჩემო ბიძია! — და აქ ცოტა მზაკვრულად გადახედა. წაუკითხა: — „ზოგიერთი თქვენთაგანი თითქოს სულით დაეცა“. იგულისხმება, ეს მოხდა დამარცხების შემდეგ. ჰო! „ზოგიერთი თქვენთაგანი თითქოს სულით დაეცა და მზად არის წარმოიდგინოს, რომ გაფიცვა წაგებულია“.

ობიშხიამ თვალები გააღო:

— რას მიყურებთ ეგრე ჩაშტერებით, თქვე ბაჭიებო, თქვენ! შენც რომ ორჯერ წამიკითხე: „სულით დაეცა, სულით

დაეცა!“ როგორ, მე თქვენ სულით დაცემული გგონივართ? ვაი ჩემი ცოდვა! მაგრამ შენ წამიკითხე, წამიკითხე კიდევ, კარგი რამე თუ არი.

მიქემ განაგრძო კითხვა:

„ეს არ არის სწორი“, ე. ი. ვისაც ჰგონია, რომ საქმე წაგებულია. „გაფიცვამ ჩვენ ბევრი რამ გვასწავლა. ჩვენ აღვსდექით ჩვენ მჩაგვრელ უუფლებობისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ და ამით დავანახეთ მთავრობას, რომ შეგვიძლია გამოვიდეთ აშკარა ბრძოლაში, რომ ჩვენში იზრდება საკუთარ უფლებათა შეგნება“. მერმე, განა ამით თავდება ყველაფერი? როგორ გგონია, ობიშხია? არა, ამით არ თავდება ყველაფერი. ეს დასაწყისია ბრძოლისა, ეს მხოლოდ გაკვეთილია იმისა, რომ ვისწავლოთ, თუ როგორ უნდა შემდგომში ბრძოლა. აი აქ კიდევ რა წერია: „ძალას ძალა უნდა დავუპირისპიროთ, ჩვენი ძალა კი ერთობაშია და ურთიერთ მხარის დაჭერაში“.

ობიშხიამ შეაწყვეტინა და გულის სიღრმიდან წარმოთქვა:

— აი მართალი, ეს მართალია!

მიქემ კი მოათავა კითხვა:

„ჩვენ უნდა დავირაზმოთ ორგანიზაციულად და ვაწარმოოთ შეუპოვარი ბრძოლა...“

— მართალია, მართალი! — თითქოს დაჟინებით გაიმეორა ობიშხიამ და ჟღალ წვერებზე ხელი ჩამოისვა. შემდეგ წარმოთქვა: — სხვა?

— სხვა? სხვა რაღა გინდა? კარგი, ესეც წავუკითხოთ, თადა.

თადამ უხმოდ აიღო ახლა გაზეთ „ბრძოლის“ № 1 და წაუკითხა ეს ადგილი:

„თვითმპყრობელობის ფიზიკური და ეკონომიური ძალა, შეუსაძლებელია, ბევრს-ეჩვენოს დაუძლეველად და რადგანაც იგი არ ერიდება არავითარ საზიზღარ საშუალებებს ყოველგვარი პროტესტის ჩასაქრობად, ბევრი ძალიან სკეპტიკურად, უნდობლად უყურებს მასთან ბრძოლის ნაყოფიერებას. მაგრამ ფიქრი მასზე, რომ თვითმყრობელობა უძლეველი ძალაა და ის დარჩება სამუდამო ბატონად... შეცდომა იქნებოდა. ეს ეწინააღმდეგება თვით რუსეთის ისტორიულ განვითარებას“. — აქ გაზეთი ჩამოიღო თადამ და მამამისს შეაჩერდა. შემდეგ შეეკითხა. — ახლა ვინ უნდა შეუტიოს, ბაბა, ამ ძლიერ მტერს.

„ბრძოლაში“ წერია სხვა ადგილას, რომ ეს იქნება პროლეტარიატი, დაყრდნობილი სხვა დამხმარე ძალაზე, მთავრობის უკმაყოფილო ფენაზე, ის მიიტანს იერიშს და რუსი ხელმწიფის მაგარი კედელი საფუძვლიანად დაინგრევაო.

— აა, ეგ არა! — თითქოს ახალგაზრდასავით წამოიჭრა ფეხზე ობიშხია, ულვაშებში ჩაიცინა. — ჩვენი ბენოიას თქმისა არ იყოს: შენ მოერევი რუს ხელმწიფეს? თქვენისთანა ბაჭიები? კი ნუ მატყუებთ. მერე კიდევ პროლეტ... არიო, თუ როგორ არი, ის ძლევს თვითმპყრობელობასო! მარტო ისაწი? გლეხობა კი დაგავიწყდათ, დალოცვილებო?

— აქ, ბაბა, — უკვე ხმა აიმაღლაურა თადამ. — ზუსტად ასე წერია. — წაუკითხა: — „სოციალ-დემოკრატია, დამყარებული იმ საზოგადოებრივ დანარჩენ ელემენტებზე“, გესმის, მამაჩემო, ე. ი. პროლეტარიატის გარდა „დანარჩენ ელემენტებზე, რომელთაც სჭყლეტავს აბსოლუტიზმი, დამყარებული მათ პირდაპირ თუ გარეშე დახმარებაზე, მიიტანს იერიშს“ და სხვა, მაშასადამე, ამ დანარჩენებში გლეხობაც იგულისხმება.

— არა, ბიძია, არა. ეგ იმას მაგონებს, ეკლესიაში ჩვენი თუდორე მღვდელი რომ მოიხსენიებს რუსეთის იმპერატორს, როგორც მთელი რუსეთის თვითმპყრობელს და შემდეგ იტყვის: მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლანდიისა. არ გაგიკვირდეთ, სულ გაზეპირებული მაქვს... და შემდეგ დაუმატებს: „და სხვათა და სხვათა“. ერთხელ ვკითხე, რა არის ეს; „სხვათა და სხვათა“-მეთქი და ამიხსნეს, რომ ამაში იგულისხმება მთელი საქართველოო. მაშასადამე, ჩვენი სამეგრელოც, ჩვენი ოდიშიც. „დანარჩენში“ მოგიქცევიათ გლეხობაც და უნდა კარგად იცოდეთ, ბავშვებო, რომ გლეხობა დიდი ძალაა, მხოლოდ ამ ძალას კარგი მოხმარება უნდა, კარგი ხელმძღვანელობა.

— ეგ მართალია, ობიშხია, — ახლა მიქემ ამოიღო ხმა, მაგრამ გლეხობაც არის და გლეხობაც. აი, მაგალითად, ჩვენში ბიჭინა ჭითანაც არის, მე რომ ბიძად მომხვდება და აგურხანა რომ აქვს და ლევარსი კვიზინიაც, გუშინწინ ჩვენს სრფელში ბავშვი რომ მონათლა. ორივე გლეხია, მაგრამ რევოლუციას ისინი არც ერთი არ გამოადგება.

— მე ვაჭრებზე და... — მოიფიქრა, შემდეგ თქვა: — ჩინოვნიკებზე კი არ ვამბობ, ბიჭო, მაგრამ ახლა ეგ სულ ერთია. აი მი თქვიან სოლით დაკიმული გგონივართ. არა, ბიჭებო, ღმერ-

თმა ხომ იცის, მაგრამ მე იმდენი ვნახე, იმდენი განვიცადე, რომ... გული გამიტყდა, თორემ თუ ეს ახალი თაობა იმდენს მმოახერხებს, რომ გააერთიანებს და დარაზმავს მთელს ჩვენს საახელმწიფოში ქალაქისა და სოფლის მუშებს, უსამართლოდ დდაჩაგრულსა და შევიწროვებულებს. ჰო, თუ რუსეთთან ურჩონიებს მჭიდრო კავშირს. მე ვიცი, რუსეთი დიდი და მძლავრი ქვეყანაა. ჰოდა, თუ რუსეთის მშრომელებთან ერთად იქნებით, მაშინ, მერწმუნეთ, თქვენი ბებერი ობიშხია დროშით ხელში წინ წაგიძღვებათ.

— ჰა, ჰა, შენ გენაცვალე, მამაჩემო!

— ჩვენ, ობიშხია, ჯერ არა ვართ სრული წევრები, მაგრამ იმ პარტიას თანავუგრძნობთ და მისთვის ვმუშაობთ, რომელიც რუსეთის მოწინავე მუშებთან არის დაკავშირებული.

— ჰოდა, აგაშენოთ! მხოლოდ, შვილებო, დიდი სიფრთხილე გმართებთ... აი რაა, რომ ასე ფართოდ გაგიშლიათ ეგ საიდუმლო ფურცლები! კიდევ კარგი, რომ მარტო მე მოგეპარეთ. სხვა ვინმე რომ წამოგადგეთ თავზე? როგორ იქნება? წაიკითხეთ და დაახვიეთ, სადმე ძალიან შეუმჩნეველ ადგილას შეინახეთ. ნურსადაც ნურაფერს ახალი თაობის შესახებ ნუ ლაპარაკობთ. აქ, ჩვენში, ფარნა ბჟალაასთან თუ შეიძლება განდრობა, თორემ სხვა არ ვიცი. ვამეხი და ტაია ჰო, მაგრამ რა ექნა! ამ კნიაზების იმედი საერთოდ თავის დღეში არ მქონია. ცხადია, მძვინვარე სისხლისაგან და მისი ავანჩავანებისაგან, რა გინდა გული აირ გადაგიშალონ, შორს იქნებით, აგრეთვე ნექტარინას დოხტორეს ხალხთან. იქ ათასი ვინმე ირევა, ვინ იცის, ვინ რა არის.

— იმ დოხტორეში, ობიშხია, შენს შვილს ერთი ვინმე თავს ეკრჩევნია, — ლაპარაკში შეეჭრა მიქე ობიშხიას.

ობიშხიამ შუბლი მოიღუშა, იკითხა:

— ვინ არის?

თადამაც ხელი ჩამოჰკრა მიქეს — არ გამამხილოვო, მაგრამ მიქემ მაინც გასცა:

— დესი, ქარჩავას ქკრივი, — ეს მიქეს შეიძლება იმიტომაც მოუვიდა, რომ როგორღაც არ მოსწონდა თადას გატაცება. და მამამისს გაუმხილა. მამის დიდი ხათრი აქვს თადას და შეეძლება ამან გასჭრასო. მართლაც, ობიშხია მეტისმეტად აღელვებისთა. პირდაპირ იყვირა:

— აჰ, ის კახპა, ქვეყნის ნათრევი. მეტი არ გავიგონო მისი სახელი!

— არა, ბაბა, ეგ თვითონ მიქეს მოსწონს და მე უნდა გადმომაბრალოს.

— სულ ერთია, ჩემ მტერს არ ვუსურვებ იმის ოჯახში შემოყვანას. აი ვინ არის, რომ სულ გაგცემთ და გაგანადგურებთ. ჰო, რას ვამბობდი? ახლა იმ მედილიჟნე გუსართან... ხომ იმან მოგიტანათ ეს ფურცლები და იმას დააქვს თქვენთან ამბები. განა არ ვიცი.

— ის, მამაჩემო, ძალიან ერთგული კაცია ჩვენი საქმისა.

— რა ვიცი, შეიძლება აგრეც იყოს, მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ ასტკივა. აბა, ახლა კი აბარგდით თქვენი ბარგი-ბარხანით, ჩვენს ჭიშკარს ვიღაც უცნობები მოადგნენ.

ბიჭებმა ფურცულ-ფურცლით აკრიფეს თავიანთი ლიტერატურა და სახლში შევიდნენ.

ობიშხია კი მომსვლელებს ცოტაზე შეეგება.

აღმოჩნდა, რომ ერთი მისი მეგობარი, თბილისში რკინიგზის მუშად ნამყოფი ასლან ხურცია იყო და მეორეც, ხურციასთან თბილისში დამეგობრებული, პეტრე ბატიჩკო, ბატიჩკო ნასალდათარი იყო, მაგრამ ახლაც ეცვა ჯარისკაცის ფორმა. სამსახურის ყავლი გასვლოდა და თავის მშობელ მხარეს, უკრაინას მიეშურებოდა, მხოლოდ უშაფათში იმიტომ გამოეკლო, რომ ასლანს დაპირებოდა, გესტუმრებიო.

ასლანის და ბატიჩკოს მეგობრობა განმტკიცდა ერთი რუსი მუშის, რკინიგზელ ფეოდოროვის სახლში, რომელიც რკინიგზის სახარატოში მუშაობდა ძველი, გამობრძმედილი რევოლუციონერის ალილუევის მეთაურობით. ამ ფეოდოროვის სახლში ხშირად ფარულად იკრიბებოდნენ რკინიგზელები და მათ შორის ზოგიერთი რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცი. თუმცა პირველ ხანებში მათ იმდენად კრებები არ ეზიდავდა, რამდენადაც მასპინძლის, ფეოდოროვის ქალიშვილი, მოხდენილი მარუსია. ფეოდოროვის ოჯახი გულღია და შეძლებისამებრ პურმარილიანი ოჯახი იყო და პირველ ხანებში რკინიგზელებს და ჯარისკაცებს ისე ღებულობდნენ, როგორც უბრალო, რიგით სტუმრებს მუშების წრეში. პირველ ხანებში სხდომებზე ჯარისკაცებს არც კი უშვებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც წრის ხელმძღვანელი ალილუევი დარწმუნდა, რომ ამ ჯარის-

კაცთა ნდობა შეიძლებოდა, მაშინ, პირიქით, ძალიანაც დაიახლოვეს და ჯარში პროპაგანდისტებად შეამზადეს კიდეც. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბეჯითობითა და გულისყურით პეტრე ბატიჩკო, და იგი ფეოდოროვის ოჯახის საყვარელი წევრიც გახდა, რადგან სხვა კავალრებს აჯობა პეტრემ და მარუსიას საქმროდ იქნა აღიარებული. ახლა კი მიდიოდა თავის ქვეყანაში, რომ იქაური რევოლუციური მოძრაობის ამბები უფრო სწორად გაეგო — ეს საჭირო იყო მათი წრისათვის, თან მშობლების ლოცვა-კურთხევა მიეღო და დაბრუნებისთანავე ჯვარი დაეწერა. ამის შემდეგ აპირებდა თბილისში დარჩენას და ისიც რიკინგზის სახარატოში ლამობდა შესვლას.

ეს ყველაფერი ასლანისაგან რომ გაიგო ობიშხიამ, მიჭესა და თადას გამოუძახა და გააცნო სტუმრებს. ობიშხია ასლანს ხომ ენდობოდა, მაგრამ ამ რუს სალდათსაც როგორღაც გული დაანდო და თბილისის მუშებისა და უკრაინელი გლეხების ამბავი გამოჰკითხა.

ბატიჩკო ქართულს ცოტა ჩიქორთულად ლაპარაკობდა, მაგრამ ზოგი ასლანის დახმარებითა და ზოგი თვითონაც, იქ მყოფთ გააგებინა თბილისის რკინიგზის დეპოს გაფიცვების ამბები, განსაკუთრებით დიდი სიყვარულით მოიხსენია მათი წრის ხელმძღვანელი ალილუევი და ისიც, რომ მის ქვეყანაში 1902 წლის გაზაფხულზე და ზაფხულს პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიებში გაიშალა გლეხთა მოძრაობა. გლეხები ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა სახლ-კარს, ხელთ იგდებდნენ მემამულეთა მიწებს, ხოცავდნენ მათთვის საძულველ პოლიციის წარმომადგენლებს და მემამულეებს და, მართალია, მთავრობა მათ აპატიმრებდა, შორეულ ციმბირში ასახლებდა, მაგრამ გლეხთა მოძრაობა მაინც არ შეწყვეტილა.

— თქვენ კი აქ რაღას უყურებთ? — თავისი ამბავი რომ მოათავა, შემდეგ გამომწვევად შეეკითხა იქ მყოფთ ბატიჩკო და უფრო ახალგაზრდებს მიაჩერდა. — რამდენადაც გადმომცეს აქ, ამაზე ჩამი-ჩუმი არ არის.

თადას თითქოს შერცხვა და უპასუხა:

— როგორ არ არის! აგერ გურიაში, ამბობენ, თბილისის გუბერნიაშიც წამოიქოჩრა ხალხიო, ზემო იმერეთშიაც დიდი მოძრაობაა.

— ეგ კარგია, მაგრამ თქვენ, თქვენ აქ რას უყურებთ? მოელით ვინმეს? ვინმემ უნდა გიბრძანოთ, თუ როგორ არის თქვენი საქმე? — საყვედურობდა იქ მყოფთ ბატიჩკო.

სირცხვილისაგან დუმდნენ ახალგაზრდები. ობიშხიამ კი ხმა ამოიღო:

— ამ ახალგაზრდებს თუ უყურებთ, ჩემო ბიძია, ეგენი ბაჭიები არიან და ჩვენ, უფროსები, კი... ერთი მეზობელი მყავს,, გუდუია, კურდღლებს გვეძახის.

ამ შედარებებმა გააცინა ბატიჩკო, მაგრამ შემდეგ ხუმრობაშერეულად მაინც ასე მიმართა:

— კურდღლები და ბაჭიები კი არა, მგლები უნდა იყოთ,, მგლები! დაუზოგავი და დაუნდობელი. მტერი არ უნდა დაინდოთ, — და ბატიჩკომ წამოიწია წასასვლელად, — ახალ სეწაკში მატარებელს უნდა ჩავუსწრო, მაგვიანდება.

ობიშხია და ახალგაზრდები ბევრს ეხვეწნენ მას და ხურციას, რომ ამაღამ იქ დარჩენილიყვნენ, აღდგომა მათთან გაეთენებინათ, მაგრამ ხურციას თავის ოჯახში უნდოდა სადღესასწაულოდ დაბრუნება, აქ მხოლოდ გზად გამოატარა სტუმარი თავის მეგობარ ობიშხიასთან, ახლა კი ნაქალაქევამდე მიჰყვება, იქ სენაკისკენ მიმავალ ფაიტონში ჩასვამს და თვითონ შინ დაბრუნდება.

ბატიჩკომ არ ისურვა დარჩენა იმიტომ, რომ, ჯერ ერთო, ჩქარობდა, მერე კიდევ, აღდგომის დღესასწაული არცთუ ისე სწამდა და საერთოდ დღესასწაულზე ისა თქვა, რომ მალე პირველი მაისი იქნება და ამ მშვენიერ დღეს სწორედ ჩემს ქვეყანაში გავატარებო.

ამ საუბრის შემდეგ ცოტაზე გააცილეს სტუმრები და უკან დაბრუნებული მიქე და მამა-შვილი დიდხანს ბაასობდნენ გლეხთა მოძრაობაზე საერთოდ.

ობიშხია მაინც ფრთხილობდა, ახალგაზრდები კი მზად იყვნენ თავი მოებათ ახლობელ სოფლებში გლეხთა გამოსვლებისათვის, მაგრამ არ იცოდნენ, საიდან და როგორ დაეწყოთ. მაინცდამაინც ობიშხიას არ უთხრეს, მაგრამ ორთავენი მოელოდნენ ტაიას მითითებებს.

უცხოელები და ლევარსი კვიზინია რომ დაბრუნდნენ ნექტარინასას, მათ ამდგარი მხოლოდ ბეგი, გუტატი და რიაბინინა დაუხვდათ. დიდი ქალბატონები კი ისვენებდნენ, არც დაგმძარა იყო სასტუმროდ გამოწყობილი. თოლისჭვამი ხომ თავის ბუნებას დამორჩილებოდა, მაგრამ თავისი მომავლით მაინც გზაგაუგნებელი, თუ ნექტარინა არ უბრძანებდა, მაინც მარტოდ იყო.

სხვა დანარჩენი ქალები კი სასახლეში ძილხანის მეთაურობით საჩქარო საკერავებს უსხდნენ, რომ ამაღამდელი წირვისათვის მოესწროთ ზოგის მთლიანი საკაბე, ზოგის ზედაწელი, ზოგისათვისაც ახალუხი. ვაჟები ბოთლებს რეცხდნენ, ჭურჭელს ასუფთავებდნენ.

სამზარეულოში ხომ დიდი ამბავი ხდებოდა უფროსი მზარეულის მეთაურობით: ზოგი ხარშავდა, ზოგი სწვავდა, ხრაკავდა, შიგნეულით ტენიდა საქონლის ბეჭსა და თეძოებს. ზოგი ასაცივებდა, უწვნოს აკეთებდა, ზოგიც სულგუნებს ამზადებდა, ყველს წნიდა ქალის თმებივით, ზოგიც აცხობდა თორნეში ორიგინალურ პურის გომიჯებსა და ლავაშებს, დიდ ქვაცზე — ჭვიშტარებს, პატარა „ჩაჩამუტებზე“ — ხაჭაპურებს. ეს ყველაფერი იმიტომ კეთდებოდა საჩქაროდ და გულმოდგინედ, რომ დღევანდელ საღამოს შემდეგ მთელი დღე კერა, თუ არ განსაკუთრებულ შემთხვევაში, არ უნდა გახურებულიყო და ოჯახში არ უნდა შეეწვათ, მოეხარშათ თუ გამოეცხოთ. ასეთი იყო წესი. ალდგომის სუფრა შაბათ ღამით რომ გაიწყობოდა, ნაალდგომევის სამშაბათ საღამომდე არ უნდა ალაგებულიყო.

ასე იყო, რაღა თქმა უნდა, ასე თუ ისე შეძლებულ ოჯახებში, თორემ, ცხადია, მიქეს ოჯახი ამას ვერ შეძლებდა.

სტუმრებს ბარონესას მიერ დარბაზში გამართული „კარავი“ ძალიან მოეწონათ და უქეს გემოვნება, შემდეგ, საუზმეზე უადრი თქვეს. ნამგზავრზე დასვენება მოისურვეს, მხოლოდ გოლკოვმა ცალკე ოთახი მოითხოვა. მან იცოდა, რომ ნექტარინას სახლს თორმეტი ოთახი ჰქონდა. მას არ შეეძლო ოთახში სხვებთან ერთად ყოფნა, ღამით არ მაძინებენო, ჩიოდა, და, რასაკვირველია, ეს სურვილი შეუსრულეს. გოგოები მოთი-

ლელები იყვნენ, ამიტომ კესარიამ თავი გამოიდო და თავისი ხელით გაწმინდა და გაასუფთავა ვოლკოვისთვის მიჩენილი ოთახი, ქვეშაგებიც თვითონ დაუგო. და როდესაც მოსასვენებლად მიწვა ვოლკოვი, ოთახში მარტონი დარჩნენ. კესარიამ წასასვლელად გაიწია, მაგრამ ვოლკოვმა წელზე ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა. კესარიამ საყველპურო რუსული იცოდა, გამოელაპარაკა. კესარიას ვოლკოვი პირველი ნაზვისთანავე მოეწონა და ვოლკოვს არ გასჭირვებია, რომ ამ წუთას თუ არა, როდესაც ჯერ კიდევ დღე იყო და სასახლეშიაც ფუსფუსებდნენ, კესარიასთან მხოლოდ სამემრისოდ შეეთანხმებინა პაემანი. ასე რომ, რუსთაველისა არ იყოს: „შეყრა იყო პირიანი, ორთავესი იყო ნება“.

უცხოელებმა ბეგისა და გუტატის აუხსნეს, რომ ისინი ახლა მხოლოდ მენჯი-რობუს დასათვალიერებლად დაბრუნდებიან და ეს დათვალიერება რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს., მაგრამ ბეგიმ და გუტატიმ თავიანთი მხრით განუმარტეს, რომ ამ საქმის მოგვარება ამ სამ დღეში დღესასწაულის გამო შეუძლებელი იყო, რის გამოც შეწუხდნენ უცხოელები: ბანძას ვარო წასასვლელი, ფალავებთან ხელშეკრულების დასადებად, შემდეგ ქუთაისს თქვენი საქმე უნდა მოვათავოთ, ბოლოს შინ, საზღვარგარეთ ხომ უნდა დავბრუნდეთ და გვეჩქარებაო, მაგრამ მასპინძლებმა მაინც სამი დღე დადეს ვადად, მაშინ იმ უცხოელმა, რომელსაც ცოტაოდნად მაინც ესმოდა რუსული, მაგრამ თვითონ არ ლაპარაკობდა, მოინდომა დღესვე მარტო კაეშვათ მენჯი-რობუზე და ერთი ვინმე მიეცათ გზის მაჩვენებლად. ამაზე დაეთანხმა ბეგი და თვითონ მოინდომა გაყოლა.

ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც მოსულები დალაგდნენ, ბეგი, უცხოელი და უცხოელების მხლებელი ნიკოლოზა ცხენებით გაუდგნენ გზას მენჯი-რობუსკენ, სანამდინაც ოთხი-ხუთი კილომეტრი მაინც იყო გასავლელი.

მივიდნენ თუ არა დანიშნულ ალაგას, ნიკოლოზამ ბეგიზე უფრო იცოდა დაზუსტებით მენჯი-რობუს საზღვრები და უცხოელი სულ ირგვლივ შემოატარა ქვეითად. ასე მოისურვა უცხოელმა. ზოგ ადგილას გაუჭირდათ გავლა, რადგან ერთ მხარეზე, ტყის პირას ბევრი იყო ეკალბურდი და ჯაგნარი, მავრამ, როგორც იყო, მენჯი-რობუ მაინც მთლიანად შემოიარეს.

ეს იყო ზღვის დონიდან 800 მეტრით მაღლა მდებარე გო-

რა, რომლის ფერდობიც სამხრეთ-დასავლეთით სრულიად მოტიტვლებული იყო და ახლაც, გაზაფხულზე, არავითარი მცენარე იქ არ ხარობდა, გარდა გვიმრისა, გვიმრა კი, სოფლელების აზრით, მხოლოდ მთის, ეწერ ადგილზე მოდიოდა. საერთოდ ნიადაგს მოთეთრო ფერი დაჰკრავდა და ხელის შეხებისას მიწა იფშვნებრდა. თვითონ ფერდობი კონუსისებურად იყო აწოწილი და ზემოთ, პაწია მოედანზე, გვიმრებს შუა ფართო ღრუსავით იყო ადგილი ამოღრუტნული.

ამ ადგილს დიდად დაუკვირდა უცხოელი, თავისი ჯოხის შუბივით წაწვეტილი რკინის წვერიც ჩაჰკრა, მაგრამ დიდზე არ წავიდა, შემდეგ კი ქვევით ჩამოვიდა და რამდენიმე რიყის ქვას წააწყდა. ჯოხს მეორე მხრით, რომელსაც ხელის დასაყრდნობად ხმარობდა, ბეგიმ შენიშნა, რომ მომცრო წერაქვისებური ლითონი ეცო თავზე და ამ მეორე მხარის წერაქვით გატეხა რიყის ქვა უცხოელმა. ქვას ჟანგის გული აღმოაჩნდა.

— Kapaco! — წარმოთქვა უცხოელმა და ღიმილით ბეგის შეხედა. ბეგი მიხვდა, რომ უცხოელის „კარასო“ რუსულ „ხარაშო-ს“ მაგიერი იყო.

უცხოელმა კიდევ უფრო ჩამოივაკა და რაც ქვა შეხვდა, სულ დატეხა და ყველგან შუაგულ ჟანგის ფერი აღმოაჩინა, თან ღიმილით ბეგის შესცქეროდა. ერთხელ მისგან გაპობილი ქვაც მიაწოდა და, ეტყობოდა, უნდოდა აეხსნა, თუ რას წარმოადგენდა ეს ჟანგიანი ქვა. ბევრი იწვალა, ჩაბდა, ვერ მოიგონა და შემდეგ თავისი ჯოხის წვეტიან წვერზე მიუთითა. ბეგი მიუხვდა, შეეკითხა:

— Железо?

— ჟა-ჟა! ჟელეზო!..

მენჯი-რობუს ერთ მხრით, ტყის განაპირად, ჩრდილოეთით პატარა მდინარეც ჩამოუდიოდა. უცხოელი ჩახტა ღელეში, მოსინჯა ადგილები. ერთგან სულ ჟანგისფრად იყო მდინარის კიდე შეღებილი მენჯი-რობუს მხრისაკენ და იქ პატარა რაღაც წყაროსავით გამოწანწკარებდა. დაუკვირდა, პეშვით აიღო ამ წყაროს წყალი, დასუნა, ერთი ყლაპი პირშიც ჩაიგუბა, შემდეგ გამოასხა და ბოლოს თავისი დაჟინებული სიტყვა: „კარასო“ გაიმეორა, თან, ჩვეულებისამებრ, ბეგის შესცინა.

ამ დათვალიერებით იმ დღეს დაკმაყოფილდა უცხოელი, მხოლოდ ნიკოლოზამ შეამჩნია, რომ ჟანგიანი პატარა ქვის ნა-

ტეხი ჩაიდო ჯიბეში და კიდევ ერთი რაღაც, რასაც კარგა თვალი ვერ მოატანა, მხოლოდ ეს არ გაკვირვებია, რადგანაც იმ დროის განმავლობაში, რაც ამ უცხოელებს ახლდა, ყველგან ასე ბოჭდნენ სხვადასხვანაირ ქვებს.

უცხოელი ვი ბეგის გზაში ეუბნებოდა: „ჟელეზო... კარასო... მალო, მალო!“

ამას ნიკოლოზაც მიწვდა: რკინა ყოფილა, მაგრამ ცოტაო.

— წყალზე რატომ არ ჰკითხავ, ბატონიშვილო! რა წყალია ვითომ, ხომ დასუნა, ხომ პირშიაც ჩაიგუბა.

— მაგდენი რუსული არ იცის მაგ ეხერმა, — უპასუხა ბეგიმ, — აი, მივალთ და იქ აგვიხსნიან.

25

ბეგი და უცხოელი რომ დაბრუნდნენ, ბეგიმ რიაბინინას დაუწყო ძებნა. მონახა.

ბეგის უკვე გულში ამოჭრილი ჰქონდა, რომ ნექტარინას წინადადება განეხორციელებინა და რიაბინინა ცოლად ეთხოვა, მაგრამ, ჯერ ერთი, ამ სადღესასწაულო სამზადისში დრო ვერ ეპოვა, რომ განმარტოებით მარინასთან გულდაგულ მოელაპარაკნა და, მეორე, არც კი იცოდა, საიდან დაეწყო, როგორ გაეზიარებინა მისი გულისნადები. ბეგი არ იყო მაინცდამაინც მორიდებული კაცი, განსაკუთრებით ქალებთან, მაგრამ აქ კი როგორღაც ვერ გაებედნა — პირდაპირი წინადადებით ვაითუ საქმე სულ წავახდინოო, და საგონებელს იყო მიცემული. ნექტარინას აზრი კი — მე გასწავლი, მარინას როგორ მოექცეო, ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაგებული.

მარინა ჩვეულებრივი ხალისით დაუხვდა და მაშინვე იმაზე ჩამოუგდო ლაპარაკი, თუ უცხოელებზე როგორი შთაბეჭდილება დატოვა ადგილის დათვალიერებამო. თან სეირნობა გააგრძო და ბეგიც აჰყვა.

ბეგიმ უამბო, როგორც იყო საქმე. რომ უცხოელი სულ „კარასო, კარასოს“ გაიძახოდა, მაგრამ შემდეგ, ეტყობა, დაიწუნა, რადგანაც ცოტა არისო განაცხადა.

უცხოელებისათვის მიჩენილი ოთახის ფანჯარა იმ აივანზე გადიოდა, სადაც ამჟამად მარინა და ბეგი სეირნობდნენ. ფანჯარა გაღებული იყო და მკაფიოდ მოისმოდა უცხოელების

ფრანგული ლაპარაკი. მარინა და ბეგიც ამ გაღებული ფანჯრის ახლომახლო სეირნობდნენ.

„რადიუმი!“ უეცრად მოესმა რიაბინინას, შედგა, ყურები სცქვიტა, გაღებული ფანჯრისაკენ ფეხი არ გადადგა, ისე მიაყურა. შემდეგ უეცრად ბეგის მკლავი მკლავში გაუყარა და უკან მიაბრუნა. ცოტა რომ გაიარეს, უთხრა:

— იცით, რაზე ლაპარაკობენ ჩვენი სტუმრები? თქვენ მთასა და იმ ადგილზე, ახლა რომ ინახულეთ... მთა ხომ ნახული აქვთ?

— როგორ არა. არ გახსოვთ? როგორც კი ჩამოვიდნენ, მაშინვე არ გასწიეს მის სანახავად? თქვენც ხომ იქ იყავით მაშინ...

— ჰო, დიახ, დიახ... როგორ დამავიწყდა! — რიაბინინა რაღაცაზე ფიქრობდა და თითქოს ფიქრში წარმოთქვა: — მაშ ეს რადიუმი! უთუოდ, ამ თქვენს ადგილს შეეხება.

— რა შეეხება, რას ამბობთ, კარგა ვერ გავიგე, მარინა ივანოვნა?

— ეგენი ეშმაკები არიან კნიაზ ბეგლარ! — ღიმილით თქვა მარინამ. — იცით კი თქვენ რა არის რადიუმი?

— არა, არ ვიცი.

— ო-ო, ეს მეტად იშვიათი და მეტად გამოსადეგი რამ ნივთიერებაა. მე არ ვიცი, მაგათი ნათქვამიდან ყველაფერი ვერ გავიგონე. მაგრამ, მე მგონია, რომ თქვენს მამულში მაგათ რადიუმი თუ არა, მისი ნიშნები მაინც უნდა ჰქონდეთ აღმოჩენილი და მე მგონია, რომ ეს ნიშნები დღეს თქვენ მიერ დათვალიერებულ ალაგას არის.

— აჰა! — გაეხარდა ბეგის. — მაშასადამე, თქვენ გინდათ მითხრათ, რომ ასეთი ძვირფასი ადგილი ჩალის ფასად არ დავთმოთ, არა?

— დიახ, დიახ... მხოლოდ იცოდეთ, დანამდვილებით მე ვერაფერს ვერ გეტყვით. მე სრულად არ გამიგონია მათი ნალაპარაკევი, მაინცდამაინც შეეკითხეთ ბატონ ვამეხს. ის დაკვირვებული და გამოცდილი კაცია. ესენი, როგორც ვთქვი, ეშმაკები არიან და მოინდომებენ, რომ მეტად ძვირფასი რამ დაგიფოლონ, მაგრამ არ უნდა მოტყუვდეთ.

— დიდად გმადლობთ გაფრთხილებისათვის, მარინა ივა-

ნოვნა! — ამ სიტყვებთან ერთად დაიხარა ბეგი და რიაბინინას ხელი დიდხანს არ მოუშორებია ტუჩებიდან.

— რატომ მემადლიერებით? მე ისე მიგეჩვიეთ თქვენ ყველას, რომ ჩემი თავი თქვენი ოჯახის წევრად მიმაჩნია.

— ნეტავი მართლა! — წამოიცდა ბეგის და იგრძნო, რომ ეს კარგი დასაწყისი იყო. ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ბეგისთვის სასურველი წინადადება, მაგრამ რიაბინინამ სრულიად გულუბრყვილოდ შეაგება:

— მართლა, მართლა! — ეტყობა, ბეგის ფრაზას არ ჩაუკვირდა ჭკუამახვილი გოგონა, თუმცა ორმაგული კითხვა მაინც მისცა ბეგის:

— აი ახლა თქვენ ამათგან, — თავი გადაიქნია უცხოელთა ფანჯრისაკენ, — ბევრ... ბევრ ფულს რომ აიღებთ, — ამ „ბევრზე“ კი ერთი ჩაიხითხითა, — მაშინ რუსეთისაკენ არ გამოისეირნებთ?

— ო-ო, აუცილებლად! — შეაგება ბეგიმ. — დიდი ხანია მოსკოვი მინდა ვნახო.

რიაბინინამ ყური ცქვიტა:

— მოსკოვი? რატომ?

ბეგიმ შეამჩნია, რომ იმას არ ამბობდა, რაც უნდა ეთქვა, მაგრამ მაინც განაგრძო:

— იმიტომ, რომ მოსკოვი ნამდვილ რუსულ ქალაქად მიმაჩნია. — ეს ერთ დროს ვამეხისაგან ჰქონდა გაგონილი და იფიქრა, ჭკვიანი კაცის ნათქვამი ჩემს სიტყვებს აჯობებსო და ამას გაჰყვა.

მაგრამ ამაზე კი რიაბინინამ გულიანად გადაიკისკისა:

— მიგიხვდით, თავადო ბეგლარ! მოსკოვი. იქაური მზითვიანი ქალი გინდათ შეირთოთ.

— არა, არა, მაგისთვის არ მომიხსენებია.

— რატომ, რატომ? — თითქოს გულდაწყვეტით და თან მზაკვრულად ჭილიკობდა რიაბინინა. — მოსკოველ ვაჭრის ქალებს უყვართ თავადებზე გათხოვება, თან ქართველებიც ძალიან მოსწონთ, თქვენ, თქვენ, — ერთი ახედ-დახედა, — თქვენ მოსკოვში უთუოდ გაიმარჯვებთ! — და თვალები „დედა-მოვა-სკენ გაუშტერდა.

ბეგის უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ დაინახა, რომ აივანზე ნექტარინა გამოვიდა, და სიჩუმე არჩია.

რიაბინინას დღეს არ ენახა ნექტარინა და მიწალმებიწავ თვის მივიდა და მკერდზე ეამბორა ადგილობრივი ჩვეულების თანახმად. ასეთ გარეგნულ რამეს უკვე ითვისებდა რიაბინინა. ნექტარინამაც თავზე აკოცა და შემდეგ ორთავეს გამომცდელი თვალი გადაავლო, თან თითქოს არაფერიაო, ბეგის შეეკითხა:

— რა ქენით, დაათვალიერეთ მენჯი-რობუ?

— დიახ, დავათვალიერეთ და... ბევრი არაფერი.

— მენჯი-რობუს დიდი იმედი მე მაინცდამაინც არც მქონია... გეთაყვა, მარინა! ბარონესა ახლა ამდგარი იქნება, სთხოვე, რომ ჩემთან მოვიდეს.

მარინა მყისვე გაეშურა.

ნექტარინა კი მოუთმენლად შეეკითხა ბეგის:

— რა ქენი? საქმე გამოაწყვე?

— ჯერ კიდევ ვერა, ბატონო!

— უჰ, რა ყოფილხარ, კაცო! ამ ჩვენი გლეხის გოგოებში და ქვრივებში, — ქვრივების ხსენებაზე თვალები ეშმაკურად გაასრიალა ნექტარინამ, — იმათში ძალიან დაშტრიალობ!

— რას ბრძანებ, შენი ჭირიმე! სად გლეხის გომბიოები და სად ეგ მაღალი წრის ქალი!

— მაღალი წრის ქალი, თორემ, მე შენ გეტყვი, ჯერ არავინ ჰყვარებია!

— კარგი. თუნდა აგრე იყოს, მე რა უნდა ვქნა. ვცდილობ მოველაპარაკო.

— ოჰ, შენ რომ დაწყობილი ლაპარაკი იცი? მაინც ეს რა უენო ხალხი ხართ ყველა გვირგვილიანი ვამეხისა და საცოდავი არჩილის გარდა. ო-ო, ჩემი არჩილი. ჩემი. შინაობაში ნექტარინა არცთუ ძალიან მალავდა, რომ მისი მაზლი არჩილი შართლა მისი იყო, — რა დარბაისელი იყო, რა საუბარი იცოდა, ან რა ვაჟკაცი იყო.

ბეგის გულში გაეცინა და უნდოდა ეკითხა: „გუტატი ჯობდა, ბატონო“? მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ ჰკადრა უფროს რძალს, მხოლოდ კი უთხრა:

— არჩილის ქება, ბატონო, ვის არ გაუგონია, მაგრამ მე რას მირჩევ?

— ამას რა რჩევა უნდა, ბიჭო, ამაზე ადვილი მისახვედრი

რა არის? დაიბარტოხელე ეს რუსი გოგო, როგორმე აუხსენი სიყვარული, მორჩა და გათავდა...

ბეგის ულვაშებში ჩაეცინა:

— ეგ ადვილი საქმეა, ბატონო, რაკი შენც მირჩევ, გავაკეთებ, მგონი საქმე უფრო რომ წავახდინო? სხვა რომ არაფერი, თავის სახლში პეტერბურგს გაიქცევა, ბატონო.

— გაიქცევა კი არა, მერწმუნე, სულ კისერზე ჩამოგეკიდება.

— კარგი, ბატონო, და თუ რამე სკანდალი გამოვიდეს, შენ იქნები პასუხისმგებელი.

— კარგი, კარგი! — გაიცინა ნექტარინამ. — შე გაუბედავო რაინდო, შენ!

ამასობაში უკანა აივანზე ლევარსი და გუტატი იყვნენ ერთ ამბავში: ერთი რომ, ლევარსის კნეინა ნექტარინასათვის მახლობელი ტყიდან ცოცხალი შველი მოეყვანა, მეორე — გუტატისაგან უკვე გაეგო მისი ბედნიერების ამბავი, რომ მას თოლისქვამს რთავდნენ და, როგორც იტყვიან, სიხარულისაგან ფეხზე ვეღარ იდგა კაცი. სულ ცქმუტავდა ეს უკვე სიდარბაისლეში შესული ადამიანი და სულ აქეთ-იქით იწვდებოდა — ეგება თოლისქვამს მოვკრა თვალიო... ერთხელ მოითხოვა, კიდევ მაჩვენეთ, მიმიყვანეთ თოლისქვამთანო, მაგრამ გუტატიმ დააჯერა, რომ თოლისქვამს თვითონ ნექტარინა შეახვედრებდა, და ამან ცოტათი დააშვიდა.

გუტატის ეტყობოდა, რომ რაღაც ხვაშიადი ჰქონდა ლევარსისთან გასაზიარებელი და დაიწყო კიდეც, მაგრამ ლევარსიმ აღარ აცალა და ქართულად დაუწყო ლაპარაკი.

ლევარსი უფრო ხშირად ქართულად ლაპარაკობდა, მართალია, ზოგჯერ იმერულად უქცევდა, ზოგჯერ გურულადაც, — ეს ფოთის გავლენა იყო, სადაც ბლომად იყვნენ გურულები, მაგრამ მეგრულს თითქოს არ კადრულობდა. ლევარსი უფრო ქართულს ეძალებოდა არამცთუ ქართულის მცოდნე მეგრელთან, არამედ სამეგრელოს თვით მიყრუებულ სოფლებში ქართულის ნაკლებმცოდნე მეგრელებთანაც. ქართულად ესაუბრებოდა, ქართულად უპასუხებდა, ეს იმიტომ კი არ მოსდიოდა, რომ ქართულის დიდი პატრიოტი იყო, არამედ თავისი განდიდების გამო: ეჩვენებინა, რომ დიდი კაცია და ქართულად განსწავლული. იცოდა, რომ სამეგრელოში მაღალი წრის კა-

ცები უმეტეს ნაწილად ქართულად ლაპარაკობდნენ. რუსული კი წაკლებად იცოდა, თორემ უთუოდ თავს არ დაიზოგავდა, თუმცა ახლაც ქართულ ლაპარაკში „პოჟოლუსტა“ და „ნეუჟელი“-ს ხშირად ხმარობდა. გუტატიც თამამად ლაპარაკობდა ქართულს, მხოლოდ იმერულად ისიც უქცევდა. ლევარსიმ ახლაც გუტატის ქართულად დაუწყო ლაპარაკი:

— ვიცი, ვიცი, ჩემო გუტატი! ნეუჟელი გგონია, რომ დამავიწყდა დაპირებული... პოჟოლუსტა, რაც დაგპირდი — ერთ კარგ ბედაურს თავის მოსირმული უნაგირით უსათუოდ მოგართმევ. კი არა, შენ იმისთანა საქმე გამიკეთე, რომ შენთვის თავს არ დავზოგავ.

— აი ამ სიტყვაზე დაგიჭერ, ჩემო ლევარსი! მე ახლა შენგან დიდი შემწეობა მჭირდება.

ლევარსი არ მოელოდა, თუ გუტატი დაპირებულის გარდა სხვა რამეს დაიჭირვებდა, არ ეამა, მაგრამ გაუბედა და სმენად გადაიქცა.

გუტატი მოუყვა:

— შენ გეცოდინება, ლევარსი, რომ სამეგრელოში ამჟამად იმტყიცებენ თავადაზნაურობის ხარისხს.

— არ გათავდა კიდევ? — თითქოს მწუხარებით წარმოთქვა ლევარსიმ.

— ახლა თავდება, მგონი, და მე... ბათუ, ბათუ! — გადასძახა ეზოში გამოსულ ძმას გუტატიმ. — ერთი მოდი აქ.

— რად გინდა ბათუ, მე კი არ ვიცი, რომ გათავდება. წახევარი სამეგრელო გააზნაურებულია. ვილაცა აშორდია ყოფილა და ისე ურიგებს ამ ყალბ საბუთებს აზნაურობის მაძიებლებს, რომ... გამდიდრდაო, ამბობენ. ახლა მიმბაძველებიც გასჩენია, სხვებიც აკეთებენ თურმე.

ამასობაში ბათუ ამოვიდა კიბეზე. გუტატიმ მაშინვე მიმართა:

— ახლა რომ ქუთაისში იყავი, რა გაიგე აზნაურობის საქმის?

— ქუთაისში, ბატონო, — დაიწყო დინჯად ბათუმ, თითქოს დიდად პასუხსაგებ საქმეზე სჭირდება ლაპარაკი და ჩაფიქრებით და შესვენებით სჯობია ამბის მოყოლაო, — დიდი ციებ-ცხელებაა ამ აზნაურობის დამტკიცების გარშემო... წახევარი სამეგრელო თითქმის იქ ჩამოხვეტილა. მოგეხსენება,

ჩვენ დავრჩით მეგრელები ჩვენს წარისხში დაუმტკიცებელი, თვარა იმერლებმა, ჯერ კიდევ როცა იმერეთი რუსეთს შეუერთდა, მაშინ დაიმტკიცეს თავთავიანთი ხარისხი...

ეტყობოდა, ხელმოდებით უნდოდა ბათუს, რომ ყველაფერს მოჰყოლოდა, თვითონაც სიამოვნებდა, რომ ამისთანა საქმეზე დაუძახეს და შეეძლო „მჭევრმეტყველება“ გამოეჩინა.

ლევარსი და გუტატი გრძნობდნენ, რომ ბათუს ამბის თხრობა უჭიანურდებოდა, მაგრამ დარბაისელ კაცს ეს არ შეამჩნევინეს.

— გავიკითხე, გამოვიკითხე ამბები და მითხრეს, რომ აზნაურების დეპუტატთა საბრანიაში უკანასკნელი ზასედანიები ამ ვნების კვირაში აქვთ და ვის საქმესაც ახლა გაარჩევენ და დაამტკიცებენ, ის არის და ის, თვარა სხვას აღარავის აღარ მიიღებენო. გულზე ცეცხლი მომეკიდა: ბიჭო, მე და გუტატის რა ღმერთი გაგვიწყრა, არც სიგრძე გვაკლია და არც განი, ცოტა რამე მამული ჩვენც გაგვაჩნია და რითი არა ვართ აზნაური-მეთქი! მთელ ქვეყანაში ასე რავა გამოვწყდეთ და გამოვჭენდეთ-მეთქი. მაძიებლებში დიდი ხანია ჩარიცხულები ვართ, საგლეხოს და ფოჩტის ფულს არ ვიხდით და არც გზების გასაკეთებლად გავდივართ. ღმერთო მომკალი! გუდუია ხუბუნაიას გვერდში რავა უნდა ამოვუდგე-მეთქი და კინაღამ გული შემიღონდა.

— ჰო, კარგი ახლა, — ვეღარ მოითმინა გუტატიმ, — შენ ის გვითხარი, დანამდვილებით რა გაიგე?

პასუხის მაგივრად ბათუმ საყვედურები დაიწყო:

— სულ კი შენი ბრალია, გუტატი არ მომიკვდეს! მეტად აჩქარებული და არაფრის გამკეთებელი არა ხარ, კარგს და შენს სასარგებლო საქმეს თავის დღეში გულს ვერ დაუდებ. აგერ რამდენი ხანია საცოდავი კაცი უცოლოდ მყავხარ. უნდა დაესახლო, აბა ხომ არ შეაკვდები ამათ მოურავობას.

ბათუს საერთოდ არ მოსწონდა გუტატის დამოკიდებულება ნექტარინასთან: შეიყოლიებს და ცოლის შერთვაზე ფიქრსაც კი მოუსპობსო, ბოლოს მოხუცებული ჩემი ძმა დარჩება ცარიელიო და ამას ხანდახან ამჟღავნებდა გუტატისთან. ახლაც დრო შეურჩია და ლევარსის თანდასწრებით დიდი სიფრთხილით და თავისებური დიპლომატობით წარმოთქვა მან

გუტატის მოურავობაზე შეკვდომა, მაგრამ ლევარსი მაინც მიხვდა, თუ რა „შეკვდომა“ იგულისხმა ბათუმ. გუტატიმ კი შეუძახა:

— კაცო, შენ ჩემს საყვედურს კი ნუ ლაპარაკობ, ის თქვი, რაც ქუთაისში დანამდვილებით გაიგე.

ბათუ თითქოს ჯიუტობდა, და მაინც განაგრძობდა გაზეპირებულივით:

— შენ თავზეაც უნდა იზრუნო, დროა უკვე. ცოლს შეირთავ, შვილები გეყოლება, აზნაურებად არ უნდა დატოვო?

ამაზე გახალისდა ლევარსი და ბათუს სიტყვა ჩამოართვა:

— თქვენ კი, ბატონო ბათუ, რამდენადაც ვიცი, თქვენც უცოლო ბრძანდებით და მაგას რომ ურჩევთ, თქვენ რატომ არ დაცოლშვილდებით?.. რომელია თქვენს შორის უფროსი?

გუტატიმ ბათუზე გადაუქნია.

ბათუმ კი ცოტა ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— რაღა დროს ჩემი ცოლ-შვილია?

— არა, ცოლი უნდა შეგერთოთ, თორემ თუ თქვენ უფროსი ხართ, უმცროსი წინ არ გაგისწრებდათ.

— არა, ბატონო ლევარსი, არა, — წარმოთქვა გუტატიმ, — აქ უფროს-უმცროსობაზე არ არის საქმე. ცოლის შერთვა რომ მდომოდა, იმდენ კადნიერებას კი მოვიხმარდი, რომ მაგისთვის არ მეცადნა, მაგრამ ეგ თუ არ დაცოლშვილდა, ბატონო, სულ იმის ბრალია, რომ ყმაწვილობიდან დაიჩემა, ბერად უნდა წავიდეო. ეგ, ბატონო, მარტვილის სასულიერო სასწავლებელშია ნასწავლი და ისე გაიტაცა საღვთო წერილმა, რომ... ხომ ნახეთ იმ დღეს, თქვენ რომ ბავშვი მონათლეთ, როგორ სამაგალითოდ წაიკითხა საწინასწარმეტყველო, ან როგორ კარგად გალობდა.

— ეჰ! — ამოიოხრა ბათუმ. — არ ღირს მაგეების მოგონება. არ გაგიშვებს, ბატონო! ჯერ ჩემმა მშობლებმა და მერე გუტატიმ. ერთხელ კინაღამ გამომხანჯლა. დამემუქრა, მოგკლავო.

— ჰოდა, ახლა თვითონ ხანჯალს და საერთოდ იარაღს ხელიც არ ატარებს, ბერობის იერი შერჩა კიდევ. ხომ ხედავთ. ღონით კი ისეთია, რომ შენი მოწონებული.

— ეჰ, რა დროს ჩემი ღონეა.

— ეე, ცუდი კაცი ხარ, ბათუ, პირდაპირ საგანს მაინც ეგადაგვახვევინე. თქვი, ამოშაშხე, რა გაიგე მაინც!

— რა და... არ დავიჯერე ჭუთაისის ბულვარში და დუქნებში განაგონი და... პირდაპირ გუბერნიის მარშალს ვეახელი. კი, შენ ნუ მომიკვდე! აბა, რავა გგონია! თავის კაბინეტში ძალიან ზრდილობით მიმიღო. მკონია, სხდომა ჰქონდა. ბევრი ვინმე იჯდა მის გვერდით და ჩემი გულისთვის შეწყვიტა თათბირი. ჰო! გამომკითხა, ვინა ვარ, საიდან? ჩვენი სოფელი რომ ვკახსენე, ნექტარინას ამბავი მკითხა. იცნობს თურმე.

— ჩვენს ქალბატონს ვინ არ იცნობს, რატომ გაგიკვირდა, ბათუ? — წარმოთქვა გუტატემ. — გუბერნიის მარშალი ვაილდებულიც კია იცნობდეს.

ბათუ განაგრძობდა:

— შემდეგ ვამეხიც გაიხსენა. ორივე ძალან აქო და ორივესთან დიდი მოკითხვა დამაბარა. მე უბედურს, ჯერ კი არ მომიხსენებია ქალბატონისათვის! შემდეგ ამიხსნა, რომ წრეულს თავდება თურმე ჩვენი განსაკუთრებული კომისიის მუშაობა და მომავალში აზნაურობის ძიება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ ეს იქნება დეპუტატთა საბრანიის საერთო წესით და ვინც ახლა სამეგრელოდან არ მოასწრებს ხარისხის დამტკიცებას, ის მაძიებლებში კი ალარ ეწერება, არამედ გლეხობაში გადაირიცხება.

— ჰოდა, ეგაშენოს, მე და ლევარსის სწორედ მაგისი გაგება გვინდოდა.

— მარა ეს არ მაკმარა გუბერნიის მარშალმა, საყვედურები დაიწყო: მაინც ნამეტანი გადრიეთ მეგრელები, სუყველას გინდათ გააზნაურდეთო. აზნაურს, ყმაწვილო, ნამდვილ აზნაურს ერთი ცხენდარბაზი მაინც უნდა მოეპოვებოდეს წინაპრების დანატოვარი, კარგა ძალი ყმებიც ჰყავდეს და კარგი შერგვალებული მამულიც უნდა ჰქონდესო. თქვენ, მეგრელებს კი, რა გაგაჩნიათ? ერთი ხეირიანი ვენახიც არა გაქვთ, ოთხი თუ ხუთი ქცევა ადგილი გიგდიათ სადღაც შთების კინკრიხოზე და წლიურად სამოცი კალათი სიმინდი თუ მოგივიდათ, ისიც დიდი საქმე იქნება. ძალიან მეწყინა მეგრელების ასე დამცირება, მარა გუბერნიის მარშალს რას გავუბედავდი. მერე მოყვა და დარიგება დაგვიწყო ყველა იქ მყოფს: ან კი რად გინდათ აზნაურობა, როცა სულ გაუქმდება ეგ წოდება. ამაზე ერ-

თით მოხუცებული პოლკოვნიკი შეესიტყვა: — რას ამბობ, თაცვალდო სიმონ, თამარ მეფისაგან ნაკურთხ ქართველ თავადაზნაურობას ვინ გაბუქმებსო, მარა თავადმა ასე უპასუხა: მე კი მიყვარდია და ახლა თქვენ იცითო, მარა, როცა ამისთანებს ლაპარაკობდა, სულ იცინოდა და ხარხარებდა. მაშინ მივხვდი, რომ თავადი ხუმრობდა და უთუოდ ჩვენ გვცდიდა. ის კი არა, მეც მირჩია: — რად გინდა განცხადების შემოტანა, ტყუილა ხარჯს ნახავო და თან გადაიხარხარა. მეც აბა რას დავიჯერებდი!

— ლევარსი, ხომ ხედავ, როგორც ყოფილა საქმე? — მიუბრუნდა გუტატი ლევარსის. — წრეულს უნდა მოვასწროთ ჩვენი ხარისხის დამტკიცება, თვარა მერე თუ მართლა გლეხებში გადაგვრიცხეს მე და ჩემი ძმა, საერთო წესით, ძალიან გაგვიჭირდება.

— დიდი ფული დაგიჯდებათ, გუტატი, ეგ ამბავი! — დინჯად წარმოთქვა ლევარსიმ.

— რასაკვირველია, მაგრამ მართლა გუბერნიის მარშალს რომ უთქვამს, ასე წყალწაღებულები კი არა ვართ მე და ბათუ. ცოტაოდენი მამული ჭე გაგვაჩნია და ამ საქმეს გავუძლებთ, მართალია, ახლა ნაღდი არა გვაქვს, მაგრამ ამის შემხვედრად ორივე ძმები, მე და ბათუ, რომ ხელი შეგვიწყო როგორმე.

ლევარსი ერთ ხანს ჩუმად იყო და გუტატიზე ფიქრობდა: „მომჯდა, მომჯდა! მაგრამ თოლისქვამის სადღეგრძელოდ მიიღონ ამათ აზნაურობა, რას დავეძებ!“

— ბათუ, ხმა ამოიღე, — შესძახა გუტატიმ, — თვარა ეგონება, რომ მარტო მე ველრიჯები.

ბათუმ თითქოს წამოიკნავლა.

— სესხს დაწყევლის ღმერთი, რა ასაღებია... ბანძიდანაც ვისესხებდით, საქმე რომ ჩავარდეს...

— ოჰ, გასწი იქით შენი ბანძი! — აირიდა გუტატიმ. — ან იმას იმდენი ვინ მიაქვავა. ჩვენ კარგა-ძალი დაგვჭირდება. ერთი ორი ათასი მანეთი. ვერ მოგვპირავს, არა, ბათუ?

— ჰო, რა ვიცი... ზოგს მეტიც უჯდებაო, გამიგონია.

— იმიტომ ველმერთები აგერ ლევარსის.

ლევარსი ჩუმად იყო. ეტყობა, თავის გუნებაში რაღაცას ანგარიშობდა.

გუტატი მიეძალა:

— შენ ოღონდ ხელი შეგვიწყე და თუ მოისურვებ, ჩვენ სახლ-კარს დაგიგირავებთ.

— უჰ! — ძალაუნებურად წამოსცდა ბათუს.

— აარა! — როგორც იქნა ხმა ამოიღო ლევარსიმ და დიდჯად წარმოთქვა: — მე თქვენი სახლ-კარი არ მინდა.

ძმები მოელოდნენ, რომ რაკი სახლ-კარი არ უნდა, ლევარსი მათ უგირავნოდ ასესხებდა ფულს, მაგრამ ლევარსიმ სულ სხვაგან გადაუხვია. ბათუს მიმართა:

— თქვენ ტაიას მამული არ გაბარიათ?

ბათუმ დაუდასტურა.

— მერმედა, რამდენი იქნება სულ ტაიას წილი?

— ტაიას, ბატონო, როგორც ყველა გვირგვილიანს, მარტო ბერთემში კი არა აქვს მამული, არამედ უშაფათში, ცოტა სოხუმში და ცოტაც ლეძაძამეში.

— მე მარტო ბერთემში ვამბობ.

— ბერთემი, ბატონო, სულ მაგათი არ არის? ყველა გვირგვილიანის. ეს აგერ ახლა შეისყიდეს გლეხებმა ადგილები, თორემ სულ მაგათ მამულზე არ სახლობენ მათი ნაყმევებიც და მათი ხიზნებიც?

— კაცო, მე ხიზნებზე არ გეკითხები, თვითონ ტაიას რამდენი აქვს თავის წილად გამოყოფილი?

— წილი ბატონო, ყველა გვირგვილიანს თანაბრად აქვთ დაყოფილი, მაგრამ დაზუსტებით ვერც გეტყვით, თუ ტაიას რამდენი მოუვა... ახლა მერჯევანია მოდის და მაშინ გამოირკვევა დანამდვილებით.

— კაცო, — გაეცინა ლევარსის, — აბა რისი მოურავი ხარ, თუ არ იცი, შენ სამოურავოში რა გაქ?

ლევარსის გუტატიც აჰყვა:

— ჩვენს თავადებს განა არ იცი, ლევარსი, რომ ანგარიშის თავი არა აქვთ და არც კი იციან, სად რამდენი აქვთ. ისევ ჩვენ, მოურავები, გამოვჩხრეკავთ ხოლმე ზოგიერთ ნაკვეთს და ვაკოწიწებთ ერთიმეორეს, მაგრამ დანამდვილებით მამულის მთლიანი რაობა არც ჩვენ ვიცით.

— ჰა, ჰა, ჰა! — სამთავემ გაიცინა, თუმცა ძმებს მაინცდამაინც არ მოსწონდათ ლევარსის შეკითხვები და გული ეთანაღრებოდათ, რომ სესხზე არაფერს ამბობდა.

უცდიდნენ.

— ახლა ეს მითხარით: ტაია ხომ არჩილის შვილია, მაშასადამე, არჩილს, როგორც უფროს ძმას და გავლენიან პირს, საუკეთესო ნაკვეთები ერგება.

— წარმოიდგინეთ, რომ არა, — იყო პასუხი — ძალიან კარგი ძმობა ჰქონდათ და, როგორც მოგახსენეთ, ყველაფერი თანაბრად ჰქონდათ გაყოფილი. ის კი არა, ვამეხის წილიც, სასამართლოებში და უმაღლეს მთავრობაში დიდი დავიდარაბის შემდეგ მაგათვე დაიმტკიცეს და ისიც ძმურად გაიყვეს.

— კარგი და, გუტატი, შენ ვისი მოურავი ხარ? ნექტარინასი, ხომ?

— არა, სამსონის, ნექტარინას ქმრის, და ეს წილი ნექტარინასთვის ძმებს არ წაურთმევიათ, მის მფლობელობაშია.

— აჰა! მაშ ეს სასახლე ვისია? სამსონის?

— არა, არჩილისა და ამჟამად ტაიასი.

— აბა კნეინა შემოხიზნული ყოფილა.

ამაზე ძმებმა არაფერი თქვეს, მაგრამ უგუნებოდ კი შეიქნენ. აქამდე არც ერთს არ უფიქრია, რომ ნექტარინა მართლა შემოხიზნული იყო ამ სახლში. ეს არავის აზრად არ მოსდიოდა. სოფელში სახლს ნექტარინას დოხორეს ეძახდნენ, მთელს მაზრაშიაც ყველას დიდ ქალბატონად მიაჩნდა და ეს სასახლეც სწორედ მისი უნდა ყოფილიყო, ასეთი წარმოდგენა ჰქონდათ. ახლა ლევარსისაგან თქმული სიმართლე თავიანთ გუნებაში ერთგვარ შეურაცხყოფადაც კი მიიღეს.

ლევარსიმ ამის შემდეგ კიდევ უარესი უთხრა:

— აბა იცით, რა გითხრათ, ძმებო? მე მინდა ტაიას მამული ბერთემში სულ შევისყიდო. რას იტყვით თქვენ?

გუტატი უხეიროდ გაიღიმჭა:

— რას აპირებ, ლევარსი, კაცს საცოლო წაართვი და ახლა გინდა მამულიც ჩამოართვა?

— როგორ თუ ჩამოვართვა — ვიყიდი. ტაია მაინც, რამდენადაც ვიცი, საოჯახოდ არ გამოდგება. იმას სულ სხვა რამე უთამაშებს თავში. ფულები კი მუდამ უჭირს და, მე მგონია, ხელსაყრელ ფასებში დამითმობს. ა, რას იტყვი, ბათუ?

ბათუმ პირდაპირ არ უპასუხა, შეეკითხა:

— ეს სასახლეც გინდა, რომ შეისყიდო, ბატონო?

— აბა როგორ? ეს სასახლეა მშვენება ამ სოფლისა და

მინდა, რომ ჩემი იყოს. ეგენი ყველა უშვილოები არიან. — უნდოდა ეთქვა, საწყლებიო, მაგრამ თავი შეიკავა და ასე გააგრძო: — თოლისქვაბს მინდა მივართვა პირის სანახავად.

ძმებს ემწუთხათ ეს ამბავი. ბათუს ის, რომ მისი მოურავობა ხელიდან ეცლებოდა, გუტატს კი სამოურავო რჩებოდა, მაგრამ ამ სასახლეში ფარფაში ესპობოდა, რადგან ეს „გაკვიზინებული“ ვაჭარი ნექტარინასაც ხომ გააძევებდა მის ჩათბუნებული ადგილიდან. ამაზე მოისურვა ეკითხა, მაგრამ ლევარსიმ, თითქოს მიუხვდაო, დაასწრო:

— თოლისქვაბს რომ მივართმევ, ეგ საშვილიშვილოდ მინდა, თორემ ოჯახობით აქ კი არ ვიცხოვრებ, მე ისევ ჩემს ფოთს მივაშურებ, ამაზე ნაკლები სახლი კი არ მიდგია გურიის ქუჩაზე! კნეინა ნექტარინა კი ხომ თოლისქვაბის დედობილია, შაშასადამე, სიდედრად მერგება და, ღმერთო კი მომკალი, ნუთუ ჩემს სიდედრს მე გავაძევებ ჩემი სახლიდან? მერე ისიც კნეინასთანა ქალბატონს? არა, გუტატი, არა, მე მაგისთანა უცხვირპირო კაცი არა ვარ. შენ ისევ დარჩები ქალბატონთან ერთად ამ სასახლის მომვლელად და განმკარგულებლად. ან თქვენზე უკეთესს მე ვის ვიშოვნი. ბათუს კი, თუ მიკადრებს, ისევ ოსე დავტოვებ ტაიასეული მამულის მოსავლელად. მხოლოდ მეგრული „მოურავე“ კი აღარ იქნება, არამედ „უპრავლიაიუშჩი იმენიემ პერვოგო გილდიი კუპცა, ლევარსია კვიზინია“. ა, როგორია? — თითქოს უხაროდა ლევარსის, რომ ყველასთვის ასე სასიკეთოდ აწყობდა საქმეს, და კმაყოფილი შესცქეროდა მომავალ აზნაურებს.

გაახსენდა და ამაზე უთხრა:

— თუ ამ საქმეში თქვენ დამეხმარებით, მაშინ ერთი სამი ათას მანეთს გასესხებთ აზნაურობის მისაღებად.

ძმებსაც ეს უნდოდათ. სესხმა და ლევარსის სხვა დაპირებებმა გული მოულბო ორთავეს და დაპირდნენ, რომ ეცდებოდნენ უმტკივნეულოდ მოეგვარებინათ განზრახული საქმე.

გუტატი ფიქრობდა: „არაფერი არ იცვლება, ბათუ რჩება თავის ალაგას, მეც ისევ და ისევ ბატონ-პატრონი ვიქნები აქაურობის. კნეინა კი ცოტა შემიწუხდება, რომ თავისი მაიორატის გეგმა ჩაეშლება, მაგრამ ან კი რალა ოხრად უნდა, თუკი ტაიას მამულიც ამისთვის აღარ გამოდგება. თვითონ ხომ ბანამ ცოცხალია, მაინც დედოფლურად იცხოვრებს და სხვა რა-

ლა უნდაო". ამაზე გული დააჯერა და ჭევით გადასძახა ლევარსის მოყვანილი შველი ზევით, ოდაში, ამოეყვანათ.

ლევარსიმ კი სთხოვა ორივე ძმას, რომ მისი წინადადება ჯერჯერობით საიდუმლოდ შეენახათ, და ძმებიც დაპირდნენ.

ამასობაში შველიც ამოიყვანეს და სამთავენი გაემართნენ დიდი აივნისაკენ, სადაც ამჟამად წყნარად საუბრობდნენ ნექტარინა, ბაღონესა, დაგმარა, რიაბინინა და ბეგი.

გუტატიმ ხელში ატატებული მიჰგვარა შველი ნექტარინას და მოახსენა, რომ ეს ლევარსიმ მოგართვათო.

შველის გამოჩენამ საამური შთაბეჭდილება მოახდინა გაწსაკუთრებით ახალგაზრდა ქალებზე, ეალერსებოდნენ, მკერდში იხუტებდნენ, თვალებს უკოცნიდნენ.

ნექტარინამ კი წარმოთქვა:

— ეს, ჩემო ლევარსი, ჩემთვის კი არა, თოლისქვამისთვის უნდა მიგერთმია.

ლევარსიმ ამაზე უპასუხა:

— თოლისქვამს პირის სანახავად ამას კი არა, თვითონ ვიცი რასაც მივართმევ. — და ბათუხ და გუტატის ეშმაკურად გადახედა.

შემდეგ მივიდა, ნექტარინას ხელზე ეამბორა და დიდი მადლობა გადაუხადა, რომ მისი თხოვნა შეესმინა და თოლისქვამს ცოლად აძლევს.

ეს ამბავი სტუმარმა ქალებმა რომ გაიგეს, ერთი ჟივილხივილი ასტეხეს.

— წავიდეთ თოლისქვამთან, ეს შველიც მივუყვანოთ და მივულოცოთ ჯდეც!

— ეგ ჰკვიანურია, ჰკვიანური: წავიდეთ, მივულოცოთ! — წამოდგა ნექტარინა. ყველა მას გაჰყვა.

სანამ თოლისქვამთან შევიდოდნენ, გზაში ნექტარინამ ყველას გამოუცხადა, რომ ამაღამ ნიშნობასაც გამართავს. რა არის აქ ცუდი? და ჯვარისწერა კი ქუთაისიდან დაბრუნების შემდეგ გავმართოთო... და ყველანი გამხიარულებულნი ეწვივნენ თოლისქვამს.

X

ვაიმე!

თვალთ გეხუჭება, ციბედულ, ძილი გერევა?

არ არის გასაკვირი, რადგან შენ მომაკვდავი ხარ ჩემ გამო.

მე რომ არ ვიყავ, არც შენ იყავ. მე რომ არ ვიქნები, აღარც შენ იქნები ცოცხალთა შორის.

თუ...

თუ დარჩა... თუ ჩემმა ნაწერებმა გაუძლო ჟამთა სვლას ცოტა ხნის განმავლობაში მაინც, მაშინ შეიძლება იცოცხლო, მხოლოდ მწიგნობრულის სიცოცხლითა, იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც მე ვეხსომები.

ამიტომ არ მიკვირს, რომ ახლა ჩემს ხელში გეძინება.

თუმცა!

ჰა, ჰა!

შეიძლება შენ ძილი სულაც არ გეკარება, არამედ ატყობ, რომ ვერ დავძლიე განზრახული.

ამიტომ ხუჭავ თვალებს.

იცი, რომ ასეთ საქმეს სხვა მძლავრი შემართება უნდა. უფრო ღონიერი და სხივოსანი ნიჭისა და უფრო ძლიერი, ელვავიანი შემოქმედების პატრონისა.

ფიქრობ: შენ რომ გიცხოვრია, ის ხანა დიდ ეპოქას ეკუთვნის და სხვა ძალა უნდა მის მხატვრულ გამოთქმას.

კეთილი სურვილებით, ცნობილია — თვით ჯოჯოხეთიც არის მოკენჭილი, მაგრამ იგი სამოთხედ ვერასოდეს ვერ გახდება.

მაშ მე ვერ მოვიპოვე ჩემი სამოთხე?

ვაითუ საბოლოოდ დაგაფრთხე და არასოდეს აღარ შეწვევი?

ვხედავ, ნელიად იღიმები შენის ციურის ღიმილითა.

ეს უფრო მოტევების ღიმილი უნდა იყოს და იმის ნიშანია, რომ არცთუ მთლად დამტოვებ...

დეე!

ამით მაინც ვარ ნუგეშცემული.

სოფლად გარიყრაჟზე ძლივს იწყებოდა სააღდგომო წირვა. ამის მიზეზი უფრო ის იყო, რომ სოფლის მოსახლეობის უმეტესობა ნაშუაღამემდე ძლივს ასწრებდა დაბანას, დასუფთავებას და მორთვა-მოკაზმვას. ზოგს საკერავიც კი არ ჰქონდა მოთავებული, მიწურულ დრომდე კიდევ ჩაჰკირკიტებდნენ საქნარს და საერთოდ გვიანობამდე კიდევ ფაციფუცობდნენ. ამას ყველაფერს კი ანგარიშს უწევდა ეკლესია.

ბერთემში, გვირგვილიანების ეკლესიის გარდა, კიდევ იყო ორი საყდარი. ერთი ლებარკალეში, უშაფათის საზღვარზე, ქრისტეს სამლოცველოდ წოდებული და მეორეც უფრო ძველი, ერთ დროს კერპთაყვანისმცემელთა დროის ტაძრად ხმარებული „მეისარიონი“, ახლა კი ხის კედლებში გამართული მართლმადიდებელთა ეკლესია. მაგრამ აქ ამჟამად მღვდელმსახურება არ წარმოებდა, რადგან დროებით მღვდელი არა ჰყავდათ. ამიტომაც ამ ეკლესიის მრევლიც ამ დღესასწაულზე ქრისტეს სამლოცველოში უნდა წასულიყო, ან გვირგვილიანებთან, რომელთა კარის ეკლესია აქაურ მოსახლესათვის უფრო დამხრობილი იყო.

„ქრისტეს სამლოცველო“ შტატის ეკლესია იყო; თედორე მღვდელი ამ შტატის მღვდლად ითვლებოდა და წესით აღდგომას იქ უნდა ეწირნა, მაგრამ გვირგვილიანების ხათრით აღდგომას ამ „ზედმიწერილში“, — ასე ეძახოდნენ გვირგვილიანების საყდარს — გადაწყვიტა წირვა ჩაეტარებინა. შტატის ეკლესიაში კი წინდაწინვე გამოუცხადა მრევლს თავისი გადაწყვეტილება.

ამიტომაც იყო, რომ აღდგომას დიდძალი ხალხი მოაწყდა ნექტარინას ეზოს: უფრო ახალგაზრდობა, ქალებიც და ვაჟებიც. ყველა მათგანს უნდოდა თავი გამოეჩინა თავის ახლად შეკერილ საღდგომო ტანსაცმელში.

ერივნენ ხანდაზმულებიც, როგორც, მაგალითად, ობიშხია, გუდუია და სხვა მისთანანი, მხოლოდ ოჯახის ქალები არსად ჩანდნენ.

არ ჩანდა აგრეთვე ფარნა ბჟალაა თავისი ცოლ-შვილით. ამბობდნენ, რომ ამ საღდგომოდ ბანძას წავიდა, თავის ცოლოურს, კოტიებში, თავისი ოჯახობითო.

წინათლე თანდათან ედებოდა არემარეს, ზოგი მიმჯდარიყო დიდი ცაცხვის ამოყრილ მაგარ ფესვებზე, ზოგიც — პირდაპირ მოლზე, ქალიშვილები და ვაჟები კი ერთად თავმოყრილი მხიარულობდნენ და ერთიმეორესთან საუბარით თავს ირთობდნენ.

აქვე იყო ჩელა. თავის ძმას, მიქეს, და ობიშხიას თადას უდგა გვერდით. შვენოდა ახალი კაბა და ისიც ყელმოღერებული იყო, მხოლოდ საერთო ლაზღანდარობაში მაინცდამაინც არ იღებდა მონაწილეობას. იმე, თუკი მიმართავდნენ ან რასმე შეეკითხებოდნენ, გარკვეულსა და უჩქარებელ პასუხს იძლეოდა.

ცოტა მოშორებით ბავშვები დაწეოდნენ ერთიმეორეს, კვერცხებს უმტვრევდნენ და იყო ერთი ჟივილ-ხივილი.

ეს დღესასწაული აღდგომისა იმე მიჩნეული ჰქონდა ხალხს, თვით ურწმუნოსაც კი, რომ თითქმის ყველას, რაც უნდა დაწუხრებული ყოფილიყო, იმ დღით ხახეზე კმაყოფილება ეხატებოდა. ეს იყო უხსოვარი დროიდან, საუკუნეობით გადმოსული ტრადიცია და არა წმინდა რელიგიური რწმენა, რადგან სამეგრელოს ხალხი მაინცდამაინც ეკლესიის და წირვა-ლოცვის დიდი მოყვარული არასოდეს არ ყოფილა. ისინი მხოლოდ დღესასწაულებზე იყრიდნენ თავს ეკლესიის გარშემო, უხაროდათ ერთიმეორის შეხვედრა, გამობაასება, ქვეყნის ჭირვარამზე საუბარი, ახალგაზრდებს კიდევ ერთიმეორის შეთვალიერება, შეგულება საცოლესი თუ საქმროსი, ცეკვა, თამაში, სიმღერა.

ხალხმა მღვდლის წინამძღოლობით ასეთი თავისებური ზეიმით ხამჯერ შემოუარა ეკლესიას, მხოლოდ შემდეგ შებრუნდა ტაძარში. აქ კი ამბიონთან ხალხისაკენ მობრუნებული დადგა ჯვრით და სანთლით ხელში თედორე მღვდელი და პირველად დაიძახა: „ქრისტე აღსდგა!“, რასაც მოჰყვა დამსწრეთა ერთობლივი პასუხი: „ჭეშმარიტად“ და მგალობელთაგან „ქრისტე აღსდგას“ გალობა. ამის შემდეგ შეიქმნა ჯვარზე მთხვევა და ერთიმეორის ამბორი „ქრისტე აღსდგას“ შეძახებით. ეს რომ მოთავდა, ხალხი თანდათან გაიძურწა ეკლესიიდან, რადგანაც ხალისიანი ნაწილი ამ დღესასწაულისა, სადაც თვითონ ხალხი ღებულობდა უშუალო მონაწილეობას, უკვე

დასრულდა და იწყებოდა ჩვეულებრივი წირვის მღვდელმოქმედება.

ეზოში გამოსული ხალხი კი გაწაგრძობდა ერთიმეორის ჭილოცვასა და ამბორს, თან ერთიმეორეს წითლად შეღებილ კვერცხებს უცვლიდა.

ამ დღით მიღებული იყო — რაგინდ მომდურებულები ყოფილიყვნენ, აღდგომას ერთმანეთს უთუოდ მიულოცავდნენ, თითქოს ამ დღესასწაულის გამოისობით იბპობრდა ადამიანებში შური, მტრობა, ჭიშპობა. ეს კარგი იქნებოდა, რომ მართლაც „კაცთა შორის სათნოება“ ამით დამყარებულიყო, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს კეთდებოდა გარეგნულად და მოსაჩვენებლად, თუმცა ამ ერთიმეორის მილოცვას ძალაუნებურად ყველა აკეთებდა.

გუტატიმ ჩამოუარა გლეხებს და, უნდოდა თუ არ უნდოდა, მაინც ყველას გადაეხვია. ასევე უნდოდა ბანძღის მოქცეულიყო, მაგრამ ერთგან ფეხი წაატეხა: ობიშხიამ და გუდუიამ დაინახეს თუ არა მათკენ მიმავალი ბანძღი, პირი იბრუნეს და მოშორებით მდგარ სულ სხვა ჯგუფს შეერივნენ. ასევე მოიქცნენ მიქე და თადაც, მაგრამ უფრო მოხერხებულად — თითქოს მიქემ რალაც წაართვა თადას და ეს უკანასკნელიც მას დაეჭერად გამოუდგა. ორივე ახალგაზრდა იყო და მათგან ასეთი საქციელი არ იყო გასაკვირი. ამგვარად ბანძღი, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან იცოდა, დანარჩენ იქ მყოფთ შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ მისდამი ზოგიერთისაგან ასეთი მოპყრობა. ამიტომ შეჩერდა: ვაითუ სხვებმაც ტუჩი აშიბზუონო, მაგრამ აგერ დაინახა ეზოში გაწკერძოებით მდგარი ვამეხი, რომელიც უკვე გამხიარულებულ სქვაშაიას ეთამაშებოდა. ბანძღი თითქოს მის უარისმყოფელთა გამოსაჯავრებლად გაეშურა მისკენ და ძველი ჩვეულებისამებრ, როგორც უფროსს, მკერდზე აკოცა. ამითი თითქოს დაუდასტურა სხვებს, ხედავთ რა კაცთან ვარ კარგად, თქვენ ვინა ყრიხართო! ვამეხისათვის მოულოდნელი იყო ასეთი იერიში და სამაგიეროდ არც უკოცნია და არც არაფერი უთქვამს, მხოლოდ ბანძღი მაინც ასე მოეფერა:

— შენ ყველას პატრონი ხარ, მახარე!

ვამეხს გაეცინა, მაგრამ არც ამაზე უთქვამს რამე, მხოლოდ ალოში გაიფიქრა: „რა გულდაწყვეტილია ეს კაცი ადამიანებ-

ზე, არავის სიკეთე არა სჯერა, რადგან არავინ არ ეპყრობა სიყვარულით. იმას კი ვერა გრძნობს, რომ თვითონ არის მიზეზი, ასე ამრეზით რომ ეპყრობიან. თუმცა ნამდვილი და ღრმა მიზეზი იმისა დღევანდელ დუხჭირ სოციალურ და ეკონომიურ წესწყობილებაშია".

წირვა გამოვიდა, მზემაც ამოანათა, არემარე სრულიად განათდა და ეზოში კიდევ მეტი ჟრიამული ატყდა. ახლა უკვე „ქრისტე აღსდგას" საგალობელს მარტო მგალობლები კი არ გალობდნენ, არამედ ჯგუფ-ჯგუფად სოფლელები, და ამ გუგუნით ოჯახში მიემართებოდნენ. ამ დღეს ნაწირვევს ჩვეულებრივ არ მართავდნენ არც ბურთაობას და არც ცეკვა-სიმღერას, რადგან ამისათვის საღამო იყო მიჩნეული განკუთვნილ ადგილას.

საალდგომო წირვის შემდეგ თავიანთ ოჯახებში კი არ ბრუნდებოდნენ, არამედ ერთმანეთთან გადადიოდნენ საევლოგიოდ და ერთიმეორის მისალოცად, არც არსად ამ დღეს არ სადილობდნენ, ყველგან ცოტ-ცოტა უნდა ეგემნათ და შემდეგ საღამოსათვის კარგა მოლხენილი, ზოგი გამობრუჟულიც მიდიოდა ამოჩემებულ ალაგას, დაბლა,-სოფლის შუაგულ, ეგრეთ წოდებულ „ჯგემარიონზე", რაც წარმოადგენდა კარგა ვრცელ მოედანს, სადაც შეიძლებოდა ბურთაობაც და სხვა გასართობების მოწყობა მხოლოდ ქვეითთათვის, აქ არ მართავდნენ არც ჯირითს ცხენებით, არც თარჩიას და არც მარულას. ეს უფრო შინაურული, ყოველ სოფელში თავთავისად, უფრო გლეხებისათვის განკუთვნილი დღეობა იყო.

პირველად კი, რიგით და წესით, ევლოგიაზე ნექტარინას უნდა სწვეოდნენ, მაგრამ ამას ყველა არ კისრულობდა, რადგან თვითონ რომ მისულიყვნენ, მათაც ხომ უნდა გადმოჰყოლოდა თავისი ამალა სასახლიდან, ამის სამასპინძლო აბა ვის ჰქონდა, და ერიდებოდნენ; ერთიმეორეშიაც მიღებული იყო, მაგრამ ყველა არ მიდიოდა, უფრო მახლობელ მეზობლებში გადადიოდნენ და ესეც საკმარისი იყო მათთვის. აქა-იქ შეიძლება წასულიყო უფრო შორსაც, ისიც თითო-ოროლა, მხოლოდ აღდგომა დღეს, გლეხი მაინც თუ ადრევე, საალდგომოდ არ იყო, როგორც, მაგალითად, ფარნა ბჟალაა, სადმე წასული, აჰჟამად თავის სოფელს არ გადასცდებოდა.

ნექტარინასთან ახლაც მხოლოდ რამდენიმე ხანდაზმული

და სოფელში ასე თუ ისე საპატიოდ მიჩნეული გლეხი ავიდა: ობიშხია, გუდუა, სთეფანე, ხახუ, სესია, ანტო და მისთანანი. მაგრამ დიდხანს არ დარჩენილან. ერთი-ორი ჭიქა დალიეს, ცხვრისა და ინდაურის ნაჭრებით პირი ჩაიგემრიელეს, ნექტარინას მიულოცეს დღესასწაული და გამოემშვიდობნენ.

ნექტარინა თავზე ადგა, და ისინიც ზეზეულად საუზმობდნენ.

გლეხები კიდევ არ იყვნენ წასულნი, რომ თანდათანობით მოვიდნენ სხვა სტუმრები, უფრო აზნაურებიდან. აქ იყვნენ საბახტარიშვილები, ბარკალაიები, შავდიები, ჭუჩულორიები, ბოკუჩავები, ჩახავები, გობეჩიები და სხვ.

ამათ მოსვლის დროს ნექტარინას მეთაურობით გვირგვილიანებიც მოუსხდნენ სუფრას თავიანთი სტუმრებით.

ბარამმა პირველმა აიმაღლა ხმა და პირველი ჭიქა დაილოცა „ქრისტე აღსდგათი“. ეს იყო პირველი საერთო სადღეგრძელო, რაც ჩამოლოცვას უდრიდა, და ამას მოჰყვა უკვე სიმღერა საერთო ჰანგზე გაწყობილი ისევ და ისევ „ქრისტე აღსდგასი“. ამ სადღეგრძელოს კი მოჰყვა საერთო მილოცვა და კოცნა მამაკაცებისა. ეს რომ მოთავდა, წამოდგა ვოლკოვი და მოითხოვა, რომ ქალებიც გადაეკოცნათ: რუსეთში ეს მიღებული გვაქვსო. უცხოელებმა ეს რომ გაიგეს, ჩაცინეს და თვალები გაუბრწყინდათ. ნექტარინა და ბარონესა მხოლოდ სათნოდ იღიმებოდნენ. დაგმარა ჩვეულებისამებრ გაცბუნებული იყო და თრლისქვამიც შეშფოთებული. აქვე იყვნენ კესარია და დესი, რომლებიც ძილხანთან და სხვა გოგოებთან ერთად სუფრას ემსახურებოდნენ და ვოლკოვის წინადადება რომ გაიგეს, ოდნავ შეჰკივლეს: „უიმე, ღმერთო მომკალიო!“ მაგრამ საერთოდ მოლოდინის წუთი კი დადგა.

ამ დროს ვამეხმა აუხსნა სტუმრებს, რომ ეს არ არის ჩვენში მიღებული და ჩვენი ქალები უთუოდ იმიტომ არიან გაკვირვებულებიო.

მაგრამ უეცრად რიაბინინა მოწყდა თავის სკამს და ვამეხისაკენ გაეჭანა, თან დააყოლა:

— Ну ладно! я всех перецелую!*

და მართლაც გადაკოცნა ყველა იქ მყოფი მამაკაცი, დაწყებული ვამეხიდან და გათავებული ხელზე მოსამსახურე მოხ-

* მაშ კარგი, ყველას გადავკოცნი.

დენილი ბიჭი, რომელიც ყურებამდე გააწითლა, რამაც გამოიწვია საერთო სიცილი.

ამ დროს არც ვოლკოვი დაცხრა, განაცხადა:

— Я тоже последую вашему примеру, Марина Ивановна!*

და გადაკოცნა კესარია, რომელიც ამჟამად თავს ადგა და, თითქოს საგანგებოდ, მას რალაც საჭმელს აწოდებდა.

ამან ვერ დატოვა მაინცდამაინც კარგი შთაბეჭდილება, მაგრამ თითქოს ამის გასაქარწყლებლად წამოდგა ბარამი და ძილხანს გადაეხვია. ამან კი ასტეხა საერთო ლრიანცელი, რაც დაფარა ახლად შემოსულის, ჭალარაშერთულის მწყაზარი ჩოხოსნის შეძახილმა:

— ჩემს ძმებს ვახლავარ, ჩემს ძმებს... კნეინა ნექტარინა!.. ქრისტე აღსდგა! — შესძახა მან საერთოდ ყველას, რაზედაც გაისმა, სტუმრების გარდა, მამაკაცების შეძახილი:

— ო-ო, ეკოციმილი მოვიდა, ეკოციმილი!

ეტყობოდა; ეკოციმილის მოსვლამ გააბხიარულა გვირგვილიანები, მისმა შემოსტუმრებამ შეაწუხვეტინა იქაური ქალებისათვის მიუღებელი მამაკაცების კოცნა.

ეკოციმილი გვირგვილიანი იყო, მაგრამ ბერთემში არ ესაწყლა, სადღაც ლეჩხუმისაკენ იყო მისი წინაპარი დასახლებული და ეს სახელიც მას შერჩენული ჰქონდა, თორემ ოფიციალურად ერქვა ევგრაფი, სამეგრელოში დიდად იშვიათი სახელი. თავის მოგვარეებში არცთუ ისე ხშირად დაიარებოდა, მაგრამ მისი მოსვლა ყოველთვის სასიამოვნო იყო ყველასათვის. თვით კნეინა ნექტარინაც კი გულღიად ხვდებოდა მას, რადგან ბუნებით მხიარული კაცი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს დიდი ტრაგედია ჰქონდა განცდილი; იყო მოშაირე, ძველებურად ანდაზებისა და გამოცანების მთქმელი, კარგი მოცეკვავე და საუცხოო მომღერალი.

ახლაც მისალმებისა და სადღესასწაულო კოცნა-ხვევნის შემდეგ მაშინვე დასძახა საერო ჰანგით „ქრისტე აღსდგა“ და შემდეგ ბარამს მიმართა:

— როგორა ხარ, გენაცვალე, ბარამ! ხომ ისევ ისე ხარ: „ჭაცა გაქვს და კაკალიც“. მე კი რა ღმერთი მიწყრება! როცა

---

* მეც თქვენი მაგალითს მივბაძავ, მარინა ივანოვნა!

„თავის აღგილასა ვარ, ქვასავით მძიმე ვარ, როცა დავიძვრები, დავმსუბუქდები...“

ამას მოჰყვა საერთო სიცილი, სიცილში უცხოელებმაც მიიღეს მონაწილეობა, რადგანაც ვამეხმა სტუმრებს გადაუთარგმნა ნათქვამი და გაკვრით გააცნო ამ კაცის ხასიათი.

ეკოციმილი არ ცხრებოდა, ახლა ვამეხს მიუბრუნდა:

— აბა, ვამეხ, შენ გაზრდას, ეს ამიხსენი...

— დაიღუპე იქით! — სიცილით მიაძახა ვამეხმა. — რა დრრს ჩემი გაზრდაა?

— არა ასე ითქმის... შენ ძაგას დაეთხოვე, ეს ამიხსენი:

ბაღჩაში გადვიხედე, ხილნარი დგა, ისი მინდა,
მარგალიტად ჩაწყობილი, ჯიღოსანი, ისი მინდა.
მრავალფერი კაბა ეცვა გასახდელი, ისი მინდა.
ვინც რომ ამას გამოიცნობს, მეცნიერად ისი მინდა!

ეს მაირი-გამოცანა ეკოციმილმა მაშინდელ ჩვეულებისამებრ, ისე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მაირებს კითხულობდნენ ხოლმე, შემღერებით წარმოთქვა და ვამეხს მიაჩერდა. ვამეხს გაეცინა და ასე უთხრა:

— კაცო, რა ბავშვი მე მწახე, რომ ასეთი გამოამკარავებული გამოცანა ვერ გამოვიცნო! არა, შენ გაზრდასო კი მითხარი, მაგრამ ასეთი გამოცანისათვის მაინც უკვე საკმაოდ მოზრდილი ვარ და. როგორ ვერ მივხვდებოდი, „ისი მინდაო“. ასე კოხივით რომ დამაყარე. ამდენი სიმინდი, მგონი, შენს სასიმინდეშიაც არ გიწყვია.

ატყდა ხარხარი, მაგრამ ეკოციმილმა ფარ-ხმალი არ დაყარა:

— ვაიმე, ღმერთო მომკალი, ბერთემელი თავადუკა დამცინის სუხჩელ დიდ გვირგვინიანს! ჩემი სასიმინდეებში სახურავამდეა სავსე სიმინდით წლიდან წლამდე. ხომ გაგიგონიათ: „ძველი პური, ძველი ღვინო წლით წლობამდის გამყოლიაო!“ ისეა ჩემი საქმე.

— ოჰ, ოჰ, ახლა ნამეტანი ტრაბახს კი ნუ მოჰყვები! — მეგობრულად შეუტია ბარამმა. ეკოციმილმა გადაიხარხარა და სულ სხვა კილოთი წარმოთქვა:

— აბა რა ვქნა? არც მჭონდეს და არც ვიტრაბახო?..

— უი, შენ მოუკვდი შენს პატრონს! — სიცილით შეუტია

— და შეიქნა კვლავ საერთო სიცილი და ჭრიამული. უცხოელებმა შენიშნეს, რომ ეკოციმილმა დაიპყრო ყველა იქ მყოფის ყურადღება, ის შეიქნა სუფრის სული და გული. ეკოციმილი განაგრძობდა თავის ლხენჯობას.

— ვამეხმა დამიწუნა ჩემი გამოცანა, ნამეტანი აშკარაო, მაგრამ აბა ამას თუ გამოიცნობთ? მღვდელო! ეს საშენოა!

თედორე შეიშმუშნა და უთხრა:

— წყეული, წყეული! შენ კარგს არაფერს მეტყვი.

— არა, შენი მადლი არ გამიწყრეს! აბა რა არის:

„ლახვარმან რკინისამან, ნაყოფმა ხისამან.

ასომან ხარისამან, ლერწამმან ჩალისამან.

კაცი მართლა შეაწუხა“.

— ო-ო, ეს კი რაღაც ძნელი გამოცანაა! — წარმოთქვა ბარამმა. — რას იტყვი, ხუცესო?

ხუცესი ჩუმად იყო. საქციელწამხდარივით იღიმებოდა.

— ვერ მიხვდა, ვერა! — ხრიალებდა ეკოციმილი. — ჰა, ჰა! ისევ მე გეტყვი: ქრისტეს წამებაა, ანაფორიანო, ეს კი უნდა იცოდე. აბა ახლა, ბეგი, შენ გეტყვი...

ამ დროს ბარამი წამოდგა:

— კარგია ახლა, გეყოფა, თორემ მაგას რომ ვუყუროთ, აქ დაგვაღამებინებს და ჩვენ კი სხვა ოჯახები არ შემოგვივლია.

— არა, ბარამ, გენაცვალე! ერთს ვეტყვი ბეგის, მეტი არაფერი: „იკიკმაკური, სალაფერდუმი, გოჭკანტური“, რა არისა?

— უი, შენ კი დაიღუპე! გოჭკანტურიც ხარ და კიდევ უარესიც.

— რად გეწყინა, ბეგი, შენი ჭირიმე! შენ რომ გიყვარს, ის არის: თოფი და მისი ჩახმახი.

ნექტარინა წამოდგა:

— ყმაწვილებო! ჩემი მაზლი ბარამი მართალია. ევლოგიაზე სხვაგანაც უნდა წაბრძანდეთ, ასეთია წესი. დღეს ხომ არსად გამწევად არ სადილობენ და თქვენც ასე უნდა მოიქცეთ, მხოლოდ ვახშმად კი დღეს ჩემთან უნდა მობრძანდეთ ყველანი, რადგანაც ჩვენს ოჯახს დღეს, აღდგომის გარდა, სხვა სასიხარულოც აქვს. დღეს ნიშნობა მექნება: თოლისქვამს ნიშნავს ლევარსი კვიზინია და ამისი ცალკე მზადება არა მაქვს, მაგრამ

აღდგომის ევლოგიას ამაღამ ნიშნობაც რომ მოვაყოლოთ, მე მგონი, ურიგობა არ იქნება.

ზოგმა, როგორც ვიცით, იცოდა ეს ამბავი, უმეტესობისათვის კი მოულოდნელი იყო და ახლა ამაზე შეიქნა ხრიალი.

ეკოციმილი კი ერთი კომიკურად შეხტა, შეტრიალდა და შემდეგ მიმართა თოლისქვამს და ლევარსის:

ქალი მორცხვი,
ვაჟი ხასი,
ახლა ვიცი
თქვენი ფასი!

სუფრიდან ყველა აიშალა და წასასვლელად მოემზადნენ უცხოელები და ვოლკოვიც კი, რომელთაც ბარამმა და ვამეხმა შესთხოვეს მათთან მაინც წასულიყვნენ და სხვა მეზობლებში აღარ შეაწუხებდნენ.

რიაბინინამაც მოინდომა წასვლა, მაგრამ ნექტარინამ შეაჩერა, აუხსნა, რომ აქ მიღებული არ იყო დღესასწაულის პირველ დღეს ქალებისაგან დარბაზობა. საღამოს კი, თუ მოისურვებთ, ქალებო, წადით ჯგემარიონზე, ვაჟებიც გეახლებიან და სოფლელების ცეკვა-თამაშს უყურეთო. ამაზე შეთანხმდნენ.

ამასობაში ვამეხმა სქვამაია მოიკითხა. მისი წამოყვანილი იყო და ერთ ხანს ამჩნევდა, რომ ბარონესა და სხვა ქალები ეფერებოდნენ, სხვადასხვა სანოვაგესაც უკითხავდნენ და ისიც ილუკმებოდა, მაგრამ შემდეგ თვალი ვეღარ მიაყოლა.

ბაეშვმა მოიარა ყველა ოთახი და რაც კი რამ შეამჩნია, მისთვის უცხო ხელმისაწვდომს ყველაფერს ხელი შეახო, სხვებს კი თვალები შეაშტერა და დიდხანს იდგა მათ წინაშე გაკვირვებული. მხოლოდ ყველაზე უფრო დარბაზში ჩამოკიდებულმა დიდმა სარკემ მიიპყრო მისი ყურადღება, რადგანაც აქე სრულად, თავით ფეხებამდე თავისი თავი ჯერ არ ენახა. დედამისისა და ვამეხის პატარა დასაკეც სარკეში მხოლოდ სახე-პირს უყურებდა, აქ კი მოხიბლა თავისი თავის დანახვამ. ვამეხმა მიაგნო და წასაყვანად ხელი მოჰკიდა. სქვამაია კი ეჭყლოპინებოდა: „მე ვარ, მე ვარო!“, თითქოს გააგებინა, რომ ვიცი სარკემ ჩემი თავი მაჩვენაო. ამ დროს იეროთეოსი დაინახა და სახე მოეღუშა. როგორც იყო აუხსნა ვამეხს:

— ძალიან მაწვალა, შენი ნაჩუქარი ბროლის კვერცხი კინაღამ წამართვა, მხოლოდ, — ძილხანზე ანიშნა, — ამან დამიბრუნა. — ვამეხი თავზე ხელის გადასმით კვლავ მოეფერა და გაემართნენ სხვებთან ერთად.

სხვები მიდიოდნენ სიმღერით. აქაც ეკოციმილი იყო გამყივარი, მაგრამ უეცრად შემობრუნდა და ორ უცხოელს მკლავი მკლავში გაუყარა. რუსული ცოტა ეხერხებოდა და შეეკითხა, თუ როგორ მოსწონთ აქაურობა, აღდგომას უცხოეთშიაც დღესასწაულობენ თუ არა, როდესაც დაუდასტურეს, გადიხარხარა და ასე უთხრა:

— ჰოდა, თქვენ ხომ „ვიზიტს“ ეძახით, ჩვენც ახლა ვიზიტს გავუკეთებთ მეზობლებსო.

უცხოელებიც აჰყვნენ ხუმრობაში. გაიძახოდნენ:

— დიახ, დიახ... ვიზიტ... ვიზიტ!

უეცრად ეკოციმილმა ორივე უცხოელი შეაჩერა და, თითქოს გულმა ვერ მოუთმინაო, ერთი ქართული გამოცანის ახსნა ამათაც მოსთხოვა, თან დაურთო, რომ ის, რასაც გამოცანა ეეხება, უცხოელებს უთუოდ ძალზე უყვართ.

— ასეთი გამოცანაა, — ქილიკობდა ეკოციმილი, — შეიძლება რუსულად მეც კარგად ვერ გადაგითარგმნოთ, მაგრამ აზრს გაგაგებინებთ. ქართულად ასეთია: „ქვეყანას გადასწვდა, ჭურეს პირს არაო“.

უცხოელებმა ბევრი იცინეს, რომ ეს თურმე ფული იყო და სიმახვილე იგრძნეს ამ გამოცანისა.

ეკოციმილი მაინც განაგრძობდა ახუნჯობას:

— აი, ხომ ხედავთ, თქვენი ფული სად მოსწვდა, სადღაც თქვენთვის გადაკარგულ მხარეს, სამეგრელოში, მხოლოდ ჩვენ პატარა ჭურის თავს კი ვერ გადააფარებთ თქვენს სტერლინგებს, თუ ჰო... თქვენ, მგონი, ფრანკები გაქვთ და ლუიდორები. მე არც ერთი არა მქონია, მაგრამ გამიგია კი მათი არსებობა. მაინც რამდენნაირია ფული ქვეყანაზე?

ამაზედაც ბევრი იცინეს უცხოელებმა და ცდილობდნენ ეკოციმილისათვის გაეზეპირებინათ ევროპული ფულის ნიშნების სახელები.

უცხოელებმა „ვიზიტიც“ გაუკეთეს ბარამს, ვამენს და შემდეგ გლეხებში სხვებს აღარ გაჰყოლიან. ისევ ნექტარინასაც

დაბრუნდნენ, მათვე გამოჰყვა ლევარსი და ბეგი, რომლებიც მოეშურებოდნენ, რომ სალამოსთვის ქალები წაეყვანათ სოფლის საცეკვაო ადგილისაკენ.

27

შესალამოვდა თუ არა, ქალები, ძილბანი და დესიც კი, წავიდნენ ჯგემარიონზე, მხოლოდ ნექტარინა არ გაჰყოლია მათ.

იქ უკვე თავი მოეყარათ სოფლელებს და ჩვეულებისამებრ ზოგი ბურთაობდა, ზოგი ერთ კარგა მოზრდილ წრეში საცეკვაოს მღეროდა, დაირას უკრავდა, ცეკვავდა და მხიარულობდა.

მალე ვამეხი მოვიდა და პირველ ხანებში მობურთალებში გაერია. ეს რომ დაინახეს ხანდაზმულმა გლეხებმა, დასცეს კიჭინა და ახალი ბურთაობა გააჩალეს. „არჩევან-არადანში“ ერთი მხრივ უცოლშვილოები დადგნენ და მეორე მხრივ, ცოლიანები. მათ შორის გაჩაღდა შეჯიბრება ლელოზე. მარჯვედ იყო ახალგაზრდობა, მაგრამ ვამეხის მეთაურობით არც ცოლშვილიანები უთმობდნენ პირველობას. ასე რომ, საქმე გაჭირდა, ორთავ მხრივ დაძაბული მდგომარეობა შეიქნა. სერთუკგახდილი ვამეხი, ბურთს ჩაიგდებდა ხელში თუ არა, ზუსტად მოწინააღმდეგის ლელოსაკენ გააქანებდა. მაგრამ საპასუხოდ ახალგაზრდებსაც გაჰქონდათ ლელო ვამეხის წრის წინააღმდეგ.

ამასობაში მოცეკვავეთა წრეში თითქმის მოთავდა ალო. ათამაშეს თითქმის ყველა ახალგაზრდა ქალ-ვაჟი. დარჩა მხოლოდ მიქე და ჩელა, მაგრამ ისინი მგლოვიარედ იყვნენ და ხალხის ერიდებოდათ, ობიშხიამ მიქეს შეატყო, რომ გულით უნდოდა ცეკვა. მიუახლოვდა და ასე დაუყვავა:

— იცეკვე, ბაბაია, იცეკვე! მგლოვიაროზა გეყოფა, კარგა ხანია კიდეც, რაც მამა გარდაგეცვალა! მისი ხანი შენ შეგმატებოდეს, შვილო! იცეკვე! ახალგაზრდობამ გული არ უნდა დაგიჩაგროს. ჰო, იცეკვე! დასაძრახისი აქ არაფერია.

მიქე ცოტა ხანს კიდევ ყოყმანობდა, მაგრამ როდესაც შესძახეს მისმა ტოლებმაც, მაშინ კი გავიდა წრეში.

ამის დანახვაზე ჩელა შეკრთა, მაგრამ, როდესაც მიქემ გაიწვია სათამაშოდ, მის სახეს გაკვირვება ჩამოშორდა. და თამამად გაჰყვა. ცნობელებმა შეამჩნიეს, რომ მიქეს და ჩელას

ცეკვა არ იყო ისე აღტკინებული. აქ თითქოს სავალდებულო რასმე ასრულებდნენ ორთავენი ზუსტად, წესიერად, არაფერს არ აკლებდნენ, მაგრამ როგორღაც ცეცხლი მაინც აკლდათ. დაძმამ ვერ გამოხატა სამიჯნურო ექსტაზი. მიუხედავად ამისა, ჩელას ცეკვამ ბარონესას ყურადღება დაიმსახურა და, როდესაც ჩელამ თავისი ვალი მოიხადა, მოიხმო და თავზე აკოცა. მიქე და ჩელას შემდეგ შმაგივით გამოვარდა ობიშხიას თადა და ვიღაცას მოუთმენლად დაუწყო თვალით ძებნა. მიაგნო. დესი ქალების ჯგუფში ცოტა უკან იდგა და თადამ რომ თავის დაკვრით საცეკვაოდ გაიწვია, დიდხანს იუარა, მაგრამ იქვე მყოფმა ქალებმა არ დაუჯერეს და საცეკვაოდ გააგდეს. დესი მაღალი იყო, ტანადი, სახიერი და მართლა მოუხდა ხელებგაშლილი ჩამოვლა და გოგმანი. თადა კი მის გარშემო ტრიალებდა თავდაუზოგავად. ფეხს უსვამდა. „სარეცხულს“ აკეთებდა. დესი კი ისე გაურბოდა ვაჟს, თითქოს გაფრენას აპირებსო. მთელი მისი არნაგობა თითქოს ამბობდა: ვერა, ვერ დამიჭერ, ხელში არ ჩაგივარდებიო. მაინცდამაინც ამათაც ხალხის მოწონება დაიმსახურეს. მათ შემდეგ ბეგიმ ლევარსი გამოიყვანა ასპარეზზე. ლევარსიმ ცეკვა არ იცოდა, მაგრამ მაინც წაიჩინდრიკა და თოლისჭვამი გამოიწვია. თოლისჭვამი დიდ უარზე დადგა. უარის მიზეზი უფრო ის იყო, რომ საერთოდ ლევარსი არ მოსდიოდა თვალში და ახლა კიდევ უფრო არ მოეწონა. არ, უყურებს და რასა ჰგავს ეს ლევარსი?

წიბური, წვრილთვალება, უწამწამო. სად მინახავს ასეთი თვალები? ჰო, ჩვენი ღორისათვის შემიმჩნევია. ტანში გააჟრჟოლა, — ან რა მოყვანილია! მოკლე ფეხებიანი, ჩაბუკნული ტანის, წელი და მხარ-ბეჭი ერთნაირად რომ აქვს შერგვალებული და მუცელი წინ გამოწეული. ეს სქელი წითელი ულვაშებიც ჯაგარს რომ მიუგავს, როგორ დაბალზე შეუკრეჭია, მაგრამ ლაშებს მაინც უხვირად გადმოფენია. ან როგორ აცვია? შავი კასტორის, მაუდის ჩოხა, ჩვენებური მეგრული შალის კი არა, ტანს რომ კოხტად ადგება, საჭილეებიც რა ნაღალზე აქვს ვაჩოჩხილი და შიგ ვერცხლის მოოქროვილი ქილებიც რომ უწყვია. არ შვენის, არა! ეს კიდევ რაღაა? შარვალი ჩამოშვებული ჰქონია და „პოლსპოჟკები“ აცვია. ამას პირველად ხედავს. აქამდე არც დაჰკვირვებია ასე დაწვრილებით. გაგონილი კი ჰქონდა, რომ მეგრელი ვაჭრები უფრო ხში-

რად იცვამდნენ ჩოხა-ახალუხს და ჩაშვებულ შარვალს, ირტყამდნენ ქამარ-ხანჯალს, თან თავზე ჭილოფის „შლაპა“ ან „კიზიროკიანი“ ქუდი ეხურათ. ლევარსის ამჟამად ქუდი არ ახურავს და მოუჩანს კარგა ძალზე მელოტი წითელი ბაღლინთ გარშემოსილი თავი. მხოლოდ, ღმერთო. როგორ ცეკვავს? ცეკვავს კი არა, დაჯლაგუნობს. ვერც სიმღერის და დაირის რიტმისათვის აუყოლებია ფეხი, სიმღერა და ხალხის ტაში ცალკეა, ამისი ხტუნვა კიდევ ცალკეა. ვაი სირცხვილო! ხანჯალიც რომ ჩოხის კალთაში შევარდნია. ეს განა შეიძლება? არა, არა მაგასთან არ იცეკვებს თოლისქვამი. იცეკვებს კი არა, არც დაინიშნება ამაღამ, არც ცოლად გაჰყვება. ეს რა გამოიგონა ქალბატონმა?! სულ არ ჰყვარებია ნექტარინას თოლისქვამი.

მტკიცე უარზე დადგა გოგონა და ცეკვის უცოდინარობა მოიმიზეზა.

მოეშვნენ, მაგრამ ფიქრები არ მოეშვა თოლისქვამს:

„რა ქნას? ჩაშალოს ნიშნობა? უარი თქვას გათხოვებაზე? მერე, მერე, სხვა გამოსავალი სად არის? ტაია?“ — ერთი გაიელვა ამ სახელმა მის შეგნებაში, მაგრამ ეს იყო მართლა გაელვება. უეცრად ჩამოვარდა სრული სიბნელე და თოლისქვამი თითქოს სრულიად შეიკუნჭა თავის თავში.

სამაგიეროდ ასპარეზზე ყელმოღერებული ირემივით ბეგი გამოიჭრა და თავის ახალ, მოსირმულ წუღა-მესტებით წრეს ჩამოუქროლა. ამ დროს დესიმ მედაირეს ჩამოართვა დაირა და ისეთის „რუხებით“ ააგრიალა, რომ იტყვიან, მკვდარსაც ააცეკვებდა. დესიმ, ცხადია, ბეგის ხალისით დაუკრა დაირა.

რიაბინინას მოცეკვავე ბეგის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა და დაგმარას წასჩურჩულა:

— უთუოდ დემონს ასეთი ფეხსამოსი ეცვა, როცა თამარს ეპარებოდა...

— რაო, რა თქვი? — შეეკითხა დაგმარა, მაგრამ პასუხი არ დაცლია: ბეგიმ რიაბინინა საცეკვაოდ გამოიწვია. რიაბინინამ ქართული ცეკვა არ იცოდა, მაგრამ ბუნებით მუსიკალური ადამიანი იყო, საცეკვაოს რიტმი კარგად ესმოდა და, წარბი არ შეუხრია, ისე გაჰყვა გამომწვევს.

არაფერი არ შეშლია. მკლავებიც ისე მოხდენილად გაშალა, როგორც ეს წეღან დესის შენიშნა, გოგმანიც კოხტა გა-

მოუვიდა, მეგრულ საცეკვაო სიმღერას და ეშხის მომგვრელ დესის დაირას ფეხი მშვენივრად ააყოლა და სახე ისე დაიკავა, თითქოს ვაჟს მართლა იწვევს თავისთან მისაახლებლად, შემდეგ თითქოს გაებუტა ვაჟს და ასპარეზს გაეცალა, მაგრამ, როდესაც ვაჟი მის წინ დადგა და ფეხებით თითქოს თავისი გრძნობები აათამაშა, ისე გაჰყვა მიჯნურს და ხელის მტევნით შერიგების ნიშანი მისცა, მხოლოდ ახლა თითქოს ვაჟი დარჩა რაღაცით უკმაყოფილო და შედგა ერთ ალაგას. ამ დროს რიაბინინამ ერთი წარმტაცად ჩამოუქროლა, შემდეგ შორიდან დაუწყო მიახლოება და თითქოს მართლა მოცურავსო, ასეთის მოგელვებით ვაჟის პირდაპირ დადგა და მიმზიდველი ტანის რხევით, თან სახის უცნაური მიმიკით ვაჟი კვლავ თავისკენ გაიწვია. დაიცვა ცეკვის ფინალის წესიც: გაჰყვა-გამოჰყვა კავალერს, ბოლოს თავისიანებს.

უცხოელებმა ერთიმეორეს გადაულაპარაკეს, რომ ეს უფრო რაფინირებული შესრულებაა აქაური მართლა შესანიშნავი ცეკვისო. და მართლაც, ეს იყო თითქოს ვინმე ვირტუოზის მჟერ თავისებურად გამშვენიერებული ფოლკლორი. უცხოელებმა ტაში დაუკრეს და მათ აჰყვა ყველა წრეში მყოფი. სრფლელებს უკვირდათ რუსი ქალის ასეთი მოხერხებულობა, მაგრამ გამოცდილები ამბობდნენ: განათლებული ქალია და განათლებულს რა არ შეუძლიაო.

— ვამეხ, სადა ხარ?. მოდი აქ, შე კაცო! — გადასძახა ბარონესამ. ვამეხი მობურთალებში იდგა, დაღლილობისაგან ოფლს იწმენდდა, სხვებთან ერთად ხარხარებდა. დაძახილზე წამოვიდა.

— დაიღალე, ვამეხ?

— ჰო, თავი მოვიგიჟიანე. ჩემი ახალგაზრდობა გამახსენდა. ჩემს სიყმაწვილეში რამდენჯერ მიბურთაოვნია სწორედ მათთან.

— მერმედა გაიმარჯვე? — კვლავ შეეკითხა ბარონესა.

— არა, ახალგაზრდებმა, უცოლოებმა გვაჯობეს, მე თუმცა უცოლო ვარ, მაგრამ ხანდაზმულობის გამო, ძველ ბეგობრებს არ ვაწყენინე და ცოლშვილიანებში გავერიე, მაგრამ ახალგაზრდებმა გვაჯობეს, თუმცა... ძალზე კი გავუჭირვეთ საქმე.

— არ დაგგრილოს, ოფლიანი ხარ.

— არა, არაფერია, — გაიხედა. თვალი ჯგემარიონს მოუხვ-

და. უცბად წარმოთქვა: — არ გინდათ, მინადორა, ჯგემარიონი დაათვალიეროთ?

— მართლა, მართლა, კარგი იქნება. რამდენჯერ ვყოფილვარ აქ თქვენთან და არც ერთხელ არ დამითვალიერებია. გოგოებო! — მიმართა თავისიანებს, — წავიდეთ, ვნახოთ ჯგემარიონი.

არცთუ ისე შორს იყო ჯგემარიონის ნანგრევები და გაემართნენ. ლევარსი და ბეგიც ვამეხის ჯგუფს გაჰყვნენ.

გზაში ვამეხი უამბობდა, რომ ეს ძველისძველი ტაძარია ქერპთაყვანისმცემლობიდან შემორჩენილი, ერთ დროს ქრისტიანულ ეკლესიადაც გადაუკეთებიათ, რისი აღმნიშვნელი წარწერა ახლაც მოჩანს ერთ-ერთ კარების კამარაზე; „მე ვარწმუნე ჯაიანმა ავაგე ტაძარი ესე“. მაგრამ ნანგრევებში სხვა არაფერი საეკლესიო აღარ არის შერჩენილი. ნუ გეშინიათ, წამობრძანდით, აქ ქვემძრომები აღარ ბუდობენ. მე აქ სულ გამოვაფინე ეკალ-ბურდი და მთელი ნანგრევების დათვალიერება ადვილად შეიძლება. ეს ეკვდერია, ეს ტრაპეზი, ქვისაგან აგებული. — ხალისით უხსნიდა ვამეხი გზმყოლებს. — მხოლოდ ეი-ეს დიდი ფილაქანი, ტაძრის შუაგულს რომ არის შერჩენილი, ეს ძველი სამსხვერპლო ყოფილა. წინათ ხომ ადამიანებსაც სწირავდნენ მსხვერპლად, დააწვენდნენ ამ ფილაქანზე და...

— ოჰ, კლავდნენ? — ცნობისმოყვარეობით თვალი შეავლო ფილაქანს რიაბინინამ.

— რასაკვირველია.

— საქართველოშიაც ადამიანებს მსხვერპლად სწირავდნენ? — ახლა ბარონესა შეეკითხა ვამეხს.

— ამას დანამდვილებით ვერ გეტყვით. მე ისტორიკოსი არა ვარ, ჩვენი მეცნიერები კი სხვადასხვა აზრისანი არიან. ერთი კი ცხადია — ეს ფილაქანი სამსხვერპლოდ იყო განკუთვნილი, და თუ ადამიანებს არა, პირუტყვს მაინც სწირავდნენ თავიანთ ღმერთებს.

რიაბინინამ გადაიკისკისა. გაახსენდა თხის მეგრული სახელი:

— ქაცარი! — მეგობრულად გაიხუმრა მან და ყველანი გაიცინა.

კარგა შებინდებამდე დაჰყვნენ ნანგრევებზე, რადგან ვამეხის ნაამბობი მათ დიდხანს აართობდა.

ამაზე ნაღვლიანად შენიშნა ბარონესამ:

— რა გამოვიდა მერმე? ეტყობა, რომ საქართველო მხოლოდ წარსულის მოგონებით ცხოვრობს. იტალიას მაგონებს ჩვენი ქვეყანა. იქაც მხოლოდ ნანგრევებითა და წარსულით ამაყობენ.

— არა, მინადორა, არა! ჩვენს ქვეყანას დიდი მომავალი აქვს.

ამაზე შეწყდა მათი საუბარი; როცა დაბრუნდნენ, შეამჩნიეს, რომ ნექტარინას ეზოს ჭადრის ძირში ღრმად ჩაფიქრებული იჯდა ეკოციმილი.

ყველას გაუკვირდა ეკოციმილის ასეთი მდგომარეობა. მაგრამ ვამეხმა აუხსნა, რომ ხშირად იცის ასე: მხიარულობს, მხიარულობს, სხვებსაც ამხიარულებს, მღერის, ცეკვავს, ლაზღანდარობს და უეცრად კი საოცრად მოიწყენს და ისე გარინდდება, რომ ვერაფერს და ვეღარავის ვერ ამჩნევს, ეს კი სულ იმის ბრალია, რომ ერთ დროს, ამ რამდენიმე წლის წინათ, საშინელი ტრაგედია განიცადა.

სთხოვეს და ვამეხიც მოუყვა ეკოციმილის ამბავს.

„ერთხელ მეგობრები შემოვეხვიეთ ეკოციმილს და ხუმრობაშეყოლებით ვუსაყვედურეთ საერთოდ ის, რომ ქალებში მეტისმეტი გართული იყო.

„ეკოციმილი ცოტა შეღვინიანებული იყო და საუბარში გულგახსნილი:

„— ნუ გიკვირთ, ნუ, მეგობრებო, ჩემი ქალებთან დამოკიდებულების ამბავი. ეს უკვე ჩემი თვისებაა, ჩემი ზნეა, ამ ბოლო ხანებში ამოჩემებული, დაკვებებულიც, თუ გნებავთ, და მეც აღარ ვეწინააღმდეგები, ჩემი გონება აღარ ეურჩება ჩემს ესეთს თითქოს თავაშვებულობას. ზოგჯერ ვის წავებორძიკები და ზოგჯერ ვის და რაც უნდა ვმალო, აკი „ჭირმა მაინც თავი არ დამალა“. ესეც ვიცი, რომ ჩვენებური ბიძებო, ჭმრები, ნათლიმამები აგერ თქვენთან ერთად ჩემს საქციელს, უკეთეს შემთხვევაში, თავშეუკავებლობას ეძახიან, მაგრამ საქმე ასე არ არის.

„— აი სწორედ ეგ გვაკვირვებს, ევგრაფ, რომ ყველას გვახსოვს ახალგაზრდობაში ძალიან თავდაჭერილი ყმაწვილი იყავი ქალებში, შენი ერთი რომანი არ გაგვიგონია, თუმცა ცოლი ადრე შეირთე და მერე რა ქალი.

„ეს უთხრა რომელიღაც ჩვენგანმა. ეკოციმილს კი შუბლი შეეჭმუხნა და მხიარულად მოციმციმე თვალები თითქოს სადღაც შავ სევდაში ჩაუღრმავდა.

„ერთმა მეგობარმა კი ეკოციმილის ცოლის პიროვნება გაიხსენა, მისი აღნაგობაც, და ასე წარმოთქვა:

„ — მზეთუნახავი იყო, საცოდავი!

„ეკოციმილმა ღრმად ამოიოხრა და, თითქოს თავის თავს დიდი ხნის ცნობილი ჭეშმარიტება განუმეორაო, ყრუდ ჩაილაპარაკა:

„ — მზეთუნახავი კი არა, ანგელოზი იყო, ნამდვილი ანგელოზი.

„ეკოციმილს ხმა აუკანკალდა და დიდი, მსხვილი ცრემლი გადმოუგორდა ვაჟკაცურს ღაწვებზე.

„ჩვენ მაშინვე შევეცადეთ საუბარი ისევ სალაღობოზე გადაგვეტანა, რადგან ყველამ ვიცოდით, რომ ეკოციმილს თავისი ულამაზესი ცოლის, მეტად სათნო ადამიანის დაკარგვა აჭამდის არ ჰქონდა მონელებული. აგერ ათი წელიწადი იყო გასული, რაც ეკოციმილს მისი საუცხოო მეუღლე საშინელი სიკვდილით დაეღუპა: ცეცხლში დაეწვა. ამან თავის დროზე მთელი იმ კუთხის შეშფოთება და მგლოვიარება გამოიწვია. ასე რომ, ამ ამბის გახსენება ყველასათვის მუდამ შემზარავი იყო, მაგრამ, ცხადია, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ სხვაც მოხდა ამ სოფლად ყურადღების მიმტაცი და დამპყრობი, ეკოციმილის ცოლის უბედურება კი უფრო მინელდა სხვების თვალში, მაგრამ თვით ეკოციმილისათვის კი ამ ბეჭი შემთხვევის გახსენება მუდამ იყო ხელახლად გულის მომწყვლელი და თავზარდამცემი.

„ამიტომაც ყველა ერიდებოდა ეკოციმილთან მისი მეუღლის ხსენებას. მეც დიდად ვეკრძალებოდი, მაგრამ იმ დროს როგორღაც სიტყვამ მოიტანა და ჩვენც გულისყური ვერ მივაყოლეთ იმას, რომ შეიძლებოდა ეკოციმილისათვის ამ გახსენებას კვლავ აეშალა ძველი იარა.

„ათი წელიწადი იყო გასული, ათი წელიწადი! ეს ხუმრობა ღრო არ არის ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში. ესეთი ხანგრძლივი ჟამთა ცვლა, თქვენც კარგად იცით, ადამიანის ცხოვრებაშიაც ბევრს სიმწვავეს თავის ძალას ართმევს, ბევრს წამოჭვიებულ ფერს ახუნებს. ბევრს რასმესაც, რაიც ძალზე შე-

მაწუხებელი იყო, სრულიად შლის მახსოვრობიდან და ასე სულ.

„მერმე კიდევ ეკოციმილი ამ ხნის განმავლობაში სულ სხვა ცხოვრებას ეწეოდა, თითქოს უდარდელს და თავაშვებულს, მაშასადამე, ათ წელიწადს მასზე ამ მხრივაც უნდა თავისი დაღი დაემჩნია, მაგრამ დახე!

„ეკოციმილსაც თურმე, როგორ იტყვიან, „გული შიგნითა ჰქონია“.

„ჩვენთან ლაპარაკი აღარ განუგრძვია, ისე დალვრემილი მოგვშორდა და სადღაც, რომელიღაც ხის ძირში, როგორც ახლა, ღრმად ჩაფიქრებული ჩამოჯდა.

„ერთმა მეგობარმა კი მისი წასვლის შემდეგ ასე დაგვიდასტურა:

„— თქვენ როგორა გგონიათ, აშკარაა, მის გულში ჯერ კიდევ არ გამქრალა სიმწვავე იმის მოგონებისა, რომ ამ ათი წლის წინათ მის ეზოში კაბააპრიალებული, ალმოდებული დარბოდა თავზარდაცემული ქალი და არ იცოდა, თავისათვის როგორ ეშველა.

„ამის შემდეგ იქ მყოფმა მომსწრეებმა გაიხსენეს უფრო დაწვრილებით, თუ როგორ მომხდარიყო ეს უბედურება:

„ქმარი შინ არ იყო თურმე, არც შინამოსამსახურე ხახუხაბაზი. მხოლოდ ერთი პატარა გოგონა წივილ-კივილით თავს დატრიალებდა უკვე მოლზე დაგორებულ, ცეცხლმოკიდებულ ადამიანს და... ცხადია, რომ ვერაფრით ვერ უშველა.

„ეკოციმილის ცოლს თავის დაბანის დროს დაბანართოდა ეს ამბავი. სამზარეულოში იბანდა თავს. კერიის ცეცხლი წამოედო ქვედაწელის მოსაბურს. ქალმა ჯერ ხელით ეცადა ცეცხლი შემოექრო, მერმე ჩამოიწია კიდეც ტანისამოსის კალთები, არც ამან გასჭრა, შემდეგ ის იყო გამოვარდა ეზოში. ერთ ხანს გიჟივით დარბოდა, შემდეგ მიწაზე დაგორდა, მაგრამ ყოველივე მაინც უბედურებით დამთავრდა.

„ვერც მეზობლებმა უშველეს, რადგან მათ გვიანობამდე, სანამ პატარა გოგომ არ შემოურბინა და სოფელს არ აცნობა, არაფერი არ გაუგიათ. სამეგრელოში ხომ მცხოვრებლები ერთიმეორეზე კარგა მოშორებით მოსახლეობენ და, თუ არ დიდის ყიჟინით, ერთიმეორეს ვერაფერს ვერ გააგებინებენ.

„აქ კი მამაკაცი სახლში არავინ იყო, გოგო ერთ ხანს მხო-

ლოდ სხმარტალებდა, მეზობლებთან გაჭცევა კი გვიან მოიფიქრა. ხოლო როცა ისინი მოცვიკდნენ, ეკოციმილის მეულლეს უკვე სული აღარ ედგა. მისი მშვენიერი სხეული უბრალო კუნძივით იწვოდა და ცუდი კვამლით ხრჩოლავდა.

„როდესაც ეს ამბავი ევგრაფ — ეკოციმილის შეგნებას ჩაწვდა, რადგან კარგა ხანს ვერ გაეგო, რაც უბედურება წვეოდა, მაშინ გადარეულს დაემსგავსა და ამბობდნენ, მთელი ერთი კვირა ოთახში დაბმული ჰყავდათ, არსად არ უშვებდნენ ისე იყო გაგიჟებული და ქალიც ისე დამარხეს, რომ ეკოციმილს ძვირფასი მიცვალებულის კუბოც არ უნახავსო. მისი ოთახიდან კი გამოისმოდა გულშემზარავი ღმუილი, რაც დაჭრილი მხეცის ზმუილს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანურს გმინვა-გოდებას.

„და საშინელი იყო თურმე ერთი მხრივ განაბშირებული ქალის ძვლების დანახვა და მეორე მხრივ ეკოციმილის გამხეცებული ხმის მოსმენა.

„ასე დაიღუპა მაგის ოჯახი, ჭერმე რა ოჯახი! ერთიმეორის გულწრფელი მოყვარული. თან როგორი ერთიმეორის შესაფერი: ხასიათით, სხეულით, შესახედაობით. ახლა კი სულ სხვა ცხოვრებას ეწევა, ეკოციმილმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნია, თითქოს უდარდელი გახდა, დაუდევარი, მხიარულობს, ლაზღანდარობს, მაგრამ, როგორც დაინახეთ, ხანდახან ისეთ დაღვრემილებას მიეცემა, გამოუთქმელია.

„გაამტყუნებთ?“

უკვე სრულიად დაღამდა და სტუმრებმა იწყეს მოსვლა ნექტარინასას. თოლისჭვამის და ლეგარსის ნიშნობაზე იყვნენ მიპატიჟებულნი. თითქმის ყველა შეგროვდა, მხოლოდ რიაბინინა და ბეგი არ ჩანდნენ. ბარონესამ კი ასე განმარტა:

— სადმე ჩამოგვრჩებოდნენ და მარინა ახლა უთუოდ თავად ბეგის რომელიმე ფრანგული რომანის შინაარსს უამბობს. ნელა მოსეირნობენ, უთუოდ მალე მოვლენ.

ბეგი და რიაბინინა მართლაც მოსეირნობდნენ სახლისაკენ. ქალი ისე მიყრდნობოდა თავით ბეგის ხახარს, თითქოს მოჯადოებულაო. ბეგის გარდა მას ახლა არაფერი არ სურდა, არავინ არ უნდოდა. მწკავე ტკბილი ჟრუანტელი უვლიდა ტანში, მაგრამ გონება მაინც არ დაჰკარგოდა. ბეგის მტკიცედ ეუბნებოდა:

— ახლა კი სწორედ ცოლად უნდა შემირთო. სხვა გზა არ არის!

— რასაკვირველია, რასაკვირველია, ჩემო კარგო, ჩემო მარინა! აკი გითხარი, შემოგფიცე. მარიკა... მარი! — და ვაჟმა ერთხელ კიდევ მაგრა მიიკრა თავის გულ-მკერდზე აღფრთოვანებული რიაბინინა.

ასე ჩახვეულმა ერთი ცბიერად ახედა ბეგის სახეს, შეჰღიმილა და ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა:

— ჯგემარიოზი აჰ? ბეგლიარ... ბეგი!.. ამიერიდან ჩემთვის დაუვიწყარია... ეგ ადგილი... ჰა, ჰა! ფილაქანი! სამსხვერპლო!! ქაცარი! მე შენი ქაცარი ვარ სიყვარულის სამსხვერპლოზე შეწირული, არა, ბეგი, ჩემო, ჩემო!

— ქაცარი კი არა, ჩემი ღვთაება ხარ, გენაცვალოს ჩემი თავი!

— მაშ ასე! — ბეგის ყელზე მკლავებშემოჭდობილი, ახლა ასე უხუმროდ ელაპარაკებოდა: — აი, მივალთ თუ არა, ჩვენ ორთავემ, უწინარეს ყოვლისა, ბარონესას უნდა დავუჩოქოთ.. ის ხომ ჩემი დედობილია, თითქმის ჩემი აღმზრდელი. სხვა მე არავინ არა მყავს.

ბეგი, რა თქმა უნდა, სიხარულით დაეთანხმა და მოვიდნენ თუ არა, ბარონესა ცალკე ოთახში გაიხმეს და დაჩოქილებმა დალოცვა გამოთხოვეს.

რიაბინინამ ისიც დაამატა, რომ ბარონესას ეს ამბავი ოფიციალურად გამოეცხადებინა დღესვე და მათი დანიშვნაც თოლისქვამის დანიშვნასთან ერთად დღესვე მომხდარიყო.

ბარონესას ცოტა გაუკვირდა, მაგრამ ეს არჩევანი არც თუ მთლად დაუწუნა და, მართლაც, იქ შეკრებილებს ყველას გამოუცხადა, რომ თავადი ბეგის და მარინა რიაბინინას ნიშნობაც დღეს იქნებაო.

ამან უმრავლესობაში სენსაცია გამოიწვია.

უცხოელებმა თქვეს — ეს რა ოჯახი ყოფილა? აქაურ თავადებს, ეტყობა, ქორწილსა და ქეიფს არა ურჩევნიათ რაო.

ვოლკოვი რიაბინინასთან მივიდა:

— გილოცავთ, მაგრამ თქვენი არჩევანი ვერ მომიწონებია. ბბა რაში შეგეფერებათ ეს ველური თავადი. პეტერბურგში ბბა რომელ სალონში გამოაჩენთ მას?

— თქვენ თავს მაინც ეგ მირჩევნია! — მკვახედ უპასუხა რიაბინინამ და ჩამოშორდა, ვოლკოვმა ტუჩი მოიკვნიტა.

ნექტარინა აღტაცებული იყო. მიხვდა, რომ ბეგის მისი დარიგება გამოეყენებინა.

ახლა ნექტარინას, მისი ფიქრით, ყოველივე რიგზე ჰქონდა მოგვარებული: თოლისქვამი — კვიზინიას, შეძლებულ კაცს, და მის პატივისმცემელს, რიაბინინა — ბეგის, რუსი არისტოკრატი ქალი, შეძლებული.

ახლა კიდევ უფრო იმედი მიეცა, რომ „მისი არჩილის“ ხშოვნის პატივსაცემად მაიორატის საქმეც მალე მოგვარდებოდა.

„აი, როგორ შევატრიალე დიდი ოტიეს ოჯახის ბედი!“ — არ იმჩნევდა, თორემ გულში მეტად გახარებული იყო.

— ნექტარინას სწამდა ბედის ტრიალი.

მხოლოდ ეს კი ვერ განჭვრიტა, თუ ეს ბედი მომავალში როგორ შემოტრიალდებოდა.

დესიმ რომ ბეგის ამბავი გაიგო, თავის გუნებაში დიდად შეწუხდა. ძალზე შეწუხიალდა, ერთ ადგილას ვეღარ დგებოდა. სულ მიდ-მოდიოდა, დარბაზიდან ბივანზე, ბივნიდან ისევ დარბაზში, თითქოს თავისთვის ადგილს ვერ პოულობდა, სანამ ძილხანმა და ჰესარიამ არ დაუძახეს სუფრის დალაგებაზე დაგვეხმარეო. დაეხმარა კიდეც, მაგრამ ათასი ფიქრი თავიდან არ გაშორებია:

— მე სულელი, როგორ ვენდე ქარაფშუტა ბეგის ფიცს! არა, ვიცოდი, რომ არ შემირთავდა, მაგრამ იმდენ რამეს რომ დამპირდა: სამოსახლოსაც, კაბებსაც, მორთვა-მოკაზმასაც. ახლა? — სუფრიდან რომ მობრუნდა გუტატის წააწყდა.

გუტატი დამცინავი ღიმილით შესცქეროდა.

დესი მიხვდა. თავი აარიდა. გულში მაინც ასე გაიფიქრა:

„არა, შენი დასაცინი არ გავხდები. რა ვუყოთ, რომ ბეგი ცოლს ირთავს? განა ამისთანები მომხდარა! ხომ შეიძლება, რომ ბეგის კარგი გაწყობილება ისევ შევინარჩუნო! თუ არა და თადა აგერ არა მყავს. მართალია, წელან, ცეკვის შემდეგ, არ შიყობა რომ დამიწყო, ერთი დავში ჩავუფაჩუნე, მაშინ არ ვიცოდი მე უბედურმა ბეგის ამბავი, მაგრამ ისეა ის ბიჭი ჩემთვის გაგიჟებული, რომ თავს არ დაიზოგავს... მშვენიერი ბიჭია, რას ერჩი! დედისერთაა, გვარიანი ოჯახიც აქვს გლეხის

პირობაზე, კარგად მაცხოვრებს... თუ არა და... — კიდევ ინაცვლა დესის ფიქრმა, — კარგად ვიცი — გუტატი ასე ახირებულად ვერ მომშორდება. ქალი არ ვიქნები, თუ ის მიმჭკნარ კნეინას მისი თავი არ წავართვი".

ამ გეგმებმა დესი გაახალისეს და ამაზე გული დააჯერა.

მასაც სწამდა ბედის ტრიალი, მხოლოდ არც იმან იცოდა მისი გზა-კვალი.

21

ვახშმად დიდი ქეიფი გაჩაღდა. ახლად დანიშნულები სუფრის თავსა და ბოლოში ერთიმეორის პირდაპირ დასვეს. რიაბინინას ბარონესა ამოუჯდა და მის გვერდით კიდევ სიცილხუმრობით სხვას არ დაანება ადგილი და ეკოციმილი დაჯდა. მეორე მხრით, ბეგის გვერდით, ვამეხი მოთავსდა. თოლისქვამთან თვითონ ნექტარინა და ლევარსის გვერდით — ბარამი. დანარჩენი ადგილები სტუმრებს ეჭირათ — უცხოელებს, ვოლკოვს, დაგმარას, და შინაურებში თედორე მღვდელს და გუტატის. ძილხანი, კესარია და დესი კვლავ სუფრას ემსახურებოდნენ, სხვა გოგო-ბიჭებს კი მოჰქონდათ სანოვაგე, ღვინოები და კესარიას და სხვებს აძლევდნენ სუფრის გადასაცემად.

თოლისქვამისათვის ძალიან კარგად ჩაეცვათ და მოერთოთ. მაგრამ თვითონ კი ისე იყო გაქვავებული, თითქოს სასიკვდილოდ არის განწირულიო.

მთელი ვახშმის განმავლობაში ერთი ხმა არ ამოუღია, ერთი არ გაუღიმია, მხოლოდ როდესაც ნექტარინა წაჰკრავდა მუჯლუგუნს, საჭიროების დროს ლევარსისთან ერთად ფეხზე დგებოდა და სადღეგრძელოებს თუ საჩუქრებს ღებულობდა.

ნიშნობის დროს საჩუქრები არცთუ ისე იყო მიღებული. ეგრეთწოდებული „თავგადასავდები" უფრო ჯვრისწერის დროს იცოდნენ, მაგრამ ნექტარინამ მოისურვა, რაიმე მაინც ეძღვნა ორთავე წყვილისათვის და ამას სხვებიც აყვნენ, თუმცა ამისათვის მოუმზადებელნი იყვნენ.

ნექტარინამ თოლისქვამს მხოლოდ ეს უთხრა — შენი მზითევი ხომ ჩემზეა და ჩემზე, ჯვრისწერის დროს ვახავ, როგორც დაგპირდი; ლევარსის კი ერთი საუცხოო ჭარვის კრიალოსანი გადასცა, როგორც ნიშანი დარბაისლობისა. იცოდა,

რომ ვაჭრებს უყვარდათ კრიალოსნები. შეიძლება ზოგიერთი თავის შემოსავლის პროცენტებს ამითაც ანგარიშობდა. სამაგიეროდ რიაბინინას მიართვა ოქროს ძველებური ბეჭედი, რომელსაც ძვირფასი პაწია თვლები ჰქონდა ჩასმული და გვირგვინისებურად იყო მოყვანილი.

რიაბინინამ დიდად გაიხარა ამ საჩუქრით და თითქმის მთელი ვახშმის განმავლობაში ხან ერთ თითზე წამოიცვამდა, ხან მეორეზე, ხან წინ დაიდებდა და უკვირდებოდა, ხან ხელში ატრიალებდა. როდესაც ვამეხისაგან გაიგო, რომ ეს ბეჭედი ძველი, ქართული ნახელოვნევი იყო, კიდევ მეტი კმაყოფილება იგრძნო.

ნექტარინამ, როგორც კი ეს საჩუქრები დაარიგა და დაკოცნა დანიშნულები, წარმოთქვა სადღეგრძელო და ერთი მომცრო ყანწი გამოცალა, თან იმერული საერთო ჰანგით მრავალჟამიერი დაიწყო.

ამ ხმის გაგონებაზე ეკოციმილი წამოვარდა თავისი ადგილიდან, იქვე ახლო მდგომ ბათუს ხელი წაავლო, ორთავენი ნექტარინას თავს დაადგნენ და სიმღერა სამთავემ მწყობრად შეასრულეს.

ნექტარინას სიმღერა ყველას მოეწონა, უცხოელებსაც კი, რადგანაც ხმის ტემბრი ჰქონდა მეტად მომხიბლველი, საამური კონტრალტო, რაც მის ხანდაზმულობას ჯერ კიდევ არ დაეზიანებინა.

სუფრაზე საერთო მოწონების ხმა გაისმა. ზოგს „შენი ჭირი შემეყაროსო“, ეხეც კი წამოსცდა. მომსწრეებმა გაიხსენეს, რომ ერთ დროს ნექტარინა მშვენივრად მღეროდა ქართულ სუფრაზე.

ბარონესამ თავისი მკერდიდან აიხსნა და მშვენიერი ბრილიანტის გულის ქინძისთავი აჩუქა თოლისჭვანს, რიაბინინას კი მხოლოდ აკოცა. ვითომდა იმის ნიშნად — ჩვენ შინაურები ვართ და მოვახერხებთ მომავალშიც შენს სიამოვნებასო.

ბარამმა ყანწი ჩამოართვა ნექტარინას და რიაბინინას თავისი ცოლის ნაქონი რახტი აჩუქა. ეს იყო ძველებური, ქალის უნაგირი, მოვერცხლილი მოსართავებით, საძუე და სამკერდეთი მდიდრულად შემკული. თან დასძინა: „ხვალ მოგართმევთო“.

ამაზე დიდად შეწრიალდა ეკოციმილი.

— რა ვქნა, ამჟამად ხელცარიელი ვარ, ასეთ ამბავს არ ძოველოდი და ამიტომ ახლა მხოლოდ შაირებს გეტყვით ორ-თავე წყვილს:

— თქვი, თქვი! — მიაძახეს და იმანაც ორიოდე შაირი წარმოთქვა.

აღდგომა დღეს ნიშნობა გვაქვს,
გვითხოვდება მარინა.
კნიაზ ბეგიმ ის წაგვართვა...
მუშო მოკო მა რინა!*
ლევარსიმაც ეს რა გვიყო? —
მიჰყავს ცოლად თოლისქვამი!
სხვა რა დამრჩა, ვამეხს ვეტყვი:
გეშვი ღვინი, ქადმახვამი!**

ამან შეიტანა თავისებური გახალისება სუფრაზე და კვლავ გაისმა წექტარინას საამური ღიღინი: „გულო შავგულო, გამოაცხადე, ვინ შემოგავლო სევდისა ბადე“.

ამ სიმღერაზედაც ეკოციმილი ისევ მოწყდა თავის ადგილს და ბათუსთან ერთად ნექტარინას დაეხმარა.

ვამეხმა ეკოციმილისაგან ყანწი რომ მიიღო, წამოდგა და ამანაც ბოდიში მოიხადა, მეც ხელცარიელი ვარო, მაგრამ დაპირდა, რომ ამას ჯვრისწერის დროს გამოასწორებდა... შემდეგ კი ბეგის სიცილით ასე უთხრა:

— ბეგი, შენ იცი, რომ შექსპირს აქვს ნათქვამი: მამაკაცი აპრილია, როცა არშიყობს, და დეკემბერი, როცა ცოლს შეირთავსო. შენც ასე არ მოგივიდეს, თორემ მარინა ივანოვნა გაგეყრება და... ჩემთან მოვა.

ამან საერთო სიცილი გამოიწვია. რიაბინინამ კი მკვირცხლად შეაგება:

— ბეგი რომ არ მყავდეს, თქვენ, ვამეხ ოტიევიჩ, დიდი სიამოვნებით შეგიუღლებოდით.

— ო-ო, თქვენ მეტად თავაზიანი ბრძანდებით, მარინა ივანოვნა, — სიტყვა შეუბრუნა ვამეხმა, — მაგრამ ეს კი უნდა გითხრათ: ინდოეთში არსებობს ძველისძველი კანონი, სადაც ერთი ასეთი მუხლია თურმე შეტანილი: ერთგული ცოლისაგან

---

* რაღად მინდა ცხოვრება!
** დალიე ღვინო, გადმომილოცე!

ქმარი, თუნდაც ყოველ სიკეთეს მოკლებული და მოღალატეც, ისე უნდა იყოს მიჩნეული, როგორც ღმერთი.

— ო-ო, ეგ მომწონს! — არ ცხრებოდა რიაბინინა. — თქვენ იცით, რომ მე ხუცების ღმერთი არც თუ ისე ძალიანა ძწამს... — აქ ღიმილით გადახედა თედორე მღვდელს. ბარონესამ ლმობიერი საყვედურით თითი დაუქნია. ის კი განაგრძობდა: — მხოლოდ ღმერთი, ჩემის ფიქრით, ქალს მაინც უთუოდ უნდა ჰყავდეს და ქალისათვის უკეთესი ღმერთი ვინ იქნება, თუ არა მისი ქმარი. ინდოელები ჰკვიანი ხალხი ყოფილა. — რიაბინინამ ბეგის ყურში ჩასჩურჩულა: — შენ ჩემი ღმერთი ხარ, ბეგლიარ!

— მე კი არა, შენა ხარ ჩემი ღვთაება! — უპასუხა სახეგაბრწყინებულმა ბეგიმ.

ამ დროს მათთან მოვიდა დესი კდემამოსილი, დარცხვენილი. რიაბინინას ჩვეულებისამებრ, როგორც უკვე ქმრიანს და მომავალ ქალბატონს, გულ-მკერდზე ეამბორა, ბეგის ათრთოლებული ხმით მიულოცა გაბედნიერება, თან დასძინა:

— თუ კი მიკადრებს ქალბატონი, მომავალში ბალიშის პირებს მოვუქარგავ.

ბეგიმ გადაუთარგმნა რიაბინინას. იმანაც მადლობის და თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. თან ერთხელ კიდევ დააკვირდა დესის. გულში გაიფიქრა: „მართლაც და რა მოხდენილი ქალია! მაგას რომ განათლება მისცა, ჩვენ ყველას გაგვახუნებდა. ჯერ ახლაც რამდენი ქალური ეშხი და იერი აქვს, თუმცა მაგის კდემამოსილების არა მწამს რა. ჩემი ბეგი კი მოსწონს, ეტყობა. ალღოთი ვგრძნობ ამას. ჰოდა, მოსწონდეს. ჩემი ბეგი ყველას უნდა მოსწონდეს. ჯერ სადა ხართ! ძალიან მალე ჩემი ბეგი ისეთი იქნება, რომ ყველას თვალი ზედ დაგრჩებათ“.

უცხოელებიც შეწრიალდნენ. ბოდიში მოიხადეს, რომ ასეთი შუმთხვევისათვის შესაფერი მათ ამჟამად არაფერი მოეპოვებოდათ, მაგრამ დაპირდნენ: ქუთაისში უთუოდ რაღმე კარგს გამოვძებნით და ორივე წყვილს ვასიამოვნებთო.

ამასობაში ვოლკოვი დაგმარას ელაპარაკებოდა:

— აი ახლა კი თავისუფალი ხართ. უკვე თავი დააღწიეთ მარინას აპეკუნობას...

— მარინა ჩემი აპეკუნი არ იყო,

— არა, ვიცი, მაგრამ თქვენზე დიდი გავლენა ჰქონდა. ეს მე არ მომწონდა. არ მომწონდა თვითონ მარინაც.

— ვითომ? მგონი თავზე ძალიან დასტრიალებდით?!

— სრულებითაც არა. მე შეიძლება შორიდან, — მაგრამ მაინც თქვენ დაგტრიალებდით თავზე და დაგტრიალებთ. მე თქვენ მომწონხართ, ბარონესა.

— ოი, რას ლაპარაკობთ!

— მართალს. მე იმე მომწონხართ, რომ მზადა ვარ წელი გთხოვოთ.

დაგმარამ თითქოს ნაწყენმა თვალი შეანათა ვოლკოვს:

— ეგ დედაჩემს უნდა ჰკითხოთ:

ვოლკოვს წამოსცდა:

— ჭირივით მეჯავრება დედები და ყოველგვარი გამდელები.

— აბა დედაჩემზე მაგას როგორ ამბობთ?

— არა... ბოდიში! დედათქვენი გამჭრიახი ქალია, მაგრამ... ეს ხომ მოძველებული ამბავია, როცა სრულწლოვანი ქალიშვილებიც კი დედ-მამას ეკითხებოდნენ თავიანთი გათხოვების ამბავს. თქვენ ხომ სრულწლოვანი ხართ?

— ვარ.

— მაშ დედათქვენს რა ესაქმება?

— ეგრე ნუ ლაპარაკობთ დედაჩემზე.

— მე არაფერს ცუდს არ ვლაპარაკობ, მხოლოდ მინდა, თანამედროვე ქალმა და ისიც თქვენისთანა წრიდან, მეტი გაბედულება გამოიჩინოს. თქვენ ხომ იურიდიულად უკვე დამოუკიდებელიც ბრძანდებით, მამითქვენის მთელი ქონების ხომ ერთადერთი მემკვიდრე ხართ.

„აჰაა!“ — გულში გაიფიქრა დაგმარამ. თითქოს ძალზე „გონებაშეუფთამაშებელი“ ქალი იყო, მაგრამ სულელი არ იყო. ის მხოლოდ დუნედ ფიქრობდა და შეგვიანებით აზროვნებდა. ამას კი მიხვდა, რომ ვოლკოვი პირადად მას კი არა, მის ქონებას ელამუნებოდა. მოკლედ მოუჭრა.

— თუნდა ეგ ყველაფერი აგრე იყოს, მე ჯერ გათხოვებას არ ვაპირებ.

ამ დროს სუფრაზე წარხარი ატყდა.

თურმე ძილხვნს რიაბინინასათვის მიერთმია ძველებური,

გასული საუკუნის სამოცდამეათე წლების ქალის წამოსასხამი, რუსულად რომ „სალოპს“ ეძახდნენ.

მშვენივრი იყო, შავი აბრეშუმის სარჩულზე, შავ კრუჟევოდადებული, თითქმის უხმარი, სულ შრიალ-შრიალი რომ გაჰქონდა, ისეთი, რომ სიცილსაც კი იწვევდა, რომ, ჯერ ერთი, მოდიდან იყო გამოსული ასეთი წამოსასხამი და, მეორე, ეს უფრო ხანში შესულ ქალს შეეფერებოდა, ვიდრე ახალგაზრდა ბატარძალს, რომელიც, ბეგის თქმისა არ იყოს, „ცაზე ვარსკვლავებს ეთამაშებოდა“.

ეს წამოსასხამი მაინც ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველა სინჯავდა. ერთ უცხოელს თავისი „კარასოც“ კი წამოცდა. მხოლოდ ბარამი და ვამეხი იყვნენ გაკვირვებულები — ძილხანს ესეთები საიდან აქვს შემონახულიო, და ესეც ქმნიდა ერთ ჟრიამულს. რიაბინინამ კი ძილხანს დიდი მადლობა გადაუხადა და მეგობრულად გადაკოცნა.

ვოლკოვი მაინც ეკითხებოდა დაგმარას.

— კარგი, ვთქვათ, გათხოვებას არ აპირებთ, მაშ რა გნებავთ?

— სწავლა.

— როგორ? ქალების კურსებზე ხომ არ აპირებთ შესვლას?

— არა, ჩვენში არა. საზღვარგარეთ მინდა სწავლა მივიღო.

— მაინც რა სწავლა?

— ისტორია მაინტერესებს.

— უჰ, რა მეჯავრება ნასწავლი და ვითომ ჭკვიანი ქალი. თმას რომ შეიკრეჭს, ცხვირზე სათვალეს წამოიკვეხნებს და თითები სულ მელნით რომ აქვს მოსვრილი.

დაგმარამ გულიანად გაიცინა. ვოლკოვი განაგრძობდა:

— ქვედა წელი ჯაბისა მოღრეცილად რომ აცვია და ზედა წელი რომ გაუთოებული არა აქვს.

— ჰა, ჰა! — იცინოდა დაგმარა, — ეგ იყო, იყო. ახლა, კი თუ გინდათ ჩვენი კურსისტკები რომ ნახოთ, ავ თვალს არ დაეწახვება. მერმე კიდევ მე... მოხდენილი ჩაცმა-დახურვა მეც მიყვარს, ამას გარდა, მართლა და მართლა მარტო ისტორიას ხომ არ ჩავუჯდები. ცოტა ხმაცა მაქვს, ამბობენ, აი, — თავი გადაიქნია ნეტარინასაკენ, — ხვა დეიდას მიგავს თურმე. სიმღერას ვისწავლი, დავხელოვნდები.

— ო-ო, ეგ სულ სხვაა, — თითქოს ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ვოლკოვმა და საკითხი დაგმარას და ვოლკოვის შეუღლებისა ღიად დარჩა.

ამ დროს უკვე ლევარსის ეჭირა ხელში ყანწი და საზოგადოებას მადლობას ეუბნებოდა, მხოლოდ ძნელი იყო გაგება, თუ რას ამბობდა.

ის ლაპარაკობდა რაღაც „მოხაზულობაზე, რომელიცა რომა“ მოინება ჩემზე კნეინა ნექტარინამ და სხვ. თავი არ დაუზოგავს, რუსული სიტყვებიც კი ჩაურთო, მაგრამ გასაგებად მაინც ვერა თქვა რა. გუტატიმ გადაულაპარაკა თედორე მღვდელს:

— რა დაჩარჩული ყაზახია ეს ლევარსი. არა, ქალს დაარჩენს.

თედორე მღვდელმა პირდაპირი პასუხი არ გასცა. ასე უთხრა:

— ჰო, პრტყელ-პრტყელი ლაპარაკი იცის.

ეკოციმილი კი ბარონესას ელრიჯებოდა:

— მომაქციე რა ყურადღება, ბარონესა! ცუდი ბიჭი ვარ?

— კარგი ხარ, კარგი. რა გქვია, კაცო, აქამდე არ ვიცი შენი სახელი, — ღიმილით ეკითხებოდა ბარონესა.

— უი დასწყევლოს ღმერთმა! ევგრაფ მალხაზოვიჩ! მაგრამ შენ ეს მითხარი, მოგწონვარ თუ არა?

— როგორ არ მომწონხარ, ევგრაფ მალხაზოვიჩ.

— შენი ჭირიმე, მაგას ნუ მეძახი. ეკოციმილი დამიძახე.

— კი მაგრამ... ეკოციმილი, ნუ გეწყინება და... ამიხსნეს მეგრულად მინგრეულ-მონგრეულს ნიშნავსო.

— ჰოდა, მინგრეულ-მონგრეული არა ვარ? მხოლოდ პუშკინისა არ იყოს: ღმერთმანი, კაი კაცი ვარ!

— ჰა, ჰა, გახსოვს კიდევ პუშკინი?

— რავა არ მახსოვს, გიმნაზიაში ვარ ნასწავლი, ბოშო! — ჩაუიმერულა ეკოციმილმა.

ეს „ბოშო“ ძალიან მოეწონა ბარონესას და კიდევ უფრო კარგ გუნებაზე დადგა. ამ დროს ნექტარინამ კვლავ დაიწყო ღილინი:

მასპინძელსა მხიარულსა
ჰყავს სტუმრები საყვარლები...

ეკოციმილი მყისვე წამოხტა და დასახმარებლად ნექტარინას მიაშურა. სიმღერის დროს შეამჩნია, როგორ ხარბად მიშტერებოდა თედორე მღვდელი ნექტარინას, მაგრამ მაშინ არაფერი უთქვამს და ისევ ბარონესასთან დაბრუნდა.

ბარონესა გაეხუმრა:

— კაცო! ევგრაფ მალხაზოვიჩ! რას დახტიხარ აქეთ-იქით, თუ ჩემი კავალრობა გინდა, ჩემთან იყავი, თუ არა და...

— კი, ბატონო, კი, ჩემო დედოფალო. დედოფალო, რა? „დედოფლობა დაგშვენდება, მაგრამ დროი წამხდარია", აღარ მოგშორდები, სულ კალთაში ჩაგიდებ თავს. მაგრამ შეხედე ამ ხუცეცს, — განგებ თქვა „ხუცეცი", — როგორ შეჰყურებს შენს დას. — და წამოიწყო სიმღერა:

თუ ღმერთი გწამს, ეს ხუცესი,
ჩვენსა ნუ დაიარებაl
არცა გვინდა მისი ლოცვა,
არცა მისი ზიარებაl

რამაც გამოიწვია საერთო სიცილი. რადგან ნამღერი ლექსი უცხოელებსაც გადაუთარგმნეს.

ეკოციმილის სიმღერას კი ნექტარინამ მიაყოლა და ეკოციმილს მიაჩერდა:

ოჰოჰოი, მეშინია,
ვერ გენდობი კარამდისl
შენ იგი ხარ უნდობელი,
რაც რომ იყავ მანამდისl

და თავადების სუფრა წავიდა თავის გზით.

შენაკადი

XI

(ძველი ამბიდან)

შედედებული ჰაერი... ყომრალი გარემო.

თითქოს ნისლია ირგვლივ.

მზე არსაიდან ჩანს, მხოლოდ რაღაც მურუჟღი სინათლე გადაკვრია არემარეს.

აქ მარტო ხელებსა ვხედავ. სულ სხვადასხვა ზომისაა, სხვადასხვა ნაქნარობის.

ზოგი მრგვალია და სქელი, როგორადაც მუხის დიდი ნაფოტი, ზოგი გამხდარია და გაწიკწიკებული, როგორც ღარიბ კერასთან მიგდებული ზამთრის შემხმარი ფიჩხი; ზოგი ჩაშოსხმულია თაფლის სანთელივით, ზოგიც გამოქანდაკებულია, ვით მარმარილო. აქ პაწია ბავშვის თითსაც ვხედავ, უაზროდ გაშვერილა. რა უნდა ამ უმანკო თითებს? აქვე გამოსჩანს მუშის დაბერებული, დაოსებული, ნიჩბისმაგვარი ხელისგული. დავინახე მისი თითებიც.

ეგ საამურ სიმებს უნდა აყღერებდეს, თვით მის ბროლივით ასხმულობისაგან უნდა გამოდიოდეს სანეტარო ბგერა.

აქ კი, ყველა ეს ხელები, ეს თითები თრთიან და ძიგძიგებენ, იკუმშებიან, ზოგჯერ იმუქრებიან, ზოგჯერ სანეტაროდ თვისკენ იწვევენ.

ჰაერი სავსეა წელებით, მოცულია თითებით.

რა სხვადასხვანაირობაა, რა სხვადასხვაგვარი ბეჭედი აღზრდისა და ცხოვრებისა, ცოდნისა და შეგნებისა, კმაყოფილებისა და უკმაყოფილებისა, სიღარიბისა და სიმდიდრისა.

ყოველივე ეს თითებს ატყვია.

ატყვია მათ შენახულობას, მათ გარჯილობას, მათ უზრუნველობას, მათ მოღლილობას.

სულ სხვადასხვაა მათი იერი, მათი სინაქნარე.

მხოლოდ ყველა ერთი მიზნისაკენ გაშვერილა.

ჰოი, ღმერთებო!

ამ მურუჟულში მოსჩანს მათი მიზანი:

საღაც ცის ტატნობზე მოსჩანს ოქროს კიდობანი.

თითები იმტვრევიან, თითები უძლურდებიან, თითები იხრწნებიან:

ოქროს კიდობანი კი ცის ტატნობზე ისევ ელვარებს.

29

გუდუიასთან სულ სხვა კამპანია იჯდა. თავადებმა რომ ევლოგიაზე ჩამოიარეს და შინ დაბრუნდნენ, ამის შემდეგ ზეზობლებთაგან ვინც მოვიდა, გუდუიამ არ გაუშვა, განსაკუთრებით მისი ტოლები: სთეფანე, ანტო, სესია, ხახუ. ახალ-

გაზრდებიდან კი მხოლოდ თადა შემორჩა, მიუხედავად იმისა, რომ სულ გაპარვაზე იყო. მაინც უნდოდა დოხორეში წასვლა, „სამზარეულოში მივალ ბიჭებთან და იქიდან სადმე დესის მოვიხელთებო“. ამიტომ ღვინის სმისგან უნდოდა თავი შეეკავებინა, მაგრამ გუდუნა გაიძახოდა:

— დალიეთ, ბიჭებო, დალიეთ! ღვინის მარაგი სადღეისოდ ბლომად მაქვს. ეს ერთი დღე მაქვს წელიწადში მოსალხენად და რატომ არ უნდა გავიხარო?

— შენ ერთი დღე კი არა, მეორეც გაქვს წელიწადში, — უთხრა სთეფანემ.

— ჰოო, კაპუნობა? — გადაიხარხარა გუდუნამ.

— როგორ, ეგ კიდევ არ მოიშალე, კაპუნობის დღე? — ჩაერია თადა.

— რას ამბობ, ბიჭო! კაპუნობის მოშლა როგორ იქნება, ძველი და მრისხანე ღმერთია. ჩვენი წინაპრების სალოცავი. ეს ორი დღე მე ძალიან მწამს, თორემ, მაგალითად, ხვალ ხომ აღდგომის ორშაბათია, იცოცხლე — გუდუნამ მუშაობა გააჩაღოს.

— უი, შენ დაგწყევლოს ღმერთმა! უქმეს ტეხავ? — გაიკვირვა ანტომ, რომელიც გლეხებში ყველაზე უფრო ღვთისმოსავ კაცად ითვლებოდა.

— ეგ ჩვეულებრივ უქმეს ტეხავს კი არა, პარასკევობითაც მუშაობს, არ შეგინიშნავთ? — ხმა ამოიღო სესიამაც. — სხვები ხომ არ ვმუშაობთ პარასკევობით, რატომღაც ჩვენში ასეა წიღებული, მაგრამ, მე რომ მკითხო — გუდუნა მართალია, პარასკევს რატომ არ უნდა ვმუშაობდეთ?

— ო, მაგას დაეთხოვე სესია! — ისევ გუდუნამ აიმაღლა ხმა: — ვისაც როგორ უნდა, ისე იმუშაოს. მაგრამ ჩვენ გავცდით, ბიჭებო! სთეფანე, დაგვალევინე ღვინო. სესია, დამიწყე.

სესიამ დაიწყო:

დალიე და შეგერგება, სულ დალიე, დალიე!

ამ „სულ დალიეს“ მღეროდნენ მანამ, სანამ სთეფანემ მორიგი სადღეგრძელო სულ ბოლომდე არ გამოსცალა.

— ეს ობიშხია სად დამეკარგა? ა, თადა? — სიმღერის შემდეგ შეეკითხა გუდუნა.

— მოვა საცაა, იქ შერჩა რუსუნდიასთან.

— ო-ო, რუსუნდია! — აროხროხდა გუდუია. — კარგია ის წყეული! ახლა მაინც დაქვრივდა და კიდევ უფრო გაკეთდება..

— შენ რა, გუდუია, ვამეხს გინდა რუსუნდია წააართვა? — მზაკვრულად შეეკითხა ხახუ.

— აჰ, აჰ! — გულმხურვალედ წამოიძახა ანტომ. — არ თქვათ საარაკო! ვამეხისთანა წმინდა კაცი მეორე არ მოიპოვება ჩვენს თავადებში და რუსუნდია ხომ ყველამ ვიცით, რაც უბიწო ქალიც არის.

— ჰა, ჰა, ჰა! შენ რას აფარებ ხელს ვამეხს? — დაცინვით მიმართა სესიამ ანტონს. — გიყვარს თავადები?

თადას გაეცინა:

— მაგას ხუცებიც კი სწამს და თავადებიც ეყვარება!

ანტო შეწუხდა. მეტი ვერაფერი მოახერხა:

— კარგი ახლა, რას მომადექით? ვამეხის კაი კაცობა მე მწამს.

ამ დროს ობიშხია შემოვიდა. ყველა აბრიალდა და ხმაურით შეეგებნენ.

— შენ რა, გუდუა, — სიცილით მიმართა მასპინძელს ობიშხიამ, — დღეს შენც ნიშნობა გაქვს?

— როგორ თუ ნიშნობა?

— ისა. ვიფიქრე დოხორეში დღეს ორი წყვილი ინიშნება და გუდუიამაც ხომ არავინ დანიშნა-მეთქი; ასეთი ჭეიფი რომ გაგიჩაღებია. ქვრივი ხარ და ცოლი შოგიხდება.

— ჯერ არ დაუნიშნავს; მარა რუსუნდიაზე კი უჭირავს თვალი, ეტყობა, — აუხსნა ობიშხიას ხახუმ.

— უმ! — დიდად შეიკვირვა ობიშხიამ. შემდეგ გუდუიას საყვედურით მიმართა: — გუდუია, გუდუია, შე უსინდისო, იოსეს ქვრივზე გიჭირავს თვალი? იოსე შენი ნათესავი არ იყო, მარა ძმაკაცი იყო, ბიჭო, ჩვენი... ყველას ძმასავით მიგვაჩნდა, არ გრცხვენია!

ამ დროს სთეფანემ უეცრად წამოიძახა:

— სწრაფი, სწრაფი ობიშხიას! — და ლამაზად მოხატული ღვინით სავსე ჩალიჯამი მიაწოდა ობიშხიას. ღვინო ასე სწრაფად მიტომ მიაწოდა, რომ გუდუიასი შეეშინდა, ობიშხიას სიტყვები არ იწყინოს და უსიამოვნება არ ჩამოაგდოსო.

ობიშხიამ დაილოცა, ჩალიჯამიდან ღვინო დალია, ულვაშებზე ხელი გადაისვა და შემდეგ წარმოთქვა:

— რას მაგის პასუხია და წელან ნაშენზე რომ გამოვიარე, მიამა, როგორც კაცს... თორემ ნაშენი ხომ გვირგვილიანებისაა. სიმინდს უკვე ამოუწვერავს და ავ თვალს არ დაენახვება.

— ო-ო, ნაშენი დალოცვილი ადგილია!

— ჩვენი სოფლის თვალია, თვალი! — მიაძახა ყველამ.

— ვის აქვს წრეულს საზიაროდ ეგ ყანები? მე კი არ ვიცი, — იკითხა ვილაცამ.

— ბესაიას, ფართხუს და ქუხილია-გაჭირვებულს! — გასცა პასუხი ობიშხიამ.

— ო-ო, ქუხილია-გაჭირვებულს? ეს მადლია, მადლი! ვითომ გუტატიმ მისცა? — კვლავ შეეკითხნენ ობიშხიას.

— კაცო, შენ როგორ გარეშესავით კითხულობ! — წაესაყვედურა ობიშხია. — არ იცი, შენ სოფელში რა ხდება?

— გუტატიმ კი არა, ვამეხის რჩევით გადასცა ნექტარინამ ქუხილია-გაჭირვებულს ნაშენის ერთი ნაწილი საზიაროდ, — განმარტა სესიამ.

— ჰოდა, აკი ვთქვი, ვამეხი კარგი კაცია-მეთქი, — ცოტა გაუბედავად, მაგრამ მკაფიოდ წარმოთქვა ანტომ და წარბებქვეშ ობიშხიას ირიბად გახედა. ის ჩვეული იყო, რომ ობიშხია მის ნალაპარაკევს მუდამ სასაცილოდ იგდებდა, მაგრამ ახლა კი ობიშხიამ ერთი გაღიმებით შეხედა ანტოს, თორემ არაფერი არ უთქვამს. სამაგიეროდ თავისი ბებრული გაბზარული ხმით მეგრული სუფრული დაიწყო:

უჩარდია უჩა-კოჩი,
ვაშუნდი და მუშა მოროი?*

სიმღერას ყველა აჰყვა, რასაც ხელჩართული სმაც მოჰყვა, თან ყველა მხიარულად იმეორებდა ამ სიმღერის დასათავარს: „აშო მომიჩაკალეე“.**

ეს რომ მოთავდა, გუდუიამ ხმამაღლა წამოიძახა:

— როდის იქნება, რომ სულ ჩვენი იყოს.

— რა? — შეეკითხნენ აქეთ-იქიდან.

— აი ის ნაშენი და საერთოდ გვირგვილიანების ყველა მაღული.

ამან თითქოს ნაღვლიანი საფიქრალი გაუჩინა სუფრაზე

---

* უჩარდიავ, შავო კაცო, თუ არ სვამდი, რისთვის მოხველ.

** აქეთ მომიჩინდრიკე (მომიტანე) მომიჩიჭჩიქე.

მსხდომ უკვე შეღვინიანებულ წალხს: მაგრამ სწორედ ამ დროს თადამ ვაჟკაცურად შესძახა:

— მალე!

ყველამ თავი თადასკენ მიიბრუნა. ერთ ხანს სიჩუმე იყო.

— მალე-მეთქი, გეუბნებით, — წამოდგა ფადა, — მხოლოდ ეს ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ ყველამ რომ პირი გავთქვათ და ერთ დღეს გამოვაცხადოთ, არავითარ მებატონეს ვერ ვაძლევთ ღალას, არც ბარკალაიებს, არც ბოკუჩავებს, არც ქუჩულორიებს, არც ბანძღის და არც არავის სხვას, წურბელებსავით რომ შემოგვხევიან და ჩვენს სისხლს წოვენ. მაშასადამე, არც გვირგვილიანებს! გვირგვილიანები მაინც ჩვენებურებიც კი არ ყოფილან, არა, ბაბა? — მიმართა ობიშხიას. — ჩამოსახლებული ყოფილან.

— ობიშხიამ უკვე დინჯად ხმა ამოიღო:

— გვირგვილიანები, შვილო, სვანეთიდან არიან თურმე. არც ჩვენი ძველი მთავრები დადიანები არიან აჭაური და არც საერთოდ თავადები. მარგალი არც ერთი არ არის და, ვინ იცის, ვინ საიდან არის მოსული. მარგალს კი, ჩვენცა და სხვებიც ვხმარობთ მეგრელის და იმავე დროს გლეხების აღმნიშვნელად. ასე რომ ნამდვილი მეგრელები გლეხები ყოფილან და არიან კიდეც. ესენი კი გადამთიელები არიან, მარა შენ რა გინდა თქვა, ბიჭო?

— მე ის მინდა ვთქვა, რომ ჩვენ არ უნდა ვემორჩილებოდეთ მებატონეებს. იმას ახლა არა აქვს მნიშვნელობა, ვინ საიდან არის. საქმე ის არის, რომ ისინი მოსულებია თუ რაც არის, ჩვენ მეგრელებს ზურგზე გვასხედან და ჩვენი მონაგარი, ჩვენი ნაოფლარი იმათ მიაქვთ. იმათ და ხუცებს კიდევ. არ გვინდა ხუცები!

— ო-ო, შენი ჭირი შემეყაროს! — წამოიძახა გუდუიამ. — კარგი შვილი გყავს, ობიშხია!

ანტომ კი ჩუმად, თავისთვის, უკმაყოფილოდ თავი გააქნია.

— მიწას ჩვენ ვამუშავებთ, ჩვენ ვუვლით, ჩვენ ვპატრონობთ, მაშასადამე, მიწაც ჩვენია და მისი მოსავალიც სრულიად ჩვენი უნდა იყოს. ეს უნდა განვაცხადოთ, ამისთვის უნდა ავდგეთ ყველა ერთ პირად. — თანდათან ცხარობდა თადა და ყველანი სულგანაბულნი უსმენდნენ. თადა განაგრძობდა: — ამისთვის უკვე ადგნენ გლეხები რუსეთში, გურიაშიც,

ჭიათურის მხარეზე. ხომ იცით ჭიათურა, შავი ქვა რომ არის, იქ ბევრია მეგრელი ბიჭები, იმათ მოიტანეს ამბავი ირგვლივ სოფლებში. ქართლშიაც დიდი ამბავია თურმე. გლეხები ართმევენ მამულს მებატონეებს და არავითარ ღალასაც არ იძლევიან. ჩვენ კი რაღა ღმერთი გაგვიწყრა?

— ანტოს ღმერთი მე ვერ გამიწყრება! — ჩაილაპარაკა სესიამ და აქა-იქ სიცილი გაისმა.

თადამ იწყინა:

— მე სასაცილოს არაფერს გეუბნებით. უბედურებაც ეგ არის, რომ თქვენი მდგომარეობა გაწუხებთ, მართალია, მაგრამ ზოგჯერ სიცილზე გადაგაქვთ. ასე არ შეიძლება! უნდა ღრმად შევიგნოთ ჩვენი უფლება და აღვდგეთ მის დასაცავად. თქვენ, უფროსებმა, უნდა ითაოთ მეთაურობა და თუ ამას არ იზამთ, ჩვენ, ახალგაზრდები, ვიკისრებთ ამ სჯმეს.

ამაზე ობიშხია გაწყრა:

— თადა, ენა ნუ გისწრებს! უნდა იცოდე, სად და ვისთან ლაპარაკობ!

— მე მგონია, ვლაპარაკობ იქ, სადაც უნდა ვლაპარაკობდე. იმ ხალხთან, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა მთელი სიდუხჭირე დღევანდელი წესწყობილებისა. დასამალი რა მაქვს. დეე, იცოდნენ, რომ მე ამ საქმისათვის მაქვს თავი გადადებული. რომ მე ვიბრძოლებ არსებული წესწყობილების წინააღმდეგ, რომ დაემხოს რუსეთის თვითმპყრობელობა და მისი იმპერატორი.

— შშშ... ტ! — ძლიერის ჭმიტინით შეაჩერა თადა ობიშხიამ.

კარებში შემოიმართა ერთი ახმახი კაცი.

— მე არავისი არ მეშინია! — განაგრძო თადამ და უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ უეცრად შეწყვიტა, რადგან დაინახა ახლად შემოსული კაცი და დაჯდა თავის ალაგას. იფიქრა: სიფრთხილეს თავი არა სტკივაო! და დაჩუმდა, მაგრამ შემდეგ შეიცნო, რომ ეს იყო ქუხილია-გაჭირვებული და სწორედ ამისათვის უნდა გაეგებინებინა, რომ საბრძოლველად ყოფილიყო მზად. შეიძლება ის სხვებზე მეტადაც გაუგებდა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო: ქუხილია-გაჭირვებულს ჩალიჯამით ღვინო მიაწოდეს და დიდი მათლაფით საჭმელი დაუდგეს.

ეტყობოდა, ქუხილია კარგ გუნებაზე იყო, რადგან, ცხა-

დია, ჩამოევლო მეზობლები და ყველგან ჰქონდა ღვინო დალეული, მაგრამ აქაც სიამოვნებით დასცალა მოწოდებული სასმისი და საჭმელსაც მადიანად მიჰყო ხელი.

— რა ქენი, ქუხილია, კარგად გაათენე აღდგომა? კარგი ევლოგია გქონდა? — ყასიდად შეეკითხა გუდუია. — ბოდიში შენთან, მე ვერ მოვასწარი და ვერ შემოვიარე.

— ჰმ... ჰმ! დაბცინი, გუდუია? თუ ჩხუბი გინდა დღევანდელ დღეს? — ნახევრად ხუმრობით და ნახევრად უხუმრად წარმოთქვა ქუხილიამ. ეტყობოდა, რომ ენაწყლიანი კაცი არ იყო, რადგან სიტყვები პირიდან ისე უცვივოდა, თითქოს ნაჯახით ჩამოთლილი ნაფოტებიაო.

სესიამ კი მაშინვე შეჰყვირა:

— აჰ, აჰ! შენთან ჩხუბი ღმერთმა დაიფაროს. სულ მილეწ-მოლეწავ აქაურობას.

სხვებიც ახმაურდნენ:

— დიდი ღონის პატრონია!

— მაგას ვინ მოერევა!

— ვერ ხედავ, რასა ჰგავს? ნამდვილი ოჩოკოჩია!

და მართლაც უცნაური შესახედაობის იყო ქუხილია. მაღალი, მხარბეჭიანიც, მაგრამ საერთოდ უშნოდ მოყვანილი, როგორღაც დაგრეხილი, დაღრეცილი. ეტყობოდა, ძარღვიანი კაცი კი უნდა ყოფილიყო. სახე-პირი სულ ბალნით ჰქონდა დაფარული. ძლივს მოუჩანდა ცხვირი და წვრილი, მთიულური თვალები. შეჭალარავებული თმა ბეჭებამდე წვდებოდა, წვერ-ულვაში ისე ჰქონდა აბურძგნული, თითქოს სავარცხელი თავის დღეში არ გაჰკარებოდეს, აქაც ჭაღარა ერია, მაგრამ კარგა ვერ გაარჩევდით, ეს ჭაღარა იყო, თუ ყალიონის კვამლით შეყვითლებული თმა.

მეტისმეტი მსხმოიარე კაცი იყო.

ამჟამად მკერდი მოღიავებული ჰქონდა და ჯაგარივით თმები წინ ჰქონდა წამოქოჩრილი. ტანზე ჩოხა-ახალუხის მაგივრად შინ მოქსოვილი შალის ნაცრისფერი ხალათივით რაღაც ეცვა და რადგან ეს ხალათი მკერდთან გახსნილი ჰქონდა, ეტყობოდა, რომ საცვალი არ გააჩნდა. შარვალიც ნაცრისფერი შალის ჰქონდა. წელზე ქამრად უბრალო თალათინის ღვედისმაგვარი ჰქონდა შემორტყმული, ქალამანიც ღორის ტყავისა ეცვა შიშველ ფეხზე და ამ ქალამნებისა მუდამ ძალზე

რცხვენოდა, ზოგიერთი დაუკვირვებელი დასცინოდა კიდეც, რადგან მეგრელი გლეხი, რაგინდ ღარიბი ყოფილიყო, ტანისამოსზე და ფეხსამოსზე მუდამ ზრუნავდა, მაგრამ ამას ხომ ტყუილა არ ეძახდნენ ქუხილია-გაჭირვებულს.

— ერთხელ იცით, რა ქნა ქუხილიამ? — მოუთხრობდა იქ მყოფთ ხახუ. — ჩვენ მთაზე, შკაშ-ოთოკეში ვიყავით და ბარამის სახლისთვის კლდეს ვამტვრევდით, ქვებს ვაგროვებდით, აი, ახლა რომ უნდა აიშენოს.

— მაგას არ მოასწრებს ღმერთი! — თქვა ვიღაცამ.

— რას ამბობ, კაცო! — წამოიძახა ანტომ. — ბარამს რას ერჩით?

— ღმერთი კი არა, ჩვენ არ მოვასწრებინებთ, ჩვენ! — წარმოთქვა სთეფანემ, რადგან, ეტყობოდა, ტყვედ ჰყავდა თადას ნალაპარაკევს.

— ვინ ჩვენ? — ნაფოტები წამოცვივდა ქუხილიას, მაგრამ ყური არავინ დაუგდო.

— რას ამბობდი, ხახუ? რა ქნა ქუხილიამ? — შეეკითხა ზოგიერთი.

— რა და აიღო ერთი უზარმაზარი ქვა ერთი ხელით, კაცო, ერთი ხელით და ურემზე დაუდვა. შემდეგ აუწონია ბარამს ეს ქუხილიას აღებული ქვა და კაი რვა ფუთი გამოსულა.

ქუხილიამ ამაზე მხოლოდ გაიღიმჭა.

— ბიჭოდა, — ახლა ობიშხიამ მიმართა ქუხილიას, — რატომ მოჭიდავედ არ წადი? აგერ ესებუა, ჩვენი მეზობელი არ არის, სოფ. სორტიდან? ის შენზე ახალგაზრდა არ უნდა იყოს, მხოლოდ შენზე უფრო მოხდენილი და ლამაზი ყაზახია, მაგრამ შენც გაგკრეჭდით, გაგპარსავდით, გაგასუფთავებდით და... წახვიდოდი მოჭიდავედ. ახლა გაჭირვებული კი არა, შენისთანა დალხენილი კაცი არ იქნებოდა.

ამაზე ქუხილიას მხოლოდ თვალები აუციმციმდა, სხვა ვერაფერი თქვა, ერთი ამოიგმინა და შემდეგ გუდუიას მიმართა:

— ერთი დაწნული თუთუნი მომაწევიე, ბიჭო.

ჭამა გათავებული ჰქონდა და ახლა ყალიონის გაბოლება ეწუნდა.

გუდუია წამოდგა მოსატანად. თავის ბოსტანში ცოტაოდენ თამბაქოსაც თესდა გუდუია, შემდეგ ახმობდა და წნავდა კი-

დეც ქალის თმებსავით და ცალკე ჰქონდა შემონახული. ეს იყო წენგო, მაგრამ სოფლელები უქებდნენ — კარგი გემო აქვსო.

როცა გუდუიამ კარგა მოგრძო გრეხილი მოუტანა ქუხილიას, ბავშვივით გაიხარა და იმწამსვე ქამარზე დაკიდებული ქარქაშიდან ბასრი დანა ამოიღო და თამბაქოს ყალიონისათვის ჭრა დაუწყო.

გუდუია შეაჩერდა ქუხილიას და წარმოთქვა:

— მე ისევ იქა ვარ, — თავი გადიქნია თადასკენ, — მართლა ისე რომ მოხდეს, — თადას შეხედა. თადა, ეტყობოდა, ფიქრში იყო გართული. — არა, რომ მოვახდინოთ! რას იტყვი, ქუხილია, თედორე მღვდელი რომ ამოგიდგეს გვერდში საათობარზე, ა?

ქუხილია ყალიონს დაჭრილი თამბაქოთი ტენიდა; ერთი კი ახედა გუდუიას და შემდეგ ისევ განაგრძო თავის საქმე.

— რას ამბობ, გუდუია? — კვლავ ანტო გამოესარჩლა მღვდელს, — თედორე მღვდელი ხომ ხშირად თვითონ თოხნის ყანას!

— შენ დიდი მადლიანი კაცი გვყავხარ, ანტო! ჰა, ჰა, — ფართოდ გაიცინა სესიამ.

— სულის კაცი, სულის კაცი, — თადას გარდა ახრიალდნენ სხვებიც. ანტო წამოდგა:

— მე თქვენი თავი არა მაქვს, უნდა წავიდე!

— რაა, მოგერია ღვინო? — შესძახა გუდუიამ.

— ჰო, ღვინოც მომერია და თავიც მეტკინა. კარგად შენახოთ. — ყველას თავი დაუკრა და სახლიდან გავიდა.

— ქალაჩუნა! — მიაყოლა გუდუიამ, მაგრამ ობიშხიამ ეს არ იკმარა:

— ქალაჩუნა კი არა, შენ სულელი ხარ, ბიჭო, — მიმართა თადას, — განა შეიძლება მაგისთანა კაცთან ლაპარაკი, რაც შენ აქ დაფქვი?

— მე არავისი არ მეშინია, ვინც მშიშარაა, იმან იცოხნოს, თორემ მე ჩემი გზა მაქვს.

ქუდი დაიხურა წასასვლელად.

გუდუიას უნდოდა შეეჩერებინა, მაგრამ ობიშხიამ დაუშვა.

— წავიდეს! — ჩაიჩურჩილა, — მაგას თავისი გზა უქვს!

მხოლოდ... — თითქოს ახლა გააცნობიერა, — იცოდე, შე ძაღლის შვილო, შენ... დოხორეში არ წახვიდე, თორემ ჩემი ხელით გაგატყავებ.

ამ მუქარაში მშობლიური ალერსიც იყო ჩაქსოვილი, მაგრამ თადას ყური არ დაუგდია. მტკიცე ნაბიჯით გადაიარა გუდუიას კარ-მიდამო.

— არა, მართლა, რომ მოხდეს და მთელი ეს მამულები ჩვენი იქნეს, — ისევ დაუბრუნდა თავის ოცნებას გუდუია, — ოო, რას დავატრიალებთ გვირგვილიანებს!

— შენ, მგონია, ის უფრო გიხარია, გვირგვილიანებს რომ წაიგდებ წინ? — უთხრა სთეფანემ. — ღვინო დაგვრჩა, ბიჭო, დაულეველი, ღვინო! — და კვლავ წარმოთქვა ახალი სადღეგრძელო.

ეს კი ახლა შეეხებოდა თავად-აზნაურების დამხობას და ხალხის გამარჯვებას.

გუდუია მაინც არ ეშვებოდა თავის ოცნებას:

— ა, ქუხილია! რას იტყვი შენ? აი გიდი! ბეგის რომ გაგაგზავნით ბატების სამწყემსურად.

ქუხილია კარგა ვერ მიხვდა, რაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ სადღაც გონების სიღრმეში კი გაიფიქრა: ასე რომ მოხდესო, უთუოდ ამას მეკითხებიანო.

ამაზე შეგვიანებით, მაგრამ დიდად გადაიხარხარა.

— ბეგის, კაცო, ეგ მწყემსად გაგზავნის კი არა, — მზაკვრულად ჩაერია სესია ლაპარაკში, — კისერს მოუგრეხს.

— წიწილივით! — წარმოთქვა ქუხილიამ და ეს ისე უბრალოდ, თითქოს ძალიან ჩვეულებრივი რამე თქვაო.

— გუტატის რა ვუყოთ, გუტატის, ქუხილია? — ჩააცივდა გუდუია.

ქუხილია, ეტყობოდა, თანდათან მოდიოდა ეშხზე და აქ ვადაჭრით განაცხადა:

— წკვარაწში.

— ეს შენ ძაან დამხმარე იშოვე, გუდუია, — უთხრა ობიშხიამ, — ქუხილია მიგიხვდა რაც გინდა და, როგორც ხედავ, ჯერ სიტყვით გისრულებს.

— აბა როგორ? — ხმაურობდა გუდუია. — ამისთანა საქმეები ამ ოჩოკოჩს უნდა მივანდოთ. მე კი, იცოცხლე, ბარამი რომ ბარამია, ყველას უყვარს, ხომ, მეც კარგი საქმე მიყო ამას

წინათ. მაგრამ, დავზოგავ გგონია? კარდალით ცხელ ღომს რომ მოვატანინებ ფეხშიშველს და თავზე დადგომილს რომ ვაძუძგურებ, მერე ვითომ შემეცოდება და ვეტყვი: გამოშალე მაჩრცხენა ხელი-მეთქი. ისიც გამომიშლის და რომ დავაბერტყავ ხელზე ამ ცხელ ღომს, უი, დედა, დავიწვიო, სულ ვაყვირებ. — აქ ფეხი ფეხზე შემოიდო გუდუიამ. — კარგა რომ გამოვძლები და ნექტარინას მამულიდან, უშაფათიდან, მოტანილს გუდაათურონის ერთ ბოთლ ღვინოს რომ გიახლებით...

— ჰო, ჰო, ჰო! — შეწუხდა სთეფანე. — გუდაათურონი რა ღვინო იყო, აბა ბეჩა! სულ გაწყდა. ეგ ოხერი, ნექტარინას მეტს აღარც კი აქვს.

— მეიცა, კაცო, გუდუიას აცალე! — შეუძახა ხახუმ. სხვებსაც დაეტყოთ, რომ მეტად მოუნდათ გუდუიას ოცნების მოსმენა. — მერე, მერე?

— მერედა, რომ გადავძახებ: აბა, კესარია, ძღაბი, სადა ხარ?.. კესარია მოახლედ მეყოლება! აბა! კესარია, კესარია, შე შეჩვენებულო, სადა ხარ? ერთი ფარდაგი გამიშალე ამ ხის ძირას. შემდეგ სად არის ის გათახსირებული ვამეხი, მოვიდეს, ფეხები მომფხანოს, აბა!

იჭიმებოდა გუდუია და ირგვლივ სიცილით იხოცებოდნენ.

ამაზე რომ გული შეაჯერეს, გუდუია ისევ ქუხილიას მიუბრუნდა:

— შენ კი, ჩემო ქუხილია... — შეაგვიანა, — ნექტართანას მოგანდობთ, რაც გინდა, ის უყავი.

ამაზე ერთი შეინძრა ქუხილია. მკერდი წინ გამოსწია და ყელი ისე მოიღერა, თითქოს ეს არის თავის მსხვერპლს უნდა დაეტაკოსო, თან, თითქოს კმაყოფილებით ალსავსემ, გაიცინა, მაგრამ სიცილის მაგივრად უცნაური ღმუილი გამოვიდა და უეცრად აბორგებულმა, თითქოს უნდოდა შეეძრა ცა და მიწა, აფხაზური დაჭრილის სიმღერა იმღერა, მხოლოდ ეს სიმღერას კი არა, რალაც ყიჟინას ჰგავდა. სიმღერის შინაარსი ასეთი იყო:

„უა-რაიდი, ო-რაიდა, რაიდა!

„მამაკაცი არ არის ის, ვინც თავის ტანჯვას ვერ დამალავს. მამაკაცი არ არის ის, ვინც გაწვალებას ოხვრით გაამჟღავნებს. ოხვრითა და ვიშით ქალები ნუგეშობენ. ჭრელობებს ის უძლებს, ვინც უფრო ამტანია. ვისაც ატანა არ შეუძლია და მოთ-

მენა არა აქვს, ის მალე მოკვდება. სიმხდალე რომ გვშველოდეს, მაშინ კურდღელი ყველაზე დიდხანს გაძლებდა.

„ო-რაიდა, რაიდა!“

ჯერ ყველას გაუკვირდა ქუხილიას საქციელი, მისი აღტკინება, ისიც, თუ რად მიმართა აფხაზურ ლექსს და სიმღერას, მაგრამ რომ ჩაუკვირდნენ, შეიძლება უნებლიეთ, მაგრამ კარგად გამოუვიდა ქუხილიას. ეს თითქოს გმირული მოწოდება იყო მისგან, მომავალი ბრძოლებისათვის: რომ ოხვრითა და ვაშლით საქმე არ კეთდება, რომ სიმხდალე კარგი იყოს, მაშინ კურდღელს ვინ აჯობებდა.

ამან ყველა ჩააფიქრა. ობიშხიამ მკაფიოდ წარმოთქვა:

— კურდღლები!

30

იმავ დღის შუადამისას ჩელა იჯდა თავის ოთახში და პატარა ლამპრის სინათლეზე ნინოშვილის მოთხრობებს უკითხავდა მის გარშემო მჯდარ თავის ტოლ გოგოებს.

ზოგიერთი სიტყვებისა კარგად არ ესმოდათ მეგრულ ცირებს, მაგრამ მათ შორის ერთი-ორი უფრო მცოდნე იყო ქართულისა, ჩელა კი უფრო დახელოვნებული და ამით იოლად გადიოდნენ.

დღეს ობირეშის* შემდეგ ჩელამ რამდენიმე მათგანი მიიწვია, რადგან ახსოვდა, რომ ტაიასთვის დაპირებული უნდა შეესრულებინა და თავის ტოლ-ამხანაგებში წრე უნდა ჩამოეყალიბებინა, არ იცოდა კი ეს საქმე როგორ მოეგვარებინა, ბოლოდ შემდეგ გაიფიქრა, წიგნების კითხვით დავიწყებო, რადგან ამჩნევდა, რომ ზოგიერთ გოგოს წიგნის კითხვა უყვარდა და თუ სადმე წაახელთებდა, ხალისით კითხულობდა, მაგრამ სად იყო ეს წიგნი! ისევ ჩელას გამოსტაცებდნენ ხოლმე. ჩელას კი დროგამოშვებით ვამეხი აწვდიდა ქართულ პატარა-პატარა წიგნებს. დღესაც, როცა ობირეში გათავდა, ჩელამ შეარჩია თავისი უფრო წიგნიერი ამხანაგები, რომლებიც შინ მოიწვია. თან დააჯერა, რომ ერთად კითხვა აჯობებდა, რადგან, ჯერ ერთი, გაუგებარს ერთიმეორის დახმარებით უფრო გაარკვევდნენ და, მეორე, ერთმანეთს გაამეორებინებდნენ წა-

* ობირეში — სასიმღერო მოედანი სოფელში.

კითხულს, ისე, როგორც ეს სკოლაში ხდება ხოლმე და შემდეგ იმსჯელებენ კიდეც.

ამ აზრმა წვეულები აღაფრთოვანა, მით უფრო, რომ ობილრეშის შემდეგ თავთავიანთ ოჯახებში დაბრუნება ეზარებოდათ. კიდევ უნდოდათ ერთად ყოფნა, ერთიმეორის თანაზიარობა და ჩელას წინადადებას ხიამოვნებით დაეთანხმნენ.

მიქე სახლში არ იყო. დედას ხელი არ შეუშლია. ახალგაზრდები რომ კითხვას შეუდგნენ, წავიდა და ძილს მისცა თავი.

წასაკითხავად რომ დასხდნენ, ჩელამ გადაფურცვლა დაუწყო კარგა მრზრდილს, ძმათა თავართქილაძეებისა მიერ სენაკში გამოცემულ ნინოშვილის მოთხრობებს და თითქოს განგებ ყველაზე ნაკლები მოცულობის მოთხრობა აარჩია: „განკარგულება“.. უთუოდ იმიტომ, რომ სანამ შევეჩვეოდეთ, გრძელმა ნაწარმოებმა თავი არ მოგვაწყინოსო. ჩელას განსაკუთრებით ეშინოდა ეკაიასი. ხითხითა და ჩასუქებული გოგონას, რომელსაც ჯერ წიგნის მარტოდ კითხვის დროს ხშირად ტკბილად ჩაეძინებოდა ხოლმე და საერთოდ დიდი გულისყურის პატრონი არ იყო, მაგრამ აქ კი მშვენივრად მოისმინა მოთხრობა და ჩელას მოთხოვნით პირველმა მან გადმოსცა მოთხრობის შინაარსი.

მკითხველებს შორის ბევრს რკინიგზა არც კი ჰქონდა ნახული. მხოლოდ გაეგონათ, რომ მათ ახლობელ სენაკში და აბაშას რკინიგზა ჩამოუდიოდა, მაგრამ თვითონ რკინიგზა როგორი იყო, ეს ვერ წარმოედგინათ: აქ სწორედ ის ხითხითა გოგო დაეხმარა მათ და უამბო ამხანაგებს, თუ რას წარმოადგენს რკინიგზა. სენაკში დადიოდა და იქ ჰქონდა ნახული. მან აუხსნა, რომ მიწაზე რკინის ჯოხებია გაბებული და ამაზე მატარებელი მოგორავს, რომ თვითონ მატარებელი თითქოს დიდი ურმისებური რაღაცაა, მხოლოდ ნამდვილ ურემს არც კი ჰგავს — დიდი კოლოფებია, ერთიმეორეზე გადაბმული, შიგ ხალხი ზის და ეს კოლოფი ურემივით ბორბლებით მიგორავს. თან ამ კოლოფებს ხარები კი არ უბია, არამედ რაღაც დიდი რკინის ვეშაპი, რომელიც ხშირად პირიდან ცეცხლსა ჰყრის და საოცარ შავ კვამლს უშვებსო.

ისე რომ, ეკამ ამჯერად სხვებზე მეტი აქტივობა გამოიჩინა.

გოგოებს ახლა ის აკვირვებდა, თუ რკინიგზას სოფლებსა-

გან რად სჭირდებოდა დარაჯობა, მაგრამ ეს გარემოება უკვე ჩელამ განუმარტა ამხანაგებს: ეს თვითონ მოთხრობიდან ჩანს — ამალამ ვიღაც დიდი კაცი ჩამოივლის და სოფლის გზირმა დარაჯობა დაავალა მუნჯაძესო.

ამის განმარტებაში იყო ჩელა, რომ კარებში იეროთეოსი შემოიძურწა.

იეროთეოსი ბოლო წანებში უკვე დადიოდა სოფლელებში და ყველგანაც სიამოვნებით ღებულობდნენ, რადგანაც უკვე პატარა გმირის სახელი ჰქონდა გავარდნილი — თოლისქვამი დაბრუნებას გადაარჩინაო. ალდგომა დღეს ხომ ჩამოევლო თეთქმის ყველა მეზობელი და ახლა მიქეს სახლ-კარს მოადგა.

ჩელას მაინცდამაინც როგორღაც არ ეამა იეროთეოსის მოსვლა, მაგრამ სხვებმა ის გულღიად მიიღეს და ისიც იქვე ახლო პატარა, დაბალ სამფეხა სკამზე ჩამოჯდა.

მისი მოსვლა მაინც სასარგებლო შეიქნა, რადგანაც მუნჯაძის გასრესის ამბავი მაინც კარგა ვერ წარმოედგინათ გოგოებს და რაკი გაიგო იეროთეოსმა ამბის ვითარება, თავისებურად აუხსნა, რომ ამ მატარებელს ისეთი სიმძიმე აქვს, ადამიანს კი არა, უდიდეს ქამეჩსაც კი გასრესსო.

ქალებს ძალიან შეეცოდათ კაცია მუნჯაძე, რომელიც დაღლილი, დაჭანცული მოვიდა სამუშაოდან სახლში და არაქათგამოლეული კაცი მაინც გაგზავნეს სადარაჯოზე.

— ასეთია გლეხი კაცის ბედი! — წამოიძახა რომელიღაცამ.

— კი, მაგრამ, ჩვენს სოფელში რომ არ არის ასე? — შეეწინააღმდეგა მეორე. სხვებმაც წამოიძახეს: ამისთანა შემთხვევა ჩვენს სოფელში არასოდეს არ მომხდარაო.

და... ჩელას უნდოდა სწორედ ამაზე — „გლეხის ბედზე“ — მოეგო თავისი განზრახვის გამჟღავნება, თუ რისთვის არის გოგოების ერთიმეორის დაახლოება და წრის ჩამოყალიბება საჭირო, მაგრამ რაკი იეროთეოსი იქ იყო, ამ განზრახვაზე ხელი აიღო.

როგორღაც გული არ მიუწევდა იეროთეოსზე.

გოგოებს კი განუმარტა, რომ მათ სოფელში ნინოშვილის მოთხრობისებური შემთხვევა არ ყოფილა, ეს იმიტომ, რომ სოფელთან რკინიგზა არ არის გაყვანილიო.

შემდეგ ამხანაგებს განუცხადა: უკვე გვიან არის, სადღეი-

სოდ გვეყოფა, დავიშალოთო, და ისინიც კმაყოფილნი გავიდნენ ჩელას ქოხიდან.

იეროთეოსიც მათ გაჰყვა. ხითხითა ეკაიამ გზაში აიყოლია და ქუთაისის ამბები გამოკითხა: რაგორი ქალაქია, სენაკზე უფრო დიდი იქნებაო? და სხვა. იეროთეოსიც თავისებურად უამბობდა ქუთაისზე.

ჩელამ კი გადაწყვიტა, თავისი გულისნადები მომავალშო გაეზიარებინა ამხანაგებისათვის, მხოლოდ ისე, რომ არაქნ სხვა არ გაერიგნათ თავიანთ ჯგუფში, განსაკუთრებით ვაჟები, წრე კი რაც შეიძლება ჩქარა ჩამოეყალიბებინა.

ასეთი თადარიგი მოეწონა ჩელას და შემდეგში, როცა ცხოვრების დიდ ასპარეზე გამოვიდა, ხშირად იგონებდა ამ თავის პირველ ნაბიჯს და აკვირვებდა — იმ დროს ასეთმა ახალგაზრდამ ჩემით როგორ მოვიფიქრე, რომ ჯერ წიგნს ხაკითხავად შემეყარა ტოლ-ამხანაგები და შემდეგ თანდათან ჩამება მუშაობაშიო.

ამის გამო არცთუ ისე ცოტად მოსწონდა თავისი თავი.

31

მეორე დღეს გუდუა ცოტა შეგვიანებით, მაგრამ მაინც გავიდა სამუშაოდ.

მისი ეზოს მახლობლად ფერდობზე, ჰაწია ნაჭერი ადგილი იყო ჯაგნარით და სარეველა ბალახით გამომსილი. მისი სახადელო იყო, დიდი ხანია გუდუას უნდოდა ამ ადგილის გაწმენდა და საყანე ადგილად გადაქცევა, მაგრამ მეზობლებმა აჩერებდნენ — მწირი ადგილია, ბოში მიწაა, ჭა არაფერი არმოვა, ჩიტი ბდღვნად არ ეღიარებაო, და ისიც თავს იკავებდა, მაგრამ ამ დღით კი მაინც მოუარა ჟინმა და, თითქოს გამოჯაგრებულზე, მაინც დაიწყო მუშაობა. — შეხედეთ, თქვენ უქმობთ, მე კი ამ უქმის, რაც თქვენ მიერ არის დაკანონებული, წინააღმდეგ მივდივარ... არ ვემორჩილები, არა, არც თქვენ კანონებს და არც თქვენ უქმეებს.

ვინ იყო ეს „თქვენ“ გუდუამ ბუნდოვნად იცოდა და არც იცოდა, გაჯავრებით ურტყამდა ზოგჯერ წერაქვსაც, რომ ხოგიერთი ჯაგნარის-მაგარი და გაკაპუეტებული ძირკვი ამოეგდო.

ქშინავდა, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, ეტყობოდა, მორ-

ტო უჭირდა ამ მაგარი სამუშაოს დაძლევა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა.

ასეთ ჭაპანწყვეტაში, სად იყო და სად არა, ანტო წამოადგა თავს.

— ოჰ, გუდუია, გამარჯობა შენი! მართლა ტეხავ უქმეს?

— უქმე არ ვიცი მე! მტერს ძირიან-ფესვიანად უნდა ამოგდება... აი, ასე, — და მართლაც გადმოაგორა კარგა ღრმაზე წასული ძირკვი ჯაგნარისა. თან დააყოლა: — ესენი ჩემი მტრებია, არიან!

— ეგენი თუნდა ჰო, გუდუია, მაგრამ ეს ლამაზი ბალახი, აგერ ზოგან ყვავილების კუკურიც რომ გამოუსხამს, ამათ რას უშვამ?

— მოვცელავ. ეს სულ უხეირო მცენარეა, უსარგებლო, გამოუსადეგარი.

— ოჰო, შენ მართლა ძალიან შეიარაღებული ყოფილხარ: ცელიც თანა გაქვს, წერაქვიც, ნაჯახიც.

— მაშ როგორ გნებავს! სადაც რაა საჭირო, იმას ვხმარობ. აქ ზოგან ამოთხრა უნდა, ზოგან გაკაფვა, ზოგან მოცელა!.. მერე რამდენია ჩვენში ეს უხეირო მცენარეები... მე რომ შემეძლოს, ამ ქარაფშუტებს, ამ შუშუებს სულ გადავჭრიდი, თაკს გავაგდებინებდი... ჰა, ჰა!

— მიგიხვდი, გუდუია, მიგიხვდი, — ჩაიცინა ანტომაც, — მაგრამ მაგისთანა ლაბარაკი არ გამოგადგება, ხეირს არ დაგაყრის!

— ეეხ! — აქ კი უფრო მოშვებულად წარმოთქვა გუდუიამ. — არც სჯშვე, აღარც ლაპარაკი! — და ერთი მძლავრად გადაუშხუილა ბასრად ალესილი ცელი სარეველა ბალახს და დაუზოგველად მიწაზე გააწვინა.

ამაზე ანტოს გაეცინა, ერთი ალმაცერად შეხედა გუდუიას და გაშორდა.

გზად მომავალი კი გულში ასე ფიქრობდა:

„ვაი, შე უბედურო გუდუია, რომ იცოდე, რა მოგელის? შენ გგონია, წუხელი რომ ყველას გამოგეშვიდობეთ, მართლა შინ წავედი? რა შვილი მნახე? დავინტერესდი, თადას სიტყვების შემდეგ რა გუნებაზე დადგებოდით შენ და ყველა იქ მყოფი, რას ილაპარაკებდით და ისლის სახურავზე ავფოფხდი, იქ ცოტა მივქექ-მოვქექე საბურავის ჩამპალი ისლი და ყველა

თქვენი წალაპარაკევი ისე მოვისმინე, რომ უკეთესი არ შეიძლება. მაინც, შეხედე, რა მაღა გქონია, შე მართლა ვათანძარა, შენ! ბეგი — შწყემსად, კუსარია — მოახლედ, ბარამი ლომის მკეთებლად, ვამეხი — ფეხის მომფხანად. ყვიშენდა ოჯახი, შენ ამას მეესწრო! ქუხილიას კიდევ რომ ნექტარინას დაჰპირდი, ვინ მოგცა ამის ნება, შე მართლა კუბაქო, შენა. არა, მეც გლეხი ვარ, მარა მაგისთანა აზრი თავის დღეში არ მომივა. ბატონები ღვთის გაჩენილია. ქვეყნის გაჩენიდან ასეა სულ. შენ გინდა, ახლა ღვთის განჩინება მოსპო? აი, ღმერთმა არ გაგახაროს, გუდუია, თვითონ ის მოგსპობს შენ, ის მოგიღებს ბოლოს... გიჟი კაცი რომ იყავი, თავში გამწევი, ეს კი ვიცოდი, მხოლოდ თუ ამდენი ბოროტება გქონდა გვირგვილიანებისადმი გულში ჩამარხული, ეს კი ვერ წარმომედგინა. გვირგვილიანები, ბრძო, ბატონყმობა გადავარდა, მარა მაინც ჩვენი პატრონები არიან, ჩვენი მფარველები და ჩვენი მოსარჩლე. აი, მე ხიზანი ვარ, ამათთან შემოკედლებული და უკეთესი მფარველი რად მინდა? ღარიბი ვარ? რა ვქნათ? თუ ბატონებს ვასიამოვნებ, ზოგჯერ რამე წყალობასაც მივიღებ და ამითი გავდივარ როლას... შენ კი... ჰმ, გუტატი წკვარამშიო. მალე ნახავ წკვარამში ვინ იქნება!

აქ გაახსენდა, რომ დაზვერვის შემდეგ ის დღეს უთენიად გაიქცა და ყველაფერი მისგან ნახული და გაგონილი გუტატის უამბო.

გუტატი ჯერ კიდევ იწვა, როცა მასთან ანტო გამოცხადდა. არ იყო კარგი გამოძინებული, ნაღვინევზე ზანტად იზმორებოდა, შაგრამ როგორც კი გაიგო გუდუიას ნათქვამი, ლოგინზე წამოჯდა, და გუდუიას დაემუქრა — მე იმას ვუჩვენებ სეირსო.

ანტო ცმაყოფილი იყო, რადგანაც, ეტყობა, რუსთაველი ამაშიაც მართალია: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა!"

ახლაც გაახსენდა გუტატის მუქარა.

ერთი კიდევ გაიხედა გუდუიასაკენ და განაგრძო თავისი გზა.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, გუტატის დასმენით მამასახლისმა გაბაწრული გუდუია მიჰგვარა მაზრის ბოქაულს. აბრალებდნენ ბუნტოვჩიკობას.

მამასახლისს თადაც უნდოდა მიეყოლებინა, მაგრამ ვერ-

სად გერ ნახეს. ბერთემში არ აღმოჩნდა. არც თადას მამამ, ობიშხიამ, იცოდა, სად იმყოფებოდა თადა. არ იცოდა, რომ თადამ არდგომა ღამესვე მანჩა ჯგერენაიას სოფელს მიაშურა.

32

უცხოელებმა აიწყვიტეს: ბანძაში გველრდებიან და უნდა წავიდეთო. შეახსენეს, რომ მენჯი-რობუ ჰქონდათ დასათვალიერებელი, მაგრამ ამაზე განაცხადეს — ჩვენმა ერთმა ამხანაგმა დაათვალიერა უკვე და ეს ჩვენთვის საკმარისია, ჩვენ საბოლოო აზრს კი ქუთაისში მრგანსენებთო. ამაზე ვამეხს უკვე გაგებული ჰქონდა ბუგბისა და რიაბინინასაგან, რომ უცხოელებს რადიუმზეც ლაპარაკობდნენ და ეს შეახსენა ერთ-ერთ მათგანს:

— ჩვენში ერთ დროს მოგზაუროობდა კარგა ცნობილი რუსი გეოლოგი სიმონოვიჩი. მე ვიცნობდი მას. მან აღწერა ჩვენი ქვეყნის, საქართველოს, ბუნებრივი სიმდიდრე და მისი ანალიზი თუ დიაგნოზი ყველგან შეუმცდარი აღმოჩნდა. სხვათა შორის, ის ამბობდა ერთ რაღაც იშვიათ ნივთიერებაზე, რომელიც შესანიშნავი უნდა გახდეს და რომელიც შეიძლება საქართველოშიაც აღმოჩნდესო. მაშინ მეცნიერ ცოლ-ქმარ კიურის შიერ რადიუმი არ იყო აღმოჩენილი და თქვენ ახლა კარგა გასინჯეთ. ამის რაიმე ნიშნები ხომ არ არის მენჯი-რობუში?

უცხოელებმა ეს მოსაზრება შორს დაიჭირეს და ერთმა მათგანმა ხომ მთელი ლექციაც კი წაუკითხა ვამეხს, თუ სად და რა ადგილას შეიძლება რადიუმის აღმოჩენა, რომ ის თითქმის ყოველთვის იმ არემარეშია, სადაც ოდესმე ღველფეს მფუშვეველი მთა ყოფილა, აქ კი ამის ნიშნები არ არის და ეს ისეთმა სპეციალისტმა დაათვალიერა, როგორიც ჩვენი კამპანიონიაო.

ვამეხს ამაზე რა უნდა ეთქვა, მაგრამ გულში მაინც არ დაუჯერა და ეს ეჭვი რიაბინინას და ბეგის საქუთაისოდ გაუზიარა.

საშაბათს რომ უცხოელები ბანძას გაემგზავრნენ, ხუთშაბათ სალამოს ნექტარინა თავისი დით, დისწულითა და მაზლებით, გარდა ვამეხისა, გამოეწყვნენ გასამგზავრებლად.

ნექტარინას და რიაბინინას დარახტული ცხენები შოჰგვა-

რეს. ნექტარინას თავისი უნაგირი ჰქონდა და რიაბინინას ხომ ბარამმა მიართვა. ამის გამო ქალები ცხენებზე მამაკაცურად უნდა გადამჯდარიყვნენ, რადგანაც რახტს მამაკაცური უნაგირი ჰქონდა. ნექტარინა ასეთ უნაგირისათვის თავისებურად უკვე გამოწყობილი იყო, რადგანაც ქვედა წელი ფართო შარვლისებურად ჰქონდა შეკერილი და ცხენიდან ჩამომხტარი ნექტარინა კაბიანს ჰგავდა. რიაბინინამაც ამ ყაიდაზე გადაიკეთა რომელღაც თავისი ყაბა და სიცილ-კისკისით მოახტა ცხენს, ისე რომ ცხენთან სკამის მიდგმა და ბეგის დახმარება არ დასჭირვებია.

ნექტარინას კი სკამიც მიუდგეს და გუტატიმაც წელი შეაშველა ცხენზე შეჯდომის დროს. მხოლოდ, როდესაც ნექტარინა უნაგირზე გასწორდა, საკვირველი სანახავი გახდა. რაღაც უცნაურად ეცვა: გულისპირიან გულმკერდიან კარგა ძოღიავებულ მეგრულად შეკერილ კაბაზე მოკრული ჰქონდა „ფერმუარი ჰქონდა ადებული, მისი გრძელი, წითური თმა ორად დიდ ნაწნავად ბეჭებზე გადაყრილი და ზედ მეგრული წესით გრძელი ლეჩაქი ჰქონდა გადაფრიალებული. უთავსაკრავოდ. მხოლოდ შუბლზე ხავერდის სირმით მოქარგული სალტეკავით ლენტი ეკრა ლეჩაქის დასამაგრებლად. მთელ სხეულზე ყვავილებით მოქარგული გრძელი მსუბუქი წამოსასხამი ნაბადივით ჰქონდა წამოხურული და ამ წამოსასხამზე ლეჩაქის წვერი გადაჭრიალებული. ფეხებზე კი რუსული მაღალყელიანი შავი ფერის ღილებშეკრული ფეხსამოსი ეცვა. ერთ ხელში ორ აღვირი ეჭირა, მეორეში გრძელტარიანი აბრეშუმის წითელი ქოლგა. ასე მორთული ბერთემელი ქალბატონი ძალაუნებურად იქცევდა მნახველთა ყურადღებას.

ვამეხი, როცა ასეთ მორთულს დაინახავდა ნექტარინას, ყრველთვის წაიხუმრებდა:

— ეს ჩემი რძალი ბუდას არა ჰგავს? თუმცა ასეთ ქანდაკებასავით კი არის ჩამოძერწილი, მაგრამ სტილი ძალიან არეულია, თავისი იერით მოგვაგონებს ძველ ქართულ ქალღმერთს აინინას თუ დაინინას! — და გულიანად გადაიხითხითებდა.

ახლაც ეკოციმილს შიმართა, ესეც ბანძას მიდიოდა.

— აი, შენ ხომ ზოგჯერ ნექტარინას დედოფალს ეძახი? — ეს გაიგონა ბარონესამ და გაიცინა:

— მე კი მატყუებს, შენ ხარ დედოფალიო! აწე უნდა, შე ეკოციმილი, შენ?

— მე, ბატონო, გეუბნები, — შეჰღიმილა ეკოციმილმაც, — გეუბნები, რომ დედოფლობა დაგშვენდება, მაგრამ დროი წამხდარია-მეთქი.

— არა, არა! — კვლავ იცინოდა ბარონესა. — აღდგომას ძარგად გიმღერა ნექტარინამ. როგორ არი? „შენ იგი ხარ... შენ იგი ხარ!..“

— შენ იგი ხარ უნდობელი, რაც რომ იყავ მანამდისო! — წაეხმარა ეკოციმილი.

— ჰო, სწორედ, სწორედ!

— და აი, — დაუბრუნდა ვამეხი თავის სათქმელს, — ეკოციმილი ნექტარინას ხანდახან დედოფალს ეძახის, მაგრამ ნექტარინა დედოფლობას არ ჯერდება, ქალღმერთი უნდა იყოს. შეხედეთ, ქანდაკება არ არის?

მართლაც, ნექტარინა ისე იჯდა ცხენზე, თითქოს ხელოვნურად არის ჩამოსხმულიო. მხოლოდ მსუბუქი ნიავი უშრიალებდა ლეჩაქის წვერს და მისი ბედაური მარჯვენა ფეხს მიწასა სცემდა, თითქოს მოსწყინდა მოლოდინი და გამგზავრებას ჩქარობსო.

ნექტარინა კი უცდიდა სხვებს, რომლებიც თანდათანობით სხდებოდნენ თავიანთ ცხენებზე.

ვამეხი გამოეთხოვა გამგზავრებულებს და მხიარული დროს ვატარება უსურვა.

წამსვლელებმა თავიანთ ცხენებს მათრაწები გაუტკაცუნეს, ბეგემ თავისი მერანი შეათამაშა კიდეც და შემდეგ ცხენოსნური სიმღერით გზას გაუდგნენ.

დოხორეში მაინც დარჩნენ: თოლისქვამი და კვიზინია, ძილხანი და დესი, კესარია და ეროთეოსი, ბათუ და მოსამსახურეები, ცოტა ხნით ამათ გამოესაუბრა ვამეხი. შემდეგ დაავლო ხელი ეროთეოსს და შინისაკენ წავიდა.

გზაში ობიშხია შემოხვდა. სენაკიდან მოდიოდა თურმე. ბოქაულთან ყოფილიყო.

ვამეხმა პირველად ობიშხიასაგან გაიგო, რომ გუდუია მთავრობისაგან დაჭერილი იყო. ობიშხიაც ბოქაულს მოწმედ ჰყოლოდა გაწვეული.

ვამეხმა გამოჰკითხა ობიშხიას საქმის ვითარება. ობიშხია-

მაც უამბო, თუ გუდუიასას რაზე ჰქონდა საუბარი, მაგრამ გუდუიას ყველა ნათქვამი მაინც არ გადაუცია. დიპლომატიურად მოერიდა ვამეხს. მხოლოდ ნექტარინაზე და ბეგიზე ნათქვამი კი გადასცა, რაზედაც ვამეხმა ბევრი იცინა. ობიშხია კი უფრო თავის შვილზე იყო დამწუხრებული, რადგან ბოქაულს კარგა დაეშინებინა: თუ ასეთია შენი თადა, გავაციმბირებო.

ვამეხმა ანუგეშა: არაფერია, გუდუიას მალე გამოვაშვებინებო და შვილზე კი იმის მეტი ვერაფერი უთხრა, რომ ნუ სწუხარო.

ობიშხია თავის შვილს ამტყუნებდა:

— დაუკვირებელია ჩემი შვილი... როგორ შეიძლებოდა ანტოსთან იმის ლაპარაკი, რაც იმან იქ დაფქვა.

— ანტო ვინ არის? — შეეკითხა ვამეხი.

— ანტო როგორ არ იცი, ბატონო! ერთი ჩერჩეტი ვინმე, რომ გვყავს.

— მერმე?

— მერმედა იმის დასმენილი ვართ, ბატონო.

— ო-ო, ცოდვა არ დაიდო, ობიშხია!

— არა, ბატონო, ნამდვილად ვიცი. სხვა მის მეტი მაინც ჩვენთან არავინ იყო.

— როგორ? წინათ შეგიმჩნევია მიზეზის ჯაშუშობა?

— ჯაშუშობა, ბატონო, არც კი იცის, რას ჰქვია, მაგრამ ენატანია კაცია და... ამას გარდა გუდუიასი და ჩემიც ქონი სჭირს. გუდუიასი იმიტომ, რომ ერთხელ მან სცემა რალაც უკუღმართი საქმისათვის ანტოს. ჩემზე კი უთუოდ იმიტომ არის განაწყენებული, რომ როდესაც რამე უზნეოს იტყვის, არ შევარჩენ და ხალხში გამოვაჭენებ ხოლმე.

— მერმე? — კიდევ შეეკითხა ვამეხი.

— მერმედა უთუოდ ენა მიუტანა თედორე მღვდელს, ან გუტატიას, ან თავის ბატონს ბანძღის და იმათაც ზომები ი-ღეს.

— ნუ გეშინია, არაფერი არ იქნება! — კვლავ წარმოთქვა ვამეხმა. მხოლოდ თადას მდგომარეობამ ცოტა ჩააფიქრა.

ობიშხია მიუხვდა ვამეხს, რომ თადაზე სანუგეშო არაფერი თქვა და პირჩამობნელებული გაშორდა მას.

იეროთეოსი უსმენდა ამ ორ დარბაისელს. ბევრი ვერაფე-

რი გაიგო მათი ნალაპარაკევის, გარდა იმისა, რომ გუდუია მთავრობას დაუჭერია და თადას კიდევ ეძებენ.

— როგორია ეს თადა? გაიხსენა: ის უნდა იყოს, დოხორეში რომ ამბობდნენ — დესი მოსწონს ობიშხიას ვაჟსაო. მაშ ეგ არის თადა? ნახული ჰყავს. კარგი შესახედაობის ვაჟია. რად ეძებენ? რა დაუშავა? ობიშხიას ნათქვამიდან ის გამოიტანა, რომ თადას იმ ღამეს მთავრობის საწინააღმდეგო რამეები დაუფიქვავს.

ამ „დაფიქვამ" გული გააცინა იეროთეოსი. მან უკვე იცოდა, რაც იყო დაფიქვა. მაგრამ ის ვერ აეხსნა თავისი თავისათვის თუ ვამეხი რატომ იცინოდა, როცა ობიხშია ნექტარინაზე და ბეგიზე გუდუიას ნათქვამს უამბობდა. ამ სიცილის მიზეზი კარგა ვერ გაიგო, მაგრამ სადღაც შორეულად კი მოეწონა, რომ ვამეხი ასე დაცინვით ეპყრობოდა ბეგის და ნექტარინას.

ვამეხი ჩაფიქრებული მიდიოდა მის გვერდით და სახლამდე ხმა არ ამოუღია.

ვამეხი ფიქრობდა:

„ეს ვერ არის კარგი ამბავი, ბერთემიც უკვე ჩვენს ადმინისტრაციას ალრიცხვაზე ეყოლება ამიერიდან აყვანილი, როგორც არასაიმედო... გუდუია არაფერია, გაჰვაშვებინებ; რამდენ რასმე იჩერჩეტებს მთვრალი ყაზახი, რა ყურადღება მისაქცევია! მაგრამ თადა? თადას მდგომარეობა არ არის სახუმრო. მე მარტო ფარხ ბჟალაა მეგონა ბერთემში ისეთ კაცად, რომელსაც შეუძლია მიძრაობას გაჰყვეს, ობიშხია გონიერი გლეხია, ვითომდა ფილოსოფოსობს კიდეც, მაგრამ ნამდვილად კი უკანდახეული მოაზრეა, ჩრდილში ყოფნას არჩევს, ჰა, ჰა! მოიკონსერვატორებს. ეტყობა, რომ ჩვენ სოფელში მოძრავი ელემენტი ისევ და ისევ ახალგაზრდობა ყოფილა... ცხადია. მხოლოდ მარტო თადა ხომ არ იქნება. უთუოდ პატარა ორგანიზაციაც აქვთ ჩამოყალიბებული. ტაია ტყუილად არ გაითევდა მიქესას ღამეს. მიქეც ჭკვიანი ბიჭია. ა, მაშ ასე! თადა და მიქე... მომავალი ჩვენი მეთაურები! აგრეც უნდა იყოს. ხალხის სულ დაბალი ფენიდან წამოვლენ უთუოდ მომავალი წინამძღოლები, მხოლოდ... დიდი სიფრთხილე მართებთ ჩვენ ბიჭებს, დიდი სიდინჯე, დიდი ნებისყოფა, დიდი დაკვირვება და თაოსნობა. დასანანი ის იქნება, თუ უბრალოდ თავი წაგვეს".

ასე ფიქრობდა კეთილი ვამეხი.

ახალი ცხოვრება კი უკვე ბრბოქრობდა და აგერ მიყრუებულ ბერთემისათვისაც კი მოულწევიათ მის ზვირთებს.

რა? ჩვენს გაზეთებში არაფერი იწერება ახლანდელი მოძრაობისა, აქა-იქა, კანტიკუნტად. ხეირიანად ვერაფერს გაიგებს კაცი. სენაკშიაც რომ ჩავდივარ, იქაც ვერ ვგებულობ კარგად ჭვეყნის ამბებს. თუმცა, მე სენაკში რა საზოგადოებაში ვტრიალებ? იქაურ თავად-აზნაურებსა და მოხელეებში. იქ ამ მოძრაობას არეულობას ეძახიან. ბუნტოვჩიკებად ჰყავთ მონათლული მოძრაობის ხალხი. არა, უსათუოდ უნდა წავიდე თბილისს ნამდვილი ამბების გასაგებად. რაც უნდა იყოს, თბილისშია ჩვენი კულტურის მაჯისცემა. იქ ვნახავ ჩვენს საუკეთესო, მოწინავე ხალხს. მოვინახულებ ჩვენს დიდ მოაზროვნეს, თვით ილია ჭავჭავაძეს.

და ამის გახსენებაზე თითქოს გუნება დაეწმინდა და სიმხნევე იგრძნო,

უკვე შინ იყო მისული. ფიქრში გართულმა ახლა შენიშნა, რომ იეროთეოსი ჰყავდა წაყვანილი. თავის ოთახში შეიყვანა და სავარძელში ჩაჯდა საწერ მაგიდასთან.

იეროთეოსი ფეხზე იდგა, ის ახლა ემსგავსებოდა ბანდაზმული მასწავლებლის წინ მდგარ პატარა მოსწავლეს.

ა, მაშ რას იტყვი-შენ? ჰო, რა გქვია? გრძელი სახელი გაქვს ძალიან... ჰო, გამახსენდა: იეროთეოსი! ეს სულ ხუცებს ჰქვიათ, გამოძებნიან ძველ ჟამნიდან რაღაც უცნაურ ბერძნულ სახელებს და არქმევენ ჩვენს ბავშვებს: იეროთეოსი, აგათანგელოს, დოსითეოს! ჰა, ჰა! დაბრძანდი იეროთეოს! ფეხზე რად დგახარ?

იეროთეოსი ყოყმანობდა.

— დაბრძანდი! — გაუმეორა ვამეხმა, ახლა ცოტა უფრო შეუვალად.

იეროთეოსი მახლობელ სკამზე ცალგვერდელად ჩამოჯდა და შეაჩერდა ვამეხს.

ვამეხიც ჩააკვირდა:

— ახლა შენ ქუთაისს წახვალ, დედა წაგიყვანს ჩვენებთან ერთად და იქ შემდეგ სასწავლებელში მიგაბარებს. მაგრამ იცი, როგორ სასწავლებელში?

იეროთეოსმა მოინდომა აეხსნა:

— აი, ის რომ აცვიათ... ვერცხლის ფოლაქები რომ აქვთ ძთელ ტანისამოსზე.

— ჰა, ჰა! გიმნაზია? არა, გიმნაზია შენ არ გამოგადგება.

ეს იწყინა იეროთეოსმა და მოზრდილივით უპასუხა:

— რაა, ჭაა რომ ვარ, იმიტომ?

იეროთეოსის გვარის გახსენებაზე ვამეხი შეწუხდა, მაგრამ ბავშვს ეს არ აგრძნობინა.

— ჭაა იყავი და ვინც გინდა, ის. გვარზე არ არის წაქმე.

— მე მომწონს ჩემი გვარი. გვირგვილიანებში არ გავცვლი.

— აი ყოჩაღ, უნდა მოგწონდეს. ეგ არ დაგიშლის სასწავლებელში შესვლას, მხოლოდ გიმნაზიაში კი არა, საცა... ჰა, ჰა! ვერცხლის ფოლაქებს ატარებენ... შენ უფრო საჭირო საქმე უნდა ისწავლო.

ვამეხმა იცოდა და ახლაც გაახსენდა, რომ მაშინდელ ქართულ პრესაში, განსაკუთრებით „ივერიასა“ და „კვალს“ შორის, დიდი კამათი იყო ატეხილი იმის გარშემო, თუ რომელი ტიპის სასწავლებლები და უმაღლესი სწავლა იყო საჭირო საქართველოსთვის: საერთო ჰუმანიტარული — გიმნაზია, რეალისტური, შემდეგ უნივერსიტეტი თავისი ფაკულტეტებით თუ სპეციალურად სასოფლო-სამეურნეო.

ვამეხი ამ უკანასკნელს ემხრობოდა. ისიც ამ აზრისა იყო, რომ საქართველო უფრო სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, უფრო მაღალკვალიფიციური სოფლის მეურნეები ეჭირვება ჩვენს სამშობლოსო.

ასეც აუხსნა იეროთეოსს, მაგრამ იეროთეოსმა, ერთი რომ, ბევრი ვერა გაიგო რა ვამეხის დარიგებიდან და, მეორე, „ვერცხლის ფოლაქებს“, გრძელ ლურჯი მაუდის გიმნაზისტის ხერთუკს დაეპყრო ჭუთაისში ყოფნის დროს მისი ყურადღება.

შემდეგ არც ის მოეწონა, როცა ცოტაოდნად მიხვდა, რომ ვამეხი მომავალში სოფლისაკენ ეწეოდა. ერთჯერ წამოსცდა კიდეც?

— ხელში თოხი უნდა დავიჭირო?

ამაზე გაეცინა ვამეხს. აუხსნა, რაც შეიძლებოდა გასაგებად, რომ სასწავლი მეურნის მღვალეობა უფრო ხელმძღვანელობაა შრომისა და რომ განათლებულ ქვეყნებში მანქანებით ამუშავებენ მიწას, მოჰყავთ მოსავალი. იეროთეოსი ხელმძღვა-

ნელობამ და უფროსობამ ცოტა მოხიბლა, თუმცა ვამეხმა მთლიანად მაინც ვერ დააჯერა.

ეს შეატყო ვამეხმა და ეუხსნა, რომ ასეთი მანქანები — გუთანი, სალეწი, გამნიავებელი და სხვ. — ამჟამად თბილისშიაც იშოვება. ასე რომ, ერთი ასეთი პატარა და საჭირო მანქანა ჩვენს საჭრელი მეც ყი მაქვს ჩამოტანილი. წაიყვანა და აჩვენა. აჩვენა, თუ ხელის ბორბლის დატრიალებით როგორ იჭრებოდა ჩალა, რამდენ ცოტა არ იყოს გაამხიარულა იეროთეოსი.

ბოლოს ბავშვს მაინც უთხრა, რომ დედას მოლაპარაკებოდა და რაც კარგი იქნებოდა, იმას გადაწყვეტდნენ.

იეროთეოსი შინ წავიდა.

ვამეხს გულში მაინც თბილისს წასვლა უფათურებდა და საბოლოოდ გადაწყვიტა ამ დღეებში წასულიყო. შემდეგ რაღაც მოიფიქრა, შეკაზმა ოსეს თოხარიკი ცხენი და ბანძისაკენ გაუდგა გზას. ვამეხს უყვარდა ყოველგვარი ხალხური გამოკლიანება და სიხარულით ესწრებოდა ჯარიანობას, ხალხის ფერხულს, სიმღერას, ცეკვას, გამოშაირებას. იცოდა, რომ ყველა ამას ბანძაში უხვად ნახავდა და გულმა იქით გაუწია. თან ქმაყოფილი იყო თავისი თავისა, რომ ნექტარინას კამპანიაში არ გაერია და მარტოდმარტო უმხლებლად წავიდა.

შენაკადი

XII

ციბედულ!

მე ვამჩნევ, რომ ამ ნაწარმოებში მეგრულ სიტყვებს ხშირად ვხმარობ.

მომიტევე.

შეიძლება ეს არცთუ ისე საჭირო იყოს.

განა ქართული ენა მდიდარი არ არის?

ჩვენს დროში მაინც როგორ გაუხვდა და გაძლიერდა, როგორ უფრო კიდევ მოქნილი შეიქნა!

ლიტერატურის ყველა დარგში — თვით ფილოსოფიაშა და ტექნიკურ სფეროშიაც კი ამჟამად ბევრი შემეცნებითი, ქართული ტერმინოლოგია დადგინდა.

აქ, რასაკვირველია, მეგრული ვერც თუ ისე დაგვეხმარება, მაგრამ ერთი რამ შევამჩნიე ზოგიერთ ცალკეულ მეგრულ სიტყვას: ერთი სიტყვა ზოგჯერ რამდენიმე შემეცნებით შინაარსს თუ არა, მის ნიუანსებს მაინც ატარებს, თუმცა ორაზროვანი იშვიათ შემთხვევაშია. ასეთი უხვი შემცველობით ზოგიერთი ამ ნაწარმოებში ხმარებული სიტყვაა, მაგალითად:

გითორაგვაფა, შჭიფორთა, გარგუებული, გილარდეე, ვათანძარა და სხვ. ყველა ამითი ქართული შესატყვისი თავთავის ალაგას, შეძლებისამებრ მოცემული მაქვს, თუმცა მთლად დაზუსტებით, გატყობ, რომ კიდევ ვერა მაქვს ახსნილი.

მაინცდამაინც ვფიქრობ, რომ გარემოება, მრავალშემეცნებითობა მეგრული სიტყვებისა, საყურადღებოა, თუმცა ჰო... ეს შეიძლება მეგრული კილოკავის სიდარიბეც იყოს.

რაც შეეხება კიდევ სხვა მეგრულ სიტყვებს, როგორც, მაგალითად, ობირეში, ოსხაპუეში, დოხორე, წკუმორტუა და სხვ. ამისთანები, აგრეთვე ზოგიერთ მეგრულ ფრაზებს თუ ლექსებს რომ ვხმარობ ხოლმე, ეს ნაწერის სურნელოვანებისათვის გამოსადეგი მგონია და ეს მაბრაყვებს, ჩემო ციბედულ!

„ბანძა დიდი სოფელია".

ასეც მღეროდნენ ერთ დროს ჭრთ სახუმარო ლექსს მისი მტერ-მოყვრები.

მხოლოდ უფრო მართალი იქნება ვთქვათ: თუკი — მაგალითისთვის ქუთაისი „სავარდო და სამაისო" იყო ძველად, მაშინ იმ დროს ბანძას „სალხინო და საქეიფო" შეიძლება ვუწოდოთ.

ამ დროს ბანძაში უმეტესად ფალავები და ებრაელები ცხოვრობდნენ. სხვა აზნაურები და გლეხები ისე არ იგრძნობოდნენ. მრავალრიცხოვანი იყო გაბუნიების გვარიც, მაგრამ მათთვის უფრო ონოლიის სოფელი იყო განკუთვნილი, თუმცა ბანძას ზედ ეკრა ონოლია.

ბანძას თან აწლდა ერთი უბანი კიდევ ეგრეთ წოდებული ურიაკარი. საერთოდ ბანძაში უბნები „კარებად" იყო დაყოფილი: „შაურკარი", „ვედიდკარი", „გუიდკარი" და სხვ.

თუ ფალავები ლხინობდნენ და ჭეიფობდნენ თავიანთ კარ-

მიდამოში, სამაგიეროდ ურიაკარი, რომლის მოსახლეობასაც ერთპირად ებრაელობა შეადგენდა, ვაჭრობდა და აღებ-მიცემობდა. ეს ურიაკარი იყო ბერთემელების ნაცნობი ბუნოიას სამშობლო.

ურიაკარში ყოველკვირაობით ეწყობოდა ბაზრობა, სადაც არამცთუ ბანძელები, არამედ ახლომახლო სოფლებიდანაც მოდიოდნენ და ჰყიდდნენ თავიანთ მონაგარს: ქათმებს, კვერცხებს, აბრეშუმის შულოებს, პატარა-პატარა ქეცებს, ქოთნებს, დოქებს და სხვა ამისთანებს; სამაგიეროდ ებრაელებისაგან იძენდნენ საკაბეებს, საახალუხეებს, წაღებს, სავარცხლებს, ქინძისთავებს, აბრეშუმის თავზე მოსახვევებს და სხვა ამგვარებს. ამას უფრო ქალები ეტანებოდნენ და ამისთანების შეძენა მხოლოდ ებრაელებთან შეიძლებოდა. ვაჟები კი შედიოდნენ ისეთ დუქნებში, სადაც ღვინო და სხვა სასმელები მოიპოვებოდა. ასეთი დუქნები კი ქრისტიანებს ეჭირათ.

ამ დუქნებში ზოგჯერ ახალგაზრდა ფალავებიც თავიანთ სტუმრებით შეიჭრებოდნენ და აქაც არ იშლიდნენ თავიანთ მხიარულებას.

იმ ხუთშაბათს კი, როდესაც ნექტარინა და მისიანები ეწვივნენ ბანძას, ჯერ ნექტარინას ნათესავის, მართას, ოჯახში შვიბარეს ბერთემიდან ჩამოსულებმა და ცოტა ხნის შემდეგ ვედიდკარისაკენ გასწიეს, რადგანაც უკვე საღამო იყო და „ჯარიანობა“ იქ იწყებოდა. ვამეხიც აქ იყო მოსული და ხან ერთ ჯგუფთან მიდიოდა, ხან მეორესთან.

აქაც ჩვეულებრივი დროს ტარება იყო: ბურთაობა, ცეკვა, ცხენების ჭენება „კარამდის“, ე. ი. დანიშნულ ადგილამდე, რომელსაც სახელდახელოდ აირჩევდნენ შეჯიბრის მსურველები.

ვედიდკარი დიდი მინდორი იყო, სადაც, როგორც ამბობდნენ, რამდენიმე ათასი ჯერ მარტო ცხენოსანი დაეტეოდა და ქვეითი ხომ უამრავი. აქ მიწა ნოყიერი და ნაყოფიერი იყო, მაგრამ მაინც არც ერთი მარგალი, ე. ი., როგორც გლეხები უწოდებენ თავიანთ თავს, და არც ერთი ფალავა აქ მიწასაც არ ამუშავებდა, რადგანაც ეს დიდი მოედანი ძველთაგან საჯაჭვაროდ იყო განკუთვნილი. იქვე, ცოტა განაპირა ადგილზე, კოხტა ქვის ეკლესიაც იყო, რომელსაც გარშემორტყმოდნენ

„უზარმაზარი ძელქვები და საამურ ჩრდილს ჰფენდნენ თავის გარშემო.

ეს ძელქვები რიაბინინამ რომ დაინახა, აღტაცებაში მოვიდა და გვერდით მდგომ ბეგის გაეხუმრა:

— რა საუცხოო სანახავი ყოფილა ეს... რა ქვაა? ძელქვეში! როგორ სპილოებივით დგანან! წავალ და მოვეხვევი! — ჩაიკისკისა. — ხომ არ იეჭვიანებ, ბეგი? თუმცა ნუ გეშინია, ვერ შემოვწვდები. მე კი არა, ჩემისთანა ოციც რომ იყოს, ვერ შემორკალავენ.

ბეგი შეფრფვინვით შესცქეროდა მის დანიშნულს, მის გულში ამჟამად მხოლოდ სიხარული იყო დასადგურებული. ამისთანა ქალი მას ჯერ არ ჰყოლია. ჭკვიანიც რომ არის. ცოცხალიც და მოხდენილი, მოხდენილი გასაგიჟებლად. თან ბავშვური, მომხიბვლელი უმანკოებაც რომ ახლავს!

ასე მოჯადოებული იყო ბეგი. მაგრამ არანაკლებ მოიხიბლნენ ფალავები ამ რუსი ქალის ეშხითა და იერით. მხოლოდ როდესაც გაიგეს, რომ მას ბეგი ცოლად თხოულობდა, უკვე მეტი თავდაჭერილი პატივისცემით დაუწყეს მოპყრობა და აღიარეს, რომ ეს ჩვენი რძალი ყოფილაო.

ჩვენი რძალი, ჩვენი რძალიო, ამბობდნენ მეგრულად. ქალები ეხვეოდნენ, მამაკაცები ხელზე კოცნიდნენ.

ერთმა დარბაისელმა ფალავამ უმღერა კიდეც ძველებური: „ნოსა, ნოსა!“*

და ბედნიერი იყო რიაბინინა.

34

ვიწყენებ ილიას:

„მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად ცისა დასავალს არ გადასულიყო“, რომ ვედიდკარის არემარე უკვე მოოქროვილი იყო აპრილის მზის მცხუნვარებაშენელებული ცინცხალი სხივებით. ერთიმეორეში არეული ადამიანთა სამოსელის ნაირფერობა და ბუნების მწვანე სიხალისე ქმნიდა რიაბინინასთვის სულიერად ლაღ განწყობილებას. მის გულში სიხარული იჭრებოდა.

„რა ლაღი ქვეყანაა, როგორ გიწვევს ბედნიერების შესაქ-

* ნოსა — რძალი.

მნელად! ამ ლაქვარდოვან ცის ქვეშ განა შეიძლება ბედნიერი არ იყოს ადამიანი?“ — ხალისიანად ფიქრობდა რიაბინინა, მაგრამ უეცრად მის ფიქრს თითქოს ჩამოუფრენიაო, გუნება შეეცვალა და მწვავედ ჩაეჭდო გონებას იმის გახსენება, რომ არიან, არიან, აქაც არიან უბედურები!.. „მერმედა რად ხდება ეგრე? რად არის ცხოვრებაში ესეთი უსწორმასწორობა, რომ ერთნი ფუფუნებით ცხოვრობენ, მეორენი კი სიდუხჭირეს განიცდიან. მე კი მინდა ყველანი ბედნიერები იყვნენ, ყველას უყვარდეს ერთიმეორე“..

უეცრად კვლავ ნახტომი ფიქრში:

„განა შესაძლებელია საერთოდ ადამიანისათვის სრული ბედნიერება? თუნდაც რომ ყველაფერი ხელს უწყობდეს ამისათვის: გონიერება, შეძლება, ახალგაზრდობა, სიყვარული?“

რიაბინინამ არ იცოდა, რომ რუსთაველს ჰქონდა მიჯნურზე ნათქვამი, რომ მას უნდა ჰქონდეს „სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყრმე და მოცალეობა“, თორემ გუნება არცთუ ისე წაუხდებოდა, რადგან მას ეს ყველაფერი ახლდა.

არ იცნობდა რუსთაველს და ამიტომ მისცა თავის თავს კითხვა:

„მე კი ვიქნები ბედნიერი?.. — გადახედა ბეგის. თვალებით გაუბრწყინდა. — რასაკვირველია, რასაკვირველია, ვიქნები!..“

მაგრამ ალარ დასცალდა ამ ფიქრის გაგრძელება.

შუაგულ მინდორზე ოლარგადაკიდებული ოთხმოცი წლის საბატიო და სახემწყაზარი მღვდელი საბა გაბუნია გამოგვდგა. ცალ ხელში კარგა-მოზრდილი მეშის ბურთი ეჭირა. მას თან გამოჰყვა არანაკლებ წანდაზმული, ფალავების გვარის საამაყო წევრი ბახვა ფალავა. ის ჩოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი. ნაცრისფერი ჩოხა მის ჭაღარასთან იყო შეხამებული, წელზე ეკიდა ქარქაშმოვერცხლილი ლეკურხანჯალი, თავზე მოსირთულილი ფაფანაკი ჰქონდა თმებზე ზონრით დამაგრებული და ყელთან გოძგარით შეჩერებული. ფეხებზე ახალგაზრდასავით წუღა-მესტი ეცვა და საერთოდ მიხრა-მოხრა ცქვიტი ჰქონდა, ახალგაზრდული.

საბა გაბუნიამ, ეტყობა, რაღაც ლოცვა წარმოთქვა, ბურთს ჯვარი გადასახა და ბახვას გადასცა. ბახვამ ბურთი ხელში შეათამაშა და მარჯვედ გაისროლა. მყისვე ორად გაყოფილი ორბურთაველები ორივე მხრიდან მიეტევნენ და ერთ ხანს შეკრა

რკალი ბურთის გარშემო. ორივე მხარეს უნდოდა ბურთი ხელში ეგდო და ახბრებულად არც ერთი არ ანებებდა მუშტებში ჩაბღუჯულ ბურთს. განსაკუთრებით საქმე გააჭირვა მხარბეჭიანმა ლევა კოტიამ. ღონიერი კაცი იყო და ბურთს ასე იოლად ხელიდან არ გაუშვებდა, გარს ეხვია უამრავი ხალხი და შორიდან ბღლარძნს უფრო ჰგავდა მათი საქციელი, რამაც რიაბინინაზე ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება, მაგრამ აგერ ლევა გაუსხლტა ალყას და საოცარი ნახტომებით მოჰკურცხლა ლელოსაკენ. ამის გამო რკალი გაიხსნა და ბურთის გამტაცებელს გამოუდგნენ. ეს კარგი საყურებელი იყო. წინ გარბის ბურთით ხელში ერთი ვაჟკაცი და მას უკან მისდევენ დანარჩენები, ზოგი დაწინაურებულია, ზოგი ჩამორჩენილი, მაგრამ მიზნისაკენ ყველანი გულდაგულ მიიწრაფვიან. აგერ აგერ მიაღწევს კოტია თავის ლელოს, მაგრამ დაეწივნენ და კვლავ რკალი შეიკრა.

ამ დროს მოვიდა რიაბინინასთან ბახვა ფალავა.

ბახვამ მხოლოდ ბურთის გასროლით გახსნა ბურთაობა, თვითონ კი არ მიუღია მონაწილეობა თამაშში. რიაბინინას აუხსნეს, რომ ასე არის შეღებული დიდი ჯარიანობის დროს: ვინც პირველ საპატიო უფროსი და ღირსეული ბურთის გასროლით გახსნის თამაშს. ეს არის საპატიო საქმე დრეხასწაულისათვის, სოფლისათვის, მობურთალთათვის. და ბანქოში უფრო საპატიო ვინ იქნება ამჟამად, თუ არა ბახვა ფალავა, რომელიც, გარდა პირადი ღირსებებისა, ამავ დროს აქაური მაზრის, სენაკის მაზრის თავადაზნაურების წინამძღოლი, ანუ, როგორც მაშინ ეძახოდნენ, მარშალიც არის.

რიაბინინა მრცხვა, რომ დიდი პატივისცემა იყო მასთან ბახვას მისვლა.

ბახვამ გამოთქვა სიხარული, რომ ამ მშვენიერ ქალს მოუსურვებია ბეგი გვირგვილიანს გაჰყვეს ცოლად.

— გვირგვილიანების დაშოყვრება, ეს ყველა ჩვენის დამოყვრებაა, შვილო! ამიერიდან თქვენ მარტო გვირგვილიანების კი არა, მთელი სამეგრელოს რძალი ბრძანდებით. ეს მით უფრო გასახარელია, რომ ჩვენ, ქართველი მოდგმისანი, ძველი ხალხი გახლავართ, თქვენ რუსები კი, ახალგაზრდა, ჯან-ღონით და ენერგიით სავსენი. ასეთი შეჯვარება კი, ცხადია, კეთილ ნაყოფს გამოიღებს.

რიაბინინამ მადლობა გადაუხადა დარბაისელს მილოცვისათვის და თან დასძინა, რომ ამიერიდან სამეგრელო — ეს მისი მეორე სამშობლოა.

ბახვამ ამის შემდეგ ნექტარინას მიმართა და უქო ამ საქმეშიც მისთვის ჩვეულებრივი გამჭრიახობა.

ბახვას თან დასდევდა ფალავების ახალგაზრდობა და ხოკრძალებით ისმენდნენ მის საუბარს, მხოლოდ, როდესაც ბარონესას ხუმრობით მიმართა და უთხრა — კიდევ ჩამოგვიყვანეთ პეტერბურგიდან ამისთანა მშვენიერი გასათხოვრები, ხომ ხედავთ, როგორი ალესილი ბიჭები გვყავსო, და გადახედა ტანწერწეტა, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ ახალგაზრდებს, ყველას სიცილი აუტყდა, შემდეგ ბახვა დაგმარასაც თავზე ხელოს გადასმით მოეფერა და კვლავ ასე გაეხუმრა:

— ეს შენი ქალი მაინც გვაჩუქე ფალავებს, ბარონესა!

ამანაც სიცილი გამოიწვია და ზოგიერთმა ახალგაზრდამ მკერდი წინ წამორგო. დაგმარამ კი თავი ჩაღუნა.

ერთმა ახალგაზრდამ ფალავებში, თითქო გულდაწყვეტით, თითქო ხუმრობით მეგრულად ჩაილაპარაკა:

— ბედი რომ არ ექნება კაცს, თორემ რატომ არ გავჩნდი ქნეინა ნექტარინას ან მაზლის შვილად, ან მამიდაშვილად.

დანარჩენმა მისმა ამხანაგებმა ჩაიფრუტუნეს.

ბახვამ მეგობრულად ხელი გაუყარა იქვე ახლო მყოფ ვაჟკაცებს და უცხოელებისა და ვოლკოვისაკენ გაემართა. უცხოელები ჯერ კიდევ არ წასულიყვნენ ქუთაისს, რადგანაც ფალავებს არ გაეშვათ, და ახლაც მათ დღეგანდელ მასპინძლებთან იდგნენ ისინი ხომ ყოველდღე ხან ერთ ფალავის სახლში იყვნენ დაპატიჟებულნი, ხან მეორესთან. ამაღამ კი ბახვას ჯერი იყო და ასე შეახსენა კიდეც ბახვამ. პირველ ხანად განაზდნენ, მაგრამ როდესაც გაიხსენეს, რომ ბახვა ამ ქვეყანაში ერთი წარჩინებულთაგანი იყო, უარი ვეღარ ჰკადრეს.

საერთოდ კი ჩვენს ქვეყანაში ყოფნით ისეთი შთაბეჭდილება გამოიტანეს უცხოელებმა, რომ აქაურ პრივილეგიურ წოდებასაც ქეიფის და არშიყობას მეტი სხვისი არაფრის დარდი არა აქვთ. ეს წოდება ყველგან ერთნაირი ყოფილა, ყველგან დეგრადაციის გზაზე არიან დამდგარნი. ამათ აქ კვიზიციასთანა ხალხი თუ უშველის, მაგრამ ეგეც ერთი ხერხი, გაუნათლებელი და გაუგებარი კაცია, შორს ვერც მაგისთანა-

ბით წავა ქვეყანა, იმე კი ძალიან ყოყლოჩინობენ, იპრანჭებიან, ვითომდა პატრიოტობენ, მაგრამ ეგენი ვერ დაიცავენ თავიანთ ქვეყანას, იმე მალე გამოეცლებათ ხელიდან, რომ ვერც კი გაიგებენ სულ უცხოელების ხელში გადავა მათი სარჩო-საბადებელი, მათი ავლადიდება, ამისათვის არის საჭირო ვიჩქაროთ, რომ საუკეთესო ნაწილები მათი მამულისა, მადნეულისა, სამკურნალო წყლებისა თანდათანობით ჩვენ ჩავიგდოთ ხელში, თორემ სხვა ქვეყნის კაპიტალისტები დაგვასწრებენ იმე, როგორც ბაქოში, და ჩვენ დავრჩებით პირში ჩალაგამოვლებული, ჩვენ კი, თუ ენერგიას გამოვიჩენთ და ჩვენი ქვეყნის სხვა მრეწველებსაც ჩავრევთ ამ საქმეში, მაშინ ერთ მშვენიერ დღეს ადვილად შეიძლება ბელგიამ გამოაცხადოს, რომ თუ მთლად არა, საქართველოს დასავლეთ ნაწილი მაინც ჩემი კოლონია არისო და რუსეთიც მშრალზე დატოვოს, ეს იქნება არამცთუ სეირი, არამედ დიდი პოლიტიკური გამარჯვებაც.

ამ დროს მობურთავეებში დაინახეს, რომ ეგი სართანიას ბურთი ეგდო ხელში და ახლა ეს გამორბოდა მეორე, კოტიას წინააღმდეგ ლელოსაკენ.

გარშემო მდგომი ხალხი გაფაციცებით უყურებდა, თუ რომელი მხარე აჯობებდა, მაგრამ ყველაზე უფრო დაძაბულად უყურებდა ფარნა ბჟალაა თავისი ცოლ-შვილით. ესენი ხომ სწორედ ლევა კოტიას სტუმრები იყვნენ, რადგან ლევა ფარნას მეუღლის ფანთას ძმა იყო და სწორედ მასთან იყვნენ წამოსული ამ სააღდგომოდ.

მათ-სწყინდათ, რომ ლევასთვის ბურთი წაერთმიათ მოწინააღმდეგეებს. მაგრამ აგერ ლევა გამოეწთო სართანიას, დაეწია, თავისი მაგარი მკლავებით ჩაბღუჯა, მხოლოდ სართანიაც ახირებულად არ დანებდა და გაუძალიანდა. ამ ორის რკინებამ ხალხის ყურადღება მიიპყრო. ქვევით მაყურებლები უფრო ახლო შეჭუჩდნენ მობურთალთა გარშემო. ქვეითებს ცხენოსნებიც შემოერივნენ, მაგრამ უმეტესობა ცდილობდა, რომ ქვეითები არ შეევიწროებინა. მხოლოდ გუტატიმ ფარნას მხარზე მოაგდო ცხენი და ბევრი მაყურებელი კინალამ წააჯიგორგალა. ფარნა ურყევად იდგა თავის ცოლ-შვილში. რომ გუტატიმ დაინახა, დაუყვირა:

— გაიწიე, ბიჭო!

ფარნამ იცნო გუტატი და მაშინვე შეუბრუნა:

— შენი ბიჭი მე საშობოდ დავკალი ქიდეც.

— ო, შე ქოფაკო, ვის უბედავ! — უფრო მაგრად შეუტია გუტატიმ და ხურგზე მათრახი გადაუშხუილა ფარნას.

თვალის დახამხამებამდე ფარნამ ცხენის ჯილავში წაუვლო ხელი, შეახტა და მაგარი სილა გააწნა გუტატის.

გუტატიმ ხმალი ამოიღო.

შეიქმნა აურზაური, ქალების წივილი, კივილი, ქვეითად მყოფი გლეხების ყიჟინი: დაჰკა მაგ კუდაბზიკა აზნაურსაო!

ამან აზნაურებიც შეაყენეთა და შეიქმნა ხელჩართული ცემა-ტყეპა. არავინ არ იცოდა, ეს ჩხუბი რატომ ხდებოდა, მხოლოდ ერთი კი ცხადი შეიქნა, რომ თავადაზნაურობა გლეხებს მათრახებით უმასპინძლდებოდა, რადგანაც მათი უმეტესობა ცხენებზე იჯდა, გლეხები კი ჯგუფ-ჯგუფად ცხენიდან იღებდნენ ცხენოსანს და შემდეგ სცემდნენ კარგა მაგრა.

ბაზვამ ეს რომ დაინახა, მაშინვე კაცი აფრინა; — დღეს აქ ბოქაულია ჩამოსული და თავის ჩაფრებით დაუყოვნებლივ აქ გაჩნდესო.

მართლაც ასე მოხდა. ჩაფრებისა და ბოქაულის გამოჩენამ თითქოს მოჩხუბართ ცივი წყალი გადაასხა, უცბად ყველა შეაჩერა და მიფანტ-მოფანტა.

გუტატისთვის ამოღებული ხმალი წაერთმიათ, ჩოხის სქივლე და ახალუხი ცალ გვერდზე ჩამოეხიათ. შეურაცხყოფილი გინებ-გინებით მიდიოდა თავის მასპინძლის სახლისაკენ, თან ემუქრებოდა ფარნას:

— ეს ულვაში მომპარსე, თუ ხახიზნო ადგილიდან არ აგაყრე და შენი ჩასუქებული ფანთაც ხელში არ მოვიგდე!

ნექტარინამ რომ გაიგო გუტატი გალახულიაო, მაშინვე აიწყვიტა. თავისიანებს შეუძახა და თავის ნათესავ მართას სახლისაკენ გასწია.

საღამო მოშხამული იყო.

ბაზვა დიდ ბოდიშს იხდიდა სტუმრების წინაშე მომხდარი უსიამოვნების გამო. ყველაფერი ზედმეტად დალეულ ღვინოს მიაწერა და მაინც უბრძანა ბურთაობა ბოლომდე მიეყვანათ და ეერთო მხიარულება ესევ გაეჩაღებინათ.

ეკოციმილმა მოახერხა, წრე შეადგინა და იქ მყოფთ ცეკვა

გააჩალებინა. დაირის ხმა რომ გაისმა, სწვა ადგილსაც შეიკრა. მოცეკვავეთა წრე და ხალხი თანდათან მოსულიერდა.

გამოირკვა ისიც, რომ ლელო მაინც კოტიას გაეტაწა და მეგობრები ულოცავდნენ გამარჯვებას.

ფანთას და გურის თვალები უბრწყინავდათ, ფარწას გული ჯერ კიდევ ვერ დაემშვიდებინა, რაც ეტყობოდა ფერმიხდილობაზე, მაგრამ მაინც დინჯად იყო და ესეც ლევას თავს დასტრიალებდა.

ვიდაცამ საიდუმლო ამბავი მოუტანა — გუტატი ბერთიდან აყრას გიპირებსო და ფანთასაც ემუქრებაო. ამაზე ფარწას გულზე ცეცხლი მოედო, დიდად გაბრაზდა, მაგრამ სხვა ვერაფერი მოახერხა და ამბის მომტანს ასე უთხრა:

— თავის ქერქში დაეტიოს, თორემ ფანთას კი არა, სუყველაფერს დავუწყებ. ჯერ ის იკმარონ, რაც მის მარჯვენა ყბას სიმწვავე ვაგრძნობინე. მომავალში კი... ჩემი ხიზნობა ნუ ალდგია ყელზე... ახსოვდეს, რომ ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა — ცხარეაო.

ამით გული მოიფხანა.

უეცრად გაისმა ხმა, გარდაფხაძის ქალი მოვიდა, გარდაფხაძისო, და ის ხალხი, რომელიც წასვლას აპირებდა თავის სახლში, შეჩერდა და მის ნახვას დაელოდა.

ეს რომ რიაბინინამ გაიგონა, კარგა მოშორებით იყო წასული, მაგრამ ბეგის სთხოვა დაბრუნებულიყვნენ. გზაში ბეგიმ უთხრა:

— ეგ გარდაფხაძის ქალი ულამაზეს ქალად ითვლება ჩვენ მხარეში, ის სვანეთიდან ბრის წამოსული, მაგრამ უნდა იცოდე, რომ ბაწძის სადღესასწაულოდ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყოველი მხრიდან მოდიან ხოლმე. მოდიან აფხაზეთიდან, გურიიდან, იმერეთიდან, როგორც ხედავ, სვანეთიდანაც და მოდიან სწორედ ნაალდგომევის ხუთშაბათს, ან პარასკევს უთუოდ და აქ რჩებიან წაახალკვირევის ორშაბათამდე, იმ დღეს აქ დიდი ჯარიანობა იციან, დღევანდელზე კიდევ უფრო დიდი, ჭვენიეროზას ეძახიან და მხოლოდ სამშაბათს წავლენ-წამოვლენ ეს სტუმრები.

— თითქმის მთელი კვირა რჩებიან?

— დიახ, ფშაველები, ცოტაოდნად მაინც ხომ გაეცანი მართალს, აქაც, ჯარიანობაში, როგორი მომლხენნი, სტუმართმოყ-

გარე და პურადი ხალხია. ამბობენ, ჩვენი ბელგიელები სულ დაგიჟებული არიან მათი მასპინძლობით. შემწვარი ძროხა შამფურზე მთლიანად აგებული შემოგვიტანეს ერთ სუფრაზეო, მაგრამ მე ცოტა გადავუხვიე. გარდაფხაძის ქალის ნახვა ყველას ენატრება და მის საჭვრეტად გროვდება ხალხი.

— მართლა? გავუჩქაროთ, გავუჩქაროთ ფეხი. ნექტარინა, არაფერია, მე არ გამიწყრება ჩამორჩენისათვის. მისი გუტტა ხომ ცოცხალია, ჰა, ჰა! ხომ არ მოუკლავთ.

— რა მოკლავს ძაღლის შვილს, ამბობენ, ძალზე ნაცემია.

მაგრამ გუტატის მდგომარეობის გაგებას არ შეუდგა რიაბინინა. ეტყობრდა, ის სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. წარმოთქვა:

— მაშ საჭვრეტად, ა? ლამაზი ქალის საჭვრეტად. ეს ხომ ანტიური რამ არის, ბეგი, ელინური. რომელიმე ფრინას, ან ასპაზიას სანახავად ძველ საბერძნეთში ხალხი იკრიბებოდა თურმე. იმისათვის, რომ მათი სილამაზე დაენახათ. ამითი ესთეტიკური სიამოვნება მიეღოთ. იქ ხომ ქალის კულტი ყოფილა გაბატონებული. ქალს აღმერთებდნენ. რა მშვენიერია, რომ თქვენშიაც ასე ყოფილა. მაშ საჭვრეტად. ა, ბეგი?

— არ ვიცი, შენ რას ლაპარაკობ, ჩემო მტრედო. ეგერ, ია ბაბვა ფალავასთან და ვამეხთან დგას გარდაფხაძის ქალი.

რიაბინინამ გაიხედა.

მართლა მწყაზარი ქალი დაინახა: ტანადი, ნატიფი სახის.

ირგვლივ ხალხი მის შორიახლო მოგროვილიყო და თითქოს მართლა ნეტარებით შესცქეროდა.

ასეთივე გრძნობით დიდხანს უყურებდა რიაბინინაც თითქოს მართლა რაღაც დიდად ნახელოვნევი ძვირფასი ნივთი უპოვნიაო.

ასეთივე აღტაცებით შესცქეროდა ვამეხიც უცხოელებთან ერთად გარდაფხაძის ქალს. თან ახსენდებოდა — გადაახლებაში ის დრო-დროთი წერდა ერთგვარ ნაშრომს ქალის კულტზე საქართველოში. ამით იკლავდა პუბლიცისტობის ჟინს, რადგან კარგად ახსოვდა, რომ 70-იან წლებში მას საქართველოში დიდ შომავალს უქადდნენ მწერლობაში. ნიკო ნიკოლაძესთან და გიორგი წერეთელთან ერთად მარჯვედ გაწოდდა სამწერლო ასპარეზზე და მხოლოდ უბედურმა შემთხვევამ მოაცილა იგი მწერლობასაც და სამშობლო მხარესაც. მაგრამ

გადაკარგული შაინც არა ცხრებოდა და ერთ აკვიატებულ დედააზრს თავს დასტრიალებდა. მისი ყურადღება იმაზე იყო გამახვილებული, რომ საქართველოში უხსოვარი დროიდან მოდიოდა ქალის კულტის თაყვანება. ჯერ წარმართობის დროს ქართული მითოლოგიის პანთეონში ქალის გალმერთება, შემდეგ ქრისტიანობაში ღვთისმშობლის წილში მოხვედრილი საქართველო, წმინდა ნინო, თამარი და კიდევ, ვინ იცის, რამდენი მშვენიერი ქალი, ქართველებისათვის სათაყვანო, გასაღმერთებელი. ახლა „ვეფხისტყაოსნით“ თინათინი, ნესტანი...

ამის ანარეკლია ახლაც სადმე თემობაში თუ ჯარიანობაში გამოჩენილი ლამაზი ქალი.

აგერ გარდაფხაძის ქალი!

ვამეხს გაახსენდა ერთი ადგილი თავისი ნაშრომიდან:

„ქალის სილამაზე ატყვევებს ყველას თავის გარშემო თავის უძლეველის სიამითა და ნეტარებით. მას ყველა განუსაზღვრელად ემორჩილება, არავის არ უნდა გადაიგდოს მისი სანეტარო უღელი. ქალის სილამაზე ღვთაებრივი შერწყმაა აუცილებლობისა და თავისუფლებისა. იგი არის სასწაული და მხოლოდ ტლანქ ნატურალიზმს არ გაეგება ეს“.

ამ დროს მოესმა ვამეხს უცხოელის ხმა:

— დიახ, ეს მართლა რომ ლამაზი ყოფილა!

ვამეხი სწრაფად მიბრუნდა მისკენ:

— ქალის სილამაზე — ეს შერწყმაა შეურწყმელისა.

მსმენელებმა კარგად ვერ გაიგეს, ამიტომაც ჩაიცინეს. ვამეხი კი არ ცხრებოდა. ახლა ვოლკოვს მიუბრუნდა:

— ამას წინათ როგორღაც ხელში ჩამივარდა და თქვენი ბობორიკინის „На перевале“ გადავიკითხე: ის წერს...

ვოლკოვმა ამრეზით ცალყბად გაიღიმა:

— ვერ მოგილოცავთ ასეთ გემოვნებას. ბობორიკინი რა მწერალია!

— ნუ იტყვით მაგას, — შეესიტყვა ვამეხი, — ეტყობა, კარგა ვერ იცნობთ. ჰკვიანი მწერალია და დიდი ერუდიტი. ვიცი, რომ სათანადოდ არ არის თქვენთან მიჩნეული, მაგრამ ეს, ჩემი ფიქრით, იმისათვის ხდება, რომ ბობორიკინის დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისეთი ბუმბერაზები, როგორიც ტოლსტოი, ტურგენევი, დოსტოევსკი, და ამათთან ბობორიკინი, რასაკვირველია, იჩრდილებოდა.

უცხოელმა შეაწყვეტინა:

— თქვენ ეს გვიბრძანეთ, მუსიო ვამეხ, რაში წერს ეგ მწერალი?

— ჰოო... ის წერს ერთ ალაგას: „ერთადერთი სილამაზე ა, რაც ჭეშმარიტად სინამდვილის სახეს ატარებს. მხატვრული რეალიზმი ალსავსეა ერთიმეორის მოწინააღმდეგე მიმართულებით. სილამაზის სფეროს ეს არის უდიდებულესი ძეგლი კაცობრიობისა, რადგანაც ადამიანი მარტოლაც და მშვენიერების სახეებით უნდა ცხოვრობდეს. ქალმა სილამაზე თავისი გულმკერდით გაათბო. მამაკაცი კი ტლანქსა და საცოდავ, ვითომდა გონიერ ცხოველს წარმოადგენს“.

უცხოელები უსმენდნენ ვამეხს, მხოლოდ თვალებით გარდაფხაძის ქალს მიშტერებოდნენ. ქალი კი ბახვაშა და სხვა ფაღავებს ესაუბრებოდა. იაფფასიანი კოხტაობა არ ეტყობოდა, მხოლოდ შინაგანი, მომხიბვლელი სიკეკლუცე ემჩნეოდა, რაც უხვად მოდგამდა. სიცილი ჰქონდა შესანიშნავი: სახე უნათდებოდა და ბაგე-პირიდან თითქოს, როგორც ამბობენ, მართლაც ვარდ-მარგალიტი მოცვივოდა. თვალები კი აუქუცქუცდებოდა და ეს იყო უცნაური! ცბიერება არა, მზაკვრობა არა, ესენი არ იხატებოდა მის ეშხიან თვალებში, მხოლოდ როგორღაც საიდუმლო მიმზიდველობა გატყვევებდათ და ამ ტყვეობით იყავით გატაცებული. რა იყო ეს ძალთა ძალი? დიდებული აკაკი ამბობს: „ასეა, ვისაც ბუნება თავის ძალს გაუწილებს“.

ვამეხი განაგრძობდა:

— ბობორიკინი ამასაც ამბობს: ზნეობას ქალი ქმნის, ის დიდი მხატვარია, დიდი შემოქმედი. ის თავის თავსაც ქმნის და თავით თვისით სხვებსაც: ოჯახს, საზოგადოებას, მთელს კაცობრიობას. ის თავით თვისით არის შთამაგონებელი და აცოცხლებს ღვთაებრივ სილამაზეს.

ამ დროს ბახვა მობრუნდა ვამეხისკენ და შეეკითხა:

— რაზედ ესაუბრები, ვამეხ, უცხოელებს?

— ქალის სილამაზეზე.

— ჰო!.. — ბანვა უეცრად მიუბრუნდა გარდაფხაძის ქალს: — გაიცანით, მელიხან! ჩვენი ვამეხ გვირგვილიანი, ქალების დიდი თაყვანისმცემელი და დამფასებელი.

მელიხანს სახე არ შეცვლია. იმევ და იმევ ზრდილობიანი

გამომეტყველება ჰქონდა მხოლოდ. გამეხს ხელი ჩამოართვა და წარმოთქვა:

— თქვენზე ბევრი რამ მსმენია!

რა იყო ეს? ქათინაური თუ გამოთამაშება? მხოლოდ ვამეხს გულში ჩაწვდა ქალის ხმა: გულის სიღრმიდან ამოსული, მაგრამ ძალდაუტანებელი, ცოტა კონტრალტოს იერი რომ დაჰკრავდა, ისეთი. სხვა არ უთქვამს რა, არც თავისი ხელი გაუჩერებია დიდხანს ვამეხის ხელში, მაგრამ ვამეხმა თავის თავს მაინც დაუდასტურა: რა მომჯადოებელი ხმა ჰქონია. რა გემრიელი ხელი!

„ჰმ... გემრიელი ხელი! როგორ დეკადენტურად ვფიქრობ. ახლა ხომ წამოვიდა ჩვენს მწერლობაშიაც დეკადენტური ნაკადი, ვაითუ მეც ჩამითრია, მაგრამ არა! — გაახსენდა თბილისში ოდესღაც მისი სატრფო ქალი, იმასაც გემრიელი ხელი ჰქონდა. — და შეაჩერდა მელიხანს. — არა, ჩემი სატრფო ასეთი სხივოსანი არ იყო... ამან, ეტყობა, იცის თავისი ფასი, იცის, რომ ირგვლივ ყველას მოსწონს და ყველგან, მაგრამ ამას კი არ იფერებს, არამედ არც იმჩნევს. ასე უნდა იყოს, ასე. სიმშვენიერეს პრანჭიობა არ შეშვენის".

35

უკვე შებინდდა და ველიდკარზე თავმოყრილი ხალხი წელიწადი სიმღერითა და მხიარული ჟივილხივილით დაიშალა.

ზოგი ქვეითად მიდიოდა, ზოგი ცხენებით.

ქვეითად მიდიოდა ბურთაობის გმირი ლევა კოტიაც და წელი-ხელგაყრილი მოჰყავდა ბურთაობაში მისი მეტოქე ეგე სართანია. ეგემ თავბატიჟი გაიდო — შინ უნდა დაბრუნდეო. მაგრამ ლევა არ უშვებდა.

— შენ მარტო ხარ სახლში, უცოლშვილო, მე კი — აგერ სტუმრებიცა მყავს, — და ციუთითა მათთან ზიმაკალ ფაცთაზე, ფარნასა და გურჩიზე, — ამაღამ ჩემთან გავატაროთ დრო, ხვალ, თუ გინდა, შენ დაგვპატიჟე ჩემი სტუმრებით! — ჩაუხუმრა ლევამ.

ბურთაობაში და ყანის მუშაობაში იყვნენ ერთიმეორის მეტოქეები, თორემ ისე ბატარაობიდანვე უყვარდათ ერთმანეთი და საერთოდ მათი მეგობრობა განთქმული იყო.

ეგიმ ქედი არ დაიდრიკა და ამანაც ხუმრობაშეყოლებით უპასუხა:

— დამცინი, ბიჭო? ვაი, ეგი არ მოვიკვდეს, იმისთანა წვეულება გაგიმართო, რომ სულ ვარხალალო გაძახო. მართო ვარ, მაგრამ ბიცოლაჩემი მეზობლად არ მყავს! ისეთი სადილი გაჭამო, რომ თითები შიგ ჩააყოლო.

ეს უთხრა და მაინც წასასვლელად გაიწია, მაგრამ ლევამ ახლა უხუმრად განუცხადა:

— ბესარიონიც ჩემთან მოვა ამაღამ, არც ახლა წამოხვალ?

— ოო, ბესარიონი თუ იქნება, რასაკვირველია, წამოვალ. ბევრ რასმე გვეტყვის საგულისხმოს.

— აბა როგორ!

— მაშინ, გური, მოდი ჩემთან! — ფანთა და ფარნას ვაჟი მივიდა. ეგიმ მხარზე ხელი გადახვია და უთხრა: — ერთად ვიაროთ. როგორ მოგეწონა დღეინდელი ჯარიანობა?

— რა მომეწონა! ბანძელებს მხიარულება არ გცოდნიათ. — ნელი ხმით, მაგრამ მტკიცედ ჩაილაპარაკა გურიმ. — არ ჰგავს ბერთემულ ობირეშს. ამისთანა გარგვალებული ჩხუბი მე არ მინახავს!

— სად ნახავდი, ბიჭიკო, ჯერ მიწას არ აცილებიხარ. კარგი კი იყო! ეს იყო ნამდვილი შეტაკება თავად-აზნაურებისა და ჩვენი. მარგალების. ბურთაობა ერთ ხანს შეგვაწყვეტინეს მაგ ოხრებმა, მაგრამ მოჩხუბრებში მეც კარგი ვუთაქე ზოგ-ზოვს, რასაკვირველია უფრო აზნაურებს.

— მამაჩემსაც რომ გადაარტყა მათრახი იმ წყეულმა?

— ეგ არაფერია! მამაშენს ჩოხაზე გადაურბინა მათრახმა და მაგას კი აგერ ახლა არ მითხრა, ისეთი სილა უჭმევია გუტატისთვის, რომ სულ ღრანჭი მოუქცევია.

— რა ვიცი! რა სიკეთეს მოუტანს ასეთი ერთიმეორის შეტევა?

— ჰა, ჰა, ბიჭო! ეს იცოდე: ძალიან მალე დადგება დრო, როდესაც ჩვენ და თავადაზნაურობას, იმ ბოქაულსაც და იმ ჩაფრებს, ჩხუბში რომ ჩაგვერია, ისე შევეტაკებით, რომ სულ სიმწრის დღეს დავაყენებთ. შენც უნდა შეეჩვიო, გური, ამისთანებს. ეს პირველი და შემთხვევითი შეტევა იყო, ამითი ჩვენ გამოვზომეთ ერთიმეორის ძალები, ერთგვარად გავიგეთ, თუ

ვინ რისი შემძლეა. ისინი ცხენებით იყვნენ და შეიარაღებულები, ჩვენ კი — ქვეითად და უიარაღოდ, მაგრამ ხომ ხედავდი, რა დღეც დავაყენეთ. ცხენებიდან გადმოვაგდეთ, ხმალ-ხანჯალი წავართვით, ქვეშ მოვიგდეთ და სულ წიხლით დავუსიეთ მთელი სხეული, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არც ერთი საჩხუბრად მზად არ ვიყავით. მოვა დრო და ისე შევემზადებით, დავირაზმებით და ასე შემთხვევით კი არა, გამოზომილად და გულდაგულ ისე შევუტევთ, რომ სულ ვაი დედას ვაძახებთ. შენც ხომ მიიღებ, გურჩი, მაშინ მონაწილეობას?

— მეე? როდის იქნება ეს? ჰო, გუტატისთანა წყეულებს არც მე დავაყრი ხეირს.

— რა ამბავია, ეგი? შე უკუღმართო! რას ასწავლი შაგ ბალანას, — სიცილით შესძახა მის ზურგს უკან მომავალმა ფანთამ.

— უკუღმართობას კი არა, საქმეს ვასწავლი, დიახ. შენი შვილი მებრძოლი არ უნდა გამოვიდეს? — შეუბრუნა ეგიმ. კიდევ რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ზურგს უკან ცხენების თქარათქური შემოესმათ და ქვეითებმა გზა უტიეს ცხენოსნებს.

მათ შორის შუაზე მოდიოდა მშვენიერ ბედაურზე მჯდომი გარდაფხაძის ქალი. გვერდით მიუყვებოდნენ ბახვა ფალავა და ვამეხი. მათ შემდეგ უცხოელები და ვოლკოვი. ამათ მიღმა კი მთელი „ბდგუ“ ყელმოღერებული ყმაწვილებისა. ცხენები დინჯად მოაბიჯებდნენ და ქვეითებს გატანას არ უპირებდნენ, ამიტომ იყო, რომ ქვეითები არ დამფრთხალან, მხოლოდ გზა დაუცალეს და თვალი კი გაჰყოლეს მხედრებს.

კარვი სანახავები იყვნენ. კარგა მორთული ახალგაზრდობა: ქართულს ჩოხა-ახალუხში, მოსირმული საქილეებით და წუღა-მესტებით, მხოლოდ სხვაობა შეჰქონდათ ევროპელებს თავიანთი სერთუკებითა და ფართოკალთიანი ევროპული ქუდებით. ადგილობრივებში ისინი სიცილს იწვევდნენ, რადგან, ჯერ ერთი, ცხენებზე, ვოლკოვის გარდა, არცთუ ისე მოხდენილად ისხდნენ და, მეორე, აქაურებს ისინი ებრაელ მეწკრიმალეებად ეჩვენებოდათ. უცხოელებს სერთუკის კალთები ცხენების გავაზე ჰქონდათ გადაფარებული. რაც ცხენოსანისთვის ამ მხარეში დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ეგერ როგორ სხედან ადგილობრივები. — ჩოხის კალთებიც დიდი და ფართო,

მაგრამ ისე აქვთ წელქვეით უნაგირზე ამოკვეცილი, რომ მხედარი სარივითა ზის ცხენზე. არც შარკლები აქვთ აჩეჩილი უცხოელებივით უზანგთან, რადგან წუღა-მუსტთან ერთად საცვეთებიც აცვიათ. ისევ და ისევ ვოლკოვი და ვამეხი ეყრა უნაგირში წესიერად ჩამჯდარი. მაინცდამაინც ყველას გარდაფხაძის ქალზე დაურჩა თვალი. ეგის ისიც კი წამოსცდა: ბართლა მზეთუნახავი არ ყოფილა ეს დალოცვილიშვილიო, მაგრამ ფარნამ წაუშალა ეს აღტაცება:

— რაი მზეთუნახავი, რას ამბობთ, ეგი! ჩემ ფაწთას მაკლია რომ ჩააცვა და დაახუროს, აგრე რომ აცხოვროს, რომელი გარდაფხაძის ქალი აჯობებს!

— უი, შენ კი დაიღუპე, შენ! — გადაიკისკისა ფანთამ. — რას არ იტყვის ეს ჩემი მუქიკი.

ფანთამ იცოდა ეს რუსული სიტყვა. იცოდა, რომ გლეხს ნიშნავდა და ღონიერ მამაკაცსაც. ამიტომ ხუმრობის დროს ქმარს მუქიკობით იხსენიებდა.

ყველას გაეცინა ფანთას სიტყვებზე, მაგრამ ფარნა არ ცხრებოდა:

— როგორ? ტყუილს ვამბობ თუ? შენც რომ ამბისიანზე მზეთუნახავი არ მყავდე, გუტატი არშიყობას დაგიწყებდა?

— დაიკარგოს იქით! იმდენი არ აუდგა გვერდები! — ეს კი წარმოთქვა ფანთამ, მაგრამ სახეზე მხიარულება სულ გუქრა. გაახსენდა, თუ გუტატი რამდენჯერ შეუვარდა სახლში, ფარნას შინ არ ყოფნის დროს ჯერ კიდევ ახლად ჯვარდაწერილს, მხოლოდ ვერაფერი გაიტანა. ფანთა ისე ახერხებდა, რომ გუტატის მუდამ კუდამოძუებულს უშვებდა. შედეგ ერთ ხანს მიატოვა გუტატიმ იერიშები. მხოლოდ ამ ბილწ ხანებში ისევ გარ-გარ დატრიალებს. რაო ვითომ? რა მოხდა? შეიძლება, ის რომ ძუძუმწოვარი ბავშვი ალარა ჰყავს და ივითონაც უფრო დამშვენდა?

გუტატის ახალ იერიშებზე არაფერს არ ეუბნება ფანთა ქმარს. ერთი რომ, თავისი თავის იმედი აქვს და, მეორე, არ უნდა ფარნას გახელება: ფიცხი კაცია და, ვინ იცის, რა უბედურება დაატრიალოსო. ამან ყველაფერმა დააღონა ფანთა, ერთ ხანს ჩაჩუმდა, მაგრამ ფარნას მაინც ყური დაუგდო. ფარნა ახლა ეგის და ლევას ელაპარაკებოდა:

— ახლა მემუქრება თურმე გუტატი, როგორც ხიზანს სულ

ავყრი ფარნას გვირგვილიანების მამულიდან და მთელს ოჯახსაც გაუჩანაგებო.

— მმ... — ზმუილი აუტყდა გურის, მაგრამ ეგიმ სწრაფად დააჩუმა:

— განგებ ლაპარაკობს მამაშენი. ახლა გაბრაზებულია და შიტომ, თორემ არაფერიც არ იქნება.

გურიმ თითქოს დაუჯერა ეგის, მხოლოდ ფანთა კიდევ უფრო აღელდა, როდესაც ფარნას შემდეგი სიტყვები გაიგონა:

— ახლა თურმე ჩემ ფანთასაც უნდა გადმოწვდეს.

— კაცო! მე გამიგონია, რომ ახლა რაღაცა ახალი კანონია თურმე და ხიზნებს მებატონე ისე ახირებულად ვეღარ შეგვხებათ, — წარმოთქვა ლევამ, მაგრამ ფარნამ მაინც შეუბრუნა:

— ჰო, ახალი კანონი კია გამოცემული რუს ხენწიფიდან. ხიზანს უპასუხისმგებლოდ ვერ აყრის მებატონე, მაგრამ ახლა ისეა, რომ მებატონეს შეუძლიან ოფიციალური წინადადება მოგცეს და შენს სამოსახლოშიაც მისი საფასურიც გაიღოს, მაგრამ... ლევა, შენი ჭირი შემეყაროს... ჩემი ქარ-მიდამო, ჩემი პატარა ვენახი და ხეხილნარი და საყანე ადგილებიც რომ ვინმემ წამართვას, ხელ არ შევაკვდები?

— არაფერი არ იქნება, კაცო, ტყუილა რატომ დელავ? — ისევ გამოეხმაურა ლევა.

ეგიმ კი ვიღაც მგზავრი დაინახა გზაზე და გამოელაპარაკა. თან გური არ მოუშორებია, უთუოდ იმიტომ, რომ გურის ყური ალერ დაეგდო მაშამისის აღშფოთებისათვის.

მაშამისი და ლევა ფანთასთან ერთად გაანაგრძობდნენ გზას. ფარნა მაინც უმტკიცებდა ლევას, რომ მას სხვა გამოსავალი არა აქვს, თუ მართლა გუტატიმ ჯაჭვური დაუწყო, უთუოდ მოკლავს და ეს იქნება, ფარნას აზრით, საუკეთესო მისი გადაწყვეტილებაც.

— რად მინდა მე მისი ფული. ვერავითარ ფულში ვერ გავცვლი მე ჩემს ნაშაგდარს, ჩემს ნაწვავ-ნადაგს. ახლა ფანთაზეც რომ მემუქრება, შენ გგონია, ვერა ვარ მიმხვდარი, ამითი რა უნდა გააკეთოს? — უნდა დამაშინოს: ვითომ შენი ცოლი თუ არ დამემორჩილება, მაშინ აგყრიო. ვაი დედასა!

— უიტ, წუპაკი! მაგ დღეს არ მოასწრებს ღმერთი! — გულის სიღრმიდან ამოხდა ფანთას ეს სიტყვები, მაგრამ იმავ დროს ცივმა და თითქო პრაქტიკულმა გონებამ ერთი მზაკვრუ-

ლი წინადადება მიაწოდა. ხმამაღლა, რასაკვირველია, ამაზე არა უთქვამს-რა, მაგრამ გუნებაში კი ჩაესახა:

„თუ მართლა ასეა, თუ სხვა გამოსავალი არ არის... რა იქნება, რომ ჩემს ოჯახს შევწირო ჩემი ნამუსი?“

მისთვის ამ საშინელმა აზრმა ერთ წუთს გადაურბინა შეგნებაში, მაგრამ სწრაფადვე გაქრა და ეს წუთიერი სიბნელე ისევ მისმა ბუნებრივმა რიგიანობამ შესცვალა.

შემდეგ უკვირდა კიდეც — იმ წუთას ეს როგორი რეტი დამესხაო.

ამასობაში ლევას სახლსაც მიაღწიეს.

ცოტა ხნის შემდეგ ლევასთან მოვიდა მისი ბიძაშვილი ბესარიონ კოტია, რომელიც ქუთაისში მსახურობდა, რომელიღაც საფაჭროში ნოქრად და ითვლებოდა ახალი თაობის კაცად. მას მოჰყვა ერთი-ორი ახალგაზრდაც. მასპინძლებმაც სუფრა გაშალეს და შეუდგნენ პურადღებას. მაგრამ ეს არ შეიქნა ისეთი სუფრა, სადაც ხელჩართული სმა უნდა გაჩაღებულიყო. სკამდნენ ცოტ-ცოტას და უფრო უსმენდნენ მოწინავე კაცად მიჩნეულ ბესარიონს.

იმან ბევრი რამ უამბო ქუთაისის დაბალი ფენის მოძრაობიდან. უამბო, რომ ქუთაისში არის უკვე შემდგარი წრეები ნოქრებისაგან, და რომ ამ წრეებს ხელმძღვანელობენ განათლებული ახალგაზრდები, რომ ისინი დროებით იკრიბებიან და ეცნობიან რევოლუციურ ლიტერატურას, არალეგალურ გაზეთებს, პროკლამაციებს და მათ დიდი სიფრთხილით ავრცელებენ კიდეც მცხოვრებლებში. რომ ყველა ამეებს მეთაუროობს ერთი მეტად საუცხოო ნათელი პიროვნება — საშა წულუკიძე, რომელსაც ბესარიონი პირადადაც იცნობს და ითვლება მის მეგობრადაც კი.

ბესარიონი უმტკიცებდა თავის მსმენელებს, რომ მომწიფდა დრო, როდესაც ყველა დაჩაგრულმა რუსეთის დიდ სახელმწიფოებში უნდა ამოიღოს ხმა მისი მჩაგვრელების წინააღმდეგ, უნდა დაირაზმოს, შეიარაღდეს, გამოვიდეს ბრძოლის ველზე და დაამხოს უწინარეს ყოვლისა თვითმპყრობელობა. ძალაუფლება თავის ხელში უნდა ჩაიგდოს და ამის შემდეგ ადვილად მოერევა ხალხი იმ მტარვალებს, რომლებიც მას ზურგზე აზის — კაპიტალისტებს, ბურჟუებს და თავადაზნაურობას და სასულიერო წოდებასაც — ყველა ამ მაჯლაჯუნას, რომლებიც

ხალხის სისხლსა სწოვენ და მთელი მონაგრის უდიდესი ნაწილი მშრომელებისა მათ აქვთ მითვისებული.

ამის შესახებ განსაკუთრებით ფარნამ და ცოტაოდენად სხვა დამსწრეებმა იცოდნენ კიდეც, მხოლოდ მათ უნდოდათ გაეგოთ, თუ როგორ შეიძლებოდა ამის მოგვარება, და ჰკითხეს კიდეც ბესარიონს.

იმას თვალები გაუბრწყინდა, ღიმილის ნაოჭები საფეთქელთან გაუსხივოსნდა და პასუხად არაფერი არ თქვა, მხოლოდ ერთი წაიმღერა:

„ეის დოგიძახუნანი
თექი ოკო გოჯუმაფა“*

ამან ყველა გაამხიარულა და ლევამ მაშინვე შემოსძახა შრაფრული ლაშქრული. კარგი სიმღერა იცოდა იმანაც და ეგიმაც, რადგან მთელი ბანძა თავისი თავდაზნაურებით ყოფელ შემთხვევისათვის სულ სხვადასხვა ჰანგად იყო ამღერებული. არც ესენი აყვნენ ჩამორჩენილი. ესენიც ფაღავისებურად მღეროდნენ. ხალხური, მჭექარე სიმღერები უფრო ღილინში იყო გადატანილი, რაფინირებული იყო. სასიამოვნო იყო მათი მოსმენაც, მაგრამ თითქო ხალხურ, სტიქიურ ძალას მოკლებული იყო.

ეს იგრძნო ბესარიონმაც და ჩააფიქრა მათმა სიმღერამ. შემდეგ წარმოთქვა:

— რა ამბავია, ლევა, რომ შენ, ეგი და სხვა გლეხებიც ბანძაში ფაღავებივით მღერით?

ამას არავინ არ მოელოდა, ყველა გაოცდა.

— მერმე რა არის აქ ცუდი?

ბესარიონმა პირდაპირი პასუხი არ გასცა, თავისი სათქმელი სულ სხვა გზით წაიყვანა:

— აი, შენ და ეგის განსაკუთრებით თავადებივით გაცვიათ, გახურავთ. მიხრა-მოხრა, საქციელიც მათებური გაქვთ.

ამან კიდევ უფრო გააოცა ყველანი.

ლევამ შეუბრუნა:

— რას გვეუბნები, ბესარიონ? ჩვენ ხალხი არა ვართ თუ? თუკი შევძლებ და თავადურად ჩავიცვამ, დავიხურავ, თავადებივით განათლებულად ვიცხოვრებ, ეს კარგი არ იქნება?

* ეის რომ დაგიძახებენ, იქ უნდა გამტანობა.

— თავადობა განათლებულობას კი არ ნიშნავს. განათლებული კაცი სულ სხვა ხასიათისაა, სხვა მიდრეკილების, ჩვენი თავადობა, კი საერთოდ მარტო ჩაცმა-დახურვაზე, ქეიფსა და ღრეობაზე, ქალებთან არშიყობაზეა გადაგებული.

ლევას ახალგაზრდა ცოლი ემსახურებოდა სტუმრების სუფრას და, ბესარიონის სიტყვები რომ გაიგო, ერთ ხანს შეჩერდა და ყური დაუგდო.

ბესარიონი განაგრძობდა:

— აი შენ, ლევა, რამდენადაც ვიცი, ამ ბოლო წანებში სულ ფაღავებში ხარ გარეული. არა, ვიცი, რომ უანებშიც კარგად მუშაობ და ოჯახსაც რიგიანად უვლი. მაგრამ უმეტეს წილად თავადებში ყოფნა ხელს არ გადაგყრის — შენც დაეჯევი უსაქმურობას, სიზარმაცეს, მუქთახორობასაც, დვინის სმას, ქალების არშიყობას.

უეცრად გაიხმა ლევას ცოლის კარგა ხმამაღლა შეძახილი:

— უი, შენი ჭირი შემეყაროს, ბესარიონ!

ბესარიონს გაეცინა:

— რაო ვითომ? გენიშნა, ჩემო რძალო?

— ჰოო, — გადაიხარხარა ლევამ, — ჩემი ცოლი ცოტა ეჭვიანია.

ამ სიტყვებზე კი ლევას ცოლი დამფრთხალი შველივით კარში გავარდა.

— ასეა, ასე, — დინჯად საუბრობდა ბესარიონი, — ხარ ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსო! ხომ გაგიგონია, თავადების ზნე კი თქვენთვის, მშრომელი გლეხებისათვის, გამრისადეგი არ არის.

— შენ თუ გინდა, მართალი ხარ, ბესარიონ, — აწლა ეგრე ამოილო ხმა, — თავადების წაბაძვა ყველაფერში არ გვარგებს, მაგრამ კარგი ტანისამოსი, კარგი, ზრდილობიანი საქცეელი და თუ გინდა თავადური, ლამაზი სიმღერაც ჩვენ, გლეხებმა, რატომ არ უნდა შევიფეროთ?

— მე სულ სხვა რაზე მაქვს მხედველობაში, ჩემო ეგკარგი გარეგნობის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, ან თუნდა კარგი სიმღერისა, მით უფრო განსაკუთრებით ჩვენს კუთხის ქართველებს ხომ ვიცით ტანისამოსის სიფაქიზე და ლამაზი, სხარტი მიხრა-მოხრა? მხოლოდ მუდამ თავადებში ტრი-

ალმა გარეგნობის გარდა აზროვნებაშიაც შეიძლება შეიტანოს და შეიტანს კიდეც იმ არასასურველ მიმართულებას, რომელიც მომავალი ჩვენი ბრძოლებისათვის ჩვენ არ გამოგვადგება. კაცო, აგერ რამდენიმე წუთის წინათ თვითმყრობელობის დამხობაზე, თავადაზნაურობისა და საერთოდ პრივილეგიური წოდების მოსპობაზე გვქონდა ლაპარაკი და თქვენ კი გინდათ თქვენი საუკუნეობით მტრების ბანაკში მოკალათდეთ?

— რატომ მტრების ბანაკში, — ისევ ლევამ წარმოთქვა. შემდეგ ღიმილით დააყოლა: — ეის რომ დაგვიძახებენ, მაშინ მოვძებნით ჩვენ გზას...

— შენს პირს შაქარი, მაგრამ გაგიჭირდებათ. განსაკუთრებით შენ, ლევა! ვინ იცის, რამდენი მევობარი გყავს ფალავებში. მევობრობა კი ზოგჯერ ისე გაგიჯდება კაცს ძვალსა და რბილში, რომ საჭიროების დროს მისი უკუგდება ძნელი და საძლევია.

— რას ჩააცივდი, ბესარიონ, ამ ფალავებს! მე ვისაც ვმეგობროზ, ისეთი ბიჭები არიან, რომ ყველა მე გამომყვება „ეის“ დაძახილზე. მე კი ვერ გამიყოლებენ, ესინი გამომყვებიან.

— ჰა, ჰა! აი ხედავ, ლევა, როგორ აზროვნებ. თავადების იმედი გაქვს.

ლევამ არ დააცალა:

— მერმე კიდევ ზოგიერთი ახალგაზრდა ფალავა ბათუმში მუშაობს როტშილდის ქარხანაში. შენისთანა ახალი ცოდნის კაცები არიან.

— რასაკვირველია, კარგსა და ავს გარჩევა უნდა, მაგრამ საქართველოს ერთი დიდი მწერალი ჰყავს, ილია ჭავჭავაძე და იმას აქვს ნათქვამი, რომ „თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოსო!“ საერთოდ თავადებთან შეხმატკბილება, მათ ზნეჩვეულებასთან შეზელა აზროვნებასაც დააჩენს თავის დაღს.

— რა დაღს, რა! — არ ტყდებოდა ლევა. — თუ მამულიშვილობას იტყვი, რამდენადაც ვიცი, საერთოდ ჩვენი თავადები და მათ შორის ფალავებიც სამშობლოს დიდი მოყვარულები არიან. მზად არიან კიდეც, რომ მისთვის თავი გასწირონ.

— ეგ, ჩემო ლევა, სულ სხვაა. მათი სამშობლოს სიყვარული ის არის, რომ რუსეთს სულ ჩამოშორდნენ... და თავიანთი საკუთარი მეფე იყოლიონ.

— მეფეზე მათგან არაფერი გამიგონია!

— არ გაგიგონია, რადგან ამაზე გარკვევით ჯერ არაფერს არ ლაპარაკობენ, მაგრამ მათი აზროვნების მიმართულება კი რუსეთან ჩამოშორებისაკენ მიდის. რუსეთის თვითმპყრობელობა, რასაკვირველია, უნდა დაემხოს, და ეს უნდა მოხდეს რუსეთის ხალხთან ერთად, ჩვენი მოწოდებაა, ჩვენი მოვალეობაა რუსეთის მუშათა კლასთან ვიყოთ ერთობაში. ცალკეული მარტო საქართველოს სიყვარული და მისთვის ბრძოლა ეს საზიანოა მუშათა კლასისათვის, მაშასადამე, ყველა ჩვენი მშრომელისათვის. ჩვენ საერთო ძალით უნდა გამოვიდეთ, თავადების და ბურჟუების მოსაზრება ცალკე საქართველოს სამეფოს დაარსებისა კი ჩვენს ძალებს აქუცმაცებს, სთიშავს ერთიმეორისაგან და ეს კი მავნებელია საერთო საქმისათვის. ეს უნდა გახსოვდეთ კარგად და ყველა ჩვენ რუსეთის ხალხთან ერთად უნდა ვიბრძოდეთ საერთო თავისუფლების მოსაპოვებლად.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ყველა დიდ საფიქრალს მიეცა და უკვირდათ, რომ სამშობლოს სიყვარული მათი საქმისათვის საზიანო იყო.

ბესარიონმა კი, თითქო არ დაჯერდაო თავის ნათქვამს, სიჩუმის შემდეგ მაინც დასძინა:

— შენ, ლევა, ამიტომ აზროვნებ ასე მარტივად სამშობლოს სიყვარულზე, რომ მუშათა კლასისათვის ეს მავნე შეხედულება თავადებისაგან გაქვს შეთვისებული. საერთოდ შენიშნულია, რომ რა სოფელშიაც თავადები ბლომად არიან, ან შეიძლება ცოტანიც იყვნენ, მაგრამ შეძლებულები თუ არიან ან გავლენიანი და მოქნილი დიპლომატები... ხომ გესმით, რაც არის დიპლომატობა?

არავინ არაფერი უპასუხა, მაგრამ ამისდა მიუხედავად ბესარიონმა თავისი განაგრძო:

— სადაც ასეთი თავადები არიან, იქ გლეხი მუდამ ჩამორჩენილია, დუნეა, მაჩანჩალაა და ბრძოლისათვის სულ არა არის მომზადებული. ასეა ბანძაშიაც და ასეა თქვენთანაც. — ბერთემში, არა, ფარნა?

— ფარნა ჩაფიქრებული იყო, მხოლოდ თავი დაუქნია, სამაგეროდ ახლა ფაწთამ ამოიღო ხმა:

— ეს მითხარი, გენაცვალე ბესარიონ: გამიგონია, რუს

ხელმწიფე მეტად ძლიერია, დიდი ჯარი ჰყავს და როგორ გინდა, რომ ჩვენმა უბრალო ხალხმა ის ჩამოაგდოს?

ბესარიონს გაეცინა, უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ აქამდე გაჩუმებულმა ფარნამ არ დააცალა:

— ამაზე შეც დიდი ხანია ვფიქრობ, მაგრამ სწორედ გუშინ ერთი აზრი დამებადა... თუ არ დამცინებთ და ბესარიონი არ გამიწყრება, მოგახსენებთ.

— ბრძანეთ, ბრძანეთ!

— გუშინ, აგერ ლევას ეზოს რომ ჩამოუდის პატარა მდინარე, იმ ღელეში დავიწახე ქვაზე წამოსკუპებული მეტად ლამაზი ბოლოქანქალა. ხომ ყველამ იცით, რა მოხდენილი ჩიტიც არის! იმავ დროს კი ყველა ჩიტზე სულელი გვგონია: აქანქალებს თავის ბოლოს ქვაზე დამჯდარი და ხანდახან ხტის ქვიდან ქვაზე მწერების დასაჭერად. ერთი საოცარი თვისება კი აქვს: მეტისმეტად გაბედული ფრინველია. თუ სადმე მის ახლომახლო დაინახა მიმინო ან შევარდენი, თავაღებით დაედევნება და თავის ჭვრინვით ეძახის თავისი ჯიშის სხვა ფრინველებსაც დასადევნებლად. ისინიც ყოველი მხრით მოფრინავენ, ჟრიამულით მისდევენ მტაცებელს და, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ აძევებენ. ამ დევნაში ხშირად მერცხლებიც ღებულობენ მონაწილეობას. ეს მე თვითონ მინახავს, მაგრამ, ამბობენ, თუ ბლომად შეკრბნენ ასეთი მდევრები, ისე ყოველი მხრით მიესევიან იმ დიდ ონავარს, რომ საძრაობას არ მისცემენ და ციდან ძირს ჩამოაგდებენ. შემდეგ შეიძლება თურმე თვალებიც ამოუკენკონ და ტვინიც... გუშინ სწორედ ეს ამბავი გამახსენდა ბოლოქანქალას დანახვაზე და ვიფიქრე — ხედავთ, სუსტსაც შეუძლია თურმე თავიდან მოიშოროს ძლიერი, თუკი ეს სუსტები ერთად იქნებიან, გაერთიანდებიან... ჰა, ჰა! ჩვენ ბოლოქანქალები ვართ, მაგრამ თუ რუსეთის მერცხლები დაგვეხმარებიან, მაშინ...

ფრაზის დამთავრება აღარ დააცალა ბესარიონმა:

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ბარაქალა! ეს რა კარგი გვიამბე. მე ეს არ ვიცოდი. თუ კაცი ვარ, ამას მეც გამოვიყენებ ჩემს გამოსვლებში და ამხანაგებსაც გავუზიარებ.

გური ფარნას ნაამბობზე სიხარულით ჭყლოპინებდა და სხვა ყველა იქ მყოფთაც სახე გასხივოსნებული ჰქონდათ.

დასრულდა აღდგომის დღესასწაულის კვირიაკე.

ბანძიდან სტუმართაგან ყველაზე ადრე უცხოელები წავიდნენ: მათ არც „ჭვენიერობისათვის“ დაუცდიათ. ქუთაისს ეშურებოდნენ და გვირგვილიანებსაც აჩქარებდნენ, რომ მათ მალე დაედევნებოდნენ ნოტარიუსთან ხელშეკრულების დასადებად.

„ჭვენიერობა“ კი ერთი ძველისძველი, კერპთაყვანისმცემლობიდან ბანძაში შემორჩენილი დღეობა იყო და ეს დღე არამცთუ ჩამოსულ სტუმრებს არ ეთმობოდათ, არამედ ამ დღისათვის კიდევ ახალი სტუმრები ჩამოდიოდნენ იმერეთიდან, გურიიდან, აფხაზეთიდან.

ეს სტუმრები, რაღა თქმა უნდა, რომ უფრო თავადაზნაურობისაგან შედგებოდა, რადგან იმ დროს სამეგრელოში აღდგომის კვირა იყო თავადაზნაურობისათვის სალხინოდ ცნობილი: ნაღდგომევის ხუთშაბათიდან ახალ კვირამდე ბანძაში, ახალ კვირა — კულაშში, მიქელაძეებში და ახალ კვირის მომყოლ ორშაბათს კი — ისევ ბანძაში, „ჭვენიერობაზე“.

„ჭვენიერობაც“ ჩვეულებრივს, მხოლოდ უფრო მრავალრიცხოვან „ჯარიანობას“ წარმოადგენდა: ცხენების ჭენება, ჯირითი, ბაღჩიე, ცეკვა-თამაში, ფერხული თავისი სიმღერებით, ბერთაობა და სხვ. მხოლოდ ამ დღეს შეკრებილ ხალხს შაშკარის ეკლესიის ეზოში ხეც უნდა მოეთხარა.

ვერავინ ვერ გეტყოდათ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ წის მოთხრას, ან რისთვის იყო განკუთვნილი. ამ ჩვეულებას წარმოშობა და ძირითადი მნიშვნელობა ყველას დავიწყებული ჰქონდა ჟამთა სვლისა და ცვალებადობის გამო, მაგრამ აგერ ჩვენ დრომდე წმინდად იცავდნენ ამ მამაპაპისეულ ჩვეულებას.

საღამო ხანს, მზეგადაბრილზე, როცა უკვე თითქმის მთავდებოდა ყოველგვარი გასართობები, დიდძალი ხალხი, უფრო ახალგაზრდობა, შეესეოდა ერთ-ერთ წინასწარ მიჩნეულ არცთუ ისე მომცრო ხეს და მოთხრიდა. მოთხრიდა ხელით და არავითარ იარაღს — არც ბარს, არც წალდს, ან სხვას არა-ხმარობდა. ყოველი მხრით დიდხანს არხევდნენ. შესეულები ამ წის ტანს, ბოლოს კი საერთო ძალით ფუთუოდ მოთხრიდნენ ძირფესვიანად, გაიგდებდნენ მხარზე და გალობა-სიმღერით შემი-

უკლიდეხ ტაძარს. შემდეგ მსურველები გაზაფხულის გამო ახლად შეფოთლილ შტოებს თავთავისად ირიგებდნენ და ნადღესასწაულევი ბრუნდებოდნენ შინ.

ახლაც ასე მოხდა.

ბარამი და ვამეხი შორიდან შესცქეროდნენ ხალხის ამ უცნაურ ზეიმს. ბარამი მოღუშული, გარინდული იდგა.

ვამეხმა გაიღიმა:

— შენ უთუოდ გწყინს, რომ ხეს ასე უპატივცემულოდ მოეპყრნენ.

— არა, ჰო, — ძლივს ამოიღო ხმა ბარამმა. შემდეგ უფრო მტკიცედ წარმოთქვა: — რასაკვირველია, ხის გაფუჭება მაწუხებს. მხოლოდ მე ახლა სულ სხვაზე ვფიქრობ: მოთხარეს სულ ძირფესვიანად. — შემდეგ თითქოს თავის ფიქრში გაიმეორა: — ძირფესვიანად!

— ჰა, ჰა! მახვილგონიერი ხარ, ბარამ! ხალხმა მოგლოჯა, მოთხარა ხე ძირფესვიანად: შენ უთუოდ იმას ფიქრობ, რომ ხალხმა თუ მოინდომა, თავის მტერს ძირფესვიანად მოთხრის, არა?

— დიახ... მაგრამ ხე რა მტერია ხალხისა?

— ეგ სანიშნო რამ არის უთუოდ, ბარამ! სიმბოლო, სოციალური რაღაც აზრი უნდა იყოს ამ ჩვეულებაში. შენ შეამჩნევდი, რომ ხის მოთხრაში უფრო გლეხობა ღებულობდა მონაწილეობას.

— ჰო, ეგ ეგრეა ყოველთვის. თავადობა არ ერევა ხის მოთხრაში, შეიძლება ვინმე ანცი ახალგაზრდა თავადთაგანი გაერიოს. ანდა რომელიმე გილარდეე* აზნაურთაგანი. ისე კი ამ ჩვეულებას უფრო გლეხები მისდევენ.

— აკი გითხარ, სოციალური სარჩული აქვს-მეთქი. ისე, როგორც ერთ ჩვენებურ გლეხების ფერხულს: „ძაბრა". ხომ გახსოვს — გლეხები რომ წრეს გააკეთებენ და შუაგულში ფაფახ ქუდს დადებენ, ირგვლივ უვლიან, წკეპლებს არტყამენ ქუდს და მღერიან: „ოი, ძაბრა, ძაბრაშ წაულა!"** ეს იმას ნიშნავს, რომ მებატონეს ეწინააღმდეგებიან, ჯერ გაუბედავად, შემდეგ უფრო თამამად და ბოლოს სულ დაფლეთენ ქუდს.

---

* გილარდეე — ჩათლახი.

** ძაბრაშ წაულა — ძაბრას წახდენა.

— ვაი ჩვენი ბრალი!

— მაშ როგორ გნებავთ?! მტარვალების წინააღმდეგ ხალხი მუდამ წაჭრილი იყო და არის, მხოლოდ პირველ ხანებში გაუბედაობენ. ეყვნენ, ახლა კი თანდათან მოიცეს ძალა, ხომ გრძნობ?

— ვგრძნობ, ვხედავ, ვამეხ, ვხედავ და ვიცი, რომ ჩვენი საშველი არ იქნება.

ბარამის სახე თანდათან იღრუბლებოდა. თავის გულში ვერ შერიგებოდა იმას, რომ ხალხი მებატონეებს, „დღესა თუ ხვალე“ ძირფესვიანად მოთხრიდა.

— რატომ, რატომ, კაცო?! ყველანი კარგად ვიყოთ, შენც, მეც, მისი თავადი და მისი გლეხიც ნუ შევაწუხებთ ერთიმეორეს, ძალას ნუ ვიხმართ ერთიმეორეზე და მშვიდობიანად ვიცხოვრობთ.

ვამეხმა მხარზე ხელი დაჰკრა ბარამს, თითქოს მიუხვდაო თუ რაზედაც ფიქრობდა ბარამი და ღიმილით, მაგრამ მაინც ასე უთხრა:

— კეთილი კაცი ხარ, ბარამ, კეთილი, მაგრამ ასეთი მოვლენების დროს შეურიგებელი ვერასოდეს ვერ შერიგდება. ამას გარდა, ხომ გახსოვს, რუსთაველიც რას ამბობს: „არ გარდავა გარდუვალი მომავალი საქმე ზენა“. ხალხის ახლანდელი მოძრაობა მომავალი საქმე ზენაა და... გარდუვალია...

ამ დროს მოვიდა ნექტარინასაგან გამოგზავნილი კაცი და ბარამს და ვამეხს აცნობა, რომ კნეინა უკვე მიემგზავრება ბერთემს და გთხოვთ, წამობრძანდითო.

ბერთემში დიდხანს არ გაჩერებულან გვიროგვილიანები. რამდენიმე დღის შემდეგ ისინიც გაემგზავრნენ ქუთაისს.

შენაკადი

XIII

ციბედული გონების მუზაც არის, როგორც სალმდიკი (კონსტანცია პოპლე)!

იყო ასეთი პიროვნებაც სინამდვილეში. საერთოდ თავის საცოცხლეში (1765 — 1845) დიდად განთქმული ქალი იყო თურმე.

ჟოზეფ შენიემ დაარქვა მას „გონების მუზა“.
ნეკრასოვი ამბობს.

«Такую музу мне дала судьба —
Она поет по прихоти свободной,
Или молчит, как гордая раба».

(ბედმა ისეთი მუზა მომიჩინა, რომ ან თავისუფლად, ამოგუნებულზე მღერის, ან კიდევ მდუმარებს, როგორც ამაყი მხევალი).

მე კი მინდა, რომ ასე მივმართო ციბედულს: „ჰოი, შენ მუზავ ჩემი გონებისა!“

ახლა აი რა მინდა მოგახსენო:

ახლა მინდა შენი კიდევ მეტი დახმარება.

სოფლიდან გავდივარ ქალაქს, ცხრაასიან წლების ქუთაისს და... მიუხვდება მოქმედი პირები ამ ჩემი ნაწარმოებისა, მიმრავლდება. ეს ცოტა საშიშარი რამ არის მხატვრული თხზულებისათვის. ვიცი ეს ამბავი.

აქამდე კი მარტო ერთ სოფლის ხალხთან მქონდა საქმე აქ მე უფრო ადგილმდებარეობაზე, ზედ შეფენილ ხალხზე ვწერდი. იმათ გარეგნობასაც აღვწერდი ზოგჯერ და შეძლებისამებრ გადმოვცემდით მათ სულიერს თუ სხეულებრივ განცდასაც.

ახლა კი ქუთაისთან მიახლოება ბევრ რასმე მავალებს და ამიტომ მოგმართავ ცოტა არ იყოს ზეაწეული კილოთი:

მოაპყარ ჩემკენ სახე შენი, ციბედულ, და შენის ნიჭის შარავანდედით განმინათე გზა ხელოვნებისა.

მომეც მე „ენა გამოთქმად“, გრძნობა გამახვილებული და სახეები გულში ჩამწვდომი.

მიზიარე შენი ოსტატობა ყოვლისშემძლე, ყოვლის დამტევი, რომ მკითხველს მივაწოდოთ უტყუარი სურათები ცხოვრებისა, გარდასულის თუ თანამედროვესი, მხოლოდ პოეზიის საგანძურიდან იყოს გაცისკროვნებული.

რომ მეც ჩავწვდე დედაზრს მოვლენებისა და სხვასაც მართლად ვუთხრა, რაც განმიცდია, მინახავს და დავსწრებივარ.

ეგების ესეც აღჭურვილმა შენის უნაზესის იარაღით მივაღწიო უფრო ცხოვლად მის გულისყურამდე.

ჩემო გონების მუზავ, ციბედულ, ჩემო კონსტანცია ჰოპლე!

37

— ქუთაისის უძველესი ხიდის, „ჯაჭვის ხიდის“, მოაჯირზე დაყრდნობილი ქალაქს გასცქეროდნენ ვამეხი და ბარამა.

მაისის მოახლოებული იყო და ქალაქი დიდებულ აკაკის ნათქვამს თითქოს ამართლებდა: მართლაც „სავარდოდ და სამაისოდ“ იფურჩქნებოდა.

ბაგრატის ტაძრისა და გაბაშვილის გორები ქალაქს ზემოთ უკვე ამწვანებულიყო, რიონის მარჯვენა მხარეზე, მარცხნით კი მწვანეყვავილას ბორცვი საგაზაფხულოდ კეკლუცობდა.

მის ქვევით კიდევ იმერეთის მშვენება — რიონი, უკვე შემდიდრებული რაჭა-ლეჩხუმის სხვა მდინარეებით, სოფელ ძიმასტაროს და ჭომის ვიწრო ხეობებიდან გამოსული, ფართოდ გაშლილიყო მწვანეყვავილას ფერდობიდან უგრეთ წოდებულ ფერმის კიდეებამდე და გაზაფხულის წყალდიდობით აბორგებული, ძველ ოქროს ჩარდახისაკენ მრისხანედ მოაგორებდა თავის მშფოთვარე ზვირთებს... მწვანეყვავილას ფერდობიდან.

38

ვამეხი და ბარამი კარგა ხანს შეჩერებოდნენ მწვანეყვავილაზე წამოსკუპებულ უქიმერიონის ძველი ციხის ნანგრევებს ადრინდელ ქალაქ კოტიაიონის მახლობლად მდებარეს, შემდეგ ლაზებმა კუტატისი რომ შეარქვეს და დღეს ქუთაისი რომ ჰქვია. მაგრამ, აგერ თვალი ჩამოუსხლტა ციხის ქვევით, რიონის მარცხენა ნაპირისაკენ.

— აგერ ხედავ, ჩვენკენ, წყალგამოლმა რიონის ნაპირად, — ეუბნებოდა ვამეხი ბარამს, — რა ლამაზი შენობაა აგებული, ეს კათოლიკების ეკლესიაა; ან როგორც ჩვენ ვეძახით, ქართველი ფრანგებისა და საქართველოში. ამჟამად არსად სხვაგან ასეთი შემკული ეკლესია კათოლიკებს არ მოეპოვებათ, იქვეა ეკლესიის კარებთან დიდად შესამჩნევი ნაძვის ხე, აშოლტილი და ჩვენებური ჩიჩილაკივით ქვევით ფართოდ გაშლილი, შემდეგ კი შემოკვერცხილი და ბოლოს ვიწრო ტანით ცისკენ ატყორცნილი. მარტო მის სანახავად უნდა წავიდეს კაცი, რომ ხის მშვენება იგრძნოს და მისი სიყვარული გულს ჩაუნერგოს. შენ უთუოდ უნდა ინახულო. არ ყოფილხარ? როგორ დაგჭმართა

ხეშის შენისთანა თაყვანისმცემელს. წადი, უთუოდ ინახულე, მხოლოდ ახლა კი ჩვენ ბაგრატის ტაძრის ნანგრევები ვნახოთ. მართალია, ნანგრევებია, მაგრამ ახლაც თავის დიდებულებას არა ჰკარგავს. მერმე კიდევ ბაგრატის ტაძარი უძველესი ნაგებობაც არის და შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ ქართული მხატვრული ნიჭის შენაქმნია, კათოლიკეთა ეკლესია უთუოდ მოხდენილი რამ არის, რადგან ის სრულიად გამწყაზრული შენობაა, უფრო საზღვარგარეთული, ლათინური ყაიდისა და, რაც მთავარია, ჭუბაისში ეს ნაგებობა ახლახან არის აშენებული. ასე ითქმის, — მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ბაგრატის ტაძარი კი ჩემის აზრით შეათე თუ მეთერთმეტე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

— მე ცუდი ქვეითი ვარ, ვამეხ, ხომ იცი... — ხიდიდან ალმართისაკენ აიხედა ბარამმა და შემდეგ თითქოს სინანულით წარმოთქვა: — ახლა კიდევ ეს ალმართი! არა, ცუდი ქვეითი ვარ, ვამეხ, ცუდი.

ვამეხს ხმამაღლა გაეცინა:

— ცხენით ხარ სიარულს დაჩვეული და უნაგირზე ხშირი ჯდომისაგან ფეხები გაქვს გაჩაჩხული, შემიძლია, რომ სკამზე ჯდომის დროს, თუ მარცხენა ხელი არ მიაშველე მარჯვენა ფეხს ისე მეორე ფეხზე ვერ შემოიდებ, ანდა პირუკუ!

ბარამიც აყვა სიცილში და შემდეგ ალალ გაჯიუტებულა, ვამეხთან ერთად ესეც შეუდგა ალმართს.

ვამეხმა ბარამი ბაგრატის ტაძრის ირგვლივ შემოატარა, მაგრამ ბევრი არა უთქვამს რა. ეტყობოდა, რაღაც მძიმე ფიქრებს მისცემოდა და სალაპარაკოდ არ უცალა. ბარამი კი ფიქროშად — ეტყობა, ვამეხი ამ ტაძართან მიახლოვებაზე ლოცვის გუნებაზე დადგა და ხელს არ შევუშლიო: თვითონაც როგორღაც მოწიწებით და კრძალვით ათვალიერებდა იქაურობას.

მაგრამ, აი, როდესაც ისინი ტაძრის შიგნით შევიდნენ და აქა-იქ მორეული ეკალ-ბურდი გადასწიეს, ვამეხი უეცრად დაიბარა და ბარამს მიუთითა:

— ხედავ? ეს ფილაქანია: მთელი იატაკი ამ ტაძარში ასეთ ფილაქნით ყოფილა მოგებული. რა ზუსტად გამოჭრილია თვითეული მათგანი, რა მათემატიკურის სისწორით არის შემორგვალებული. ერთიმეორეზე განლაგებული ვარდისფერი და შავი კენჭები. ჩვენი ძველები ამ მოზაიკას სოფიის კენჭს ეძახ-

დნენ თურმე. ეჰ, ვინ იცის, — აქ ამოიოხრა ვამეხმა, — რამდენჯერ დაუდგამთ ფეხი ამ ფილაქანზე ჩვენს დიდებულს წინაპრებს: რუსთაველს, დავით აღმაშენებელს, თვით თამარ მეფეს.

ბარამი კიდევ უფრო დააკვირდა, თითქოს უნდა დაენახა რომელიმეს ხომ არ ატყვია ვამეხისაგან ხსენებულთა ნატეხრფალიო.

ბარამი გააკვირვა ნანგრევებზე კიდევ კარგა მაღლა შერჩენილმა ქვის თხელმა კედელმა. ამ საუკუნეთა მანძილზე როგორ შენახულა, გაუძლია და არ ჩამონგრეულაო. ტაძარს გასცილდა და შორეულ რომელიღაც ქვაზე ჩამოჯდა.

საუცხოო სანახაობა გადაიშალა მის თვალთა წინ, თითქოს ბაღნარში ჩამჯდარი პატარა, მაგრამ ლამაზი ქალაქი. მას რიონი შუაზე ჰყოფს და შემდეგ გეგუთის დაცემულ ვაკისაკენ საკვირველის მიმოხრილობით დაკლაკნილი მიემართება ახალციხისა და გურიის მთებისაკენ, თითქოს უნდა იმათ დაეტაკოსო, მაგრამ ბარამმა იცის, რომ ეს ასე არ ხდება. რიონი ამ მთებს არც კი ეკარება, ისე სწრაფად უხვევს დასავლეთისაკენ.

მალე ვამეხიც მოვიდა ბარამთან, იმ ჯერ კიდევ გადაჯულ დროთა მოგონებით იყო შეპყრობილი და ამიტომაც თფილისი პირველად სულ ისტორიულ წარსულზე ელაპარაკებოდა ბარამს.

— უნდა იცოდე, ბარამ, ქუთაისი რომ ერთი უძველესი ქალაქთაგანია მთელს მსოფლიოში. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანის დროს არსებობდა „კუტაი“. ამაზე მოგვითხრობენ ძველი ბიზანტიელი და რომაელი მწერლები. მხოლოდ მაშინდელი ქალაქი, რასაკვირველია, დღევანდელს არა ჰგავდა. ის უფრო ციხე-სიმაგრე იყო გალავანმოვლებული და მტრისაგან შეუვალად განკუთვნილი. ეგერ, გაღმა უქიმერიონი, ახლანდელი მწვანეყვავილა, წეღან რომ ვუკვირდებოდით, ხომ ხედავ იმ ბორცვზე, ეკლესიასთან ციხის ნანგრევს. ეგეც ძველი ქალაქის ნაშთია. თვითონ ქალაქი, რომელსაც ახლა ჩვენ მივეჩვიეთ, სახელი ერქვა ქალაქის, თორემ სინამდვილეში ასეთი არ იყო. ეს უფრო ციხე იყო მტრისაგან მომგერიებელი და მოსახლეთა შესახიზნი. ციხის გარეთ ქალაქში მოსახლეობა ცოტა იყო და ისიც უფრო ვაჭრებისა და ხელმიკეთობის ხალხისაგან შესდგებოდა. ქალაქის სხვადასხვა კუთხე კი სხვადასხვა მებატო-

ნეს ეკუთვნოდა. სამხრეთით ესახლენ აგიაშვილები, დასავლეთით წულუკიძეები და აღმოსავლეთით ქვარიანები. ამ მებატონეების სამფლობელოში ძველად ხალხი არ ესახლა. თუ იყო სადმე — უფრო ქვარიანების მამულში, რომელიც მწვანეყვავილას არემარეზე მდებარეობდა, იქ იყო ერთ მოედანზე მაშინდელი ბაზარი და მთელი ებრაელებიც იქ იყო დასახლებული...

— ეს მითხარი, ვამეხ, ეს ებრაელები საიდან შემოგვეხიზნა? აკი სამეგრელოშიაც არიან — სუჯუნასა და ბანძაში, მგონია, ქართლშიაც უნდა იყვნენ და სვანეთშიაც.

— მე ისტორიკოსი არა ვარ, ბარამ, შენ ეს იცი, მაგრამ ჩემის ცნობით საქართველოში მცხოვრები ებრაელები იგივე ქართველები არიან. დაუკვირდით მათ იერს, მოყვანილობას, პირისახეს, ვერაფრით ვერ გაარჩევ ქართველებში. და ეს იმიტომ კი არა, რომ მათში ქართველების სისხლი ურევია. კარგად იცი, თუ ამ შემთხვევაშიც, როგორ მკაცრად იცავენ ისინი თავიანთ რჯულსა და ადათს. ქართველი ებრაელი არც აქეთ მოგათხოვებს ქალს და არც იქით ითხოვს, მათი ოჯახის კარებიც ქრისტიანებისათვის იშვიათად თუ გაიღება. ასე რომ, ვითომდა სისხლის შერევის გამო არა ჰგვანან ქართველებს, არა! ისინი თვითონ არიან ძირითადად, შთამომავლობით ქართველები. მხოლოდ დღეს თუ რჯულით ებრაელები არიან, ეს იმიტომ, რომ ძველად, ოდესღაც ქართველების ერთ ნაწილს მიუღია ეს რჯული, ისე, როგორც შემდეგში ქართველების ნაწილმა მიიღო მუსულმანობა, კათოლიკობა თუ გრიგორიანობა. ამას, ცხადია, ჰქონდა თავისი საზოგადოებრივი წყობის, სოციალური და პოლიტიკური მიზეზები.

— მიყვარს შენთან ლაპარაკი, ვამეხ. ტყუილი რომ მითხრა, ისიც კი მჯერა, ისე დალაგებით იცი მოყოლა.

— ჰა, ჰა, — გაეცინა ვამეხს. — აბა როდის გითხარი ტყუილი?

— არა, მაგრამ.

— ჰო, ვიცი გიყვარვარ, მაგრამ, აგერ გაბედე, რა ლამაზია ჩვენი ქუთაისი, საუცხოო მდებარეობა აქვს, კოხტა ქალაქია.

ბარამმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ვამეხს ეს არ დაუნახავს, თავისას განაგრძობდა:

— პატარა ქალაქია, ორსართულიანი სახლები თითქმის

თითებზე დასათვლელია ამჟამად. ქალაქის ცენტრში გუბერნიის სამმართველოს სახლია, თვალში რომ მოგხვდება, და იმის ქვევით, რიონის ნაპირას, კლასიკური გიმნაზია. აი იქ, სადაც დღესაც მეფეების სასახლე ყოფილა ოქროს ჩარდახად წოდებული.

— ჰოო, ეგ ხომ მეც ვიცი, ვამბე. გამიგონია, მეფე სოლომონ ერთხელ ღამით თავისი სასახლის აივანზე იჯდა, წინ სანთელი ენთო და უეცრად სანთლის ალი შეირხა. მაშინ თქვა თურმე — აჯამეთის ტყეში უთუოდ ვილამაც ხე მოჭრა და ამ დანაკლისმა სანთლის შუქი შემირყიაო. ძალიან დაცული ტყე ყოფილა თურმე აჯამეთის ტყე.

— ჰო, სანადიროდ ჰქონდათ მეფეებს მიჩენილი და, შენი არ იყოს, ერთ ფიჩხს არავის გაატანდნენ. ჰა, ჰა! მაგრამ ჩვენ ქუთაისზე გვქონდა ლაპარაკი.

— ჰო, აქაურ სახლებზე. მე ძალიან მომწონს თბილისის ქუჩაზე ფერდობში ჩადგმული გუბერნატორის სახლი და ბალახვანის ქუჩაზე კი — ვილაც გერმანელი ინჟინერის.

— გაგემეისტერის, — შეეშველა ვამეხი, — მართალია, ეგ ორი ხახლი ამჟამად ყველაზე უფრო შესამჩნევია ქუთაისში, შენ მართალი ხარ. ისე კი უფრო თითოსართულიანი სახლები ჭარბობს ქალაქში და ეს არ უშლის ხელს, რომ ქალაქი მაინც კოხტად გამოიყურებოდეს... ჰო, სასტუმროებია კიდევ ქარგა ხრული ნაგებობისა, აი, სადაც ახლა ჩვენი ბარონესა თავისი ქალიშვილებით და ბეგი რომ დადგა. შენ კი, შენ, ბარამ, უცნაური კაცი ხარ. მაინც ადანაიას ტრაქტირი გირჩევნია და ქუთაისში ჩამოსვლისას მუდამ იქ ჩამოხტები ხოლმე.

— ჩვენებური კაცია ადანაია, მიცნობს, ვიცნობ. კარგ შატივს მცემს.

— რასაკვირველია. ნექტარინა მაინც თავისი გუტატით და ბათუთი კანდიტერ სანიკიას ეწვია სტუმრად.

— სანიკია დიდი პატივისმცემელია ჩვენი რძლისა.

— ეგეც გასაგებია, მხოლოდ კესარია სად წავიდა თავისი ბეროთი, ეს ვერ გავიგე.

— კესარია თავის მოყვარე ბალათურიას ეწვია, ბერთეშიდან, რომ არის წამოსული და აქ „იზვოშჩიკობს“.

— ჰოო, არ გამიკვირდა, ჩვენებთან არაად რომ არა ჩაედა... ბერო კი აქ უნდა მივაბაროთ.

— სად?

— წამოდი, გვირაბთან ჩავიდეთ, იქ არის, ფერმას რომ ეძახდნენ, იმ ბაღში სოფლის მეურნეობის სასწავლებელია.

— რასაკვირველია, ვამეხ, იეროს უნდა ვასწავლოთ, მაგრამ ჰა, ჰა! მეურნეობა რალად დასჭირდება, როცა სამეურნეო არა გააჩნია რა, მერმე კიდევ შენ ამბობ, იეროს დროს კერძო საკუთრებაც აღარ იქნებაო.

— მერმე რა! ხალხის რომ იქნება, საერთო, ამ საერთოს მოვლა არ უნდა? ხალხს სპეციალისტები არ უნდა ეყოლოს? ეგეც ხალხს ემსახურება,

ბარამი ჩაფიქრდა. მაგრამ ვამეხი წამოდგა, ბარამიც აიყოლა და ორთავენი ხელგაყრილი დაეშვნენ გვირაბისაკენ. კლდის ბატარა ქიმს რომ წაადგნენ, ვამეხი შეჩერდა და ბარამი ღმოსავლეთისაკენ გაახედა:

— აგერ მოშორებით, მთის კიდურზე თითქოს ყბაჩაკბეჩილი მთა რომ მოჩანს, ახლა ეგეც რომ შეწვანით შემოსილა, იმის ძირას გელათია, კარგად დაუკვირდი! თვით გელათის მონასტერიც კი მოჩანს აქედან. ძველი გუნათი, დღევანდელი გელათი იმ დროის გამნათლებელი ჩვენი ქვეყნისა. თავის დროზე ის მარტო ლოცვების კერა კი არ ყოფილა, აქამედ იქ ბერძულდუბოდა ფილოსოფიური საკითხებიც, ზნეობრივი მოძღვრებანიც და სხვადასხვა ნათარგმნი. თუ ორიგინალური სახელმძღვანელოები ვარსკვლავთმრიცხველობისა, მათემატიკისა, გეოლოგიისა, გეოგრაფიისა, სამკურნალო კარაბადინებისა და სხვ. ეხ, რამდენი უმუშავნიათ ჩვენს წინაპრებს, მოწინავე ქვეყნებს თავს არ უდებდა საქართველო! ახლა კი...

ფიქრმა სხვაგან გაახვეინა ვამეხს: — ახლა კი ეს ქუთაისი-უმეტესად ებრაელების ხელშია, — ამ სიტყვებზე ვამეხმა ჩაიცაკა და ბარამიც მას მიჰყვა. ვამეხი განაგრძობდა:

— მთელი ბლებ-მიცემობა ქუთაისისა ებრაელთა ხელშია, მოავარი სავაჭროები მათ ეკუთვნის, კავშირი აქვთ რუსეთთან; მოსკოვიდან მოაქვთ საქონელი, მაკარას ბაზრობაზედაც ნიჟნი-ნოვგოროდში ლებულობენ მონაწილეობას; აუხვევენ თავიანთ დრვლათს და ამ მონაგარით ქალაქში ხსნიან მაღაზიებს და ქიდულობენ საცხოვრებელ სახლებს.

— ვამეხ, ქუთაისში ქართველებიც რომ ვაჭრობენ, ძმები

იკოლაძეები, კიზირია, კემულარია? ახლა მეუნარგიები, ჩო-
ა-ახალუხისა და წულა-მესტის მკერავები?

— ჰო, არიან, მაგრამ მთავარი ძარღვი ქუთაისის ვაჭრობი-
ა მაინც ებრაელების ხელში ფეთქავს.

გვირაბს მიაღწიეს.

აქ ვამეხმა ბარამის ყურადღება იმას მიაქცია, რომ გვირა-
ბიდან გამოსული ქვებისაგან ჩამოსხმული თითქოს ზღაპ-
რული ვეშაპის ტანი იყო მოკლაკნილი, თუმცა ჟამთა ვითარე-
ბისაგან ძალზე დაზიანებული იყო და აქა-იქ ჩამტვრეულიც.

— აი, ბარამ, აქ თურმე ქვის დიდი ვეშაპი იყო გაწოლილი
მთელ ფერდობზე, მშვენიერი წყაროს წყალი მომდინარებდა
ამ ვეშაპის ტანში, ახლაც მომდინარეობს, მხოლოდ ახლა ვე-
შაპის თავი აღარა ჩანს, მომტვრეულია და პირდაპირ მიწაზე
იღვრება წყალი, მოდი, გული გავიგრილოთ! — და ლეჩხუმი-
ელები მიმავალი გზატკეცილის პირას გამომდინარე წყაროს
წყალი იგემეს და შემდეგ ისევ ჯაჭვის ხიდისაკენ იბრუნეს
პირი.

— აი ახლა გავეცნობით ქუთაისის მღელვარე ცხოვრებას.
ვუახლოვდებით ქუთაისის განთქმულ ბულვარს, ა, ბარამ! აქა-
ურები „გულვარდს“ რომ უწოდებენ. ჩემი ფიქრით, კარგი
შერქმეულია: ერთი, რომ ეს ბაღი მართლაც რომ ქალაქის-შუა-
გულშია, მაშასადამე, გულია ქალაქისა და ვარდად კი მიტომ
არის გადაშლილი, რომ მის მიდამოს ასწლოვანი ხეები და
უცხო მცენარეთა ყვავილნარი ამკობს. აი ამ ბულვარში გვნა-
ხავთ ქუთაისის ყველა ფენისა და მიმართულების წარმომად-
გენლებს.

— ახლა მაინც თხვად-აზნაურების წინამძღოლის, მარშ-
ლის არჩევნებიც ყოფილა და მთელი იმერეთი აქ იქნება.

— მთელი იმერეთი არა, ბარამ, მაგრამ თავად-აზნაურების
წარმომადგენლები კი იქნებიან. ჩამოვლენ რაჭა-ლეჩხუმიდან,
გურიიდან, ზემო და ქვემო იმერეთიდან.

— ჩვენ, მეგრელები, კი ისევე დაჩაგრულები ვართ, ვერ
კიდევ არა ვართ მთავრობისაგან ჩვენს წოდებაში დამტკიცე-
ბულები.

— ოჰ, ბარამ, ბარამ! რად გინდა ეს წოდება, ხვალ და ზეგ
ყველგან მოისპობა მაგის ნატამალი!

ბარამს ცოტა ეწყინა:

— მე რომ არ გიცნობდე, ვამეხ, ვიფიქრებ, რადგან თვითონ დაკარგული აქვს წოდება, სხვების შურს-მეთქი. არა, ნურაფერს ნუ მეტყვი, — უკვე გალმობიერდა ბარამი, — კარგად ვიცი, რომ შენ ეს არ გალაპარაკებს, მხოლოდ იცი, რა გითხრა: სანამ არსებობს ეს წოდება, ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ გამოწყვეტილი?

ვამეხმა ღიმილით მიაგება:

— აგერ დადიანებს აქვთ უფლება თავად-აზნაურთა კრებულში მონაწილეობის მიღებისა და ოდიშს ესეც ეყოფა.

— ჰო, გამიგონია, რუსების კანონთა რომელიღაც მეცხრეტომში წერია თურმე დადიანების უფლების შესახებ, მაგრამ ეს რა საკმარისია! ჩვენც გვინდა ღირსეულებით არჩევანში მონაწილეობა მივიღოთ.

— გულდაწყვეტილი ხარ, მაგრამ რა ვქნათ. შენ არ დაგაგვიანდეს, ბარამ, ნოტარიუსში.

— არა, ორ საათზე ვართ დაბარებული. სამი დღე მოუნდა ნოტარიუსს ჩვენი საბუთების შედგენას და დღეს როგორც არის დასრულდება და...

— ფულებსაც მიიღებთ, არა?

— დიახ. რა არის, ვამეხ, ჩემგან მაინც გაიზიარე შენი წაწილადო.

ვამეხმა მოიღუშა.

— ეგ ერთხელ გითხარი და გავათავე. მე მამული არსად აღარა მაქვს და არც ჩემი საწილადო არის სადმე. თქვენგან კი არაფერს არ მივიღებ.

ორთავენი გაჩუმდნენ და განაგრძეს გზა. მიადგნენ კიდეც ბულვარს.

ᲛᲔᲜᲐᲙᲐᲚᲘ

XIV

ახლა, ციბედულ, როგორც ზემოთაც გითხარ, ამ ჩემს თხრობაში კიდევ მინდა სხვა ხალხი გაჰმოვიყვანო და შენ ამისთვის ნუ დამტუქსავ.

ერთხელ ერთმა კრიტიკოსმა ერთ ჩემს ნაწარმოებზე და-

მიწერა — ძალიან ბევრი მოქმედი პირი ჰყავს ავტორს გამოყვანილი და მკითხველს მათი სახელები ერევა ერთიმეორეში, მათი სახელებიც ეშლება და მთლიან შთაბეჭდილებას აქარწყლებსო.

არ ვიცი, რამდენად მართალი იყო ეს კრიტიკოსი.

ერთი ვამაყობ: ხსენებული ნაწარმოების გარშემო მკითხველებისაგან ბევრი წერილები მაქვს მიღებული, მაგრამ ეს „შეშლა“ და ეს „გაქარწყლება“ არავის მათგანს ჩემთვის არ უხსენებია.

ვითომ მეფერებიან? მზოგავენ?

შეიძლება.

აქ კი, ამ ნაწარმოებში, მიუხედავად კრიტიკოსის დარიგებისა, თავს ვერ ვიკავებ და ვაუხვებ მოქმედ პირებს.

ასე მგონია, ეს საჭიროა-მეთქი.

ნუ დამიშლი.

ხომ, ჩემო საარაკო ციბედულ?!

39.

ბულვარში რომ შევიდნენ ჩვენი მგზავრები, ვამები გამხიარულდა და ბარამს ახლა ასე მიმართა:

— აი, ხომ ხედავ, უკვე თორმეტი საათია, ბულვარში ხალხი გამოფენილია. ქნეინები და ქნიაზებიც აქ ბრძანდებიან. კარგი სანახავები კი არიან გარეგნულად, ეს საძაგლები! ესენი რუფრო სამხრეთით სუირნობენ ახლა, ლალიძის წყლის მადაზიიხ-გასწვრივ და ცივი წყლით გულს იგრილებენ. ხედავ, რა მხიარულადაც არიან, ქალები როგორ კისკისებენ, ვაჟები როგორ იკვანწებიან. ა, ბარამ! მაგრამ ახლა იქით გაიხედე, ჩრდილოეთით, იქ, სკამებზე ჩამოწკრივებულა ახალგაზრდობა. ესენი იცი, ვინ არიან? პირველი მარქსისტები, „პატარა ჯგუფის ხალხი დიდი საქმის გამკ იებელი“, — ასე დაარქვა ერთმა პუბლიცისტმა ქუთათურ ამ ჯ. უფს. აი აქედან არის, რომ მალე გამოსცემს ხმას დიდი ჭექა-ქუხილი. ესენი ამჟამად პატარა საყვირები არიან შხოლოდ, აქეთ კი, სადაც ჩვენ უნდა შევიდეთ ახლა, გუბერნიის სამმართველოს პირდაპირ, ძველი, ნანდაზმული აზნაურები სხედან. ზოგი სამხედრო, ერთ დროს ომში ნამყოფი, და მასლაათობენ. მათ შორის ამჟამად ბევრი

ჩამოსული მეკენჭეც არის. აი, ხედავ? ერთი კარგა ჩასუქებული, ხანში შესული ოფიცერი რომ ზის, ყალიონს რომ აპლაკუნებს, მაგას, ძმაო, ქვეყნის ამბავი ფეხებზე ჰკიდია, ილია ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს: ეგ იმის მოლოდინშია, თუ მარშლობის რომელი კანდიდატის მომხრე დაპატიჟებს სადილად. იქ პირობას დადებს, რომ მაგის კანდიდატურას მისცემს თავის ხმას, მეორე დღეს, ან ამაღამვე ვახშმად მეორე კანდიდატურის მომხრესთან გადავა, და ახლა იქ მისცემს საიდუმლო პირობას. თითოეული მეკენჭის გადაბირება კი ორივე მომხრეებს დიდად ესაჭიროებათ, რადგან იმერეთში, და განსაკუთრებით თავადაზნაურობაში, მეკენჭეთა მერყეობაზე ბევრია დამოკიდებული. აქ ზუთხსა და თოროზს ეძლევა დიდი როლი. ახლა ხომ ამ თევზების სეზონია და პალიასტომის ტბიდან ძალიან ბლომად შემოაქვთ. აი, თუნდა მწვანე ბაზარში ძმანი არჯევანიძეები რომ არიან, იმათ სავაჭროს თუ გაჭირდა, ზოგიერთ მეკენჭეს გარდა ასეთი „დიდად შესარგი სმაჭამისა“, ფულითაც მოიქრთამავენ. გაგა არ იცი, ჩვენი კენჭისყრის ამბავი; ბარამ, ჩვენი ბანკის კენჭისყრა ხომ გახსოვს.

— როგორ არ ვიცი, რა ამბავი იყო ყოველთვის ბანკის არჩევნებზე! ყველა კენჭისყრას უცდიდა, იყო ერთი შეხლა-შემოხლა, კენჭმა გაგვასწოროს, კენჭმაო, — გავიძახოდით ამომრჩევლები.

— ჰოდა აგაშენოს! აქაც აგრეთვე ამბავი არის და იქნება. მაგრამ ერთი იქით გავიწიოთ, აღმოსავლეთით, სამხედრო ტაძრისაკენ. აქ კი უფრო ინტელიგენცია იკრიბება. ჯერ ადრეა, თორემ სამი საათის შემდეგ ამ კრებულს დაამშვენებს თვითონ, მართლაც რომ ღირსეული ადამიანი, კირილე ლორთქიფანიძე, ჭუთაისის არისტიდად წოდებული. მალე აქვე გაჩნდება მწერალი მეველე.

— მეველე?

— დიახ, როგორ არ იცი, დათა მიქელაძე.

— ეგ რომელი?

— როგორ არ გახსოვს, შე კაცო, მარშალ ალექსანდრე მიქელაძის შვილი. ჭრთხელ ჩვენც არ გვეწვია ბერთაებში?

— მერე ის მწერალია? მე კი მეგონა, ბიოლოდ ნადიროზით იყო გატაცებული. ჩვენთან რომ იყო, სულ მიმიხო უკვა ხელზე და ჩვენს ჭალაში მუდამ სამწყეროდ დადიოდა.

— ჰო, ნადირობაც უყვარს, მაგრამ მწერალიც არის და კარგად მომზადებული კაცია. მშვენიერი მოსაუბრეც. ხშირად ვგ და კირილე ლორთქიფანიძე რაიმე საკითხზე ერთიმეორეს ეკამათებიან ხოლმე და მათი მოსმენა ერთი ლექციის მოსმენას უდრის. მაგრამ მათ შორის პაექრობა კიდევ უფრო ღვივდება, როდესაც მათ გარშემო თავს მოიყრიან ჭუთათური სხვა ინტელიგენტები — ვექილები, ბანკებში და ქალაქის საბჭოში მოსამსახურენი. მხოლოდ კიდევ უფრო ხალისდება ეს წრე, როდესაც მათ შეემატებათ აფხაზეთის მთავრის შვილი, საუცხოო ვაჟკაცი, ეგეც დიდად მომზადებული ადამიანი და მწერალი გიორგი შერვაშიძე. ბოლოს შეიძლება ამ წრეს ვე-მოუერთეს საიდანმე ჭუთაისს ახლად ჩამოსული თვითონ აკაკი და თავისი ღიმილით ერთხელ კიდევ მოხიბლოს იქაურობა. მაგრამ ესინი მხოლოდ სამსახურის დასრულების შემდეგ, საღილობამდე იკრიბებიან ბულვარში. ახლა შუადღეა, ბარემ, და აქ მხოლოდ მოსეირნე ხალხია შეკრებილი, უფრო ახალგაზრდობაა. ეგერ, გახედე, ქალები რომ ჩამომსხდარან, მათ წინ როგორი მწყაზარი სახის სტუდენტი დგას, ხომ ხედავ, ფორმაშია გამოწყობილი. ვერ ვიცნობ, არ მინახავს, მაგრამ საყურადღებოა, რაზე საუბრობს? მოდი, მივუახლოვდეთ ამ ჯგუფს.

ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ. მოესმათ, რომ სტუდენტი მეტად პესიმისტურ რამეებს მოუთხრობდა ბანოვანებს.

ეტყობოდა, რომ ქალებს სტუდენტისა მაინცდამაინც არცთუ ისე სჯეროდათ, მაგრამ მაინც ხარბად უსმენდნენ მის მშვენიერ ბავერდოვან ბარიტონს.

სტუდენტი უცნაურ რაღაცეებს ამბობდა:

— ასე არის, ასე, ქალბატონებო! ცხოვრება არ ღირს იმათ, რომ იმისათვის თავი ვიმტვრიოთ.

ეს სიტყვები ეხამუშა ბარამს. ვამეხს კი ირონიულმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე. ორივემ დინჯად ჩაუარა ამ ჯგუფს, მაგრამ ისევ მალე შემოტრიალდნენ, რომ კიდევ გაეგონათ სტუდენტის სიტყვები.

სტუდენტი ქადაგობდა:

— აი თუნდა თვით შექსპირი ავიღოთ, აი, რას ამბობს ის თავის „მაკბეტში“:

„ცხოვრება არის მოლანდება, სწრაფწარმავალი,
ის მსახიობობს საცოდავად სცენის ბაქანზე:
ერთი საათით ბაქიბუქობს ძლევამოსილი,
ხან მრისხანებით დაიყვირებს, შემდეგ გაჩრება,
აღარაფერი ისმის მისი... ზღაპარი არის
ეს ცხოვრება, ვითომ ჰქვს და ქუხს...
შინაარსი კი არარაა, არაფერი აქვს!“

ბარამმა და ვამეხმა კვლავ ჩაიარეს, მაგრამ კვლავ ისევ შემობრუნდნენ. თითქოს თავისთვის სეირნობენო, ყური კი სტუდენტისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი.

სტუდენტი განაგრძობდა:

— ხალხი ცხოვრობს, მუშაობს, ტკბება, იტანჯება, უყვარს, სძულს, აქვს თავისი მრწამსი, მაგრამ ხშირად გული უცრუვდება. მერმე ყველა ეს რისთვის? მიზანი? უმიზნოდ არაფერი არა ხდება ქვეყანაზე. ყოველგვარი სიცოცხლის დასათავარი, ბოლო სიკვდილია. მაშასადამე, ცხოვრების მიზანი სიკვდილი ყოფილა.

ბარამმა ჩუმად გადაულაპარაკა ვამეხს:

— რა ახირებულ რამეს ლაპარაკობს ეს ყმაწვილი, ვამეხ! სიკვდილს უქადაგებს ხალხს, ცხოვრებაზე გული უნდა აუცრუოს?

— ჰა, ჰა! იპრანჭება, ბარამ, იპრანჭება — ვითომ შემოხმეღეთ, როგორი მოაზროვნე ვარო, თუმცა ეგეები სრულიადაც არ არის ორიგინალური და მაგის ნააზრევი. ეს ჯერ კიდევ ბიბლიურ „ამაოება ამაოთა“-საგან მოდის და ევროპაში კიდევ ამჟამად ძალიან ბევრია ისეთი მწერალი, რომელიც სწორედ იმას ქადაგებს, რომ ცხოვრება არაფრად არ ღირს, რადგან მას საბოლოოდ სიკვდილი უდარაჯებს.

— საოცარია! ანდა, ვამეხ, ქალებთან რა სალაპარაკოა ასეთი გულის დამჩაგვრელი სიტყვები? ისიც ყმაწვილი კაცისაგან. პირიქით, ეგ უნდა ქათინაურებს ეუბნებოდეს ქალებს, ემიჯნურებოდეს, ეარშიყებოდეს.

— ჰა, ჰა! ბარამ ჩემო, ბარამ! არშიყობა სწვადასხვანაირია. ეგ კიდევ აკადემიკოსი სტუდენტია.

— სტუდენტი აკადემიკოსი? კი ნუ მაბრიყვებ ახლა, ვამეხ! ამდენი კი მესმის.

— აარა! — ჩაიქირქილა ვამეხმა. — მაგისთანა სტუდენტებს

აკადემიკოსობა აქვთ შერჩეული იმისათვის, რომ არავითარ სტუდენტთა მოძრაობაში, გაფიცვებში ეგენი არ ერევიან და უნდათ, რომ მხოლოდ უნივერსიტეტი დაამთავრონ, აკადემიური სწავლა და დიპლომები მიიღონ.

— ბიჭო, ჭკვიანი ყოფილა.

— ჰო, ვინ როგორ შეხედავს. თავისთვის, რასაკვირველია, ერთგვარად ჭკვიანია, კარიერისკენ მიისწრაფვის, სხვას არაფერს დაგიდევს. ასეთია ყველა „თეთრსარჩულიანი“ სტუდენტი.

— ეგ კიდევ რაღაა?

— ეგ იმას ნიშნავს, რომ მაგათ ჭალტოებს მეტწილად თეთრი სარჩული აქვს ამოდებული, განსაკუთრებით მაგათ კლოკს, აი, ნიკოლოზის შინელს რომ ეძახიან. ამისთანა კლოკს ჩვენშიაც ატარებს ზოგი არასამხედრო პიროვნებაც, ზოგიერთი ჩვენი ყოყლოჩინა კნიაზიც და... მაგისთანა სტუდენტებიც რუსეთში და ჩვენშიაც.

— არა, მე ვხედავ, რომ ძალიან კოხტა ჩაცმულია, უმეტესობა ქართველი სტუდენტობა მინახავს, რომ ცუდად არის ჩაცმული. ცხადია, სიღარიბის გამო, მხოლოდ ეს მაინც მაკვირვებს, ამისთანა კოხტა ბიჭი ქალებთან, არშიყობის მაგივრად, რეებს ლაპარაკობს?!

— გვეყოფა მაგის მოსმენა. ახლა შემოვუაროთ მთელ ბულვარს. სხვა ტიპებსაც წავაწყდებით, — და ვამეხმა მთავარანგელოზის ეკლესიის მხარისაკენ წაიყვანა ბარამი. ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ ალაპარაკდა:

— არშიყობა, როგორც გითხარი, სხვადასხვანაირია. ეგეც არშიყობს თავისი საუბრით. იმას უნდა თავისი უცნაური აზროვნებით ჯერ შეაკრთოს, შეაცბუნოს ქალების გული და შემდეგ... როგორ იტყვი შენ წანდაწან ჩიტებზე? ჰო, „მოიყვანის ხახადელზე“. იმან იცის, რაზაც აკეთებს, კარგად იცის, რომ დღესგე, ხვალე, რომელიმე ოჯახში, სადაც უთუოდ დაპატიჟებენ ამისთანა უცნაურს, მაგრამ სასურველ სტუმარს, იქ უკვე მის „მაღალ აზროვნებით“ მოხიბლული რომელიმე ქალწული წამოედება მაგის ვითომდა „ფილოსოფიურ“ ანკესს. მერე იცის ბიჭმა! ასეთი ვითომ მაღალი აზროვნებით გააბრუებს გოგონას და შემდეგ თავის ქვენაგრძნობების ბადეში გააბმევებს.

მაგრამ ამ დროს ვამეხსა და ბარამს კიდევ მოესმათ სტუდენტის ხმა და ცოტაზე კვლავ შეჩერდნენ.

სტუდენტი ახლა ასე მახვილსიტყვაობდა:

— ასეა ცხოვრებაში: ღიმილი ღრეჭად იქცევა, სიცილს ცრემლები ცვლის, ზაფხულს — შემოდგომა, დღეს — ღამე, სიყვარულს — სიძულვილი, ქორწინებას — გაყრა...

— ბიჭოს! მთლად სულელი არ ყოფილა ეს ყმაწვილი, ვამეხ!

— არა, ვინ ამბობს! მაგისთანა ტიპები სულელები კი არ არიან, ხშირად ძალიან მომზადებულებიც არიან, მაგრამ თავიანთ ცოდნას და განათლებას უკუღმართად იყენებენ. მხოლოდ ეს მათი მომზადება და ცოდნა ძალიან ზერელეა, თავიანთი აზროვნება არც კი აქვთ შემუშავებული. სულ სხვის ნაფიქრალს და ნააზრევს იზეპირებენ და ამითი გააქვთ თავი. თანაც იპრანჭებიან და ქვეყანა უნდათ გააკვირვონ: აჰ, რა იშვიათი ბიროვნებაა, როგორ ორიგინალურად აზროვნებსო, ამბობენ მისი შემხედვარე გულუბრყვილო ადამიანები, განსაკუთრებით ქალები, და საზოგადოებაში მითი იხვეჭენ სახელს.

— მოიცა, მოიცა, შენი ჭირიმე, ვამეხ! გესმის ახლა რაც ლაპარაკობს?

ყური მიუგდეს. სტუდენტი ამბობდა:

— ქვეყანას მართავს სიცრუე. სიმართლისათვის ტყუილა იკლავენ თავს ბრიყვები და სულელები! სიცრუეა ყველაფრის გამგებელი, მმართველი. ამის დამტკიცება ბევრი მაგალითით შეიძლება.

— კაცო, თანდათან მომწონს ეგ ყმაწვილი, ვამეხ! შენ ტყუილა აგინებ, — და კიდევ უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ თავზე წამოადგნენ ბარონესა და დაგმარა საზაფხულო კაბებში გამოწყობილები, ფართო ფარფლებიანი პანამის ქუდებით, რომლებზედაც ხელოვნური ჩიტები ხელოვნურადვე ყვავილნარის ბუჩქებში იყვნენ ჩაყუჟულები. კარგი შესახედავები იყვნენ ორთავენი. ბულვარში მყოფნი ზოგი გაკვირვებით და ზოგიც აღტაცებით შესცქეროდა ამ ორ კოხტა დედა-შვილს. ბარამსა და ვამეხსაც გაეხარდათ მათთან შეხვედრა.

ერთიმეორე მოიკითხეს. გამოირკვა, რომ ნექტარინა თავრში ამალით და ბევრი მარინასთან ერთად ნოტარიუსის კონტორაში წასულიყვნენ, ამათ კი ბაღში გამოესეირნათ, რომ მაისის

მშვენიერი ამინდით დამტკბარიყვნენ და აქაურ ნაცნობებშიაც გარეულიყვნენ. მაგრამ ამ საუბარში ბარონესას თვალი მოუხვდა სტუდენტის ჯგუფზე და დაგმარას უთხრა:

— ხედავ, კნეინა კეკელა აქ ყოფილა და კიდევ სხვა მისანები. მაგრამ ეს ვინ არის, დაგმარა, ვერ იცანი? ეს ხომ ხვითოა, ჩვენი ხვითო, — ბარონესამ გაიწია კეკელას და ხვითოს ჯგუფისაკენ, თან დაგმარაც გაიყოლია, მაგრამ უეცრად შედგა და გულიანად გადაიხარხარა, რადგან სხვებთან ერთად მასაც მოესმა სტუდენტის ყოყლოჩინა სიტყვები:

— მე არასოდეს არავინ არ მყვარებია, მე მიყვარდა თვით სიყვარული.

— ოჰ, ოჰ, როგორ თავმომწონეობს ჩვენი ხვითო! — წარმოთქვა ბარონესამ და არ მორიდებია კეკელას ჯგუფს, ისე ხმამაღლა გასძახა: — ხვითო, ხვითო!

სტუდენტმა ყური ცქვიტა. აქეთ-იქით გაიხედა და ბარონესა და დაგმარა რომ დაინახა, თავის ჯგუფთან ბოდიში მოიხადა და მათკენ გაეშურა.

— ვერ იცნობთ? — შეეკითხა ბარონესა ვამეხსა და ბარამს, როდესაც სტუდენტი მათ მიესალმა. — ეგ თქვენებურია, მგგრელი, კონსტანტინე ხვიტია.

— ხვიტია? ზუგდიდელი იქნება, — წარმოთქვა ბარამმა.

— დიახ, ბატონო, ზუგდიდის მაზრიდან ვარ.

ვამეხმა და ბარამმა ერთხელ კიდევ მუშტრის თვალით ახედ-დახედეს ამ გაევროპელებულ მეგრელს და ვამეხს გაახსენდა ოდესღაც ევროპაში ნამყოფ ერთ მეგრელზე ნათქვამი მუხანაზი რუსულ ენაზე:

«Осеминаренный француз,
Офранцуженный мингрелец».*

მხოლოდ ამის მაგიერ ხმამაღლა წარმოთქვა:

— კონსტანტინე! ეს კარგა მაგარი სახელია.

— ჩვენ კი მისი გვარი შევცვალეთ და ხვიტიას მაგიერად ხვითოს ვეძახდით. ეგ ხომ პეტერბურგში სწავლობს, ჩვენსა ხშირად მოდის და საერთოდ კარგ წრეში ტრიალებს, არაკითან ნაძირალებში არ ერევა, არც მშფოთვარე სტუდენტებთან

* გასემინარიელებული ფრანგი, გაფრანგებული მეგრელი.

აქვს ურთიერთობა. ეგ ძალიან წინა წავა, იმედი მაქვს, თუ ასეთი ჭკვიანი იქნება მუდამ, მე მინდა დიპლომატიურ კორპუსში იმსახუროს. ფრანგული კარგად იცის და არ გაუჭირდება.

— თქვენის მეოხებით, ბარონესა, — მოკრძალებით დაიწყო სტუდენტმა. მაგრამ ბარონესამ არ აცალა:

— ჩვენ კი ხვითოს ვეძახით. ქართველ სტუდენტებს შეურქმევიათ. მე ეს სიტყვა არ ვიცოდი, მაგრამ ამიხსნეს ზლაპრული „ნატვრისთვალი“ ყოფილა და მართლაც აგეთია ჩვენი ხვითო.

— ო-ო, ბარონესა, — ისევ შეეჭრა სტუდენტი, — თქვენ თუ მოიწდომეთ კაცის ქება, ისე მაღლა ასწევთ, რომ... მაგალითად, მე მეშინია ამ სიმაღლიდან არ ჩამოვვარდე.

— არა მგონია! მარჯვე-ყმაწვილი ხართ, ხომ, დაგმარა?

დაგმარამ ერთი კი შეანათა თვალები ახალგაზრდას და შემდეგ ისევ კდემამოსილებით დახარა. ხვითომ შეფრფინვით დაუწყო ყურება სახიერსა და მწყაზარ დაგმარას, მაგრამ ბარონესამ თავისი განაგრძო:

— მე ხომ დაგპირდით, ხვითო, რომ თქვენს შესახებ თავის დროზე მოველაპარაკები მინისტრ ვიტტეს-მეთქი. ამას უთუოდ შევასრულებ, როგორც კი თქვენ უნივერსიტეტს დაასრულებთ, მაგრამ ეს ამჟამად იქით იყოს. დღეს ჩვენ გუბერნიის მარშალთან ვართ დაპატიჟებული და თქვენც უნდა წაგიყვანოთ.

— თქვენთან წამოსვლით ბედნიერი ვიქნები, — წარმოთქვა ხვითომ და კვლავ ალტკინებით შეავლო თვალი დაგმარას, — მაგრამ მე არ გახლავართ მარშლისას მოწვეული.

— ო, ო, ეგ არაფერი, ყმაწვილო! ჩვენ გამოგეყვებით, და მარშლის სტუმართმოყვარეობა განთქმულია.

ხვითომ მორჩილების ნიშნად თავი დახარა.

— თქვენ კი? ვამეხ, ბარამ, — მიმართა ბარონესამ, — არ გვიკავალრებთ, ხვითოსთან ერთად მარშალთან არ წამოხვალთ?

— სიამოვნებით, მაგრამ მე ხომ ნოტარიუსთან უნდა წავიდე, — თითქოს სინანული გამოთქვა ბარამმა: — უთუოდ ჩემი რძალი ნექტარინა გაფოფრილია ახლა. დამძრახავს, რომ ვიგვიანებ.

ბარონესა ალარ მიძალებია. ვამეხმა კიდევ რაღაც საქმე მოიმიზეზა და მარშალთან წასვლა აირიდა.

კარგი, რა გაეწყობა! ჩვენ კი, წვითო, დაგმარა, მივიდეთ კნეინა ქეკელას ჯგუფთან, თქვენ ხომ ამას წინათ საშინელ რამეებს სწამებდით თქვენს თავს. არაბოდეს არავინ არ მყვარებია, მე თვით სიყვარული მიყვარდაო. აჰ, თქვენ გიყმაჟ ო, თქვენა! — მე გავიგონე...

და სამთავენი გაემართნენ ქეკელას ჯგუფისაკენ.

შენაკადი

XV

იმედ გამისხლტი ხელიდან, ციბელულ?

თუ ეს იმის ბრალია, რომ ასე ხშირად იცვლები სხვადასხვა ნახუებად?

ან მე მეჩვენება ასე.

თუ ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ჩემს თვალებს ნისლი ებურება ბოლო ხანებში და კარგად ვეღარ ვარჩევ შენს სანატრელ ნაკვთსა?

თუ ეს ჩემი ბრალია — უნდა ეშველოს ჩემს მხედველობას, და თუ შენ მართლა მშორდები, ეს უნდა მიეწეროს ჩემს წინააღმდეგობას. რომ მოგწყინდა ხანდაზმულთან ურთიერთობა, რომ ალარა სჭირის ჩემის სიბერით შეყინულს გრძნობებზე შენი შთაგონება.

მტოვებ გაციებულს გარემოში ჩემის შემოქმედებისა ცულს და მიუბაფარს.

ეს ხისასტიკეა, ციბელულ!

შენ უკვე ისეთი ჩაუმქრალი ცეცხლი გაქვს ჩემში ჩანთებული, რომ იგი მეყოფა საფლავის კარამდე, მხოლოდ შენ არ უნდა მომაკლო ნაცარგადაყრილი ღადრის გაღვივება.

ციბელულ, ციბელულ!

ამას ნუ მომაკლებ, კარგო და საუცხოო ჩემო, და მე... მე კიდევ... წავიმუშავებ.

ბარამმა და ვამეხმა განაგრძეს თავიანთი გზა.

ვამეხმა ბარამი მიახედა ბულვარის ღობის გარეთ.

— ხედავ? გიმნაზიელი ქალები გამოძიძგინდნენ, მეორე მხრივ კიდევ ჟრიამულით, ხმამაღალი ლაპარაკით მიეშურებიან ვაჟი გიმნაზიელები. ეტყობა, ახლა მათი დასვენების დრო-ა, დიდ „პერემენას“ რომ ეძახიან. ამ დროს მათ ნება აქვთ სკოლის კედლები დატოვონ და ქალაქში გაისეირნონ. მხოლოდ ეს დაუმორჩილებელი სამყაროა. მათი ახალგაზრდული ენერგია უფრო ანცობაში გადადის. რა თქმა უნდა, უფრო ვაჟებისაგან, რა ხარ, სიყმაწვილეც! რამდენი უცნაური ოცნება შემოიჭრება შენს გონებაში. ხან დევგმირი გგონია შენი თავი, გგონია თუ მთებს შესძრავ, ქვეყანას დაიპყრობ და ხან ნაცარქექია, რომ შენ არაფერს არ წამოადგენ, არც არასოდეს კარგად არ გამოხვალ, როგორ მალე აღფრთოვანდები ზოგჯერ და როგორ მალე საოცარი კეშანი შეგიპყრობს. ცხოვრების ორივე მხარე, კეთილიცა და დუხჭირიც, როგორ გეჭიდება, გებრძვის, თითქოს უნდა დაგძლიოს და... საკვირველია! ცხოვრების ხალისი მაინც არ გეკარგება. თვითონ ცხოვრება გიწვევს თითქოს ფრთების გასაშლელად, შენს თვალებს თითქოს აფართოებს, რომ უფრო კარგად დაინახო გარემოს სიმშვენიერე, ბუნების საკვირველი ნაირფეროვნება, განსაკუთრებით ამისთანა გაზაფხულის პირზე, ისიც ქუთაისის მაისში, იხილო ეს მშვენიერი ქალწულები, რომელთა მარტო ერთი დანახვაც ეგეთ ტკბილ ჟრუანტელს ჰგვრის მთელს შენს სხეულს.

ბარამი მობრუნდა და ჩააკვირდა ვამეხს, თითქოს სწორედ მას ჰქონდა თვალები გაფართოებული, სახე როგორღაც უბრწყინავდა და ხმაც საკვირველად ფართოდა.

გაიფიქრა: „ო-ო, როგორ უყვარს ამ კაცს ცხოვრება. ამდენ ჭირგადახდილს, კატორღაშიაც კი ნამყოფ კაცს. რამდენი სიხალისე შერჩენია კიდევ. ყველას არ ამბობს, რაც გულში აქვს, მაგრამ...“

უეცრად ჩრდილოეთიხაკენ გაიხედა.

— გამეხ, ვამეხ! ტაიას ხედავ? ჩამოსულა. ეგერ, ტაია უნდა იყოს უთუოდ.

ვამეხმა მიიხედა. ბაღის შუაგულ, პირდაპირ მოლზე, ფეხ-

მორთხმით იჯდა რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ტაიაც იყო.

— ძალიან კარგი. რაკი ჩამოსულა, იქ ნოტარიუსთან ნახავ.

— ნოტარიუსთან კი არა, ახლავე მიწდა ვნახო.

— არა, არა, ბარამ! ეგენი სხვა რამისთვის არიან უთუოდ მანდ გარინდებულნი. თუმცა დიდი გაბედულებაა ასე დლისით, მზისით შუაგულ ბულვარში. ხელს ნუ შეუშლი.

— მე რა ხელს შევუშლი, დავუძახებ! — და ვამეხს არ დაუჯერა, გადააბიჯა ბაღის შუაგულ მოლზე და ტაიასკენ გასწია.

რომ მიუახლოვდა, კარგა გარკვევით მოესმა:

„იმისათვის, რომ მასა გაიმსჭვალოს კომუნისტური შეგნებით, ეგრევე მთავარი მიზნის მისაღწევად საჭიროა, რომ ადამიანები მასობრივად შეიცვალნონ. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციური პრაქტიკული მოძრაობით; მაშასადამე, რევოლუცია საჭიროა არა მარტო იმისათვის, რომ გაბატონებული კლასი დაემხოს, არამედ იმისათვის, რომ თვით ეს დამამხობელი კლასი მხოლოდ რევოლუციით შესძლებს ყოველგვარი ძველი სიდუხჭირისაგან თავი დაიხსნას და შეუქმნას ახალი საზოგადოებრიობა“. აი რას ამბობს მარქსი, ყმაწვილებო!

ამას ამბობდა ერთი ახალგაზრდათაგანი და ირგვლივ ყველა და ტაიაც მათთან დიდის გულისყურით უსმენდნენ.

ბარამი შეცბუნებული იდგა, კარგად ვერ გაიგო, რასაც ამბობდა ახალგაზრდა, მაგრამ ალღოთი კი მიხვდა, რომ ეს იყო სრულებით ახალი სიტყვა მისთვის მაინც და ამ სიტყვებში ჩაქსოვილი იყო რევოლუციური მოწოდება, ე. ი. მოწოდება აჯანყებისაკენ. ბარამს რევოლუცია აჯანყებად მიაჩნდა, მაშასადამე, აჯანყება მის წინააღმდეგაც, თავადის წინააღმდეგაც, მაგრამ ამის განსჯას არ მისცა თავი და კარგა ხმამაღლა დაუძახა:

— ტაია, ტაია! აქ მოდი ერთ წუთას.

ყველა იქ მყოფი ამ ხმაზე და ბარამის დანახვაზე დიდად შეშფოთდა, მაგრამ ტაიამ ბარამი რომ დაინახა, ამხანაგები დაამშვიდა, საშიშარი არაფერი არ არისო, და თვითონ ბარამისკენ წამოვიდა.

— კარგია, ჩამოსულხარ, ყმაწვილო! — და უბრალოდ ხელი ჩამოართვა ბარამმა. შეიძლება გულით უნდოდა გადახვეო-

და დიდი ხნის უნაწავ და საყვარელ ძმისწულს, მაგრამ ამჟამად საჭიროდ არ მიიჩნია. შეეკითხა: — ის ვინ არის, რომ ქადაგობს?

— ვინ ქადაგობს, სად ქადაგობს, რას ამბობ, ბიძია?

— აი, ეგერ უმაწვილი ახლახან რომ გელაპარაკებოდათ?

— რად გინდა, ბიძია! გამომძიებელი ხარ?

— შეურაცხყოფას კი ნუ მაყენებ, ტაია. მე, წომ იცი, როგორი კაციცა ვარ. განა არ ვიცი, რომ რალაც დიდ საქმეს აკეთებთ. რუსხემწიფეს თუ დაამხობთ, ამის წინააღმდეგი როგორ ვიქნები.

ტაიას გაეცინა:

— მარტო რუსხემწიფეს?

— ჰო ვიცი, ვიცი. მაგაზე ნურაფერს მეტყვი მხოლოდ, უმაწვილო, ასე აშკარად, შუაგულ ქალაქში როგორ იკრიბებით, პოლიციის არ გეშინიათ?

ტაიას პირზე ღიმილი მაინც დაჰკროდა.

— ეგ ჩვენი საქმეა... — კიდევ უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ არ თქვა,

— მაინც ეგ უმაწვილი ვინ არის... კარგი, სანდომიანი სახე აქვს.

— ძალიან გინდა გაიგო?

— რატომ?

— კარგი, გეტყვი. დასამალი რაა, მაგას ქუთაისში ყველა იცნობს: იცკა რიჟინაშვილია.

— როგორ? ებრაელი, შე კაცო?

— ჰო.

ბარამმა თავი გაიქნია.

— მე მგონია, რომ ებრაელებმა არშინის დაჭერის მეტი არა იცოდნენ რა, — უეცრად შეცვალა ამ საგანზე ლაპარაკი, — ახლა კი წამოდი.

— სად?

— ნოტარიუსთან.

— ჰოო, იქ ჩემ მაგივრად ბათუა.

— ვიცი, მაგრამ რაკი ჩამოსულხარ, შენი წამოსვლა ჯობია.

— არა, ბიძია, არა. აქ მე უფრო დიდი საქმე მაქვს.

— ჰო, უთუოდ აგრეა, მაგრამ, — ცოტა შეჩერდა ბარამი.

შემდეგ მეტად წათნოდ უთხრა: — თუ გიყვარდე, ტაია, აწლა წამომყევი.

ტაია შეყოყმანდა. ბოლოს რაღაც მოიფიქრა და დაეთანხმა, მაგრამ სანამ წაჰყვებოდა, ერთი წუთით მივიდა თავის ჯგუფთან და რიჟინაშვილს ასე მიმართა:

— ახლა ბიძაჩემს უნდა წავყვე. ისე ხომ არ შეგვიცვლია: რუა, რვა.

რიჟინაშვილთან ერთად ყველამ მიაძახა: „რუა, რვა!“ და ტაიაც გაეშურა ბიძამისისაკენ.

41

ვამეწი კი, თავისი გზით მიმავალი, ფიქრობდა იმ ახალგაზრდათა ჯგუფზე, რომლებიც ბულვარის შუაგულ მოლზე ისხდნენ ტაიასთან ერთად.

— რა გაუფრთხილებლობაა, როგორ შეიძლება ასე სააშკარაოზე მათი გამოსვლა, დღისით, მზისით! თუმცა... ახლა მარშლის კენჭისყრაა და ბულვარში, გარდა ჩვეულებრივი სკამებისა, ბაღის შუაგულ ბევრი მეკენჭეები, ახლა მათი ნაცნობები ჯგუფ-ჯგუფად მოლზედაც სხედან. ჰო, ეს არც ისე შესამჩნევია, მაგრამ პოლიციამ ხომ მაინც შეიძლება გუშანი მიიტანოს სწორედ ამ ახალგაზრდებზე. ესეც კია. რატომღაც ადგილობრივი პოლიცია სოციალისტებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს ჩვენში. თვითონ ჟანდარმერიაც აქამდე თითო-ოროლას თუ გამოიჭერდა ალაგ-ალაგ საქართველოში, თორემ მაინცადამაინც ყურადღება არა აქვს ამეებზე გამახვილებული. ამას არ მოელიან საქართველოში. ჰა, ჰა! ბულელები! ისინი უფრო ჩვენს, ვითომდა სეპარატიულ მოძრაობას უთვალთვალებენ და უფრო მაღალწოდებას დევნიან. ხან გააძევებენ ქალაქიდან როშელიმე თავადს, აქაო და პატრიოტიაო, ხან კიდევ როშელიმე ინტელიგენტს, რომელსაც ჰა, ჰა! სარდლობა შეუძლია, მაგრამ ლაშქარი კი არა ჰყავს. ბოფლად კი ეს ახლანდელი გლეხების გამოფხიზლება მხოლოდ აგრარულ მოძრაობად მიაჩნდათ და ვერ გაუთვალისწინებიათ, რომ ამ მოძრაობაშ სოციალ-დემოკრატიასთან აქვს მჭიდრო კავშირი. მუშებსა და მათ წელმძღვანელებს, საერთოდ სოციალისტებს, ყურადღებას არცთუ იმდენად აქცევენ, ეს შეიძლება იციან იმ ახალგაზრ-

დებმაც და იმიტომ არიან ასე თამამად. ჰო, შეიძლება! მაგრამ ვატყობ, რომ მალე დადგება დრო დიდი შეჯიდებისა და გაიმარჯვებს ხალხი. თუ კარგი მეთაურები ეყოლათ... ჰმ! მეთაურები! ჩვენი ინტელიგენცია? თუნდა რუსეთისაც... ვინ არის ახლა იქ ეგრეთ წოდებული „აზრთა მპყრობელი?“ ვითომ მიხაილოვსკი? უთუოდ კარგი პუბლიცისტია, მცოდნეც, მაგრამ, რასაკვირველია, წმინდა წყლის რევოლუციონერი არ არის. სხვები? ყველა უფრო კაბინეტის ხალხია. არალეგალურებს კი მე ნაკლებ ვიცნობ. აბა საიდან?.. იყო დრო „კოლოკოლს“ ვკითხულობდი, ვეცნობოდი საზღვარგარეთულ რევოლუციურ ლიტერატურას. ერთ დროს ჩვენში მეც კი გამივარდა სანელი მოწინავე პუბლიცისტისა. ნიკოლაძის ქვევით არ მაყენებდნენ, გიორგი წერეთლის ჟურნალ „კრებულში“ მეც ვლებულობდი მონაწილეობას... და დახეთ ჩემს მუხთალ ბედს!

თითქოს ერთხელ კიდევ ჩაწყდაო გული ვამეხს: გააზსენდა ბრწყინვალედ დაწყებული მისი სიჭაბუკე. შემდეგ უდანაშაულოდ დასჯა და ისიც არა რაიმე იდეისათვის, არამედ ქალის შეწამებული მკვლელობისათვის. შემდეგ ციმბირი, კატორღა. იქ გატარებული მთელი ოცი წელიწადი. მართალია, იქ ბევრი რამ შეიძინა, ჰქონდა საშუალება, რომ წიგნები ეკითხა. დაუახლოვდა პოლიტიკურ გადასახლებულებს. კვლავ დაეწაფა მოწინავე რევოლუციურ აზროვნებას. ჰმ! ძნელად აზროვნებას! თვითონაც იწყო თავისთვის წერა, კვლევა-ძიება, მაგრამ მერმე რა! ახლა... მექათმეა! განა ასე არ ეძახის მისი რძალი ნექტარინა?

ასეთი დიდი ფიქრის დროს ვამეხმა ჩაქინდრა იცოდა. ახლაც ასე თავჩაქინდრული მიდიოდა ბალახვანისკენ და ირგვლივ თითქოს არაფერს არა ხედავდა, მაგრამ მოულოდნელად წინ შემოხვედრილმა ერთმა ახოვანმა, ჭარმაგმა, მაგრამ სახე მწყაზარმა ადამიანმა შეაჩერა. ეს იყო დათა მიქელაძე, მწერალი მეგვლე.

— ვამეხ, ვამეხ! როგორ მეამა შენი ნახვა? სადა ხარ, კაცო, როგორ დაგვეკარგე? მიიყუჟე სადღაც შენს გადაკარგულ სოფელში და არაფერი ვიცით შენი ასავალ-დასავლისა! განა ეს შეიძლება? შენისთანა ადამიანები დიდად გვჭირდება. სხვა, როგორა ხარ სიმრთელით? ხომ კარგად?

მაგრამ პასუხის მიცემა არ დააცალა, ხელში მკლავი გაუ-

ყარა გამეხს და გზა ასე განაგრძობინა. თან თითქოს ხოშკა-კალასავით მიაყარა:

— გაზეთის გამოცემას ვაპირებთ, ვამეხ, ქუთაისში, გაზეთის გამოცემას. არ შეიძლება ჩვენმა ინტელიგენციამ თავისი ხმა არ ამოიღოს, თორემ ამ სოციალ-დემოკრატებმა თავისი ქადაგებითა და საგაზეთო წერილებით ხალხს ლამის შეაძულონ თავისი სამშობლო! გესმის შენ ეს, ვამეხ? სამშობლო, კაცო, სამშობლო! ეგენი ამბობენ მუშას სამშობლო არა აქვს, მისი სამშობლო იქ არის, სადაც ის სამუშაოს იშოვნისო.

— ეგ არაა მთლად ტყუილი, დათა! — უკვე ვამეხშაც ამოიღო ხმა. — ხოლო ამ ფრაზას გაგება უნდა. შენ რომ გგონია, ასე უბრალოდ არ არის ეგ ნათქვამი.

— ვაიმე, ვამეხ, შენც გასოციალისტდემოკრატდი? შენც იმათკენ იხრები?

— მე არავისკენ არ ვიხრები, დაფა, მხოლოდ მე ვფიქრობ, რომ მოვლენებს და საგნებს ჯანსაღად ვუყურებ.

— კარგი დაგემართოს! მაგრამ ეს როგორ მოგწონს, რომ სოციალ-დემოკრატები გლეხობაზე ხმას არ იღებენ. სულ შუშები და მუშები! თითქოს საქართველო გლეხობის არ იყოს. ჩვენი ქვეყანა, ჩემო ძმაო, შენ კარგად იცი, აგრარული ქვეყანაა, მიწათმოქმედების ქვეყანა და ყოველივე ამას ჩვენი გლეხობა ახლაც ამუშავებს ხომ და მომავალში კიდევ უფრო გააუმჯობესებს სხვადასხვა სასოფლო იარაღების შემწეობით მის დამუშავებას. ასე რომ, მომავალში, დარწმუნებული ვარ, საქართველოსაგან ისეთი გლეხური რესპუბლიკა გამოვა, შენი მოწონებული.

— მაგას დაფიქრება უნდა.

— ჰოდა დავფიქრდეთ, მოვიფიქროთ, ვამეხ! ამისათვის გვინდა გაზეთის გამოცემა, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ თავისი პატრიოტული და დემოკრატიული აზროვნება მთელ ხალხს მოჰფინოს... მეტს გეტყვი, ვამეხ! ჩვენ გვინდა საქართველოს ავტონომიისათვის ვიბრძოლოთ. საზღვარგარეთ გამოდის უკვე ამ მიმართულების ჟურნალი ქართულ ენაზე. ჩვენ გვინდა ეს ბრძოლა აქ, ჩვენში, გავაჩაღოთ... მაგრამ რად გინდა, რა! ახლავე აუტყდნენ ამ ჩვენს იდეას და ერთ მოწინააღმდეგეთაგანს ამას წინათ სცენაზე წაუკითხავს კუპლეტები და, სხვათა

შორის, ანუ უთქვამს: „რა არის ავტონომია? — ხიზილალა და ლომია!“ გესმის შენ, ვამეხ?

— რა არის ეგ? ბავშვური ლაზღანდარობაა, სხვა რა?

— არა, ვამეხ, არა, ეს სალაზღანდარო მუნასიბები თავის საქმეს აკეთებენ. ხალხში იწვევენ ღმეჭას, ღრეჭას და ამითი აცუცურაგებენ დიდ საკითხებს, ნიადაგს აცლიან მათ სერიოზულობას. შენ გეცოდინება უთუოდ, რომ ჩვენ, პატრიოტ ინტელიგენტებს, გვინდა აღვადგინოთ აგრეთვე საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა — ავტოკეფალია! ამაზეაც იცი, თურმე, როგორ მასხრობენ ეგ უხეიროები, ეგენი: ჰოო, ჩვენს მღვდლებს კეფალის ჭამა მოუნდათო? ხომ იცი, რომ კეფალი, კიფალოზი ერთგვარი გემრიელი თევზია! რას იზამ, არაფერი წმინდა არა აქვს ამ ხალხს, არა! დეგენერატები! მოშხამულები არიან კოსმოპოლიტობით.

ვამეხი ცოტა უფრო დაკვირვებით შეაჩერდა მეველეს სახის გამომეტყველებას. შეატყო, რომ აღელვებული იყო და შეიძლება ამიტომაც არც სანუგეშო და არც საწინააღმდეგო აშაზე აღარაფერი უთქვამს.

უეცრად მეველემ—ვამეხი შეაჩერა ერთ ლამაზ ეკლარის ქვით ნაშენ ორსართულიან სახლის კარებთან. ეს „საურთიერთო ნდობის“ ბანკი იყო. აქ მსახურობდა დირექტორად ქართველ ინტელიგენტებს შორის კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე კირილე ლორთქიფანიძე.

მეველემ შესთავაზა:

— შევიდეთ კირილესთან. გაეხარდება შენი ნახვა. ცხადია, ისიც გაზეთის თანამშრომლობას შეგთავაზებს. შენ ხომ წინააღმდეგი არ იქნები?

— მე ჩემს ქვეყანაში ყოველგვარი კულტურული წამოწყების თანამგრძნობელი ვარ.

— ჰოდა შევიდეთ. მოვიუბნოთ.

კარებში შედგეს ფეხი ორთავემ. მხოლოდ დათამ ვამეხი აქ ცოტა ხნით შეაჩერა.

— იცი კიდევ რა გახარო, ვამეხ! ბაბო გავლენიშვილი აქ ჩამოსულა. — ბაბოს ხსენებაზე ვამეხი შეკრთა, მაგრამ გარეგნულად არ დაიმჩნია. დათა კი უკვე ხუმრობით განაგრძობდა:

— გახსოვს, ვამეხ, ახალგაზრდობისას, თბილისში ყოფნის დროს, ორთავენი რომ ვეარშიყებოდით... მაგრამ შენ მაჯობე.

იმაზე შენ შეგიყვარა და რომ დაგცლოდა, ახლა უთუოდ ბედნიერი ცოლქმრობა გეჭნებოდათ.

— ეჰ! — ხელი ჩაიქნია ვამეხმა და გასწია წემო სართულის კიბისაკენ. თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ გულში კი უხაროდა: მაშ კიდევ ნახავს თავის სათაყვანო ბაბო გავლენიშვილს, რომელზე ფიქრიც კი ამდენი ხნის განმავლობაში თავიდან არ განშორებია. თვით კატორღაშიაც კი. აქ ხომ, თავის სოფელ ბერთუმში, ნექტარინასას, ხშირად მიუჯდებოდა ჰიაწინოს და თავისთვის უკრავდა სხვადასხვა გულის მომწყვლელ, კაეშნიან ჰანგებს ბაბოს ნათელი სახისა და არსების წარმოსადგენად.

შენაკადი

XVI

ციბედულ!

ვამეხისათვის ბაბო გავლენაშვილი იყო მისი ციბედულები. მაგრამ მე ახლა მინდა სულ სხვა რამ გიამბო, ჩემო-ჩემო! ერთხელ ვნახე ისიც — „ძილში“ კი არა, ცხადად, თვალნათლივ. ეს ნახვა მოხდა შორს საქართველოდან, რომელიღაც რკინიგზის დიდ სადგურზე. მე უნდა გადავმჯდარიყავ და მატარებელს ველოდი.

ვაგზლის ბუფეტში მივუჯექ მაგიდას და ჩემთან ცოტა მრშორებით დავინახე ქალი მარტო მჯდომი და თითქოს მწუხარე. შავები ეცვა და მის ნატიფ სახეს შართლა შვენოდა ეს წყნარი, თითქოს სამგლოვიარო ფერი. ამ შავ ჩარჩოში ლამაზი იყო მისი მწყაზარი პირისახე, რომლის მშვენებასაც შეადგენდა ფართო, შავი თვალები. ეს თვალები ჩემს წარმოდგენაში თამარ მეფის გონიერსა და ცხოვრების სიბრძნით საკუთ თვალებს შევადარე, ჩვენს ცნობილ ხატვარს ქეთო მაღალაშვილს რომ აქვს მაღალი ოსტატობით დახატული.

ვიცი, რომ უზრდელობა იყო მიშტერება, მაგრამ უნებლიეთ თვალი ვერ მოვაშორე. თუმცა პირველ ხანებში ჩუმ-კენ არც კი გამოუხედავს, უფრო თავდახრილი იყო და მშვიათად თუ თავს აღლებდა. ისე კი, თუ რამეს თვალს შეავლებ-

და, მაშინ იგრძნობოდა დიდი ძალა ამ თვალების მომხიბვლელობისა.

მხოლოდ ეტყობოდათ ამ თვალებს, რომ ამჟამად მომხიბვლელობისათვის არ ეცალათ.

ნუთუ ქალი მოღლილი იყო ან მართლა მგლოვიარე?

თითქოს თავის თავში, თავის მძიმე ფიქრებში იყო ჩაფლული.

ნეტა რა აწუხებს? ან აქ რას ელოდება? მატარებელს თუ გისმეს მოსვლას, რომლის დაგვიანება ასე აწუხებს?

ხომ იცი, ციბედულ, მთხზველის ამბავი: რაც უნდა პატარა გაჭანების იყოს, იმდენი ფანტაზია მაინც ექნება, რომ რაიმე მოჩვახოს.

მეც, ვინ იცის, რა და რანაირი ბიოგრაფია არ შევუთხზე ამ ნარნარ არსებას, მაგრამ, რასაკვირველია, არც ერთი არ მომეწონა, რადგან, ცხადია, არც ერთი არ იყო ნამდვილი.

ამ ჩემი „თხზვის“ დროს ქალი წამოდგა, წელში გაიმართა და ჩემი მაგიდის ახლოს გაიარა.

ძალიან კარგი მოყვანილობის! აღმოჩნდა: ტანადი, ჰაეროვანი, მიხრა-მოხრას დიდი ქეთილშობილება ეტყობოდა, ერთგვარი სიამაყეც, იმავე დროს მიუკარებლობა არ ეწერა მთელ მის არსნაგებობას, მხოლოდ ახლა არ ეცალა გარემოსათვის.

მე კი, რომ იტყვიან — „ჩავიწვი და ჩავითუთქე“.

ნუთუ სულ წაიღო? ნუთუ ბღარ დაბრუნდება? გამიელვა და გამიჭრა სამუდამოდ?

არა!

დაბრუნდა. კვლავ გამოიარა ჩემს მაგიდასთან. მოშინდა წამოდგომა, გაცნობა, მაგიდასთან მოწვევა.

რა? — ისიც მარტოა და მეც უზრდელობაა რად უნდა ჩამომერთვას ესეთი საქციელი? მაგრამ, თითქოს სკამზე მაგრა დამაკრესო, ვერაფრით ვერ დავიძარი და სანამ ხმას ამოვიღებდი, ქალი თავის მაგიდას მიუჯდა ისევ.

ახლა უკვე დაგვიანებული იყო.

ამ დროს გამოიხედა ჩემსკენ და მისი საუცხოო თვალები მომაბყრო.

ამ გამომეტყველებაში არ იყო უბრალო ცნობისმოყვარეობა ან გაკვირვება რაღაც ახალი სანის ნახვით, არც ვულგარული ძახილი იყო ქალისა, ვაჟს რომ თვალებით აცნობებს —

მომეახლეო. ეს გამომეტყველება თითქოს დიდი ხნის ნაცნობისა და შეჩვეულ სახეს ერთხელ კიდევ დამშვიდებით ათვალიერებდა.

აკი ეგრეც იყო.

ეს ხომ ჩემი დიდი ხნის ნაცნობი იყო. დიდი ხნით გულში ტარებული, უნახავი, მაგრამ ცხადად სწორედ ეგრე წარმოდგენილი, ეს ხომ შენ იყავ, შენ, ციბედულ!

კინაღამ გავგიჟდი. აი მინდა წამოვვარდე, ვეახლო, ხმამაღლა გამოვთქვა ჩემი სიხარული.

მაგრამ თითქოს დამბლა დამეცაო: გაბრუებული ვარ და ისევ და ისევ ვერ ვიძვრი.

სადღაც შორეულ შეგნებაში სადგურის ზარის ხმა მომესმა.

ვხედავ, ქალი წამოდგა და თავისი ჰაეროვანის ნაბიჯით პერონზე გავიდა.

მე კი უძრავად ვაგდივარ ჩემს სკამზე.

ვგრძნობ, რომ ისევ ისე დავრჩი ობლად, მარტოხელა, თავისთან.

შემდეგში არასოდეს აღარ შევხვედრივარ.

42

ვამეხი რომ კირილე ლორთქიფანიძის კაბინეტიდან გამოვიდა, მეველე მას აღარ გამოყოლია, ეტყობოდა, რომ კირილეც და მეველეც კმაყოფილი იყვნენ მასთან მოლაპარაკებით. ვამეხი მათ დაჰპირდა გაზეთში თანამშრომლობას და აჰყადა მისგან სხვა არა უნდოდათ რა. ისე კი შეიპირეს, რომ მეორე დღის საღამოსთვის კვლავ კირილეს კაბინეტში მოეყარათ თავი, სადაც გაზეთის თაობაზე თათბირი ექნებოდათ სხვა ქართათურ ინტელიგენტებთან ერთად.

ვამეხმა ისიც გაიგო, რომ ბაბო გავლენიშვილიც იმ სასტუმროში იყო ჩამომხტარი, სადაც ბარონესა იყო თავისი ქალიშვილებით, და სწორედ იქით გასწია.

სასტუმრო წითელი ხიდის ახლო მდებარეობდა კარგა მოზრდილ ორსართულიან შენობაში. ვამეხი მიუახლოვდა ამ შენობას და შორიახლო შეჩერდა.

გაელიმა. ვითომ როკოკოს ყაიდაზე მოუპირკეთებიათ შენობის წინა ხედი. ალაგ-ალაგ მოჩუქურთმებულიც არის და სა-

ხურავქვეშ, სანამ დიდი ფანჯრები დაიწყებოდეს, მრგვალი, მომურდასილებული სარკმელებიც აქვს თან დაყოლილი.

გაახსენდა:

— ჰო, ამ ქუჩის პირას ხომ, ამ ფანჯრებს იქით, დიდი დარბაზია თავისი პატარა სცენით. ეს ხომ აქაური კლუბია ამ შენობის წინა ნაწილში. ქუთაისის შეძლებული ხალხი ხომ აქ ატარებს დროს: ქალალდს თამაშობს, საცეკვაო სალამოებს მართავს და სხვა, იქით კი, შენობის მეორე დიდ ნაწილში, სასტუმროა თავისი ნომრებითა და სასადილოთი. მხოლოდ რომელია სასტუმროს შესასვლელი? იქით უნდა იყოს, მეორე ქუჩიდან... აჰა, აი წარწერაც: „სასტუმრო ფრანცია“.

მიადგა კარებს, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ ხმამაღლა მიმართა:

— ვამეხ ოტიევიჩ!

ვამეხი მობრუნდა. მის წინ იდგა წარმოსადეგი, პირბუდაღი, წვერ-ულვაშგაპარსული ჭერა აღამიანი.

— სლავსკი, — თითქოს წამოცდა ვამეხს, — შენა ხარ, ლევ ბარისოვიჩ?

— მე გახლავართ, მე, და... ძალიან გამეხარდა თქვენი ნახვა. კარგა ყოფილხართ.

— შენ რასა იქ? სულ დაანებე სცენას თავი?

მაგრამ პასუხისათვის აღარ დაუცდია. დააკვირდა სლავსკის გვერდით მდგომ შეჭალარავებული, ჩასკვნილი ადამიანის სათნო პირისახეს. შეატყო, რომ ეს კაცი მას შეჩერებოდა, თვალები უქუქუნებდა და ბაგე-პირი უღიმოდა.

— ეს ტრაფიმი არ არის? ტრაფიმ გოლუბენკო, არა?

— მე ვარ, მე, ვამეხ ოტიევიჩ. კარგია მიცანით.

— როგორ არ გიცნობ, ციმბირიდან ერთად არ ვიმგზავრეთ?

— მართლა, ეგეც ციმბირში არ იყო გადასახლებული? — წარმოთქვა სლავსკიმ.

— არა, ეგ ჩემთან არ ყოფილა კატორღაში... რომ გაგვათავისუფლეს, გზაში გავიცანით ერთიმეორე და დავმეგობრდით კიდეც. ხომ, ტრაფიმ ივანოვიჩ?

— მართალია, მაგრამ შემდეგ ვეღარსად გნახეთ. მენატრებოდა კი თქვენი ნახვა და თქვენთან საუბარი.

— ჰო, იშვიათად ჩამოვდივარ ქუთაისს. შენ კი აქ რას აკეთებ?

— ო-ო, ეგ არის რაც არის, — ღიმილით ჩაერია ლაპარაკში სლავსკი, — ეგ აქ თეატრში მსახურობს და სცენის მანქანების გამგეც არის. ჩვენ ხომ ელექტრონი არა გვაქვს, მაგრამ ხელის მანქანები მაინც არსებობს თეატრში, ამას განაგებს, ზეინკალიც არის, ბუტაფორიც და ოდნავ დეკორატორიც. ჩვენი საყვარელი ლადო მესხიშვილი დიდად უმადლის, მისი მარჯვენა ხელია. ქართველებიც ჰყავს ამას თანაშემწე თეატრში, თვითონ შემოიზარდა — სერგო ჭელიძე, ჩინებული მოხუცი, და ონისიმე დადიანი, დიდად ენერგიული ვინმე... ახლა ეს კლუბიც ამას აბარია თავისი დარბაზით და სცენით და ამასაც უვლის:

— რას ამბობთ, მართლა? ბიჭოს, ძალიან საჭირო კაცი ყოფილა, მაგრამ აკი შენ სოფელში აპირებდი დაბრუნებას, — მიმართა ტრაფიმს ვამეხმა.

— დიახ, ჩავედი კიდეც, მაგრამ იქ ჩემიანი ალარავინ დამხვდა. ზოგი მომკვდარიყო, ზოგიც სხვაგან წასულიყო სამუშაოდ და მე კიდევ ავიღე და კავკასიისაკენ გამოვწიე. ეს კი თქვენი ბრალია, ვამეხ ოტიევიჩ, ისე მიქებდით აქაურობას, რომ გულმა ალარ მომითმინა და წამოვედი. წამოვედი სწორედ ქუთაისს, რადგან მე მეგონა, რომ თქვენ აქ ცხოვრობდით და უფრო თქვენი იმედით ჩამოველ.

— ასე გამოდის, რომ მე გამიბრიყვებიხარ.

— არა, გაბრიყვება რას მიქვია! მაინც მოვწახე კეთილი ხალხი. მე ხომ ჩემი სიჭაბუკიდან ძალიან მიყვარდა თეატრი და რომ ჩამოველ, გავიხედ-გამოვიხედე, ისევ თეატრს შევეკედლე. აქ რუსული თეატრი არ არსებობს, ხანდახან თუ იმართება რუსული წარმოდგენები, მაგრამ მე აკი მსახიობობას არ ვაპირებდი. ცოტა რამ წინათაც ვიცოდი მექანიკოსობისა და ეს გამოვიყენე. ძვირფასმა ალექსეევ-მესხიშვილმა, თქვენმა მესხიშვილმა კი შემივრდომა და აი ახლა მეც ერთი მარცვალი ვარ ადგილობრივი თეატრისა.

— კარგი დაგემართოს, კარგი საქმეა! შენ კი, ლევ ბარისოვიჩ, სულ მიატოვე სცენის სამსახური? — კვლავ გაიხსენა ვამეხმა სლავსკისადმი მისი პირველი შეკითხვა. სლავსკიმ კი მიუგო:

— არა, მაგრამ მე ახლა უფრო ჩინოვნიკი ვარ. სახაზინო პალატაში ვმსახურობ და ხალხსა ვბეგრავ გადასახადებით. სცენიდან მაღალი ზნეობის ქადაგების მაგივრად სახელმწიფოს ეკონომიკას ვამაგრებ. აი, შენ გეცინება, ვამეხ ოტიევიჩ! გახსოვთ პეტერბურგი? სტუდენტი რომ ვიყავ, სცენისაკენ როგორ მივისწრაფოდი, მაგრამ ცხოვრებამ სულ სხვაგვარ შემატრიალა... ამას გარდა, დავრწმუნდი, რომ ჩემისთანა აქტიორი რუსეთში ათასობით მოიძებნება, ოჯახურმა პირობებმა კი სახელმწიფო სამსახური მომაძებნინა, და სცენა? — ეს უკანასკნელი სიტყვა ნაღვლიანად წარმოთქვა სლავსკიმ.

აქ კი ტრაფიმი შეენაცვლა.

— არც მთლად ეგრეა საქმე, ვამეხ ოტიევიჩ. სცენას ახლაც ემსახურება. აქ დროგამოშვებით იდგმება რუსული წარმოდგენები და ლევ ბარისოვიჩი ამ წარმოდგენების სული და გული. სლავსკი — ეს ძალიან საყვარელი სახელია რუსული აუდიტორიისათვის.

— ჰო, — გაიცინა სლავსკიმ, — ჩემი პირველი რეცენზენტი ტრაფიმია და მუდამ მამხნევებს.

ტრაფიმს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს მას გვერდით ჩაუარა ერთმა ახალგაზრდამ და, თითქოს გადაუგდო, ისე დაუტოვა სიტყვები: „დღეს, რუა, რვა!“ თვითონ კი განაგრძო თავისი გზა.

სლავსკიმ შეამჩნია, რომ ახალგაზრდამ ტრაფიმს რაღაც გადაულაპარაკა და შეეკითხა:

— რაო, რა გითხრა იმ ყმაწვილმა?

ტრაფიმმა ერთი კი შეხედა ვამეხს, მაგრამ სლავსკის მაინც გარკვევით უპასუხა:

— რუა, რვა.

ვამეხს გაეცინა.

— ეს რა არის, მეგრულს სწავლობთ რუსები?

— რატომ მეგრულს? — გაუკვირდა სლავსკის. შემდეგ ტრაფიმს გადახედა და ღიმილით წარმოთქვა: — არა, ჩვენ სულ სხვა რასმე ვსწავლობთ.

— ჰოო? მე კი მეგონა, მეგრულიდან ქართულად თარგმნიდით „რუოს“, „რუო“ ხომ ქართულად „რვა“ იქნება.

— ეგ კი არა, ტრაფიმ, ვამეხიც უნდა წავიყვანოთ, — უკვე ჯიუტად წარმოთქვა სლავსკიმ, — უკეთესს ვის ვიშოვნით.

— უთუოდ, უთუოდ! — დაეთანხმა ტრაფიმიც.

— სად უნდა წამიყვანოთ, რას ამბობთ? — იკვირვებდა ვამეხი.

— აქვე, ახლოს, რუაზე. არ იცით? ჭომისაკენ, ფერმასთან, აბანოც რომ არის, ბუნებრივი სამკურნალო წყალი. იმას ქვია რუა და არა რუო. ჰა, ჰა! იქ კარგა ძალზე შეღრუტნული ადგილია, მოფარებული და...

— აჰა, მივხვდი, ფარული რამ კრება გაქვთ?

— დიახ, დღეს საღამოს რვა საათზე, — უპასუხა ტრაფიმმა.

— მერმედა მე რა შუაში ვარ? მე პარტიული არა ვარ.

— ჰე, ჰე! — გაიცინა სლავსკიმ. — პარტიულები არც ჩვენა ვართ. პარტიულობამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილია. ჩვენ თანამგრძნობლები ვართ, ოღონდ უკვე ნაცადი თანამგრძნობლები და ჩვენ დავალებულიც გვაქვს, რომ სხვა თანამგრძნობლებსაც მოვუყაროთ თავი, ისეთებს, რომლებსაც ვენდობით. შენზე უკეთესს ვის ვიშოვით?..

— მე... — ცოტა გააგრძელა ვამეხმა. — მე ხალხის ყოველივე სასარგებლოს, რამდენადაც შემეძლო, თანავუგრძნობდი და თანავუგრძნობ.

— ჰოდა, ჩვენც ჯერჯერობით ამისთანები გვჭირდება; ჩვენ კი შენი ცოდნა გამოგვადგება, დიდად გამოგვადგება.

— მერმედა თქვენს კრებებს ხომ პარტიულები წელმძღვანელობენ?

— როგორ არა. აი, საშა წულუკიძე თუ გაგიგონიათ.

— ვიცი, გამიგონია, ნიჭიერი კაცია.

— აი, ის არის ამჟამად ქუთაისში იმერეთის კომიტეტის წარმომადგენელი. სხვებიც ეხმარებიან. თვითონ ავადმყოფობს ცოტა. მაგრამ თბილისიდან ჩამოსული ამხანაგები დიდ საქმეს აკეთებენ ქუთაისშიც და მთელს იმერეთ-გურია-სამეგრელოში.

— აჰა, მაშ კომიტეტიც არსებობს?

— როგორ? ნუთუ ესეც არ იცი?!

— ჩამორჩენილი ვარ ძალიან.

— როგორ გეკადრება! არა, უთუოდ უნდა წამოწვიდე, ვანიჭკა ოტიევიჩ!

— რუაზე, რვაზე, არა? — გაიღიმა ვამეხმა.

— დიახ, სწორედ ეგრეა... აი ხედავ, როგორ მალე ეჩვევი ჩვენს პაროლებს.

— კარგი და, — მაინც ყოყმანობდა ვამეხი, — მე რომ წი-მიყვანთ უცხო კაცს, თქვენი ხელმძღვანელები, პარტიულები. გიყაბულებენ?

— აკი გითხარით, ჩვენ გვენდობიან-მეთქი!

— არა, უთუოდ უნდა წამოხვიდეთ, ნახავთ, გაიცნობთ, გაიგებთ რითი ვსუნთქავთ, — ახლა ტრაფიმი არწმუნებდა ვამეხს, — და შემდეგ, ცხადია, აქტიურ მუშაობაშიაც ჩაებმებით.

— აქტიურ მუშაობაში?.. — ცოტა თითქოს შეიკვირვა ვამეხმა, მაგრამ შემდეგ არც უარი თქვა და არც თანხმობა.

— ჩვენი ნაკლი, აქაური ორგანიზაციისა, ის არის, — განაგრძობდა კვლავ ტრაფიმი, — რომ დარაზმულები კი ვართ, მაგრამ სულ სხვადასხვა პროფესიის ხალხი, უფრო წვრილფეხა ნოქრები, ზოგიერთი ხელზე მოსამსახურე, ან ჩემისთანა გადმოვარდნილი ძველი მუშა, ან ლევ ბორისოვიჩისთანა ნათელი პიროვნება.

— ჰო, კარგია ახლა, ნუ მოყვები შენებურად, — შეაჩერა სლავსკიმ.

— არა, რატომ? მართალს ვამბობ, — არ ტყდებოდა ტრაფიმი. — ჰო, აი ასეთები და თან უფროსი კლასების მოწაფეები გიმნაზიიდან, რეალური სასწავლებლიდან, სასულიერო სემინარიიდან და სხვ. აქ ხომ, ჭუთაისში, სამწუხაროდ, ქარხნები არ არის, თორემ მათი მუშები დიდი ძალა იქნებოდა ჩვენთვის.

ტრაფიმი გაჩუმდა, მაგრამ სლავსკის რაღაც გაახსენდა:

— აი, შენ რომ თქვი, გიმნაზიის უფროსი კლასებიდან... თუ არ ვცდები, მითხარ, მგონია. ამათი გვარის უნდა იყოს, — და თავი ვამეხისაკენ გადაიქნია. — რა ჰქვია?

— ო-ო, ტაიას! — გაიხსენა ტრაფიმმა.

— ტაია? — ის ხომ ჩემი ძმისწულია. მარჯვე ბიჭია და რამდენადაც ვიცი, ძალიან თავგადადებული მომუშავეც. ჩვენს სოფელშიაც კი შექმნა, მე მგონია, რაღაც უჯრედის მსგავსი.

— ო-ო, ტაიას ჩვენ მეტსახელად ვეფხვს ვეძახით. რა იყო, ხერგო? — უეცრად მოუბრუნდა ტრაფიმი მის გვერდით ამომდგარ სერგო ჭელიძეს.

მაგრამ ხერგო მარტო არ იყო, მას ერთი ახალგაზრდაც ახლდა და სწორედ ამ ახალგაზრდამ არ აცალა სერგოს ხმის ამოღება:

— მაშ ამ საღამოს რუაზე, რვაზე, ამხანაგებო!

— ვიცით, ვიცით, — სიცილით მიაგება სლავსკიმ, — და ეს პატივცემულიც მოგვყავს.

— ოჰ, ბიძია ვამეხ? — ცოტა ჩაფიქრდა, შემდეგ მტკიცედ წარმოთქვა — უთუოდ ბიძია ვამეხი არ ჰგავს ჩვენს მოღვაწე რალო ქართველ ინტელიგენტებს. ეგ ჩვენს საქმეში ძალიან გამოგვადგება. დიდ აქტივობას გამოიჩენს.

— შენ რა, ტაია, რეკლამას მიკეთებ? — თან სიტყვა „აქტივობა“ თავის გულში არცთუ ისე მოეწონა, მაგრამ მაზე არაფერი თქვა.

ტაია კი შეეკამათა: „მართალს ვამბობ და უთუოდ უნდა წამოხვიდეთ“, მაგრამ ამ დროს სერგო ჭელიძემ გაახსენა იქ მყოფთ:

— რატომ შევჯგუფდით აქ, შევიდეთ კლუბში, თორემ მაინცდამაინც არც ისე კარგი თვალით გვიყურებს პოლიცია და რომელიმე „გარადავოი“ ერთხელ კიდევ ჩაგვნიშნავს.

— მართალია, მართალი! — დაეთანხმნენ იქ მყოფნი. სლავსკიმ კი ისიც წარმოთქვა:

— კლუბში დღეს მეც საქმე მაქვს. ხვალ ხომ თავადაზნაურობის საცეკვაო საღამოა. კენჭისყრამდე გუბერნიის მარშლის ცოლი მართავს და ბალის დაწყებამდე მე და ჩვენი რუსი სცენისმოყვარეები პატარა რაღაც ვოდევილსა ვდგამთ; შენ რო ამისათვის მოვედი ტრაფიმთან, რომ სცენა დამეთვალიერებინა.

— მეც იმიტომ ვარ მოსული, — წარმოთქვა სერგომ, — რომ ტრაფიმს თუ რამ სჭირდება, მოვეხმარო და საჭირო მასალებიც თეატრიდან მოვუტანო.

— ჰოდა, ძალიან კარგი, შევიდეთ, — თქვა სლავსკიმ და კლუბში შევიდნენ თვითონ სლავსკი, ტრაფიმი და სერგო ჭელიძე.

43

ტაია და ვამეხი მარტო რომ დარჩნენ, ვამეხი შეეკითხა:

— მე შენ ქუთაისში არ მეგონე. ჩვენი სოფლიდან ხომ იწე გაიპარე, რომ გარდა ჩემისა, ჩვენიანს არავის უნახავხარ.

— აგრე იყო საჭირო. მხოლოდ ახლა კიდევ ბიძია ბარამს

გამოვექეცი. ბულვარში დამიჭირა და უნდოდა ნოტარიუსში წავეყვანე, მაგრამ იქ ხომ ბათუ მყავს ჩემს მაგიერად და შემდეგ თოლისქვამის ნახვა რომ დამიპირა, ძალიან შორს დავიჭირე და გამოვექეცი, იქიდან თეატრში შევირბინე, მინდოდა მენახა ამხანაგები და მართლაც იქ არ დამიხვდნენ, სერგო ჭელიძის სარეკვიზიტო ოთახში — არკადი ელბაქიძე, დალაქიშვილი, თვითონ სერგო! ყველას ვაცნობე დღევანდელი შეკრების დრო, შემდეგ კი აქ წამოვედით მე და სერგო ტრაფიმთან.

— ეს ბარამს როგორ მოუვიდა, რა დროს თოლისქვამის ნახვაა. ნექტარინა ათხოვებს კიდეც. აქაც ახლა იმიტომ ჩამოცყვანა, რომ მზითევი უყიდოს.

ტაია თითქოს წამოიყელთა:

— ათხოვებს? ვის აძლევს?

— არ გაგიგია? ბარამს არ უთქვამს?

— არა.

— კვიზინიას აძლევს, ფოთელ ვაჭარს.

— საცოდავი! — ცოტა შეგვიანებით წარმოთქვა ტაიამ და თითქოს ჩაიფუფქა, გულში კი გაიცლო: — რატომ მეწყინა ასე? ვითომ მიყვარდა?

ვამეხმა შეატყო ტაიას შინაგანი აღელვება და ვითომ სანუგეშებლად სულ სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი.

— რას აპირებ ახლა, ტაია, სწავლას არ აგრძელებ? ყური მოვკარი, თითქოს რუსეთს აპირებდე წასვლას უნივერსიტეტში.

— მე აკადემიკოსი არა ვარ, ბიძია, ეს შენ კარგად უნდა იცოდე და მერე კიდევ დიპლომისათვის ბრძოლა კარიერისტებისათვის დამითმია. მე თუ წავალ, უფრო საბჭოთა არგონავტებთან...

— ჰო, ვიცი. უთუოდ გერმანიას მიაშურებ, მარქსიზმი რომ საფუძვლიანად შეისწავლო.

ტაიას ჩაეცინა.

— არა, ბიძია, არა. ბაგრისთვის გერმანიაში წასვლა საჭირო არ არის. რუსეთში ამჟამად ეგ მეცნიერება მარტო თეორიულად კი არ არის შესწავლილი, არამედ პრაქტიკულადაც ატარებენ ცხოვრებაში და მას ისეთი გენიოსი ხელმძღვანელი ჰყავს, როგორიც არის ლენინი...

— ლენინი?

— ოჰ, ბიძია! შენ და ამის უცოდინარობა? შენგან არ მიკ-

ვირს! მაშ უთუოდ შენ არც ის გეცოდინება, რომ ჩვენში, საქართველოშიაც, ამ მოძღვრებას დიდი წარმომადგენლები ჰყავს, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაშიაც. გახსოვს ბერთემში ფარნასას რომ გიამბობდით ბათუმის მუშების გაფიცვების ამბებს. აი, იმისი ხელმძღვანელი არის ჩვენში უდიდესი მოაზროვნე და ძალიან მალე ყველა დავინახავთ, თუ რა დიდ საქმეებსაც მოიმოქმედებს ეს კაცი. არა! მე გერმანიაში მარქსიზმის შესასწავლად არ წავალ. ისე მინდა, საერთოდ ევროპა მოვიარო, პირადად გავეცნო იქაურობას.

— ჰო, ახლა კარგა ძალი ფული გერგება შენც და, ცხადია, იმყოფინებ. საზღვარგარეთ გამგზავრება კი უსათუოდ გამოგადგება, მხოლოდ... მარტო გერმანია კი არა, საფრანგეთიც უნდა ინახულო, პარიზი, ეს რევოლუციის ძველი კერა, კომუნარების სამშობლო. არ გახსოვს, თვითონ ილიამაც კი უმღერა ფრანგ მებრძოლებს.

— ჰო, ვნახავ. ფულები კი, როგორც ბათუმ გადმოსცა, ჩემდა წილად ათი ათასამდე მერგება თურმე. რასაკვირველია, პირად საქმისათვისაც მოვიხმარ, მაგრამ შენ არ დაგიმალავ, ნახევარს პარტიას მივცემ.

— რომელ პარტიას?

— რომელი პარტიაა ჩვენში ჩამოყალიბებული? — სოციალ-დემოკრატიული და მეც ამ პარტიის მემარცხენე ფრთას გადავცემ.

— ეგ რაღაა მემარცხენე ფრთა?

— ო-ო, ამის განმარტებას კარგა დრო უნდა, ბიძია, ჯაგრამ აი დღეს მოხვალ „რუაზე, რვაზე", — აქ გაეცინა ტაიას და ის მიზეზი, რასაკვირველია, ამ სიტყვების ბგერათა დამთხვევით იყო გამოწვეული. — მოხვალ და იქ ნაწილობრივ გაიგებ, ეს წარმოადგენს ეს მემარცხენე ფრთა და რას ისახავს ეს მიზანი. მაგრამ უკაცრავად, ბიძია, აგერ დავინახე, აქეთ შემოუვიდეს ბარონესამ თავისი ფანიით და მე მათი ნახვა ახლა არ მსურდა. გავიქცევი, ნახვამდის!

— ნახვამდის, ტაია! ჭკუით იყავი, თავი არ წააგო! — ცოტა ხმამაღლა მიაძახა ვამეხმა, მაგრამ, ვინ იცის, ტაიამ გაიგონა თუ არა, რადგან მან სულ სხვა მხრით ისე სწრაფად მოკურცხლა, რომ მალე მოსახვევს მიეფარა.

XVII

სპილოს ძვლის კალმითა ვწერ ამ ამბებს, ციბედულ.

და... განა აქვს ამას მნიშვნელობა?

ერთხელ ახალციხეში ოქროს კალმის ტარი მაჩუქეს. მაშინ „გიორგი რუსსა“ ვწერდი, მაგრამ ამ კალმით იმ რომანში არაფერი დამიწერია. სულ სხვადასხვა კალმით, სხვადასხვა ნაკეთების და მოყვანილობის იარაღით მაქვს დაწერილი.

ავია თუ კარგია ეს რომანი, კალმის აღნაგობის ბრალი მაინც არ არის და ახლაც მგონია, რომ არც კალამს და არც მის ტარს არა აქვს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა.

კარგია: ლამაზი ყველაფერი გაგეხარდება, მაგრამ შემოქმედებაში შინაგან უნდა გქონდეს თურმე ოქროც, სპილოს ძვალიც და სხვა ყველა თვალი პატიოსანი შემოქმედებისა, ეს ყოფილა თურმე მთავარი...

ახლა კი, შემთხვევით, სპილოს ძვლის კალმითა ვწერ ამ... ძალზე გაჭიმულ მოთხრობას.

44

ნასტუმროს კარებს რომ მიუახლოვდა, ბარონესამ დაინახა ვამეხი, ცოტაზე დაწინაურდა და მიმართა:

— ვამეხ, მიულოცე თავად ბეგის, ნოტარიუსში უკვე ყველამ ხელი მოაწერა და მაგანაც თავისი წილი მიიღო.

— სასიამოვნოა, მხოლოდ თუ იცი, ჩვენებმა კესარიას ვაჭისათვის ფული არ გადადვეს?

— როგორ არა. ჩემი და, ხომ იცი, მისი ხელმოჭერილობის ამბავი, ძალიან უარზე იყო თურმე, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმეს და მთელი აღებული ფულიდან მეათედი გადადო ყველამ ერთად. ეს არცთუ ისე ცოტა თანხა გამოვიდა. ოთხი ათას მანეთამდე იქნება თურმე. ეს ბეა მთელი ნასყიდობისა, როცა ბელგიელების კომპანია შეუდგება მაგათი ტყის დამუშავებას და უფროსი ნოტარიუსი დაამტკიცებს ნასყიდობას, მაშინ სრულიად მიიღებენ მთელს საფასურს.

— მაშ ძალიან გახარებულები იქნებიან.

— რაღა თქმა უნდა, წექტარინამ დაავლო ხელი თოლუსქვამს და კვიზინიას და კემფლარიას მაღაზიას მიაშურა საყიდლებზე. ბარამი არ მინახავს. გუტატი და ბათუკი ყვავლან დაასაჩუქრა და ბერთემს მიდიან ამაღამ.

— ბერთემს? რატომ? მაგრამ ჰო, იქ ახლა ზემლეგნერია ჩამოსული და მაბულის მეპატრონეები ან მათი ვექილები უთუოდ უნდა დაესწრონ გამოჯვნას.

— მეც აგრე ამიხსნეს.

ამასობაში მარინა და ბეგიც შეუერთდნენ მათ საუბარს. ორივე ახალგაზრდას სახეზე დიდი სიხარული ეწერათ.

ბარონესამ კი გაიხსენა:

— რას შევჩერებულვართ ამ კარებში, ავიდეთ ზევით.

ვამეხი ცოტაზე მაინც შეჩერდა. არ უნდოდა სხვებს გაეგოთ, რომ აქ ბაბო გავლენიშვილის საძებრად იყო ნოსული. ამისათვის ის მოიმიზეზა, რომ ფერმაში წავალ კესარიას ვაყის საქმისათვის და იქაურ დირექტორს ნიკოლოზ მკურნალს რომ ვინახულებო.

— მკურნალს? — გაუკვირდა ბარონესას. — აგრონომიულის სკოლის დირექტორი ექიმია?

— არა, ქალბატონო, არა. ეს გვარია მისი. ბერძნების ჩამომავალია, რაღაც სულ სხვა გვარი აქვთ? მაგრამ საქართველოში გვარად „მკურნალი“ შეარქვეს. მაგათი მამა მართლა ყოფილა მკურნალი. „თეოხარ — მკურნალი“ ერთ დროს განთქმული იყო მთელს სამეგრელოში და შვილებსაც ეს გვარი დაუმკვიდრდათ. ეს მკურნალი კი ძალიან კარგი კაცია, ნასწავლი, მომზადებული, თვითონაც აგრონომია და მოწაფეებსაც კარგად ამზადებს. ახლა მე მინდა წინასწარ ვთხოვო, რომ იქროც მიიღოს.

— ოხ, ვამეხ, მეც წამოგყვები მაგ დირექტორთან.

ცოტა აწრიალდა ვამეხი, რადგან მკურნალთან წასვლას კი აპირებდა საერთოდ, მაგრამ ჯერ მაინც გავლენიშვილის ჭალის ნახვა უნდოდა. ამაზე ისევ ბარონესა შეეშველა:

— წამოგყვები, მხოლოდ ახლა არა. ჩვენ ხომ სადილად გუბერნიის მარშლისას მივდივართ და ქალებმა ტანისამოსი უნდა გამოვიცვალოთ.

ვამეხს გულზე მოეშვა.

ბარონესამ კი იკითხა:

— დაგმარა და ხვითო სად დამეკარგნენ?

— იცინი, ეტყობა, ტკბილმა საუბარმა გაიტაცა და ნელნელა მოდიან, — თქვა მარინამ.

ვამეხს გაეღიმა:

— ჩვენი მარინა დიდი მზაკვარი ქალია?

— მზაკვარი? არა, ბატონო ვამეხ. მე მხოლოდ რეალისტი ქალი ვარ.

— ჰკვიანი გოგო ხართ, ჰკვიანი... მე გეხუმრეთ, თქვენს ხელში ბედნიერია ჩვენი ბეგი.

ბეგიმ, ეტყობოდა, შეიფერა „ბედნიერება“, არაფერი თქვა, მხოლოდ ხანჯალი გაისწორა.

— მე კი, როგორ გგონიათ, — ეშმაკურად შეაციცქინდა მარინა ვამეხს, — მე კი არა ვარ ბედნიერი?

ვამეხმა არაფერი უთხრა, მხოლოდ ალერსით მარინას თავზე ხელი გადაუსვა.

სასტუმროს დერეფანს გაყოლილებმა უკვე მიაღწიეს ბარონესას სამყოფელს. კარებთან მისული ბარონესა ერთხელ კიდევ მიუბრუნდა ვამეხს და, ცოტა არ იყოს, ნაღვლიანი კილოთი წარმოთქვა:

— და აი, ეს ბედნიერები უკვე გვტოვებენ, ვამეხ! მიდიან.

— სად მიდიან?

— ჩემს მამულში, ბატონო ვამეხ, ჩემს მამულში. თქვენა გგონიათ, მე არა მაქვს სახლ-კარი? ტვერის გუბერნიაში ჩ ტვერის მახლობლად, — განმარტა მარინამ. — ამ ზაფხულს იქ გავატარებთ და ზამთარში კი პეტერბურგს მივაშურებთ, ხომ, ბეგი, ბეგლიარ?

— მერმე ჯვარს როდის იწერთ? — ცოტა მოლუშულად წარმოთქვა ვამეხმა.

— ჯვარს? — შეკვირვა მარინამ. შემდეგ თითქოს თავის თავს დაუდასტურა: — ჰო, ეს საჭვალდებულოა. მე მინდოდა, თოლისქვამთან ერთად ერთ დღეს და ერთსა და იმავე ეკლესიაში დამეწერა ჯვარი, ისე როგორც ერთ დღეს დავინიშნეთ ორთაენი, მაგრამ ეს თურმე ასე მალე არ მოხდება. ჯერ თურმე ბერთემს უნდა დაბრუნდეს საპატარძლო, მზითევი გამოიწყოს, შემდეგ შემოდგომაზე სასიძო უნდა ჩამოვიდეს, ჯვარი დაიწეროს და ბოლოს, დიდის-ზეიმით ფოთს წაიყვანს და იქ გადაიხდის დიდ ქორწილს. მე ამდენ ხანს ვერ დავიცდი, უთუოდ უნდა წავიდეთ მე და ჩემი ქმარი რუსეთს. აი იქ

კი გთხოვ, ბატონო ვამეხ, ჩვენთან აუცილებლად ჩამობრძანდეთ, დიდად გავიხარებ. თქვენ აკი იცით, როგორ პატივსა გცემთ და როგორ მომწონხართ. მე აკი ერთხელ ვთქვი, რომ ბეგლიარი რომ არ შემხვედროდა, ცოლად თქვენ წამოგყვებოდით.

— ოჰო, ვინ არის, რომ ბატონ ვამეხს ასე ეარშიყება? — მოისმა მარინას გვერდით ვიღაც ქალის საუცხოო კონტრალტოთი თქმული სიტყვები.

ყველა მობრუნდა.

ბარონესამ და ვამეხმა მაშინვე იცნეს: ბაბო გავლენიშვილის ქალი იყო.

ისევ ისეთი ტანადი იყო, როგორც ოდესღაც. მიუხედავად ხნოვანებისა, ნატიფ სახეზე ერთი ნაოჭიც არ აჩნდა, ქალური ეშხი და იერი კიდევ შერჩენოდა, განსაკუთრებით მის დიდრონ თაფლისფერ თვალებს. მხოლოდ თმაში ერთგან თეთრი თმის კონა შეპარვოდა წაბლისფერი თმის ძნასა. და ეს წვრილმანიც კიდევ უფრო მიმზიდველსა ხდიდა. ტანზე ეცვა უბრალოდ, ინგლისური ყაიდის ტაილირის კოსტიუმი, რაც უფრო მამაკაცის პიჯაკს მოგაგონებდათ, განსაკუთრებით მისი ზედა წელი, რომელსაც უზადო, გახამებული თეთრი საყელო ადგა თავს და მამაკაცურივე შავი ჰალსტუხი, მთელი ტანისამოსი კი ყავისფერი იყო.

ბარონესა სიყმაწვილითვე იცნობდა ბაბოს და მათი შეხვედრა მართლა მეგობრული გამოვიდა. იმავ დროს ბარონესამ ვამეხის გარდა ბაბო იქ მყოფთ ყველას გააცნო. ბაბომ კი განუმარტა, რომ ქუთაისს ამჟამად მარშლის ცოლმა დაიბარა ხვალინდელი მეჯლისის, ბალისათვის საკონცერტოდ. ბარონესამ სიხარულით შესძახა:

— ო-ო, შენ ხომ დიდი პიანისტკა გამხდარხარ, გავიგე.

— დიდი არა, მაგრამ...

— კარგი ახლა, თავს ნუ იკატუნებ. ძალიან სასიხარულოა, მოგისმენთ. — შემდეგ ბარონესა უფრო გაუშინაურდა: — გახსოვს, ბაბო, ახალგაზრდობისას თბილისში მე და შენ თვითონ ხარლამპი სავანელი რომ გვასწავლიდა პიანინოს დაკვრას? — ასეთი გამოსაუბრების შემდეგ ისიც გამოირკვა, რომ ბაბოც თურმე აქა დგას, მათი ნომრების გვერდით და კარებთან ლაპარაკი რომ შემოესმა, გამოიხედა. ახლა კი თავის ბიძაშვილ-

თაან, გიორგი ამილახვართან, აპირებს წასვლას. ამ დღეებში ჩამოსულა თავის ოთარშენიდან გიორგი. მე ვამეხის ნახვას აქ არ მოველოდი, ახლა უნდა მოგტაცოთ და თან წავიყვანოო.

ამაზე ბარონესამ ჩასჩურჩულა:

— ნეტავი თავის დროზე მოგეტაცნა, უკეთესი იქნებოდაა, — და ორთავეს სათნოდ გაეცინა.

ბარონესა კი კვლავ ვამეხს გაეხუმრა:

— ახლა კი აღარ დაგაბრკოლებთ, ვამეხ. გასწი და შენც მოგვიხსენიე შენს ლოცვებში.

ყველას გაეცინა. ბაბომ — ჭუდს დავიხურავო, და თავის ნომერს მიაშურა. ვამეხიც შეჰყვა ოთახში. არ მიხედა იმას, რომ იქ მყოფთ შეიძლება ეს უზრდელობადაც ჩამოერთმიათ.

ოთახში რომ მარტო მოხვდნენ ვამეხი და ბაბო, ორივე ერთიმეორის პირისპირ შეჩერდნენ და მოურევნელი სიცილი აუტყდათ.

ეს სიცილი თითქოს კმაყოფილების იყო, რომ ერთიმეორე დიდი ხნის შემდეგ კვლავ ნახეს ჯანსაღად, აგრეთვე თითქოს, რიღორიღაც გამოუთქმელი ბედნიერებისა, რომელიც მხოლოდ იგრძნობოდა და ორივეს გულში ფოთარობდა.

შენაკადი

XVIII

შენ კი იცი, ვინა ხარ, ციბედულ? შენ ხარ კაცობრიული მშვენიერი ქალი.

ამდენი ხანია საუკუნეობით გეძებს შენ, ციბედულ, უდიდესი გონებისა და გრძნობის ათრთოლებულ-მწყურვალე გული ადამიანებისა.

ვერ მოუძებნიხარ და ამიტომ თითონ გქმნიან: მხატვრები, მუსიკოსები, პოეტები. მთელი თავისი ნიჭიერი ოცნების შესაძლებლობას არ იშურებენ შენ შესაქმნელად, რომ შენ გამოგიგონონ.

და აი, რუსთაველმა შენ დაგარქვა თინათინი და ნესტანი.

დანტემ — ბეატრიჩე.

პეტრარკამ — ლაურა.

პეშკიხძა — ტატიახა.

და თუ ყველა ეს ხელოვანნი მიაღწევენ იმას, რომ ოდნავ მაინც შენი მსგავსება შექმნან, მკრთალი სილუეტი სამარადისო მშვენიერი ქალწულისა, ქალისა, მაშინ მთელი ქვეყანა ამ ცხატვრულ ქმნილებებს ტაშს უკრავს, მათი სახის წინაშე ქედს იხრის და მუხლს იდრეკს.

ნება მიეცით რიგით კალმოსანსაც ჰყავდეს თავისი ციბედულ.

45

ამასობაში დაგმარა და ხვითო ნელ-ნელა მოსეირნობდნენ სასტუმროსაკენ და საუბარი ჰქონდათ.

ლაპარაკობდა უფრო ხვითო. მისი სალაპარაკო ის იყო, რომ გაგიჟებით უყვარდა და უყვარს დაგმარა. ჯერ კიდევ პეტერბურგში. მართალია, წინათ უფრო ბავშვი იყო დაგმარა და უფრო გულუბრყვილო, ასე რომ ხვითოსი მას თითქოს ლტა ჭნდა სმენოდა, მაგრამ ახლა ხომ ცხოვრებას უფრო გამოცდილი თვალით შესცქერის და რად არა სჯერა ხვითოს სიყვარულისა.

დაგმარას ლოყები უწითლდებოდა, გული უჩქროლავდა, ისიც ახსენდებოდა, რომ დედამისი, ბარონესა, დიდი წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუ დაგმარა ხვითოს წაჰყვებოდა, მაგრამ პასუხს თითქოს არ ჩქარობდა, არც ჰოს ამბობდა და არც არას.

ხვითოს კი გაახსენდა ჯერ კიდევ პეტერბურგში, მაღალი წრის ქალიშვილებთან ნაცადი ხერხი და დაგმარას სიჯიუტით თითქოს შეშფოთებულმა, ასე მიმართა:

— ახ, ღმერთო ჩემო! მაშ რითი დაგიმტკიცოთ, რომ მიყვარხართ? აა, გამახსენდა, თქვენ უთუოდ იცნობთ ანტიკურ მწერალს ანაკრეონს.

— ჰო, ცოტათი, — სუსტად უპასუხა დაგმარამ.

— აი ის რას ამბობს, კარგად დამიგდეთ ყური. ეს მიწა წარმოები მე თითქმის ზეპირად ვიცი. „რას ნიშნავს სიყვარული?“ კითხვას სვამს ანაკრეონი და იქვე იძლევა ამის პასუხს: „თუ სიყვარული იდუმალი ცეცხლია, რომელიც ადამიანის ჩვეულებრივ გრძნობებსა ნთქავს, გონებას ამღვრევს და გულს

განსაკუთრებულ რიტმით აძგერებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ესეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს უყვარს". მე თქვენ მიყვარხართ, დაგმარა!

დაგმარამ ფეხა აუჩქარა და ცოტაზე დაწინაურდა. მაგრამ ხვითო ბალე დაეწია და ყურში მაინც ჩააწვდინა. ისე იყო ამჟამად აღტაცებული, რომ არ დაგიდევდათ, თუ ქუჩაში გამვლელ-გამომვლელები, მოსიარულენი მის სიტყვებს გაიგონებდნენ.

ხვითო განაგრძობდა:

„თუ სიყვარული იმას ნიშნავს, რომ ყველა ოცნება ერთზე შეკვალო; თუ სიყვარული ტანჯვაა"... ზოგიერთი ხომ ასეც ფიქრობს, დაგმარა... მაგრამ გავყვები ანაკრეონს: „თუ სიყვარული იმას ნიშნავს, რომ დღისით და ღამით შენს წინაშე შენი საყვარელი ქალის სახე გედგეს, გესმოდეს მისი მომჯადოებელი ხმა, ცხოვრობდე მისი ფიქრით, მისი მგრძნობელობით", თუ ასეა; მაშინ უეჭველია, რომ მიყვარხართ, დაგმარა! დაგმარა, გულის წარბტაცო! მიყვარხართ ისე, როგორც არასოდეს არ მყვარებია.

დაგმარამ კიდევ უფრო აუჩქარა ფეხი.

— გაგიჟებით მიყვარხართ, დაგმარა, გაგიჟებით! — უკვე მეტად აღელვებული ხმით აწვდენდა ყურში დაგმარას თავის ალტერნებას ხვითო. გულში კი უკვირდა:

„ეს რა გომდის? თითქოს მჯერა ჩემი სიტყვებისა. — თან ჩაეცინა: — უფუოდ ხლესტაკოვსაც ასე სჯეროდა თავისი თავის, როცა გოროდნიჩის სახლში იკვეხნიდა თავის მდგომარეობას".

დაგმარას კი არც მოუხედნია, ისე გადაულაპარაკა:

— უკაცრავად, კონსტანტინ... ხვითო... მაგრამ დედა მიმელის, ჩვენ ხომ სიდილად მივდივართ მარშლისას. ტანისამოსი უნდა გამოვიცვალო.

— ჰოო, კიდევ არ მოიშალე ეს სატახტო ქალაქის არისტოკრატიული ჩვეულება: სასეირნოდ სხვა, სადილზე სხვა, თეატრსა და ბალებში კიდევ სხვა ტანსაცმელი.

ეს სიტყვები ხვითომ სულ სხვა ჩვეულებრივის სასაუბრო კილოთი წარმოთქვა და მისი ხმის ბგერას სრულიადაც ალარ ეტყობოდა წელანდელი მთრთოლვარება.

მაგრამ ეს არ შეუმჩნევია დაგმარას. ის ვითომ არაო, მაგრამ მაინც გახვეული იყო ხვითოს მომჯადოებელი ბარიტონით გადმოცემულ ანაკრეონის „ალერსთა ბადეში“.

შენაკადი

XIX

ქალმა უთხრა ვაჟს:

შენი ალერსი ყალბი არის,
საქმეს მიჭირვებს!
რად მეფიცები, რომ გიყვარვარ? —
ვერ გამაკვირვებს!
შენ ეს მითხარი: სიყვარული
ვის არ უგრძვნია!
მაგრამ სულ ყველას განა იგი
გამოუცვნია?
თვითონ მხეცსაც კი უყვარს ზოგჯერ —
გაჭრილს ტყე-ველად,
თუმც ვერ ერკვევა, იმას უყვარს
გაურჩეველად,
და სულ არ იცის სიყვარულის
მან კიდე-განი,
არ იცის ტრფობის მან მაღალი
დიდი საგანი!
მას უყვარს მხოლოდ მაშინ, როცა
ის აღტკინდება,
ამის შემდეგ კი სურვილები
მყის ჩაუქრება.
განუახლდება, როცა კიდევ
სხვას ნახავს სატრფოს,
ერთი არ იცის, მარტო ერთსა
ის გულს არ ანდობს.
შენც ასეთი ხარ, განა იცი
შენ სიყვარული?

ქალი პასუხობს:

მაშ მე მხეცი ვარ? შენთვის არ ძგერს
ეს ჩემი გული?

ქალი:

გული შენ ბევრჯერ გიძგეროდა
და ახლაც გიძგერს
მაგრამ არ სჯერა შენი ტრფობის,
ვინც რომ შენ გიცქერს!..

* * *

შემდეგ რაც მოხდა უნდა ვკითხოთ
მთვარიან ღამეს,
ჩუხჩუხა წყაროს, მწვანე მდელოს
ყოვლის მოწამეს:
იმათ იციან ქალ-ვაჟთ ტრფობა
როგორ იწყება;
იციან, რომ სულ ასე იყო,
არის, იქნება!

46

ბაბო გავლენიშვილსა და ვამეხ გვირგვილიანს კი უკვე სულ სხვა სულიერი განწყობილება დაუფლებოდათ. ისინი ჯერ კიდევ ნომერში იმყოფებოდნენ და, მართალია, ბაბომ გაიგო, რომ ბიძაშვილ ამილახვართან უნდა წასულიყო და ნომერში ქუდის დასახურავად შევიდა, მაგრამ ახლა ეტყობოდა, რომ სრულიად აღარ ახსოვდა არც სადმე წასვლა და არც ქუდის დახურვა.

ის ამჟამად თითქოს მოშვებულად იჯდა სავარძელში, მიყრდნობოდა მის ზურგს და სევდიანი გამომეტყველებით სადღაც შორს გაიყურებოდა.

რა მოხდა?

წელან როგორი სიცილით შეხვდნენ ერთმანეთს, შემდეგ კიდევ სიცილით რომ გული მოიჯერეს, რა არ უამბეს ერთმანეთს. მართალია, ორთავემ იცოდა, რომ, მაგალითად, გავლენიშვი-

ლი თბილისში ცხოვრობდა და მუსიკის მასწავლებლობით და კონცერტების მართვით ირჩენდა თავს, ვამეხი კიდევ სოფელში იყო, თავის მამულში, მაგრამ დაწვრილებით ერთიმეორის ცხოვრებისა მაინც არა იცოდნენ რა, იმათ ხომ დიდი ხანია ერთმანეთთან მიწერ-მოწერა არ ჰქონიათ. არც აქამდე შეხვედრიან ერთიმეორეს მას შემდეგ, რაც ვამეხი კატორღიდან დაბრუნდა და ამჟამად, პირველ ხანებში, ერთიმეორეს არც კი დაკვირვებიან, თითქოს ისევ ახალგაზრდანი შეიყარნენო, მაგრამ თანდათან მათი ხნოვანების ნაკვალევი ორთავემ თვალნათლივ დაინახა და მათ გუნებაში მოჩვენებული გაზაფხული სუსხიანმა შემოდგომამ შეცვალა.

ჭალი ფიქრობდა:

„დიახ, იყო რომანი, ანუ უკეთ, დასაწყისი. საუცხოო რომანისა, აღმაფრთოვანებელი, წარმტაცი და... არც კი გაგრძელებულა. ხანმოკლე იყო მისი არსებობა. მალე დაიხურა მისი ფურცლები. მე კი მეგონა, ეს ვაჟკაცი, მე რომ მიყვარდა ასეთი სასოებით, ყველასაგანაც რომ იყო აღიარებული მართლა მოწინავედ, ეს ვაჟკაცი იყო ერთი ისეთი დიდი და მტკიცე ადამიანი, რომელიც საქართველოს საქმის წარმართად წაყვანას ხელს შეუწყობდა. მარტო საქართველოს? ჰა, ჰა! — ჩუმად და ნაღვლიანად ჩაეცინა ბაბოს. — სამოცდაათიან წლებში ჩვენ უფრო საქართველოზე ვფიქრობდით. მთელი ჩვენი ინტელიგენცია სამშობლოს ემსახურებოდა ჟურნალ-გაზეთების გამოცემით, თეატრით, საზოგადოებრივ დაწესებულებათა შექმნით, არ ვიყავით კოსმოპოლიტები. სამშობლოს კეთილდღეობით გვეგონა, რომ კაცობრიობის საგანძურში ჩვენც შეგვეწირნა ჩვენი წვლილი. ეგეც ასეთი იყო. ახლა კი როგორ დაგმო თავის თავი, როგორ მიწასთან გაასწორა. რეები ილაპარაკა!“

ვამეხი ფეხზე იდგა, მაგრამ ერთ ალაგას ვერ ჩერდებოდა, ოთახში მიდი-მოდიოდა, ზოგჯერ სადმე ერთ ალაგას შეჩერდებოდა და მერე ისევ იწყებდა სიარულს, მხოლოდ, კაცმა რომ თქვას, ეს უფრო წრიალს ჰგავდა.

ვამეხი აწრიალებული იყო სულით, გულით და ახლა სხეულებრივადაც.

ბაბოს ნახვამ მთელის არსებით შეარყია, ჯერ უდიდესი სიხარული იგრძნო საყვარელი ადამიანის შეხვედრით. შემდეგ ისიც ეამა, როდესაც გაიგო, რომ ბაბო ცხოვრებაში არ დაბნე-

ულა, თავისი მუსიკალური ცოდნა გამოუყენებია და ამჟამად თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში პიანინოს კლასი აქვს ჩაბარებული. ვამეხს ეამა ისიც, რომ ბაბო დამოუკიდებლად, თავისი შრომით ცხოვრობს, ზოგჯერ საჯარო კონცერტებშიაც ღებულობს მონაწილეობას და საზოგადოებაში კარგი ადგილი უჭირავს.

ვამეხს უნდოდა ისიც ეკითხა — არც ერთხელ არ გათხოვილხარო; თუმცა გაგონილი ჰქონდა, რომ გაუთხოვრად იყო დარჩენილი, მაგრამ მაინც უნდოდა შეემოწმებინა და... არ ჰკითხა. იფიქრა — ვაი თუ მისი წმინდა გრძნობა ჩემდამი ამით შეურაცხყოო და თავი შეიმაგრა.

ბაბომ, თითქოს ვამეხის ეჭვების გასაფანტავად, თავის ლაპარაკში გამოურია:

— იცოდე, ვამეხ! ჩემი გული დიდი ხანია დავხურე და მის კარებთან გულგრილობის ისეთი დიდი ლოდები მივაგორე, რომ ტრფიალებისათვის იგი თავის დღეში ვეღარ ათამაშდება. პირველ ხანებში ამ ლოდების მიგორება მიჭირდა, შემდეგ მიკვირდა, ახლა მივეჩვიე. მე მგონი, იმან მიხსნა, რომ სამუშაო გამიჩნდა, გავიჩინე. საინტერესო სამუშაოა. მუსიკა, ახალგაზრდობა, ნეტა თუ რამე სჯობიან მათთან მეცადინეობას.

ვამეხი ჩაფიქრებული იყო. წყნარად ჰკითხა:

— შენთვისაც ხომ უკრავ რასმე... გულის მოსაოხებელს?

— აღარაფერი მოსაოხებელი აღარა მჭირდება. ჩემი მუშაობა, გაკვეთილები მავსებს სრულიად.

ვამეხს უეცრად სინანულმა გადაურბინა:

— გათხოვებით კი მაინც არ გათხოვდი...

— ჰა, ჰა! გინდა თავი მოიწონო? მართალია, ვამეხ, მე ისე ღრმად და ძლიერად მიყვარდი, რომ თუ არა შენ, სხვას ვერ მიცთხოვდებოდი... ახლა კი...

კინაღამ ამოიოხრა ბაბომ და გაუკვირდა — ეს არის ჩემი გულგრილობაო? ნუთუ ვინანიებ? სინანული ხომ გულგრილობა არ არის! — ენაზე მომდგარი სიტყვა პირს არ წარმოათქმევინა. სამაგიეროდ ვამეხმა თქვა:

— ახლა კი დაგვიანებულია, ჰო, ორთავესათვის, თუმცა მე... ყველაფერში დაგვიანებული გამოვედ. დღეს მეველემ და კირილე ლორთქიფანიძემ მითხრეს, მათ მომავალ გაზეთში მო-

წაწილეობა მივიღო. სალამოს კიდევ რუაზე ვარ მიწვეული სოციალისტებთან.

— ეგ მშვენიერია. მაშ როგორ! საზოგადოებრივ საქმიანობაში კვლავ უნდა გაერიო, ვამეხ!

— ჰო, ვფიქრობ თითქოს... მინდა ვცადო. მაგრამ, მე მგონია, აქაც დაგვიანებული ვარ. მე ახლა მექათმე ვარ და სხვა არაფერი. თავს ვეძალები, თორემ აღარაფერი აღარ მაპალიტებს, ყოვლისავე რწმენა დავკარგე. ამას მე შენ გეუბნები მხოლოდ, ბაბო... სხვებს? სხვებს იმიტომ არ ვუზიარებ ჩემს განწყობილებას, რომ არ მინდა სხვებს გადავდო ჩემი სკეპსისი. იმუშაონ, აკეთონ, შეადგინონ პროგრამები ხალხის საკეთილდღეოდ, ვინ იცის, შეიძლება აქედან რამე გამოვიდეს. მე ხელს არ შევუშლი. ის კი არა, დავეხმარები კიდეც რითაც შემიძლია, მხოლოდ... ბაბო, ეს გული გამოცარიელებულია. თუმცა შენ... ამაშიც გამოგიტყდები, შენ კიდევ ცხოვრობ ამ გულში. შენ სულითა და სხეულით რომ იყავ ახოვანი, ახლაც ასეთი ხარ უთუოდ.

ქალმა ერთი თვალი შეავლო ვამეხს და მისი გამომეტყველება კვლავ განწორდა აქაურობას.

ვამეხს ეს არ შეუმჩნევია, თავისას განაგრძობდა:

— გახსოვს, ბაბო, მე ყოველთვის ხასიათის სიმტკიცითა და მომზადებით რუს რევოლუციონერ ქალებს გადარებდი, რა დიდი ხალხი იყო ზნეობით, სულიერი კეთილშობილებით, როგორი ქედუდრეკლები, შეუპოვრები! აი თუნდა დეკაბრისტების მეუღლეები აიღე, ახლა ნაროდოვოლცები. ერთი პეროვსკაიას ქალი რადა ღირს! თუმცა განა ქართულ ისტორიას არ ახსოვს ესეთი ნაჭედი ხასიათის ქალები!.. ისტორიას ახსოვს, მაგრამ ჩვენ დავიწყებული გვყავს და სხვაგან ვეძებთ მისაბაძ მაგალითებს. გახსოვს, ბაბო, როდესაც მე გამაციმბირეს, შენ გინდოდა კატორღაში გამომყოლოდი, მაგრამ ვერ შესძელ. ფულები არც მე მქონდა და არც შენ. შენმა ნათესაობამ კიდევ სადღაც ცხრაკლიტულში ჩაგკეტა, ქართლის რომელიღაც შიყრუებულ სოფელში, საძრაობა არა გქონდა. გახსოვს, ბაბო?

ვამეხი შედგა და ბაბოსაკენ გაბრუნდა, რომ სახეში ჩაეხედნა. ბედად ბაბოსაც პირი მისკენ მიებრუნებინა, მაგრამ თანაგრძნობის მაგიერ, ბაბოს თვალებში მხოლოდ საყვედური აკმო-

იკითხა, თან ვედრებაც, თითქოს ნუ ამბობ მაგეებსო. უთხრა კიდეც:

— ვამეხ, მალე ერთი საათი იქნება ერთიმეორეს ვუზიარებთ ჩვენს განცდებს და აქამდი არც ერთს სიტყვა „გახსოვს“ არ წამოგვცდენია. მე ეს მიხაროდა. ნუ დამირღვევ ამ სიხარულს. — და პირი ისე მოკუმა, თითქოს რომელიღაც საიდუმლო კარები ჩაიკეტაო.

ვამეხი ერთხანად შეცბუნდა და შემდეგ, თითქოს მოუწონაო. ცოტა ხნის შემდეგ ისევ საზოგადოებრივზე გადაიტანა თავისი საუბარი.

— ჰო, იმას ვამბობდი: აკეთონ, ოშრომონ-მეთქი. ბოლოს-დაბოლოს შრომა ყოფილა ყოველგვარი სიდუხჭირის დამძლევი ამქვეყნად. აი შენც შრომაში ხედავ შენს ბედნიერებას. მხოლოდ შრომაც არის და შრომაც. მგონი, დოსტოევსკის აქვს თავის „მიორტვი დომში“ ნათქვამი, რომ როდესაც კატორღელებს ფიცრები მოგვცეს გასათლელად, ყველანი გამოვცოცხლდით, რადგანაც მიზანი გაუჩნდა ჩვენს არსებობას, მაგრამ როდესაც გავიგეთ, რომ ეს ფიცრები არავისთვის და არაფრისათვის არ იყო მიჩენილი, სრულიად დავკარგეთ ხალისი მუშაობისა, სრულებით მოვეშვით და ჩვენი ცხოვრებაც უღიმღამო გახდაო. ასეა ჩემი საქმეც, ბაბო! მართალია, ჩემს სოფელში რაღაცას ვჯახირობ, გლეხებს ვეხმარები რჩევა-დარიგებით, რაცა მაქვს, იმ ცოდნას ვაწვდი და ამითი ცოტაოდნად ვუმსუბუქებ მათ დუხჭირ არსებობას. ჩემს ბიძაშვილებსაც ვაკავებ ზოგიერთი უსამართლობის გამოვლინებისაგან, წერა-კითხვის მცოდნე ახალგაზდობას ვაწვდი ქართულ წიგნებს, რაც კი მაბადია, თუმცა ძალიან ცოტაა ქართულ ენაზე სასარგებლო წიგნები გამოცემული... ჰოდა, მეც ქათმების მოშენებას შევუდექი, კვერცხებს ვასაღებ... ჰა, ჰა! ჩემი რძალი ნექტარინა დამცინის კიდეც: დიდი ოტიე გვირგვილიანის ჩამომავალი მეკვერცხე გახდაო, მაგრამ რა გაეწყობა! მე იმა მწყინს, რომ რას გამოელოდნენ ჩემგან, მე თვით რას გამოველოდი და რა გამოვედი!

— ამაყი ხარ, ვამეხ, ასეთი იყავი წინათაც.

— გახსოვს, ბაბო?

ბაბომ გაიცინა:

— არა, „გახსოვს“ არა!

— კარგი, მე ის მინდა გითხრა, თუ რაზე ვმუშაობ ამჟამად.

— ჰო, ეს კარგია. მუშაობ კი?

— როგორ არა. ეს ერთგვარი გამოკვლევაა: „ქალის კულტი საქართველოში“.

— ო-ო, ყოჩაღ, ვამეხ! ხომ წამაკითხებ?

— შენ, ბაბო? შენ როგორ არ წაგაკითხებ. პირველი ჩემი კრიტიკოსი შენ უნდა იყო. შენ წაგაკითხებ კი არა, ხომ ხედავ, ჩემი გულის უსაიდუმლეს ზრახვებსაც კი გიზიარებ. ჩვენ ორთავენი, მე მგონი, ბაბო, იმ წერტილამდე მივედით, საიდანაც ნაშდვილი ადამიანური მეგობრობა იწყება ორ არსებათა შორის. ეს არის დინჯი; უზადო მეგობრობა ადამიანებისა. აქ შენი აზრი თითქოს ჩემი ნაფიქრია და ჩემი — შენი. შენ მართალი ხარ, „გახსოვს“ აქ ალარ არის მოსატანი. ჩვენ ახლა ვართ მართლა მეგობრები ყოველგვარი ახალგაზრდული აფეთქების გარეშე.

ბაბო წამოდგა. ვამეხი შეაჩერა. თვალებში შეაჩერდა და მაგრად ხელი ჩამოართვა.

— გმადლობ, ვამეხ, ეს არის სწორედ ის, რაც ჩვენ შევეფერება.

ორთავენი ერთიმეორეს ხელიხელჩაკიდებულნი კარჯა ხანს შესცქეროდნენ და არც ერთს აზრად არ მოსვლია, რომ ერთმანეთს უფრო მიახლოვებოდნენ და კოცნით ალებეჭდათ თავიანთი განწყობილება. მათ თვალთაგან გამოკრთოდა უცხაური, უჩვეულო. ნიხარული და მთელი მათი არსება თითქოს ალივსო ამ მშვიდი და მყუდრო გრძნობით.

„ასეთი დამოკიდებულება მეგობრობის უმაღლეს საფეხურს უნდა წარმოადგენდეს“, — გაიფიქრა ვამეხმა, საბოლოოდ ხელი ერთხელ კიდევ მაგრა ჩამოართვა ბაბოს და იქვე მიაგებასთან მიჯდა.

ბაბო კი ფეხზემდგომი მკლავებით დაეყრდნო იმავ მაგიდას და ვამეხს შეფრფვინვით შეეკითხა:

— მაშ ახლა გამოკვლევას სწერ. ჰმ, „ქალის კულტი საქართველოში“, არა? დიდად საყურადღებოა.

— ეგ დიდი ხნის ნაშრომია, ჩემო კარგო! დიდი ხანს ნაფიქრალია და გააზრებული... ჯერ კიდევ კატორღაში ყრუფნისას.

— ყოჩაღ, ვამეხ! აი ეგ შენ გგავს. იმ დიდ სიდუხჭირეშიაც

ბზრიალებაც არ მიგიტოვებია, დიდ სამუშაოსათვის ემზადებოდი.

— დიახ, დიახ, აგრე იყო, მაგრამ მაშინ რწმენა კიდევ არ მქონდა დაკარგული. ახლა კი ვისთვის, რისთვის?

— აა, ვამეხ, წუწუნი არ გეკადრება.

— მე არა ვწუწუნებ, არამედ დიდი გულისტკივილით გეუბნები იმას, რასაც მეტად მწვავედ ვგრძნობ. საქართველოს საქმე არ არის კარგად, ბაბო, გენაცვალე.

— რას ამბობ, ვამეხ?!

— მართალს. საქართველოს მომავალი საშინელია. შენ წარმოიდგინე, ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკა ნამეტანი მოგვეძალა. სასამართლოში ქართული არ არის, ეკლესიაშიც სლავური შემოგვაპარეს. სოფლებშიაც აქა-იქ ზოგიერთი სემინარიადამთავრებული, პრანჭია მღვდელი ჩვენებურებს სლავურად უწირავს. ჰა, ჰა! ერთხელ ჩვენს სოფელში ჩემი რძლის, ნეიტარინას, გულისწყრომაც კი გამოიწვია ასეთმა მღვდელმა. სკოლებში ხომ ქართული ენა მაჩანჩალასავით უკან არის მიგდებული.

— რას ამბობ, ვამეხ? ჩვენი პრესა, ლიტერატურა, თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება? ყველა ესენი შენი სათაყვანო ილია და აკაკის და სხვა ამისთანების დაარსებული არ არის?

— ჰო, ვსუნთქავთ, მაგრამ ვაი, რომ მომავალი არა ჩანს. ჩვენ როდის გადავიგდებთ ცარიზმის უღელს, ან სად შეგვიძლია? რითი? ვისით, როგორ? დამაცა, შენი ჭირიმე, ბაბო. მე რომ ვუკვირდები, მგონია, რომ ჩვენზე უფრო მართალი იყო გიორგი სენატორი. აი, გიორგი მუხრანსკი, რომელმაც თავის დროზე რუსულ ენაზე ბროშურა გამოსცა, სადაც ამტკიცებდა, რომ არც ერთ პატარა ერს მომავალი არა აქვს, ის ვერასოდეს ვერ გავა ისტორიის დიდ შარაზე, ამიტომ სჯობია თავისივე ნებაყოფლობით გაითქვიფოს რომელიმე დიდ ეროვნებაშიო, მაგალითად, საქართველო — რუსეთშიო.

— ეგ მეც ვიცი, ვამეხ, მერმედა რა ხეირი დააყარეს. ჩვენმა მწერლობამ აკი საბუთად შეუტია, თვითონ ილიამაც ხმა ამოიღო.

— დიახ, გაბრიელ ეპისკოპოსმაც კი... მერმედა რა გამოვიდა.. იმ დროს ჩვენი მწერლობა მართალი იყო და მას შემდეგ

ერთი ორათეულ წელიწადს ქართულმა კულტურის დონემ თითქმის უფრო ფეხი მოიდგა, განვითარდა ლიტერატურაც, თეატრიც, ხალხშიაც შევიდა შვენება სამშობლოს სიყვარულისა. ჩვენებმა დიდი საქმე გააკეთეს, ამას ვინ უარყოფს, მაგრამ ბოლო? ერის ცხოვრება ათეული წლებით ხომ არ განსაზღვრება, ბაბო! პერსპექტივა კი არ მოჩანს, მომავალი თავსუფლების ნიშანს-ვერ ვხედავ.

ბაბო წელში გაიმართა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, შეაგება:

— ეს ომი იაპონიასთან, ვამეხ? აკი ზოგიერთი ჩვენი ინტელიგენტი გაიძახის: მეფის ტახტის საქმე უკვე დაღუპულიაო.

— ეჰ, ჩემო ბაბო, რუსეთმა იაპონიასთან ეს ომი შეიძლება წააგოს კიდეც. ამის ნიშნები უკვე ჩანს, მაგრამ მერე ჩვენ რა? ქართველობა უმოწყალოდ იხოცება ამ ომში, მერე ვისთვის, რისთვის? ეეჰ, მართალი თქვა ილიამ „ვთქვი თუ ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?!“

— არა, ვამეხ, ცარიზმის მიერ ამ ომის წაგებას უთუოდ მოჰყვება რუსეთის რევოლუცია.

— ეეჰ, შენ პირს შაქარი, მაგრამ შენ გგონია რუსეთი დაინგრევა? რუსეთი დიდია? ბიძია. ახალგაზრდა ქვეყანაა, დაულლელი, ის ისე იოლად არ გავა ცხოვრების ასპარეზიდან. შეიძლება მართლაც მოახდინო რევოლუცია. მერმე ჩვენ რა? დარწმუნებული ვარ, თუ ხელმწიფე გადააგდეს, ისეთი ხალხი ჩაუდგება ქვეყანას სათავეში, — პომეშჩიკები და ახლად წამოზრდილი ბურჟუები, — რომ ჩვენ, განაპირა კუთხის ხალხს, ტუზემცებს, ხეირს არ დაგვაყრიან. კი არა, შეიძლება პოლიტიკურად და ეკონომიურადაც მუხრუჭი კიდევ უფრო მოგვიჭირონ.

ბაბოს ნატიფ შუბლს ორი ნაოჭი ჩაუღრმავდა, ის თითქოს ფიქრობდა, თუ რა საბუთით გაექარწყლებინა ვამეხის პესიმიზმი.

ვამეხი განაგრძობდა თავის მოზღვავებულ ფიქრთა გადმოშლას:

— **ავიღოთ ამ საკითხის, თუ გნებავთ, მეორე მხარე. ვთქვათ, მოხდა რევოლუცია და გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატიამ. ხომ იცით, მაგრამ რა უწერიათ თავიანთ დროშაზე. „პროლეტარე-**

ბო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!« მაგათ მწედველობაში ჰყავთ მუშები და ისიც ბოგანო, არავითარი საკუთრება რომ არ გააჩნიათ, ისეთი მუშები. მემამულეები და კაპიტალისტები ხომ, რასაკვირველია, მათ მხედველობაშიაც არ ეყოლებათ, როგორც ექსპლოტატორთა კლასი, მაგრამ გლეხობა? გლეხობას რად არ იხსენიებენ სათვალავში? ამბობენ, მთელი ამ სოციალური მოძღვრების ფუძემდებელს, თვითონ მარქსსაც გაუჭირდა გლეხების საკითხის გადაწყვეტაო და ვითომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია მოაგვარებს ამ საქმეს? ძალზე მეეჭვება. მით უფრო ჩვენთვის, საქართველოსთვის. მაგათ სამშობლოც არა სწამთ და ეგენი საქართველოსთვის იზრუნებენ? ისინი ზრუნავენ კაცობრიობისათვის, ანუ უკეთ, კაცობრიობის ერთი ნაწილისათვის — პროლეტარებისათვის. პროლეტარიატს კი სამშობლო არა აქვს, არ სჭირდება, მაშასადამე. ქართველი ხალხიც უნდა გაითქვიფოს კაცობრიობის ამ ნაწილში და დაჰკარგოს თავისი ეროვნული სახე, ეროვნული თვისებები, ის რაც საუკუნეობით გამოუმუშავებია ქართველობას თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. გაითქვიფოს ისე, რომ ველარავინ ვერ გამოიცნობს ჰოლანდიელია თუ ქართველი, ჩუვაში თუ ივერიელი... ეს არის კარგი? არა, ბაბო, არა! საქართველოს ბედი დახშულია. ჯერ შეიძლება ვერა, მაგრამ მეოცე საუკუნე ჩაჰკეტავს მის კარებს. ჰმ! ილია როგორ შეჰხაროდა: „შრომის სუფევა მოვა მაშინ!“

— აი, აი, ვამეხ, — შეეჭრა ბაბო, — ილიას სიტყვები წინასწარმეტყველურია, შრომის სუფევის დროს შენც განკაცდებიო, ხომ ამბობს ამას? შენი სამშობლოც „განკაცდება“. შენი გლეხობა, ვამეხ. შენი ხალხი.

— ჰმ, — მაინც უნდობლად გაიღიმჭა ვამეხი, შემდეგ თითქოს გულდათუთქულმა წარმოთქვა: — შენს პირს შაქარი, ბაბო! — წამოდგა, გაიარ-გამოიარა.

ბაბომ სიცილი მიაყოლა:

— ამას გარდა, ვამეხ, თქვენმა მამია გურიელმა ხომ თქვა: „არ არის რა უსაშველო!“

— ოჰ, ეგ, შე ქალო, გულის მოსაფხანი ფრაზაა და სხვა ბრაფერი! — უეცრად მიბრუნდა და მაგიდასთან აშოტილ ბაბოს მიუახლოვდა.

— ეჰ, ბაბო! ჩვენ ვინ გვეკითხება საქართველოს ბედ-იღ-

ბალზე ზრუნვას! იმ ბედს ვეშაპები წყვეტენ, ჩვენ არც გვეკითხებიან ისე. მარჯვნით რუსეთის ცარიზმი, მარცხნით ყველაზე უფრო ძლიერი და პოპულარული სოციალ-დემოკრატია. ჰო, დღეს გავიგე, რომ პარიზში დაარსებულა ქართველების პატრიოტული პარტია. თავიანთი გაზეთიც კი აქვთ თურმე.

— არ იცოდი? ამაზე გიამბობ. ილიასთან მივიდნენ თურმე ამ პარტიის თანამგრძნობელნი და აცნობეს ესეთი პარტიის დაარსების ამბავი. უთუოდ მისგან გამოელოდნენ დახმარებას თუ არა, რჩევა-დარიგებას, ლოცვა-კურთხევას. მან იკითხა თურმე: „ჯარი გყავთ, ხალხი თქვენკენ არი?“ შემდეგ ისიც იკითხა, ვინ ხელმძღვანელობს ამ პარტიასო, მოახსენეს, რომ არჩილ ჯორჯაძეაო. ამაზე კი არაფერი არა თქვა; გამოთხოვებისას კი მაინც თითქოს დალოცა: ღმერთმა ხელი მოგიმართოთო. — ეს იყო და ეს. შემდეგ აღარავის აღარ შეუწუხებია.

— დიახ, — თითქოს რალაც მოსაზრება თავისთავს დაუდასტურა ვამეხმა.

— შენ გგონია, ვამებ, ილიაც პესიმისტურად არის განწყობილი?

— არ ვიცი, აბა რა უნდა გითხრა, მხოლოდ... — ბელა გაიღიმა. — მე და შენ კი ობლები ვართ, ბაბო. საქართველოს ობლები! გვებრალებოდეს ჩვენი ქვეყანა, გვებრალებოდეს ჩვენი თავი.

— კარგია. გეყოფა. ეხლა წავიდეთ გიორგისთან! — მხნედ შესძახა ბაბომ.

— ვინ გიორგია?

— გიორგი ამილახვარი. აკი იმასთან უნდა წავსულიყავით. შენთან საუბარს შევრჩი.

— შენ მიბრძანდი, მიგაცილებ. მე კი რა მინდა იმ ოპოზიციონერთან?

— რეაქციონერთან? ვინ როგორ განსჯის. მისი ფიერთ კი, ის დიდი პატრიოტია და თავისებურად ისიც შენატრის საქართველოს თავისუფლებას. მე მისი პირდაპირობა მომწონს. ის არ არის ლაქუცა, პირფერი. ის ამბობს, რომ მე წყალობით ღვთისათა თავადი ვარ და ჩემი ინტერესები უნდა დავიცვა. ვიცავ კიდეც. ამ მოძრაობის კი მტერი ვარ, რადგან ისინი მე მშთერებიან, ჩემი სარჩო-საბადებელი უნდათ ჩამომართვან. სანამ სული პირში მიდგა, მანამ არავითარ დათმობაზე არ წავალ.

თუ არა და რა უნდათ, რომ მე მეჯაჯგურებიან, თუ კაი ვაჟკაცებია, აი აქ, ტახტზე რომ წამოსკუპებულა პირველი აზნაური რუსეთისა, ის დაამხონ, იმას ჩამოართვან ყველაფერი და მე, გეფიცებით, მაშინვე მთელს ჩემს ქონებაზე ხელს ავიღებ. მე ძკვერა, ვამეხ, რომ ის ამას ჩაიდენს, რუსები რომ იტყვიან, ის ბუნების კაცია.

— ოჰ, მაგას ხომ ჩემი ძმა ბარამიც ლაპარაკობს, იმ პირველ აზნაურს წააართვით, მაშინ მეც დაგითმობთო.

— ჰო, შეიძლება ეს საკითხი ჩვენი თავადების ერთგვარად მოსაგერიებელი ფრაზაც იყოს, მაგრამ წამოდი, ვამეხ, გიორგისთან, საინტერესო კაცია.

ვამეხი აღარ გაჯიუტებულა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი გიორგი ამილახვრის ბინისაკენ მათ მიაჭანებდა ბედაურ ცხენებშებმული ქუთათური იმ დროის გავასვასებული ეტლი.

ᲨᲔᲜᲐᲙᲐᲓᲘ

XX

ციბედულ!

ნუ გაგიკვირდება, იმდროინდელ ქუთათურ ეტლებზე, ან, როგორც მაშინ ეძახდნენ „ფაიტონებზეაც“, ცოტა რამ წამომცდა.

მაშინდელი ქუთათური ეტლები, რუსული ფრაზა ქართულად რომ ვიხმაროთ — ღირს ყურადღებად.

ქუთათურ ეტლების „ბირჟა“... რატომღაც ასე ეძახდნენ იმ დროს იმ ადგილებს, სადაც ეტლები ჩერდებოდნენ: „ბირჟაზე თუ დგას ეტლი“, „ბირჟაზე წადი და მოიყვანე“. ასეთი ფრაზები, ქუთაისში მაინც, გასაგები იყო ყველასათვის... და აი ეს „ბირჟა“ ქუთაისში უსათუოდ შესაძენი იყო: მეტნაწილად შესანიშნავი ცხენები. კარგა მოვლილი, მსუქანი და დასუფთავებული, ზოგჯერ პირდაპირ ბედაურები ება ქუთაისის ეტლებს. ჩასაჯდომიც შინდისფერი ხავერდით ან მიხაკისფერი თუ ყავისფერი ბოჭკოიანი ქსოვილით იყო ჩაფენილი და ჩაგვირისტებული. ეტლში ოთხი კაცი ეტეოდა, მაგრამ უკანა მჯდარის ჩასაჯდომი იყო ვრლტერის საჯარძლისებრად რბილი,

ზოხერხებულ მისაყრნობად ზურგგადაწეული, სადაც ორი ადამიანი თავისუფლად, ერთიმეორის შეუწუხებლად თავსდებოდა. ამ ორის გარდა თუ კიდევ ვინმე ორი მოინდომებდა ჩაჯდომას, ან თუნდა ერთიც, იმისათვის მეეტლე წინისაკენ პატარა მოგრძო სკამს ჩადგამდა, რაც თვითონ ჰქონდა კოფოზე, თავის ფეხებქვეშ მარაგად წამოღებული.

საერთოდ კი თავმომწონე მუშტრები ეტლებისა უფრო ხშირად ორ-ორნი სხდებოდნენ და ეს მიაჩნდათ სეირნობის ლაზათად. ბრცთუ თვითონ მეეტლეებსაც უყვარდათ ოთხ-ოთხის ტარება, რადგან ასე ჩახუნძლული მათი ეტლი ემსგავსებოდა წყალტუბოში მიმავალ დედაბუდიანად აყრილ მეწვრილმანე ქუთათური ებრაელების ოჯახს. მათის წარმოდგენით, ასეთი დატვირთვა თითქოს ღირსებას უკარგავდა ეტლს. ამ დატვირთვას მხოლოდ მაშინ ურიგდებოდნენ, როდესაც მოქეიფე ახალგაზრდობა გააქანებდა მათ სადმე ქალაქგარეთ მდებარე დუქანში, რადგან მათ ამისათვის კარგი გასამრჯელო მოელოდათ.

ქუთათური ეტლები თავისი სახურავებით, ბორბლებით და რესორებით მუდამ გავასვასებული იყო. აგრეთვე ფაქიზად იყო შენახული ცხენების ყვითელბალთებიანი ღვედის მოსართავები, რომლებსაც გაყრილი ჰქონდათ გრძელი მეშის ან სხვადასხვაგვარი აბრეშუმის ვიწრო ქსოვილების სადავეები. ამ სადავეებს კიდევ შიგადაშიგ ჭრელ-ჭრელა ყვავილისებური ბურთულები ჰქონდათ დაყოლილი. თვითონ მეეტლეებს კი ეცვათ დიდი, გრძელი, კოჭებამდე რომ სწვდებოდა ისეთი ბამბიანი ხალათი, რომელიც ზურგში წელქვევით სქლად იყო დანაოჭებული, რაც მეეტლის გარეგნობას ერთგვარ სიდინჯის ელფერს აძლევდა; მკერდი მოღიავებული ჰქონდა და იქიდან მოჩანდა სხვადასხვა ფერის, ვის როგორი სურდა, ისეთი ყელთან განზე შესაბნევი პერანგი. წელზე კიდევ წითელ-ყვითელი ფართო ნაქსოვი ჯეჯიმი, ზოგჯერ აბრეშუმისაც, სარტყლად ჰქონდათ შემორტყმული. თავზე კი ეხურათ მაგარი, გალაქუ-ლი ბაწია ცილინდრები, უფრო ხშირად კი ჩვენებური დაბალი, იმერული, ბოხოხი, ვისაც როგორი ფერის უნდოდა, ისეთი.

დაახლოებით ასე გამოიყურებოდა წინანდელი დროის ქუთათური ეტლი და მეეტლე და ქუთათურებს ცოტათი კი არ მოსწონდათ თავი მათი ქალაქის ტრანსპორტით. ტრაბახობ-

დნენ — არც ერთ სხვა ქალაქს არა აქვს და არა ჰყავს არც ასეთი ეტლები, არც მეეტლეებიო. მხოლოდ ბაქოს მეეტლეები თუ შეედრებიან, ან მოსკოვის „ლიხაჩებიო“. ქუთათური ფაეტონი ლანდოსა ჰგავს, შინაურ ეკიპაჟსო და მეეტლეები ხომ...

ვინ არ იცნობდა შესანიშნავ მელიას, ერთ დროს თვით რუსეთის იმპერატრიცაც გელათს რომ წაიყვანა თავისი ეტლით და ცხენებით, როდესაც ეს ქალი აბასთუმანს იყო ჩასული ავადმყოფი შვილის სანახავად. ან ვის არ ჰქონდა გაგონილი პოეტ მამია გურიელის მუნასიბი მისდამი თქმული, როდესაც მამია სასტუმროდან გამოვიდა და მელიამ ეკიპაჟი მიართვა: „შენ რომ გინდა, მელია, იგი შემომელიაო!“

მელიას მოდგმა კი ბოლო ხანებში დიდად პოპულარულები იყვნენ — მიხაკო, იაგორა, ნესტორა და სხვები.

და ვინ არ მჯდარა მათ საამურ ეტლში — დიდი აკაკი უთუოდ ხშირად, როდესაც კი ის ქუთაისში იყო. გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძეც და ბევრი სხვა ქუთათური ინტელიგენტი და საზოგადო მოღვაწე, გარდა კირილე ლორთქიფანიძისა, რომელიც მუდამ ფეხით რჩეობდა სიარულს.

იმ დროის ადგილობრივ არისტოკრატთაგან — პრინცი ოლდენბურგელი, გენერალი გრიგოლ დადიანი, გიორგი შარვაშიძე, ეს უკანასკნელნი ქართულ მწერლობაშიაც კარგა ცნობილი პიროვნებანი. სამივეს ჯი შეეძლოთ საკუთარი ეკიპაჟი ჰყოლოდათ, მაგრამ, ქუთათურ მეეტლეთა სასიხარულოდ, არც ერთს არასოდეს არ გაუჩენია, არ იყო საჭირო, მათთვის ქუთათური ფაეტონები და მეეტლები შინაურები იყვნენ, როცა უნდოდათ, მაშინ დაუძახებდნენ რომელიმე მათგანს, ის კი არა, ქუთაისის მუდმივი წევრების, ჩოხოსანი თავად-აზნაურებისათვისაც, გაშინაურებულები იყვნენ ქუთათური მეეტლეები.

ზოგჯერ ბულვართან ბირჟაზე იდგა, მაგალითად, იაგორა ან ნესტორა. ეტლი თავისუფალი იყო. ამ დროს რომელიმე ერთი ჩათუქესანი მეეტლეს გააფრთხილებდა — ჩემი დაკავებული ხარო — და ეტლში კი არ ჩაჯდებოდა, არამედ ჩამოჯდებოდა ეტლის საფეხურზე და გაუბამდა ირგვლივ შემოხვეულ ახალგაზრდებს სახუმარო მუსაიფს. ან სადილობის დრო თუ იყო მოწვეული, მოჰყვებოდა სხვადასხვა ნადიმის ამბავს, ჩამოთვლიდა სხვადასხვა ნაირ-ნაირ გემრიელ საჭმელებს. მადას აღუძრავდა გარშემო მყოფთ, დაბოლოს მოევლებოდა ეტლს

ჩასაჯდომად. მაშინ კი იქ დამსწრენი მიაყვირებდნენ: — ეს რა გვიყავი, დაგვპატიჟებდი გვეგონაო, ისიც შორიდან უჩვენებდა ჩოხის უბიდან ამოღებულ სქელად გატენილ საფულეს და შოკურცხლავდა. ამას მოჰყვებოდა ზოგის უდარდელი, ზოგისაც დარდიანი სიცილ-ხარხარი და იყო ერთი ჟრიამული.

მაგრამ ეტლების დიდი მუშტრები იყვნენ უფრო ქალები. ხან კავალრებით, ხან უკავალროდ, განსაკუთრებით საღამო ხანს. მისეირნობდნენ, ანუ, როგორც თვითონ ამბობდნენ, ვატაობდნენ ქუთაისის გარეუბნებში და უფრო ხშირად კი იმ დროს, როდესაც ქუთაისის დიდ ნაწილი ბულვარში იყო გამოფენილი, ეტლებით გარშემო უვლიდნენ ამ ბაღს. ეს იყო ერთგვარი „შიკი“, შნო და ლაზათი ქუთათური ქალებისა.

ეს ქალები ეკუთვნოდნენ უფრო თავად-აზნაურთა წრეს, ვაჭრების ცოლებს, პროვინციიდან საყიდლებზე თუ სხვა რამ მიზეზით ქუთაისს ჩამოსულ ქალბატონებს და მათ ქალიშვილებს.

ეს ხომ უფრო საღამოთი, მაგრამ დღისითაც, თორმეტი საათის შემდეგ სადარბაზოდ დასრიალებდნენ ოჯახის ქალუბი. ან დღესასწაული იყო, ან ვისიმე დღეობა, ან ქორწილი, ან სხვა რამ ასეთი მნიშვნელოვანი და მათთვის ხომ ეტლები იმიტომ იყვნენ გაჩენილნი, რომ აქ მიეღოცათ, იქ პატივისცემა გამოეცხადებინათ, ზოგან კიდევ ზრდილობისათვის სადარბაზო ბარათი შეეგზავნათ...

და ვინ იცის, ქუთაისის ეტლებს რამდენი ღირსეული და უღირსი ზურგი მიუყრდნიათ თავიანთ ხავერდოვან ზურგზე, ვინ იცის, რამდენი საიდუმლო რამ სმენიათ ქუთათურ მეეტლეებს საზოგადოებრივი თუ ოჯახური ხასიათისა. აგრეთვე, ვინ იცის, რამდენი ახალგაზრდული გულ-მკერდი უმანკოდ აჩგრებულა ამ ეტლთა წიაღში. საღორიას ტყე, ჭომის ხეობა და ოღასკურა მთვარიან ღამესთან და მეეტლეებთან ერთად, ვინ იცის, რა ცოცხალი მოწმეებიც არიან ორთავ-სქესის სანეტარო დასაწყისისა და უკუღმართი დასასრულისა.

„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა, ანუ ცაზე ვარსკვლავები!“

მე დავუმატებ:

„ვინ დასთვალოს ეტლში ჩამსხდართ გადახვეულთ მხარმკლავები!“

და მეც... თვითონ ამ სტრიქონების დამწერსაც, ქუთაისში

ყოფნის დროს, როდესაც სევდა რამ გულს შემოაწვებოდა, მიმიმართავს რომელიმე ქუთათურ „ავტომედიცინაზე“, როგორც ამ საპატიო ხალხს ცნობილი ლიტერატორი იონა მეუნარგია ეძახის, მიმიმართავს და მათაც გაუქანებივართ ან ჯიმისტაროსაკენ, ან მოწამეთისაკენ, რომ მივცვმოდი ჩვეულებისამებრ ჩემს განმარტოებულ ფიქრთა გვრიობას.

47

ეტლით მიმავალ ბაბოსა და ვამეხს უეცრად ელვის სისწრაფით ჩაფოუქროლა ქუთაისის მაშინდელ ვიწრო ქუჩების რომელიღაც შესახვევთან წინშემოყრილმა მეტად მწყაზარმა ეტლმა. კინაღამ დაეტაკა, მაგრამ გამოცდილმა მეეტლეებმა, ორივე მხრით მაინც შესძლეს თავის არიდება ერთიმეორისაგან და მშვიდობით გადარჩნენ.

ბაბო და ვამეხის მეეტლე კი ბუზღუნებდა:

— როგორ დაოთხილი მიჰყავდა ცხენი იმ შტერს.

— მერმედა განა ქალაქის ქუჩებში ასეთი ჭენებით ტარება ფაეტონისა აკრძალული არა გაქვთ? — შეეკითხა ვამეხი მეეტლეს.

— როგორ არა, ბატონო, პოლიცია სასტიკად გვიკრძალავს, მაგრამ კარაბახი მაგას არ დაგიდევთ...

— ჭარაბახი ვინ არის?

— ეგ მეეტლე გახლავთ... ახლა პასაჟირიც იმისთანა ჰყავს, რომ...

— ვინ პასაჟირი იყო!.. მე თვალის შევლებაც ვერ მოვასწარი.

— როგორ არა... თავადი მიტო იყო...

— მიტო? — შეიკვირვა ბაბომ. — მიტო გავლენიშვილი?

— დიახ, ქალბატონო. ორი დღეა, რაც ჩამობრძანდა თბილისიდან და ჯერ ეტლიდან თითქმის ფეხი არ გადმოუდგამს... კარაბახი ჰყავს ამოჩემებული, სხვებს მაინცდამაინც არ გვწყალობს. კარაბახი გიჟია. აი ახლაც, ხომ ხედავდით, კინაღამ დაგვამარცხა. ხაბარდაც კი არ დაუძახნია იმ შეჩვენებულს.

— არა, შენ ძალიან მარჯვედ იყავი, ძმობილო. საჩუქრის ღირსი ხარ. ძალიან გადაგვარჩინე.

— რატომ იკადრებთ, ბატონო. ჩემი მოვალეობა იყო, —

და მეეტლემ ვამეხისაკენ გახარებული სახე მიიბრუნა და მადლობის ნიშნად თავი დახარა.

— მიტო ხომ იცი, ვინც არის, ვამეხ? — შეეკითხა ბაბო.

— გავლენიშვილი ყოფილა, შენი მოგვარე.

— მოგვარე კი არა, ძმისწულია, ერთი გიჟი, დამთხვეული ვინმე. შესახედავად, იცოცხლე, ის იყოს; წარმოსადეგი, ლამაზი, მოხდენილი. ნიჭიერიც კია, ის საძაგელი, მაგრამ არ ისწავლა. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მეოთხე კლასიდან გამოვარდა, ჩაიცვა ჩოხა-ახალუხი, ქეიფისა და ქალების არშიყობის მეტს არაფერს აკეთებს... სულ კი დედამისის ბრალია. ცუდად აღზარდა. ერთადერთი შვილი იყო და მეტისმეტად ანებივრებდა. თან, საუბედუროდ, კარგი მამულის პატრონია, შეძლების მქონე და ამან დაღუპა. ბევრჯერ შევუჩნდით დედამაგისს, მაგრამ ჩვენი დაჯერების ნაცვლად თვითონ შეუწყო ხელი, რომ შვილს სწავლა არ გაეგრძელებინა: — ვენაკვალე მე იმასო, ხშირად იმეორებდა, — რად უნდა უმაღლესი სწავლა, ლამაზია, ნიჭიერია, შეძლება აქვს, იცხოვროს და იმხიარულოს. — თან ამასაც დასძენდა: — მე ჩემი შვილი ჩინოვნიკად კი არ მინდა, ან პროფესორად, არაფერი საჭირო არ არის. ეგ ნამდვილი თავადაშვილი უნდა იყოს, ვენაცვალე მე იმას, მტრებს თვალები უნდა დაუყენოსო.

— მერმე? მიტოც გაჰყვა დედის პროგრამას?

— აბა რას იზამდა. სულ თბილისის რესტორნებშია თავისი ამჭრებით, შემდეგ ბათუმს მიაშურებს, ან აქ — ქუთაისს და... არ შეიძლება, რომ რაიმე სკანდალში არ გაეხვიოს.

— ყოყლოჩინაა უთუოდ, ბუზს არ იკარებს, ხომ?

— ჰო, მე თავადი გავლენიშვილი ვარო, ხშირად ტრაბახობს და ზოგჯერ თავისი წრის ხალხსაც არ კადრულობს... მაგრამ ეგ კიდევ რაა! ისეთ რასმე ჩაიდენს ხანდახან, რომ მერმე სისხლის სამართალში აძლევენ ხოლმე და... დედამისი, ლივსძლივობით, ნაცნობ-ნათესავების შემწეობით, სასჯელს გადაარჩენს. ერთხელ გორში ერთ სომეხ სოვდაგარს ქალიშვილი მოსტაცა. ქალი დედისერთა იყო და კარგა შეძლებული. ქალს არ უნდოდა, მიტოს წაჰყოლოდა. როგორც იყო, პოლიციამ გამოგლიჯა ხელიდან, მაგრამ შემდეგ მიტო სამართალში მისცეს და... ძლივს დაიხსნა თავი. დედამისს დიდძალი ფული დაუჯდა ეს საქმე.

— მმ... დაა! — ნაღვლიანად წარმოთქვა ვამეხმა. — ეგ შენი ძმისწულიც იმის განსახიერება ყოფილა, რომ ჩვენი თავადაზნაურობა ნამდვილად გადაგვარების, ანუ, უკეთ, გადაშენების გზაზე დგას.

— ჰო, ჩვენი ცხოვრების ყვავილია, ვამეხ!

— ჰმ, — მწარედ ჩაიცინა ვამეხმა, — ყვავილი კი არა, ეკალნარია. შენ ხუ გეწყინება და, ცხოვრება მაგას და მაგისთანებს ძირფესვიანად ამოთხრის.

— განა არ ვიცი, ვამეხ. მე განგებ გითხარი, მხოლოდ, გამოგიტყდები, მენანება, კარგი შექმნილია, ის საძაგელი, და ასე მრუდე გზას კი ადგია. მე მეშინია, რომ აქაც, ახლა ქუთაისში რომ ჩამოსულა, რაიმე უხიაგი არ ჩაიდინოს. მაგრამ, დაიცა, დაიცა, იზვოზშჩიკ! უკვე მოვედით, ვამეხ. აქ დგას გიორგი.

ორთავენი ჩამოხტნენ. ვამეხმა მეეტლეს ხუთმანეთიანი მიაწოდა. მეეტლე შეეყოყმანდა:

— ვაიმე, ამის ხურდა რომ არ მექნება, ბატონო!

— არა, ეგ შენი საჩუქარია. აკი დაგპირდი გადარჩენისათვის.

მეეტლე ამას არ მოელოდა, რადგან ერთ რეისზე ქუთათურები მეეტლეები ექვსი შაურის მეტს არ ღებულობდნენ. ეს კი დიდი საჩუქარი იყო და მეეტლე დიდის პატივისცემით გაიმსჭვალა ვამეხისადმი. ვიდაცა დიდი და შეძლებული კაცი უნდა იყოსო, ფიქრობდა.

48

შიტო გავლენიშვილმა კი ახლა ბულვარს ჩამოუქროლა თავისი კარაბახით. ბულვარის გარეთ, ქვაფენილზე, ჩვეულებისამებრ ქუთათური ჩოხოსნების ჯგუფი იდგა და ლაზღანდაროზდა.

უკვე მესამე საათი იყო მიღწეული, სადილობის დრო, და თუმც ხუმრობაში ერთობოდნენ, მაგრამ ყველა ერთ საფიქრალსა ფიქრობდა: სად ვისადილებ დღეს, ვინ დამპატიჟებს, მხოლოდ ამაზე ოცნებობდა ერთი ნაწილი — ისინი, რომელთაც ჯიბეში არაფერი უჭყაოდათ და სხვებისაგან მოელოდნენ „დილსა და მდიდარსა წყალობასა“. მეორე ნაწილი კი იმის ან-

გარიშში იყო — შევძლებ თუ არა ამდენი ხალხის გამმასპინძლებას? არც ერთს არ მინდა გული დავწყვიტო, მაგრამ ერთობ ბევრნი არიან და გამიძნელდება მათი პატივისცემაო. მესამე ნაწილი კიდევ ასე აზროვნებდა: რამდენიმე კაცი შევიკრიბებით, ბოლოს და ბოლოს, ერთი მეორეში შემდგარებთ რამოდენიმე მანეთს, ცალ-ცალკე გავიხმობთ ერთმანეთს, გავეშპარებით ამ ჯგროდა ჯარს და ცალკე, ჩვენთვის ვისადილებთო..

ასე შეკრებილი თანხით სადილობას „მანეთიზაციას“ ეძახდნენ.

ასე რომ, ყველანი მაინცდამაინც „ერთ საფიქრალსა ფიქრობდა“ — სადილზე, სად გისადილოთ და როგორ.

ამ ჯგუფში ერია ჩვენი ნაცნობი ეკოციმილიც. მკითხველშა, მგონი, იცის, რომ გვირგვილიანებს ისიც ჩამოჰყვა. ქუთაისი, მაისი, კენჭისყრა — განა ეს დაეთმობოდა ეკოციმილს? ამის გარდა, ბარამი დაჰპირდა — ღღონდ ქუთაისს წამოგვყევი და ახალ ჩოხა-ახალუხს შეგიკერავო.

ეკოციმილი აღდგომაზედაც და ბანძის დღესასწაულზედაც კარგი გამოწყობილი იყო, მაგრამ ახლა ქუთაისში — ბარამს უკვე შეასრულებინა მისი სიტყვა და ავთვალს არ დაენახებოდა, ისე იყო ჩაცმულ-დახურული. ახლა ისიც ახარებდა, რომ ცოტაოდენი საქეიფო ფულიც ჰქონდა ჯიბეზე, და თუ შემოაკლდებოდა, ბარამის იმედი ჰქონდა. ასე რომ, ქუთათურ ახალგაზრდებს, „სადილზე მოფიქრალთ“, თითქმის უმეტესობასა, ყოველდღე უმასპინძლდებოდა. ამიტომაც ბევრი „მეგობრები“ გაუჩნდა, სულ თავზე დასტრიალებდნენ, როგორც იტყვიან, ცივ წიავს არ აკარებდნენ. ეკოციმილმაც შეიფერა ასეთი მოპყრობა და ისე იყო მოქეიფეებში, როგორც რომელიმე პატრიარქი. ჩამოსულ მეკენჭეებშიაც სახელი გაუვარდა მისი მახვილსიტყვაობის გამო, ასე რომ, ხელიდან ხელში გადაჰყავდათ. მარშლობის კანდიდატების ოჯახებშიაც მოხვდა ერთიორჯერ და ყველას გული მოინადირა, მხოლოდ ერთხელ კი კინაღამ სცემეს მეკენჭეებმა და შემდეგ არც თუ ისე იკარებდნენ.

ეს მაშინ მოხდა, როდესაც ერთხელ კარგა შექეიფიანებულ მეკენჭეებში რომელიღაც სადღეგრძელოს შემდეგ ასეთი ლექსიც დააყოლა:

ახლა უკვე სხვა დრო დადგა, — აბობოქრდა მუშა, გლეხი;
აპირებენ აზნაურებს დაგვატეხონ თავზე მეხი.
სოფლად დგება მთელი რაზმი მშრომელების და ტყის ძმების,
ქალაქადაც იმართება, ხედავთ, რიგი გაფიცვების!
თავის საქმეს თვით უდგება სათავეში ყველგან ხალხი,
უკუღმართად ტოიალდება, მჭირვალების მკვნე ჩალხი!*

ამან კი გააოცწვია აურზაური. მართალია, მისმა თაყვანის-მცემლებმა აქა-იქ ტაშიც დაკრეს და გაიცინეს კიდეც, მაგრამ ამაზე ხმა აიმაღლა ერთმა შორაპნელმა ხანში შესულმა და ქარგა ზორბად მოყვანილმა აზნაურმა:

— აბა რას ბრძანებ, ჩემო ბატონო! ვის შეუძლიან, რომ ჩვენ თავზე მეხი დაგვატეხოს? შეიძლება, კი უნდათ ზოგიერთებს და ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ ამ ზოგიერთებში ჩვენი წოდების ხალხიც ურევია, განსაკუთრებით სერთუკოსნებში, მაგრამ თქვენ რალა ღმერთი გაგიწყრათ, რომ იმათ აჰყოლიხართ?!

ამ „ღმერთი გაგიწყრაზე“ ეკოციმილის მოყვარულები წამოიყელთნენ:

— აა, ეგენი არ იყოს, — შესძახეს აქედან, იქიდან.

თვითონ ეკოციმილს მხოლოდ თვალები უცრემლიანდა მზაკვრულად, მაგრამ აღშფოთება სრულებით არ ეტყობოდა.

შორაპნელი კი განაგრძობდა.

— აბა როგორი? ეგ ხომ გვირგვილიანია. სამეგრელოში, მგონია, თავადად ითვლება. მაგრამ რა მოეთხოვება, მაგისთანა თავადს, ან საერთოდ სამეგრელოს თავად-აზნაურებს — ჯერ დაშტკიცებულებიც კი არიან თავიანთ წოდებაში.

ამ უკანასკნელმა განცხადებამ კი დიდი შეშფოთება გამოიწვია, განსაკუთრებით იქ დამსწრე მეგრელებში, ზოგი ფეხზედაც კი წამოდგა, თითქოს საჩხუბრად ემზადებაო, ზოგმა ბოთლსაც წაავლო ხელი და ატყდა ერთი ყვირილი: სამეგრელოს შეურაცხყოფას აყენებსო, გაიძახოდნენ ერთნი, მეორენი კი ეკოციმილზე უთითებდნენ: „ვინ არის, ცოციალისტია ვიღაცაა, ჩვენ რიგებში რა უნდა?“

შორაპნელი ადგილიდან არ დაძრულა, მაგრამ ისე ხმამაღლა გაჰყვიროდა, რომ თითქმის სხვა ხმები დაჰფარა:

---

* ზოტ ცივარძის ლექსიდან

— ვაი მაგ უბედურს, ისიც არ ესმის, რომ თვითონა სჭრის იმ ტოტს, რომელზედაც ზის!

და ამას ყვირილითვე უდასტურებდნენ მისი მომხრეები. ასე რომ, შეიძლებოდა ეს „წამოქოჩვრა“ ხელჩართულ ცემა-ტყეპად გადაქცეულიყო და ხანჯლებიც კი დატრიალებულიყო ამდენ ჩოხოსნებში, მაგრამ სწორედ დროზე შემოვიდა რესტორანის პატრონი. ასლან წირღვავა. ასლანს დარბაისელი რესტორატორის სახელი ჰქონდა იმ დროს ქუთაისში მოხვეჭილი და მის მუშტრებს მისი პატივისცემა და რიდი ჰქონდათ.

ამჟამადაც ჯერ მისმა გამოჩენამ შეანელა ყვირილი და ერთიმეორეზე მიწეული ხალხი შეაჩერა. მერმე ასლანმა მიმართა შორაპნელს:

— როგორ გეკადრება, ბატონო თქვენისთანა დარბაისელ კაცს შფოთის ჩამოგდება. ჯერ ერთი, არც ერთისთვის არ არის კარგი, ბატონო, ერთიმეორეში ჩხუბი და უსიამოვნება, მერმე კიდევ მე რას მერჩით, ბატონო. პოლიცია რესტორანს დამიხურავს და, ვიცი, რომ თქვენ ამას არ ისურვებთ... თუმცა, კნიაზ ვარლამ, კნიაზ ვარლამ! — მიმართა ასლანმა ერთს კარგა ჩასუქებულ, ხანდაზმულ ადამიანს, რომელიც ღრმა სავარძელში მისვენებული იყო და, ეტყობოდა, ღვინომორეული თვლემდა ახლა.

ასლანის შეძახილზე კი წამოიწია, თვალები მოიფშვნიტა, უაზროდ იქაურობას თვალი მოავლო და უეცრად ცხვირის დაცემინება აუტყდა: ერთი, ორი, ათი, ოცდახუთი, არ ცხრებოდა. ასეთმა ხანგრძლივმა ცხვირისცემინებამ კი იქაურებში ერთგვარი სახუმარო განწყობილება შეიტანა და სამშვიდობო გუნებაზე დააყენა ყველა.

ეკლიმილმა თავის მეზობელს გადაულაპარაკა:

— ასე იცის, კნიაზ ვარლამმა: კარგა რომ შეთვრება, სუფრაზე დიდხანს თვლემს, მაგრამ თუ გონს მოეგო და ცხვირისცემინება აუტყდა — „გაუშვი და დაეთხოვე“ ისე გამოფხიზლდება, თითქოს წვეთიც არ დაელიოს.

ბევრმა ამის გამგონემ ჩაიფრუტუნა და, მართლაც, ვარლამს შეეტყო, რომ სრულიად გამოფხიზლდა. შეაჩერდა ასლანს:

— რა იყო, ასლან? ანგარიშის გასწორებას თხოულობ?

— არა, კნიაზ... ანგარიში? სადაც თქვენ ბრძანდებით, თუ

გინდა დილამდე იქეიფეთ. მხოლოდ რატომ აძლევთ ნებას, რომ თქვენს სუფრაზე აურზაური ატყდეს? მე მაინც არ გეცოდებით? პოლიცია...

— ჰო, კარგი ახლა. რა იყო, როსტომ? — მიმართა ვარლამმა შორაპნელს.

— რაღა რა იყო, გენაცვალოს ჩემი თავი, კნიაზ ვარლამ. აგერ, ის გვირგვილიანი რომ ზის, პირველად ძალიან გვასიამოვნა თავის ოხუნჯობით, მაგრამ ისეთები გამოურია — აზნაურებს გლეხები თავზე მეხს დაგატეხნო. ცოციალისტი არ ყოფილა, ეგ ურჯულო!

— ოჰ, ოჰ! — სიცილშერეულად ვითომ გაიკვირვა ვარლამმა, — ცოციალისტი ხარ, ბიჭო, შენ? — მიმართა ეკოციმილს. შემდეგ ისევ როსტომს მიუბრუნდა: — შენც ერთი, რამდენ რაღაცას წაიბჟუტურებს თხაპარია მეგრელი, კი არ უნდა აყვე, წე, დალოცვილო.

სიტყვებმა „თხაპარია მეგრელი“ ვერ დატოვეს ზოგიერთზე წარგი შთაბეჭდილება, მაგრამ კნიაზ ვარლამს ვინ რას გაუბედავდა.

— არ ავყვე, რა? მოგვთხარა და მოგვსპო სულ მთელი თავადაზნაურობა.

— ოჰ, ოჰ! — კიდევ იკვირვებდა მაინც მომღიმარი ვარლამი. — მაინც რა თქვი, ბიჭო, ასეთი?

— რა ვთქვი, ბატონო, და... — აქ წამოდგა ეკოციმილი, — რაღაც ღმერთი გამიწყრა და ერთი ახალი ლექსი, ხალხში რომ ამბობენ, იმისთანა ვთქვი, მაგრამ მე წყენა კი არ მინდოდა. ირიჭით! მინდოდა გამეფრთხილებინა თავადაზნაურობა, რომ იწგვლივ ამისთანა ამბები ხდება და ყური კარგად გამოიფხიკეთ-მეთქი.

— ჰოდა, რა გინდა, კაცო! ეკოციმილს, ეტყობა, ვერ იცნობ, როსტომ, ეგ აგეთი მოშაირეა და მასხარა.

— ო-ო, კნიაზ ვარლამ, ახლა ნამეტანს კი ნუ მიზამ, — ვითომ შეეეჯდრა ეკოციმილი.

— ჰო, კარგი ახლა. ორივე მშვენიერი აზნაურები ბრძანდებით. ერთიმეორეში უსიამოვნება რა საჭიროა, — წარმოთქვა ვარლამმა, — როსტომ, თუ გიყვარდე, აკოცე მეგობრულად და ის იქნება.

როსტომი ცოტა შეყოყმანდა. ახლა ეკოციმილს მიმართა ვარლამმა:

— შენ რაღას უყურებ?

ეკოციმილი წავიდა როსტომისაკენ, თან წარმოთქვა:

— მე რა, ბატონო, მე წინააღმდეგი კი არა ვარ.

როსტომსაც ღიმილი მოუვიდა და გადაეხვია ეკოციმილს.

ახლა კი, როდესაც ბულვარის კიდის ქვაფენილზე თავის ჯგუფში იდგა ეკოციმილი და მიტოც მათთან მისული რომ დაინახა, ერთი მზაკვრული აზრი შეეჭრა თავში.

გადაწყვიტა: დღეს ისეთებს მოვიწვევ სადილად, ვინც ქუთაისში ყველაზე უფრო ჭინჭყლ და სკანდალისტ კაცად ითვლება, მიტოც ხომ ეგეთია და, ვნახოთ აქედან რა გამოვაო. თვითონ კი იმედი ჰქონდა, რომ მხოლოდ სეირს უყურებდა.

ასე მოიქცა. შეარჩია ყველაზე უფრო თავზეხელაღებული ჩხუბისნები და მიიწვია რესტორანში, ისინიც სიამოვნებით გაჰყვნენ, მაგრამ მოხდა უცნაური: ამისთანა მშვიდი და მხიარული ქეიფი ქუთათურებს იშვიათად უნახავთ, დაირხა ხმა ქალაქში და მთელი ერთი კვირა ამაზე ლაპარაკობდნენ და უკვირდათ: ზოგი ასე მშვიდობიანობას ეკოციმილის ტაქტსა და მახვილსიტყვაობას აწერდა, ზოგიც კნიაზ ვარლამის მორიდებას. მაგრამ ეკოციმილი იმ აზრისა იყო, რომ ვარლამის კი არა, ერთიმეორის ერიდებოდათ. რაიმე არ მიხიმანკლოს და არ დაჭაბნოსო და ამიტომაც ერთმანეთს იშვიათი ზრდილობით და პატივისცემით ეპყრობოდნენ სუფრაზე და მშვიდობიანად ისაშალნენ.

შენაკალი

XXI

ეგებ, ციბეჯულ, მკითხველს არ ახსოვს მაშინდელი საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი.

მე კი თითქოს უფრო წვრილმანებზე მოკუთხრობ. აბა ვთქვათ, ადგილმდებარეობაზე, ზედ შეფენილ ხალხზე, გარეგნობასაც ავწერ ზოკერ შეძლებისამებრ, მათ განცდასაც —

სულიერს თუ სხეულებრივს, მაგრამ თვით ჰაერით თუ რითი სუნთქავდნენ ეს არსებანი, შეიძლება ამ დეტალებში მკრთალად მოჩანდეს, ან შეიძლება სულაც არა.

მაშ დავიჭირვოთ ზოგჯერ პუბლიცისტიკაც, ზოგჯერ ციტატებიც ავტორიტეტული წყაროებიდან და ასე წარვმართოთ საქმე.

ვნახოთ პირველი ამონაწერი:

„ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხები იძულებული იყვნენ უაღრესად მძიმე პირობებში იჯარით აეღოთ მემამულეთა მიწა. გარდა ფულადი საიჯარო ქირისა, მემამულე ხშირად აიძულებდა გლეხებს, მუქთად დაემუშავებინათ გლეხური იარაღებით და ცხენებით მემამულის მიწის განსაზღვრული რაოდენობა. ამას ეწოდებოდა „მუშაობით ანაზღაურება“ „ოტრაბოტკი“, „საბატონო ბეგარა“, „ბარშჩინა“. უფრო ხშირად გლეხი იძულებული იყო მემამულისათვის მიწის საიჯარო ქირა ეძლია ნატურით მოსავლიდან თავისი მოსავლის ნახევრის რაოდენობით. ამას ეწოდებოდა სანახევროდ მუშაობა“.

ერთხელ კიდევ დავიხსომოთ ეს ამონაწერი; შეიძლება ამ ნაწარმოებში ვერც შევხვდეთ აქ ამოწერილი ადგილის გამშუქებელ ცოცხალ სურათებს, რადგანაც ჩვენ უფრო სოფელ ბერთემთან გვაქვს საქმე, სადაც არც ერთი წბარე — არც გლეხებისადმი მიმძლავრებისა და არც მათი ცხადი რევოლუციონურობისა. ისე რელიეფურად, როგორც სხვაგან სადმე, არ ყოფილა წინ გამოწეული, მაგრამ მაინც მათი გახსენება ამ ნაწარმოებშიაც გზას გვაგნებინებს.

ეს ხომ ცოტა სიზარმაცეა ავტორისა, ციბენდულ! ეს ციტატების მოყვანა, განხრა პუბლიცისტიკისაკენ ბელეტრისტის შიერ შეიძლება ეს მისი უუნარიანობის, საკმაო ოსტატობის უქონლობის ბრალიც იყოს. შეიძლება ეს მჭირდეს მეც.

თუმცა, მე მგონია, ხანდაზმულ, გამოცდილ მწერალს საერთოდ უკვე მრბენარებული აქვს მხატვრული მოთხრობა ამბებისა. ავტორს დროს უკარგავს ესეთი შემოქმედება, ესე ვთქვათ, ტექნიკა ბელეტრისტული — სიუჟეტის გადევნება, ხლართის გაყოლა, პრაკის განვითარება ტიპების ნიღბთა გამოსახვა — ჩამოძერწვა და ურჩევნია პირდაპირ, პუბლიცისტურად გადასცეს მკითხველს, რაც აწუხებს, რისი თქმაც მოზღვავებული აქვს.

ეს უფრო მაშინ, როდესაც საყოველთაო საკითხავ ნაწარმოებსა წერს და არა ბავშვებისათვის, მოზარდთათვის. მათთვის შეიძლება მწერალმა შეირჩინოს მხატვრული კალამი, სიუჟეტიანობა და სიტყვაკაზმულობაც არ უგულებელჰყოს.

ბელეტრისტს კი პუბლიცისტურ განხრას მხატვრულ ნაწარმოებში უძრახავდნენ ხოლმე. ჩვენში გიორგი წერეთელს ნიკო ნიკოლაძემ „კიკოლიკსა და ჩიკოლიკში“ უსაყვედურა პუბლიცისტობა.

რუსეთში თვით ტოლსტოისაც „ომსა და მშვიდობაში“ ერთ დროს უწუნებდნენ ესეთ „მსჯელობით“ ადგილებს. მერმე ხომ თვით მანვე ერთ ხანს თითქმის სულ უკუაგდო მხატვრული წერა და გადავიდა წმინდა წყლის საგაზეთო წერილებზე.

თუმცა ესეც კია: ბოლოს მაინც მწერლის ბუნებაში ვერ მოითმინა მხატვარმა და გადმოიღვარა რომან „აღდგომაში“ სხვადასხვა ფერებით. „ჰაჯი მურატიც“ ხომ ბოლოს ჩამოძერწა.

ძნელია თურმე დაჩვეულის მოშლა, ციბედულ, ჩემო კარგო, და ამიტომ დავუბრუნდეთ ჩვენს გმირთა თავგადასავალს.

მხოლოდ... ზოგჯერ ნუ დავერიდებით მკითხველს და ციტატებიც მოვიხმაროთ და პუბლიცისტური განხრაც.

49

უკვე შებინდებული იყო, რომ რუაზე ხალხი ნელინელ იკრიბებოდა. ჯგუფ-ჯგუფად არავინ არ მოდიოდა, თითო-ოროლა და სულ სხვადასხვა მხრით. გორების ფერდობებიდან, ჭაობის ბოლოებიდან მიდიოდნენ, თითქმის ყველა ქუთათურები, მაგრამ გზატკეცილიდან მოსვლას მაინც თავს არიდებდნენ.

ვამეხი ტრაფიმის თანხლებით ფაიტონით მოვიდა ჭალაჭიდან, მაგრამ რუამდე არ მისულა, ისე ერთ ალმართთან ჩამოხტა და გვეტაძეებში გადავიდა. იქიდან კი მათი ეზოებიდან ესეც ფერდობით ჩავიდა რუაზე.

ახალი მთვარე ცოტაოდნად აშუქებდა იქაურობას, მაგრამ ხშირად მას ღრუბლები ეფარებოდა და რამდენიმე ნაბიჯზე ძნელი გასარჩევი იყო ადამიანთა სახეები.

გამეხმა მაინც შეამჩნია, რომ ხალხი კარგა ბლომად იყო

შეკრებილი. საღამოს მურუჟღ სინათლეში აჩრდილებივით მოჩანდნენ, მხოლოდ ტანის მოძრაობაზე ეტყობოდათ, რომ ცოცხალი ადამიანები იყვნენ.

ვამეხმა და ტრაფიმმა მოხერხებული ადგილი გამოირჩიეს დასადგომად და სმენად იქცნენ, მაგრამ ხმამაღლა არავინ არ ლაპარაკობდა, ყრუ გუგუნი იყო გამდგარი.

ამ დროს ვამეხს მკლავზე ვიღაც შეეხო:

— შენც ჩვენთანა ხარ, კნიაზო? — აშკარა ებრაული შემლერებით იყო ეს ფრაზა წარმოთქმული.

ვამეხს არცთუ მაინცდამაინც ეამა თავის გამოაშკარავება, მაგრამ რომ ჩაკვირდა, იცნო შემკითხავი და გულს მოეშვა:

— ოჰ, ბენოია, შენ რა გინდა აქ?

— მე, ბატონო, იცკამ წამომიყვანა, გენაცვალოს ჩემი თავი.

— იცკა ვინ არის?

— ვაიმე! აქ ხარ, კნიაზო, და არ იცი, იცკა ვინ არის?.. ჩვენი რიჟინაშვილი.

— ჰოო! — ეს კი უპასუხა ვამეხმა, მაგრამ კაცი ვერ გამოიცნობდა, ამითი ადასტურებდა თავის ნაცნობობას რიჟინაშვილთან, თუ არა.

ჩუმი საუბარი კი ვამეხსა და ბენოიას შორის მაინც გაგრძელდა. გამოირკვა, რომ ბენოია როცა ქუთაისში ჩამოდიოდა, თავისი საკაჭრო საქმეების გარდა, სხვა რამეებსაც აკეთებდა: რიჟინაშვილის დავალებით პროკლამაციები და ფურცლები მიჰქონდა ბანძასა და სხვა სოფლებში სანდო ხალხში დასარიგებლად. ბენოიამ ეს არ დაუმალა ვამეხს და ასეც უთხრა: შენ ამას რავა დაგიმალავ, კნიაზო.

მაგრამ ახლო მეზობელმა ორთავენი გააჩუმა.

ერთ-ერთი ორატორი უკვე ლაპარაკობდა თურმე და ვამეხის ყურთასმენამ მხოლოდ ამ სიტყვებს მოუსწრო:

„რუსეთის პროლეტარიატი თავისი წარმოშობით მეტნაწილად გლეხობიდან არის გამოსული. სოფლის დიფერენციაციის გამო გლეხობის ნაწილი პროლეტარდება და შედის სამრეწველო პროლეტარიატის რიგებში. მაგრამ ბატონყმური დამოკიდებულების ანარეკლი (კავშირში თემობასთან, სხვადასხვაგვარი ბეგარა) კიდევ დიდხანს აკავშირებს მუშას გლეხობის წარსულთან. გლეხობისაგან წარმოშობა და კავშირი სოფელთან

იძულებულს ყოფს მუშებს ერთსა და იმავე დროს განიცადოს ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრა და კაპიტალისტური ექსპლოატაცია“.

ვამეხი უკვირდება ამ სიტყვებს, თან გულში გაიძახის „მართალია, მართალი! რა მიგნებით ლაპარაკობს! თუმცა რატომ ხმარობს ამ უცხო სიტყვას: დიფერენციაცა? ჰო, უთუოდ იმიტომ, რომ ასეთ სიტყვებს აჩკევს ხალხს — ისწავლონ, შეიგნონ. მერმე კიდევ პირველად ხომ არ ლაპარაკობს ამ ხალხში, უთუოდ ესენიც გაჩვეულები არიან“.

მიიხედ-მოიხედა. მთვარეს თვალი გამოეჭყიტა. უკვე უფრო გასარჩევი იყო ადამიანთა სახეები.

„ვინ არიან? — ფიქრობს ვამეხი. — აკი მითხრეს: ქალაქის წვრილი ნოქრობა, სასწავლებელთა უფროსი კლასის მოწაფეები და, ირგვლივ მოსახლე მშრომელი გლეხობა... დიახ, დიახ... — უეცრად თავს უსაყვედურებს ვამეხი, — მე აქ ფიქრში გავები, ორატორს კი არ ვუსმენ“.

ყური დაუგდო. მოესმა:

„მუშათა მოძრაობის გავლენით აქამდე დანაწილებული და სტიქიური გლეხთა მოძრაობაც თანდათან ვითარდება, ერთიანდება და დიდ სამუქარო ძალად გვევლინება, მაგრამ თუ სოფლის ღარიბ-ღატაკებმა ქალაქის პროლეტარიატთან კავშირი არ დაიჭირეს, ისე ვერ გაიმარჯვებენ...“

„ოჰო, — ფიქრობს თავისთვის ვამეხი. — ეს უკვე მოწოდებაა, არა? მაგრამ ერთი კარგა დავუგდო ყური...“

ორატორი განაგრძობს:

„რუსეთის პროლეტარიატის, რევოლუციის ხელმძღვანელის მომზადება და აღზრდა მოწინავე, სოციალისტური თეორიის უშუალო გავლენით თანდათან მტკიცდება და მჭიდროვდება...

დიდი მოძღვრის, ლენინის გაზეთი „ისკრა“ („ნაპერწკალი“) შეუდრეკლად იბრძვის იმისათვის, რომ მუშათა მოძრაობას მეცნიერული სოციალიზმის იდეა ჩაუნერგოს, რომ მუშათა კლასში განავითაროს პოლიტიკური თვითშეგნება...“

„ლენინი ახსენეს. გაზეთი „ისკრა“, — არ ეშვება ფიქრები ვამეხს. — რათაც უნდა დამიჯდეს, ეს გაზეთი უნდა ვიშოვნო... უფრო ახლოს უნდა მივიდე ამათ აზროვნებასთან... ჰმ! მეცნიერული სოციალიზმი. პირველად მესმის ეს სიტყვები. მაშ ჩვენი

სენ-სიმონი, ტომას მორი, კამპანელა, ეს ყველანი მეზღაპრეები არიან? როგორ ვიყავ ამ ხალხით გატაცებული. არა, უტოპიაო, მეც ვამბობდი ერთ დროს, მაგრამ მაინც მჯეროდა საერთოდ მათი და თუნდა ამ ტომას მორის „უტოპიისა“. ახლა კი, თურმე, რა ყოფილა! მეცნიერული სოციალიზმი! არა! ეს სულ სხვა ქარხნის საყვირია... — ვამეხი კვლავ გაუწყრა თავის თავს: რა დროს შენი ფიქრია... ყური დაუგდე ამ ხალხს“.

ორატორი ამბობდა:

„რუსეთის მთავრობას ეშინია, რომ მუშები და გლეხები არ განათლდნენ. ერთ დროს განათლების მინისტრმა დელიანოვმა გამოსცა ცირკულიარი „კუხარკების შვილების“ შესახებ. ამ ცირკულიარით აკრძალული იყო გიმნაზიებში (საშუალო სასწავლებლებში) მიღებული ყოფილიყვნენ მეეტლეების, ხელზე მოსამსახურეების, მრეცხავი ქალების, წვრილ მოვაჭრეთა და სხვა ამგვარი წრის შვილები, რომლებიც, გარდა მეტად ნიჭიერი ყმაწვილებისა, არ უნდა ჩამოშორდნენ იმ ფენას, რომელთაც ისინი ეკუთვნოდნენ. სოფლებში ამჟამადაც ძალიან ცოტა არის რუსეთში ერთობათა და საქართველოში ეგრეთ წოდებული სამინისტრო სკოლები. სოფლებში უფრო საეკლესიო-სამრევლო სკოლები არის გავრცელებული. ამ სკოლებს ხელმძღვანელობენ ხუცები და ისინიც ძნელად გასაგებ ხუცურ საღვთისმეტყველო აბდაუბდას ასწავლიან...“

ამ დროს ტყის სიხშირიდან გამოისმა ორატორისადმი მიმართული ვიღაცის რიხიანი ხმა:

— ო-ო, ვაცხონე შენი მშობელი!

მივარდნენ, გაჩუმება დაუწყეს. აქა-იქ სიცილიც გაისმა, მაგრამ რიხიანი მთქმელი არ ცხრებოდა:

— ჰოდა რა! არ მინდა ჩემ ბიჭს ვასწავლო ხუცური. არ მინდა ხუცესი გამოვიდეს.

სიცილმა იმატა, მაგრამ რიხიანი მაინც ჩაჩურჩულებს.

ვამეხმა კი ისევ ორატორს მიუგდო ყური.

ორატორი ახლა ასე ლაპარაკობდა:

„...მაგრამ განსაკუთრებულ ჩაგვრას და უუფლებობას განიცდის რუსეთში შემავალი მრავალრიცხოვანი არარუსი მოსახლეობა. მწფის მთავრობა მათ ოფიციალურადაც კი დაცინვით „ინოროდცებს“ ეძახის...

დაჩაგრულ და ექსპლოატაციაში მყოფ არარუსთა მუშების

და გლეხების ლიანგმა კარგა ხანია დაიწყო ბრძოლა განთავისუფლებისათვის, მხოლოდ ეს ბრძოლა უფრო სტიქიური და შეუგნებელი იყო აქამდე, როგორ, მაგალითად, ჩვენში ჯანყი გურიაში, ან სამეგრელოში გლეხთა აჯანყება მჭედელ მიქაძის მეთაურობით. ახლა კი მას სათავეში უდგას ისტორიულ ასპარეზზე გამოსული საზოგადოებრივი კლასი, პროლეტარიატი, და ეს კარგად უნდა შეიგნოს გლეხობამ. ამიერკავკასიის სოფლებში, ვიდრე რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში, ბევრად მეტად არის შემონახული ბატონყმური გადაწამთები. მიწის დიდმა სივიწროემ, მემამულეთა და აზნაურთა ბარბაროსულმა ექსპლოატაციამ მათდამი, გადასახლების მძარცველობითმა პოლიტიკამ და ცარიზმის განუკითხაობამ, სოფელში მევახშური კაპიტალიზმის შეჭრამ, ამიერკავკასიის გლეხობა მეტისმეტ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა... ამან კი ხელი შეუწყო მათ გარევოლუციონერებას.

მართალია, გლეხთა მოძრაობას დიდი მნიშვნელობა აქვს რევოლუციის ძალთა მობილიზაციისათვის. ამან შეაშინა კიდეც მეფის მთავრობა და თითქოს რაღაც ცოტაოდენ დათმობაზე წავიდა. მაგალითად, 1903 წ. 12 მარტის კანონი ურთიერთთავდებობის შესახებ და აგრეთვე გარემოება, რომ რაკი ვერ შეძლეს გლეხობისაგან აეკრიფათ ნარჩენი გადასახადი, მთავრობამ ვითომ უარი თქვა მათ აკრეფაზე, მაგრამ სამაგიეროდ გაძლიერა არაპირდაპირი გადასახადი. თუ რა არის ეს არაპირდაპირი გადასახადი და როგორ მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას, ამაზე ჩემს შემდეგ მეორე ამხანაგი მოგახსენებთ. ჩვენ კი მხოლოდ ეს დავიხსომოთ და კარგა ჩავიჭდიოთ გულში, რომ მხოლოდ მემამულეებისა და ბურჟუაზიის უღლის გადაგდება, არსებული წესწყობილების მოსპობა, რუს ხელმწიფის ტახტიდან ჩამოგდება და პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარება იხსნის მშრომელ მოსახლეობას...“

ამ სიტყვებზე აქა-იქ გაისმა ტაში, მაგრამ მალე ჩააჩუმეს. ვამეხს კი უკვირდა:

„არა, ვიცი, რომ არალეგალურ მიტინგზე ვარ. ეს მიტინგია ნამდვილად... და ასეთი გაბედული მოწოდება, ტაშიც კი. როგორ გაზრდილა ჩვენი ხალხი, როგორ წამოქოჩრილა საბრძოლველად, დაიცა, ვამეხ! აგერ, მგონი, ორატორი ათავებს“.

ორატორი: „აი, მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაიჭრეს აგრარული საკითხიც, მაშინ შეიძლება მებატონეებს, მემამულეებს ჩამოერთვას მათი საკუთრება გლეხთა სასარგებლოდ, მაშინ შეიძლება განხორციელდეს ყველა ის პოლიტიკური და სოციალური ცვლილებანი, ურომლისოდაც შეუძლებელია ქვეყნის აღორძინება. ამისათვის არის საჭირო, რომ პროლეტარიატი თავისი რევოლუციური პარტიის მეთაურობით იყვეს სათავეში მშრომელი გლეხობისა, უხელმძღვანელოს მას და მოიპოვოს საერთო გამარჯვება“.

ორატორი ორატორს სცვლიდა და ვამეხმა ბევრი რამ გამოიტანა მათი ნათქვამებიდან.

ზოგი რამ მანაც იცოდა შორეულად. მაგალითად:

„რომ მუშებსა და გლეხებს მბრძანებლობს მთელი არმია ისპრავნიკებისა, ჩვენში „უეზდი ნაჩალნიკებისა“, ურიადნიკებისა, ჟანდარმებისა, პოლიციელებისა, ჩაფრებისა, რომლებიც იცავენ მეფეს, კაპიტალისტებს, მემამულეებს მშრომელთა წინააღმდეგ, ექსპლუატირებულთა წინააღმდეგ. აგერ ახლა არსებობდა ფიზიკური დასჯაც, მიუხედავად ბატონყმობის გაუქმებისა, გლეხებს როზგავდნენ ზოგჯერ ოდნავი დანაშაულისათვის, ხარკის გადაუხდელობისათვის“.

„მუშებს კიდევ სცემენ პოლიცია და ყაზახები, განსაკუთრებით გაფიცვების დროს“.

„მუშებსა და გლეხებს მეფის რუსეთში არავითარი პოლიტიკური უფლებები არა აქვთ“.

„მეფის თვითმპყრობელობა ხალხის უბოროტესი მტერია...“

ვამეხმა აგრეთვე იცოდა ისიც, რომ:

„ნაციონალურ გუბერნიებში, ოლქებში ყველა, ან თითქმის ყველა, სახელმწიფო თანამდებობანი რუს ჩინოვნიკებს ეჭირათ. მთელი საქმეები დაწესებულებებში, სასამართლოებში რუსულ ენაზე სწარმოებდა. აკრძალული იყო ნაციონალურ ენებზე გაზეთებისა და წიგნების გამოცემა. სკოლებში აკრძალულია დედა ენაზე სწავლა...“

— „არა, — ფიქრობდა ვამეხი, — ქართველები ამეებში მთლად დაჩაგრულები არა ვართ, თუმცა ვაინაჩრობით, მაგრამ მაინც გვაქვს ქართული გაზეთები. ახლა ქუთაისშიაც ეპირებიან ადგილობრივი ორგანოს დაარსებას. სკოლებშიაც ასწავლიან დედა ენას, ისიც დაბალ კლასებში, მაგრამ ეს კი მართალი თქვა

ორატორმა — „მეფის მთავრობა მიისწრაფის ჩაახრჩოს ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ატარებს არაარუს ეროვნებათა ძალდატანებით „გარუსების“ პოლიტიკას. ცარიზმი არარუს ხალხთა ჯალათად და მტანჯველად გამოდის ყოველთვის“.

ესენი ასე თუ ისე იცოდა ვამეხმა, მხოლოდ კარგად არ იცოდა რუსეთ-იაპონიის ომის გამომწვევი მიზეზები და მომდინარეობა. მან აქ გაიგო, რომ ლენინი, როცა ახასიათებდა რუსეთის ავანტიურულ პოლიტიკას ჩინეთში, წერდა თურმე:

„ვისთვის არის სასარგებლო ეს პოლიტიკა? ეს სასარგებლოა იმ ბობოლა კაპიტალისტების ჯგუფისათვის, რომელსაც ჩინეთთან ვაჭრობა და ბლებ-მიცემობა აქვს... ეს სასარგებლოა თავადაზნაურობის იმ ჯგუფისათვის, რომელსაც სამოქალაქო და სამხედრო დიდი თანამდებობა უჭირავს. იმათ ეს სჭირდებათ იმისათვის, რომ მთავრობის ყურადღება დაიმსახურონ, კარიერა გაიკეთონ, თავი ისახელონ „მოღვაწეობით“. ამ კაპიტალისტთა ჯგუფისა და არამზადა ჩინოვნიკების ინტერესებისათვის მთავრობას უყოყმანოდ მხსვერპლად მოაქვს მთელი ხალხის ინტერესები. თვითმპყრობელური მეფის მთავრობა ამ შემთხვევაშიაც, როგორც ყოველთვის, გვევლინება უპასუხისმგებლო ჩინოვნიკების მთავრობად, მლიქვნელ ბობოლა კაპიტალისტებისა და აზნაურების მთავრობად“.

ვამეხმა არ იცოდა, რომ მინისტრ პლევეს უპასუხნია გენერალ კუროპატკინისათვის, როდესაც მას უსაყვედურნია — შეზობრაზოვის აგრესიულ პოლიტიკას მხარს რად უჭერო. „დიახ მე მხარს ვუჭერ ამ საქმეს, რადგანაც რუსეთის შინაგანი მდგომარეობა კარგად ვიცი. მერწმუნეთ, გენერალო, რომ ჩვენთვის ერთი პატარა ძლევამოსილი ომი მეტისმეტი საჭიროა, თუ არა, შინ დიდი მეხი დაგვატყდება“.

ვამეხმა არ იცოდა, რომ რუსეთის მაშინდელი ფლოტი, ციხე-სიმაგრეები და ხმელეთის ლაშქარი ყოვლად ჩამორჩენილი და უვარგისი იყო; რომ რუსეთის არმია მათი სარდლების უწიჭობის გამო უკან-უკან იხევდა და მტერს არც კი იგერიებდა.

ვამეხმა არ იცოდა, რომ ლენინს მაშინ დაწერილი ჰქონდა თურმე:

„მართალია, ომი ჯერ კიდევ გათავებული არ არის, მაგრამ ყოველი ნაბიჯი მისი გაგრძელებისა უფრო შლის და აფართო-

ებს ხალხის ბრძოლას, იწვევს მის აღშფოთებას და ახალ-ებს მომენტს ახალის, დიდი ომისაა, ხალხის ომისას თვით-მპყრობელობასთან, პროლეტარიატის ომის თავისუფლებისათვის".

ვამეხმა კარგად არ იცოდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია იმჟამად ორად იყო გაყოფილი — მენშევიკებად და ბოლშევიკებად: რომ ბოლშევიკების ჯგუფი თანდათან პოულობდა გავლენას მთელ ამიერკავკასიის ხალხში და მას ჰყავდა ჩვენში ისეთი ძლიერი წინამძღოლი, როგორიც იმ დროს ახალგაზრდა ჯულაშვილი იყო. მხოლოდ ვამეხი ამ დიდ სახელს ვერ იცნობდა. არც ის იცოდა, რომ ბოლშევიკების ლოზუნგს ცარიზმის დამარცხებისას მენშევიკები აგებებდნენ ლოზუნგს: „რათაც არ უნდა დაჯდეს, მშვიდობაა საჭიროო", მენშევიკები უარყოფდნენ რუსეთ-იაპონიის ომის იმპერიალისტურ ხასიათს. ისინი თავიანთ ობორონცულ (შემთანხმებლურ) პოზიციას ამართლებდნენ ძალიან დაბნეული ლაპარაკით: რომ იაპონიის ბურჟუაზიე გამარჯვებით სპეკულაცია არ უნდა გავწიოთო; რომ ომი საზოგადოდ დიდი უბედურებაა, სულ ერთია, იგი თვითმპყრობელობის გამარჯვებით გათავდება თუ დამარცხებითო. ამაზე ლენინი წერდა თურმე, რომ ასეთი მსჯელობა უფრო ბურჟუაზიულ დემოკრატს შეეფერება, რომელიც საკითხს სანტიმენტალურ საფუძველზე აყენებსო. ახლა სინამდვილემ გვიჩვენა, რომ „მშვიდობა მიუხედავად ყოველივესი" — ეს ჯერ ლოზუნგია ევროპელ ბირჟევიკებისა და რეაქციონერებისაო.

იმავ დროს, ჩვენში, რსდმპ ამიერკავკასიის კავშირის თბილისსა და ბაქოს კომიტეტებმა გამოუშვეს პროკლამაცია, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „ვისურვოთ, რომ რუსეთის თვითმპყრობელობისათვის ეს ომი უფრო მტკივნეული შეიქნეს, ვიდრე ყირიმის ომი. მაშინ ბატონყმობა გაუქმდა, ახლა კი, ამ ომის შედეგად ჩვენ დავასამარებთ ბატონყმობის ღვიძლ შვილს — თვითმპყრობელობას თავისი მყრალი საიდუმლო პოლიციით და ჟანდარმერიით".

ვამეხმა ისიც იცოდა და არც იცოდა, რომ ამ უკანასკნელ წლებში მუშათა გაფიცვები თანდათან უფრო მოსდებოდა ქვეყანას და, რომ ისინი უკვე პოლიტიკურ ხასიათს ატარებდნენ,

რომ ამის შესახებ ლენინს უკვე ჰქონდა თქმული: „იგრძნობა, რომ ჩვენ მალე ბარიკადების წინაშე დავდგებით“.

ბევრი რამ ახალი იყო ვამეხისათვის. მას განსაკუთრებით ციტატები ისე არ აკვირვებდა, როგორადაც ორატორებას მომზადება და გაბედული სიტყვები. თითქოს ჯერ უნახავ ქვეყანაში შევიდა და ბევრი რამ ახალი გაიგოო.

თან ფიქრობდა: „საკვირველია! არ მახსოვს, რომ მე ოდესმე ცხოვრებაზე ასეთი მტკიცე და დადებითი შეხედულება მქონოდა: ან როგორ დალაგებით ლაპარაკობენ. ერთი ნამდვილია: ესენი უკვე დარაზმულან და სწორედ რომ ამბოხებისათვის ემზადებიან“.

ამ რწმენით წამოვიდა ვამეხი რუადან მიტინგის დათვრებს შემდეგ. წამოვიდა მარტოდმარტო, ტრაფიმსაც კი გაეშარა და სხვას არავის აღარ შეერთებია.

უნდოდა თვითონ ეფიქრა გაგონილზე და მიუდგომლად, ღირსეულად შეეფასებინა. მაგრამ მისი აზროვნება მაინც ვერ იყო ობიექტური, ორჭოფული იყო მისი ფიქრთა დენა:

„კარგი, დიდი ხანია მივხვდი, რომ ეს ბრძოლა კლასობრივია. ერთმა უნდა დასცეს მეორე, მაგრამ... ჰა, ჰა! — გაახსენდა ბარამი: „რატომ, კაცო, რატომ? ყველანი ვიყოთ კარგად, შევთანხმდეთ და ყველამ ბედნიერად ვიცხოვრთო...“ არა, ბარამ, არა! ეს ახლა შეუძლებელია, ეს შეიძლება შემდეგში მოხდეს, ეს ყველას „კარგად ყოფნა“. მხოლოდ როდის იქნება, ან იქნება კი?

ეს ვერც აეხსნა და არც იცოდა, იყო გამოსავალი თუ არა.

ეჭვებით აჭსილი ნელინელ მიფრატუნებდა ქალაქისკენ.

50

იმ დროს, როდესაც რუაზე ვამეხი ერთგვარად განცვიფრებული იყო ნახულითა და გაგონილით, სასტუმრო „ფრანციაში“ თავიანთ ნომერში უცხოელები მათ მიერ დაჭირავებულ ინჟინერ ვოლკოვს ანგარიშს უსწორებდნენ.

ვოლკოვი ამას არ მოელოდა, მაგრამ უცხოელები უხსნიდნენ, რომ ისინი ამჟამად ვერავითარ მუშაობას ვერ შეუდგებო-

დნენ და ამისათვის ვოლკოვის სამსახურიც მათთვის ზედმეტი იყო.

იმიზეზებდნენ, რომ „ჩვენი კამპანიისაგან საზღვარგარეთიდან წინადადება მოგვივიდა დაუყოვნებლივ დავბრუნდეთ ჩვენ ჩვენს ალაგასაო. გვიხაროდა, რომ ხელშეკრულება დავდევით მემამულეებთან და ძალიან მომგებიან პირობებშიაც, მაგრამ კამპანია ცოტას გვისაყვედურებს: კიდეც აჩქარებულხართო. ომი ხანგრძლივდება, ბოლო არ უჩანს, აშკარაა, რუსეთი ამ ომს წააგებს და ეს ჩვენთვის ხელსაყრელიც არის, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსეთში სოციალისტები უკვე ფეხს იდგამენ და, მაშასადამე, რევოლუციაც მოსალოდნელია. ასე რომ, ვინ იცის, საქმე როგორ წავაო. რუსეთი ხომ დიდი მოულოდნელობის ქვეყანაა და მანდ ახლა რაიმე სერიოზული სამრეწველო საქმის დაწყება სახიფათოც კი არისო. ოჰ, ეს წყეული რევოლუცია! ამან თავის დროზე დიდად შეაფერხა ევროპის ქვეყნები, თორემ აქამდე კაპიტალიზმი ამქვეყნად სამოთხეს დაამყარებდა. სულელები! თვითონ მუშების საქმეც ბევრად უკეთესად იქნებოდა. მათ მრეწველები და ფაბრიკანტები წილშიაც კი შეიყვანდნენ თავიანთ მოგებაში და დივიდენდებსაც კი მიიღებდნენ; მაგრამ არ სურთ და აი ბრძანდებოდნენ. აქაც სულ ევროპელი სოციალისტების ბრალია აქაური არევ-დარევა, განსაკუთრებით გერმანელი სოციალისტების. იქაურმა მარქსმა ხომ გადარია ცა და ქვეყანა და ახლა რუსეთის უსუსური მოაზროვნეებიც აუყოლებია, აქედან არაფერი სიკეთე არ გამოუვათ, სხვა არა იყოს რა, რუსეთის ჟანდარმერია მაგათ უთუოდ მოერევა და ჩაახშობს ამ მოძრაობას, მაგრამ მანამდე ჩვენ უთუოდ უნდა შევიცადოთ და აქაური მუშაობისაგან თავი უნდა შევიკავოთ...

ბოდიშიც მოიხადეს ვოლკოვის წინაშე, მადლობაც გადაუხადეს ერთგული სამსახურისათვის, მაგრამ დათხოვნა მაინც დათხოვნად დარჩა და...

ვოლკოვსაც რა ეთქმოდა. მაინდამაინც არცთუ ისე გული დაწყვეტია: უცხოელებმა კარგი დასაჩუქრება იცოდნენ.

ვოლკოვიც თავაზიანად გამოემშვიდობა უცხოელებს და ბარონესას ბინას მიაშურა.

იქ მარტო მარინა დახვდა, რაღაც წიგნს კითხულობდა. ბარონესა და დაგმარა მეორე ოთახში იყვნენ. მისალმების შემ-

დეგ ვოლკოვმა მარინას წიგნის გადახედვა მოისურვა, მარინამაც მიაწოდა. ვოლკოვმა სათაურს რომ დახედა, წიგნს უცაცრად ხელი გაუშვა და მიაძახა:

— ოჰ, ადა ნეგრი! ეს ხომ სოციალისტი პოეტი ქალია და... თქვენ ამას კითხულობთ?

მარინას რაღაც უნდოდა ეპასუხა, ვოლკოვმა არ დააცალა:

— ჰო, ვიცი... ძალიან მოდაშია ახლა ადა ნეგრი, მუხამბაზზედ მღერის? მე რომ მკითხოთ, ეს არც სიმღერაა, პუბლიცისტური სტატიების გალექსვაა: მუშათა ბუნაგები, მათი ჭოხმახები, გჭირვება, შიმშილი და სხვა ასეთი სიდუხჭირეები. რა პოეზია უნდა მოძებნოს ამ ჭუჭყიან სამყაროში?

— მაგას რატომ ამბობთ? ძალიან ნაზი პოეტიც არის. ის ხშირად ახსენებს „ცის ლაჟვარდს“, „ცეცხლის ბრწყინვალებას“, „მთვარეს“, „ვარდს“ და სხვა ასეთს, მეტად გავრცელებულ სიტყვებს თუ მეტაფორებს, საერთოდ პოეტების მარაგში, მხოლოდ ერთია... აი, დახედეთ, ერთგან რომ ამბობს: „ომისათვის, რაც დედამიწაზე წარმოიშვის, რაც აღტაცებით მიიღტვის იდეალისაკენ, ყველა იმისათვის, რაც იბრძვის, მინდა ვიყო უკვდავი“. ასე რომ, უშინაარსო სიმღერა კი არ არის მისი სიმღერა. მას იდეალი ასულდგმულებს, ბრძოლისათვის უწდა „უკვდავება“. ის ამბობს კიდევ აი ერთ ალაგას, რომ „ხალხის წიაღიდან ვარ გამოსული, ყოველივე სევდასა და ნაღველს ფეხით ვთელავ და ცისკარს, გარიჟრაჟს ვეგებები“. თან დიდი ჰუმანისტიც არის. ის ერთგან დიდის რწმენით წერს: „ერთ დროს ადამიანები ყველანი გათანასწორდებიან, გახდებიან „შრომის რაინდებად“, შრომა შეიქმნება თავისუფალი, მოხდება ხალხთა გაერთიანება და მთელს დედამიწის ზურგზე სამეიმო, მშვიდობიანობის ჰიმნი აღაღადდება“.

— ჰოდა, რა არის ეგ? სად არის აქ პოეზია? სოციალისტური ბოდვაა რაღაც.

— თქვენ ეტყობა, ამეებისა სრულიად არაფერი გაგეგებათ.

— თუმცა, მსურს გაგება, მხოლოდ ის მაკვირვებს, რომ თქვენისთანა წრის ქალი. არისტოკრატი ქალი, ასეთ რამეებს კითხულობდა და ეტყობა, მოგწონთ კიდეც, თუმცა თქვენ ხომ უცნაური ქალი ხართ.

ვოლკოვმა ოთახში გაიარ-გამოიარა, შემდეგ კი თითქოს რაღაც ჟინმა მოუარა და მარინას ასე უხეშად მიმართა:

— მართლა, რასა იქმს თქვენი ველური, მარინა ივანოვნა?

ამაზე მარინამ მტკიცედ და შეუვალად უპასუხა:

— თქვენ უზრდელობას უკვე მივეჩვიე. მაგითი ვეღარ მაწყენინებთ.

ვოლკოვი არ დაცხრა.

— განა არ ვიცი, რატომ აიყვანეთ ვითომ ქმრად?

მარინას ცოტა ეწყინა:

— როგორ თუ ვითომ?

ვოლკოვმა თავისი განაგრძო:

— არა! ვიცი, ჯვარსაც დაიწერთ, მაგრამ ეს ყველაფერი ორიგინალობისათვის ჩაიდინეთ: პეტერბურგს უჩვენოთ, თუ კავკასიიდან როგორი ლამაზი მხეცი მიგყავთ ადამიანის სახისა.

მარინა შინაგან აფეთქდა, მაგრამ არ დაიმჩნია. ვოლკოვს კი უნდოდა მოთმინებიდან გამოეყვანა. ამიტომ არ შეჩერდა:

— რასაკვირველია, მიგყავთ ისე, როგორც კარგი ჯიშის ძაღლი. თქვენ ხომ იცით, გაუთხოვარ, გადამწიფებულ ქალებს ეყვარდა ესეთი ჯიშიანი ძაღლები და...

ეს მართლა ეწყინა მარინას. სახე გაუფითრდა, მოულოდნელად მკვახედ წარმოთქვა თითქოს შეუფერებელი სიტყვა:

— ტუბო!

ვოლკოვი ამას არ მოელოდა. სახტად დარჩა, ცოტა ხნის შემდეგ მაინც შეეკითხა:

— ეს იმას თუ მე?

— თქვენ, ტუბო! — გაუმეორა მარინამ დაუზოგველად და საჩქაროდ გაეცალა.

ვოლკოვი ძალზე ნაწყენი და შეურაცხყოფილი დარჩა, მაგრამ აღარ გამოდევნებია, ფანჯარას მიადგა და ქუჩას დაუწყო ცქერა.

51

ქუთაისის ქალაქის კლუბის დარბაზები და ოთახები ღამის ათ საათზე უკვე სრულიად გაჩირაღდნებული იყო.

საღამოს ნადიმის გამგე, გუბერნიის მარშლის მეუღლე, ოვაციი დამხმარე ბანოვანებით უკვე შემოკრებილნი იყვნენ დამიჩენილ ადგილებს თავს დაატრიალებდნენ. ზოკს შამპანურის გასასყიდი ფარდული ჰქონდა მიჩენილი, სადაც სხვა ლა-

ბაზმანებთან ერთად ბარონესას დაგმარა იყო მთავარ გამყიდველად; ზოგს ჩაისა და ტკბილეულის ფარდული; ზოგს ფოსტის კუთხე, რომელსაც ემსახურებოდნენ ახალგაზრდა გოგონები. მათ მხრებზე გადაკიდებული ჰქონდათ აბრეშუმის ლურჯი და წითელი ლენტები, ამ ლენტებზე გამობმული ჰქონდათ აბრეშუმისავე ნაირფერი პარკუჭანები: ამითი უნდა ეტარებინათ ბაღში დამსწრეთა წერილები ერთი მეორისადმი, ერთგან კიდევ უბრალო ქოხი იყო დამდგარი, სადაც ერთი მოსწრებული სიტყვა-პასუხის მქონე ქალბატონი უნდა დამჯდარიყო და ცალ-ცალკე შესულ პიროვნებათათვის უნდა ემკითხავა. ყველა ეს ფარდული და წერტი იმისათვის იყო გამიზნული, რომ საღამოზე მეტი ფული შემოსულიყო. ეს საერთოდ ასეთ საღამოს არ ეკადრებოდა მაშინდელის გაგებით, მაგრამ გუბერნიის მარშლის მეუღლე თავის სახლში ხომ არ მართავდა ბალს, სადაც ყველაფერი უფასო უნდა ყოფილიყო, არამედ საზოგადო საკრებულოში, ქალაქის კლუბში, სადაც მომსვლელს თითქმის ყოველ ნაბიჯზე ფული უნდა ეხადნა, დაწყებული საკრებულოში შესასვლელი ბილეთით და სხვადასხვა ფარდულში სხვადასხვა ნიხრის გადასახადით. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ასეთი ბალი მუდამ საქველმოქმედო მიზნით მოეწყობოდა და დღეინდელი საღამოს შემოსავალი თავად-აზნაურთა სკოლის ღარიბ მოწაფეთათვის იყო განკუთვნილი.

საღამოსათვის საგანგებოდ დართულ-დაკაზმული ქუთაისურები თანდათან გროვდებოდნენ. ვინ იყვნენ ესენი: გუბერნიის დაწესებულებათა უფროსი მოხელეები, მათ შორის რუსებიც, ზოგიერთი ფეხმოდგმული თავად-აზნაურთა ოჯახის წევრები, ქუთაისური მსხვილი ვაჭრები თავიანთი ცოლ-შვილით. აქა-იქ სხვადასხვა ორგანიზაციებში — ქალაქის საბჭოში, ბანკებში — მოსამსახურე ქართველი ინტელიგენცია, შემთხვევითი სტუმრები და ქუთაისში მყოფი თავად-აზნაურთა ახალგაზრდობა. ამათი უმეტესობა ხელმოკლეობის გამო დიდს ვერას შეუძენდა საღამოს დახლს, მაგრამ მათ შეჰქონდათ საღამოზე ხალისი, მხიარულება და ამისათვის საღამოს დიასახლისი გულღიად ეგებებოდა.

თანდათან იკრიბებოდა ქუთაისის მაშინდელი „ბომონდი“ — მაღალი წრის საზოგადოება, მხოლოდ არ ჩანდნენ დაბალი ფენისანი. ისინი ასეთ შეკრებულებაში არც დაიარებოდ-

ნენ, ხოლო კლუბის წელმძღვანელთა აზრით მათ აქ არც კი მოესვლებოდათ. არ ჩანდნენ აგრეთვე გვირგვილიანები. მხოლოდ ბარონესა იყო თავისი დაგმარათი მოსული და მარინა თავისი ბეგით. ნექტარინა და ბარამი კი ვამეხს წაეყვანა თეატრში და ლადო მესხიშვილის მონაწილეობით დადგმულ „კაი გრაკხს“ ასმენინებდა.

ვამეხის ნაცნობი სლავსკი უკვე სცენაზე წრიალებდა. ათი საათი იყო და საღამოს საკონცერტო განყოფილება ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო. სლავსკი თავისი ამხანაგებით უკვე მზად იყო ვოდევილის „გასათამაშებლად“, მაგრამ საღამოს დიასახლისი უთვლიდა — ჯერ გუბერნატორი არ მოსულა და არ დაიწყოთო. საღამო ვოდევილით უნდა დაწყებულიყო და ამას შემდეგ მოჰყვებოდა სხვადასხვა ნომრები თბილისის ოპერიდან გამოწერილი მომღერლებისა, დეკლამატორებისა და ბაბო გავლენიშვილის მიერ პიანინოს პარტიის შესრულებისა. იყვნენ აგრეთვე ადგილობრივი შემსრულებლები სცენებისა, ქუთაისის თეატრის არტისტები: იმერული სცენების წამკითხველი დათიკო მესხი, განთქმული არტისტების კოტე და ეფემია მესხის ძმა, და ებრაული სცენების განმასახიერებელი მიხაკო ჯაწოევი (ნემო). ყველა ამ ნომერს აგვირგვინებდა ადგილობრივი მომღერალთა გუნდი სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის კორნელი მაღრაძის ლოტბარობით. ამას კი მოჰყვებოდა ბალი, ცეკვებითა და ვახშმით შეზავებული.

ერთი სიტყვით ქუთათურებისათვის მეტად სახალისოდ იყო საღამოს პროგრამა შემდგარი და ამას ულოცავდნენ კიდეც გუბერნიის მარშლის მეუღლეს მომსვლელები. ის კი ამბობდა, უკანასკნელია ჩემგან ქუთაისში ესეთი საღამოს გამართვაო, რაიც იმის მანიშნებელი იყო, რომ შეიძლება მისი ქმარი დღეს თავად-აზნაურთა კრებულს აღარ აერჩია მარშლად, მაგრამ ამის საპასუხოდ ზოგი გულწრფელად და ზოგიც მლიქვნელობით არწმუნებდნენ ხანდაზმულ ქალბატონს, რომ მისი სიმონი უთუოდ იქნებოდა არჩეული.

ხალხი უკვე შედიოდა დარბაზში და ლაგდებოდა თავისი ბილეთის მიხედვით სკამებზე საღამოს პროგრამის მოსასმენად. მაგრამ სცენის ფარდა ჯერ კიდევ არ ირხეოდა.

ელოდებოდნენ.

ელოდებოდნენ გუბერნატორის მოსვლას და აგრეთვე ქა-

ლაჭის თეატრში წარმოდგენის დასრულებას, რადგან იქ დამსწრეთა კარგა დიდი ნაწილი უთუოდ აქაც წამოვიდოდა.

ამასობაში სალამოს დიასახლისსა და სხვა მის დამხმარეებს მომსვლელები, შერჩევით, სხვადასხვა ფარდულში მიჰყავდათ ფულის შესაწირად. თვითონ მთავარი დიასახლისი უფრო მსხვილ ვაჭრებს ეტანებოდა. დაინახავდა ასეთ ვისმე თუ არა, მიეგებებოდა, მკლავს მკლავში გაუყრიდა და მიჰყავდა უფრო დაგმარას ფარდულისაკენ, სადაც შამპანური იყიდებოდა. ვაჭარიც დიასახლისის ხათრით, შეიძლება, ეზარებოდა, მაგრამ მაინც უარს ვერ ამბობდა, მიჰყვებოდა, მხოლოდ ცდილობდა ნაკლები გადაეხადნა, ვთქვათ, 5 მანეთი ერთ ჭიქა შამპანურში. მაგრამ აქ უეცრად გაჩნდებოდა ეკოციმილი და თავისი ხუმრობით და შეგულიანებით ყველაზე უძუნწეს ვაჭარს 25 მანეთამდე მაინც დაახარჯინებდა.

იმავე დროს სხვა ფარდულებიც ამუშავდნენ. „ფოსტა“ ზომ იმთავითვე კოხტა გოგონების წყალობით სხვადასხვა მისამართით უხვად არიგებდა „კორესპონდენციებს“. ზოგი მიმღები მხიარულ გუნებაზე დგებოდა, ზოგი ხარხარებდა და სხვებსაც უჩვენებდა, თუ რა წერილი მოუვიდა, ზოგი „წითლდებოდა, ყვითლდებოდა“, ისეთი გასაჯავრებელი რალაც ეპისტოლე მოსვლოდა, ზოგიც იმის გამოცნობაში იყო, თუ ვინ მოსწერა წერილი, რადგანაც წერილების დიდი უმეტესობა ანონიმური იყო.

* * *

აგერ ეკოციმილს მიართვეს წერილი. მომტან გოგონას ლეონარდო და ვინჩის ჯიოკონდასავით (მონნა ლიზა) ცბიერი ღიმილი დაკრთოდა ხახეზე. თან თვალები მზაკვრულად უციმციმებდა.

ეკოციმილმა წაიკითხა:

„შე უბედურო, რას დაბორიალობ ამ დარბაზებში? შენ რომ ეძებ, ის უკვე ჩაკეტეს მკითხავის ჭოხში და მის ნახვას შენ ვეღარ ეღირსები. გირჩევნია ჩემთან მოხვიდე, გურჯეშიის მთავარო“.

აქ შეჩერდა ეკოციმილი. შემდეგ ხმამაღლა ჩაიღაპარა-

— აჰ! დამცინის კიდეც! გურძემიის მთავარი? — განაგრძო კითხვა.

„ხომ იცი, რა გულკეთილი ქალი ვარ და მკლავებგაშლილი დაგიხვდები“.

ეკოციმილი გოგონას შეეკითხა:

— რამდენი გინდა, ბიძია?

— ერთი მანეთი, მაგრამ პასუხს არ ინებებთ?

ეკოციმილმა თვალებში ჩახედა. გაიღიმა:

— შეხედე ამ ცუგრუმელას, რა ეშმაკი ყოფილა! პასუხი ვის მივწერო, ბიძია? თავის სახელს არ ამჟღავნებს. ვითომ არ იცი, — ღიმილით ჩახედა თვალებში. — თუ მეტყვი, ვინ მომწერა, კარგა დაგასაჩუქრებ.

— უჰ, არა, ბატონო! — ჩაიცინა გოგონამ. — ეს ჩვენი პროფესიული საიდუმლო გახლავთ.

— შენ ამას პასმატრი! — ეკოციმილმაც გაიცინა. — კარგი, ბიძია; კარგი. ეს ხუთი მანეთი შენ გქონდეს და... იმას კი, ვინც ეს წერილი გამოგატანა, უთხარი ჩემ მაგიერ: „ვაი შენ ტყავს, ვაი შენ ტყავს თქვა!“

გოგონა გაგოგმანდა, ეკოციმილმა კი ბარონესას მიაშურა:

— ხედავთ, ბარონესა, რას მწამებენ? ჯერ, ვიცი, რომ ეს ქალის წერილი არაა...

— აბა წამიკითხე.

ეკოციმილმა წაუკითხა და თან დასძინა:

— ცხადია, ეს ვიღაცა ჩვენმა ჩათუქესანმა მიწიმანკლა.

ბარონესას მზაკვრული აზრი მოსვლია. უთხრა:

— ჩემი რომ იყოს ეგ წერილი?

— ვაა! — სიამოვნების ოხვრა აღმოხდა ეკოციმილს; — ეგ რომ ასე იყოს, შენ კი გენაცვალე მე!

ბარონესამ უცბად შეაბრუნა:

— მაგრამ შენ ხომ ის ხარ, ის... გახსოვს, ბერთემში ნექტარინამ რომ გიმღერა: „ვერ გენდობი კარამდის“...

* * *

და ასეთ ხუმრობა-ლაღობაში მიმდინარეობდა კლუბის სწვა კუთხეებშიც მოსულთა საუბარი.

მზროლად ვაჭრები და მათი მეუღლეები დადიოდნენ ერთად, გაბუსუნებულები.

ქუთათურ ვაჭრებს ლამაზი ცოლები ჰყავდათ, მეტწილად ღარიბი ოჯახებიდან პირდაპირ შენახყიდი სხვადასხვა საჩუქრებით თუ დავალებებით და თითოეული მათგანი ცდილობდა, რომ სხვებისათვის ეჯობნა თავისი ცოლის სილამაზით, და მართლაც საამური სანახავები იყვნენ. მხოლოდ ერთი რამ მოგხვდებოდათ თვალში — თითქმის ყველა ესენი, ვაჭრების მეუღლეები, თანდათან სუქდებოდნენ, სქელდებოდნენ, და ბუნებით თანდაყოლილ ტანადობას ჰკარგავდნენ. ეტყობა, ცხოვრება ჰქონდათ ესეთი: უხვი სმა-ჭამა, დასული თვით ნაყროვანებამდე, შემდეგ ძილი ან უსაქმოდ ყოფნა, დამჯდარი ცხოვრება, რადგან იშვიათად მისდევდა რომელიმე მათგანი ფხიზელ მეოჯახეობას. ამიტომაც ზანტი გამომეტყველება სხეულსა და თვალებში იყო მათი ნიშანდობლივი თვისება.

რასაკვირველია, იყვნენ მათში გამონაკლისებიც, მაგალითად, მარგალიტა არჯევანიძისა, ტანადი, აშოლტილი, კარგი მოყვანილობის და მეტად მწყაზარი სახისა, შავთვალ-წარბა, სურათა ცხვირისა და საოცნებო ბაგე-პირის პატრონი, ორი დიდი ყორნის ფრთის ფერი მსხვილი ნაწნავი ზურგზე გადაგდებული, თვით კოჭებამდის რომ სწვდებოდა. ეს ის არჯევანიძისაა, რომელზედაც ოდესღაც იტალიის განთქმულმა ტრაგიკოსმა ერნესტრო რრსიმ თქვა: „აი ჩემი დეზდემონა“.

ეს იყო თქმული მაშინ, როდესაც ერნესტო როსიმ თბილისის გასტროლების შემდეგ ბათუმისკენ მიმავალმა ჩამოიარა სადგურ რიონზე, სადაც ქუთაისის ინტელიგენცია და ქუთათური ლამაზი ქალები მას შეეგებნენ და ცნობილმა არტისტმა კოტე მესხმა თაიგული მიართვა და თავისებური მახვილობით ფრანგულად სიტყვა უთხრა.

მარგალიტა საერთოდ არ აკლდებოდა არც ერთ შეკრებულებას. მას საგანგებოდაც იწვევდნენ ხოლმე და ამ საღამოსაც დაესწრო. ის ჩვეულებისამებრ იპყრობდა დამსწრეთა ყურადღებას. ღებულობდა უცნობ-ნაცნობ კავალრებისაგან სხვადასხვა ქათინაურებს, პატარ-პატარა ნობათებს ტკბილეულობის სახით, შამპანურზედაც ეწვია ერთ-ორს, მაგრამ თავი მეტად ღირსეულად ეჭირა.

სხვა ვაჭრების ცოლები, ცოტა არ იყოს, შურით შესცქეროდნენ მის დამოუკიდებელ და თითქოს ამაყ საქციელს, მაგრამ ქმრები მათ ერთი ნაბიჯით არ იშორებდნენ და ამიტომ

გულში იკლავდნენ თავიანთ სასიხარულო გრძნობათა ფრთქიალს.

დიასახლისთან მოვიდა ერთი კარგი მოყვანილობის ქალი, არც მთლად ახალგაზრდა და არცთუ მაინცდამაინც ხნიერი. ბუნებრივი ეშხი კიდევ ჰქონდა შემონახული და, მოვიდა თუ არა, მაშინვე იკითხა: სად არის ჩემი ქოხი?

მას ადრევე სცოდნოდა, რომ ამალამ მკითხავად ის უნდა ყოფილიყო.

წაიყვანეს, დააბინავეს ქოხში და თან როკაპის სახის ნიღაბიც წინ დაუდეს. ეს იმისათვის, რომ ქოხში შემსვლელი კლიენტებს არ ეცნოთ, თუ ვინ იყო, რადგან მეტად მახვილი ქალი იყო და ზოგის აზრით მოწამლული „წანკლიანი" ენაც ჰქონდა. ყოველგვარი აურზაურის ასარიდებლად ნიღაბი იყო საჭირო. თან ქოხსა და მკითხავს „როკაპი" ხომ უფრო შეეფერება.

* * *

მაგრამ, აი შემოვიდა ბაბო გავლენიშვილი და მას თან მოჰყვა მისი ძმისწული, მოქეიფე მიტო.

ბაბო მაშინვე გაიტაცეს ცალკე არტისტთა მისალებ ოთახში, რომ დრომდე დარბაზში გარევით არ გაეიაფებინათ მისი გამოჩენა. ასე მოექცნენ საკონცერტო განყოფილების სხვა მონაწილეებსაც, რომლებიც თანდათან შემოკრბნენ ბაბოს შემდეგ.

მიტომ კი დარბაზები ჯერ ერთი ვიარ-ჩაიარა, არც ერთ პაცნობთან არ შეჩერებულა ისე, თითქოს ერთი საერთო დათვალიერება მოახდინაო, და თავისი მოხდენილი სიარულით ყველას ყურადღება მიიპყრო.

თეთრი ჩოხა-ახალუხი ეცვა, წუღა-მესტი და საცვეთებიც თეთრი სამოგვისა, თეთრი ღვედისავე ქამარი, ზედ აქა-იქა ვერცხლის მოთეთრო ბალთები რომ უჯდა, ხმალ-ხანჯალიც თეთრი ტყავის ქარქაშით და ხპილოს ძვლის ტარით, ხპილოს ვლისავე ქილებით. ყოველივე ეს მის ბრგე სხეულს და ლამაზ ახე-პირს მეტად ამშვენებდა.

ქალებს მაინც თვალები ზედ დაურჩათ.

მიტოს გამოჩენამ ერთგვარი თითქოს უდარდელობის ატმოსფერა დარბაზში. მთელი მისი აღნაგობა ამას ამბობდა,

რომ ჩემთვის ცხოვრებაში ყველაფერი ნებადართული, ყველაფერი გამოდის და არც არაფერს ვერიდები. ცხოვრებას სიტკბოებას ვეწაფები მარადის და მხოლოდ სიამოვნებისათვის ვარ გაჩენილი.

მიტო უეცრად შამპანურის ფარდულთან შეჩერდა. ამ დროს დაგმარას გარდა დახლთან არავინ იყო. მიტომ დრო შეურჩია, მისკენისთანავე დაგმარას თვალებში შეაჩერდა:

— აბა, გრეტხენ, დამისხი შამპანური! — დიდის სინაზით, მაგრამ შემპარავის კილოთი მიმართა დაგმარას მიტომ.

დაგმარამ შამპანური დაუსხა და ღიმილით თვალები შეანათა:

— რატომ გრეტხენი?

— რატომ და... აი ამ შამპანურის ფერი შენი თვალების ფერია, გოეტხენ... და ისინიც ისე ისვრიან ციცხლებს, როგორც შენი თვალები.

დაგმარას თითქოს მოეწონა და არც მოეწონა მიტოს ლაპარაკი. ფერია, გრეტხენ... და ისინიც ისე ისვრიან ციცხლებს, როგორ? გაცნობილიც კი არ არის ჯერ.

მიტომ ცოტა შესვა, შემდეგ წარმოთქვა:

— შენ, ქალო, ლოცვანი უნდა გეჭიროს ხელში. ო-ო, როგორ გაგიტაცებდი მაგ ლოცვანთან ერთად.

დაგმარა შინაგან აწრიალდა, ასე თამამად მისთვის ჯერ არავის არ მიუმართავს. ძლივს გაიკვირვა ხმამაღლა:

— რეებს ლაპარაკობთ? რატომ „ლოცვანი“?

— გრეტხენი არ გახსოვთ ფაუსტში?

ამ დროს მოვიდნენ სხვა ქალებიც და ყველა შეეცადა რომ მიტოსათვის რაიმე შეეთავაზებინა. უნდოდათ მიტოს ცქერითაც დამტკბარიყვნენ და თან მისთვის ფულიც დაეხარჯვინებინათ.

— ფაუსტი ხომ გახსოვთ? — ერთხელ კიდევ გაუმეორა მიტომ დაგმარას და ამაზე შეწყვიტა ლაპარაკი. სხვა ქალები მიეძალნენ. ამანაც ფარდულს კარგა ძალი ფული დაუტოვა.

დაგმარა კი რაღაც უცნაურმა გრძნობამ მოიცვა: ვერ აეხსნა, ეს რა იყო. დიდი შთაბეჭდილება კი დატოვა მიტოს სულს სხვანაირმა მოურიდებელმა ლაპარაკმა და უმთავრესად კი მთელმა მისმა აღნაგობამ. აღნაგობამ? ჰო, რა არის აქ საკვირველი! პირველად ნახა ასეთი ყმაწვილი კაცი და... საოცარია!

თითქოს გულმა დიდის სიძლიერით მისკენ გასწია. რა არის? თავბრუ დაეხვა? რისგან? მიტოს ნალაპარაკევისაგან? ან რა იყო მის სიტყვებში უცნაური? ის, რომ გრეტხენს შეჰდარა? ეს ბევრი არაფერია, მაგრამ ჰო... აი, გაგიტაცებდიო, რომ თქვა. მერე რა უბრალოდ, თითქოს ეს ორივესათვის არაფერი უჩვეულო არ უნდა ყოფილიყო. იმან უბრალოდ თქვა, მაგრამ რად არის, რომ ეს სიტყვა „გაგიტაცებდი!“ ახლაც ჟღივის მარტო ყურში კი არა, სადღაც, უფრო ღრმად, მთელს მის არსებაში.

გაახსენდა ხვითო.. ის უფრო მოურიდებლად არ ელაპარაკება თავის სიყვარულზე? აკი ხვითოს გრძნობების გადმოშლაც გუნებას უცვლის ხოლმე დაგმარას. დღეს კიდევ... რა უცნაურია ეს დღე დაგმარასათვის: ვოლკოვი ხომ მოვიდა მისი ხელის სათხოვნად, ამაზე დედამისმა, ბარონესამ ვოლკოვს ზრდილობიანი, მაგრამ ცივი უარი უთხრა და ვოლკოვიც გაწბილებული წავიდა მათგან. ეს ერთი. შემდეგ ბარონესამ უკვე პირდაპირ გაუმჟღავნა თავისი სურვილი დაგმარას, რომ ის კმაყოფილი იქნებოდა, თუ დაგმარა ხვითოს გაჰყვებოდა და... დაგმარაც ამისთვის თითქოს შინაგანად შეემზადა. ხვითო უთუოდ არ დააყოვნებს თავის მორიგ სიყვარულის ახსნას და დაგმარაც სიტყვას მისცემს, რომ მას გაჰყვება. მაგრამ ახლა რა მოხდა? რა? მოვიდა უცნობი კაცი, კნიაზი მიტო გავლენიშვილი და... სრულიად გამოეცვალა გუნება. ხეირიანად ვერც კი იცნობს, იცის, რომ ქართველი თავადია, ბაბრ გავლენიშვილის ძმისწული, მაგრამ ეს ხომ ბევრის არაფრის მთქმელია. ერთია ცხადი: ხვითოს მიტო სჯობიან. რატომ? რისთვის? ვითომ რა? უკვე მოვიდა დაგმარას ზღაპრული პრინცი? არა, ნამდვილად თავბრუ ეხვევა.

ჩამოჯდა იქვე სკამზე დახლის შიგნით და ვაჭრობა სხვა ქალებს მიანება.

* * *

იმავე დროს წალხში გაისმა: „გუბერნატორი მობრძანდა, გუბერნატორი!“ და მაშინვე მას მიეგებნენ გუბერნიის მარშალი თავისი მეუღლითურთ, სხვა საპატიო პირები და დიდ დარბაზში გაუძღვნენ საკონცერტო განყოფილების მოსასმენად. ხალხიც ჩამოლაგდა და სცენის ფარდაც აიხადა.

სლავსკიმ რუსი პრლკოვნიკის მოხდენილ სცენისმოყვარე ცოლთან ერთად ჩეხოვის „დათვი“ გაითამაშა და ხალხთან ერთად გუბერნატორიც ძალზე აცინა.

ამის შემდეგ, პატარა ანტრაქტის დროს, გუბერნატორმა ყველა ფარდული ჩამოიარა და თავისი ნივთიერი წვლილი ყველგან გაიღო, მხოლოდ მკითხავის ჭოხში არ შესულა. მოიმიზეზა: ჭოხის წინ ხალხი რიგში დგას და ხელს არ შევუშლიო. ისე კი გარშემო მყოფნი მიხვდნენ, რომ მკითხავთან შესვლა აირიდა, ისიც კი წაიჩურჩულეს — გუბერნატორი უთუოდ ფიქრობს: ვაითუ მკითხავმა რაიმე გაბედული მითხრას, რომელსაც შეიძლება პოლიტიკური სარჩულიც ჰქონდესო, ამის ნებას კი „ჭოხის მკითხავს“ თავისი განსაკუთრებული მდგომარეობა აძლევსო. უთუოდ ამიტომ არ შევიდა.

სცენაზე კი, პროგრამის თანახმად, მორიგისით გამოვიდნენ მომღერლები და დეკლამატორები, გავლენიშვილის ქალიც, რომელსაც სხვა თაიგულებს შორის ვამეხისაგან გამოგზავნილიც მიუვიდა. ბოლოს ჯერი მიდგა ადგილობრივი გუნდის გამოსვლაზე და სწორედ მათი ნომრების შესრულების დროს, უკვე ღამის 12 საათი იყო, რომ დარბაზის დერეფანში მოისმა ხმამაღალი და ცხარე ლაპარაკი.

ბევრმა დარბაზიდან გამოიხედა. იცნეს, რომ ცხარე მოლაპარაკე ერთი თავმომწონე იმერელი თავადი ჩიჯავაძე იყო. მას გარს ეხვია რამდენიმე მსმენელი. თავადი კი შფოთავდა და ბორგავდა:

— ეს ვერ მომითმენია, ვერა! აი ახლა მოვდივარ ქართული წარმოდგენიდან, სადაც ლადო მესხიშვილმა ერთი საშინელი პიესა დაგვიდგა: „კაი გრაკხი“. ვითომ ძველი დროის ამბავია, რომაელთა ცხოვრებიდან და მერე რა გვიჩვენა: პრივილეგიური წოდების ლანძღვა-გინება და იმის ქადაგება, რომ არისტოკრატიას ჩამოერთვას მათი ქონება, მიწა-წყალი და პლებეებს გადაურიგდეს. არა, თქვენ წარმოიდგინეთ! — თანდათან ხმას უმაღლებდა მშფოთავი თავადი და ეს ხმამაღალი ლაპარაკი ყვირილში გადაუდიოდა.

ამ ყვირილმა დარბაზამდისაც მიაღწია და იქიდანაც ბევრი გამოვიდა ამბის გასაგებად. გუბერნატორიც კი შეშფოთდა და მოიხმო თავისი ამალიდან ერთი, მისთვის უფრო სანდო, სანანგებო მინდობილებათა მოხელე, და უბრძანა გაეგო, თუ რა

ნდებოდა დერეფანში. მოხელე რომ გამოვიდა, დაიწყო: ჩიჯავაძის გარშემო კარგა ბლომად ხალხი შეჭუჩებულიყო და ის კი გაჰყვიროდა:

— არ ვიცი სწორედ, რას უყურებს ჩვენი ადმინისტრაცია?! პატრონი არა გვყავს და ის არის!

მოხელემ ჩიჯავაძეს თავაზიანად მიმართა და იმანაც ახლა უფრო ხმადაბლა, ეს მერამდენეჯერ, რადგან ყოველი ახალი მოსული ეძიებდა მისი აღშფოთების მიზეზს, უპასუხა, რომ წარმოდგენის დროს თეატრში ჩაჭრა სინათლე და რომ განათდა, დარბაზი პროკლამაციებით იყო მოფენილი, ამავე დროს ვითომდა ხალხის დასამშვიდებლად სცენაზე გამოვიდა მესხიშვილი, წარმოთქვა ცხარე სიტყვა მთავრობის წინააღმდეგ და ხალხს მოუწოდა აჯანყებისაკენ. ამაზე ხალხმა უპასუხა მარსელიოზის სიმღერით და ასეთი დემონსტრაციით დასრულდა წარმოდგენა.

— არა, მე ეს მიკვრის, რას უყურებს ადმინისტრაცია. ავერ ჩვენ ცენტრში გვყოლია მოღალატე და ქვეყნის დამჭცევი.

— ვინ? ვინ? — კითხულობდნენ ახლად შემომატებულები.

ჩიჯავაძე კი ყველა ამათ უსახელებდა:

— ვინა და ჩვენი „საყვარელი და ნიჭიერი“ ლადო მესხიშვილი.

— უჰ, უჰ! აჰ! ეგ შეუძლებელია! — მოისმოდა რეპლიკები. ქალებიც უმატებდნენ:

— Не может быть! Наш душка Месхиев?*

— საქმე კიდევ ის არის, რომ, — განაგრძობდა ჩიჯავაძე, — ეგ მესხიშვილი ყველას გაბსოვთ რა ავადაც იყო, ჩვენ, თავადაზნაურობამ, მოვუგროვეთ ფული, გავგზავნეთ საზღვარგარეთ სამკურნალოდ, მოვარჩინეთ, ახლა დაბრუნდება და აქ ხალხს ყვიბუნტებს.

ამაზე კიდევ ატყდა შეკვირვება, პროტესტი და ერთი რუზრუზი.

ეტყობა, გუბერნატორმა ვერ მოითმინა და თვითონ გამოვიდა ამბის გასაგებად. მას თან მოსდევდა ჟანდარმთა პოლკოვ-

* შეუძლებელია! ჩვენი საყვარელი მესხიევი?

ნაკი, თავისი გაიძვერაობით და სისასტიკით განთქმული რუნიჩი.

ამათ გამოჩენაზე ხალხი ჩაჩუმდა. გუბერნატორს ეახლა მისი გამოგზავნილი მოხელე და მოკლედ, ორი სიტყვით მოახსენა, თუ რა მომხდარიყო დღეს თეატრში. გუბერნატორმა მაშინვე პოლიცმეისტერი მოიკითხა. ის ბუფეტში მჯდარიყო და დაბარებისთანავე მოძუნძულდა თავის უფროსთან.

— რა უმსგავსოებაა! ეს რა მომხდარა თეატრში? — პოლიცმეისტერის დანახვაზე დაიყვირა გუბერნატორმა.

— მე... მე... — დაიბნა პოლიცმეისტერი, — იქ არ გახლდით, თქვენო აღმატებულებავ!

— გეტყობათ, სადაც იმყოფებოდით! — და გუბერნატორმა ჩახედა პოლიცმეისტერის ღვინისაგან კარგა ჩაწითლებულ სახეს; შემდეგ უბრძანა: — წამომყევით!

მოძებნა საღამოს დიასახლისი, ბოდიში მოიხადა, სამსახურის საქმეების გამო უთუოდ უნდა წავიდეო, და გუბერნატორი ჟანდარმთა პოლკოვნიკის თანხლებით გავიდა დარბაზიდან. მათ მისდევდა პოლიცმეისტერი და საგანგებო საქმეთა ჩინოვნიკი, უბნის ზედამხედველები კი შესავალ კარგებში გაჰოეჭიმნენ წამსვლელებს.

ჩიჯავაძის მიერ მოტანილმა ამბავმა ააფორიაქა კლუბში მყოფი საზოგადოება. ჯგუფ-ჯგუფად და კუთხე-კუთხე, ჩვეულებისამებრ ზოგი ცხარედ, ზოგიც დარბაისლურად ირჩევდა და კომენტარებს უკეთებდა თეატრში მოხდარ ინციდენტს. ზოგა კიდევ მესხიშვილის ბედი აინტერესებდა: დღეგანდელი საქციელისათვის ხომ არ დასჯის მთავრობაო... ასე რომ დიასახლისს დიდი ტაქტი და გამჭრიახობა დასჭირდა, რომ სალამოს მსვლელობა კვლავ თავის კალაპოტში ჩაეყენებინა, და საგანგებოდ მოწვეულ კურინის პოლკის სასულე ორკესტრს დააკვრევინა. მხოლოდ ცეკვას ჯერ არ იწყებდა, რადგან კიდევ მოელოდა ერთ ვისმე, რომ მას პოლონეზით გაეხსნა საღამო.

ამასობაში თეატრიდან წამოსულებიც შემოეშატნენ კლუბში მყოფთ და ამან კიდევ უფრო გააცხოველა სჯა-ბაასი და მოთქმა-მოთქმა თეატრში მომხდარი ამბების გარშემო. აქ მოსულიყო ვამეხიც, მოეძებნა ბაბო-გავლენიშვილი და თვალებგაზნებარე ისიც ნახულზე უამბობდა. ის აღტაცებული იყო ხალხის დემონსტრაციით, მესხიშვილის საქციელით, მარსელი-

ოზის სიმღერით, მაგრამ ამას ცალკე, ჩუმად უზიარებდა ბაბოს; ბაბოც ეტყობა, თანაუგრძნობდა და ორთავენი ისე გამოიყურებოდნენ, როგორადაც ახალგაზრდა შეყვარებულები, რომელთაც გარდა თავიანთი პირადი სიყვარულისა სხვა რაღაც დიდი საგანიც აქვთ შეთქმულებისა.

აქ მოვიდნენ აგრეთვე კვიზინია, ბარამი და თოლისქვამი. კვიზინიას მაშინვე ხელი დაავლო ბარონესამ და ფარდულები შემოატარა. კვიზინიამაც ბარონესას ხათრით დარდიმანდობა გამოიჩინა. და კარგა ძალი გაიღო ფარდულებში. ბარამი მივიდა ჩაის ფარდულთან, თან მოისვა თოლისქვამი და შეექცა ჩაის.

* * *

თოლისქვამი კი ისევ და ისევ გაოგნებული იყო. ასეთი მდგომარეობა ხომ ამ ბოლო ხანებში დასჩემდა, როდესაც „დახრჩობის" შემდეგ გადაწყვიტა ნექტარინას დამორჩილებოდა ყველაფერში და თავისი საკუთარი ნებისყოფა უკუეგდო. აკი აგრეც მოიქცა: თავისი თავი დაანიშვნინა ნექტარინას ბრძანებით კვიზინიას, ახლა აგერ ყოველდღე დაჰყვება ნექტარინას ქუთაისის მაღაზიებში და მზითევს იმზადებს. ზოგჯერ სეირნობს ეტლით ბარონესასთან ერთად ქუთაისის ლამაზ გარეუბნებში, ხედავს ირგვლივ საუცხოო ხალხს, ქალსა და კაცს, ზოგი რამ მოსწონს კიდეც თითქოს, ზოგიც თითქოს მის გულს არ ეკარება, მაგრამ საერთოდ მაინც გულჩახშულია და თითქოს ამქვეყნად ღარ არის. ამას ამჩნევენ ჭირისუფლები, მაგრამ ხელს არ უშლიან — ქმარი და ოჯახი თავისას გვიტანს და თოლისქვამისაგან საზოგადოების ერთ კარგ წევრს შექმნისო, ფიქრობენ. ერთი რამ საკვირველი დასჩემდა ქუთაისში თოლისქვამს: დიდად ეტანება თეატრს, როცა კი ამის საშუალება ეძლევა და იმავე დროს გულმოდგინედ ესწრება ყველა წირვა-ლოცვას ქუთაისის სობოროში. აქაური მღვდელმსახურება სრულებით არა ჰგავს სოფელ ბერთემში მამა თედორეს ფუსფუსს ნექტარინას კარის ეკლესიის ვიწრო ტაძარში. აქ რა ფართოა, რა ხატებია, რა კანკელები, ან რა მოხატულია ყველა კედელი ეკლესიისა! რა იცის თოლისქვამმა, რომ ყველა ამ კედლის მხატვრობა შეუნაქმია საქართველოს მხატვრებში ერთი სა-

უკეთესო ოსტატის, რეალისტის, მრევლიშვილის მიერ. თოლისქვამისთვის თითქოს იოლი გასაგებია ყველა იქ მოხატულის შინაარსი. შეუყვარდა მათი დათვალიერება. ან რა ძვირფასი სამოსელი აცვიათ აქაურ მღვდელმსახურებს, ან რამდენია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეპისკოპოსი წირავს. ან რა გალობაა, ან რამდენი არიან მგალობლები! მართალია, სოფელ ბერთემშიაც იშვიათად, მაგრამ მაინც თოლისქვამისათვის მუტად მოსაწონად გალობენ — ბარამი, ბეგი, ბათუ, მაინცდამაინც აქაურები სჯობნიან — მათი გალობა უფრო ძლიერია, უფრო მრავალხმოვანი და შეხმატკბილებული. ახლა საკმევლის კმევა სხვადასხვა ახალგაზრდა ხუცებისაგან — ასე ეძახის თავის გულში თოლისქვამი იპოდიაკონებს — რა საუცხოო სურნელების შემჭმნელია, ან ეპისკოპოსის შემოსვლა, შემდეგ მისი საკურთხევლიდან ხანგამოშვებით გამოსვლა, ქვეშ რომ რაღაც ბალიშისმაგვარს დაუდებენ და ის კიდევ ანთებული სანთლებით ჯვარს რომ სახავს ხალხს, რა დიდებული სანახავია. მაგრამ ყველაზე უფრო მოსწონს თოლისქვამს ჭარმაგი მოხუცი, მწყაზარი სახის მთავარდიაკონი შარაბიძე. მისი მოლღღუნე ხმა, მისი „ასამაღლებელი“, როდესაც გეგონებათ ყვირისო, მაგრამ ყურს კი არ გაგიჭექავთ. არამედ საამურად ჩაგესმით და ის ორი სათაყვანო გაუჩნდა თოლისქვამს ქუთაისში: ერთი ეკლესიაში — შარაბიძე, მეორე — ლადო მესხიშვილი. ეს სულ სხვა საზღაპრო ამბავია, წარმტაცი, დამტყვევებელი. რამდენჯერმე დაესწრო თოლისქვამი წარმოდგენებს და პირდაპირ მოიხიბლა. განსაკუთრებით მოეწონა „ურიელ აკოსტა“. მესხიშვილი ამ როლში — საუცხოო ვაჟკაცი, ორმაგად რომ იტანჯება — ცალკე ივდითისადმი სიყვარულით, რადგან მის სატრფოს სხვაზე ათხოვებენ, ცალკე იმ გარემოებით, რომ თავისი დედის და ძმების სიბრალულით ღრმა რწმენაზე უარი უნდა თქვას. ამას ყველაფერს მიხვდა თოლისქვამი, მაგრამ ერთი ალგილი პიესიდან მისთვის დაუვიწყარი შეიქნა. როდესაც სასოწარკვეთილი ურიელი წამოიძახებს მხოლოდ ერთ სახელს: „ივდით, ივდით!“ ეს ისეთი სინაზით არის ნათქვამი, იმდენი სიყვარულია შიგ ჩაქსოვილი, რომ თოლისქვამს პირველად ეგონა — ეს ძახილი მე შემეხება, ჩემს საყვარელს აი როგორ ვყვარებივარ, და ამ მოწოდებამ მთელს ტანში ელექტრონივით დაუარა.

„ჩემი საყვარელი? ტაია?“ ამ დროს ერთხელ კიდევ გაიწ-სენა თოლისქვამმა ტაია და თითქოს გული მოუკვდაო, სულ ჩაიფუფქა.

ახლა კი კლუბში ზის ბარამთან ერთად ჩაის ფარდულთან და გარეგნულად თითქოს სრულიად გაოგნებულია, მხოლოდ თავში კი ათასი აზრი უფათურებს.

რა ლამაზი იყო დღეს მესხიშვილი! ის არ ჰგავდა ურიელს. კაი გრაკხი — მესხიშვილი წვერ-ულვაშ გაპარსულია. თოლისქვამმა გაიგო, რომ რომში ასეთი ჩვეულება ყოფილა, მაგრამ მაინც რა მშვენების ვაჟკაცია ლადო — გრაკხი! მხოლოდ მთავარი კი ის იყო, როდესაც მესხიშვილი სინათლის ჩაბნელების შემდეგ სცენის ფარდის წინ გამოვიდა და თავისი სიტყვით ალაპარაკდა. ამაშაც მიხვდა თოლისქვამი. ო, როგორ ცეცხლს აფრქვევდნენ მესხიშვილის ჯადოსნური თვალები. შემდეგ ხალხის ვაშა, მარსელიოზა! არა, მთელი ხალხი უნდა აღსდგეს უთუოდ მტარვალების დასამხობად! ეს აზრი თითქოს უკვე ძვალ-რბილში უჯდებოდა თოლისქვამს. მის უშუალო ბუნებას თითქოს ფართოდ თვალები ეხილება რაღაც დიდ საგანზე.

„ჰოო, ამაზე მწერდა უთუოდ ტაია თავის უკანასკნელ წერილში: „მე დიდი საქმე გამიჩნდა“ — თოლისქვამმა უკვე შეიტყო, რომ ტაია ჩაბმულია ხალხის სასიკეთო საქმეში. — მას ძრახავენ, წყევლიან კიდეც, უფრო ნექტარინა, მაგრამ ტაია მართალი უნდა იყოს. აი, კაი გრაკხი ამას გვიმტკიცებდა. წერილში ესეც ეწერა: შენცო, თოლისქვამ, ეცადე ხალხს ემსახუროო... თუ როგორღაც. აი ნამდვილი! მეც, მეც, ტაია. მეც შენი გზით ვიარ ხალხის სამსახურად. მხოლოდ როგორ? ახლა რომ ვთხოვდები, ვაჭრის ცოლი ვხდები? ჩემს ქმარს ხომ ვერ გავუზიარებ ჩემი მიდრეკილების ხასიათს. ის ვერც გამიგებს უთუოდ, ის სულ სხვა აზრის კაცია. შეიძლება, ხელიც შემიშალოს. მაშინ ეკლესია, საყდარი. ფოთშიაც ხომ ყოფილა ეპისკოპოსი! მას გავენდობი, ის მანუგეშებს და... ან განა მე რას ვიზამ ისეთს? დავეხმარები, რითაც შემიძლია, ტაიასთანა ახალგაზრდებს ფულით, პოლიციასთან გამოსარჩლებით, თუკი ეს საჭირო იქნება. მე ხომ ცოტა გავლენა მექნება ფოთში, როგორც ერთ შეძლებული ვაჭრის ცოლს. ცხადია! ასე მოვიქცევი. მერე ეს ხელმწიფის წინააღმდეგი საქმე რომ იქნება? ხელ-

მწიფის და ღმერთის? არა, ვიცი, რომ ქრისტე მუდამ მდაბიო ხალხისაკენ იყო, დაჩაგრულებს თანაუგრძნობდა“.

ეს წუთი დაუვიწყარი დარჩა თოლისქვამს მთელ თავის ცხოვრებაში. როდესაც ამ წუთს იხსენებდა, გაელიმებოდა: ჩვენი ცხოვრების პროგრამა იმ ღამეს შემშმუშავდაო. სიტყვა „პროგრამა“ ხომ შემდეგში კარგა შეითვისა მისმა გონებამ. სინამდვილეში ის მართლა დარჩა, ერთის მხრივ, ღვთის მორწმუნე და, მეორეს მხრივ, რევოლუციონერთა თავის შეძლებისამებრ მფარველად და მეჭომაგედ. ასე რომ ეს ერთიმეორის შეურიგებელი მდგომარეობა მან თავის გონებაში თავისებურად შეარიგა.

ბარამი წამოდგა და თოლისქვამი შამპანურის ფარდულისაკენ წაიყვანა.

* * *

ამასობაში ვისაც მოელოდა მარშლის მეუღლე, ის მოვიდა. ეს იყო გიორგი შარვაშიძე. მასთან ერთად დიასახლისმა პოლონეზით რიტმულად გაისეირნა მუსიკის ხმაზე დიდ დარბაზში და ამის შემდეგ ყველასათვის, ვისაც კი შეეძლო, გაიხსნა ცეკვის ალო. ვალსი მაზურკამ შეცვალა. მაზურკა კოტილიონმა და აქა-იქ გაჩაღდა ჭუთაისში ახლად შემოსული პად-ესპანი და ტანგო, მიტო გავლენიშვილი სული და გული იყო ამ ცეკვებისა, მხოლოდ როდესაც დაგმარაც ვალსში რამდენჯერმე შემოატრიალა და მკერდზე მიხუტებულს ჟრუანტელის მომგვრელი სიტყვები ჩააწვეთა, ვითომ აქ არაფერიაო, პატივისცემით მიიყვანა შამპანურის ფარდულთან და თვითონ გატრიალდა და მკითხავის ჭოხში შეძვრა.

როკაპის ნილაბადებულმა „მკითხავმა“ მიაძახა:

— ო-ო, კნიაზ მიტო, ჯერ ნუ შემოწვალთ, — რადგან მას წინ ერთი ქართულად თავდახურული ვაჭრის ცოლი ეჯდა, მაგრამ მიტოს შემოსვლაზე ეს ქალი წამოდგა, „მკითხავს“ უთხრა: კიდევ შემოვალო, და გაჭარხლებული გავიდა ჭოხიდან.

„მკითხავმა“ ნილაბი მოიხადა.

— **შენთან** აღარ მჭირდება ეს „როკაპი“, ხომ, მიტო?

— **ჩემთან**, რასაკვირველია, არ გჭირდება, ბატონ-ბატო-

ხო, — უპასუხა მიტომ, — ჩემთან დამალვა რად გინდა, მხოლოდ მე ახლა აქ სამკითხაოდ არ მოვსულვარ. შენი დახმარება მჭირდება ძალზე და ამის სათხოვნად შემოვედი.

— ვაი, შენ დაგენაცვლოს ატატოს თავი, თუკი რამე შემიძლია შენთვის თავს დავზოგავ?

— ჰოდა, გამიკეთე, მაგრამ ეს ქალი, ახლა რომ გავიდა, რატომ გაგიჭარხლებია ასე?

— ჰა, ჰა! — მზაკვრულად ჩაიცინა ატატომ. — ეს მისი საიდუმლოა, მაგრამ ჩემზე ხომ ამბობენ: პირზე არაფერი დაადგებაო, ეს არაა მთლად მართალი, მაგრამ შენ გეტყვი.

— ჰო, ჰო, საინტერესოა! ლამაზი ქალია ვიღაცაა.

— ერთი აქაური ვაჭრის ცოლია და ფუხულია შეყვარებია.

— ვინ ფუხულია?

— დადიანი და... უჭირს საწყალს, ქმარი ერთი ჯირკივით კაცია, მაგრამ მაინც ვერ მოუხერხებია მისი გაცურება. ახლა დრო შემირჩია და მე მომმართა.

— ო-ო, შენ ხომ, ატატო-ბატონო, ყველას მამიდა ხარ. მაგრამ შენ ამ ქოხში ამისთანა საქმეებს არიგებ, თუ მკითხაობ?

— ვაი, შენ კი დაგენაცვლოს ჩემი თავი. რასაკვირველია, ვმკითხაობ, რაც შემიძლია. ა, ხომ ხედავ, აგერ ლობიო, აგერ კარტი, ხან ამითი ვატყუებ ხალხს და ხან ამითი, მაგრამ ეგ კი... გამოვწერე.

მიტოს გაეცინა:

— მე კი რატომ არ გამომწერავ?

— რომ არ შეუბნები? მითხარი, გენაცვალე, რა გიჭირს.

მიტომ უხუმარი სახე მიიღო.

— დაგმარა უნდა მოვიტაცო, ატატო!

ატატო, თითქოს რაღამაც უკბინაო, ერთი კი შეხტა და შემდეგ ეს წაბრმოთქვა მხოლოდ:

— არ გადამრიო!

— გადარევა რად გინდა, ეს გადაწყვეტილია. დაგმარა რომ ჩემი არ იქნეს, თავს მოვიკლავ.

— უიმე, უიმე, შე გიჟო, შენ! დაგმარა ხომ აწგელოზია!

მიტომ ბოროტად ჩაიცინა.

— ჰოდა ანგელოზს უნდა გახედნა, თორემ ნუ მიწყენ და, შენისთაწა ტარტაროზს რად უნდა ჭკუის სწავლება!

— უი, წყეული, წყეული, მაგრამ ღმერთო მომკალი, ღმერთო მომკალი! ეს რა განუზრახავს ამ თავზეხელაღებულს, — და მარცხენა ხელი მოღიმარემ მიტოს ლოყაში გაარტყა.

— მირტყი რამდენიც გინდა, — ახლა უბრალოდ იცინოდა მიტო, — დაგმარას კი ამაღამვე ნამდვილად გავიტაცებ.

— რატომ, ბიჭო, რა გაგიჭირდა. შეძლებული თავადი ხარ, შენ ქალს ვინ დაგიკავებს, დაგმარას დედას, ბარონესას, სთხოვე და უარს არ გეტყვის.

— ვთხოვო რა, სულელი მნახე? ცოლად კი არ მინდა!

— უიმე, უიმე! შეხედე ამ ურჯულოს. მე ნუ მეტყვი, გენაცვალე, მე ნუ მეტყვი მაგას.

— გეტყვი კი არა, უნდა დამეხმარო. ამას აღარ უნდა ბევრი ჩიჩინი. ხომ იცი, მე რა პატივისცემაც შემიძლია. თუ არა და... სხვა შენი ცოდვების გარდა, გაიხსენე ფოსტის გაძარცვის ამბავი.

ატატომ თავის გუნებაში შეიცხადა: — დიდა, დიდა, დიდა! ესეც კი სცოდნია ამ წყეულსო.

მიტო დაუზოგავად განაგრძობდა:

— შემთხვევით რომ გადარჩი, შენს კვალს რომ ვერ მიაგნეს... დაგასმენ და ხვალვე ციხეში ამოგაყოფინებ თავს.

ეტყობა ატატოს ბევრი ჰქონდა რაღაც ნაცოდვარი და ფოსტის ხსენებაზე ხომ სულ მოიკრუნჩხა, ფოსტის გამცარცველებს ერთ დროს მართლა ეხმარებოდა, თავისთან შეინახა ავაზაკების ნადავლი და თვითონაც კარგა გამორჩა. მიტოსაგან ამის შეხსენებამ მეტად ცუდ გუნებაზე დააყენა, სხვა ვერაფერი მოახერხა და თავი მოისაწყლა:

— მიტო, გენაცვალე, რა შემიძლია მე უბედურს, რითი უნდა დაგეხმაროთ?

— რითი და ახლავე წახვალ მაღლაკს, ბიძაშენთან, და დაგმარას მოსასვენებლად ყველაფერს მომიმზადებ. ფაიტონს მე მოვი, აგერ ფულიც, — და წინ დაუყარა ოქროს თუმნიანები.

— ეს ისე, სახარჯოდ, დანარჩენი შენი პატივისცემა მე კი.

ოქროების დანახვაზე თვალები გაუფაციცდა ატატოს, მაგრამ წუწუნი მაინც ვერ მიატოვა.

— ოჰ, მიტო, მიტო! რა გიჟი ხარ, რა გიჟი! არ შეგრცხვა

ხარ კარგ საქმეს, გენაცვალოს ჩემი თავი! ცოლად რომ ირთავდე, კიდევ ჰო...

მიტომ გააწყვეტინა:

— ეგ შენი საქმე არ არის. მე რაც გითხარი, ის უნდა გააკეთო. ახლავე წახვალ მაღლაკს.

— შენ მე დამღუპავ, ბიჭო. თუ გამიგებს, რომ ხელს გიწყობდი... დაგმარას ნათესაობა, თვითონ ბარონესა, ქალს პეტერბურგამდე ხელი უწვდება... რას ამბობ, რას! მე ხომ დამღუპავ, დამღუპავ, მაგრამ თავსაც იღუპავ.

— არც ეგ არის შენი საქმე! შენ კი რაზე დაიღუპები. ამაღამ წახვალ ბალიდან შეუმჩნევლად და ხვალ დილით კი ისევ შინ იქნები, ვინ რას გაგიგებს. კარგი ახლა, ატატო-ბატონო, ამისთანები მოგიქმედია?

— კარგი, მიტო, ვთქვათ, დავთანხმდი, ახლა წასვლა მაინც ხომ არ შეიძლება! ამ ქოხს ხომ ვახშმობამდე ვერ მივატოვებ. გაპარვას ხომ შემამჩნევენ. ვახშამზეც რომ არ ვიქნები, ესეც უხერხულია.

— არა, ატატო, შენი ჭირიმე, ვინ გეუბნება, რომ ახლავე დატოვო ეს შენი ქოხი? დრომდი იყავი, მოითავე ყველაფერი და... შენი ჭირიმე, შენი! — თან თავი მიაყრდნო ატატოს გულ-მკერდს, ლოყაზე ხელით მოეფერა. უეცრად თავი მოუდრიკა და ტუჩებში მადიანად აკოცა.

გადაწყდა, რომ ატატო თავისი მოვალეობის შესრულების შემდეგ გასწევდა მაღლაკს, თავის ბიძასთან და ვახშმის შემდეგ მას დაედევნებოდნენ მიტო და დაგმარა კარაბახის ეტლით.

მიტო რომ გავიდა, სახელანძულმა ატატომ თმები გაიშწორა და ძლივს მოასწრო ნიღბის ადება, რომ ვოლკოვი შევიდა მასთან.

ვოლკოვმა დამცინავი ღიმილით მიმართა:

— Ну-ка, баба-яга, что ты мне хорошего погаешь?*

ატატომ იცნო ვოლკოვი და უცბად მოისაზრა, მასთან თავი როგორ დაეჭირა. იცოდა, რომ ჭუთათურ თავადაზნაურობას არ მოსწონდა ვოლკოვი, რადგან ვოლკოვიც მათ არ კად-

* — აბა, როკაპო, კარგს რას მიმკითხავებ?

რულობდა და ამრეზით უცქეროდა. თან გულში ჩაიცლო — მე შენ გიჩვენებ ბაბა-იაგასო, და მაშინვე, საგანგებოდ მეტად დამტვრეული რუსულით, ასე შეეგება:

— Что ты тут торчишь?*

ვოლკოვი ამას არ მოელოდა, შეცბუნდა. მაინც უთხრა:

— Я не торчу, а только пришел к тебе.**

— Нет, чего торчишь в Кутаисе?***

მარცხენა-ხელისგულის გასინჯვა დაუწყო. იმავ დროს იმავე რუსულით შემდეგი აუწყა:

— აქ დიდხანს ნუ დარჩები, აქაურები ველურები ჩრიანვერა ხედავ, სულ ხმალ-ხანჯლით დაიარებიან.

ეს მოეწონა ვოლკოვს:

— Ах, да, ты, баба-яга, аказывается не глупа.****

— მე იმას გეუბნები, რომ იმათ უნდა ერიდოთ. თორემ უსიამოვნებას შეგამთხვევენ, — აქ კიდევ ატატოს ახირებული აზრი მოუვიდა: „წარმოვიდგინოთ, რომ ეს ვოლკოვი აურზაურის დროს მოკლა ვინმემ ჩვენებურმაო", და ამაზე ააშენა ქარაგმულად შემდეგი „წინასწარმეტყველება": — მაგრამ შენ ძალიან მალე მიდიხარ აქედან. მერმე იცი, რა კარგ ადგილას? სამოთხე იქნება, სამოთხე. ჰმ, ღვინისა და რძის შადრევნები იჩქეფებენ შენს წინაშე. ანგელოზები გიგალობებენ, ფერიები მოგიალერსებენ.

ვოლკოვმა ხელიდან ხელი გამოსტაცა და ნიღბის მოძრობა მოუნდომა, თან დასძინა:

— Ух, какая ковáрная женщина!*****

მაგრამ ატატომ თავის ნიღაბზე ორივე ხელი მიიფარა და თან ყვირილი მორთო: „ეი, მიშველეთ, დამიხსენით!"

ყვირილის გაგონებაზე ახალგაზრდა ჩოხოსნები შემოცვივდნენ და ვოლკოვმაც ატატოს ნიღაბს ხელი უშვა.

ჩოხოსნებში ჩიჯავაძეც გარეულიყო და ვოლკოვს უსაყვედურა: — როგორ არა გრცხვენიათ, ქალი ქოხში დაიმარტოხულეთ და შეურაცხყოფა მიაყენეთო, მაგრამ ამაზე ვოლკოვმა უტიფრად გაიცინა და თითქოს თავისთვის წარმოთქვა:

---

* აქ რას ატუზულხარ?

** მე არ ავტუზულვარ, მხოლოდ შენთან მოვედი.

*** — ეგ კი არა, ამ ქუთაისში რას დალაყუნობ?

**** — ოჰო, შენ როკაპო, არც ისე სულელი ყოფილხარ!

***** — უჰ, რა მზაკვარი ქალი ყოფილა!

— Не беспокойтесь, она должно быть привыкла разоблачаться... ха, ха!*

ამაზე ზოგიერთი ჩოხოსანი წამოიჭოჩრა, მაგრამ ჩიჯავაძემ ანიშნა და თავი შეიკავეს, ვოლკოვი კი დარბაზისაკენ საცეკვაოდ გაეშურა.

* * *

აგვრ მობრძანდა გიორგი შარვაშიძე და თან ბევი გვირგვილიანიც შეიყვანა ჭოხში. ორის ერთად შესვლა არ იყო მიღებული, მაგრამ შარვაშიძეს ატატო ამ თვითნებობას ვერ დაუშლიდა. პირიქით, სახეზე ნიღაბი კარგა გაიმაგრა და მხიარულად შეეგება:

— ო-ო, მობრძანდით, დიდო თავადო, მობრძანდით, მაგრამ მე საწყალი აბა საიდან შევძლებ თქვენი ბედისწერის ჩხრეკა-გამოძიებას.

— ჩემი ბედისწერის გამოსაძიებლად არც მოგსულვარ, საპატიო ქალბატონო, ამ ყმაწვილის ამბავი მინდა გავიგო, — უთხრა და ბევზე მიუთითა.

ამასობაში ატატომ ლობიოს მარცვლები ჰაერში ააგდო და ჩამოცვენის დროს ბევრი მათგანი მაგიდაზე გაიხსნა, მაგრამ შუაზე მაინც ხუთი მარცვალი კოხტად დაჯდა.

— ეს თქვენთვის, თავადო გიორგი. ხომ ხედავთ, ფანჯია. ფანჯი ხომ გამარჯვებასა ნიშნავს და თქვენ განა მუდამ გამარჯვებული არ ბრძანდებით?

— მერე ამ ლობიოებმა იციან ჩემი ბედის ამბავი? — სათნოდ გაიღიმა გიორგიმ. — ლობიო ძალიან მიყვარს ჩვენებურად შეკაზმული, მაგრამ თუ ისინი ჩემი ცხოვრების მესაიდუმლენი იყვნენ, ეს კი არ მეგონა, თუმცა... კარგად ვიცი, რომ ეს შენი კუდიანობაა, შე როკაპო, შენ! — საამური ხუმრობით დაათავა გიორგიმ. შემდეგ განაგრძო: — ამას კი რას ეტყვი? ხომ იცნობ?

— როგორ არა, ბატონო. თავადი გვირგვილიანია, საუცხოო ვაჟკაცი. — თან ლობიოს თავი ანება და სათამაშო ქალალდს სამკითხაოდ გაშლა დაუწყო.

---

* — ნუ გეწყინებათ, ეგ გაშიშვლებას უთუოდ დაჩვეულია... ჰა, ჰა!

— აა, არშიყობა არ იყოს! — შეეხუმრა ისევ გიორგი.

ატატო ქალალდის განრიგებას გაფაციცებით თვალს ადევნებდა, მაგრამ გიორგის მაინც ასე უპასუხა:

— მრხდენილი ყმაწვილი კაცის დანახვაზე ჩემისთანა როკაპსაც კი გული შეუვარდება.

სამივეს გაეცინა. უცბად ბეგის წამოცდა:

— ეს რა არის, ყვავის ტუზი? ეს ხომ სიკვდილია.

ატატო, ეტყობა, ბინაგანად თვითონაც შემკრთალი იყო, მაგრამ ხმაზე მაინც არ დაიმჩნია და მხიარულად შეაგება:

— ეგ თქვენსას კი არა, აი, იმ აგურის სალდათის სიკვდილს ნიშნავს. მხოლოდ... — აქ კი ხმა ცოტა არ იყოს დაუხალვლიანდა, — თქვენ... ვერ დაგიფარავთ და დიდი უსიამოვნება მოგელით. დიდი უსიამოვნება, მხოლოდ... მალე ჯვარს დაიწერთ. — და ატატომ მთელ დასტას მოუსვა ხელი, თითქოს მეტი არაფერი სურს გაიგოსო, და მკითხაობა მიატოვა.

გიორგიმ ჯიბეზე წაივლო ხელი, მაგრამ ბეგი შეეცილა და ატატოს „კაი ოცდახუთიანი“ დაუტოვა.

— რა ამბავშია შენი მკითხავი, კნეინა, რა ამბავში! — ქოხიდან გამოსულმა გიორგიმ მიმართა სალამოს დიასახლისს. — მითხარი, ვინ არი, თუ გიყვარდეს!

დიასახლისმა გიორგი ცოტა განზე გაიყვანა, მაგრამ მაინც ყურში ჩასჩურჩულა. გიორგიმ კი ხმამაღლა წარმოთქვა:

— არ გამიკვირდა! ეგ ხომ დიდი გამოცდილი და ცხოვრებაში გამობრძმედილი ქალია! — გაჩუმდა. დიასახლისმა იცოდა გიორგის ზრდილობის ამბავი და არ გაკვირვებია, რომ მან ატატოს სხვა არაფერი აკადრა.

* * *

დარბაზიდან დუდუკისა და დაირის ხმა მოისმა. ყველამ იქით მიაშურა და ერთ ხანს მკითხავის ქოხსაც ჩამოშორდა ბალხი, ჩვენებური ცეკვა ყველას უყვარდა. მაგრამ ამ დროს დარბაზში მარტო მიტო ცეკვავდა. მშვენიერი შემსრულებელი იყო ქართული ცეკვებისა, მაგრამ ახლა ერთს რომ კოხტად ჩამოუვლიდა და ფეხსაც წესისამებრ გაუსვამდა, უეცრად იატაკზე დაეცემოდა და რიტმულად, მაგრამ მაინც ფორთხავდა. უეცრად ისევ წამოხტებოდა, ახლა ხმალ-ხანჯალს ამოი-

ღებდა და ამითი ცეკვავდა, თან ხმალს ისე იქნევდა, რომ ბევრი მაყურებელი დააშინა და უკან დააბევინა. თვითონ კი ხარხარებდა. შემდეგ უცებ რომელიღაც მაყურებელ ქალს ხელიდან ცხვირსახოცი აართვა, ერთი შემოუარა და ცხვირსახოცი დარბაზის შუაგულ დააგდო. მერმე ცეკვა-ცეკვით უარა, უარა, ბოლოს დაიკუზა, თავი სულ იატაკთან მიიტანა და ცხვირსახოცი პირით აიღო. ამაზე ხალხმა დიდი ტაში უძღვნა, მაგრამ ბევრი კმაყოფილი მაინც არ დარჩა: ეს უფრო კლოუნადა იყო ტანმოქნილი ადამიანისა. დაგმარაც გამოსულიყო მიტოს საცქერლად და მხოლოდ ის იყო მიტოთი მოხიბლული და მოჯადოებული. დანარჩენმა უკმაყოფილოებმა მიტოს შესძახეს კიდეც: „ქნიაზ მიტო, ლეკური, ლეკური, ნამდვილი ლეკურიო (მაშინ ჯერ კიდევ არ ეძახდნენ ამ ცეკვას „ქართულს“), მაგრამ მიტომ არ შეისმინა და გამარჯვებულივით გაშორდა იქაურობას. დაინახა დაგმარა და მკლავი მკლავში გაუყარა.

ამ დროს განთქმული ქუთათური მოცეკვავე ნიკო ფალავა გამოვიდა ასპარეზზე. მისი ჩამოვლა მართლა საუცხოო იყო დინჯი, ვაჟკაცური, მომხიბლავი. ერთი-ორი ჩამოვლის შემდეგ საცეკვაოდ გამოიწვია იმჟამად ქუთაისში მყოფი ქართული თეატრის არტისტი ელო ანდრონიკაშვილი. ამ უკანასკნელის შესრულება ლეკურისა კლასიკურად ითვლებოდა და მართლაც ამ საღამოსაც თავი გამოიჩინა თავისი გოგმანით, ცეკოთი და კდემამოსილი მიხრა-მოხრით.

ხალხი კიდევ უფრო შეჭუჩდა ამ საუცხოო წყვილის საყურებლად.

მათ მართლაც საგანგებოდ შეასრულეს უჭკნობი სიყვარულის საოცნებო პოემა, ქართულის იერით გადმოცემული.

დასრულების შემდეგ ულოცავდნენ ორთავეს და ელო ანდრონიკაშვილს ხომ თვითონ საღამოს დიასახლისმა მიართვა საუცხოო ყვავილების თაიგული. ბაბო გავლენიშვილი ალტაცებული გამოეჭანა ელოსაკენ და გადაეხვია. ვამეხიც აჭ იყო და მადლობას უხდიდა.

— თქვენ ერთხელ კიდევ მაგრძნობინეთ, თუ როგორი არის ქალ-ვაჟის უზადო ტრფიალება. ხედავთ ყველანი თქვენ შემოგხარიან. აი ეს არის არტისტიზმი. თქვენ ნამდვილი არტისტი ყოფილხართ.

მაგრამ ვამეხს არ აცალეს, ელო ახლა სხვა მოხიბლულებ-

მა გაიტაცეს. ზოგს ტკბილეულობისაკენ მიჰყავდა და უმასპინძლდებოდა, ზოგს შამპანურისაკენ და არ აშორებდნენ.

ეკოციმილი მივიდა და ძალიან სერიოზულად ხელზე ჯდა. ვამეხმა ეს დაინახა და გადაულაპარაკა:

— ეკოციმილი, ეგ რა ჰქენი? გაუთხოვარ ქალს ხელზე არა კოცნიან.

ეკოციმილმა ფართოდ გაიცინა:

— რა ვიცი, გენაცვალე, გათხოვილია თუ არა, მაგრამ მაგას ხელი კი არა, ფეხები უნდა დაუკოცნო კაცმა. რა ყოფილა, შენი ჭირიმე!

ასე რომ, ელო უკვე იქცა ამ სალამოს ერთ-ერთ დამამშვენებლად.

ატატოსაც ნიღაბი მოეხსნა და ისიც კი გამოსულიყო ლუკურის საცქერლად, მაგრამ, ცეკვა დასრულდა თუ რა, ჭოხს ირიბად მოუარა და, არავის არ შეამჩნევინა, ისე კვლავ შეძვრა თავის სამფლობელოში.

* * *

ხალხი ისევ მიესია ჭოხს. მათ შორის ეკოციმილიც.

„როკაპმა“ ასე უწინასწარმეტყველა ეკოციმილს:

— რა გითხრა, ძმაო! მოვა დრო და ყველაფერს დაჰკარგავ.

ეკოციმილმა შეაწუვეტინა:

— ოჰ, ეგ მე კი არ ვიცი? რევოლუცია ქარზეა მომდგარი. საცაა ნიკოიას ჩამოაგდებენ და მე და ჩემისთანებს რაც გვაბადია რომ დავკარგოთ, რაში გამიკვირდება.

— არა, — ვითომ ქაღალდს დააკვირდა ატატო, — შეენ, — ცოტა გააგრძელა, — ერთ დროს მომღერალდა გუნდის ლოტბარი გახდები, ჰა, ჰა! ეს დრო არც ისე შორსაა.

— უმ! ეს რა კარგი მითხარი ვილაცა ხარ. თუ კაცი ვარ, ამას დავიხსომებ. შენი ჭირი შემეყაროს მე! — სამი მანეთიანი დაუდო მაგიდაზე და თვითონ ძალიან გამხიარულებული გამოვიდა ჭოხიდან.

უხაროდა:

„შეიძლება მართლა დაჰკარგოს თავადაზნაურობამ ყველაფერი. მათი უმრავლესობა დაიღუპება. მე ეს ხელობა გამო-

მადგება... ცხადია". — ასე ფიქრობდა, მაგრამ ეს არავისთვის არ გაუზიარებია.

დარბაზში ისევ ევროპული ცეკვები იყო გაჩაღებული. ფარდულები კარგად ვაჭრობდნენ, ქალალდის მოთამაშეები თუმცა დღეს შეევიწროვებინათ. ერთ პატარა ოთახში გადაეუკანათ, რადგან მათთვის მიჩენილი დარბაზი სხვა საჭიროებისათვის გამოეყენებინათ, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიდნენ და ოთხ თუ ხუთ პატარა მაგიდაზე ბაქარათი ერთიმეორეს ჯიბეს უცარიელებდნენ. ერთ დარბაზში კი ვახშმის სუფრას აშლიდნენ.

მიტო ერთჯერ კიდევ მივიდა დაგმარას ფარდულთან და იმდენი ეშუდრა, რომ დაგმარა მკითხავის ქოხთან მიიყვანა. თვითონ არ შეუყოლია, მარტო შეუშვა.

„როკაპმა" იცინო დაგმარა, მაგრამ ახლა რა უთხრას? ტყუილების ჟინი მოუვიდა: ვეტყვი სიმართლეს და სულ ერთია ვეღარაფერს გამიგებსო.

გაშალა ქალალდი. ლიდხანს უკირკიტა. გადასვა-გადმოსვა ქალალდი. ვითომ დიდად ჩაუფიქრდა და შემდეგ უთხრა:

— მალე გაიხარწნები, შვილო! შეიძლება ამაღამვე უმანკოები დაჰკარგო. ნუ გეშინია, ბიჭო კეთილია!

დაგმარას სახეზე ალმური მოედო. თუმცა კარგად ვერ გაერკვია მკითხავის ნათქვამში. თითქოს მიხვდა და ვერც მიხვდა. სასწრაფოდ გამოვარდა ქოხიდან. ფულის მიცემაც კი დაავიწყდა. დარაჯად მდგარი მიტო აედევნა. შეატყო აღელვება, მაგრამ დიდად შეეხვეწა, მითხარი და მითხარი რა გიმარჩიელაო?

დაგმარა კიდევ ვერ ერკვეოდა მკითხავის ნათქვამში და მიტოს ასე უპასუხა:

— არ ვიცი რალაცას ბოდავდა, ვერაფერი ვერ გავიგე.

— უჰ, მომიტევე, მომიტევე, გრეტხენ. მე იმიტომ მოგიყვანე, რომ ხუმარაა წყეული და მეგონა სასიამოვნო რამეს გეტყოდა. მე ვუჩვენებ მაგას სეირს.

— აჰ, კნიაზ მიტო, აბა რას ბრძანებთ, არ ღირს! — ამ სიტყვებით ჩქარა გაეცალა კავალერს და ისევ თავის ფარდულს მიაშურა.

მიტოს უნდოდა ქოხში შესულიყო ამბის გასაგებად, მაგრამ

ამ დროს ქაქან-ქაქანით ქოხში შევიდა ჭუთაისში კარგა ცნობილი ადვოკატი კალისტრატე ჩიკვაიძე.

— ოჰ, ბატონო კალისტრატე, თქვენც ჩემთან ნოქრობართ? თქვენ რომ მკითხავი არ გწამთ?

— არ მწამს, ყმაწვილო, მარა დღეს თქვენზე ისეთ რამეს საოცრებას ამბობენ, რომ მეც გულმა არ მომითმინა. ძალიან მიგნებულად მკითხაობთ თურმე.

— მერმედა თქვენ რალამ შეგაწუხათ, ბატონო? ქალალდში ხომ არ წაგიგიათ?

— იმე, ბოშო, წავხვედი და მერმე რავა, თუ იცი? სულ კუდის რიკამდე გამატყავეს იმ ოხრებმა.

ატატომ გაიცინა:

— მაშინ მე კი არ გიმკითხავებთ, ერთ რჩევას მოგცემთ.

— ჰოდა მიშველე, გენაცვალე!

— თქვენ, ბატონო კალისტრატე, კარტი გცნობთ.

— როგორ თუ მცნობს?

— ასეა, ბატონო, თუ დამიჯერებთ.

კალისტრატეს არ სჯეროდა, მაგრამ მაინც ატატოს კუდიანობამ დააინტერესა.

— კარგი, ვთქვათ, დავიჯერე.

— მაშინ, ბატონო კალისტრატე, კარტის საითამაშოდ რომ მიხვალთ, სულ სხვაგვარად უნდა მოირთოთ, კარტმა კი არა, კაცმაც ვერ გიცნოს და... მაშინ წააგებთ კი არა, კარგა ძალსაც მოიგებთ.

— უჰ, შენ კი გენაცვალოს მთელი ჩიკვაიძეები, შენი რჩევა დამიჯდა ჭკუაში. თუ ბიჭი ვარ, ახლავე წავალ საწლში, სულ სხვაგვარ მოვირთვები და შენს რჩევას შევასრულებ.

— ახლავე? — ვითომ შეშფოთებით შეეკითხა ატატო.

— რავა, არ ვარგა? — შეშფოთდა კალისტრატეც, მაგრამ ატატომ უკვე შეუვალად უთხრა:

— რატომ? სცადეთ.

კალისტრატე გამხნევდა. თუ რამ ხურდა ჰქონდა ჯიბეზე, ატატოს დაუტოვა გასამრჯელო და თვითონ მართლა მოჰკურცხლა შინისაკენ.

* * *

თავადი ჩიჯავაძე კიდევ ბობოქრობდა:

— არა, ნამდვილად წავხდით და გადავგვარდით თავადაზნაურობა!

— რა იყო, რაზე ბრძანებთ?

— როგორ თუ რაზე ვბრძანებ, ეს არის ბუფეტში ვიყავი და რა ვნახე: ჩვენი ახალგაზრდა თავადები შემოსხდომიან სუფრას და შუაში თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი იზვოშჩიკი მელია ჩაუსვამთ.

აქა-იქ გაიცინეს:

— ო-ო, ეგ უთუოდ მელია მასპინძლობს და იმიტომ.

— მერმედა, ყმაწვილო, როგორ ეკადრებათ, იზვოშჩიკთან ჭერი და ისიც სათავადაზნაურო ბაღში. ან როგორ შემოუშვეს მელია კლუბში? სულ თავგზა დამებნა: თეატრში ბუნტი, ჩვენ ნადიმზე ვიგინდარები. მარშალი სად არის, მარშალი? — მის საძებრად გაეშურა.

ზოგიერთი კი ბუფეტისაკენ წავიდა, რომ შორიდან მაინც შეეთვალიერებინა მელია და მისი კამპანია.

ჩვეულებრივი სუფრა იყო. არც ყვიროდნენ, არც ბღაოდნენ. ნელ-ნელა პატარა ჭიქებით სვამდნენ ღვინოს. ეტყობა, მელია თამადობდა და მახვილსიტყვაობით აცინებდა იქაურობას. თან ფეხზე წამომდგარი კარგი სანახავი იყო მისი იმპოზანტური ნაკვთი. გრძელი, წაბლისფერი წვერები, ფართო მხარ-ბეჭი, თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, უთუოდ შესანიშნავი იყო.

მელიამ შეამჩნია, რომ მის სანახავად მოდიოდა ხალხი, ერთი ჩაიცინა და დაწყებული სადღეგრძელო დალია. ის იყო ჯდებოდა, რომ სალამოს დიასახლისმა ჩამოიარა კლუბის მამასახლისთან ერთად. მელია კვლავ წამოდგა ფეხზე და კარგა ხმამაღლა მიმართა:

— კნეინა ბატონო! ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ერთ წამს უნდა შეგაწუხოთ.

დიასახლისი შეჩერდა. მელიამ განაგრძო:

— კარგად ვხედავ, რომ ზოგს ჩემი აქ ყოფნა არ მოწონს. მართალია, მეეტლე ვარ და ყველას გემსახურებით, მაგრამ აქ შეშფოთების უფლება კი მაქვს. აქ, ბატონო, ჩვენი საქალაქო

ჯლუბია. მარტო თავადაზნაურობის კი არ არის. თქვენ ჩუ მიბრძანებთ, მე ახლავე წავალ.

— არა, ჩემო მელია, — ლმობიერად მიაგება საღამოს დია-ხახლისმა, — ბრძანდებოდეთ.

და ფრაზა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ლაპარაკში ისევ მელია შეეჭრა:

— კნეინა ბატონო, მეც მესმის, რომ ეს საღამო საქველ-მოქმედოა და მეც მინდოდა ჩემი წვლილი შემომეტანა, მაგრამ, თუ ეს საწყენია.

— არა, არა, ვინ გითხრათ? იყავით, იყავით, ოღონდ ამ ყმაწვილებს მაინცდამაინც ნუ დამითრობთ, — გაიღიმა კნეინამ.

ამაზე ყმაწვილებმაც მიაძახეს:

— არა, არა, კნეინა ბატონო.

კლუბში კი ჯგუფ-ჯგუფად ლაპარაკობდნენ. კნეინაზე ამბობდნენ ლიბერალი ქალიაო, ზოგიც ამტკიცებდა, მელია თვითონ არის აზნაური, რა ვუყოთ რომ მეეტლეაო. ვოლკოვმა კი, ეს ამბავი რომ გაიგო, გესლიანად გადაულაპარაკა მასთან მდგომ რუს მოხელეებს:

— Вот вам привилигированное сословие! Вот вам грузинское... ха, ха... доблестное дворянство!*

მაგრამ ამისათვის უმეტესობას ყურადღება არ მიუქცევია. ვოლკოვიც დაგმარასთან მივიდა და მაზურკაზე გაყოლა სთხოვა, მაგრამ დაგმარამ უარი უთხრა — დაკავებული ვარო. ვოლკოვი არ ეშვებოდა, ისიც გაიხსენა, რომ ცოლად მითხოვებაზე უარი ჰქონდა ნათქვამი ორთავ დედა-შვილისაგან, მაგრამ ცეკვას მაინცა სთხოვდა. დაგმარასაგან საბოლოოდ უარი მიიღო.

ასეთივე უარი მიიღო დაგმარასაგან ნვითომაც. არც ამას გაჰყვა დაგმარა საცეკვაოდ. ხვითო გაოცებული იყო. შეატყო კი, რომ დაგმარა არ იყო თავის ჭერქში. იღიმებოდა, ზრდილობიან პასუხსაც იძლეოდა, მაგრამ თითქოს აქ არ იყო, სადღაც შორს ფრენდა მისი გონება. და აი, უეცრად გამოჩნდა მიტო. ახლა ამან გაიწვია დაგმარა საცეკვაოდ. ამას კი დაგმარა უსიტყვოდ გაჰყვა. ხვითო ამაზე კიდევ უფრო გაოცდა: ნუთუ მი-

* — ესეც თქვენი უფლებამოსილი წოდება! ესეც თქვენი საქართველოს... ჰა ჰა... საბელოვანი თავადაზნაურობა!

ტოო. — ფიქრობდა, ვაგრამ არა სჯეროდა: სად! ხეი-რიანადაც ვერც კი იცნობს, ან რა მისი შესაფერია!“ — და ერთ ხანს გამოშტერებულივით იყო.

* * *

სცენის კულისებში ერთად შეჯგუფულიყვნენ ტრაფიმი, სერგო ჭელიძე და ერთი პატარა, 12 — 13 წლის ბიჭი.

რაღაზედაც თათბირობდნენ და ბიჭს დიდი დარბაზის ქორედზე* უთითებდნენ.

— იქ ახვალ, წინა რიგებში დადგები და როცა დრო დადგება, შენი საქმე უნდა გააკეთო.

მათთან მოვიდა პორტფელით ხელში ტრაფიმის და ჭელიძის ჯგუფში მომუშავე ახოვანი დალაქიშვილი, იცინოდა, მხიარულად იყო.

— დღეს თეატრში რაც კი ხალხს და პოლიციას გადაურჩა გადაყრილი პროკლამაციებისაგან წაუღებელი, სულ აგერ არის თავმოყრილი. — და პორტფელს ხელი დაჰკრა. შემდევ იკითხა: ვახშამი ჯერ არ დაუწყიათ?

— არა ჯერ.

გადაწყდა: ტრაფიმი სინათლეს ჩააქრობდა მთელს შენობაში და ამ დროს დალაქიშვილი, სერგო და პატარა ბიჭი ქორედიდან დარბაზში პროკლამაციებს გადაჰყრიდნენ.

ბიჭი არ ვიქნები, თუ პროკლამაციები გუბერნატორს შიგ დრუნჩში არ მოვარტყიო, გაიძახოდა დალაქიშვილი, როცა უთხრეს, რომ გუბერნატორი წავიდაო, ეწყინა, მაგრამ საერთო განწირავისათვის თავი მაინც არ დაუნებებია.

ეს „საერთო“ განწირავა კი აქ შეკრებილ ჯგუფს არავისაგან არ ჰქონდა დავალებული. ეს აზრი მათ მხოლოდ თეატრი როდი დაცარიელდა და პროკლამაციები იქ გაბნეული საქმაოდ რომ დარჩა, მაშინ დაებადათ.

და მათი აზრით რა იყო აქ ცუდი, გაიძახოდა ტრაფიმი და თან ჩუმად ხითხითებდა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ეს თითქო „ცელქობა“ პოლიციისათვის „თავხედობა“ იყო და ეს ძალიან ახარებდათ.

---

* ქ ო რ ე დ ი — მომღერალთა გუნდისა და მემუსიკეთა ჭანდარასებური აივანი დარბაზში, ეკლესიაში.

* * *

საღამოს მსვლელობა კი მიდიოდა თავისი წესით: ერთ დარბაზში ცეკვა იყო გაჩაღებული, მეორეში ფარდულები ჯერ კიდევ მუშაობდნენ, ერთ ოთახში ქალალდს თამაშობდნენ. შორდაშიგ მოდიოდნენ და ერთიმეორეს ემასლაათებოდნენ, ზოგან რომელიმე კუთხეში ცხარედ კამათობდნენ, ეს უფრო ადგილობრივი ადვოკატები და სხვა ინტელიგენტი ხალხი, რომელთა კამათის საგანი იყო ქალაქის საბჭოს სხდომები, ბანკის წარმოების საქმე და თავადაზნაურთა მომავალი არჩევნები, რომლის მიზეზი ახლანდელი გუბერნიის მარშალი და ხვალინდელი კანდიდატი ამავ თანამდებობაზე თავადი სიმონი იჯდა მისაღებ ოთახში და გარს ეხვია სხვადასხვა დარბაისლები. არავინ ხვალინდელ კენჭისყრაზე არ ლაპარაკობდა, თითქოს იხსენებდნენ ერთ ფრანგულ ანდაზას: ჩამოხრჩობილის სახლში თოკს არავინ არ ახსენებსო, და უფრო მსუბუქი ანეგდოტებით ირთობდნენ თავს. ზოგან კიდევ ჭორიკანობდნენ, უფრო შანდილოსნები, ახალგაზრდა ქალიშვილები იმ დროს წესისამებრ თვალებმინაბულები და ლოყაწამოწითლებულები ისმენდნენ ახალგაზრდა კავალრების ქათინაურებს.

ერთგან ერთი ჭაღარაშერეული ინტელიგენტი უმტკიცებდა თავის მოსაუბრეებს:

— არ არის, ბატონო, არა, ცოლქმრობის ამბავი ჩვენში კარგად მოწყობილი.

საუბარი შეეხებოდა ერთ თვალსაჩინო ოჯახს, რომლის წევრებიც — ცოლი და ქმარი — იმ დღეებში ერთიმეორეს დაშორებოდნენ.

ჭაღარას მეორე შეეხმაურა:

— შენ კი გგონია, სხვაგან უკეთესად არის?

ჭაღარამ მაშინვე გასცა პასუხი:

— სხვაგან არ ვიცი და აქ რასაც ვხედავ, გულის ამრევია ამ დარგშიაც. არც ერთგულება, არც შეთანხმებული ცხოვრება. ერთის მხრივ, ეჭვიანობა, ზოგჯერ სრულიად უსაბუთო, მეორეს მხრივ. დაუზოგავი თავაშვებულება, აქა-იქა თუ ნახავთ მშვიდ ოჯახს, სადაც მყუდროება და ერთიმეორეში სიამტკბილობა სუფევს. დიდი უმრავლესობა აფორიაქებულია სულიერად და სხეულებრივადაც.

— მაგ საკითხსაც რევოლუცია გადაჭრის, — ჩაერია საუბარში ერთი ახალგაზრდა.

— შენს პირს შაქარი, მაგრამ საერთოდ ადამიანებს რომ ვუკვირდები, ძნელი მოსაგვარებელი იქნება.

— შენ უკვირდები დღევანდელ ადამიანებს, — კვლავ პირველმა მოპასუხემ შეუბრუნა.

— მაშ ვის? მე მთვარეზე მცხოვრებლებს ვერ ვიცნობ. ის კი არა, ვიღაცა მარწმუნებდა — მთვარეზე არაფერი სულდგმული არ ცხოვრობსო. ჰოდა, აგაშენოს!- მე აქაურ მიწიერ სულდგმულს ვგულისხმობ.

— შენ რომ ამბობ მიწიერიო, — კვლავ შეესიტყვა პირველი მოსაუბრე, — ის წარმოშობილია იმ სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური პირობების გამო, რომლებიც დღეს არსებობს და რომელთა სიდუხჭირეს დღეს თითქმის ყველა გრძნობს და განიცდის. რევოლუცია კი, რაკი ამ სიდუხჭირეებს მოსპობს, ეგ საკითხიც — ოჯახისა, ქალისა და ვაჟის ურთიერთობისა თავის თავად გადაიჭრება. ასე არ არის, ჩემო ბატონო? — მიმართა ახალგაზრდას. იმანაც ღიმილით თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— მერმედა რატომ არ დაგვისახავენ იმის სურათს, — არ ცხრებოდა ჭალარა, — თუ როგორი იქნება მომავალი ოჯახი?

— ჩემო მეგობარო! რევოლუციონერები და განსაკუთრებით მარქსისტები უბრალო მეოცნებენი კი არ არიან, არამედ მეცნიერების საფუძველზე მოაზროვნენი. ასე არ არის, ჩემო ბატონო? — კვლავ მიმართა მოსაუბრემ ახალგაზრდას. იმან კვლავ ღიმილით თავი დაუქნია. მოსაუბრემ განაგრძო: — იმათ მთავარი და სწორი გეზი აქვთ დასახული და...

— ჰო, ჰო, გავიგე, — წარმოთქვა ჭალარამ, — დეტალების თავი არა აქვთ. მათ მხოლოდ თავიანთი კლასის განთავისუფლება აინტერესებთ და სხვა არაფერს არ დაგიდევენ. არ დაგიდევენ იმასაც, რომ ამჟამად დღევანდელ ოჯახში იხრჩვება ინდივიდუმი, — ორივე სქესის პიროვნება და ესეთებმა როგორ უნდა ალზარდონ მრთელი და ჯანსაღი თაობა?

— ეგ კაცი, ძმაო, ძალიან დაჩაგრული უნდა იყოს ოჯახში და შეიძლება საერთოდ ქალებისაგან! — ეს თითქოს ჩუმად გადაულაპარაკა თავის მეზობელს ერთმა იქ მყოფმა, რომელიც

აქამდე ჩუმად უგდებდა ყურს მოსაუბრეებს, მაგრამ ჭალარამ მაინც ყური მოჰკრა და მაშინვე გამოეხმაურა:

— ჩემზე ბრძანებთ? ეგ კერძო ამბავია, მაგრამ მე შაქვს „თვალნი ხედვათ და ყურნი სასმენად“.

ამ დროს სიმღერითა და სიცილ-ხარხარით ოთახში შემოცვივდნენ ეკოციმილი და რამდენიმე ცქრიალა გოგონა.

ეკოციმილი წინ შემოიჭრა. გოგონები კი მოსდევდნენ სახუმარო სიმღერით რუსულ ენაზე: «Прицепил я тебе жесть, жесть!»*

ეს სიმღერა ამოღებული იყო ოპერა „ტრავიატას“ მეხსამე მოქმედებაში გუნდის სიმღერიდან და ქუთაისში სახუმარო კუპლეტების სათქმელად მიეჩვიათ. მღეროდა ცა და ქვეყანა, ქუჩაში, ოჯახებში, საკრებულოში, ყველგან განსაკუთრებით თუკი ქალიშვილებიც ერიენენ შეკრებულებაში.

აქ კი, როცა თავისებური ხუმრობით საქმე გაუჭირვა ეკოციმილმა ქალიშვილებს, იმათი მოულოდნელად მიცვივდნენ და უძღერეს „ჟესტი“. ეკოციმილი ვითომ გაუსხლტა ძათ. ისინი კი დაედევნენ და მოსაუბრეებთან ამოყვეს თავი. აქ უკვე თვითონ ეკოციმილი მოუბრუნდა გოგონებს და სათითაოდ სიმღერით ჩამოურიგა ყველა გოგოს „ჟესტი“, რამაც გამოიწვია ყველა იქ მყოფის ჟივილ-ხივილი და, როგორც მთერლები იტყვიან, სიცილ-ტკვარცალი.

* * *

გამოეძებნათ ერთი მოხერხებული ადგილი და ცალკე მიშჯდარიყვნენ რიაბინინა, ბაბო გავლენიშვილი და ვამეხი. მათ თავს აღგნენ ბეგი და ხვიტო. ორატორობდა რიაბინინა. ბაბო და ვამეხი ყურადღებით უსმენდნენ, ბეგი კი თითქოს ყლაპავდა მარინას ყოველ სიტყვას. საერთოდ მარინა მის თვალში თანდათან მაღლდებოდა და გარდა მისდამი მოურევნელი გრძნობებისა, ბეგის იზიდავდა რაღაც სხვა უფრო მაღალი რამ შეგნება. მარინასაგან, მისი აზროვნებისა და საქციელისაგან ამოძრავებული თითქოს სულ ახალი ქვეყანა იშლება მის თვალთა წინაო და ბეგის თანდათან უმტკიცდებოდა ის აზრი, რომ ისიც აზროვნებით ისე ამაღლებულიყო, როგორც მარინა,

---

* „მოგაბი მე შენ თუნუქი, თუნუქი!“.

რომ ბევრი რამ, რაც მას ვერ გაეგო მარინას მსოფლმხედველობიდან, მისთვისაც გასაგები გამხდარიყო და კარგა შეეთვისებინა. ახლაც ასე შეფრფინვით შესცქეროდა მარინას.

ხვითო კი ლამაზ პოზაში იქვე ახლო მდგარ რაღაც მაღალ ტუმბას დაყრდნობოდა და ტუჩამრეზით უსმენდა მარინას.

მარინა ამბობდა:

— თანამედროვე ქალი არამცთუ მარტო გონებით არის მამაკაცის თანასწორი, არამედ ის ზნეობრივად უფრო მაღალია მამაკაცზე. ქალი მამაკაცით სიყვარულში თავის ვნებათა ღელვის წუთიერ დაკმაყოფილებას კი არ ეძებს, არამედ მიესწრაფვის კაცობრიობისადმი თავისი მოვალეობის აღსრულებას.

აქ ხვითომ ხმა აიმაღლა:

— ოტო ვეინინგერი კი სულ სხვა აზრის არის, იცნობთ ვეინინგერს? — მიმართა ხვითომ ვამეხს.

— არა, არ ვიცი, ვინ არის, — ნელა შეეპასუხა ვამეხი.

— ო-ო, დიდ მოდაშია ახლა, დიდი მოაზროვნე იყო. სრულიად ახალგაზრდამ, 23 წლისამ მოიკლა თავი. ის ამბობდა ერთ თავის ნაშრომში სრულიად საწინააღმდეგოს, ვიდრე აქ ითქვა ახლა. ის ამტკიცებდა, რომ მამაკაცი ქალზე სულიერად უპირატესია, რომ ქალი განსაკუთრებით სქესობრივი არსებაა და სხვა არაფერი. ამიტომაც ის ქალთა ემანსიპაციის დიდი მოწინააღმდეგე იყო.

ბაბომ და ვამეხმა მარინას გადახედეს. მაგრამ ის უკვე გარინდებული იყო, თითქოს სულ სხვა რამეზე ფიქრობს და ხვითოსთვის ყური არც კი დაუგდიაო.

ალარც ხვითოს დაუცდია. შებრუნდა და მიმავალმა თითქოს თავისთვის ჩაიბუტბუტა:

— არ მიყვარს ჭკვიანი ქალები!

ბეგემ გაიგონა. მიმავალ ხვითოს თვალები გადაუბრიალა და უნებლიედ ხელი ხანჯლის კოტაბაკენ წაუვიდა.

ამ დროს მათ წინ ჩამოიარეს მოკეკვავეებმა, ზოგს ახლა დაესრულებინა ცეკვა, ზოგი ემზადებოდა. ჩამოიარეს სხვებმაც: აქ იყვნენ ჭუთათური ლამაზმანები, რუსი ოფიცრობა, ჩვენებური ჩოხოსნები, ხანდაზმულები, ახალგაზრდები. კარგი სანახავები იყვნენ კოხტად მორთულ-მოკაზმულები. მათ დანახვაზე რიაბინინა თითქოს ფიქრებისაგან გამოერკვა, მიმართა უფრო გავლენიშვილს:

— როცა ასე ბრწყინვალე შეკრებულებაში ვიმყოფები, ასეთ დართულ და მოკაზმულ ხალხში, როცა შევცქერი მათ ნაძალადევს, ხელოვნურს ღიმილს და მესმის მათი მდარე ხარისხის საუბარი, გაცვეთილი ფრაზები, როცა ვუყურებ მაქმანით, ბაფთით და ყვავილებით მოფარულ ჩემს უცნობს თუ ნაცნობ ქალებს, სევდა შემიპყრობს ხოლმე. თვით ჩემი ნაცნობებიც, განურჩევლად სქესისა, ისე უბუნებოდ გამოიყურებიან, რომ მათი შემხედვარეც ვწალვლიანდები. მაშინ საშინელ სიცარიელეს ვგრძნობ, მარტოობას და არასოდეს ისე არ განვიცდი ცხოვრების ნაკლულევანებას, არარაობას, როგორც ამ წუთებში.

ბაბო და ვამეხი ყურს უგდებენ, მაგრამ ბეგი კიდევ უფრო მეტად გაკვირვებული იყო:

— საკვირველია! მარინას ასე უყვარს საზოგადოებაში ტრიალი, ადამიანები, მეტად თანაზიარი ადამიანია და ამას რას ამბობს? მეც ძალიან მიყვარს შეკრებილებაში ყოფნა. რა ვქნა, რატომ არ მესმის მისი აზრი, რა უნდა ამით თქვას? აჰაა, მგონი, მივაგენი. მაგას არ მოსწონს სიყალბე, თვალთმაქცობა ადამიანების. აკი თქვა ნაძალადევი, ხელოვნური ღიმილიო... ასე უნდა იყოს, ასე, — დაუდასტურა თავის თავს ბეგიმ და ისევ მარინას დაუგდო ყური.

— თუმცა მე მიყვარს ესეთი ჩემი განცდა, ესეთი ჩემი შეგრძნობა. მიყვარს ეს მაღალი წოდების ხალხი, მისთვის, რომ მძულდეს... კარგად გამიგეთ?

ბაბომ სათნოდ გაუღიმა. ვამეხმა თავი დაუქნია. ბეგიმ ვერ გაიგო: რა არის ეს? თუ უყვარს, როგორა სძულს? გააზსენდა: — ოდესღაც წაკითხული ჰქონდა — „მიყვარსა და მძულს, მძულსა და მიყვარს“. მაგრამ აკაკი წერეთლის ამ ფრაზისაც ვერაფერი გაიგო ბეგიმ. ახლა გაოცებული იყო.

მარინა განაგრძობდა:

— მიყვარს იმის განცდა, თუ როგორ აჟღერდება ჩემს სულში ყველაზე უფრო სევდიანი სიმები, როდესაც მე ქვეყნის ესეთ ამაოებას შევეხები.

ბეგი კიდევ უფრო ჩაუღრმავდა თავის ფიქრებს:

„არა, არა, მე უთუოდ უნდა მესმოდეს მარინასი, ჩემი მარინასი, ჩემი ღვთაების. მე უნდა შევიქნე მისი მოწაფე, ის ჩემ მასწავლებელი. ამას არ ვეტყვი. მაგრამ ეს ასე იქნება. ჰა,

ჰა! — კინაღამ ხმამაღლა ვაეცინა. ხულ სხვა რამეზე გადაუვიდა ფიქრი: — ტანისამოსს გამოვიცვლი. ამ ჩოხას გადავაგდებ და ევროპულად ჩავიცვამ". — დაიხედა წელქვევით. მისი მოსირმული წუდა-მესტები ცოტა დაენანა, მაგრამ ამაზე ფიქრი აღარ შეუჩერებია.

* * *

ამასობაში ქალალდის გახურებული თამაში იყო მიჩენილ ოთახში.

უეცრად უცნაური მორთულობის კაცი შემოვიდა: ეცვა გრძელი, სალამური ხალათი, ეჭირა გრძელი ყალიონი, თავზე ეხურა ქალის იარაღჩინი, ფეხები ფოსტლებში ჰქონდა გაყრილი.

პირველ ხანად მოთამაშეები ისე იყვნენ გართულნი, რომ არავის შეუმჩნევია ამ კაცის შემოსვლა, მაგრამ როდესაც ერთ მოთამაშეს ხალათიანი კაცი თავზე დაადგა, აიხედა და ჯერ განცვიფრდა, შემდეგ კი წამოიძახა: უი, უი, შენ დაგწყევლა ღმერთმაო, და თან სიცილით ყველას ანიშნა, ერთი შეხედეთო.

აიხედეს და ყველას სიცილი წასკდა. ერთმა კი წარმოთქვა:

— წვერები ვერ დაუმალავს, წვერები, თორემ კაცი ვერ იცნობს.

მეორე შეეჭრა:

— კაცო, ეგ ხომ...

მაგრამ ხალათიანმა დათავება აღარ აცალა:

— ჩმ!.. თუ ღმერთი გწყალთ, ჩემი სახელი არ ახსენოთ. ეგების კარტმა ვერ მიცნოს.

ეს კალისტრატე ჩიკვაიძე იყო. ატატოს რჩევა ზუსტად შეესრულებინა.

მოთამაშეებში ატყდა სიცილ-ხარხარი. ეს ამბავი მოედო მთელ კლუბს და დიდი მხიარულება შეიტანა იქ-დამსწრეებში.

* * *

ვახშმის მსურველი ბევრი აღმოჩნდა. მთავარ დარბაზში ორი დიდი სუფრა გაიშალა და ცალკე ოთახებშიაც დაიდგა ცალ-ცალკე მაგიდები.

დიასახლისში გახარებული იყო, რადგან ვახშმის შემოსავლიდანაც კარგა უხვი ნაწილი დარჩებოდა.

ის იყო სტუმრები უნდა დამსხდარიყვნენ და ეძგძდნენ ერთიმეორეს, რომ ვისაც ვისთან უნდოდა. იმასთან მოხვედრილიყო, ამის გამო ზოგი მიდი-მოდიოდა, ზოგი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა და ელოდებოდა თავისიანს, ზოგი უკვე ჯდებოდა. საერთოდ კი სუფრის გარშემო ხალხი ირეოდა. სწორედ ამ დროს სხვების შეუმჩნევლად ატატო მივიდა დიასახლისთან და ცალკე გაიხმო.

მან სთხოვა, რომ დიასახლისს მისგან ქოხში შეგროვილი ფული ჩაებარებინა. დიასახლისს გაუკვირდა:

— რა იყო, რა ამბავია, რა გაჩქარებს?

— მაჩქარებს ის, რომ უსათუოდ უნდა წავიდე და...

— რატომ? რისთვის?

— მიტომ რომ აქ მიცნობენ, რომ ქოხში მე ვიყავი და დღეს ბევრს ისეთები რამ ვუთხარი, ხეირს არ დამაყრიან.

— ოჰ, ბეჩა, ატატო, მაგას რა ყურადღებას აქცევ. ყველამ იცის, რომ შენ ხუმრობდი და...

— არა, გენაცვალე, არა. ამალამ მე აქ არ დამედგომება.

— ვახშამი, ქალო?

— ჰოდა სწორედ ვახშამზე ვერ დავრჩები. გენაცვალე, ძალიან გეხვეწები ფული ჩაიბარო.

დიასახლისმა შეამჩნია, რომ ატატო დაბეჯითებით თხოულობდა გაშვებას და თუმცა ერთი კი უთხრა, ამალამ რომ ვერ გაბონ, ხვალ ხომ მაინც გაიგებენ, რომ შენ იყავიო, მაგრამ სვალის დარდი აღარ იქონია ატატომ და თავი გაითავისუფლა.

კიბისკენ რომ მიდიოდა ატატო, მიტო დაეწია. ჩაჰყვა სულ ჭუჩამდე, მონახა ერთი ნაცნობი მეეტლე, მოელაპარაკა, ფული მისცა, შემდეგ ჩასვა ეტლში ატატო, ხელზე აკოცა და გაისტუმრა მაღლაკისაკენ. თვითონ კვლავ დარბაზში შებრუნდა, მოძებნა დაგმარა და ბარონესას ახლოს, თვალსაჩინო ალაგას გვერდით მოისვა. ბარონესას გვერდით ბეგი უჯდა და მარინა, მათ პირდაპირ კი დასხდნენ ბაბო და ვამეხი.

ერთი დიდი სუფრის თავში გუბერნიის მარშალი დაჯდა, გვერდით ერთი მხრით კურინის პოლკის მეთაური, გვარად პოდპოლკოვნიკოვი, მოისვა და მეორე მხრით კიდევ ვიცეგუბერნატორი ბარონ ფონბრიუგენი. მარშალმა ერთ ხანს გირგი

შარვაშიძეს დაუწყო ძებნა, ფერწე ცოტა ხნით კლუბიდან გავიდა, დაიბარა კი, რომ ამ ერთ საათში ისევ დაბრუნდებოდა.

მარშალი მიხვდა, რაშიაც იყო საქმე. გიორგიმ კარგად იცოდა, რომ ესეთ თითქმის ოფიციალურ შეკრებულებაში პირველად უთუოდ ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოს დალევდნენ და აირიდა ამ სადღეგრძელოს შესმა. აირიდა იმიტომ, რომ ხელმწიფის კარზე ბოლო ხანებში გიორგი შემომწყრალი იყო. მიხვდა ამას მარშალი, მაგრამ არავის არაფერი უთხრა.

დიასახლისი ერთ ხანს თავს დასტრიალებდა როგორც თავისი ქმრის სუფრას, ისე სხვა მაგიდებსაც. სთავაზობდნენ — არა ჩვენთან დაბრძანდი, არა ჩვენთანო. მაგრამ ის იმიზეზებდა, ფარდულების ანგარიში უნდა ჩავიბაროო, და კარგა ხანს არსად დამჯდარა.

პირველ ხანებში მხოლოდ წელი ხმაურობა მოისმოდა მაგიდებიდან, თეფშებისა და დანა-ჩანგლის ჩხრიალი, ნელი ბუტბუტი ადამიანებისა ერთიმეორეში, სადღაც წუთიერი ჩაკისკისება ქალისა და კვლავ წესიერი მსკლელობა პურადღებისა.

აგერ მარშლის სუფრაზე მარშლისავე სურვილით თამადად თავადი ჩიჯავაძე აირჩიეს. ამაზე სუფრა ცოტა ახრიალდა. ზოგი ფეხზე წამოდგომით ულოცავდა ახლად არჩეულს, აშისათვის სკამების გაჩოჩებ-გამოჩოჩება იწვევდა ხმაურს, ზოგიც ჭიქას ჭიქაზე უჯახუნებდა ჩიჯავაძეს. ბოლოს, ყველანი რომ დალაგდნენ, ოფიციანტებმა იმერულად ჭინძიტა და ძმრით შეკაზმული მოხარშული ზუთხი ჩაბრატვრეს. ოფიციანტებს ევროპული ფრაკები ეცვათ და ხელებზეც თეთრი ხელთათმანები. ცდილობდნენ ზრდილობიანად და მოხდენილად მიერთმიათ საწოვაგე სტუმრებისათვის.

ჩიჯავაძე შეუდგა თამადობას და, უწინარეს ყოვლისა, გამოითხოვა მის სუფრასთან მსხდომთა ნებართვა, რომ რაკი სხვა სუფრებიც გაშლილია და ცალ-ცალკე სხედან სტუმრები, მათაც თავთავიანთი თამადები აირჩიონ, მხოლოდ მთავარ სადღეგრძელოებში ერთიმეორეში ურთიერთობა გვქონდესო; ეს ყველამ მოუწონა და მისმა წინადადებამ ყველგან გაჭრა.

ამის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელმწიფე იმ-

პერატორის სადღეგრძელო ასწია და სხვათა შორის თქვა, რუსხელმწიფე იმიტომ კი არ არის ჩვენი ხელმწიფე, რომ ის საერთოდ რუსეთში შემავალი ხალხის ხელმწიფეა, არამედ ის პირდაპირი, კანონიერი მემკვიდრეა საქართველოს მეფეებისა, საქართველოს მეფედ აცხადებს თავის თავს, ასე უწერია კიდეც თავის ტიტულში: თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი თავადი ფინლიანდიისა და სხვ. ამ სხვებში ჩვენც ვურევივართ — მეფე საქართველოსიო.

ეკოციმილმა მეზობელს ჩუმად გადაულაპარაკა: უბედურებაც ეგ არის — ამ „და სხვებში“ ვურევივართ და ჩვენს ხელს თითქმის არასოდეს არ აცხადებენო.

ჩიჯავაძე კი განაგრძობდა:

— და აი, როგორც მეფე საქართველოსი, გავბედავ და განვაცხადებ, რომ მისი უდიდებულესობა ცოტა მეტ ყურადღებას უნდა გვაქცევდეს ჩვენ, ქართველ თავადაზნაურობას.

„მარტო თავადაზნაურობა? ხალხი?“ — კინალამ ხმამაღლა წამოცდა ვამეხს, მაგრამ თავი შეიკავა.

ჩიჯავაძე კვლავ ენაწყლიანობდა:

— თუმცა არ ითქმის, რომ ჩვენ მისი მოწყალება გვაკლდეს, მაგრამ ახლა თუ მართლა ჩვენი უქვეშევრდომილესი თხოვნა შეიწყნარა და სპეციალურად ქართველ თავადაზნაურთა შვილებისათვის კადეტთა კორპუსი დაგვიარსა, ეს მისგან დიდი საჩუქარი იქნება, კნიაზ ვამეხ! — ვითომ არაფერი იცისო, ჩიჯავაძემ მაინც „კნიაზობით“ მიმართა ვამეხს, — თავს რატომ იქნევთ. ვიცი, თქვენ და თქვენისთანა ინტელიგენტებს უნივერსიტეტი გინდათ.

— მე არაფერს არ ვლაპარაკობ! — მხრები აიჩეჩა ვამეხმა.

— თქვენ არ ლაპარაკობთ, მაგრამ ვიცი, რომ თქვენ თანაუგრძნობთ იმ აზრს: ჩვენი ინტელიგენცია სულ უნივერსიტეტის დაარსებაზე წერს... იმ დღეს ძალიან წავეკიდე დათა მიქელაძეს ამის შესახებ. უნივერსიტეტი, ბატონებო, ჩვენს ახალგაზრდობას რყვნის, სოციალისტებს გვიზრდის და შემდეგ სტუდენტობა ხალხს გვიბუნტებს.

აქა-იქ სიცილი გაისმა.

— ეგ არაა სწორი, არა! — წამოიჭოჭრნენ ზვითო და სხვა იქ დამსწრე სტუდენტობა.

— ეგ მერმე გავარჩიოთ. ახლა კი წადღეგრძელოს დამთავრება მაცალეთ. ამდენი ხანია ფეხზე მყავს დამდგარი ეს საპატიო ხალხი.

და მართლაც: რაკი იმპერატორის წადღეგრძელო თამადამ თავიდანვე დააწაწყელა, ყველანი, დიდი და პატარა, გაუნძრევლად ფეხზე იდგა.

— და იმას ვამბობ, რომ ჩვენ სამხედრო სწავლა გვჭირდება. თავიდანვე ჩვენ, ქართველები, მეომრები ვიყავით, ჩვენი წინაპრები მთელ თავიანთ სიცოცხლეს თითქმის ბრძოლის ველზე ატარებდნენ, ჩვენს შვილებსაც ასე მოუხდებათ. ბევრი ჰყავს მტერი რუსხელმწიფეს, ჩვენს მეფეს და საქართველოს ხომ მტრად ერთი ოსმალეთიც ეყოფა. ამიტომ-ღმერთმა გვიდღეგრძელოს სრულიად რუსეთის იმპერატორი და საქართველოს მეფე, ჩვენი მხედართმთავარი ნიკოლოზ მეორე!

ანიშნეს და სამხედრო ორკესტრმა „ღმერთო, ფარვიდე მეფესა“ დაუკრა.

ჰიმნის შემდეგ, ყველანი ისევ რომ ჩამოლაგდნენ თავიანთ ალაგას, დაბალი ხმით ერთიმეორეს მიმართეს. ნაწილს მოეწონა ჩიჯავაძის სიტყვა: ძალიან პატრიოტული სიტყვა თქვა, რუსხელმწიფესაც გაახსენა მისი მოვალეობაო, მეორე იცინოდა: გაახსენა, თვარა ძაან გეიგებს ახლა ნიკოლოზი, ქუთაისში რომელიღაც თავადმა რაცხა წეიბეჟუტურაო! და სხვებსაც გაეცინათ. მაგრამ ზოგი მაინც იმ აზრისა იყო, რომ ჩიჯავაძე უსათუოდ ნიჭიერი კაცია და მაგას რომ სწავლა მიეღო, ქვეყანას დაანგრევდაო. ამ აზრსაც ზოგი ეთანხმებოდა, ზოგი არა.

ვამეხი და ბაბო კი ერთიმეორეს შესჩიოდნენ: — აი რას სჩადის ჩვენი თავადაზნაურობა, უნივერსიტეტის მაგიერ კადეტთა კორპუსს თხოულობსო. ბაბო არწმუნებდა ვამეხს, რომ, სამწუხაროდ, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობაც მაგას თხოულობს. მაგრამ ვამეხი მაინც იმედიანად იყო — ერთ დროს უნივერსიტეტი უთუოდ გვექნებაო. ილია ჭავჭავაძე, გოგებაშვილი და სხვა ესეთი ინტელიგენტები ამ საკითხს ისე არავის დაანებებენ, რომ მიაფუჩეჩონო.

სუფრა კი წავიდა თავისი გზით. დაილია წადღეგრძელოები გუბერნიის მარშლისა, რაზედაც უმრავლესობამ იმედი გამოთქვეს, რომ კნიაზ სიმონი ისევ უწინამძღვრებდა იმერეთის თა-

ვადაზნაურობას, გიორგი შარვაშიძისა, ბარონესასი, როგორ-
თაც პეტერბურგში გაკლენიანი ქართველი ქალიშვილი, და კიდევ
ბევრი სხვა საპატიოების.

ჩიჯავაძე თავს არ ზოგავდა, რომ მახვილსიტყვაობით შე-
ემკო სადღეგრძელოები.

გიორგი შარვაშიძის დღეგრძელობისას კი წამოდგა ერთი
არცთუ ისე ხნიერი, დარბაისელი ქალი და თამადას სიტყვა გა-
მოსთხოვა. ნებართვის მიღების შემდეგ, ამოიღო ესრეთწოდე-
ბული ფოსტის ქალალდი, და, თუმცა ხელები ოდნავ უთრთო-
და, მაგრამ მაინც მკაფიოდ წაიკითხა ასეთი საკუთარი ლექსი:

დიდო თავადო, შენ ხარ ბრწყინვალე,
როგორც თავადი და როგორც კაცი!
გულით კეთილი, ნიჭით აღსავსე,
სიტყვით და საქმით მხნე და მამაკი!
გიყვარს სამშობლო და მისთვის იღწვი
ზოგჯერ კალმითაც დაუღალავად...
გინდა, რაც წმინდა ჰქონია შენს ხალხს,
რომ იმას შერჩეს შეუბღალავად.
იცოცხლე მარად. ჩვენო ნუგეშო,
გულის გამგმირო ჩვენო მტერისა!
სულ იდღეგრძელე, დიდო ბატონო,
უცხო გვირგვინო ჩვენი ერისა!

ამან მოჰყვა დიდი ტაში, რადგან, ჯერ ერთი, გიორგი შარ-
ვაშიძის ყველას დიდი პატივისცემა ჰქონდა და, მეორე, ჩვეუ-
ლებრივ შაბლონურ სადღეგრძელოებს უეცრად ლექსი მოჰყვა
და ამან საზოგადოება გამოაცოცხლა — ბევრი კითხულობდა,
ვინ არის ლექსის ავტორიო, და გამოირკვა, რომ ეს იყო ერთი
მეტად მოკრძალებული კნეინათაგანი, მშვენიერი ოჯახის პატ-
რონი, ქმრის ერთგული მეუღლე და შვილების კარგი აღ-
მზრდელი, რითაც საზოგადოებაში კარგი სახელი ჰქონდა მო-
პოვებული. მაგრამ იმავე დროს ბევრმა არ იცოდა, რომ მას
ლექსების თხზვაც უყვარდა, რადგან არსად ის არ იბეჭდებო-
და, არც ხელნაწერებით ავრცელებდა თავის ნაწერს. თავის-
თვის იკმაყოფილებდა ესთეტიკურ მოთხოვნილებას და აქა-იქ
საზოგადოებაში, როგორც ახლა, თუ გამოკრთებოდა თავისი
ნაწერით.

ყველა ულოცავდა ლექსის ავტორს. თვითონ გიორგიც მო-
ვიდა მასთან, ხელზე აკოცა და ცოტა უსაყვედურა:

— ეგ ნამეტანი მოგიკიდა, ანეტა, რომ გვირგვინი მიწოდე. გადაჭარბება არასოდეს არ არის კარგი.

— არა, ბიძია გიორგი, — შეუბრუნა ანეტამ, — მე გულწრფელად მოგახსენე, რასაც ვგრძნობდი და თუ გეწყინა, ეს ახლა მეც ძალიან მწყინს.

— მე არაფერი არ მწყენია, ანეტა, მხოლოდ გადაჭარბებაზე ვამბობ. ისე კი მე ძალიან გამეხარდა, რომ ლექსების წერა შეგძლებია. თუმცა ეს არ არის გასაკვირი. ეს უნდა მოგდგამდეს. შენ ხომ აკაკი წერეთლის დისწული ხარ.

— კი, ბატონო, — თითქოს დარცხვენით წარმოთქვა ანეტამ.

და რამდენიმე წუთის შემდეგ, ვინც არ იცოდა, იმაწაც გაიგო, რომ დღევანდელი მელექსე იყო დიდი აკაკის დისწული ანეტა დადეშკელიანი.

ეტყობოდა, რომ ღვინო თანდათან ეკიდებოდა ხალხს. ხმაურიც ლაპარაკს უმატებს, ჰაერში მეტი გუგუნი დადგა, ვაჟთა ხარხარი და ქალების ჩაკისკისება უფრო გახშირდა.

ამასობაში მიტო დაგმარას სხვადასხვა ეროტიულ რამეებს აწვეთებდა ყურში. ზოგჯერ თითქოს სხვების შეუმჩნევლად წელზედაც ხვევდა ხელს. დაგმარა იწმაწნებოდა, წითლდებოდა, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას არ უწევდა.

უეცრად ვამეხისა და ბაბოს ნაუბარში მიტომ გამოიჭირა სიტყვა „ბრძენი". ჩაიცინა, დაგმარას გადაულაპარაკა:

— ჰა, ჰა! ბრძენი მე ვარ, მე ვარ, რადგან კარგად ვიცი, რომ ბრძენს უფლება აქვს დაარღვიოს ყოველნაირი, საზოგადოებაში მიღებული მორალი, ოღონდ ამ დარღვევას უნდა შეუძლიოს მოხერხებული დრო და ალაგი.

ამას ლაპარაკობდა მიტო, მაგრამ თავის გუნებაში უკვე აწრიალებული იყო. ჩქარობდა, რომ განზრახული მალე შეესრულებინა. მოხერხებულ წუთას გაეტაცნა დაგმარა. ამიტომ უკვირდებოდა სუფრას. ჯერ კიდევ არ იყვნენ ძალზე აღრიალებული. შეიძლება ვისმე შეემჩნია მისი განზრახვა და აბიროებულად ველარ გააპარებდა დაგმარას. დაგმარასი კი რატომდაც არ ეშინოდა. ძალიან დარწმუნებული იყო, რომ ის უკვე მოწადინებული ჰყავდა, და არავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევდა. თან იმას ფიქრობდა — აი, როგორმე დროებით ცეკვა გა-

ჩაღდებოდეს, მაშინ უფრო მოწერწებული იქნებაო, და უცდიდა სხვებს. ამის ინიციატივა თვითონ არ უნდოდა აელო.

* * *

თუმცა ეს რა არის? ერთ განაპირა სუფრაზე კარგა ხმამაღალი ლაპარაკი მოისმის. ბევრმა იქით მიიხედა, მაგრამ ვაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიუქცევია.

სუფრას უსხდნენ ოთხნი: ერთი გოლკოვი იყო, ერთიც სლავსკი, ორი კიდევ აგრეთვე რუსი მოხელეები. უსხდნენ სუფრას დამშვიდებით, ეტყობა, ხმამაღლა კამათობდნენ, მაგრამ აყალმაყალისა არა ეტყობოდათ რა.

სლავსკი არწმუნებდა ვოლკოვს:

— არა, თქვენ სრულებით არ გიცვნიათ ქართველები. როგორ შეიძლება ამის თქმა, რომ ქართველები ველურები არიან და ისიც უნიჭოები.

— თქვენ ძალიან შეჩვევიხართ აქაურობას და იმიტომ გეჩვენებათ ასე, — არცთუ ძალიან გაბედულად, მაგრამ მაინც წარმოთქვა ვოლკოვმა.

— აჰა, თქვენ ის გნებავთ თქვათ, რომ მეც გაველურებული ვარ. არა? — ცრტა იწყინა სლავსკიმ. — მაგრამ ეს როგორც თქვენ გენებოთ, მხოლოდ რასაც მე მოგახსენებთ, ის მე კი არ მეჩვენება, არამედ სინამდვილეა. ამათი ველურობა კი არა, ამათი კულტუროსნობა იმაშიც მოჩანს, რომ ქართველ ინტელიგენტს თავისი მომზადებით და ცოდნის მარაგით რუსი ინტელიგენტისაგან ვერ გაარჩევთ.

— ოჰ, კარგია ერთი, — ვოლკოვმა ჩანგალი თეფშზე უხეშად დააგდო, — ნუ კი გადაამლაშეთ!

— მე არ ვამლაშებ, — ცხარობდა სლავსკი, — მხოლოდ ისა მწყინს, რომ ზოგიერთ რუსს თქვენისთანა წარმოდგენა აქვთ ქართველებზე. ამგვარმა საქციელმა ბევრი ავნო ამ ქვეყანაში რუსის სახელს.

— ოჰ, დიდი ამბავია, თუ ტუზემცებს ჩვენზე თავისებური წარმოდგენა ექნებათ, — კვლავ არ მოითმინა ვოლკოვმა.

— ნუ იტყვით მაგას! ქართველი ინტელიგენცია დიდად აფასებს და ძნგარიშს უწევს რუს ინტელიგენციას. მის მალალ შუბლს. საუკეთესო ქართველები, დანამდვილებით ვიცი ილია

ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და ბევრი სხვები, თავიანთ თავს რუს ინტელიგენტთა აზროვნებაზე აღზრდილებად თვლიან...

— აგრეც უნდა იყოს, მოწყალეო ხელმწიფევ... აბა თავისი რა გააჩნიათ! — მაინც უკმეხად დაიწყო ვოლკოვმა. — თქვენ გახსოვთ რუსეთის ისტორიიდან რომ ჩვენში სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობდა ერთი ჭოჩადმავალი ხალხი, ტორკი, ყოვლად გამოუსადეგარი, გარდა იმისა, რომ ომის დროს ჯარში გაჰყავდათ. იცით ხალხმა რა დაარქვა? — „свои поганные...“*

ამაზე სლავსკის გარდა, ორ დანარჩენ თანამესუფრეს მოურევნელი სიცილი აუტყდა, სულ ჩაჭუკჭუკდნენ და სიცილში იმეორებდნენ.

სლავსკიმ კი ხმა აუმაღლა:

— მერმე მაგითი რა გინდათ თქვათ?

იმაზე კი, როგორც იყო, სული მოიბრუნა და ერთმა თანამესუფრემ წარმოთქვა:

— რა საჭიროა ამაზე თავის მტვრევა, ბატონო სლავსკი! ბატონი ვოლკოვი, ცხადია, თქვენ გამოსაჯავრებლად ლაპარაკობს, თორემ მაგან, სატახტო ქალაქში მყოფმა და ჩვენზე უკეთ აღზრდილმა, განა არ იცის ქართველობის ფასი?

— ჰა, ჰა, ჰა! — ფართოდ გაიცინა ვოლკოვმა.

სლავსკი არ ცხრებოდა.

— უნდა მოგეხსენებოდეთ, ბატონო ვოლკოვ, რომ ქართველები პირდაპირ აღმერთებენ, მაგალითად პუშკინს და ლერმონტოვს, თავიანთ პოეტებად მიაჩნიათ ისე, როგორც ერთი ფრანგი მწერალი, სახელდობრ ტალიანდიე, წერდა თავის დროზე: ლე პოეტ დუ კოკაზ მიშელ ლერმონტოვ**.

— ყური დაუგდეთ, რა მშვენივრად მღერიან, — წარმოთქვა მეორე მოხელემ.

დიდ სუფრაზე მღეროდნენ გაევროპელებულ ქართულ მრავალჟამიერს და მწყობრი სიმღერა გამოუდიოდათ.

ერთ ხანს ამათაც დაუგდეს ყური. მაგრამ ახლა პირველი მოხელე ატყდა:

---

* Поганный — ბილწი, მურტალი.

** კავკასიის პოეტი მიშელ ლერმონტოვი.

— არა, ამპარტავანი ხალხი კია ქართველები. ახლა გაიხსენდა: ერთხელ ერთ ქართველ ოფიცერს შევეკამათე საქართველოს წარსულზე და იცით, რა მითხრა: როდესაც ჩვენ, ქართველებმა, ქრისტიანობა მივიღეთ, მაშინ თქვენ ტყეში ცოცხალ მტრედებსა ჭამდითო.

— მერმედა არ მოკალით? — შეეკითხა ვოლკოვი.

მაგრამ ამ დროს მთელს დარბაზში სიცილი ჩაქრა და წყვდიადმა მოიცვა იქაურობა. ვოლკოვს პასუხი აღარ მიუღია.

პირველად მხოლოდ გაკვირვების შეძახილები გაისმა დარბაზში: „ოჰ, ოჰო!“ შემდეგ ჰაერში რაღაც ქაღალდების შრიალი მოისმა და ზოგიერთ ქალს მკერდზე თუ სახე-პირზე დაეცა, მაშინ კი გაისმა წივილ-კივილი. სუფრაც აიშალა და თითქმის ყველანი ერთიმეორეში აირივნენ.

ოც წუთს მაინც გაგრძელდა სიბნელე.

აქა-იქ ვიღაცებმა ასანთიც აანთეს, მაგრამ საერთო წყვდიადს მაინც ვერ დაძლიეს, მხოლოდ თავის ახლომახლო შეამჩნიეს აწრიალებული ხალხი და ირგვლივ ბლომად დაყრილი პროკლამაციები.

ჩიჯავაძესაც ხელში მოხვედროდა ერთი ასეთი ფურცელი და გაჰყვიროდა:

— აი, ბატონებო, სანამდი მივიდა უტიფრობა ჩვენი ცოცხალისტებისა. აქაც კი, აქაც, თავად-აზნაურთა ნადიმზე, გაბედეს და გადმოჰყარეს პროკლამაციები. ახლა ისღა გვჭირია, რომ გადმოდგეს ვიწმე ორატორი და მიტინგი გაგვმართოს.

ამ დროს განათდა. ძალიან არეული იყო დარბაზი. თავის ალაგას ბევრი აღარ იჯდა: მხოლოდ გუბერნიის მარშალი, გიორგი შარვაშიძე, ბარონესა თავისი მარიანთი და ბეგით, ვამეხი და ბაბო არ დაძრულიყვნენ. ზოგი ქალი გულწასული იყო და კიდევ კარგი, თავისიანების გულ-მკერდზე იყო მიყრდნობილი, ზოგი კი სულ სხვა ხალხში მოხვედრილიყო და ახლა თავისიანს ეძებდა. საერთოდ ერთიმეორის ძებნა გახშირდა, ერთიმეორეს უყვიროდნენ, ეძახდნენ. ბევრი არსაღა ჩანდა.

არსად ჩანდნენ მიტო და დაგმარაც.

პირველ ხანად ამისათვის დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ. გუბერნიის მარშალმა დააშშვიდა იქაურები და მოუწოდა განეგრძოთ ნადიმი.

სლავსკის მიეტოვებინა ვ[illegible]კოვის სუფრა, სცენას კული-

სებში მოეძებნა ტრაფიმი და მისი ამხანაგები და ამხნევებდა:

— Молодцы, ребята, молодцы!*

ტრაფიმი ხითხითით უპასუხებდა — ჩვენ რა შუაში ვართო, მაგრამ სლავსკი არ უჯეროდა, იცოდა, რომ ტრაფიმისა და მისი ამხანაგების ოინი იყო პროკლამაციების გადმოყრა, და გაიფრთხილა:

— გასწით აბლავე, დაიკარგეთ აქედან, თორემ, ადვილად შეიძლება თქვენზე ეჭვი აიღონ, თქვენ კი არხეინად აქ იმყოფებით.

სლავსკის რჩევა მოეწონათ. მართლაც და რას დაურჩნენ? ვითომ დეკორაციები და რეკვიზიტი ჰქონდათ მისაღაგებელი, მაგრამ ამას ხომ დიდი ხანია მიაღაგებდნენ, რადგანაც კონცერტის დამთავრების შემდეგ სინათლის ჩაქრობამდე რამდენიმე საათი იყო გასული.

— არა, ცხადია, შეიძლებოდა მაგათზე ეჭვი აეღოთ, რადგან ელექტრონის მთავარი რეოსტადო მაგათ ხელში იყო.

სწრაფად გაცუხცუხდნენ. ტრაფიმი მაინც ცოტა შეჩერდა და სლავსკის მიმართა:

— თქვენ კი, ლევ ბორისოვიჩ, გატყობთ, რომ როგორღაც ვერა ხართ გუნებაზე.

— ეჰ, ტრაფიმ ივანოვიჩ, მე ეხლა ერთ ხსვეტ ზუბრს შევწვდი, რომ ვის არ გინდა, იმას წაუხდენს გუნებას.

ტრაფიმი შეშფოთდა:

— თქვენ ხომ არაფერს დაგიშავებთ?

— არა, ჩემთან რა საქმე აქვს, მაგრამ საერთოდ საწყენია, რომ ასეთი ხალხი კიდევ ურევია ჩვენს ინტელიგენციაში.

— ვიცი, ვიცი, ლევ ბორისოვიჩ, მაგრამ ეგენი ხომ საშიში არ არიან! აკი იცით, რომ რუსი და ქართველი მუშები ერთად ვართ, ერთიმეორის მეგობრები ვართ, ჩვენი პარტიის ინტელიგენციაც, სულ სხვადასხვა ეროვნებისანი ერთად და ერთ საქმეზე მუშაობენ. თქვენ ნუ დაღონდებით, ლევ ბორისოვიჩ! — ერთი ჩვეულებრივად ჩაიხითხითა ტრაფიმმა და თავის გზას გაუდგა.

---

* — ყოჩაღ, ბიჭებო, ყოჩაღ!

ამ დროს შეიქნა კიბეებზე არბენ-ჩარბენა, კლუბის დარბაზებსა და ოთახებში ვილაცის ძებნა.

თან შეკითხვებზე გაისმოდა, რომ ბარონესა ფონ-იკსკულ-შტანგის ქალიშვილი დაგმარა დაიკარგაო.

ყველა შეშფოთებული იყო, არ იცოდნენ, რა ეთქვათ, რა ეფიქრნათ. რასაკვირველია, ყველას გული ახლო არ სწვდებოდა დაგმარას დაკარგვა, მაგრამ როგორც სენსაციური ამბავი, ამდენს შეკრებილებაში, ასეთი თვალსაჩინო პიროვნება ჰოულოდნელად რომ გაქრა, ეს ყველას აღაფრთოვანებდა.

ყველაზე გვიან ბარონესა, დაგმარას დედა, შეშფოთდა. ესეც უფრო მას შემდეგ, რაც მარინამ და ბეგიმ მოირბინეს კლუბის ყველა კუთხე და დაგმარა ვერსად ვერ აღმოაჩინეს.

ბეგიმ მაშინვე ეჭვი აიღო. დაგმარა მიტოსთან იჯდა. ის ერთი თავზე ხელაღებული ვინმე ყოფილა და სიბნელის დროს ძალითაც კი გაიტაცებდა, დაგმარას თუნდა ეყვირნა კიდეც, ამ საერთო ხრიალში და ქალების წივილ-კივილში ვინ რას გაარჩევდაო. ეს გაუზიარა კიდეც მარინას და თან მოიწდომა: დავედევნები, უთუოდ აქ, სადმე სასტუმროში შეიყვანდაო, მაგრამ მარინამ შეაჩერა:

— არა მგონია, რომ დაგმარა ძალით იყოს გატაცებული: მხოლოდ თუ თვითონ თანახმაა, ის უკვე სრულწლოვანია და ჩვენი ჩარევა საქმეს არ უშველის.

ბეგი მაშინვე დამორჩილდა. მისთვის მარინას აზრი, ეს უკვე ერთი ხანია, კანონის მსგავსი გახდა.

სხვა ბეგრიც იყო დაგმარას მძებნელი, მაგრამ ყველაზე უფრო მეტი გულმოდგინეობა მაინც ხვითომ გამოიჩინა.

არ იყო გასაკვირი: დაგმარას დაკარგვით ის კარგავდა დიდ მზითევს და დიდ კარიერას. თუ ცოლად დაგმარა არ ეყოლებოდა, ხვითო არ იყო დარწმუნებული, რომ ბარონესა მის დაწინაურებაზე მაინც იზრუნებდა. ამიტომ იყო, რომ ახლა დიდ გულმოდგინებას იჩენდა და მაინცდამაინც პირველმა მან მოიტანა ამბავი, რომ დაგმარა და მიტო სწორედ კლუბის ჩაბნელების დროს ენახათ მთავარ შესავალ კარებიდან გამოსულები და ისიც შეემჩნიათ, რომ ორთავენი კარაბახის ეტლში ჩამსხდარიყვნენ და წასულიყვნენ. ამას ამტკიცებდნენ კლუბის კარებთან მდგარი მეეტლენი და ხვითოს მათი ნაამბობისა გულით სჯეროდა.

და აი, ეს ამბავი ხვითომ პირდაპირ ბარონესას მოუტანა.

ბარონესას უკვე ხალხი ეხვია და გარდა უბრალო ნუგეშისა, — მოიძებნებაო, სხვას ვერაფერს უბედავდნენ, რადგან გარეგნულად ბარონესა ისე გამოიყურებოდა, რომ მისი გამომეტყველება თითქოს ყველას ეუბნებოდა: თქვენი ნუგეში არა მჭირდებაო. შინაგან კი აშფოთებული იყო და თითქოს გული უგრძნობდა, რომ სასიკეთოდ არ იყო დაგმარა გამქრალი. მხოლოდ ხვითოს მიერ მოტანილი ამბის შემდეგ კიდევ უფრო აუფორიაქდა გუნება. ეს კი წარმოთქვა:

— ჰმ!.. რა საკვირველია!

მაშინ მიესიენ. ხვითოც და სხვებიც ურჩევდნენ, რომ ადმინისტრაციისათვის მიემართა. განსაკუთრებით ჩიჯავაძე იჩემებდა ამას:

— ბარონესა, მერწმუნეთ, გუბერნატორს მივმართოთ და იმას სად დაემალებიან?! ახლავე განკარგულებას გასცემს და სულ ჩიქჩიქით მოიყვანენ იმ გავლენიშვილს და შენს ქალსაც მოგვგვრიან ამაღამვე.

მაგრამ ბარონესამ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

მაშინ ჩიჯავაძე მარშალს მივარდა — იმას მაინც მიელო ზომები, გიორგი შარვაშიძესაც სთხოვა, მაგრამ იმათ არ თანაუგრძნეს.

გიორგიმ მხოლოდ ჩაილაპარაკა:

— ახალგაზრდობამ თავი უნდა მოიგიჟიანოს.

მარშალმა ისიც კი უთხრა:

— ეგ ახალგაზრდობის ბრალია. არაფერი ასეთი ასაშფოთებელი არ არის რა. შეირთავს, ჯვარს დაიწერს, მხოლოდ რატომ ვერ მოიფიქრა იმ ახალგაზრდამ, რომ მშვიდობიანად ეთხოვა, წინააღმდეგი არავინ ეყოლებოდა. მე ასე მგონია. მაგრამ სიყმაწვილის ბრალია! „То сил избыток, то кровь кипит!“

— ეგ ხომ აკაკისაც ჩინებულად აქვს ნათქვამი, — ჩაერია გიორგი: „სისხლი თამაშობს მოჭარბებული და გულიც მისგან აბაძგერია“.

ბარონესას კვლავ ბევრი ადგა თავს. ბაბო გავლენიშვილი გვერდით მოჯდომოდა, მეორე მხრით — მარინა, ვამეხი და ხვითო მათ სკამებს უკან იდგნენ. მარშლის ცოლიც აქ იყო და კიდევ სხვა ბანოვანები. მაგრამ არავინ არაფერს ლაპარაკობდა.

მაშინ, როდესაც სხვა კუთხეში ხმადაბალი, მაგრამ მაინც ერთგვარი გუგუნი იყო გამდგარი მომხდარი ამბის გამო, აქ სრული სიჩუმე სუფევდა.

ბარონესას უკვე თავი ჩაეღუნა, მკლავები მაგიდაზე ჰქონდა დაყრდნობილი და ეტყობოდა, რომ მძიმე ფიქრს მისცემოდა:

— ჩემი ბრალია, ჩემიც ვერა, ვერ აღვზარდე თურმე ჩემი შვილი ისე, როგორც საჭირო იყო. მეტად ვაწვებივრებდი. სრულიად გამოუცდელი გამოვიყვანე ცხოვრებაში, ფრანგულ რომანებზე აღიზარდა და... საერთოდ კი ბავშვია სრულიად, უშანკო, არაფერი არ ესმის ცხოვრებისა, ბრცა აქვს თავისი დამოუკიდებელი აზროვნება. დღეს, როცა ხვითოზე ვუთხარი, წინააღმდეგობა არ გაუწევია, დამეთანხმა. ახლა? ახლა ბოხდენილი მიტო... დარწმუნებული ვარ ბავშვობით მოუვიდა, სხვადასხვა სათამაშოებზე რომ თვალები გაუფაციცდება... ოჰ, ღმერთო ჩემო!

ბარონესამ იგრძნო, რომ გული ეღონდებოდა. ტვინში მაინც გაუფეთქა: „ცუდად აღვზარდე, ცუდად!“ და გულწასულმა მარინას მკერდზე თავი მიაყრდნო.

შენაკადი

XXII

კიდევ შენაკადი! — იტყვის მკითხველი და... განა არ ვიცი, რომ ზოგს არ მოსწონს ეს ჩემი შენაკადები, ციბენდლულ?

ერთი ამბობს:

— აგერ, ავია თუ კარგია, მოთხრობის ამბებში რომ ვარ გართული, ამ დროს დაუპატიჟებელი სტუმარივით თავზე წამომადგება „შენაკადი“, ხელს მიშლის ნაწყვეტების გაგებაში.

მეორე გაიძახის:

— კაცო, რამდენი რომანი წამიკითხავს და... (უკაცრავად! ავტორი რომანს არც კი არქმევს ამ ნაწარმოებს... ერთხელ რა გამომუგონა შვეიცართაურად: „ბელეტრისტული მდინარე თავისი შენაკადებით!..“). ჰოდა, რაც უნდა, ის დაარქვას, ოღონდ მე ხელს ნუ მიშლის კითხვაში... ბევრი რამ მხატვრული წაშიკი-

თხავს ჩვენი თუ უცხოური, მაგრამ არც ერთ მწერალს ეს შენაკადები აო უხმარია. ამან რად ინება? ორიგინალობს?

ამაზე ავტორს ერთი აქვს სათხოვარი მკითხველთან:

— თუ ღმერთი გწამთ, ნურავის მწერალს ნუ შემადარებთ. ნურც ჩვენსას და ნურც უცხოურს. კლასიკოსებისაგან კი ღმერთმა დამიფაროს. ჰო, დავიღუპები და არ მინდა! შენ „ხილი იხილე", მკითხველო... ერთს ვგრძნობ, ამ შენაკადებისათვის „დაუპატიჟებელი სტუმარი" რომ დამერქმია, აჯობებდა, თუმცა დიდებულმა აკაკიმ არა თქვა:

ცრემლში მილესავს ნაღველი
და მელნად ის მიხმარია...
ბულბული ვარდს და ეკალზე
თანაბარ მომღერალია!

აჰა, ბულბულს ხომ შევადარე ჩემი თავი და ესეც შენ, ჩემგან თავგაბეზრებულო მკითხველო!

52

ბარონესა მოასულიერეს და ამის შემდეგ ბაბომ და მარინამ ხელი გაუყარეს და ის იყო უნდა წაეყვანათ თავის ბინაზე, რომ მარშლის ცოლმა ბაბო ცალკე გაიხმო.

ბარონესა კი მაინც გაუდგა თავის გზას. თან ახლდნენ: მარინა, ბევი და ვამეხი. ხვითოსაც უნდოდა გაჰყოლოდა, მაგრამ შეატყო, რომ ის ზედმეტი იქნებოდა ამჟამად. თავი შეიკავა, აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, ეკოციმილთან დავისუფალი სკამი დაინახა და გვერდით მოუჯდა. მეტად აღრენილ გუნებაზე იყო; არ იცოდა რა ექნა, მაგრამ ეკოციმილი ალერსიანად დაუბუბდა და მაშინვე ღვინით სავსე ჩაის ჭიქა მიაწოდა. ხვითომ არ იუარა და უეცრად დაცალა.

— აგრე არ ჯობია, ბიძია? ღვინო მოგიხდება, — უთხრა ეკოციმილმა.

— ჰო, არ არის ურიგო! — უპასუხა ხვითომ და ახლა თვითონ დაისხა და ესეც უეცრად გამოაცალა.

— კარგია, აგრე მოვიხდება, მაგრამ უპრაგონოდ ნუ სვამ, — დაარიგა ეკოციმილმა, — აგერ ხედავ, კნიაზ ჩიჯავაძე ისევ განაგრძობს თამადობას, მორიგ სადღეგრძელოს ამბობს.

სუფრა არ იწვრევა. დაგმარას ამბავმა ყველა შეგვაშფოთა, მაგრამ იმას თავისი გზა აქვს, ჩვენ ჩვენი გზა. მივყვეთ ჩვენი სუფრის მსვლელობას. შენ ახლა დარდიანი ხარ და ცოტა გადაქვრა მოგიხდება.

— რატომ ფიქრობთ, რომ დარდიანი ვარ? — ვითომ იწყინა ხვითომ.

— განა არ ვიცი, ბიძია, — მაინც შეუბრუნა ეკოციმილმა, — საუკეთესო ჩიტი, ბარონესას დაგმარა, გაგიფრინდა.

— უჰ, მაგისთანა ჩიტები რამდენიც გინდა, იმდენი ყრია პეტერბურგში! — თითქოს უდარდელად წარმოთქვა ხვითომ.

* * *

ამასობაში მარშლის ცოლი ბაბოს ასეთ გეგმას უშლიდა:

— მე, რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ დაგმარას გატაცებაში ატატოც ურევია.

— ვინ ატატოს? —

— აი, მკითხავად რომ იყო. ახლა უკვე საეჭვოდ მიმაჩნია მისი აქედან საჩქაროდ წასვლა. ვახშამზეც რომ არ დარჩა. ამ ორ მდგომარეობას — დაგმარას მოტაცებას და ატატოს ადრე წასვლას ერთიმეორესთან კავშირი უნდა ჰქონდეს. მე ამას გამოვარკვევ. ახლა არ შემიძლია აქაურობის დატოვება, სანამ სულ არ გავისტუმრებ სტუმრებს, შემდეგ კი გამოთხოვიც რომ იყოს, მინ არ წავალ, ისე მივადგები ატატოს და დარწმუნებული ვარ, რომ ნამდვილ ამბებს გავიგებ და მერე როგორც სჯობიან, ისე ვიმოქმედოთ. მამაკაცები, ვატყობ, რომ ამ საქმეში მონაწილეობას არ მიიღებენ, ჩვენ, ქალებმა, ვიკისროთ საქმის მოგვარება და ბარონესაც დავამშვიდოთ, თითქოს არ ემჩნევს, მაგრამ მეცოდება უბედური.

ბაბო დაეთანხმა მარშლის ცოლს. პირობა დადეს კიდეც, რომ ხვალვე ყველაფერს ბაბოს აცოდინებდა.

* * *

ეკოციმილი და ხვითო თან ჰიქებს ცლიდნენ და თან ერთიმეორეს ესაუბრებოდნენ. ეკოციმილმა გაიგო ვისი შვილი იყო ხვითო, რომელი ხვიტიასი და შემდეგ შეეკითხა — ხომ ცო-

ცხალიაო, ამაზე დადებითი პასუხი რომ მიიღო, ესეც ჰკითხა:

— მოხუცებული იქნება ახლა, მაინც რავაა?

ხვითოს თვალებში მზაკვრობა გაუპწკრიალდა და ასე უპასუხა:

— სულ გამოდურაკდა, ბატონო!

ეკოციმილს ეოცა ეს პასუხი. არ დაუმალავს. ხმამაღლა წარმოთქვა:

— იფ! ძალიან პატივისმცემელი არ ყოფილხარ შენი მამის?!

— აბა რა! მამაჩემი კაცი არის თუ?

— საქმეც ეგ არის, რომ კაციც არის და იმავე დროს შენი მამა. მამას გვნა პატივისცემა არ მართებს?

— უჰ, რა მოძველებულ ამბებს მეუბნები, კნიაზო! ფეტიშები ჩვენ არ გვწამს. კერპად არავინ არ მიგვაჩნია. მამა რომ არის, იმიტომ თავზე უნდა დავისვა? არა, ბატონო, არა! იმან თავისი დრო მოჭამა და ახლა თუ დადის, ეს თვითონ კი აღარ არის, ძველი ბახვა, ეს მხოლოდ მისი ქანდაკებაა, მისი გამოსარჩლება.

იწყინა ეკოციმილმა. ცოტა უზრდელად შეეჭრა:

— რას ლაპარაკობ, ბიჭო, არც კი გრცხვენია.

ხვითოს წარბიც არ შეხრია.

— სიმართლის ლაპარაკში სამარცხვინო არა არის რა. იცხოვრა, დრო გაატარა, ისიამოვნა ამქვეყნად. მეც თავის სიამოვნებისათვის გამაჩინა, ახლა, როცა აღარაფერი შეუძლია, იყოს და ეგდოს თავისთვის.

ეკოციმილმა მარცხენა წარბი ზევით ასწია და ერთი ალმაცერად შეხედა ხვითოს.

— შენ, ბიძია, ცინიკი ყოფილხარ.

ამან გააკვირვა ხვითო: ამ ჩონჩოსანმა საიდან იცის სიტყვა ცინიკი, მაგრამ ვითომ ვერ გაიგო და ასე გადაუსხვაფერა:

— ო-ო, ცინუკი? ცინუკი ერთ ლამაზ ქალს რქმევია აქ ქუთაისში, მაგრამ მერმე რა, ახლოსაც არ მიმიკარა.

— ჭკვიანი გოგო ყოფილა.

— ჭკვიანი კი არა, სულელია. ახლა აქვს დრო. მოწიფული ქალია, თავის კანს ასკდება, თორემ როცა გადამქვდება და შმიხრუკება, ვის რაღად უნდა.

ეკოციმილი გაოცებული ჩააშტერდა ხვითოს თვალებში.

ხვითო უტიფრად განაგრძობდა:

— მე რომ მკითხო, კაცს თუ კარგი ცხენი გყავს, ისე უნდა გახედნო, რომ ბოლოს ძვალი და ტყავი დარჩეს. თუ ლამაზი და ახალგაზრდა ცოლი გყავს, ისე უნდა გახადო, რომ არავის ალარ ჰქონდეს.

— ოჰ, კარგი, კარგი, შენი ჭირიმე! — აქა-იქ წამოიცდებოდა ზოგჯერ ეკოციმილს, მაგრამ ამას ხვითო ყურს არ უგდებდა. განაგრძობდა:

— მე ძალიან მაჯავრებს ხოლმე, როდესაც ვინმე მოხუცს ვხედავ, ახალგაზრდასავით რომ გამოიყურება — წელში გამართულია, ლოყები ჟინჟღილივითა აქვს. სულელი! რად უნდა, რომ ეს ჯანმრთელობა შემოუნახავს. ყველა ეს ბუნებისაგან მონიჭებული სიკეთე საფლავში უნდა ჩაიტანოს დაუხარჯავად.

აქ კი ხმა აიმაღლა ეკოციმილმა:

— შენ, ბიჭო, ვითომ მე მაბითურებ არა? ადექი, აქედან ახლავე გაიხანხლე, თორემ.

ხვითოს არ უნდოდა ადგომა, მაგრამ ამ დროს ჩიჯავაძემ დაუძახა და თავისთან მიიხმო, თან წამოდგა და დალია სადღეგრძელო ისეთი ქართველი სტუდენტებისა, როგორც ხვითოა, რომელიც არც ერთ არაკეთილსაიმედო საქმეებში არ ღებულობს მონაწილეობას და არ დაიცქინობს ზოგიერთ კუდაბზიკა „ციალისტ“ სტუდენტივით. ჩვენ ამისთანა ნასწავლი ხალხი გვინდა, ჩვენ ვიცით, რომ ბატონ კონსტანტინე ხვიტიას დიდ მომავალს უმზადებენ, პეტერბურგში დიდ კარიერას მოელის და სწორედ ამისთანები სჭირდება ჩვენს ქვეყანასო.

ყველა აბრიალდა. სვამდნენ ხვითოს სადღეგრძელოს, ქალებიც დიდი აღტაცებით უერთდებოდნენ წარმოთქმულ სადღეგრძელოს, მხოლოდ ეკოციმილი იყო თავჩაღუნული და თითქოს უაზროდ შესცქეროდა მის წინ მდგარ ღვინით სავსე ჭიქას. ის ძალიან ცუდ გუნებაზე დაეყენებინა ხვითოს ნათქვამებს და თან, როგორც კი ცოლზე თქვა ორი სიტყვა ხვითომ, ამან გაახსენა მისი უბედური ცოლქმრობის ამბები, მოუარა მისმა „შავმა მელანქოლიამ“ და თითქმის ამქვეყნად ალარ იყო.

* * *

მეორე დღეს ქუთაისის ბულვარში ცოტა გვიან გამოვიდა გუშინ კლუბში ნაქეიფარი ხალხი, მაგრამ მაინც გაიგეს, რომ წუხანდელი ინციდენტისათვის თეატრსა და კლუბში მთავრობას ყურადღება მიუქცევია, მაგრამ მაინცდამაინც სასტიკი ზომებისათვის არ მიუმართნია.

ლადო მესხიშვილი თვითონ გუბერნატორმა დაიბარა თურმე და მხოლოდ ვითომდა მეგობრული საყვედური უთხრა, თან გააფრთხილა, რომ ესეთი გამოსვლებისათვის თავი დაენებებინა.

ტრაფიმ გოლუბენკო და სერგო ჭელიძე პოლიცმეისტერმა გოროდოვოების თანხლებით თავისთან მოაყვანინა და დიდხანს ეფაფხურა ვითომდა დასაშინებლად. არ დაუჯერა, რომ სინათლე ორივეგან მათ მიერ არ იყო ჩამქრალი, იმაზე კი დიდხანს აწვალა, ეთქვათ თუ პროკლამაციები ვინ მოიტანა, ვინ გადმოყარა, მაგრამ ამაში არც ერთი არ გამოტყდა და სულ არ ვიცით, არ ვიცითო. იძახეს. თურმე ამაზე გაბრაზდა პოლიცმეისტერი წამოდგა, დაემუქრა: ორივეს კუტუზკაში ჩაგსვამთო. ტრაფიმს ერთხელ კარგა მაგარი სილაც გააწნა, მაგრამ მისთვის სახეცრო მაინც ვერაფერი გაიგო და ბოლოს, ვითომ სულგრძელობა გამოიჩინა, ეს კი თქვა: მივხვდებთ ვისი დაწყებულიც არის ეს საქმეო, და ბოლოს ორივენი გაუშვა.

პოლიციიდან რომ გამოვიდნენ, ტრაფიმმა და სერგომ ქუჩაში გაიგეს, რომ დღეს დილით იცკა რიჟინაშვილი დაეპატიმრებინათ და მაინცდამაინც არ გაკვირვებიათ, რადგან ტრაფიმაც და სერგომაც იცოდნენ, რომ იცკა უფრო კურინის პოლკის ჯარისკაცებში მუშაობდა და ამისთვის თუ დააპატიმრებდნენო, თორემ გუშინდელ პროკლამაციებთან იცკას რომ კავშირი არა ჰქონდა, ეს დაბეჯითებით იცოდნენ. ეს იმერეთის კომიტეტის საქმე იყო.

სლავსკიც დაებარებინა მის უფროსს, სახაზინო პალატის გამგეს თავის კაბინეტში და დიდად გაეჯორა, რომ თეატრის საეჭვო მუშებთან ასე დაახლოებული იყო, უთუოდ შენც ამჩნევდი მათ არაკეთილსაიმედოებასო. ისიც ესაყვედურნა, რომ შენ, რუს მოხელეს, არ შეგფერის ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებთან კავშირის დაჭერაო, მაგრამ სლავსკის თავი იმით

ემართლებინა, რომ ის მხოლოდ წარმოდგენის დროს ტექნიკურ დახმარებას თხოულობს ამ თეატრის მუშებისაგან და სხვა საქმე მათთან არაფერი არა აქვს. ამაზე კი გამგეს დაეყვავებინა კიდეც — წარმოდგენებს რომ მართავთ, ეს კარგი საქმეა და ბატონი ჩვენ ყველაზე ამისთვის პატივსა გცემთ, მხოლოდ ფრთხილად კი იყავითო და ასე გაუსტუმრებინა.

მთელი ეს ამბავი პირიდან პირში გადადიოდა და როდესაც ამის შესახებ კირილე ლორთქიფანიძემაც გაიგო, ესა თქვა:

— ეგ არ არის გასაკვირი, რომ გუშინდელი ინიციატორები დემონსტრაციისა ასე იოლად გადარჩნენ. დროა იმისთანა — ომი იაპონიასთან, თანდათან დამარცხებით რომ მიმდინარეობს, ამ დროს შინ ხალხის წამოქოჩრა? ამისთანა დემონსტრაციები რუსეთის თითქმის ყველა ქალაქში ხდება. ის კი არა, მუშები საამკარაოზე გამოდიან და თავიანთ მოთხოვნილებებს უყენებენ მთავრობას. სოფელში გლეხობაც უკვე აღსდგა, მებატონეებს ართმევს მიწა-წყალს, საკუთარი ხელისუფლებაც კი ჰყავთ ზოგან გაჩენილი, ინტელიგენციამაც ხმა აიმაღლა და პოლიტიკურ ბანკეტებს აწყობს, პეტიციებს წერს. ყველა ამას აქვს მნიშვნელობა და მთავრობაც, ცხადია, ჯერჯერობით უკან იხევს და რეპრესიულ ზომებს ალარ ღებულობს, ლიბერალობს. აქაც იმის ბრალია, რომ ასე იოლად ჩაუარეს გვერდით ქუთაისურ მოფეთქებას. ეს არის და ეს, სხვა რაფერი. დაკვირვებით და ჭკუით კი უნდა ახლა მოქმედება, ესეც ცხადია.

კირილეს აზრს ბევრი დაეთანხმა და გაკვირვებამ იკლო.

* * *

მარშლის ცოლმა ბალის შემდეგ ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რომ ნამდვილი ცნობები მოუტანა ბაბო გავლენიშვილს. ის მართლა ყოფილიყო იმ ღამესვე ატატოსთან და კარგა ყოყმანის შემდეგ ყველაფერი ეთქმევინებინა ატატოსთვის: ის რომ დაგმარა თავისით არ დაკარგულა, რომ ნამდვილად მიტომ გაიტაცა და რომ ისინი ამჟამად მაღლაკში იმყოფებოდნენ ატატოს ბიძასთან.

ბაბომ დიდი მადლობა გადაუხადა მარშლის ცოლს და თვითონვე გადაწყვიტა გამთენია წასულიყო მაღლაკს და თან ბავშვიც წაეყვანა.

ასეც მოიქცა.

ბარონესამ ბაბოს წასვლისა არაფერი არ იცოდა და მარინასთან იოხებდა გულს. მარინამ კი უკვე იცოდა ბაბოს წასვლა, მაგრამ მათ ჩამოსვლამდე ამას ბარონესას არ უმხელდა. მანამ კი გულმოდგინედ უსმენდა ბარონესას და თვითონაც თავის მოსაზრებებს უზიარებდა.

ბარონესა ისევ თავის თავს უსაყვედურებდა, რომ დაგმარა ვერ აღზარდა სათანადოდ. მაგრამ ამას უკვე თავისთვის ფიქრში კი არ ატარებდა, არამედ რიაბინინას სიტყვიერად გადაცემდა.

— სრულიად წავართვი საკუთარი ინიციატივა. ყველაფერში ის მე მიყურებდა, ჩემის წესრიგით ცხოვრობდა, ჩემის აზრით აზროვნებდა. მაგრამ განა შეიძლება სხვისი აზროვნებით ცხოვრება? განა ადამიანი შეზღუდული უნდა იყოს, თუნდა თავისი საყვარელი ადამიანის შეხედულებით და საქციელით? მე მეგონა ის სულ ჩემი იყო. დაგმარა... ჩემგან განუყოფელი და რაც მე მსურდა, ეს მისთვისაც კარგი უნდა ყოფილიყო... ასე მეგონა... მე სრულიად არ ვუწევდი იმას ანგარიშს, რომ ის სხვა ფიზიკური არსება იყო, ჩემგან შობილი, მაგრამ მაინც სხვა, რომელსაც უთუოდ ჰქონდა თავისი მისწრაფება, თავისი, შეიძლება შეუგნებელი, მაგრამ მაინც თავისი გაუბედავი განზრახვები, სურვილები ცხოვრებაში. ამას კი მე ვუხშობდი სრულიად უნებლიეთ, რადგან მეგონა, რომ უჩემოდ ის დაიღუპებოდა... და აი, ახლა ხედავ, მარინა, რა გააკეთა?

ტირილით მაინც არ ტიროდა ბარონესა. გულს იოხებდა მხოლოდ.

რა არის გულის მოხება? ეს უსათუოდ ნუგეშის ძებნა კი არ არის, აკი თვით რუსთაველმა ბრძანა: „დიდი ლხინია ჭირთა თქმა“.

ბარონესასაც უნდოდა, რაც მოუვიდა იმაზე ელაპარაკნა, თორემ ნუგეშს მაინცდამაინც არც ის ეძებდა. თან რიაბინინას გადახედავდა და შემდეგ ეუბნებოდა:

— აი შენ სულ სხვა ხარ. თავისთავადი ქალი ხარ, დამოუკიდებელი, აზროვნებაშიაც და საქციელშიც, შენ არ დაიკარგები ცხოვრებაში, დაგმარა კი, ვინ იცის.

აქ შეიძლება ცრემლებიც წამოცვენოდა ბარონესაზ, მაგრამ რიაბინინა მყისვე შემდეგს აგებებდა:

— მე შეიძლება ობლობამ მიშვილა. მართალია, თქვენთან ვიზრდებოდი და დაგმაყაზე ნაკლებ არ მანებივრებდით, მაგრამ მე მაინც ბავშვობიდანვე დავეჩვიე — სულ წვრილმანი გავიხსენოთ, თუნდაც — ჩემი ქვეშაგების ალაგება-დალაგებას, დაუხმარებლად ჩაცმა-გახდას, ტანსაცმლის ფარეზობას და საერთოდ ჩემი ნივთების მოვლა-პატრონობას. ამან ერთგვარად თავის დროის შესაფერი, დამოუკიდებელი ხასიათი გამომიმუშავა. ჯიუტი არასოდეს არ ვიყავ, მაგრამ ჩემი პოზიციის დაცვა მუდამ ვიცოდი. შემდეგ ქალთა გიმნაზია... მე ხომ დაგმარასავით ინსტიტუტის პანსიონში არ ვყოფილვარ. გიმნაზიაშიაც იმგვარ ამხანაგებთან მქონდა საქმე, რომ გონებრივად ვვითარდებოდი, საკუთარი აზროვნების უნარი წართმეული არა მქონდა.

აქ რიაბინინამ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ბარონესას და, რომ შეატყო ბარონესა გულდასმით უსმენდა, განაგრძო:

— ერთხელ უფროს კლასებში შემდეგი თემა მოგვცეს დასაწერად: პუშკინის „ევგენი ონეგინში“ ტატიანას სახე. მე არ წავედი ტრაფარეტით და სხვათა შორის დავწერე, რომ ტატიანას იმას ვერ მოვუწონებ, რომ ბოლოს ცოლად მოხუცს გაჰყვა-მეთქი. როცა ეს წაიკითხეს, უნდა გენახათ რა ამბავი იყო. ჯერ ჩემი ამხანაგები როგორ შეშფოთდნენ, რას იტყვის მასწავლებელიო. შემდეგ მასწავლებელიც — შუბლი როგორ შეიჭმუხნა და მითხრა: „დიდი კადნიერებაა თქვენის მხრით, რომ პუშკინს უსწორებთ“. მაგრამ კეთილი კაცი იყო, ჰე როგორც მოწაფე ვუყვარდი და მაშინვე დამამცირებელი ნიშანი კი არ დამისვა, არამედ გამომიცხადა, რომ ამ საკითხს პედაგოგიურ საბჭოში გადაიტანდა. აგრეც მოიქცა. იქაც დიდი კამათი გამოუწვია ჩემს „თხზულებას“. ზოგს მწვალებლობადაც კი მიეჩნია ჩემი კადნიერება და ჩემ დასჯასაც კი მოითხოვდა თურმე, მაგრამ შემდეგ ერთ ძველ, გამოცდილ პედაგოგს დავეცავი — ეს ამტკიცებს, რომ ეს გოგონა თავის თავით ფიქრობს, საკუთარი, შეიძლება შემცდარი, მაგრამ მაინც თავისი აზრი აქვს შემდგარი და ამისათვის კი არ უნდა დავსაჯოთ, არამედ გავამხნეოთ, განუვითაროთ ეს უნარი თავისთავადი აზროვნებისა და კი არა უნდა ჩავახშოთო. შეეკამათეთ, შეედავეთ, გაუსწორეთ შეცდომები, იმსჯელეთ მასთან ერთად და ამით საზოგადოებას ერთს კარგა მომზადებულ ქალს შეაძენთო. დაუ-

ჯერეს. პირველი დირექტორი მიეჭხრო თურმე და შემდეგ ალარც სხვები გაჯიუტებულან. ამგვარად გადავრჩი დასჯას. შემდეგ დასჯა კი არა, ისე მიმიჩნიეს, რომ ერთხელ გიმნაზიის რომელიღაც საღამოზე შემიკვეთეს და რეფერატიც კი წამაკითხვეს გონჩაროვის „Обрыв“-ზე.

— არა, მარინა, განვითარებით შენ არც დაგმარა ჩამოგრჩება, — ღიმილით წარმოთქვა ბარონესამ.

— რასაკვირველია, ეგ მართალია. ის მშვენივრად იცნობს რუსულსა და უცხო ლიტერატურის მხატვრულ ნაწარმოებებს, განსაკუთრებით ფრანგულს. ის კი არა, ლერმონტოვის „დემონი“ ზეპირად იცის, პუშკინის „პოლტავაც“. სხვებიდანაც მრავალი ციტატების მოყვანა შეუძლია. მხოლოდ მე ვამბობ იმაზე, რომ ყველა ამაზე მსჯელობა არ ეხვრხება, საკუთარი აზრი, შეხედულება არა აქვს. პრაქტიკულ ცხოვრებაში ხომ სრულიად უმწეოა. მოიმიტევეთ და, კაბას ვერ ჩაიცვამს, თავს ვერ დაიბანს. ცხოვრებისაც ბევრი რამ არ ესმის. ზოგჯერ ისეთ გულუბრყვილო რამეს იტყვის, რომ გაგეცინება.

— მაგაში კი მართალი ხარ, — წარმოთქვა ბარონესამ, — და ეს სულ ჩემი ბრალია. სწორედ გითხრათ, ამაზე არასოდეს არ მიფიქრია. ურთადერთი მყავდა. ვანებივრებდი. სწავლას ვაძლევდი. ვაჩვევდი მაღალ წრეში თავის დაჭერას, ზნეობრივ სისპეტაკეს. მეგონა ეს იყო ყველაფერი. თურმე საკუთარი ნებისყოფა წამირთმევია. მის მაგივრ მე ვაზროვნებდი... და ისიც მიჩვილად მომყვებოდა. თუმცა ახლა ნამეტანი რამ ჩაიდინა.

და თავი ჩაკიდა ბარონესამ, მაგრამ მალე ისევ აიღო და ასეთი კითხვა დაუსვა რიაბინინას:

— ეს კი როგორღაა? აი, თოლისქვამი! არც იმისთანა აღზრდა მიუღია და არც იმისთანა სწავლა, როგორც დაგმარას, მაგრამ ეგეც ხომ ჭრელიად უმწეოა, ნეჭტარინას მისჩანჩალებს ყველაფერში.

— არა, მაკას ნუ იტყვით. მან კი დაამტკიცა, რომ ძლიერი ნებისყოფის ადამიანია. ხომ გახსოვთ, თავის დახრჩობა რომ გადაწყვიტა. ამბობენ, თავს სუსტი ხასიათის ადამიანები იკლავენო, მაგრამ მე სულ საწინააღმდეგოს კბედავ ასეთ საქციელში. თავის მოკვლა იოლი რამე არ არის და თოლისქვამიც არც იმდენად ბავშვი იყო, რომ ამისათვის ანგარიში არ გაეწია. არა, ამ შეხედულებაში მისი საქციელი მისი ძლიერი ნებისყოფის ნა-

კარწახვია. ისე კი, ახლა თუ ნექტარინას დაემორჩილა და კვიზინიას მიჰყვება, აქაც მისი პრაქტიკული ჭკუა ჩანს. ქმარი თითქოს შეუფერებელი ეყოლება, მაგრამ მე როგორღაც მწამს, რომ მომავალში თოლისქვამი მას თავის ჭკუაზე ატარებს. არა, არა, თოლისქვამი არ არის უმწეო. ჰო, ესეც არის თქვენ შეიძლება მითხრათ, ასე რომ ვიმსჯელოთ, მაშინ დაგმარას საქციელიც პრაქტიკული ჭკუის ნაკარნახევად უნდა მიგიჩნიოთ, — აქაც შეძლებული ყმაწვილი კაცი, უზრუნველყოფილი მომავალი და სხვა...

— არა, მარინა, არა. ეგ დაგმარას არ გამოუზომია. ბავშვობით მოუვიდა, არც კი იცის, რას სჩადის, თუმცა ეჰ... — ალარ თქვა, რაც პირზე ჰქონდა მომდგარი. მხოლოდ ცოტა სიჩუმის შემდეგ ნელა გაიცინა და მარინას ასე მიმართა: — შენ გჯერა, რომ დიდი ფსიქოლოგი ყოფილხარ. ჩემს დაზე, ნექტარინაზე, რას იტყვი?

მარინასაც გაეცინა.

— მე მართლა არცთუ ისე გამოცდილი ვარ. ახალგაზრდა გოგოებზე კიდევ შემეძლო რამე მეთქვა. თუმცა კნეინა ნექტარინა სავსებით გამოაშკარავებული პიროვნებაა. თქვენც იცით კარგად, როგორიც არის.

— არა, არა. მე შენგან მინდა მოვისმინო, ნუ მომერიდები.

— მეშინია, ახალს გერაფერს ვერ გეტყვით. ამპარტავანი, ძველი დროის ქალბატონია, მბრძანებლობა დიდად უყვარს და ეტყობა ერთ დროს მბრძანებლობდა კიდეც თავის სოფელში. ახლაც თავაშვებული ქალია. თუ რამე განიზრახა, თუ გაუვიდა, უთუოდ შეისრულებს. ბევრი უხასიათობა სჭირს, მაგრამ, თქვენ გეცოდინებათ, ერთ მოაზროვნეს აქვს ნათქვამი: უხასიათობა ეგ ერთგვარი ხასიათი არისო.

— მარინა, მარინა, ჩემო კარგო! უცნაური ქალი ხარ! ასე ახალგაზრდამ საიდან იცი ყველა ესენი?

— არაფერი უცნაური არა ვარ. მე ერთი მოტიტინე გოგო ვარ. — აქ შეჩერდა, შემდეგ წარმოთქვა: — ჯერჯერობით... შემდეგში ვნახოთ. ძალიან მინდა საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანი გავხდე. აი თქვენსავით, დეიდა, თქვენსავით.

— ჩემსავით კი არა... მაგრამ, ჩემზე შემდეგ გკითხავ. ძალიან გამართე შენის საუბრით, — მართლაც, ბარონესას უკვე

გამოცოცხლება დაეტყო, თითქოს დარდი გულიდან გადაიგდოო, ფერიც მოუვიდა, უფრო ენერგიულადაც დაიწყო ლაპარაკი. — მხოლოდ ახლა შენ ეს მითხარი, მარინა... კესარიაზე რა აზრისა ხარ?

ამაზე მარინა თითქმის არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა უცნაური სიტყვით:

— სქესი! გამოვლინებული მიმდევარია თავისი სქესობრივი მოთხოვნილებისა... სხვა ყველაფერი მიტმასნებული აქვს მის ბუნებას — შვილის სიყვარულიც, ცხოვრების სხვა პრაქტიკული საკითხებიც... თან დიდი არტისტკაა...

— ჰა, ჰა, ჰა! — გულიანად გაეცინა ბარონესას. — მაგრამ რა ბოროტი ყოფილხარ, შე ეშმაკო, შენ!

— არა, დეიდა, ბოროტი რატომ... ეს თქვენ არ შეგფერის...

— ჰო, კარგი, გეხუმრე!.. აბა ახლა მე დამახასიათე. როგორი ვარ? შენა გგონია, მე ვიცნობ ჩემს თავს?

— ეგ ხშირად ხდება ხოლმე. თავისი თავის ცნობა ეს უძნელესი რამ არისო, ამბობენ, მაგრამ თქვენ, დეიდა, ყველაფრით შემკული ბრძანდებით.

— ჰ-ო, ახლა პირმოთნეობას კი ნუ შეუდგები, მარინა, მაგითი უფრო მაწყენინებ. — შუბლი შეეჭმუხნა ბარონესას.

მაგრამ მარინამ მაშინვე გულწრფელად შეაწყვეტინა:

— არა, დეიდა, არა, მე იმას ვამბობ, რასაც ვგრძნობ. უზომოდ კეთილი გულისა ხარ, დეიდა, საკმაოდ განათლებული და თან ნამდვილი არისტოკრატი ქალი, მხოლოდ არა ყოყლოჩინა, მაღალი და სპეტაკი ზნეობის, სადაც საჭიროა — გაბედული და ენერგიული. ამიტომაც არის, რომ პეტერბურგში ყველა გაფასებს, თვით მტრულად განწყობილი ადამიანებიც კი, თვით სალონის ჭორიკანებიც კი, მაგრამ მე ყველაზე უფრო ის მომწონს, რომ თქვენ საზოგადოებრივი მოღვაწეობის უნარიც შეგდგამთ.

— ეგ, გიყვარვარ, მარინა, და იმიტომ მაფასებ ასე. მაგრამ კარგი, დავეთხოვოთ ჩემს დახასიათებას, გადავიდეთ მამაცებზე. ჩვენიანებზე, რასაკვირველია.

— ბეგი... — დაიწყო მარინამ.

— არა, — შეაწყვეტინა ბარონესამ, — ბეგის შენ ალმერთებ, მისი დახასიათება არ გამოგივა.

მარინა არ დაეთანხმა.

— რატომ ფიქრობთ, დეიდა, მე არც ისე დაბრმავებული ვარ, რომ ძალიან მიყვარს, ამას ყველანი ხედავთ, მაგრამ, მგონია, მარტო ქალური ლტოლვა კი არა მაქვს მისდამი. იმდენი კარგი მხარეები აღმოაჩნდა მის ბუნებას, გაგიკვირდებათ. ის ხომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულიად ხელუხლებელი ყამირია, მონაცემები კი ბევრი აქვს. არც ნიჭით აირის მდარე და არც გონებით. ცოდვაა, რომ უმაღლესი სწავლა არა აქვს მიღებული. ეგ ხომ ქართველ თავადაზნაურობაში თითქმის ტრადიცია ყოფილა, რომ საშუალო სკოლის მეოთხე თუ მეხუთე კლასამდე მივლენ და შემდეგ გამოხტებიან სასწავლებლიდან, განსაკუთრებით თუ ცოტაოდენი შეძლებაც მოსდევთ. მაგრამ არაფერია, ნახავთ, რა შესანიშნავი და სასარგებლო კაციც დადგება.

ბარონესას გაეცინა:

— მართალია, რომ ახლა თურმე ევროპულ ტანისამოსს აკერვინებს?

— მართალია, დეიდა, მაგრამ გეფიცები, ეს მე არ ჩამიგონებია, თვითონ მოისურვა. მხოლოდ მე ვთხოვე, რომ თავისი ნაციონალური კოსტიუმიც შემოინახოს.

— კარგი გონებებია. შენი ბეგი ჩოხა-ახალუხში ნამდვილ აქაურ გამწყაზრულ მიმინოსა ჰგავს. ხომ ნახე ბერთემში ბარამსა ჰყავს კაპუეტი.

— როგორ არა. ჰა, ჰა, ჩემი ბეგი მარჯლა მოხდენილი ვაჟკაცია და ევროპული კოსტიუმიც ძალიან დაშვენდება. მაგრამ ტანისამოსი რა არის, ის ინტელექტითაც იქნება მალე დაშვენებული.

— ვითომ შეცვლი ასე? ასწავლი, დაარიგებ.

— აჰ, დარიგება არა, — იწყუხრა მარინამ, — დარიგება და ქადაგება არასდეს არ ჭრის... მე გამომიცდია.

— მაშ როგორ მოიქცევი?

— ხელს შევუწყობ მის განვითარებას. კარგს საზოგადოებაში ვამყოფებ, მოწინავე მოაზროვნეებს გავაცნობ პეტერბურგში, საზღვარგარეთ წავიყვან, ქვეყნებს მოვატარებ. მონაცემები კარგი აქვს და ბევრს შეიძენს. არა, უთუოდ სასარგებლო კაცი დადგება.

ეს უკანასკნელი ფრაზა დაბეჯითებით და რწმენით წარმო-

ჰქვა მარინამ. ბარონესა აღარ შეცილებია. ეტყობოდა, დიდად ჰაართო რიაბინინასთან საუბარმა და ახლა ასე შეეკითხა:

— ბარამზე რას იტყვი?

მარინა არ დაფიქრებულა, თითქოს პასუხი მზად ჰქონდაო.

— ო-ო, საუცხოო კაცია, ზრდილი, თავაზიანი, ნელი, ხუმარა, არა მგონია, რომ მას ვისმესთვის ეწყენინებინოს. მე ისიც გავიგე, რომ ბერთემში გლეხობასთან კარგ დამოკიდებულებაშია, ერთი რამ კი მაკვირვებს: აქ, თქვენში, არცთუ ისე გამწვავებულია საერთოდ თავად-აზნაურთა და გლეხობის დამოკიდებულება, მაშინ როდესაც, აი, რუსეთში, მალოროსიაში, ჭალბატონმა ბაბომაც გვიამბო, რომ ჭართლშიაც ამ ნიადაგზე დიდი ექსცესები ხდებაო. რა მიზეზია?

— ო-ო, მაგას, ჩემო მარინა, ვამეხი თუ აგიხსნის...

— ვამეხი! ძვირფასი ადამიანი... მაგრამ, დეიდა, წუხელის კლუბში იცით, ვინ მომხიბლა? გიორგი შარვაშიძემ. პირველად ვნახე. აი ნამდვილი რაინდი. ზრდილი, თავაზიანი. ან როგორი თავისდაჭერა სცოდნია, ან რა მიხრა-მოხრა აქვს, საქციელი. და ეს სრულიად ბუნებრივად გამოუდის მას, არაფერი ძალდატანებული, არაფერი ხელოვნური. ნამდვილი ჰერცოგი. ან ფრანგულად რა მშვენივრად ლაპარაკობს. ასე გეგონებათ, თავისი დღენი ხაფრანგეთის სალონებში აქვს გატარებულიო.

— არც უმაგისობაა — შეეჭრა ბაბოხეკა, — დიდი მომზადებული კაცია...

— მშვენიერი ლექსი კი უთხრა წუხელის, — განაგრძო ისევ მარინამ, — იმ კნეინამ... ჰო, დაბიშკელიანმა. მე აზრი გადამიფარგნეს. არა, აუცილებლად საერთოდ ნიჭიერი ხალხია ქართველები.

ბარონესამ ჩაიცინა:

— აი, ვოლკოვს არა სწამს.

— ვოლკოვი კი არა, მეც აქეთ რომ მოვდიოდი, სულ სხვა წარმოდგენის ვიყავი. კავკაზი... მთები, წყლები, აულები... ბესტუჟევ-მარლინსკის და ლერმონტოვის კავკაზი... საქართველოზე თურმე წარმოდგენაც არა მქონია... თურმე რა ინტელიგენცია ჰყოლია საქართველოს... რა მწერლობაც ჰქონია, ამას წინათ ხელთ ჩამივარდა და წავიკითხე ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ თარგმანი. შეძენილია... მერმე რა დიდი აზრია შიგ ჩაქსოვილი... რომ ხალხს არ უნდა განუდგე... ან რა თეატრი ჰქო-

ნია, მარტო ერთი ალექსეევ-მესხიევი რადა ღირს, რომელ სცენას არ დაამშვენებდა მისი ნიჭი!.. სამწუხაროდ, მე მუშაობა და გლეხობას ვერ ვიცნობ, მაგრამ ვინც კი მინახავს, საერთოდ რა ამაყი გამომეტყველება აქვთ, თითქოს დამოუკიდებელი... ეს კი წყალობა იმისა, რომ თქვენს ხალხს რაღაც დიდი, ძველი კულტურა მოდგამთ... უმისობა არ შეიძლება. და აი, თუნდა ეკოციმილი აგვილოთ. თითქოს რა მომზადებული კაცის არის, მაგრამ მთელი მადრევანია გონებამახვილობისა და მახვილსიტყვაობისა...

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა მარინას, მაგრამ ამ დროს კარები გაიღო და ნომერში ნექტარინა და ბარამი შემოვიდნენ.

ნექტარინამ, ბარონესა რომ რიაბინინასთან დამშვიდებული დაინახა, დაგმარაზე არაფერი არა თქვა, ისე მივიდა და ბარონესას გულთბილად გადაეხვია. შემდეგ იქვე ფეხზე წამომდგარ მარინას თავზე ხელი გადაუსვა და ლოყაზე მოფერებით მოუთათუნა. ბარამმაც უსიტყვოდ ბარონესას ხელზე აკოცა, რიაბინინას სათნოდ ხელი ჩამოართვა.

— ყველანი ჩამოსხდნენ. ერთ ხანს სიჩუმე იყო. ბოლოს ისევ ნექტარინამ დაარღვია დუმილი.

— გუშინდელის შემდეგ არ მინახავხარ. ამალამ მე და ბარამი მივდივართ ბერთემს, ახლა გამოსათხოვრად შემოვიარეთ... შენ, ჩემო რძალო, — მიმართა რიაბინინას, — შენ და ბეგიც ხომ შალე ჩამოხვალთ ჩვენთან...

რიაბინინას მოეწონა ნექტარინას საქციელი: დაგმარაზე არაფერი არა თქვა, არც ნუგეში სცა ბარონესას, არც ის ჰკითხა, სოფელში როდის დაბრუნდებიო, მხოლოდ მე მომმართა ამ კითხვით, არა, უთუოდ დიდი ტაქტის ქალიც არისო, გაიხარა და ის იყო უნდა ეპასუხნა, რომ დაუკაკუნებლად კარები გაიღო და კესარია შემოვიდა თავის იეროთი.

კესარიამ ბარონესა დაინახა თუ არა, მაშინვე შეიცხადა:

— ვაი, შე უბედურო, ეს რა მოგივიდა, შენი ანკელოზი დაგმარა წაგართვეს... უი, დიდა, დიდა! ის უკუღმართი ახლა ხომ გააბახებს ჩვენ მზეთუნახავს და მერმე უკან მოგვიგდებს... — ტირილ-ზლუქუნით გადმოცემდა კესარია, მაგრამ ნექტარინამ ერთი მკვახედ შეუძახა:

— რას ბრიტინებ, დედაკაცო! კი ნუ გამოჩერჩეტდი,

კესარია უცბად შედგა, თვალები მოიწმინდა და პირდაღებული ბარონესას მიაჩერდა.

ბარონესა სათნოდ იღიმებოდა. პირიქით, აქეთ დაუწყო ნუგეში კესარიას:

— არაფერია ჩემო კესარია, მაგისთანები მომხდარა?.. შენ მითხარი შენი ბავშვი თუ მოაწყვე სადმე სკოლაში.

კესარია გაოცებული იყო ბარონესას საქციელით, მაგრამ შეკითხვაზე მაინც გასცა პასუხი:

— უი, შენ კი შემოგევლე, რა კეთილი გულის ხარ, ბავშვი მოვაწყვე, როგორ არა, გენაცვალე. ჩემი იერო აქ ფერმის სკოლაში მიიღეს, ვამეხი ძალიან დამეხმარა დირექტორთან. მომავალში აგრონომი გამოვაო, მეუბნებიან.

— ჰოდა ძალიან კარგი, მაგრე ჯობია. აბა ახლა შენ იცი, იეროთეოს!..

იეროთეოსმა ოდნავ, ვითომ სათნოდ გაიღიმა. ძველებურად ერკემლის სიჯიუტეს აღარ მისდევდა.

ამავე დროს კარზე დააკაკუნეს. მარინამ გაუდო და ბაბო გავლენიშვილი შემოვიდა.

53

კლუბში ღამით ნადიმზე რომ სინათლე ჩაქრა, მიტო გავლენიშვილი ამას სრულიად არ მოელოდა, ის სულ სხვა მდგომარეობაში ფიქრობდა დაგმარას გატაცებას. ხალხი შეთვრება, ატყდება ღრიანცელი, მუსიკა დაუკრავს, ეგეც საცეკვაოდ გაიყვანს დაგმარას და შემდეგ იქიდან გააპარებს. ამის დაკვირვების თავი არავის ექნება და ის კი თავის მიზანს მიაღწევს. ასე ფიქრობდა მიტო, მაგრამ მოულოდნელმა სინათლის ჩაქრობამ ხომ მისი გული სიხარულით აავსო.

თითქოს მან შეუკვეთა სინათლის ჩაქრობა და აი სურვილი აღუსრულესო.

მან დაბნელებისთანავე წაავლო წელი დაგმარას და ხმადაბლა, მაგრამ შეუვალად უთხრა: წავიდეთ, გრეტხენ!

დაგმარაც აჰყვა. ეგონა, უთუოდ სადმე სინათლეზე გამიყვანსო, და ცოტა უკვირდა, რომ მიტო ძალზე ჩქარობდა, თითქმის ჩიჩჩიქით მიჰყავდა დაგმარა. ეს უფრო მისთვის, რომ მალე არ მოვიდეს სინათლე და საუცხოო ხელისშემწყობი წუთი ხე-

ლიდან არ გავუშვაო. დაგმარას კი უხაროდა ეს ბავშვური ანცობა, ბნელ დერეფნებსა და ოთახში რომ მიძვრებოდა მიტოსთან ერთად და თვითონაც ფეხაჩქარებით რომ მისდევდა კავალერს.

მხოლოდ კლუბიდან რომ გამოვიდნენ, ნავთის მბუტუტავ ქუჩის ფარნებზე შეამჩნიეს კლუბის კარებთან შეკუნჭული ეტლები. მათ შორის ერთ-ერთი გამოეყო და პირდაპირ ახალგაზრდების წინ შეჩერდა.

მიტომ ხმის ამოღებაც არ აცალა დაგმარას, ისე უსიტყვოდ თვალის დახამხამებამდე ეტლში ჩასვა და თვითონაც გვერდით მოუჯდა.

— აბა, კარაბახ! მალე აქისაკენ! — უბრძანა მეეტლეს და კარაბახმა ჩვეულებისამებრ დიდის სისწრაფით დაძრა ეტლი.

დაგმარას ეტლში ჩაჯდომა გაუკვირდა მაგრამ არ სწყენია. კაშკაშა მთვარე ანათებდა მიბნედილ ქუჩებს და ასეთი გასეირნება დაგმარას აგონებდა სხვადასხვა რომანში ამოკითხულ ასეთ ეპიზოდებს. თან ეგონა — კარგად მოიფიქრა მიტომ, ცოტას გავისეირნებთ და მალე დავბრუნდებითო.

ქალაქს რომ გასცილდნენ და ხონის გზატკეცილს რომ გაუყვნენ, დაგმარა კიდევ უფრო მოიხიბლა: მთვარის ნაზი შუქით განათებული არემარე, ხევები, ბუჩქნარები, რალაც საზღაპრო ნაკვთებს რომ მოაგონებს ადამიანს, გუსტავ დორეს ბიერ დახატულ ბიბლიურ პეიზაჟებს რომ წარმოგვიდგენენ, მარჯვნივ კოხტად შემორგვალებული სოფელი. ბანოჯის გორაკები და შემდეგ საჭუსლია, ეს ოდესღაც ავაზაკების თავიანთთვის მოხერხებულად მიჩნეული შარაგზა. მარცხნივ თვალუწვდენელი ვაკე, მის მოშორებით გურიის მთები, გვერდით კიდევ ასეთი სიფუცხოთ შაბუკი, მის თეთრ ჩოხა-ახალუხს რომ მთვარე ასე სარცხვინოდ დაჭათქათებს — ეს ყველაფერი დაგმარასათვის იყო ჯადოსნური რამ და ისიც როგორღაც გაურკვეველი სიხარულით იყო შეპყრობილი.

დაგმარა იმედ გაიტაცა თავისმა მდგომარეობამ, რომ სრულიად არ ჩაფიქრებია იმაზე, თუ მის ასეთ ნაბიჯს რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ის კი არა, მიტოსაც ხვირიანად ვერ უგდებდა ყურს, თუმცა ის სხვადასხვა მსუბუქი ფრაზებით ელაზღანდარავებოდა და, მართალია, ერთი მკლავი დავმარას წელზე ჰქონდა შემოხვეული, მაგრამ მთელი გზის განმავლობაში სხვა არაფერი უკადრებია. შეიძლება იმიტომაც, რომ „სულ ერთია,

ახლა რომ მაინც ხელიდან ვერსად წამივაო“ თუ ფიქრობდა და შეიძლება ამიტომ უბრალო ბღლარძუნისაგან თავი შეიკავა.

დაგმარა ისევ და ისევ მოკადოებულივით იყო, როცა ეტლი გზის პირად ერთ დიდ ალაყაფის კარებს მიადგა.

ამან თითქოს გამოაფხიზლა, მოულოდნელად წელი გაიმართა, ისუფლა მიტოს ხელისაგან და კარგად შეუვალად განაცხადა:

— ახლა კი დავბრუნდეთ, კნიაზ მიტო!

მიტომ კარგა ხმამაღლა გაიცინა:

— რა დროს დაბრუნებაა? ოჯახში მოვედით...

— არა, არა, კნიაზ მიტო... მე თქვენ გთხოვთ... ვინ იცის, ახლა დედა და მარინა გაშფოთებული დამეძებენ.

— ეგ არაფერია... ხვალ დილით მათთან ვიქნებით.

— როგორ თუ ხვალ დილით? — აქ უკვე შინაგანად აწრიალდა დაგმარას გონება. ვერ გაერკვია, მაგრამ ალღოთი იგრძნო, რომ რაღაც ცუდი მოელოდა. უკვე ხმაშერხეულმა წარმოთქვა:

— არა, არა, კნიაზ მიტო... დავბრუნდეთ!

მაგრამ ამ დროს ალაყაფის კარები შიგნიდან ფრთხილად გაიღო და კარაბახმა დიდ კრინდრიან ეზოში შეაგელვა მისი ბედაურები და კარგა მაღალ ბოძებზე შემდგარი აივნიანი იმერული ოდის ქვის კიბესთან დააყენა.

ეტყობა, მასპინძლები ელოდნენ სტუმრებს.

მიტო სწრაფად გადმოხტა ეტლიდან და დაგმარას ხელი გაუწოდა გადმოსაყვანად, მაგრამ დაგმარა არ იძროდა ადგილიდან და ჩურჩულებდა:

— არა, არა, კნიაზ მიტო...

მაგრამ მეტის თქმა არ დასცალდა, რადგან კიბეზე მარდად ჩამოვიდა ერთი ხანში შესული ქალი და დიდის თავაზიანობით სახლში მიიწვია დაგმარა:

— მობრძანდით, გენაცვალე, მობრძანდით... რისი გერიდებათ?

დაგმარა საქციელწამხდარივით იყო. არ იცოდა, რა მოექმედნა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ უფრო ზრდილობისათვის გაჰყვა ამ თავაზიან მასპინძელ ქალს.

დარბაზის კარებში ერთი კარგი შესახედავი ჭალარაშერეული ჩოხოსანი გამოეგება სტუმრებს. ეს იყო მთავარი მასპინძელი სიმონიკა შედიდურაძე, ჩვენთვის ცნობილი ატატოს ნათე-

სავი. ის უკვე გაფრთხილებული იყო ატატოსაგან და ამიტომ უცდიდა ასე შეგვიანებით მრსალდნელ სტუმრებს. ღამის უკვე 4 საათი მაინც იქნებოდა, ატატოს არ უთქვამს, მაგრამ სიმონიკა მაშინვე მიხვდა, რომ მიტოს გატაცებული ქალი მოჰყავდა და ამისათვის წარბიც არ შეუხრია. ის თვითონ იყო ასეთი საქმეების ოსტატი: ქალების მოტაცება, ებრაელებზე თავდასხმა და მათი გაძარცვა, ცხენის და კამეჩების, ქურდების მფარველობა და სხვა ამისთანების ხელისშეწყობა იყო მისი ხელობა, მხოლოდ დიდი გაჭანების მაინცდამაინც არ იყო, ოთათაანთ ქორაგვით თავის სახლ-კარის მახლობელ სოფლებში დაფათურობდა. ბუნებით უდარდელი კაცი იყო, მხიარული, ხმამაღალი ხარხარი იცოდა, იმერულ და ქალაქურ სიმღერებსაც ეწყობოდა, ცეკვითაც არცთუ ულამაზოდ ცეკვავდა. სახითაც სახიერი იყო, მოკლე წვერულვაშიანი, მხარბეჭიანი და ჩაცმითაც კოხტად იცვამდა.

უწდა ითქვას, რომ მაშინდელი თავადაზნაურობა თავისი იერით, მიმოხვრით, ჩაცმულობით ძალიან ჰგავდნენ ერთიმეორეს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. იმერეთში ყველანი ბაძავდნენ განთქმული სილამაზის პატრონს დათიკო მიქელაძეს, სამეგრელოში — კოწია დადიანს, გურიაში — გურიელებს; აღმოსავლეთ საქართველოში კი განთქმულ მოქეიფე ძმებს ანდრონიკაშვილებს. ყველა ცდილობდა რომ მათებური ჩოხა-ახალუხი ცმოდათ, მათებური წუღა-მესტი და დაბალქუსლიანი შევროს წაღები, ფაფახიც მათებური და სხვა. ერთი სიტყვით, შეიძლება უნებლიეთ, მაგრამ მაინც როგორღაც ერთგვარი სტილი ჰქონდათ დაცული, და თუ გამოირჩეოდნენ ერთიმეორისაგან უფრო სახით; რადგანაც სახე ყველას თავისი საკუთარი მოყვანილობისა ჰქონდა.

წვერები ხომ... წვერები მოკლედ შეკრეჭილი, რუსთაველის ციდაცის მოგრძნილი და ამჟამად დიდად გავრცელებული სურათი რომ არსებობს, იმგვარი, მაგრამ რად გინდათ თავადაზნაურობა? თვით მაშინდელი ინტელიგენცია და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები, უფრო მენშევიკური ფრთის, თითქმის ერთნაირები იყვნენ: გრძელი, მხრებამდე ჩამოშვებული თმა, ამათაც აუცილებლად წვერ-ულვაში, შავი ან სხვა რაიმე თალხი ფერის ხალათი, საყელო რომ გვერდზე აქვს შესაკვრელი (ხშირად არც ამას იბნევდნენ) და ზედ მეტნაწილად წანგრძლივი ხმა-

რების გამო გამრხუნებული პიჯაკი, ჩამოლეწილი შარვალი და ფეხზე ან მაღალყელიანი ჩექმები ან უბრალო, ეგრეთ წოდებული „კონდრები“, თავზე კი ფეტრის ქუდი... პიჯაკის ჯიბეები ხომ მუდამ ჟურნალ-გაზეთებით თუ პაწია ბროშურებით გამოტენილი, ასე რომ, დანახვისთანავე იცნობდით, თუ როგორ „ზეგარდმო მადლით ცხებულ“ ადამიანთანაც გქონდათ საქმე.

ასეთი სტილის კაცი იყო სიმონიკა მედიდურაძეც, მაგრამ ეს, როგორც ვთქვით, თავადაზნაურული „ფანაბერიის“ სტილისა.

წვერები კი იმ დროს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, აუცილებელი იყო და ულვაშგაპარსულობა ხომ უდიდესი სირცხვილი იყო ვაჟკაცისათვის. უულვაშობა ეს შეუძლებელი რამ იყო იმ დროს და ქართული თეატრის არტისტებმაც კი, რომლებისთვისაც ულვაშის გაპარსვა სავალდებულოც კი იყო მათი პროფესიისათვის, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში, ასე 90-იან წლებში, გაბედეს და ძლივ-ძლივ შემოიღეს. უულვაშო კაცს საზოგადოებაში თავი არ გამოეყოფოდა. წვერი ხომ დიდ სათაყვანო რამედ მიაჩნდათ და აი, სამეგრელოში ნახავდით ისეთ მშვენიერ წვერებიან ვაჟკაცებს, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდათ. ვისაც კარგი მოვლილი გრძელი წვერი ჰქონდა, ეს პირდაპირ საამაყო იყო.

სიმონიკა სიცილ-ხარხარით შეხვდა სტუმრებს. შემწრფალ დაგმარას, თუმცა საქართველოში მიღებული არ იყო გაუთხოვარი ქალის ხელზე კოცნა, მაინც აკოცა, რითაც დიდად გააკვირვა დაგმარა ამ პეტერბურგული ჩვეულების დაცვამ, მხოლოდ ქალიშვილის ხელი დიდხანს არ გაუშვა, სიმონიკას თითქოს უნდოდა ეწონა, რა სიმძიმის არისო. შემდეგ მიტოს ფამილიარულად ღილიაში თითი ჰკრა და დაგმარაზე თვალი ჩაუქნია, გადაიხარხარა და შეიწვია სახლში სტუმრები. თან კარგი რუსულით დაგმარას მიმართა (ესეც მეოთხე კლასამდე გიმნაზიაში იყო ნასწავლი):

— Пожалуйте, пожалуйте... Будьте дорогими гостями...*

დაგმარას არაფერი უპასუხნია, მაგრამ რალაც უნებლივ შიშმა კი მოიპყრო, თავი ძალიან ობლად იგრძნო, მიტოსაც გახედა, მაგრამ თავისიანად ვერც ის იცნო და უკვე მოიბუზა, მოიკუნტა.

* — მობრძანდით, მობრძანდით, ძვირფასი სტუმრებო, ბრძანდებოთ,

დარბაზში სამი კაცისთვის სუფრა იყო გაშლილი და სიმონიკამ მაშინვე იქით მიიწვია სტუმრები, მაგრამ დაგმარა არც კი დაჯდა. აქეთ-იქით მიიხედა, თითქოს ვილაცას და რაღაცას ეძებსო, რაც შენიშნა სიმონიკამ და მაშინვე შეაგება:

— Вы что, очень устали, или нездоровится! Сейчас, сейчас!* ნათლიდედ! — დაუძახა იქვე მდგომ ქალს, რომელიც პირველად კიბეზე გაეგება სტუმრებს. — აბა უჩვენე ოთახი, ემსახურე.

ნათლიდედამ ოდნავ ხელი შეახო დაგმარას წასვლის ნიშნად და დაგმარაც მორჩილი ბავშვივით თან გაჰყვა.

როცა ქალები გავიდნენ სიმონიკამ ჩაიხარხარა:

— ეს კარგი ჯეირანი ჩავიგდია ხელში, კნიაზ მიტო!

— ჰო... — ნელა გაიღიმა მიტომ.

— რა გიჭირს, რა! საქართველო ხომ ამოჭამე... ახლა პეტერბურგი... სალონები...

— პეტერბურგი, თორემ მაგას შევაბერდები სწორედ.

— არა, შებერებით რატომ... ეგ ცოლად გეყოლება და პეტერბურგში შენ კიდევ გამოძებნი კეკლუცებს.

— აჰ, აბა! ცოლად ღმერთმა დამიფაროს!

— რატომ, ბიჭო, ეგ კარგისაა აი! ახირებულად არ მოიფლაშება.

— არა-მეთქი, არა, ცოლად არ მინდა!

— აბა როგორ, შე ღმერთგამწყრალო?

— ჰა, ჰა! რა დაგიმალო! იმე, გასასეირნებლად წამოუყვანე.

— ჰო, ვიცი, ვიცი შენი გასეირნების ამბავი.

— ხვალ დილით მე და ჩემი კარაბახი... ჰაიდა! მაგას შენ დაგიტოვებ.

— ღმერთი არ გაგიწყრეს! ჰო, მართლა, კარაბახი! — სიმონიკა წამოდგა და უკანა კარებში გასძახა: ონისიმე, ბიჭო! მანდ იზვოშჩიკია, პატივი ეცით, მისმიეთ, მიჭმიეთ. — აქ მობრუნდა სიმონიკა და მიაშტერდა მიტოს: — ეგ რა თქვი, კაცო? პატივისცემის მაგივრად მღუპავ? ეგ რომ აქ დამიტოვო, მერე რა პა-

---

* — თქვენ თითქო ძალზე ხართ დაღლილი, თუ უქეიფოდ ხართ, ახლავე, ახლავე...

სუხი გავცე ბარონესას? წელმწიფის კარზე შესული ქალია. ციმბირი ხომ აქეთ დამატოვებინა Камчатка, брат, Камчатка!

ეს „კამჩატკა“ ისე ხმამაღლა იყო სიმონიკას მიერ წარმოთქმული, რომ დაგმარას თავის ოთახში შეესმა.

ტანთ გაუხდელად ლოგინზე იყო მისვენებული და წათლიდედა იქვე მის ფეხთით დაბალ სკამზე იყო ჩამომჯდარი, თან რალაცეებსაც ქართულად ეუბნებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, ახლა დაგმარას მაგის თავი არ ჰქონდა და, ამას გარდა, ქართული სიტყვებისა აქა-იქა თუ გაეგებოდა, მაგრამ „კამჩატკა“ მოესმა თუ არა, გველნაკბენივით ლოგინიდან წამოვარდა. ამ „კამჩატკამ“, თვითონაც არ იცოდა რატომ, თავზარი დასცა. არ იცოდა კი რა მოეფიქრნა. ერთ ხანს ფეხზე იდგა გამოშტერებულივით, მხოლოდ ამის შემდეგ ხმამაღალი ხარხარი რომ მოესმა დარბაზიდან, იქვე ჩაიკეცა. დარბაზში ორი მამაკაცი კარგა ხანს განაგრძობდნენ ხარხარს.

ნათლიდედა მაშინვე მივარდა დაგმარას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ზე ასწია და კვლავ ლოგინზე წამოაწვინა, ფეხსამოსის გახსნა დაუწყო.

დაგმარა კი საგონებელში იყო ჩავარდნილი. ათასგვარი ფიქრი უფუსფუსებდა თავში, ერთიმეორეზე უარესი. უეცრად თითქოს სულ გამოფხიზლდაო, ნათლად წარმოიდგინა, თუ რა მახეშიაც იყო გაბმული. თითქოს ამის დასადასტურებლად ყრუ, მაგრამ მაინც ხანგრძლივი გმინვა ალმოხდა მკერდიდან.

ნათლიდედა მივარდა, შუბლზე ხელი გადაუსვა, თმები გაუსწორა, შეეცადა ყოველი მხრით მოფერებოდა, სახეს რომ მიაჩურდა, მაინც ჩაუქართულა:

— უმე, ანგელოზი ხარ, გენაცვალე, ანგელოზი! — თან როგორლაც ესეც აწრიალდა. არც ნათლიდედას მოსწონდა დარბაზში ორი მამაკაცის გაუთავებელი ხარხარი.

ამ საქმე როგორლაც კარგად არ არის, გაუელვა თავში ნათლიდედას. მოინდომა გაეგო, თუ ვინ იყო მიტო მისთვის. „ქმარი, ქმარი“ პირს აღგებოდა ქართული სიტყვა, მაგრამ რომ ვერ გაუგებს? ორივე ხელის არათითები დაატყუპა და აჩვენა დაგმარას, შემდეგ უეცრად გაახსენდა განაგონი რუსული სიტყვა: „Муж, Муж?“ და დარბაზის კარებისაკენ თავი გადაიქნია.

დაგმარა მიუხვდა, რასაც ანიშნებდა ნათლიდედა და ხელა-ღებით უარყო.

მაშინ ნათლიდედა წამოდგა, წელში გასწორდა, კარებისაკენ თვალი მიაპყრო და ქართულად ჩაილაპარაკა:

— მე დედაკაცი არ ვიქნები, თუ შენ შენი შეისრულო!

ამის შემდეგ დაგმარასკენ დაიხარა, დიდად მოეფერა და უთხრა მუნჯური ნიშნებით და ქართული სიტყვებით:

— ნუ გეშინია, ანგელოზო, ნუ! მე მომენდე, მე ვერავინ ვერაფერს გაგიბედავს.

დაგმარა აზრით მიხვდა, რასაც ნათლიდედა ეუბნებოდა და თითქოს უნუგეშო, მაგრამ მაინც მადლობის გამომეტყველი თვალებით შეხედა. ნათლიდედას კი რალაც აზრმა გაურბინა თავში და კარს მიაშურა.

— აა!.. — წამოიკნავლა დაგმარამ და საყვედური მიაყოლა: — „Куда, куда?"

ნათლიდედა მიხვდა და დამტვრეული რუსულით უპასუხა: „ჩიჩას, ჩიჩას!"

დარბაზში რომ გავიდა, სტუმარ-მასპინძელი მაშინვე შეეკითხნენ:

— როგორ არის? რა მოსვლია?

— შეუძლოდ არის რალაც, თავის ტკივილს უჩივა, სიცხეც აქვს და შფოთავს.

— ეგ არაფერია, — წარმოთქვა მიტომ და დაგმარასაკენ წასასვლელად მოემზადა, მაგრამ ნათლიდედამ კინაღამ შეკივლა და მიტოს გზა გადაუღობა:

— აჰ, არა, ბატონო, არ შეიძლება... ძალიან ცუდად არის და მერე კიდევ — სიცხემ ისე შეაწუხა, რომ სულ ტიტველია.

— ჰოდა ეგ მინდა სწორედ მეც, — უსირცხვილოდ წარმოთქვა მიტომ, მაგრამ ნათლიდედამ ფაფარი არ დაღრიჯა:

— როგორ გეკადრებათ, ბატონო... ანგელოზი ქალი... უცხო ქალი.

— უცხო კი არა, ცოლია ჩემი.

— ჰი, ჰი, ჰი! — აქ უცნაურად გადაიკისკისა ნათლიდედამ.

— ცოლი კი არა! მე მატყუებ, ბატონო? — და ამ კისკისით დაგმარას კარებს გარედან ეყუდა.

— Послушай Семеника! Прикажи этой дуре!* — მიმართა სიმონიკას მიტომ.

— Подожди, подожди. Чего ты спешишь. Вот лягут все... Иди, допьем эту бутылку.**

— Ну черт с вами*** — და გულში მაგრად შეიგინა მიტომ, მაგრამ თითქოს სიმონიკას დაუჯერაო, ისევ სუფრას მიუჯდა.

ნათლიდედა ცოტა ხანს კიდევ იყო კარებთან აყუდებული და ვითომ სიცილს ჩუმადაც ვერ იკავებდა, მხოლოდ როცა დარწმუნდა, რომ მიტო აღარ შევა დაგმარასთანო, უცებ უკანა კარებში გასხლტა, მალე მოძებნა მისი ძმა ონისიმე, რომელიც სიმონიკასთან ქირაჯად მსახურობდა, თვითონ კი სტუმრად იყო მოსული ნათლიასთან, მაგრამ ძმის იმედი მაინც ჰქონდა და ყურში ასე ჩასჩურჩულა:

— ამალამ არ დაიძინო, ბიჭო, და თუ შე ყვირილი მოვრთე, მაშინვე შემოვარდი ზევით ოდაში.

ეს უთხრა, მაშინვე შემოტრიალდა, დარბაზი სწრაფად გაიარა და დაგმარას ოთახშიაც ჩქარა შევიდა.

მიტო და სიმონიკა კარგა ხანს შეყვნენ სმას. უკვე ალიონმა მოუტანა. სიმონიკა ზლაზვნით წამოდგა, მიტოს გამარჯვება უსურვა და თავის ოთახს მიაშურა.

მიტომაც ეზოში გაისეირნა. ბოლოს ისევ დარბაზში შევიდა. და დაგმარას ოთახის კარებს მიადგა. უნდოდა კარები გაეღო, მიაწვა კიდეც, მაგრამ შეატყო, რომ შიგნიდან იყო ჩაკეტილი. მაინც ლმობიერად დაუძახა დაგმარას:

— Гретхен, голубка, открой двери.****

დაგმარას მაგივრად ნათლიდედას პასუხი გაიგონა:

— ვინ არის? რა გნებავთ?

მიტოს უკვე დავიწყებული ჰქონდა, რომ დაგმარას ოთახში ნათლიდედაც იყო. მეტად ეწყინა. მაინც მიმართა:

— გამიღე, ქალო! ეს მე ვარ, მიტო.

— მერმე, რა გნებავთ?

---

* გამიგონე, სიმონიკა. უბრძანე ამ ბრიყვს.

** — დაიცა, დაიცა... რა გეჩქარება... ყველანი დაწვებიან... მოდი აქ, ჯამოვცალოთ ეს ბოთლი!

*** — ეჰ ჯანდაბას თქვენი თავი...

**** — გრეტხენ, ჩემო მტრედო, გამიღე კარი.

— ბიჭოს! როგორ თუ რა მნებავს. ცოლთან არ მიშვებ?

— ოჰ, კარგია ერთი, კნიაზო, — ისევ გაისმა კარის-შიგნიდან ნათლიდედის ხმა, — აბა როგორ უნდა შემოგიშვა უცხო ქალთან?

ესეთ პასუხზე მიტოს გული მოუვიდა:

— თავს ნუ იგდებ, დედაკაცო! გამიღე-მეთქი!

— არ გაგიღებ, არა. მიბრძანდით. ეს ქალ-ღმერთმა მე ჩამაბარა.

— მე შენ გიჩვენებ მაგ შენს ღმერთს! — და რაც ძალი და ღონე ჰქონდა კარებს დაეტაკა. კარები წაბლის ხის იყო, კარგა მაგრა შეკრული და უბრალო ჭრიალიც კი არ გაიღო.

— Ч... е... рт!— და რუსულად მაგრა შეიგინა მიტომ, ახლა კიდევ უფრო გამძაფრებით დაეტაკა კარებს.

ამ დროს ნათლიდედამ ისეთი დაიყვირა, გვიშველეთ, გვიშველეთო, რომ, როგორც იმერლები იტყვიან, მთელი ოდა თავზე წამოიცვა.

მიუხედავად ამისა, მიტო მაინც აწვებოდა კარებს, ნათლიდედა კი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, საზარლად გაჰკიოდა.

ამ კივილზე პირველი ონისიმე შემოვარდა და ერთი ბიჭიც შემოიყვანა, მაგრამ იმავე დროს პერანგის ამარა სიმონიკაც გამოვარდა.

— რა იყო: რა ამბავია? ყაჩაღები დაგვეცნენ? — წამოიყვირა სიმონიკამ, მაგრამ ამ დროს თვალი მოჰკრა, რომ მის ეზოს ალაყაფის კარები ვიღაცამ გააღო და ეზოში ეტლი შემოტრიალდა.

მიტოს ეს არ გაუგია და სიმონიკას მიმართა:

— ვინ არის ეს დამთხვეული დედაკაცი, მომაშორე!

სიმონიკას პასუხი არ დაცლია, ისე დარბაზში ბაბო გავლენიშვილი და ვამეხი შემოვიდნენ.

ბაბომ დაინახა თუ არა მოშილიფებული სიმონიკა და სახეზე შეწითლებული, გამეხებული მიტო, ზიზღით წარმოთქვა:

— იფ, იფ! დამიწედეთ ორ რაინდს, რა კარგ საქმეს აკეთებენ!.. ეს ვინ არის, რომ კივის? დაგმარას ხმა არ არის...

ორივე კნიაზი სახტად დარჩა. სიმონიკა ვერც ბაბოს იცნობდა და ვერც ვამეხს: მიტოს ისე ჰქონდა თვალები ამღვრეული, რომ პირველ წანად ბაბო ვერც კი იცნო. იმას ის სწყინდა, რომ

ვილაც დაუპატიჟებელმა სტუმრებმა ასე უდროო დროს ხელი შეუშალეს.

ონისიმემ კი თავის დას კარებში ჩასძახა:

— გაჩუმდი, ქალო, სტუმრები მოვიდნენ!

სიმონიკა ახლა მიხვდა, რომ უცხო ქალთან ბერაწგისამარა იყო და ფურცუხ-ფურცუხით თავის ოთახს მიაშურა.

კივილი შეწყდა. მიტომ ახლა კი იცნო ბაბო და ტანში გაყრჭოლა, თან წამოიღუღლუღა:

— აბა, აქ რა გინდოდათ, მამიდა!

— ჩუმად! სად არის დაგმარა?

დაგმარას ოთახის კარები ფართოდ გაიღო და ნათლიდედა გამოვიდა. ბაბომ გამოღებულ კარებში დაინახა დაგმარას ნაკვთი და მყისვე იქით გასწია. მას ნათლიდედაც შეჰყვა.

დარბაზში დარჩნენ ვამეხი, ბიჭები და მიტო. მაგრამ მიტო დიდხანს არ დარჩენილა, გარეთ, აივანზე გავიდა, ბიჭებიც გალაგდნენ დარბაზიდან.

ვამეხმა თითქოს დააპირა აივანზე გასვლა, მაგრამ გაიფიქრა, რომ მისი ლაპარაკი ამჟამად მიტოსთან არ ღირდა, ყოველივეს ბაბო ჩემზე უკეთესად გაარიგებსო, და იქვე მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა.

* * *

მეორე დილით ბაბო გავლენიშვილი რომ ბარონესას ოთახში შევიდა, არავის იქ მყოფს არ მისალმებია, ისე პირდაპირ ბარონესასთან მივიდა, მოეხვია და აცუთხრა:

— ყველაფერი რიგზეა, მინადორა! ორთავენი ჩამოვიყვანე და ამაღამ ჯვარს იწერენ კიდეც.

— უჰ, რა კარგია! — წამოიცდა ბარინას. მერე სად არიან? სად?

— მარშლისას. იქ გელოდებიან. მინადორა, უნდა მიხვიდე და დალოცო: მღვდელიც ნაშოვნია უკვე — ჭუთაისში კარგა ცნობილი ღირსეული სასულიერო პირი, ივანე შავლაძე, ის დასწერს ჯვარს ამაღამ თავის ეგრეთ წოდებულ სტრუისკის ეკლესიაში, ბალახვანში. ახლა კი უნდა წამოხვიდე.

— უჰ, შენ აგაშენა ღმერთმა! — გულითადად წარმოთქვა ბარამმა. — პირდაპირ გულზე მომეშვა.

— ეს კარგი საქმე გაგიკეთებია, ბაბო! — მიმართა ნექტარინამ. — ძაგრამ აქ რატომ არ მოიყვანე? ქორწილს გადავიხდით.

— ეგ ყველაფერი გამოწყობილია: მე და მარშლის ცოლმა უკვე მოვილაპარაკეთ, ქორწილს ის გადაიხდის.

— მერე მე? — ცოტა შეიკვირვა ბარონესამ.

— შენ არაფერია, შენ ნადიმს მერეც მოასწრებ. დღეს კი ჯვრისწერა საჩქაროა და ნადიმი სადაც უნდა, იქ იყოს. ურიგო ალაგას მაინც არ იქნება.

— ოჰ, რა თქმა უნდა, მაგაში მართალი ხართ, მარშლისას ქორწილი უფრო საზეიმოც იქნება, — დინჯად წარმოთქვა ნექტარინამ.

— მომილოცავს, ქალბატონო, თქვენი ანგელოზის გაბედნიერება, — ფეხზე წამოდგომით მიმართა კესარიამ ბარონესას. გულში კი ცოტათი არ იყო გაკვირვებული, რომ „გაბაზების“ მაგიერ ასეთი ბედი ეწვია დაგმარას. ამაზე რატომღაც გული დაწყდა. ის თუ აწუხებდა — რატომ დაგმარაც ჩემი ბედის არ შეიქნაო. ზოგს უნდა ხოლმე, რომ თუ თვითონ რაიმე შეცდომა მოსვლია, სხვასაც მოუვიდეს ასეთი. სიტყვით კი მაინც ასე დააყოლა: — აბა სხვაფერ რავა იქნებოდა, ან რა მოსალოდნელი იყო... მომილოცავს, ქალბატონო, ღმერთმა გააბედნიეროს ახალგაზრდები. — ამ სიტყვებით მოვიდა ბარონესასთან და მეგრული ჩვეულებით გულის მხრივ მკერდზე აკოცა.

ასე გაკვირვებული იყო შემდეგში ყველა, ვინც კი მიტოს იცნობდა. მისგან ამგვარ დარდიმანდობას არ მოელოდნენ.

ფარისევლები და ვითომ დარბაისლები თითქოს გახარებულები იყვნენ, რომ საქმემ კანონიერი სახე მიიღო, ამას ულოცავდნენ ბარონესას. თუმცა შინაგან ესენიც გაცბუნებულები იყვნენ — მიტომ მათი მოლოდინი არ გაამართლა.

ახალგაზრდა, რომანებნაკითხი გოგონები და ცოტა მოცულლუტო ვაჟები, განსაკუთრებით ქუთაისის ბულვარის კავალერია პირდაპირ უკმაყოფილოები იყვნენ, მაგრამ ამას ხმამაღლა თითქმის არ ამხელდნენ და ბარონესას ესენიც, თუკი შეხვდებოდნენ, პირფერობით ულოცავდნენ.

ერთი სიტყვით, ქალაქში ყველანი, ვინც კი მიტოსაგან დაგმარას გატაცებამ დააინტერესა, ვერ იყვნენ გუნებაზე: სენსაციას ბოლო ეღებოდა ძალიან პროზაულად.

ბაბოსა და ვამეხს ბევრი ეკითხებოდა, როგორ მოარჯულეს მიტო, მაგრამ არც ერთს არ გაუმხელია, როგორ გაუჭირდათ მიტოს დათანხმება, რომ ჯვარი დაეწერა, სულ გაქცევაზე იყო და ბოლოს თუ დათანხმდა, იმ პირობით, რომ სულ ერთია, დაგმარას ის ქმრად არ შერჩებოდა. ამაზე ბაბომ და ვამეხმა გული დააჯერეს იმ მოსაზრებით, რომ „დღევანდელი საზოგადოების თვალში მიტოვებული ცოლის მდგომარეობა უმჯობესია, ვიდრე გაუპატიურებული გაუთხოვარი ქალისაო".

ეს უკეთესი გამოსავალი იყო, მაგრამ ამის შესახებ არც ბარონესასთვის, არც არავისთვის არაფერი უთქვამთ.

ბაბომ ნათლიდედა მაინც წამოიყვანა ქუთაისს, — ბარონესამ უნდა გაგიცნოსო. დაგმარას მხსნელად ნათლიდედა მიაჩნდა. ვამეხი იმასაც კი ამბობდა, რომ ჩვენი ხალხის სულიერი უბიწოება გამოვლინდა ნათლიდედის საქციელში: ქართველი ქალის ნამუსმა იჩინა თავიო.

სიმონიკა მედიდურაძეც აწერდა თავის თავს — მე ვიხსენ დაგმარა მიტოს თავდასხმისაგანო და ეს არ სჯეროდა არც ბაბოსა და არც ვამეხს, მაგრამ ქუთაისს მაინც წამოიყვანეს. იცოდნენ, რომ სიმონიკას დიდ საზოგადოებაში ჭეიფი უნდოდა.

და მართლაც, იმ საღამოს დიდი ჭეიფი იყო მარშლისას. თვითონ ახლად ჯვარდაწერილი მიტოც დიდად გამხიარულდა, დაგმარაც უკვე გონს იყო მოსული და ბედნიერი, მაგრამ ერთგვარად მზაკვრული გამომეტყველება დატყობოდა მის თვალებს. თითქოს ეს კარგად დაბოლოებული ეპიზოდი მისი ცხოვრებისა თვითონ მოეხერხებინოს.

54

გვირგვინობის ქუთაისში ყოფნის დროს ბერთებში დიდი ამბები ხდებოდა.

ჩელა და მისი წრის გოგოები დარბოდნენ მეზობელ ქალებში ჯერ თითო-ოროლასთან, შემდეგ უფრო მრავალრიცხოვანად მართავდნენ საიდუმლო კრებებს და თანდათან მეტ იანამგრძნობებს იძენდნენ.

მათ, უწინარეს ყოვლისა, აიყოლიეს ფარნას ცოლი ფანთა, ოსებს ქვრივი რუსუნდია, მიქეს და ჩელას დედა და სხვა ასეთი გულისხმიერები.

უმთავრესად რა იყო მათი საზრუნავი და მსჯელობის საგანი: რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია, რომ გლეხის მშრომელი ქალები ამიერიდან მებატონეებს არაფრით არ უნდა დაბმარებოდნენ: არც ყაჭის მოყვანაში, არც დომის ცეხვაში, არც საბნებისა და ლეიბების დამზადებაში თუ სხვა რამის ჭრა-კერვაში, არც სარეცხზე და სხვა ამისთანებში, რასაც ზოგჯერ მათ მებატონეებს თუ ბაწძღისთანა მევახშეების, ან ბობოლების ცოლები აწვალებდნენ; კი არა, ზოგჯერ აიძულებდნენ კიდეც. ამასთან მათ უნდა შეეგონებინათ მებატონეების თუ შეძლებული ხალხის მოსამსახურეები და იმათი სახლებიდან გამოეყვანათ. ეს მოსამსახურეები უმთავრესად გლეხების ქალიშვილებისა და დებისაგან შედგებოდნენ.

მეორე მხრით მიქე იყო უფრო ვაჟებში და საერთოდ მაშაკაცებში ავანჩავანი. ისიც კრებდა ხალხს და ხან ფარნასთან, ხან თავის სახლში აწყობდა საიდუმლო კრებებს. ეს არც თუ ისე ძნელი იყო. ამ ზაფხულს ხომ სადმე ეზოში, ან თვითონ ყანებში, რომელიმე ხის ძირას, ნამუშევარზე ხალისით იკრიბებოდა ბერთემის გლეხების უმეტესობა, რადგან ყველა მათგანი დარწმუნებული იყო, რომ ისინი ახლა მართლა რომ თავიანთ საწყალმართო საქმის გასაკეთებლად ემზადებოდნენ.

მიქე არ უფარავდა, რომ მალე შეიარაღებული გამოსვლისათვის უნდა მომზადებულიყვნენ და ეს აზრი ყველას მოსწონდა, მაგრამ ერთხელ კინაღამ ჩხუბიც დატრიალდა ასეთ შეკრების დროს.

საქმე ის იყო, რომ გუდუიას, რომელიც თითქმის სხვებზე უფრო მოუთმენლად ელოდა — როდის დადგება ჩვენთვის სანატრელი დრო, რომ დაჩაგრულებმა ყველამ ერთად ვიხუვლრთ და ხშირად გასამხნევებელ რეპლიკებს ისროდა, ზურგს უკან ანტო მიჯდომოდა და თავჩაღუნული ხან-ერთ ბალახს მოწიწკნიდა და ხან მეორეს. გუდუიას ეს დიდხანს არ შეუმჩნევია, მაგრამ თვალი მოკრა თუ არა, ერთი ისეთი შეუძახა, რომ ყველამ მოულოდნელობისაგან მისკენ თავი იბრუნა.

— გაეთრიე აქედან, შე უჯიშო, შენ! — ყვიროდა გუდუია. — როგორ გაბედე და ჩვენს წმინდა თავმოყრაში შენც გაერიე? ახლავე გაეთრიე, ახლავე, მოშორდი აქაურობას, თორემ არ ვიცი, რას გიზამ!

— რას მერჩი, ვუდუ? ჩემთვის ეზიზარ აგერ, ყურს გივდებით, — თითქოს წაეოიკნავლაო ანტო.

— არაფერი საჭირო არ არის შენი ყურის გდება, გადი, დაიკარგე!

— რას ერჩი, გუდუია? — მიაძახეს იქიდან, აქედან.

— ჰოდა, რას მერჩი? ხელს რომ არაფერში გიშლი! — ანწლა უფრო გაბედულად შეესიტყვა ანტო.

— ხელს მიშლი კი არა, გაწა არ ვიცი, რა საქმის კაციც ხარ! — იყვირა გუდუიამ.

ბევრმა არაფერი იცოდა ანტოს საქციელისა. არც ის, თუ ამას წინათ გუდუია მისი მეოხებით იყო დაჭერილი.

თითქოს ამის ასახსნელად გუდუიამ აღელვებულ ხალხს მიმართა:

— დამაშაკია* ეს ყურუმსაღი! — და ერთი გამეგრელებული, დამახინჯებული რუსულით მაგრა შეუკურთხა.

— გაეთრიე-მეთქი, მე შენ გიბრძანებ! — კვლავ შეუტია გუდუიამ, მაგრამ ანტო ისევ თავჩაღუნული ბალახის ღეროებს წიწკნას განაგრძობდა და ადგილიდან არ იძროდა. იმის იმედი თუ ჰქონდა, წელან რომ გამოესარჩლენ, თუმცა ახლა ხმა ალარავის არ ამოუღია: მეტად დიდი ბრალდება იყო გუდუიასაგან ანტოსადმი წაყენებული.

გუდუიამ რომ დაინახა, ანტო უძრავად ზის, ერთი მძლავრად ჩაავლო მხრებში ხელი, ძალით ფეხზე წამოაყენა და ისეთი სილა გააწნა, რომ ანტო წაიქცა და ორჯერ გადაკოტრიალდა.

გუდუიამ ზურგი შეაქცია და კმაყოფილად ჩაიხვიხვინა:

— ვათანძარა!

მაგრამ გუდუიას ეს სიტყვა თითქმის დათავებულიც არ ჰქონდა, რომ ანტო დიდის სიმკვირცხლით ფეხზე წამოხტა, უკან დან გუდუიას მივარდა, მარცხენა ხელი თმაში მაგრა წაავლო, თავი ზურგისაკენ გადაუწია, თვალის დახამხამებამდე წელზე ჩამოკიდებული ქარქაშიდან ბასრი დანა ამოაძრო და მარჯვენა ხელით ყელის გამოლადვრა დაუპირა. მაგრამ დაასწრეს და ანტოს გვერდით მყოფმა ორმა ახალგაზრდამ თავდამსხმელს ხელები გაუკავა.

---

* დამაშაკი — მზვერავად შემოჭრილი, გამცემი, ჯაშუში.

განთავისუფლებულმა გუდუიამ თავი ანტოსკენ მიიბრუნა, თითქოს უნდოდა თავის ხელში ერთი კარგა დაეგლუჯა, მაგრამ ამჟამად ის იკმარა, რომ ზიზღით სახეში მიაფურთხა.

აქ ობიხშიამ ხმა აიმაღლა. ახალგაზრდებს უბრძანა:

— დანა წაართვით, ჰკარით პანღური და გაუშვით... შავგისთანებს ჩვენ შორის ადგილი არ უნდა ჰქონდეს. გუდუია მართალია, მეც ვიცი, რომ ანტო სანდო არ არის.

ამით გადაწყდა ანტოს ბედი საერთოდ სოფელ ბერთუმში. ობიშხიას სიტყვა ყველასათვის სარწმუნო იყო.

ახლა გააძევეს თავიანთ კრებიდან. ზოგმა ახალგაზრდამ „უო, უუ!“-ც მიაყოლა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ამიერიდან არც ერთ მათგანს ანტოსთან საერთო არაფერი ექნებოდა, არც აქეთ მიიღებდნენ არც იქით მივიდოდნენ, ის იქნებოდა სოფლისაგან გარისხული.

ამის თავმდები ობიშხიას სიტყვა იყო...

მაშინ არ იცოდნენ, მაგრამ ძალიან მალე შეისწავლეს, რომ ასეთ მდგომარეობას „ბოიკოტი“ ეწოდებოდა.

პირჩამობნელებული ანტო გაუდგა გზას. დიდი მანდილი ჰქონდა გადასავლელი, ვერაფერს ვერ მოეფარებოდა, ხეც კი არ იდგა სადმე თავშესაფარად და დიდხანს მოჩანდა იგი თავჩაქინდრული — „ალახ-მალახ“ მიმავალი.

— როგორ იუდასავით მოძუძგა! — ჩაილაპარაკა ერთმა ხნიერმა.

კარგა ხანს შესცქეროდნენ სხვებიც. ამ ტრიალ მინდორში მიმავალი ანტო მართლა გარიყულად გამოიყურებოდა. მხრებში არავინ არ ედგა, ფრთები არ ესხა, მართლაც იყო ეულ-და მიუსაფარი. ზოგჯერ ასეთები ეცოდებათ, ის კი არავის არ ეცოდებოდა.

სთეფანემ დაარღვია სიჩუმე:

— თქვენ გგონიათ, იმას გუდუიას მოკვლა უნდოდა? იმას მხოლოდ ამ მკვლელობით თავის ავკაცობა უნდოდა დაეფარა. ეგონა, თუ გუდუიას მეტმა არავინ იცოდა მისი ჯაშუშობა.

— კარგია, გვეყოფა ამაზე ლაპარაკი, — შეაწყვეტინა ობიშხიამ, — ხომ მოვიშორეთ, გავრისხეთ. არც ღირს იმაზე აჭდენი თავის მტვრევა. კარგი ის არის, რომ დროით ავკვეთეთ მისი შავნებლობა. ფარნა! განაგრძე შენი სიტყვა.

ფარნამ უამბო შეკრებილებს, რომ მას უკვე მოსწვლოდა ტაიასაგან წერილი, ჩვენს მედელეჟნეს მოეტანა.

ტაია იწერებოდა: „მხნედ იყავით, მტკიცედ შეჰმენით საკუდარი ორგანიზაცია".

სიტყვა „ორგანიზაცია" ფარნამ განუმარტა იქ დამსწრეებს.

„ნურაფრის გერიდებათ, ადგილობრივ მამასახლისს და მთავრობის მოხელეებს აჰყარეთ იარაღი, ჩამოართვით უფლებები, არაფერში არ დაემორჩილოთ მათ განკარგულებებს. პრისტავიც რომ მოვიდეს თავის ჩაფრებით, ნუ დაერიდებით, მიესიეთ, იარაღი წაართვით და სულ კუდით ქვა ასროლინეთ. ამ შეტაკებაში შეიძლება თქვენიანიც ვინმე დაიჭრას, მოკლან, მაგრამ უმსხვერპლოდ არაფერი არ კეთდება, მით უფრო ასეთ დიდ საქმეში... თქვენ კი იმათზე რიცხოვრივ მეტი იქნებით უთუოდ და დაძლევთ... ამას გარდა, ახლა უნდა იცოდეთ, რომ ნიკოიამ იაპონიაში ომი წააგო, ძალზე დაშინებულია და ხალხს ველარაფერს გაუბედავს. ასე ხდება მთელს რუსეთში, მთელს საქართველოშიც. აგერ თქვენ მეზობელ გურიას გადახედეთ. იქ მთელი ხელისუფლება ხალხმა ჩაიგდო ხელში. თავის საქმეებს თვითონ განაგებს, თავადაზნაურობას მიწა-წყალი ჩამოართვა, სოფლებში სამართალს თვითონ ხალხი აწარმოებს. სჭიროა, რომ ბერთემშიაც ასე მოიქცეთ, ხალხი თქვენც გყავთ ამ საქმეში გამოსადეგი და ითავეთ ეს დიდი საქმე..."

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ტაიას წერილმა.

თავი მართლა მხნედ იგრძნეს იქ დამსწრეებმა, გაბედულად; შემმართებელად, „მარტო არ ვყოფილვართ, ჩვენისთანა ხალხი ყველგან ამდგარა და ჩვენ რა ღმერთი უნდა გაგვიწყრესო?".

ყველამ ამოიღო ხმა. და ეს ხმა იყო ერთობლივი, საბრძოლველად მზადყოფნის აღმნიშვნელი.

მხოლოდ სთეფანემ მაინც თქვა:

— რასაკვირველია, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, როგორც ჩვენთვის საჭიროა, მხოლოდ დაკვირვება უნდა საქმეს. როგორ გავაკეთოთ? კარგი, არ დავემორჩილებით ახლანდელ მთავრობას, მაგრამ რომ მოგეძალება, წინააღმდეგობა უიარაღომ როგორ უნდა გავუწიოთ? აი თუნდა ჩვენი მამასახლისის დაუმორჩილებლობა და იარაღის ბყრა...

— ვინ არის ახლა ჩვენში მამასახლისად? — იკითხა ვიღაცამ.

— ვინ არის და ხუბუა, — უპასუხა შეორემ.

— არ გცოდნია, ბიძია, — ჩაერია ობიშხია, — ხუბუა იყო, მაგრამ ჭკვიანი ყაზახია და გაიქცერა, იგრძნო რალაც და გადადგა. ახლა ქვარცხაჯ არის.

— ო-ო, ქვარცხაა? — აროხროხდა ქუხილია. — ამასთან მე გამიშვით, — და თითქოს ახლავე გასაქცევად მოემზადა.

ობიშხიას გაეცინა:

— მოიცა, ოჩი-კოჩი, მოვა დრო და მიგიშვებთ. შენ მაჭამდე აქ გვჭირდები. ბიჭებმა იცოდეთ — ერთიმეორის შეუთანხმებლად არავინ ფეხი არ უნდა გადავდგათ. ხომ ხედავთ, რა დიდ საქმეს ვკიდებთ ხელს! სთეფანე მართალია, როცა ამბობს, რომ დაკვირვება გვინდაო, მხოლოდ მე არ მომეწონა მისი თითქოს ყოყმანი. ყოყმანის დრო ახლა აღარ არის. მე თვითონ აქამდე სხვაგვარ ვფიქრობდი — ყველას თავის შეკავებას ვურჩევდი, მაგრამ ახლა? როცა მთელი რუსეთის მშრომელი ხალხი წამოჭოჩრილა, ჩვენს ირგვლივაც რა ამბებია თურმე... ზუგდიდს ვეზდიდანაც კარგი ამბები მოდის. ჩემი თაღა ჯგერენაიასთან არის ახლა, მალე ჩამოვა და იქაურ ამბებსაც მოგვიტანს.

— ჯგერენაია კარგია, ობიშხია, — მიმართა მიქემ, — მაგრამ აგერ უშაფათაში ჩვენი ხურციაც მარჯვეთ არის თურმე, ჯგუფი უკვე შედგენილი ჰყავს. მართალია, მოაზნაურე ქუჩულორიები და ბოკუჩეები ამრეზით უცქერიან თურმე, მაგრამ...

— უშაფათში...

— ლეძაძამეში...

— კვაუთში...

— ნაშალაქევში...

ერთიმეორეს ასწრებდნენ იქ მყოფნი.

— ახლა ბანძაშიაც, — სიხარულით წარმოთქვა ფარნამ, — ჩემი ცოლის ძმამ ლევა კოტიამ მაცნობა, რომ იქაც დარაზმულან...

— ჰოდა, კაი დაგემართოს, — გაიხარა ობიშხიამაც, — ირგვლივ შემოგვრტყმიან მეგობრები. წამდვილი დრო დამდგარა. დამიწყე მიქე:

ეის დოგიძახუნანი
თექი ოკო გოჯუმაფა.

ეს „ეი" დაგვიძახეს უკვე!

მიქემ დაიწყო, სხვებიც აყვნენ და იმ არემარეზე აგუგუნდა მაშინდელი საბრძოლო მეგრული სიმღერა.

55

ანტომ რომ კრებიდან „მოძუძგა“, ტრიალ მიწდორს როგორც იქნა გასცდა და სოფლის შუკაში შევიდა, მაგრამ აქაც თავს არიდებდა, რომ მეზობელ ვინმეს არ შეყროდა: ასე ეგონა, ახლანდელი მისი გამოძერვების ამბავი ყველამ უკვე იცოდა, უთუოდ კარგად არც ისინი შემხვდებიანო და... ვერ იყო გუნებაზე.

საერთოდ გუნება ძალიან არეული ჰქონდა, უმთავრესად მაინც შურით აღვსილი იყო და არ იცოდა, თუ უწინარეს ყოვლისა ვისკენ ეყარა ჯავრი. მაგრამ აგერ ჭუხილიას ეზოს ჭიშკართან პატარა, ძლივს ფეხზე რომ იდგა, ისეთი ბავშვი, ჭუხილიას შვილიშვილი „ბურჭალობდა“. ამიტომ მომცრო ჭიშკარი ცოტაზე შეაღო, გადაწვდა ბავშვს და რაი ისეთი უთაქა ყურის ძირში, რომ ბავშვმა მაშინვე ღრიალი-მორთო, მაგრამ ანტომ ეს არ იკმარა და ერთი ყურიც ისე მაგრა აუწია, რომ ბავშვი ახლა კი ალარ ყვიროდა, არამედ უკვე წიოდა და სიოდა. ამაზე ჭუხილიას ბებერმა აბარწადან გადმოიხედა, ძლივს წამოდგა და ბაჯბაჯით მიიშურა ბავშვს. ანტო რომ დაინახა, წყევლა-კრულვით შიმართა და სულ „უკეთური“, „უკეთური“ უძახა.

ანტო მაშინვე გაშორდა იქაურობას და ახლა ამაზე გადაუვიდა ფიქრი.

„უკეთური!“ რამდენჯერ გაუგონია ანტოს მის მიმართ ასეთი შეძახილი მეზობლებისაგან.

„რატომ შემერქვა ეს სახელი? თითქოს ბავშვობიდან?“

ფიქრობდა ამაზე და ვერ გაერკვია.

ბერთემში ყველაზე უფრო გაჭირვებული და ხელმოკლე გლეხი ანტო იყო. დედ-მამა ადრე გარდაეცვალა და თუ რამ სარჩო საბადებელი ებადა, ეს ყველაფერი ვალში წაართვეს. მართალი იყო ეს ვალი თუ ტყუილი, ამას ანტო მაშინ გერ გაარკვევდა. ბანძის კი, ვინ იცის, შეიძლება ყალბი, მაგრამ მაინც თამასუქი ეჭირა ხელში და აღმასრულებელი ფურცელით სასამართლოს მთხელე იყო მომდგარი. ამ თამასუქის

ვალს რომ ვერ აუვიდოდა ანტოს სამეჯვედრო, ბანძღიმ, თვითონ ანტო წაიყვანა თავის სახლში მოჯამაგირედ.

და ახლა რომ იხსენებს, უფრო აქედან დაიწყო მისი უკეთურობა.

ბანძღის ჯაჯღანი, ბანძღის ცოლის შიშხართი ანტოს გულს უსიებდა და თითქოს უსრულებდა, რასაც შეუკვეთდნენ, მაგრამ უმეტესწილად ყველაფერს ისე უკუღმართად აკეთებდა, რომ ბოლოს მხოლოდ შეშას თუ მიატანინებდნენ ახლომდებარე ტყიდან, ისიც ზურგით, თორემ სამზარეულოში ან რაიმე დასაყვირვებელი საქმის გასაკეთებლად აღარაფერს ავალებდნენ, უფრო გასაგზავნ-გამოსაგზავნად თუ მოიხმარდნენ. ამაში კი დაუზარელი იყო, მხოლოდ ამ სიარულმა უთავბოლო ყიალსაც მიბაჭვია. ხან ერთი მეზობლისას შევიდოდა, ხან მეორისას, ზოგჯერ მთელ სოფელსაც მოივლიდა ერთი დღის განმავლობაში და ქვეყნის ამბებს გებულობდა. მერმე ამ ამბებს ათასნაირად თავისით შეზავებულს სხვებს გადასცემდა. განსაკუთრებით უყვარდა ხანდაზმულ დედაკაცებში ჭორიკნობა და ეს სიამოვნებას ჰგვრიდა. თან დიდი ფანტაზიის პატრონი იყო, რაიმე უბრალო ამბავს რომ მოუვებოდა, ისე გააზვიადებდა, ისე გააჭიანურებდა, რომ გულუბრყვილო მსმენელები განცვიფრებაში მოჰყავდა. ამ ყიალმა და ამბების გადაცემ-გადმოცემამ ენატანიაობასაც მიაჩვია და ძალიან უხაროდა, თუ რომელიმე სოფლის ბობოლასთან რაიმე მიზეზით ვისმე რამეში დააბეზღებდა.

ეს თვისება კარგად გაუგო სოფელ ბერთემში განსაკუთრებით სამმა ადამიანმა: თედორე მღვდელმა, გუტატი მოურავმა და თვითონ ბანძღიმ. ისინიც ხშირად ავალებდნენ ანტოს, რომ სოფლის ამბები და ხალხის ნათქვამი მათთვის მიეტანა; ისიც ამას ხალისით ასრულებდა. მით უფრო, რომ ამისათვის ზოგი თავის გამონაცვალ საცვალს, შარვალს ან ახალუხს აჩუქებდა და ისიც ამის შემდეგ თავმომწონედ დაიარებოდა. მართალია, ეს საჩუქრები ხშირი არ იყო, არც ისე ძვირფასი, მაგრამ მისთვის მაინც გამოსადეგი იყო. ისიც წელიწადში ერთხელ, ზოგჯერ შეიძლება მეორეჯერაც, მაგრამ ამითაც იოლად გადიოდა, რადგანაც ბანძღისთან ის ვალის მოსაქრობად იყო მოჯამაგირედ და ხელზე არაფერს არ ღებულობდა. დღეში ჭადის ნაჭერს და ერთ ჯამ ლობიოს თუ მისცემდნენ, ესეც დიდი ღვთის წყალობა იყო.

სოფელს კი მაინც ეცოდებოდა: ობოლი კაცია, უსაწყაროდ და პატრონი არა ჰყავსო. ამიტომაც თუ სადმე შეუსწრებდა მეზობლებში სადილ-ვახშამს, მისთვის რამდენიმე ლუკმას არ იშურებდნენ. განსაკუთრებით დედაკაცები, მამაკაცები კი უფრო დაცინვით ეპყრობოდნენ, რადგანაც, როდესაც კი ანტო ჩაერეოდა რაიმე უხუმარ საუბარში, უთუოდ რალაცა შეუფერებელს წამოროშავდა და ამას არ აპატიებდნენ. განსაკუთრებით ობიშხია; თუმცა იმავე დროს ობიშხია არიგებდა: „რაიმე საქმეხ მოჰკიდე ხელი, ან აგერ აგურხანაში დადექი მუშად, ან ყანების დამუშავებაში დაგვეხმარე მეზობლებს და ამით ცოტა რასმე გიწილადებთ. ამის მეოხებით ნელ-ნელა ბანძღის ვალსაც გადაიხდი და ფეხზე დადგებიო, თორემ ბანძღისთანა მუქთად ყოფნა და სოფელში ტყუილუბრალოდ ყიალი არ გამოგადგებაო", მაგრამ, ეტყობა, ანტოს ასეთი მუქთახორული ყოფნა ერჩია და თავის არჩეული ცხოვრების გეზს არ ღალატობდა, სანამ, როგორც დღეს საღამოთი, სოფელმა არ გააძევა და თავის წრიდან არ გარიცხა.

ახლა კი ანტო მართლა მიეცა დიდ საგონებელს. რა ქნას? უსოფლოდ მას ცხოვრება არ შეუძლია. თუ ენატანიობა მოიშალა, ვიღას რაღად უნდა მაშინ მაგის ნაცნობობაც კი და... თუ ისევ სოფელში არ ჩატრიალდა, ენის მისატანი ვინმესთან რა იშოვნოს?

ბაღის ეზოს უკან დობილო ჰქონდა ადესის ვაზისა. მოძებნა ერთი მოყრუებული თხმელის ხე, რომელსაც ვაზი საყვარელივით შემოხვეოდა და მიეგდო მის ძირას. მზე ის იყო ჩადიოდა. ბერთემის გორაკების წვეროკანები ხალისობდნენ მოოქვრილის წითელი ფერით. რალაც პაწია ჩიტი იქვე, თითქოს ანტოს ყურთან სალამურ ვითომდა ლოცვას აღავლენდა, შორიდან კი მოისმოდა მდინარე ტეხურის ვაჟკაცური შხუილი და თითქოს იწვევდა ადამიანებსაც საბრძოლველად, მაგრამ ანტოსთვის ყოველივე ამას სევდის ლეჩაქი ჰქონდა გადაფენილი და გამოუვალი ნაღველი ღრღნიდა მის გულს. ეს გამოსათხოვარი მზის სხივები თითქოს მასაც უკარნახებდნენ, შენც უნდა გამოეთხოვო ამ ქვეყანასაო. თვალს ცრემლი მოადგა, ის იყო უნდა აქკითინებულიყო, რომ უეცრად ფეხზე მარდად წამოხტა და მიაშურა ჯერ ისევ გუტატის. აქ იპოვიდა იგი ნუგეშს, აქ შეეძლო მას შური ეძია. ანტოს აზრით, გუტატი ყველაზე ძლი-

ერი კაცი იყო ამ სოფელში და როდესაც ის დღევანდელ აქაური გლეხების შეკრების ამბავს გადასცემდა, დარწმუნებული იყო, რომ გუტატი ამ ხალხს თავის „სეირს აყურებინებდა“.

ანტო რომ მოვიდა, გუტატის ცხენები შეეკაზმა, ერთხე თვითონ ჯდებოდა და ორთხი მარჭაფად უნდა წაეყვანა. ორ ცხენს ქალის უნაგირი, ან როგორც აქ ეძახდნენ — სედლოებო ედგა.

გუტატიმ ანტო რომ დაინახა გაეხარდა: — ო, რა კარგ დროს მოხვედი, ანტო. ახალ-სენაკს მივდივარ, კნეინა ნექტარიას ჩამობრძანებულა, ბარამიც და თოლიასქვამიც თან ახლავს. მათ წამოსაყვანად მიმყავს ცხენები, მაგრამ ამდენ ცხენს მარტო როში ვერ წავიყვან. იმათ ახლა ბარგიც ხომ ექნებათ და ამისთვის კაცია საჭირო. კარგია, რომ მოხვედი, თორემ გზადაგზა უნდა შეძებნა ვინმე მოცლილი წამოდი, წამოდი, მოახტი ცხენს და ცხენიც დაიმარჭაფე. — ეს ყვულაფერი უცბად გამოუცხადა გუტატიმ ანტოს და თვითონ შესაჯდომად თავის ცხენს მიადგა.

ანტომ მაშინვე მიირბინა გუტატის ცხენთან და მარჯვენა მხრიდან ერთი ხელი ჯილავში წაავლო და მეორე ხელით გუტატის აბჯანდი დაუჭირა. თან უკვე ცხენზე მჯდარ გუტატს თავი შეაცოდა: ასე აბა როგორ წამოვიდეო. მართლაც და ორგან ბეჭებთან გაფხრეწილი და თეთრი ძაფით ძლივს ბილამბული, სწორედ გუტატის ძველი ნაჩუქარი ახალუხი ეცვა, ფეხებზეც „ჩაფულაში“ თითები მოუჩანდა.

მაგრამ გუტატიმ გაამხნევა: არაფერი არ გიჭირს და ჩაფულას ან მე გიყიდი, ან კნეინა ნექტარიანაო. თავზე კიდევ ჩემი ძველი ყაბალახი დაიხურე, იქ აგდია სადღაც, ძილხანს ეცოდინებაო.

ანტომ არ დააყოვნა, ყაბალახი ხელთ რომ მოიგდო, თავზე კი არ დაიხურა, ცალმხარეზე გადაიგდო კოხტა მეგრელივით და შემდეგ ორივემ გასწიეს მაზრის ქალაქისაკენ რკინიგზის სადგურზე ბატონების შესახვედრად.

გზაში ანტომ გუტატის უამბო სოფლის ამბები. თავის გაძევებაზე კი არაფერი უთქვამს, რადგან უთუოდ იფიქრა, შეიძლება შემდეგში გაძევებულ კაცს ამბის მიტანაზე ისე აღარ შენდოსო და თავისი „ინფორმაცია“ იმით დაასრულა, რომ ამ ნიადაგზე მე და გუდუიას ჩხუბიც კი მოგვივიდაო.

— ჰოდა, ძალიან კარგი, ჩემო ანტო! ბედი გქონია, რომ სენაკში მოგიხდა წამოსვლა. აი მიგიყვან პრისტავთან და თვითონ შენ უამბობ ყველაფერს. ის გულისხმიერი კაცია, ამას გარდა, მეგრელია და მეგრულათვე შეგიძლია ყოველთვის ყველაფერი უამბო. რაკი გაგიცნობს, მერე მე აღარ დაგჭირდები. თვითონ მიხვალ დაურიდებლად, ანდა როცა მოგიხმობს, მაშინ. არა, ეს კარგი ამბავია შენს თავს!.. — და კმაყოფილად ჩაიხვიხვინა გუტატიმ.

ანტო არ იყო თავისებურ გამჭრიახობას მოკლებული და კარგად წარმოიდგინა, თუ როგორ მაღლდებოდა მისი მდგომარეობა.

მართლაც, სენაკში ჩავიდნენ თუ არა, მატარებლის მოსვლამდე ჯერ კიდევ კარგა ხანი იყო. ცხენები ერთი ნაცნობი მედუქნის უკანა ეზოში მოათავსეს და თვითონ პოლიციის ბოქაულს ეახლნენ.

პოლიციის ბოქაული ერთი დაღურდანა კაცი იყო და გუტატის მოუწონა, რომ ბერთემში ანტოსთანა აგენტი გაუჩინა, თუმცა ისიც კი განუცხადა გუტატის, რომ ძალიან ძნელი დრო დადგა ახლა. ხალხი ყველგან წამოიჭოჩრა და მათი მოვლა გაჭირდა. ჩვენს მაზრაშიაც არის არეულობა, მაგრამ იმდენად არა, რამდენადაც ზუგდიდის მაზრაში. იქ უკვე ტერორზედაც კი გადასულან: მოუკლავთ ერთი მებატონე, დადიანი, მეორე დადიანი კიდევ, მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი, იძულებული გამხდარა თავისი სოფელი და სახლ-კარი მიეტოვებინა და ახლა, ამბობენ, მთავრობისათვის უთხოვნია, რომ მის სოფელში ეგზეკუცია ჩაეყენონო.

შემდეგ ანტოს მიუბრუნდა ბოქაული:

— შენ ასე გამოუცხადე შენ სოფლელებს, რომ ჭკუით იყვნენ, თორემ მთავრობა ეგზეკუციას ჩაუყენებს და მაშინ წახვენ თავის თვალის სეირნს!

ამასთანავე ანტოს კარგად განუმარტა, თუ ეგზეკუცია რას ნიშნავდა, რამაც გულში ძალიან გაახარა ანტო. წარმოიდგინა, როგორ გააპარტახებდნენ განსაკუთრებით გუდუას და ობიშხიას, და ერთიორი სიხარულის ნერწყვიც კი გადაყლაპა.

ბოქაულმა ანტოს ფეხსამოსსაც გადახედა:

— ოჰ, ეს რა ჩაფსულა გაცვია, ბიჭო? — ადგა და მეორე

ოთახიდან ექვსი აბაზი გამოუტანა. — გასწი ახლავე და ბაზარში იყიდე...

ეს იყო ანტოს მისი ავკაცობის პირველი ჰონორარი.

შენაკადი

XXIII

— რასაც დასცქერ, მკითხველო, ამის წერას ვაგრძელებდი. რომელიღაც ფრაზაზე შევჩერდი. უეცრად თავში შემომეჭრა „ვეფხისტყაოსნიდან“ შემდეგი სიტყვები:

„კარვის კალთა ჩახლათული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე,
ყმასა ფერხთა მივეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე“.

საკვირველია!

საიდან სად?

მე სულ სხვა ამბებს მოვუთხრობ მკითხველს, აქ კი რუსთველი! მისმა სიტყვებმა ფიქრის საოცარი ასოციაცია გამოიწვია.

გამოიწვია და გავყევ ამ გახსენებას, მაგრამ ჩემი თხრობის ველი და მსვლელობა არ შემირყევია.

ძალიან გულუბრყვილო კაცი ვარ და... ახლაც მიკვირს, რა ფილოფია ის კოლოფი, რომელიც ინახავს შემოქმედის თავში ანზრახულ სურათებს და ხელს არ უშლის, რომ თავის გადმოშლით სულ სხვა რამ, განსხვავებული და სრულიად დაწორებული დაწყებულ ნაწარმოებთან შეეჭრას ფიქრში.

დაწყებული ნაწარმოები კი თითქოს შეჩერდა დროებით ა სადღაც, შემოქმედების რომელიღაც შტოებგაშლილი ცის ძირის ჩრდილს შეეფარა. მივაკითხავ და დაწყებულს ბრობაში ყველაფერი თავისი გზით წავა. აქ კი გამახსენდა ქუთაისი. ეგრეთ წოდებული „პავილიონის თეატრი“ ბულვარში. კოტე მესხის სეზონია.

ლადო მესხიშვილის გასტროლი.

იდგმება გუნიას „და-ძმა“. ლადო გაიოზის როლს ასრულებს. რა წარმტაცი სილამაზის იყო ამ როლშიაც. კოტე მესხი ჯოლიოს ასრულებს თავისებურის ჭკვიანი და დაკვირვებული მაწყრით. ეგერ საფინალო სცენა: გაიოზი შემოიჭრა ოტიასას ამოღებუ-

ლი ხმლით მის მოსაკლავად და ოტიაც მაშინვე იშიშვლებს ხმალს, მაგრამ გაიოზი თავისი ხმლის მოქნევით ოტიას ხმალს ხელიდან გააგდებინებს და სანამ ოტია რასმე მოასწრებდეს, მიეტევება და ხანჯლით ჰკლავს მას. ამ რკინების დროს კოტე მესხი ხელში მართლა დაიჭრა. ფარდის დაშვების შემდეგ სპექტაკლის ყველა მონაწილენი შევშფოთდით და ყველაზე უფრო ლადო. ნანობდა, ბოდიშს იხდიდა, კოტეს ეალერსებოდა. კოტე არ იმჩნევდა ჭრილობას, რომელიც საჩქაროზე დარბაზში მყოფმა ექიმმა შეუხვია, და თავისებურად ხუნჯობდა. თან ლმობიერად საყვედურობდა: „შენ გადარეული ხარ, ლადო, სცენაზე თავი სრულიად გავიწყდება“. კოტესაგან ამისი თქმა არ იყო გასაკვირი: კოტე ფრანგული სკოლის არტისტი იყო. მსახიობი სცენაზე თავის თავს მუდამ უნდა ფლობდეს, ერთგვარი არტისტული ზომიერება მუდამ უნდა ახსოვდეს. ლადო კი პირუკუ! ზომიერებას ხშირად სცილდებოდა და მაშინ შეიძლება გატაცებულს პარტნიორისათვის, სრულიად უნებლიეთ, ზიანიც კი მიეყენებინა. ეს ორი მიმდინარეობა მსახიობთა შორის დღესაც საკამათოა: არტისტი უხდა თამაშობდეს სცენაზე, ე. ი. ილუზიას ქმნიდეს, რომ ის ისეთი პიროვნებაა, რომელსაც ახვენებს, თუ ის უნდა ცხოვრობდეს ამ გამოსასახავი პიროვნებით და სრულიად უნდა იძლეოდეს, ბნგარიშმიუცემლად, სტიქიურად თავის ტემპერამენტს.

მაინცდამაინც იმ ღამეს მშვენიერი ვახშმით დასრულდა ყოველივე და ისევ და ისევ კოტე იყო თავისი მახვილობით სუფრის გამამხიარულებელი.

მეორე, ეს უკვე მე შემეხება. ახლა მე მოვხვდი ლადოს პარტნიორად. ეს უკვე სხვა პიესაა: ვასილ ყიფიანის „ლევან, სამეგრელოს მთავარი“. მე ლევანის (ლადოს) ბიძის, გიორგი ლიპარტიანის როლი მაქვს მონდობილი. პიესით ერთ-ერთ სცენაში ლევანმა გიორგი უნდა მოჰკლას, მაგრამ ჩუმად, მიპარვით კი არა, პირდაპირ შეტევით. ამ პიესის რეპეტიციები გვქონდა, რასაკვირველია, მაგრამ, ჯერ ერთი, რომ იმ დროს თეატრის მდგომარეობის გამო ძალიან მცირე იყო ეს რეპეტიციები და მკვლელობის სცენა ხომ სრულიადაც არ გაგვივლია, ეს არ იყო „ჰამლეტი“, სადაც საჭიროა წვრთნა ფარიკაობაში, არც არმოსავლური „კინება“ და ამიტომ ასეთ სცენებს ყურადღება არ ექცეოდა. იგულისხმებოდა. რომ გამოცდილი მსახიობი მეორე

მოქმედი პირის ხანჯლით-მოკვლას მოახერხებდა, და ამაზე გულს აჯერებდნენ.

წარმოდგენის დროს კი აი დადგა ეს სცენაც: ლადო (ლევანი) და მე (გიორგი) ხმალამოღებულები დავდექით ერთიმეორეს წინაშე, ორივეს მოსაქნევად გვაქვს ხმლები მოღერებული: აგერ ერთი დაჰკრავს, ან მეორე; ვუტრიალებთ ერთიმეორეს და ჭყობა, ისეთი დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა, რომ პარტერში მყოფი ძველი რაინდი კოწია დადიანი წამოვარდა და ყვირის: „გააშველეთ, დადიანი მოჰკლავს მესხიშვილს!“. მაგრამ ამ დროს სცენაზე ნუცა ჩხეიძემ (პრესით დარეჯანმა) ფეხებ შუა პაწია დაბალი სკამი შემომიგდო — პიესით ასეა საჭირო — მე წავიქეცი და ხანჯლით მომკლა ლადომ.

შემდეგ გამოირკვა, თვითონ ლადომ მითხრა: „შალვა, ამ სცენაში შენი მეშინოდა, რაც უნდა იყოს დადიანების ჯიშისა ხარ, ხმლის ხმარება ეცოდინება და, ანაზდად, არ დამკრას-თქო და ამას ვშიშობდი“.

მე კი მოკახსენე: „რას ამბობ, ლადო, გენაცვა, მე შენი მეშინოდა, შენი ამბავი რომ ვიცი... მერე, როცა თვალები აგვჭყლვრა. გაფაციცებით შეგცქეროდი — არ დამკრას ამ თათარმა, თორემ ჩემი ხმლის ხმარება ვის გაუგონია-მეთქი“-და ორთავენი ბევრი ვიცინეთ.

მეორე დღეს ქუთაისის ბულვარში მოსვირნე თავადები ძალიან მიქებდნენ ჩემს „უნებლივ ვაჟკაცობას“ და, როდესაც გუბერნიის მარშალმა სიმონ წერეთელმა (პირველმა, რადგან იყო მეორე სიმონ წერეთელიც და ისიც მარშალი) ჩამოიარა, რომ დამინახა, მიმიხმო თავისთან და ძალიან გამამხნევა: „მშვენიერად შეასრულე, შალვა, წუხელი გიორგის როლი სერთოდ, მაგრამ უკანასკნელი, სიკვდილის სცენა შენ და ლადომ ისე ჩაატარეთ, რომ ყველას ტანზე ბუსუსები აგვებურძგნა“,

ახალგაზრდა მსახიობისათვის რა იქნებოდა ასეთ გამხნევებაზე უკეთესი და...

აქ შევწყვეტ ამ მოგონებას, თორემ ჩემი მოთხრობის გმირები დამემდურებიან.

ნექტარინა, თოლისქვამი, ბარამი, გუტატი და ანტო ბარგით დატვირთული იმღამესვე ჩავიდნენ ბერთემს. კვიზინია კი მათ არ ჩამოყოლია: ბარამმა აუხსნა გუტატის, — ახლა ჰიათურაში აწყობს შავი ქვის წარმოების საქმეს, დიდი მოხერხებული კაცია და აქ მალე ჩამოვაო.

ეს ამბავი გუტატის არ წყენია, რადგან იცოდა, რომ კვიზინია ჰიათურას უთუოდ ფულის მოსაგებად იქნებოდა წასული და მომავალში ეს გარემოება შეიძლება მასაც გამოსდგომოდა. მხოლოდ თავის მხრივ, არც ბარამს და არც განსაკუთრებით ნექტარინას არ გაუმხილა, რომ ბათუს ტაიასაგან უკვე ოფიციალური საბუთი ჰქონდა მიღებული, რომ მისი საწილადო კვიზინიას სახელზე „დაეკორონა“ გამიჯვნის დროს. უთუოდ ანტომ კვიზინიას ნოტარიუსში გაუფორმა ნასყიდობით. მაგრამ ამეებზე ხმა არ ამოუღია. ისე კი გზადაგზა ჩამოსულებს უამბობდა ბერთემის ამბებს.

ნექტარინამ მაშინვე ძილხანი იკითხა.

— ძილხანს რა უჭირს, ქალბატონო, ოღონდ უშენოდ ძალიან დალონებულია და ახლა შენ მოგელის ალდგომასავით... სახლში ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ ამ მერჟევანიემ გაგვიჭირა საქმე. გლეხებმა თავი აიღეს, — ენაწყლიანობდა გუტატი, — და სულ დაგვისპორეს თქვენი მამულები; განსაკუთრებით ბარამს მოდგენ ძალიან. მისი საყვარელი ტყეც კი სასპოროდ გახადეს.

ნექტარინას ეს ამბავი მაინცდამაინც არ სწყენია, რადგან ძველი ჟინი თუ შური ბარამისადმი სადღაც გულის კუნჭულში კიდევ ჰქონდა ჩამარხული, მაგრამ მაინც წამოიძახა:

— რას ამბობ, გუტატი? რა ხელი აქვთ?

ბარამი ხმას არ იღებდა, მხოლოდ გლეხების უმადურობამ დაანაღვლიანა.

— რა ვიცი, ქალბატონო! — განაგრძობდა გუტატი. — ის კი არა, ამბობენ, მთელი ბერთემის მიწა-წყალი ჩვენია, გლეხებისო. გვირგვილიანებს რა გააჩნდათ! ეგენი ჩამოსულები არიან. მხოლოდ შემდეგ მოგვერიენ და ძალადობით გვიყმეს. თორემ ეგენი ხომ მარგალებიც არ არიან: მარგალები, აქაური მკვიდრი ხალხი ჩვენა ვართ, ეგენი კი ზოგი სომხეთიდან ჩამოთესლებუ-

ლან, ზოგი ჩერქეზიდან, კაცმა არ იცის, ვინ არიანო. გაწსა-კუთრებით ამას ქადაგებს ობიშხია და მისი ამყოლი ფარნაც. მაგრამ მე კაცი არ ვიქნები, თუ იმის ოხტში არ მოვედი, — იმუქრებოდა გუტატი.

სანამ ნექტარინას სასახლეს არ მიაღწიეს, ბარამი ისე ჩუმად იყო და ვინ იცის, შეიძლება ქვეყნის ამოებაზე შეუვარდა ფიქრი. ნექტარინა კი თანადათან ბრაზობდა, და ეს რომ შეატყო გუტატიმ, ის აღარ უამბო თავის კნეინას, რომ მის სასახლეში ძილხანის გარდა მოსამსახურე აღარავინ აღარ იყო. სულ გაეყვანა ბერთემის ორგანიზაციას.

ამას ხომ თავისი თვალით ნახავს და როგორც ნებავს, ისე მოიქცესო, ფიქრობდა გუტატი.

ბარამი აღარ შეყოლია ნექტარინას ეზოში, პირდაპირ თავის სახლისკენ გასწია.

ნექტარინას და თოლისქვამს კი მხოლოდ ძილხანი და ბათუ გამოეგება. ამან ცოტა არ იყოს გააკვირვა ქალბატონი, მაგრამ პირველი შეგებება მაინც ძილხანთან ხვევნა-ალერსში ჩაატარა. თოლისქვამი მისალმებას რომ მორჩა, მაშინვე ცალკე ოთახში წავიდა, სადაც ანტომ შეუტანა მისთვის საჭირო ბარგი, და ისიც დალაგებას შეუდგა.

ნექტარინამ კი ცოტა რომ მოიშოილიფა და თავის საყვარელ დიდ სავარძელში ნებივრად მიესვენა, მაშინ მოიკითხა მოსამსახურეების ამბავი: სად გადაიკარგნენო?

როდესაც ძილხანმა აუხსნა, როგორც იყო საქმე, — რომ ეს სოფლის ახალმა მეთაურებმა გალალეს ყველა ფეხმოდგმული ოჯახებიდან მოსამსახურეები — „მისი ქალი, მისი ვაჟი“, იმღერლები რომ იტყვიან, ერთი ავარდა და დავარდა.

— არა, მე როგორ გამიბედეს იმ წუნკლებმა, იმათ?! მეთაურები ვინ არიან? ობიხშია, გუდუშია? აი მათ კი დავასხი თავს ლაფი! ამას გარდა, შენ ამბობ, ძილხან, რომ ფარნას ცოლი და, ის ჩემი ცხვირის ჟღვინტი, ჩელა არის, რომ ჭალებშიაც არეულობა შეიტანაო? გუტატი, გუტატი! გუტატი-მეთქი! — ხმამაღლა გასძახა ოთახიდან ნექტარინამ და თვითონ ისევ სავარძელში ჩაეფლო.

ძილხანი მაშინვე გავარდა და გუტატი შემოიყვანა.

— ჰა, ჰა, ჰა, რა გახარო, გუტატი, იცი? დამილოცნია შენთ-

ვის ბურთი და მოედანი! შენ იცი ახლა, იმ ფარნას ცოლს და იმ ბსხიტს ჩელას რასაც მოუხერხებ.

— რა ვიცი, შენი ჭირი შემეყაროს, აქამდე სულ ამისთანებზე თავზე კაკალს მამტვრევდი და...

— ჰო, ჰო! კარგი გაიძვერა ხარ, ნუ გეშინია! იმათ კი მოუხერხებ. შენი ამბავი რომ ვიცი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ობიშხიას და გუდუიას ჯავრი ამომყარო.

— ოჰ, ეგ, ქალბატონო, ახლა ცოტა არ იყოს გაჭირდება.

— ჰაიტ, შე ჩიჩია, შენ! ორმა დაფსხრუკულმა კაძახმა შეგაშინა?

— არა, ბატონო, ახლა ისინი ორნი კი არ არიან, მთელი ამ სოფლის გლეხობა მათ უჭერს მხარს.

— მერმედა შენ და ბათუ რას მიკეთებთ? ჰამასახლისიც დაიხმარეთ თავისი პოპოშნიკებით და სულ მათრახის ცემით ზურგი აუტყავეთ მაგ ოხრის შვილებს, მაგათ.

— აგრე არაა საქმე, თქვენ რომ წარმოგიდგენიათ, კნეინა.

— კარგი ახლა! ხომ იცი, ბევრი ლაპარაკი მე არ მიყვარს, გასწი და რაც გიბრძანე, იმაზე ზომები მიიღე!

— მე კი წავალ, მაგრამ...

— ოჰ, რა ჯანჯალი შეიქენი ამ ბოლო დროს! გასწი, გამეცალე!

გუტატი გავიდა, მაგრამ ნექტარინას ბრძანების შესრულებაზე აღარ კი უფიქრია.

„რას ამბობთ! დღეს პრისტავი რას ლაპარაკობდა! მე კი არა, რუა ხელმწიფეს ჯარს უჭირს თურმე მაგათთან გამკლავება. ისევე ეგზეკუცია თუ მოთოკავს და ჩვენც ეგ უნდა ვითხოვოთ. რაც შეეხება იმ ორ ქალს... ჰა, ჰა! ნექტარინამ დღეს რომ ნება დამრთო ფარნას ცოლზე, ამას მეც დიდი ხანია ვფიქრობ და იმ ჩხართვზე კი... ჩელაზე, მე და ჩემმა ღმერთმა, ღირს ნადირობა. ჰო, ხანდახან მარტო დაიარება სოფელში და... ჰმ! სადმე ტყესთან მივიმწყვდევ...“

ასე ფიქრობდა გუტატი, მაგრამ ამ ქალების შესახებ არა ნაკლებ ღვარძლიანად-ფიქრობდა ნექტარინაც.

„გუტატი ხომ გავახარე და რაც უნდა, ის უყოს ფარნას ცოლს. მხოლოდ ჩელა უნდა გაკოჭილი აქ მომიყვანოს და ჩემი თვალის წინ გავაბახებინებ, შემდეგ კი იმდენ როზგს დავარტყ-

მევინებ, რომ სულს ძლივს ითქვამდეს, ბოლოს გასავათებულს შე თვითონ ვკრავ წიხლს და იქვე ჩვენი ეზოს თხრილში გადავაგდებ. მაშინ ვიცითხოს, რავა უნდა ჩემი მსახურების აბუნტება. ჰა, ჰა!.. გუტატი კი ამის შემდეგ უფრო მოინდომებს ჩემი ბრძანების შესრულებას და უჩვენებს კუბაქებს თავის თვალის სეირს...“

თავის ფიქრს ნაწილობრივ უზიარებდა ძილხანსაც, პაგრამ რა იცოდნენ, თუ ძილხანსა და ნექტარინას კი არა, არამედ ბოგიერთ ნასწავლს და განათლებულ ადამიანებსაც არ ესმოდათ ძმდროინდელი ხალხის ისტორიული გზების ამბავი.

მაინცდამაინც ნექტარინამ თავისი ნაფიქრით გული დაჯერა და უკვე გამხიარულებული ძილხანს ქუთაისს ამბები მოუთხრო.

ეტყობა, კმაყოფილი იყო იქ წასვლით: ფულებიც მიიღო, თოლისქვამსაც შესანიშნავი მზითევი გამოუწყო, ქალაქშიაც გაისეირნა — ბულვარში, ფერმაში, მთავარ ანგელოზშიაც იყო, თეატრშიაც იყო, ხალხი ნახა, ზოგი ძველი ნაცნობებიც, და კმაყოფილი იყო.

— ბეგი და მარინა კარგად არიან, მალე ჯვარს დაიწერენ, შემდეგ რუსეთს მიდიან, ისე კი უყვართ ერთმანეთი, რომ ბედნიერები იქნებიან. დაგმარაც გათხოვდა. ერთმა შეძლებულმა ქართლელმა თავადიშვილმა შეირთო, იქაური მარშლის ოჯახში დიდი ჭორწილი იქნა გადახდილი. ორთავენი კარგი ახალგაზრდები არიან. ბეგი და მარინა კი რუსეთის შემდეგ აქ ჩამოვლენ, მანამდის კი ბარონესა პეტერბურგში მაიორატის საქმეს მოაგვარებს და ნექტარინას დიდი ხნის ოცნებაც გახორციელდება: მთელი ბერთემი, უშაფათი, ლეძაძამეც ნაწილობრივ სულ გვირგვილიანების ხელში იქნება და ისიც ერთი მემკვიდრის, ბეგის ხელში. მაშინ გამოყვლიფონ თვალები გლეხებმა, ახლა რომ რაღაც რუზრუზი აქვთ. თუმცა ახლა ხომ მერჟევანიაა, სულ მთელი მიწა-წყალი გვირგვილიანებს მიეზომება, რადგან უხსოვარი დროიდან ეს მამული გვირგვილიანებისაა, გლეხებს რა გააჩნიათ! მთავრობაც გვირგვილიანებს აღუდგენს მის საკუთრებას.

მაგრამ აქ ცოტა შეჩერდა ნექტარინა. შემდეგ უეცრად ერთი უცნაურად გადაიკისკისა და ისევ დაიწყო.

— ძილხან! რაც მე ერთგან ჭუთაისში გადამხდა, ვერ მოვისვენებ, რომ არ გიამბო.

— მითხარი, გეწაცვალე, კარგი მოყოლა იცი.

— პირველ ხანად ისეთი ნაწყენი ვიყავი, რომ კინაღამ ჩემს გულს შემოვაკვდი, მაგრამ ახლა კი მეცინება... ჰა, ჰა! არა, როგორ გამიბედა იმ შეჩვენებულმა?

— რა იყო, ბეჩა ნექტარინა?

შინაობაში, როცა დამარტოხელდებოდნენ, ძილხანი მოურიდებლად სახელით იხსენებდა კნეინა ბატონს. ეს არც ერთს არ უკვირდა, რადგან ორთავემ კარგად იცოდნენ, რომ მამით ერთნი იყვნენ, ერთიმეორის დები. ახლა კი რალაც მოულოდნელის, მეტად საიდუმლო ამბის მოსმენა ხარბად მოუნდა ძილხანს.

— რა იყო და... ძილხან! ჭუთაისში ჩამოსულიყო თბილისიდან გაწთქმული რუსი ექიმი. ვიღაც ავადმყოფისათვის მოეწვიათ. ცა და ქვეყანა დაესხა. მეც გამაბრიყვეს. მე არაფერ ავადმყოფობას არა ვგრძნობ, კარგად იცი. ხანდახან გულს ვუჩივი ცოტა. მაგრამ მეგობრებმა შემაგულიანეს, ყოველ შემთხვევისათვის გაესინჯე, ჯანაოზი ექიმია, ყველაფერს კარგს გირჩევსო, და მეც დავთანხმდი. ფან ჩემი და მინადორა წავაყვანე თარჯიმნად. სასტუმროში იდგა. რომ შევედი, არ მეამა. პრჯაკგახდილი დაგვხვდა, პერანგ-ქილეტის ამარა. ბოდიშიც არ მოგვიხადა. როცა უთხრეს, რომ გასაინჯი ვიყავი, ერთი დაციცქნით შემომხედა და თითქმის მიბრძანა დამტვრეული ქართულით:

— დაცეკი!

თან იქვე მდგარ ფართო დივანზე მიმითითა. ჯერ კარგა წამოწოლილიც არ ვიყავი, რომ წარმოთქვა ისეკი, რომ ეს თითქოს შეკითხვაც იყო და დადასტურებაც:

— სიფილისი... ათაშანგი!

მე გადავირიე. წამოვიწიე და სახეალეწილი კარებისაკენ გავემართე. ის კი არ დაცხრა. თვალი შევაკლე, რომ ჭალარა ულვაშებში მზაკვრულად იღიმებოდა:

— ვიცი... ძველი ბოზი! ჰა, ჰა! ახლა გულით მეცინება!

ძილხანი შეშფოთდა:

— როგორ გაგიბედა იმ წყეულმა!

— არა, ძილხან! ეს მარტო ჩემზე არ უთქვამს. ქალებს ყვე-

ლას პირველად ასე ეუბნება თურმე. ეს მერე გავიგე, რომ ასეთი ჩვეულება აქვს, მოურიდებელია, უტიფარი, მაგრამ თვითონ კი თავისებურად ხუმრობს.

— კაი ხუმრობაა ასეთი გალანძღვა! — ჩაუმატა ძილხანმა.

— მე არ დავაცალე, — განაგრძო ნექტარინამ, — თორემ ამ თავისებური ხუმრობის შემდეგ რომ გაგსინჯავს, ყველაფერს მარბალს გეტყვის, რადგან შენს ნამდვილ ავადობას შართლა გამოიცნობს.

უეცრად ძილხანს სიცილი აუტყდა:

— შენ კი გამოუცვნიხარ ვილაცა ოხერია.

ნექტარინას ეწყინა:

— როგორ? ათაშანგით აბა როდისა ვარ ავად?

— არა, ათაშანგით კი არა.

ნექტარინა მიხვდა. თავი მოისაწყლა:

— მერე, მე აბა სადაური ბოზი ვარ?

— შენ ხენწიფის ჩამოსვლის დროს ქუთაისში ველიკი კნიაზმა გაგანათლა, არ გახსოვს?

ნექტარინა შეედავა:

— მერე შენ იცი, ბოზს ვის ეძახიან?

— რავა არ ვიცი ბეჩა, ყველა მამაკაცს რომ გადაჰყვება.

— ჰოდა აგაშენოს. მე რჩილის ვარ ასეთი. მე ყოველთვის ერთი მყავს და როცა ერთი მყავს, მაშინ სხვაზე უკაცრავად.

— რას ამბობ, ნექტარ? აბა ყველა ქვრივი გარყვნილი ყოფილა.

— ჰოდა არ იცი? ზოგი სამჯერ თხოვდება. ჩვენი რჯული აძლევს ნებას.

— მერმედა რა კარგია! ეგეც ერთგვარი თავაშვებულობა...

— არც შენ ხარ სული წმიდა, ძილხან!

ძილხანი კინაღამ შეახტუნა ამ განცხადებამ, წაიოდგა, წელში გაიმართა და თითქოს თავისთვის შეუვალი კილოთი ჩაილაპარაკა:

— მე ერთი მიყვარდა!

თან უეცრად თვალწინ გაურბინა მთელმა მისმა რომანმა ნექტარინას ქმართან.

ასე იყო: ჯერ შეეცოდა ცოლისაგან დალალატებული, თავისთვის ოხრად რომ ეგდო მოწიფული ვაჟკაცი, შემდეგ შეეჩ-

ვია, ბოლოს ნამდვილად შეუყვარდა. ვინ დასტიროდა ისე გულამოსკვნით საცოდავს, თუ არა ძილხანი?! დღესაც ვერ მოუნელებია.

ნექტარინა ააფორიაქა ძილხანის სიტყვამ, რომ მას ერთი უყვარდა:

„რა იცის მაგ სულელმა, რომ მეც მუდამ ერთი მიყვარს, ის ერთი, რომელიც ჩემს გულს პირველად გაუჯდა, რა ვუყოთ, რომ სახეს იცვლიან! ის მუდამ ის არის, — პირველჩასახული...

საკვირველი კია, მე და ძილხანს ასეთი გულახდილი საუბარი ჩვენი ტრფობის საქმეებზე არასოდეს არა გვქონია. ეს სულ იმ ექიმის ბრალია, იმის ამბავმა გამოიწვია ჩვენი საუბარი“.

ეს ყველაფერი გაიფიქრა ნექტარინამ, მაგრამ ამაზე სიტყვაც არ დაუძრავს. უეცრად კი სიცილი აუტყდა და ძილხანს ასე მიმართა:

— იცი, ძილხან, აჭარაში თურმე გაუთხოვარს, უმანკო ქალიშვილებს ბოზს ეძახიან.

— რაო? — პირველად ვერ გაიგო ძილხანმა.

— ჰო, აჭარაში მუსულმანი ქართველები უმანკო და უბიწო გოგოებს ბოზს უწოდებენ.

ძილხანი მიხვდა.

და ორთავენი, ეს წანდაზმული დადედლებული დები, დიდხანს გულიანად, თან უტიფრად, ურცხვად იცინოდნენ ამ საოცარი შემეცნების გამო.

გუტატი რომ ნექტარინას გაეცალა, მაშინვე საგარეო ტანისამოსი გაიხადა, საშინაო ჩოხა-ახალუხი ჩაიცვა, ჩოხა შეუბნევლად ახალუხზე გარედან გადაიცვა, ახალუხზე ქამარ-ხანჯალი შიგნით შემოირტყა და ფეხზედაც საშინაო, ყოველდღე სახმარებელი მაღალყელიანი ახიური წაღები ჩაიცვა, მხარზედ საშინაო ყაბალახი გადაიგდო და იქ წავიდა, სადაც მიწის მზომელი ბერთემის მესაკუთრეებს ნაკვეთებს უმიჯნავდა.

მიწის მზომელი უკვე ნექტარინას, ბეგის და ტაიას სამფლობელოში იყო შემოსული და ამჟამად უკვე ფარნა ბჟალაას ეზოსაჰლ-კარს გვერდზე ადგა. ეს თითქმის ბერთემის შუა ადგილი იყო.

მიწის მზომელმა ბერთემის გამიჯვნა აღმოსავლეთიდან დაიწყო, სოფ. ლეძაძამის საზღვართან, და ნელ-ნელა დასავლეთისაკენ მიდიოდა. ამ საზღვართან კი დიდ ხანს შეჩერდა, რადგან სწორედ აქ მდებარეობდა მენჯი-რობუ და ეს იწვევდა დიდ აყალმაყალს. გვირგვილიანები ამ ადგილს მარტო თვითონ ჩემულობდნენ და ამას ეცილებოდნენ ლეძაძამისა და ბერთემის გლეხები, მაგრამ გვირგვილიანის ინტერესების წარმომადგენლები ამ დავას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას აღარ აქცევდნენ, რადგან გაიგეს, რომ მაშინდელი კანონით ადგილის ზედაპირი ვისიც უნდა ყოფილიყო, წიაღი მაინც, თუნდა ყოფილსაც, მებატონეს ეკუთვნოდა. საინტერესო კი მენჯი-რობუში სწორედ მისი წიაღი იყო, იქ იყო მადნეული. ეს ამბავი დიდად შეიცხადეს გლეხებმა, დავაზე მაინც უარი არა თქვეს, მაგრამ კანონზე კი გული დაწყდათ — ეს რა კანონი ყოფილა: თუ ადგილი ჩემია, რაც ამ ადგილზეა, ზედაპირზე თუ მის შიგნით, წიაღში, ისიც ჩემი უნდა იყოსო, და ამან უფრო აღრინა გლეხობა მეფის ძთავრობის წინააღმდეგ. ის კი არა, აღმოჩნდა, რომ ტყიანი და სამკურნალო წყლების ადგილებიც მებატონეს ჩრჩებოდა. და მიწის მზომელი უმტკიცებდა, რომ ამაზე რაც უნდა იდავოთ სასამართლოში, სულ ერთია, მაინც წააგებთო. ეს კიდევ უფრო აბრაზებდა გლეხობას და ისინიც კი, რომლებიც არცთუ მაინცდამაინც თანაუგრძნობდნენ მოძრაობას, აღარ ფარავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას: აჭისთანა მთავრობა და მისი კანონები სწორედ რომ უნდა დაემხოსო.

ახალგაზრდობა ხომ, მიქესთანა მოაზროვნენი, გამიჯვნას თუ ესწრებოდნენ, ზოგჯერ ისიც უფრო ერთიმეორეში საიდუმლოდ მოსალაპარაკებლად, მაგრამ არც მიჯნის ჯიხურის ალნიშვნაში, არც საცილობელ სამკუთხედ ორმოს ამოღებაში მონაწილეობას არ ღებულობდნენ. ეს აბრაზებდა მიწის მზომელს და ემუქრებოდა ახალგაზრდობას: დაგაჯარიმებთ, დაგატუსაღებთ, მოვალენი ხართ ჩემს მუშაობაში დამეხმაროთო, მაგრამ ახალგაზრდობა არ ეპუებოდა და ხალხს აგონებდნენ:

— რას ხლაფორთობთ, რაში გჭირდებათ, ძალიან ჰალე მთელი მიწა-წყალი ჩვენი იქნება. მაგას კი ჰკარით პანღური და გააგდეთ. — უთითებდნენ მიწის მზომელზე.

მაგრამ მესაკუთრეების გრძნობა ხალხის ძვალ-რბილში იყო გამჯდარი, როგორიც უნდა ყოფილიყო, კანონის მაინც ერიდე-

ბოდათ, რუს ხელმწიფის ეშინოდათ და მიჯვნის საქმეში სოფლის დიდი უმეტესობა მაინც ღებულობდა მონაწილეობას.

მიჯვნაში, გარდა გლეხობისა, მონაწილეობას ღებულობდნენ უმთავრესად გვირგვილიანები, თითო-ოროლა ბერთემს მოსახლე მოაზნაურო პიროვნება, თედორე მღვდელი, მევახშე ბანძღი და სხვა სოფლებიდან მოსული ფალავები და აფაქიძეები. აქ ისიწი იმიტომ იყვნენ მოსული, რომ ბერთემში ესახლნენ ოდესღაც მათი ნაყმევები, რომელთაც ახლა ხიზნებს ეძახდნენ, როგორც მაგალითად, ფარნა ბჟალაა, და დაობდნენ ზოგიერთ ნაკვეთზე.

მიწის მზომელს ეჩქარებოდა, რომ ამ სოფლის გამიჯვნა როგორმე მალე მოეთავებინა, რადგან გრძნობდა, რომ ქვეყანაზე სულ სხვა „ქარი ქრობდა“, და შეიძლება მისთვის არ დაეცლათ. მას კი უნდოდა, რომ გუბერნიის სამიჯნო განყოფილების წინაშე დაესწრო მოძრაობის გლრმავებისათვის და პირნათლად წამდგარიყო. მაგრამ ეს არ ხერხდებოდა. ერთი რომ სხვადასხვისი ნაკვეთები, — გლეხობისაც და მებატონეებისაც ისე იყო ერთმანეთში შეთხზული და შეჭოვილი, რომ თითო პაწია ნაკვეთის გაზომვას და გამოანგარიშებას კარგა დიდი დრო უნდებოდა. ახლა ერთმანეთში დავა და აყალ-მაყალი მეტად ბევრ დროს ართმევდა მიწის მზომელს, ისიც ცდილობდა მეტწილად დაყვავებით და ლმობიერად აეხსნა საქმის გარემოება. ხშირად მიმართავდა ასეთ სიტყვებს:

— გაიგეთ და შეიგნეთ, რომ ძლივს მთავრობამ მოგხედათ, თქვენს მესაკუთრეობას არკვევს, რომელსაც საბოლოოდ მიიკუთვნებთ და თქვენც დაწყნარდებით. გამაკეთებინეთ ეს მთავრობის მიერ თქვენ სასარგებლოდ გადაწყვეტილი საქმე.

— არ გვინდა მაგისთანა მთავრობა და არც შენ გვიწდია ხარ! — შესძახეს ახალგაზრდებმა.

მიწის მზომელი გაბრაზდა, მაგრამ თავი შეიკავა, მხოლოდ გაიფრთხილა:

— მაცალე, მაცალე! ჯერ ერთი, გამიგონია, მეგრელებმა უფროსების პატივისცემა იციანო.

ამაზე იქაურობა გაირინდა. მიწის მზომელმა განაგრძო:

— ამას გარდა, მე მთავრობის წარმომადგენელი ვარ და როდესაც სამსახურის საქმეს ვასრულებ და ეს ჯაჭვი მკიდია, მაშინ ჩემთან დავა და კამათი არ შეიძლება.

ვიღაცამ მაინც შეაწყვეტინა:

— ჩვენ შენ არ გეკამათებით, მხოლოდ არ გვჯერა არც შენი საქმის და არც შენი მთავრობის.

აქ ობიშხია ჩაერია:

— კარგი, ბიჭებო, გაჩუმდით. თქვენ თუ რამე შეგეძლიათ, ის გააკეთეთ და ამ ბატონთან კაცს კი ნუ აწუხებთ. ის თავის მოვალეობას ასრულებს და სანამ ჩვენც დღევანდელ კანონებს ვემორჩილებით, მანამდე დავეხმაროთ მაგას. ამითი არაფერი არ წახდება.

საწინააღმდეგო ხმები მიჩუმდა. მიწის მზომელს გული მოეცა.

— თუ დამაცლით, გამიჯვნას მალე მოვრჩები და თქვენც ერთმანეთში საყაყანო და საჩხუბარი არაფერი გექნებათ. უფლას კანონიერად მიგაკუთვნებთ თქვენს საკუთრებას, როგორც მებატონეებს, ისე გლეხებს. დამშვიდდით და საქმე მალე გაკეთდება.

ხალხი ცოტათი დაწყნარდა, მიწის მზომელი მიადგა ერთ პატარა ნაკვეთს:

— ეს ვისია?

— მიქესია, ბატონო, მიქესი! — მიაძახეს აქეთ-იქიდან. — ეი, მიქე, სადა ხარ?

მიქე მოშორებით ახალგაზრდებში რაღაზედაც ხარხარებდა.

ამ დროს მოიჭრა ბანძღი და ჩემიაო განაცხადა. სოფლელებმა კვლავ შესძახეს მიქეს, იმან კი იქიდან დაუყვირა:

— რაც უნდა, ის გააკეთოს ბანძღიმ. რაც ეგ მაგან ჩემგან წაიღოს, ის თავის პატრონს დააკვეხოს.

შეიქნა ხარხარი.

მიწის მზომელმა ნაკვეთი არ ჩაუწერა ბანძღის. ის დაემუქრა მიწის მზომელს. — უფროსებთან გიჩივლებო, მაგრამ მიწის მზომელი არ შეეპუა:

— ხალხი ლაპარაკობს, რომ ნაკვეთი მიქესია და თვითონ იქიდან რომ დაიყვირა, „რაც მაგან ჩემგან წაიღოსო“, ეს ჩემთვის საკმარისია. მე ჩემი საქმე კარგად ვიცი.

ბანძღი შეფუცხუნდა, მაგრამ აღარავინ ყურადღება აღარ მიაქცია, რადგან შეუდგნენ სხვა ნაკვეთებს და აქ ბათუმ, ტაიას ვეჭილმა და მოურავმა, აიმალლა ხმა — ეს ნაკვეთი სულ ტაიასიაო.

ამაზე ხალხი აყაყანდა და...

იჭრებოდა და იჭრებოდა ირგვლივ სამკუთხედი ორმოები.

აქ შემოერია ბარამის, ბეგის და ნექტარინას სამფლობელოებიც, რაზედაც ბათუმ მიწის მზომელს განუცხადა, რომ ამ ადგილების გამოჯვნა შეეჩერებინა და დაეცადა მეპატრონეებისათვის, მაგრამ მიწის მზომელი არ დაეთანხმა. მან განუმარტა ბათუს:

— ჩემგან ყველა ბერთემის მოსახლეს დაგზავნილი აქვს უწყებები და ისინიც მოვალენი არიან თავის დროზე გამოცხადდნენ. მე ხომ არ ვიცი, სად ძევს მათი ნაკვეთები. თუ არ მოვლიან, ვინც რომელიმე ნაკვეთს ხელს დაადებს, იმას უნდა მივუმიჯნო.

ბათუ გაფიცხდა: „ეს რანაირია, იქ მიქეს ნაკვეთი მიქეს ოფიციალურად არ განუცხადებია, ისე მიუზომა, აქ კი გვირგვილიანების ხათრი სულ არ მოიდვა“, მაგრამ არაფერი კი არ თქვა. მხოლოდ ნექტარინას სასახლისაკენ კი დაიწყო ყურება, გუტატის მოელოდა და...

გუტატიც გამოჩნდა.

— სადა ხარ, კაცო, აქამდე? — მაშინვე მივარდა გუტატს ბათუ. — სულ დაგვისპორეს ამ ტურტლიანებმა ჩვენი გვირგვილიანების მამული...

— რა ვუყოთ მერმე! — მშვიდად უპასუხა გუტატიმ. — რავა არ იცი, ამითი კი არა თავდება საქმე. სასამართლოში გაირჩევა და იქ, ცხადია, ჩვენ მოვიგებთ.

— რა ვიცი, რა ვიცი! ძაან უპატრონო კი ვართ და, — ჩაილაპარაკა ბათუმ.

ამასობაში მიწის მზომელი მიადგა ერთ კოხტა დაბლარ ვენახს. მშვენივრად იყო მოვლილი, ხარდანზე ვაზი ლამაზად იყო აყვანილი, ნიადაგი მოსუფთავებული და ისე იყო გამოხვეწილი, რომ სასეირნო ხეივანსა ჰგავდა. თან უხვად ესხა ახლად გამოღებული ყურძნის პატარა კუმპლიანი მტევნები. ვენახი შემორაგული იყო იელის მოქნილი წნელით და ამის შემდეგ, ცოტა დაფერდებულში, იწყებოდა გადაკოპწრებული ფართო ეზო თავისი სახლ-კარით.

ეს ფარნა ბჟალაას კარ-მიდამო იყო.

ის ვენახის თავშივე დახვდა მიწის მზომელს. განაცხადა, რომ მთელი ეს კარ-მიდამო თავისი ვენახით მისი იყო.

მაგრამ ამ დროს აქვე გაჩნდა ფალავა და ამანაც განაცხადა თავისი პრეტენზია.

ბანამ მიწის მზომელი ჩაწერდა განაცხადებს, მანამდე ამჩნევდა ქარებლად, ხელოვნურის დიდის სიდინჯით გუტატიც მოშორდა და თქვა:

— ეგ, ბატონო, ფარნა ბჟალაა გახლავთ, ჩვენი ხიზანიაა, თავადმა ფალავამ მაპატიოს, მაგრამ არც მაგას აქვს უფლება ამ მამულზე.

— რას ამბობ, გუტატი? — იწყინა ფალავამ. — ბჟალა ჩვენი ოჯახის ნაყმევია და ბანძიდან აქ წამოსულა, მაგრამ სადაც უნდა იყოს, მის საკუთრებაში წილი მეცა მაქვს.. მით უმეტეს, ეგ ხომ ჩვენგან განთავისუფლებული არ არის.

ამაზე მიწის მზომელი შეეჭრა ფალავას:

— თუ ხიზანია, ქნიაზო, მაგათ შესახებ სულ სხვა კანონი არსებობს.

გუტატიმ არ დააცალა:

— ხიზანია, ბატონო, ეგ ძალის შვილი, ეგ...

ფარნა სულ გადაფითრდა. ხელში ნაჯახი ეჭირა და სხვების შეუმჩნევლად თითქოს მოიმარჯვა.

— ხიზანია და მაგისი აქ არაფერი არ არის!.. ეს სულ კანონა ნექტარინასია. მაგას რა აბადია, მაგ ხაწყალს — ერთი ორმაზი ცოლი ჰყავს... ეს კია... — გუტატიმ ფარნას ეზოსკენ გაიხედა.

ცოლის ხსენებაზე აქა-იქა ჩაიფრუტუნეს. ფარნამ კი ალაპარაკდა, მაგრამ თუმცა დიდის გაჭირვებით, მაინც თავი შეიკავა.

ფალავამ დაჟინებით მოითხოვა ფარნას მამულზე საკუთარი ორმოს გათხრა, გუტატიმაც თავისი თქვა. ფარნამ აბლა კი იყვირა:

— რას მეჯაჯგურებით, კნიაზებო! სულ ჩემია ეს, სულ ცვლაფერი მერქევანია! ჩამწერე მე, როგორც ნამდვილი პატრონი ადგილების. ჩემი ნაწვი და ნადაგია. რაო? იამა გავთხაროთ? ისეთ იამას გაგითხრით მე თქვენ, რომ თქვენი ძვლებიც კი შიგ ჩასტოვოთ.

აქ მივარდა თვითონ ფარნა ბარით ხელში აღნიშნულ ადგილს და გაშმაგებით დაუწყო თხრა საცილობელ სამკუთხედ-ორმოს.

მიწის მზომელი ამაოდ უხსნიდა ფარნას, რომ ის ტყუილა ცხარობს, რომ ის ხიზანი ყოფილა და ბიზნების შესახებ ამ მოკლე ხანში მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლითაც ხიზანს შეღავათები ეძლეოდა, და ისიც ამ კანონის მიერ ნაჩვენებ გზას უნდა დადგომოდა, მაგრამ ფარნას მისი ალარაფერი ესმოდა და გაშმაგებით თხრიდა ორმოებს.

გუტატიმ ფარნას ესეთ საქციელზე ერთი გესლიანად ჩაიცინა და კვლავ გახედა ფარნას სახლ-კარს.

„მე გუტატი არ ვიქნები, თუ დღესვე თავს ლაფი არ დაგასხი, ბჟალაა, და შენი ფანთა ხელთ არ ვიგდე! ჰა, ჰა! დღეს ხომ თვითონ ნექტარინამაც დამლოცა ამ საქმეზე. სწორედ ახლაა დრო. ფანთა მარტოა სახლში, ფარნა გულმოსული აქ დიდხანს იბრუალებს. სხვა დროს ხომ ვერ მივუხტები, ღამით ხომ სულ არ ვარგა! ახლაა დრო, ახლაა!“ — გადაჭრა გუტატიმ და სხვებისთვის შეუმჩნევლად ფარნას ეზლისკენ დაიშვა.

მართლაც, არავის შეუმჩნევია, მხოლოდ გაწზე, სხვებზე მოშორებით მჯდარმა სთეფანემ დაინახა და მაშინვე მიაძახა:

— სო მიოზაკვა, სო?*,

გუტატიმ გაიგონა. იცნო სთეფანეს ხმა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია, უთუოდ ეს ეფიქრა: „სთეფანე ზლაზნია კაცია, სანამ ის რასმე გადაწყვეტდეს, სანამ წამოდგებოდეს თავისი ადგილიდან, სანამ ვისმე რასმე ეტყოდეს, მანამ მე ჩემს მიზანს მივაღწევ კიდეცაო“, და განაგრძო თავისი გზა, მხოლოდ ცოტა უფრო ფეხაჩქარებით.

აგერ მიადგა კიდეც ფარნას ჭოხის აბარწას.

ჭოხის კარები გამოღებული იყო და კერაზე დანთებულ ცეცხლთან ფანთა რაღაცას საქმიანობდა, უეცრად შეკრთა. ცეცხლს ლანდი დაადგა. მოიხედა, ეს ლანდი კარებში მოლიმარი გუტატის იყო. ფანთა მაშინვე მიხვდა, რა უნდოდა ამ მოღიმარ კაცს. გაახსენდა ბანძაში ალდგომის დღესასწაულზე გუტატის დამუქრება, ტანში უსიამოდ გააჟრჟოლა, მაგრამ არ დაბნეულა. წელში სულერთიან გასწორდა და შეუვალად უთხრა:

— შენ აქ რა გინდა?

— საქმეზე არ მოვსულვარ, ფანთა, წუ გეშინია! — და რაც

* — საით მიიპარები, საით?

შეიძლება ტკბილად შეაგება: — სასიამოვნოდ მოვედი, სალერსოდ...

ფანთა გამეხდა:

— შენი ალერსი იქ დახარჯე, იქ, დოხორეში, კნეინებთან.

— უი, შენ კი დაგენაცვლოს ხუთასი კნეინა ერთად. რა ქალი ხარ... რა გიხდება ეგ გულის მოსვლა, — და გუტატიმ ქარების ზღურბლს ერთი ფეხი გადააბიჯა.

— ფეხი! ფეხი არ გამოდგა აქეთ, თორემ ამას ხომ ხუდავ! — და ფანთამ ალმოდებული ერთი კარგა მოზრდილი შეშა ხელში მოიმარჯვა.

— შეშა კი არა, ახლა მე არაფერი არ დამაკავებს! — წარმოთქვა გუტატიმ და ფანთას ხელში ჩასაბღუჯად მიიწია, თან მოინდომა, რომ მეორე ფეხიც გადაედგა ზღურბლზე, მაგრამ ფანთამ თვალის დახამხამებამდე ალმოდებული შეშა გუტატის წვერებს შეუკეთა და ვაჟკაცის დიდის ფარეზობით მოვლილი წვერი უეცრად აპრიალდა.

გუტატი დაიწმაწნა, ხელები წვერებში იტაცა, ცეცხლისაგან თვალთ დაუბნელდა, ცალი ფეხი ჭოხის შიგნით ჰქონდა შედგმული, ცალი გარეთ, როგორღაც უხეიროდ გაეხირა და ვერაფერი ვეღარ მოახერხა. ამ დროს ფანთამ შიგნიდან მაგრა ხელი ჰკრა და გუტატიმ ქოხგარეთ ზღართანი მოადინა. იმავ დროს, სანამ გუტატი რასმე მოისაზრებდა, ფანთა გარეთ გამოვარდა და სირბილით გასწია თავის ვენახისაკენ, სადაც გამიჯვნა წარმოებდა და ფარნა ეგულებოდა.

იქ პირველადვე სთეფანეს შეეფეთა. სთეფანე შეეკითხა: რა იყო, რაზე მოირბინე, ხომ არაფერი მომხდარაო? მაგრამ ფანთას არაფერი უპასუხნია. გაგულისებული სახე ჰქონდა, ცხვრებზე წაიწია და ფარნას თვალებით ძებნა დაუწყო.

ამასობაში წაქცეული გუტატი ინსტინქტურად წვერებზე ცეცხლს იქრობდა და ალი ყველგან მოიქრო კიდეც, მაგრამ ხელები დაეწვა, ლოყებიც აეწვა და ფუტკრებისაგან დაბენილ დათვს დაემსგავსა. როგორც იყო წამოდგა კიდეც და ძლივს თვალები გაახილა. ახლა იგრძნო, რომ წამწამებიც შეფუთქოდა და არ იცოდა, ჯავრი ფანთაზე როგორ ამოეყარა. მაგრამ აგერ დაინახა, რომ ფარნას პატარა ვაჟი ეზოში ნარეზს ხვრეტდა და ბაჯბაჯით მისკენ გასწია. დაეწია ბიჭს, ერთი ხე-

ლის წავლებით მიწაზე დასცა, ზედ დააჯდა ამხელა კაცი და უწყალოდ ცემა დაუწყო.

იმავე დროს ორმოების თხრით დაღლილი ფარნა თავის ვენახის პირად ჩამოჯდა დასასვენებლად და ბარი და წალდი იქვე დაყარა. ცოტა ხნის შემდეგ თავის ეზოსკენ მიუხვდა თვალი და დაინახა იქ რა ხდებოდა. თავისი ვაჟი იცნო, გუტატი კი კარგად ვერ გაარჩია, მაგრამ მაინც იმ წამსვე ზეწამოიჭრა და შურდულიკით თავქვე დაეშვა. მიუსწრო, იცნო გუტატი და მოულოდნელად თავს დაეცა.

— ო, სი შურიბუძღამი, სი!* ამ ბავშვს რას ერჩი? — მიაძახა ფარნამ და ბიჭს ააგლიჯა გუტატი. ბიჭი ძლივს აფორთხდა და ქოხისკენ გასწია. ფარნას უნდოდა გადმოეტრიალებინა გუტატი და ფეხებქვეშ მოეგდო, მაგრამ გუტატი არ დანებდა და ორივენი ერთიმეორის პირისპირ აიჩოჩხნენ.

აქ კი გაიმართა მათ შორის გაშმაგებული შერკინება.

გუტატის ცალკე ჯერ კიდევ დაუმცხრალი ტკივილები, ცალკე დაუკმაყოფილებელი გულისთქმა აშმაგებდა, ფარნას კი საერთოდ გუტატისადმი დაგროვილი ბოლმა.

ამ ჭიდილსა და რკინებაში ორთავენი თანდათან უფრო ფიცხდებოდნენ, ერთიმეორეს დაუზოგავად ეპყრობოდნენ. ფრჩხილებით კაწვრაზე და კბენაზეც კი გადავიდნენ. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ გუტატის თავისი ხანჯალი არ გაუხსენებია.

და აი, ერთ მეტად მძაფრ წუთას გუტატი, როგორღაც მოერია ფარნას, ზურგით მიწაზე დასცა, თვითონ ზედ დააწვა და თავისი მტკივანი, მაგრამ მაინც რკინისებური თითებით დასახრჩობად ყელში წვდა. ფარნა ისე იყო გაკავებული, რომ ვერაფერი მოეხერხებინა, მაგრამ აგერ თავის მკერდთან იგრძნო გუტატის ხანჯლის ქარქაში, რის ვაი-ვაგლახით იმდენი იხერხა, რომ მარჯვენა ხელი გაინთავისუფლა, ამოაძრო ხანჯალი და ეს ბასრი იარაღი გუტატის გულში ნელ-ნელა გაურჭო.

უეცრად გუტატის პირიდან სისხლი წასკდა და ფარნას ზედ დაანთხია. აქ კი შეიცვალა სურათი. გუტატი თითქოს მოეშვა, თითები ფარნას ყელიდან ჩამოუვარდა. ფარნა ცოტაზე თითქოს წამოჯდა, მაგრამ გუტატი ხელიდან არ გაუშვა, პირიქით,

* — აჰ, შე სულბინძურო, შენ!

უფრო თავისკენ მიიზიდა და ნაწყალი ახლა უფრო მეტის სისწრაფით და უფრო ღრმად გაუყარა.

ერთი საოცრად ამოიხვნეშა და გუტატი უკვე უხმელოდ ეგდო ფარნას გვერდით.

ფარნა სრულიად გონს მოგებული წამოდგა. ახლა კვლავ გონებით იგრძნო, რომ ეს მკვლელობა სრულიადაც არ გახარებია. ამას კი ფიქრობდა, ძალით შემომაკლა თავიო.

როდესაც ზევით მიჯვნაზე შეკრებილებმა გაიგეს გუტატის მოკვლა, გლეხობას კი გაეხარდა, რომ გუტატი ამ სოფელს ჭირაშორეს.

სხვები გაცბუნებულები იყვნენ. ბათუმ გაიგო თუ არა თავისი ძმის ამბავი, კინაღამ ვერავინ ვერ იშოვნა მკვდრის წაქცები, გლეხობიდან თითქმის ყველამ ზურგი შეაქცია, მაგრამ ბათუ გაიქცა ნექტარინასთან დოხორეში, არავისთვის არაფერი არ უთქვამს ისე, ურემს ხარები შეუბა და თვითონ მიიყვანა ფარნას ეზოში, სადაც მკვდართან არავინ იყო, მხოლოდ ქოხში ფანთა თავს აღგა თავის ნაცემ ვაჟს, თავს დასტრიალებდა.

ფარნა კი არსად ჩანდა.

ბათუს ისევ ჩამოსული თავადები ფალავა და აფაქიძე დაეხმარნენ. მიცვალებული ურემზე დაასვენეს და ისე შევიდნენ ნექტარინას ეზოში.

ნექტარინა აივანზე იჯდა და, რომ დაინახა ურემზე გაწოლილი კაცი, დიდად გაიოცა:

— ვინ არის? აკადმყოფია ვილაც... ჩემთან რა უნდა?

რაზედაც ქიბეზე ამორბეინილმა ბათუმ მოახსენა:

— ალარა გვყავს, ქალბატონო, ჩვენი გუტატი! მოგვიკლეს წყეულებმა!

მრისხანებამ სრულიად წაართვა ნექტარინას მოსაზრება. პირველ ხანად კარგად ვერ გაიგო, რაც იყო მოხდარი, მაგრამ როდესაც ფალავამ და აფაქიძემ მისთვის გასაგები ენით, ვითომ დარბაისლურად აუხსნეს საქმის მდგომარეობა, ერთი ისეთი დაიკივლა, თითქმის მდინარე გურძემიას გალმა სოფელშიაც კი გაიგონეს, თან მარჯვენა ლოყაზე ფრჩხილებით თითქმის სუფლ ჩამოხტუავა. ამაზე მივარდა გულგახეთქილი ძილხანი და შეეცადა ნექტარინას მკლავების გაკავებას, ნექტარინა არ ეშორჩილებოდა და იყო მათ შორის ბღლარძუნი, მაგრამ ქიქილს მხინვრა არ ეცალა.

ამასობაში ბათუმ და თავადებმა მიცვალებული აივანზე ამოიტანეს და დარბაზში ტახტზე დაასვენეს. ნექტარინამ კინაღამ არ დააცალა ტახტზე დასვენება. მივარდა, წივილ-კივილით მიუჩოქა და თავით მიცვალებულის გულ-მკერდს დააკვდა. კარგა ხანს იყო ასე მიმკვდარებული.

ბათუ, ძილხანი და ორი თავადი თავს ადგნენ ნექტარინას.

ბოლოს, როგორც იყო, ნექტარინა შეიშმუშნა და ახლა ხელის ფათური აუტყდა. პირისახეზე ხელი მოავლო მიცვალებულს და უეცრად კვლავ საშინლად წამოიყვირა:

— ვაიმე!

ახლა შეამჩნია, რომ გუტატის წვერები შეტრუსული ჰქონდა. მისი საყვარელი, ლამაზი წვერები ვაჟკაცისა.

თავი აიღო და იქ მყოფთ ერთი მრისხანედ გადახედა, თითქოს ესენი ბყვნენ დამნაშავენი, რომ გუტატის წვერები ასე შელანძღული ჰქონდა. თვალი მოუხვდა თედორე მღვდელზე. მღვდელი ის-ის იყო ახლა მოსულიყო.

— აჰა, იხილე, მღვდელო, „იხილე და გარდმოიხილე“, — გაახსენდა ნექტარინას ლიტურგიიდან ერთი კვერექსის სიტყვები. — რა გვიყვეს წყეულმა გლეხებმა!.. ჩვენი გუტატი! — აქ კი სრულიად უკივლელად ცრემლები ღვარად წასკდა.

წელა მივიდნენ თედორე მღვდელი და ძილხანი ნექტარინასთან, აქეთ-იქით ბჭრებში ამოუდგნენ და ჩუმად წამოაყენეს. ნექტარინას წინააღმდეგობა არ გაუწევია, ისე შეიყვანეს თავის ოთახში და დასვეს სავარძელში.

ბათუ დარჩა მიცვალებულთან. თავადები კი შეჰყვნენ ნექტარინას და არ დაშორდნენ, ისე თავს დაადგნენ. ცოტა სიჩუმის შემდეგ თედორემ წამოიწყო:

— გლეხებს ტყუილა ამტყუნებ, ქალბატონო. იმათ არ მოუკლავთ გუტატი. უკვე დანამდვილებით ვიცი, რომ ის მოჰკლა ფარნა ბუალაამ.

— მერე რატომ? რატომ, იმ ძაღლთაპირმა, რატომ?

— რატომ, და განსვენებული მის ცოლს ფანთას მიხტომია.

— მიხტომია? — თითქოს რისხვით შეაწყვეტინა ნექტარინამ. შემდეგ ხმადაბლა, თითქოს თავისთვის, წარმოთქვა: — მიხტომია? ჰო, მიხტომია! — თითქმის უკვე ჩურჩულით ამბობდა

ნექტარინა. უეცრად ხმაშალლა და ირიბიანად ბრძანა: — კარგი, მეტი აღარაფერი მითხრათ, ახლა დამტოვეთ მარტო!

ყველა გალაგდა.

მარტო დარჩენილმა ნექტარინამ კი თვალები ზევით ააპყრო და ჩურჩულით თქვა:

— ღმერთო, შენ მომიტევე! სულ ჩემი ბრალია! მე წავაქეზე, მე უბედურმა! მე მოვკალი, მე! ჩემი გუტატი! — აქ კი გული ამოუჯდა და ქვითინი მორთო. ქვითინის დროს კუთხის ხატზე მოუხვდა თვალი. წამოდგა, ხატის წინ დაიჩოქა, მეტანია გააკეთა და თავი რამდენჯერმე დაარტყა იატაკს.

თედორე მღვდელმა კარის ღრეჩოში რამდენჯერმე შეიხედა და, პირველი თავის დარტყმა რომ დაინახა, მობრუნდა და მაშინვე ძილხანს წაავლო ხელი, თან ყველას გასაგონად თქვა:

— მოდი, შეხედე, ძილხან... ეგ თავს არ იცოცხლებს.

— ო-ო, ძალიან შეწუხებულია ქალბატონი. შეიძლება მართლა თავიც არ იცოცხლოს, — დაემოწმნენ თავადებიც.

— წადი, ძილხან, წადი!

ძილხანი დამორჩილდა იქაურებს. გულში კი მზაკვრულად ფიქრობდა:

„ჩემსავით ვერავინ იცნობს ნექტარინას, იმას სიცოცხლე ისე უყვარს, რომ... ჰა, ჰა! შეიძლება სასყვარელიც კი გაიჩინოს“.

53

მეორე დღეს ბარამიც მოვიდა. ნექტარინას წელზე ხკოცა, მისამძიმრებით კი ბათუს მიუსამძიმრა მხოლოდ.

ამის შემდეგ შეიქმნა თათბირი. თათბირს ესწრებოდნენ: ნექტარინას გარდა, ბარამი, ბათუ და თედორე.

ნექტარინას უნდოდა, რომ გუტატი დიდის გამოჩინებით დაემარხა: ეზოში გაემართა დიდი სეფა, მიცვალებული იქ დაესვენებინა, მოეწვია ეპისკოპოსი თავისი კრებულით, მოეწვია ახლომახლო თავად-აზნაურები და გლეხობა არ გაეკარებინა, მაგრამ ეს წინადადება არ გავიდა.

ბარამმა და თედორემ, რომ არ ეწყენინებინათ, ნექტარინა მოიარებით დაარწმუნეს, ასეთი დამარხვა, როგორიც მას გაენზრახული ჰქონდა, არ არის დროის შესაფერიო.

— განა გუტატი ღირსი არ არის, — ამბობდა ბარამი, — თქვენი განზრახვა, ჩემო რძალო, თქვენი სულგრძელობის გამომხატველია და დიდად მოსაწონიც არის. ჩვენ ყველას გვიყვარდა გუტატი, აკი გვირგვილიანებს თითქმის ძმად მიგვაჩნდა. ის უთუოდ ღირსია აგვთი გამოჩინებით დამარხვისა, მაგრამ ახლა დრო არ არის მაგისთვის შესაფერი.

— დიახ, დიახ, სწორედ, ქალბატონო, არეული დროა, — ახლა თავის მხრით არწმუნებდა თედორეც, — სჯობია გავასვენოთ ღირსეულად, მაგრამ უფრო შეკვეცილად, სეფას ნუ გავმართავთ, ეპისკოპოსს და მის კრებულს ნუ დავიჭირვებთ. ჩვენ აქაური მღვდლებიც: ლეძაძამიდან, უშაფათიდან, ბერთემიდანაც შესაფერ პატივს ვცემთ. ვეცდებით მგალობლებიც კარგი ვიყოლიოთ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, — კვერს უკრავდა ბარამი, — მგალობლების საქმეს მე ვიკისრებ.

ნექტარინამ შეაწყვეტინა:

— შენ რას იტყვი, ბათუ?

ბათუ აქამდე თავჩაქინდრული უსმენდა თათბირს. ნექტარინას შეკითხვაზე კი თავი აიღო და მოახსენა:

— მართალს ბრძანებენ ბარამი და მღვდელი, არ უნდა ამ საქმეს დიდი გამოდევნება. სხვა დროა ახლა და დიდი გამოჩენება ამჟამად არც არის საჭირო. მოვიწვიოთ მეზობელი სოფლებიდან თქვენი კეთილის მყოფელები, იქაური მღვდლებიც, საჭირო ხარჯიც გავიღოთ და კარგი დასაფლავება გამოგვივა. მხოლოდ გლეხების გაუკარებლობა რომ ბრძანე, ეს ყოვლად შეუძლებელია.

— ჰო, ჰო! — წამოიძახეს ბარამმა და თედორემ. — გლეხები უთუოდ უნდა დავისწროთ. როგორ შეიძლება ახლანდელ დროში მაინც. ქელეხიც ვაჭამოთ.

ძილხანიც თავს იქნევდა შემგონებელთა სიტყვებზე. ის მიხვედრილი იყო, თუ რა ალაპარაკებდა ბარამს, თედორეს და ბათუს; რა სარჩული ედო მათ მოსაზრებას. ისინი იცავდნენ გვირგვილიანების ოჯახის უღირსს, თვით ნექტარინას სახელსაც, რომ ამ დამარხვით კიდევ უფრო სააშკარაოზე არ გამოეფინათ მისი და გუტატის დამოკიდებულება.

ეს ამჟამად სრულებით არ იყო საჭირო.

ნექტარინა ერთ ხანს ჩუმად უსმენდა ყველას. შემდეგ ყვე-

ლა იქ მყოფს სათითაოდ ჩაეშტერდა და ბოლოს წაღვლებით, მაგრამ მკაფიოდ წარმოთქვა:

— უბედურო გუტატი! მეორეჯერ მოკვდი, ბიჭო?! — ეტყობა მაგრა ამოიოხრა და შემდეგ ბრძანა: — კარგი, რა გაეწყობა! ბარამი იკისრებს მგდლობლების საქმეს, თედორე — მღვდლებასას და ბათუ კიდევ... ვაი, ჩემი ცოდვა! სტუმრების პატივისცემას, ჰა, მოვიდნენ გლეხებიც: ჯანდაბას მაგათი თავი. მხოლოდ, ბათუ, ხარჯით არ დამზოგო. ყველაფერი ოხრად იყოს, თავს ყარი. მართლა, კვაუთიდან გახაკია ჩიქვანი ხვალვე დაიბარეთ, რომ კუბო მისებურად მორთოს და შეამკოს. ახლა კი გაწყრით და თქვენ თქვენი საქმე გააკეთეთ.

მარტო რომ დარჩნენ ნექტარინა და ძილხანი, ნექტარინა წამოდგა სავარძლიდან, მივიდა და გადაეხვია ძილხანს.

— ძილხან, ჩემი გუტატი, ჩემი! არავის არ ყვარებია ის უბედური.

— არა, ნექტარ, რასაც გირჩევენ, ის ჯკვიანურია. ახლა ასე უნდა.

ნექტარინა ძილხანს ცოტაზე ჩამოშორდა, სახეში ჩახედა და უთხრა:

— მე კი მინდა, ძილხან, გუტატის კუბოსთან შავი ქორი დავიდგა.

ძილხანს თითქოს რაღაცამ უკბინაო, არაბუნებრივად წამოიძახა:

— არ გადირიო, ნექტარ!

ძილხანი მიხვდა, რაზედაც ამბობდა ნექტარინა: საზოგადოდ დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით სამეგრელოსა და აფხაზეთში ყველგან მიღებული იყო, რომ როდესაც წარჩინებული ოჯახის ქალს ქმარი გარდაეცვლებოდა და დიდის ამბით უნდა დაემარხათ, მაშინ გამართავდნენ დიდ სეფას, ნიცვალებულს ამ სეფაში დაასვენებდნენ და მის თავთან ააგებდნენ შავს სამგლოვიარო ქსოვილით შეფუთულ კარავს. იმის შიგნით დაჯდებოდა მოტირალი ცოლი. ეს იყო საქვრივო ქორი. აქ მოდიოდნენ მომტირლები, აქ უსამძიმრებდნენ.

ამაზე ამბობდა ნექტარინა.

მაგრამ ძილხანმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია: გინდა, როგორ ქვეყანაზე თავი შეირცხვინოო, მოიჯაყოო, აბა, სადაური შენ

ქმარია გუტატიო, — და ამ განზრახვაზე ნექტარინას უარი ათქმევინა.

მართლაც, დამარხვის დროს მიცვალებულის ჭირისუფლად კუბოს თავთან ჩოხაზე შავ ძაძით მოსილი, ხელებდაჭდობილი იდგა ბათუ და მოსამძიმრეები მხოლოდ მასთან მიდიოდნენ. ნექტარინა კი სხვა ქალებთან ერთად სკამზე კედლისაკენ იჯდა და მისთვის არავის არ მიუსამძიმრებია. ზოგიერთი ვინმე, ან განგებ, ან მეტიჩრობით თუ მოინდომებდა მისამძიმრებას, მაშინვე ნექტარინას თავზე მდგომი ძილხანი ბათუსაკენ მიუთითებდა და იქით აგზავნიდა მომტირლებს.

სეფა არ გაუმართავთ, მაგრამ დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი და დარბაზის ორთავ მხარის ოთახებში, გარდა თვითონ ნექტარინას სამყოფელისა, სუფრები იყო გაწყობილი და სტუმრები მორიგეობით იქით მიჰყავდათ.

ასე რომ გუტატის დასაფლავება რიგიანი გამოვიდა.

როცა კუბო გაასვენეს და ნექტარინას სურვილის თანახმად იქვე კარის ეკლესიის გვერდით გვირგვილიანების ეზოში დამარხეს, — ეს კი გაიტანა ნექტარინამ, — ნელ-ნელა ხალხი დაიშალა და თავიანთ სახლებისაკენ წავიდ-წამოვიდა. დამხმარე მეზობლებმაც ძილხანის დახმარებით იქაურობა მიალაგეს.

ნექტარინამ თავის ოთახს მიაშურა და ჩვეულებისამებრ ცოტა რომ მოიშვილიფა, თავის სავარძელში ჩაჯდა და თითქოს ღრმა ფიქრს მიეცა, მაგრამ ვერ მოისვენა. რაღაც აშფოთებდა, რაღაც უნდოდა უცნაური ჩაედინა.

დარბაზს მიაყურა, იქიდან მოისმოდა, რომ რამდენიმე პიროვნება ნელა ერთიმეორეს ეშუსაიფებოდა.

— ძილხან! — გასძახა კარში ნექტარინამ.

— რა გნებავს, ქალბატონო? — შეეკითხა კარებზე მომდგარი ძილხანი.

— ვერა ვარ კარგად, ჩემო ძილხან. იქ დარბაზში ვინ ლაპარაკობს?

— ბათუ და თედორე მღვდელი.

— ოჰ, თედორეს აქ დაბრძანება.

ძილხანმა კინაღამ გადაიხარხარა. გაიფიქრა: „რა კარგად ვიცნობ ნექტარინას! ახლა მორჩება“.

— ახლავე, ქალბატონო, — ხმამაღლა წარმოთქვა ძილხანმა და წავიდა თედორე მღვდლის დასაძახებლად.

ნექტარიწა კი წამოდგა და ოთახში სიარული დაიწყო, თან თავის მშფოთვარე ფიქრი განაგრძო:

„მაშ ასე! ბედი ასე მირტყამს თავის უსამართლო მფრწებს? ჯერ ტაიას მამა, არჩილი, წამართვა და ცხოვრებაში კინალამ სამსონს დამაჯერა, შემდეგ..."

აქ შეუჩერდა მოგონება და გულში თითქოს რაღაც ტკბილი ჩაეღვარა:

„რად ემდური ბედს, ჩემო თავო? არ გახსენდება ორმოცდაათიანი წლები ქუთაისში? ხელმწიფის, ნიკოლოზ I ჩამოსვლა... შენ რომ ახალი გათხოვილი იყავი, ნადიმზე რომ წარგადგინეს... სალამოთი რომ ცეკვავდი ახოვან და მოხდენილ ცესარევიჩთან, შემდეგში ალექსანდრე II სახელით რომ იმპერატორობდა. ხომ გახსოვს... ღამე... შენი წითელი, მოქარგული აბრეშუმის შენდიში? სად დაიკარგა. სამაგიერო სახსოვრად ბრილიანტის ფერმუარი რომ გამოგიგზავნა. აკი ახლაც შენახული გაქვს შაკი დღისთვის, შავი დღისთვის... გწერდა: „თქვენ სანახსოვროს მაგივრად (თურმე შეიდიშს გულისხმობდა ეს არშიყი პრინცი) გიგზავნით თქვენი ბროლფიქალი გულმკერდის დასამშვენებელს".

ყველა ამან ერთ წუთს გაურბინა თავში ნექტარიწას და თითქოს ცოტა ხნით გული დაუამდა, მაგრამ სრული და უკვე ხელთ დაუჭერელი ბედნიერების ლანდი დღევანდელ ცხოველ სიმწვავეს ვერ აქარვებდა. ის კვლავ განაგრძობდა შფოთიან სიარულს და სრულიად არ შეუმჩნევია, რომ თედორე მღვდელი კარებთან ატუზული ელოდებოდა. თედორე ჯერ გაკვირვებული იყო — რად მომიხმოო, თუმცა ფიქრობდა, უთუოდ უნდა ლოცვა აღვავლინო, რომ გული დაიმშვიდოსო, მაგრამ ნექტარიწას უჩვეულო მშფოთვარე სიარულმა მეტად დააფიქრა.

ნექტარიწას თავში კი ისევ გლოვის ზარად ფეთქავდა საყვედური:

„მაშ ეგრე, ბედო? ახლა გუტატიც წამართვი? კაცი რაინდობისათვის დაბადებული? ვერა, ვერ დამიმორჩილებ!"

აქ ერთი ირიბად მიიხედა მღვდლისკენ, თითქოს გააჟრჟოლა.

„აჰა, სად უნდა დავეშვა! მაგრამ დაჩაგვრით მაინც ვერ დამჩაგრავ, ბედო!"

შედგა, წელში ამაყად გასწორდა, მივიდა, კარები ჩაჰკეტა და შემდეგ თედორესაკენ პირი იბრუნა.

თედორემ რომ მისი სახე დაინახა, კინალამ „მიწა გაუსკდა“.

რა სახე იყო!

ეს იყო განსახიერებული შურისძიება, თუ შეიძლება რომ შურისძიებას სახე ჰქონდეს.

მაგრამ ჰქონია.

ღმერთს უთუოდ ასეთი სახე აქვს, როდესაც მრისხანებს, ასე წარმოუდგა თედორეს და... გაახსენდა:

„ბატონი ვამეხი რომ გვიამბობს ხანდახან, ძველ-ოდესმე, საბერძნეთში მრავალი ღმერთი ჰყავდათ და ზოგიერთი მათგანი ქალი იყოო, აი, უთუოდ ასეთი იქნებოდა ღმერთი ქალი და ისიც მრისხანე, მაგრამ მე რა შუაში ვარ, მე რად მირისხდება? გუტატი მოუკლეს. ვიცი, რა საშინელებაა მაგისთვის, მაგრამ მე? მხოლოდ როგორც სასულიერო პირი, მოძღვარი, ნუგეშისმცემელი უნდა ვიყო“.

და ვითომ დააპირა თავის გუნებაში სანუგეშო სიტყვების დალაგება, თუმცა ვერ მოეძებნა, როგორ ან რა სიტყვები მოეპოვებინა ამ გააფთრებული არსებისათვის.

ამასობაში, სანამ თედორე თავს მოუყრიდა სასალბუნოს, ნექტარინა პირდაპირ მიადგა მას, ჩახედა სახეში ალმურმოდებულმა და როგორიღაც დამატყვევებელი ღიმილით, ყრუდ, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა:

— რა ლამაზი ყოფილხარ, ბიჭო!

ბიჭო? მაშ ნექტარინასთვის თედორე არც მოძღვარი ყოფილა, არც უბრალო რიგითი მღვდელი. მისთვის ბიჭია მხოლოდ და ისიც ლამაზი?!

სულ თავზე დაეცნა ხუცესს.

მხოლოდ შემდეგ იგრძნო, რომ ის კი არ იყო ბატონ-პატრონი მდგომარეობისა, არამედ ეს ღმერთქალი, რომელმაც შეისრუტა მისი ვაჟკაცობა.

ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ ნექტარინამ ძილხანთან თითქოს თავის გამართლება დაიწყო:

— იცოდე, ძილხან, რომ მე სხვა ქალებს არ ვგავარ, და თუ ვგავარ ვისმე, ეს ისევ ეკატერინეს.

— ვინ ეკატერინე?

— ეკატერინე იყო რუსეთის იმპერატრიცა. მე უმამაკაცოდ ცხოვრება არ შემიძლია. ისიც ასე იყო თურმე. აქაურ კარგ უხეში და დედლები, განა არ ვიცი, დიდი ხანია მიძრახავენ ამ ეთ საქციელს, მაგრამ ჩერჩეტებმა არ იციან, რომ მე უფრო სხვა დიდი ბუნებისა ვარ. ხომ, ჩემო ძილხან?

— კი, კი, ნექტარ! შენ განსაკუთრებული ქალი ხარ, მე არ გიძრახავ.

ძილხანის ასეთი აზრი ნექტარინასთვის თითქმის მეტად სასჭირო ბეჭდის დასმა იყო, რომელიღაც დიდ საბუთზე.

და ამის შემდეგ ნექტარინას ფიქრებმა კიდევ უფრო გაიხანგრძლივეს თავისი სიარულით.

ძილხანი გულში მართლა არ უძრახავდა ნექტარინას თელორე მღვდელთან კავშირის დაჭერას; ჭკვიანური აზრისო, ფიქრობდა. მღვდელი სოფელშიაც გავლენიანი პირია, ამისთანა გავლენიანი კი სჭირდება ნექტარინას დამხმარედ თავის საქმეში და კარგი არჩევანი მოუვიდაო.

ნექტარინასა და ძილხანის საუბრის დროს თოლისქვამი და ბათუ აღელვებულები შემოვიდნენ ნექტარინასთან.

თოლისქვამი ძლივს ლაპარაკობდა, ცრემლები ერეოდა, ხმა უთრთოდა:

— რა მომხდარა, რა მომხდარა, ქალბატონო...

— რა იყო, რა? — გაფაციცებით შეეკითხნენ ნექტარინა და ძილხანი.

მაგრამ თოლისქვამს ბათუმ დაასწრო;

— დიდი უბედურება, ბატონო, ქუთაისში ბეგის ინჟინერი ვოლკოვი მოუკლავს... აი ის, აქ ჩვენთან რომ იყო. ბარამს მოსვლია ტელეგრამა ქალბატონ ნინადორასაგან, ამ დღეებში ასმართლებენ თურმე.

— ვაიმე! ჩემი მარინა, ჩემი მარინა! — ტიროდა თოლისქვამი.

ნექტარინა და ძილხანი ერთავენი გახევდნენ მოულოდნელობის გამო.

ბათუ განაგრძობდა:

— ბარამი მიბრძანდება ახლა. თქვენ შემოგითვალათ, რომ ნუ დაიძვრებით. რაც საჭირო იქნება იქ, ბარონესა, ვამგზი და

მე ყველაფერს მოვაგვარებთ და ყველაფერსაც მალე გაკნობებთო.

თოლისქვამმა კი ხვეწნა დაიწყო: მე გამიშვით, მე, ჩემ მარინასთანო, მაგრამ ბათუმ ნექტარინას მოახსენა, რომ კვიზინიას შემოუთვლია: ამ დღეებში ჩამოვალ, თოლისქვამს უზეიმოდ წავიყვანთ. ახლა თქვენთან მაგისი დრო არ არის, ჭკვიანი ქალია... და ჯვარს ფოთში დავიწერო.

— კი, მაგრამ ეს როგორ, კაცო, — შეგვიანებით წარმოთქვა ნექტარინამ, — ქორწილი აქ უნდა გადამეხადა. მართალია, ახლა მგლოვიარედ ვარ, ჯერ ორმოციც არ გასულა საცოდავი გუტატის დასაფლავებიდან, მაგრამ რა ეჩქარება, აგერ შემოდგომაზე წაიყვანოს.

— არა, ბატონო, არა, ჩვენში ახლა იმისთანა ამბები დატრიალდა, რომ მაგაზე ფიქრიც არ შეიძლება! თქვენ არ იცით, რომ უშაფათში მამასახლისი გადააყენეს, ბრისტავის ჩაფრებს სცემეს და იარაღი წაართვეს; აქაც, ბერთემში, თადას მეთაურობით რაზმი შედგა და ის არის ახლა პოლიციის მაგიერი, რომ ხალხი მოსამართლეთ აურჩევიათ. ბანძღი გუშინ ვირზე უკუღმა შესვეს და ჩამოატარეს მთელი სოფელი.

ეს ეამა ნექტარინას, არც დაუმალავს.

— აი იმას კი ეკადრება.

ბათუმ კი არევ-დარევით, მაგრამ მაინც უამბო სოფლის ამბავი იქაურებს.

თოლისქვამი მაიწც წუწუნებდა:

— ჩემი მარინა, ჩემი! გამიშვით, გამიშვით, ქალბატონო. ბარამს წავყვები.

— ა? მაშ ჩემი ბეგი? — თითქოს ახლა გაუწია ანგარიში ნექტარინამ მომხდარ ამბავს და შემდეგ შეიცხადა: — ვაიმე, ოჯახი დაღუპულა! ეს რა საზარელი ამბავი გავიგე. უბედურება ტრიალდება გვირგვილიანების თავზე.

— ეგ ხომ დიდი უბედურებაა, ქალბატონო, მაგრამ ამ სოფლის არეულობაზე უნდა იფიქრო, შენი ჭირიმე.

— აკი ვამბობ, გვირგვილიანების თავზე უბედურება ტრიალდება-მეთქი.

— მართლა გვირგვილიანების თავზე კი არა, მთელს ამ არემარეზე, ბატონო. ამას ეგზეკუციის მეტი არაფერი არ უშვე-

ლის. თქვენ გაგივათ და ითხოვეთ ეგზეკუცია, ბატონო, ეგზეკუცია.

ძილხანი გაოგნებული იყო. თრლისქვამი ისევ სხმარტალდებდა და თხოულობდა, რომ ქუთაისს გაეშვათ.

ნექტარინა მძიმედ ჩაფიქრდა.

60

ბარამი რომ ქუთაისს ჩავიდა, შეხვედრილებმა ყველამ ის უთხრა, ბეგიმ ვოლკოვი იმისთვის მოკლა, რომ ვახშმობის დროს რესტორანში ვოლკოვი შეტად აუტყდა ბეგის. სულ მის ჭირდვასა და დაცინვაში იყო, ბოლოს ტყიდან გამოვარდნილა ნადირიც კი უწოდაო. ეს ყველაფერი ბეგიმ საკვირველის ვაჟკაცობით მრითმინა, მაგრამ როდესაც ვოლკოვი გადასწვდა საქართველოს, ქართულ ენას და დიდის აუგით მოიხსენია, მაშინ კი ბეგის მოთმინების ფიალა აივსო და მის წმიდათა წმიდის შემგინებელს რევოლვერით სული გააფრთხობინაო.

საერთოდ ქალაქში გავრცელებული იყო ის აზრი, რომ ბეგიმ ვოლკოვი ქართული ენის შეგინებისა და პირადი შეურაცხყოფისათვის მოჰკლაო.

ბარამმა შეამჩნია, რომ ქალაქში ბეგის ბევრი თანაუგრძნობდა.

დანიშნულ დღეს დიდძალი ხალხი მიდიოდა ქუთაისის საოლქო სასამართლოსაკენ, თითქმის მთელმა ქუთაისმა იცოდა, რომ დღეს უნდა გაესამართლებინათ ინჟინერ ვოლკოვის მკვლელი თავადი ბეგლარ გვირგვილიანი.

ბატარა ქალაქს მეტი რა უნდა?

ღმონდ კი რამე მოხვდეს მის გულისყურს „საამბობი, მოსათხრობი“, მსჯავრის დასადები, საჭორიკანოც და... სულერთიან აფორიაქდება.

სულერთიანზ

ამ წელიწადს ბევრი რამ შეხვდა ქუთაისს, ზოგი მცირე, ზოგი დიდი მნიშვნელობის, მხოლოდ უთუოდ ასაფორიაქებელი — გუბერნიის მარშლის არჩევა, გვირგვილიანების ბიერ უჩვეულო ფულის მიღება, მიტოსაგან დაგმარას გატაცება და შემდეგ ქორწილი, ამჟამად ვოლკოვის მკვლელობა და ფარული წრის მუშაობის გაგება.

ფარული წრის მუშაობა გამომჟღავნდა იმათგან.

მოვიყვანოთ ერთი ციტატა:

„...მარქსიზმი მოდად იქცა. ამას მოჰყვა ის, რომ მარქსისტულ ორგანიზაციებს მიაწყდნენ ინტელიგენციის წრიდან გამოსული რევოლუციური ახალგაზრდობის მთელი მასები, რომლებიც სუსტნი იყვნენ თეორიაში და გამოუცდელნი ორგანიზაციულ-პოლიტიკური მხრივ; მარქსიზმის შესახებ მათ ჰქონდათ მხოლოდ ბუნდოვანი, მეტნაწილად არასწორი წარმოდგენა, შეძენილი „ლეგალური მარქსისტების“ ოპორტუნისტული ნაწერებიდან, რითაც ივსებოდა პრესა“.

და აი, ამათგან, ამ ინტელიგენციის წრიდან გამოსული ახალგაზრდობისაგან, რომლებიც — პირდაპირ ვთქვათ — მიეტმასნენ რევოლუციურ მოძრაობას, ქალაქს მოედო ფარული წრის ამბავი, რადგანაც ისინი ცოტათი კი არ იწონებდნენ თავს, რომ რაღაც დიდ საქმეში არიან გარეულნი და რომ ისინიც სჭედენ ქვეყნის ბედ-იღბალს, თუმცა, ცხადია, სულაც არ იყვნენ აქტიური მონაწილენი, თუნდაც ქუთაისში, ნამდვილ რევოლუციურ მუშაობისა. ისინი მხოლოდ იფერებდნენ ჩვენა ვართ, რაცა ვართ, ჩვენ ვიცით ყველაფერი — და ხშირად, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, ოჯახებში, სხვადასხვა შეკრებილებაში, ანსაკრებულოში, როგორც, მაგალითად, ქუთაისის კლუბში, თეატრში ანტრაქტების დროს და სხვა, ყველგან სიტყვათა კორიანტელს აყენებდნენ და მემარცხენეობით მოჰქონდათ თავი. ზოგს თითქოს სჯეროდა მათი, ზოგი პირდაღებული შესცქეროდა და ზოგიც თავდადებით ეკამათებოდა, თითქოს ასეთ კამათს შეეძლო რაიმე ნაყოფი გამოეღო.

ასეთ ახალგაზრდობის ჯგუფს ემატებოდა ხვითოსთანა ყმაწვილები, რომელნიც დეკადენტური ფრაზეოლოგიით აბრუებდნენ თავის მსმენელებს, ზოგი კიდევ — თავისი ანარქისტული მიმართულებით.

უთუოდ ამიტომ იყო, რომ პოლიცია არცთუ მაინცდამაინც დევნიდა თვით ფარული წრის წამდვილ წევრებსაც კი. დრომდე პოლიციისა და ჟანდარმერიის ყურადღება ასეთი მოვლენებისადმი შენელებული იყო, სანამ პეტერბურგიდან არ მოვიდა ფიცხელი ბრძანება, რომ... „დატრიალებულიყვნენ“.

ასეთივე თითქმის ინდიფერენტიზმი არსებობდა ქუთაისის სხვადასხვა ფენის მცხოვრებლებში ფარული წრისადმი.

ამიტომ არ ითქმის, რომ მთელი ქუთაისი „სულერთიანი“ იყო მოცული რომელიმე საზოგადოებრივი მოვლენით, მაგრამ, თუ შეიძლება ესე ითქვას, ზედაპირი ქალაქისა ხშირად იყო აფორიაქებული.

ამჟამად კი ბეგის გასამართლებით.

ამიტომაც დიდძალი ხალხი მიაწყდა სასამართლოს კარებს დილიდანვე. დიდ დარბაზში ჭედვა იყო და თუმცა სასტიკი ბრძანება გასცეს, რომ საჯმაო ხალხის შესვლის შემდეგ კარებთ ჩაეკეტათ, ცნობისმოყვარეები მაინც ახერხებდნენ მის გალებას და კარებში იყვნენ შეხურხულნი.

დარბაზში უფრო ქალები ჭარბობდნენ და ისე იყვნენ გართულნი, თითქოს სადმე მეჯლისზე არიან მიწვეულნი. მათ თავს დასტრიალებდნენ გამოწკეპილი ჩოხოსანი კავალრები და სხვა ასეთი ქუთათური „ბულფარდიე“. იყვნენ წათესაობა და მახლობლები გვირგვილიანებისა. იყო მარშლის ოჯახიც და აგრეთვე ნაწილი ქუთათური ინტელიგენციისა, მათ შორის კი უფრო მეტად იურისტები და ვექილები.

ბეგის თამამად ეჭირა თავი და არ იმჩნევდა, რომ ორ თოფიან ჯარისკაცს შუა საბრალდებლო სკამზე იჯდა. ნაცნობებს ლიმილით თავს უკრავდა, ბარამსა და ვამეხს, რომლებიც აქვე იყვნენ, ხალისიანად ელაპარაკებოდა.

მარინა ხომ, საწამ სასამართლოს სხდომა დაიწყებოდა, წამდაუწუმ მირბოდა ბეგისთან და თითქმის-თავის თავზე მიდებით მხიარულის სახით ეჩურჩულებოდა.

ხალხში, როგორც ყოველთვის, ზოგს ძოსწონდა მარინას ასეთი სითამამე, ზოგი უძრახავდა, ზოგიც გაიძახოდა — რა არის „თრიატრია“ თუ სასამართლოაო?

ამეებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მხოლოდ პირველ რიგში მჯდარი დავგმარა, რომელიც ჯერ კიდევ თავისი ბედნიერების ბურანში იმყოფებოდა, და მის გვერდით მჯდარ მიტო გაგლენიშვილს თითქმის გამუდმებით თვალებში შესცქეროდა.

აქვე იყვნენ ბარონესა და ბაბო გაგლენიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დაბრუნებულიყო თბილისს. ამის მიზეზი შეიძლება ვამეხის ქუთაისში ყოფნაც იყო, მაგრამ უფრო ის ამბები, რომლებიც დიდის სისწრაფით დაემთხვა ერთიმეორეს: მიტოს ჭორწინება, ბეგის ეს უბედური შემთხვევა და სასამართლო.

ყველაფერი ეს არ ეთმობოდა, არ ეთმობრდა არც ბარონესას ბარტო დატოვება.

მარინა მაიწც მოუსვენრობდა, ხან თავისიანებთან მიდიოდა, ერთ-ორს რაღაცას ჩაუხუმრებდა, ხან კი ბეგისთან მიირბენდა და ახლა იმას აცინებდა.

სასამართლოს მკაცრი ბოქაული, თავის დროზე თარჯიმნობით და ხიტყვამახვილობით განთქმული გერასიმე ცანავა, ბეგის მარინასთან და სხვა თავისიანებთან ლაპარაკს სასამართლოს დაწყებამდე არ უშლიდა, რადგან ამის ნებართვა ბარონესას გამოტანილი ჰქონდა სასამართლოს თავმჯდომარისაგან.

ამიტომაც ბეგი სასამართლოს დარბაზშიაც თავს თითქოს ლაღად გრძნობდა. დარბაზში კი აქა-იქა გაისმოდა — ეტყობა, უდარდელი კაციაო.

დადგა დრო და ცანავამ რუსულად გამოაცხადა „სასამართლო მოდისო“. მთელი დარბაზი წესისამებრ ფეხზე ადგა.

მაშინ სასამართლოში მხოლოდ რუსულ ენაზე წარმოებდა საქმეები და რუსულის არამცოდნეებს თარჯიმნები ეხმარებოდნენ.

აი დალაგდნენ მოსამართლეები:

ერთი ძალზე მოხუცი, თავისი სისასტიკითა და ქართველთა მოძულეობით განთქმული, ვორონცოვის დროიდან შემორჩენილი ცარიზმის ძველი მოხელე შეპელიოვი; მეორე — გარუსებული გერმანელი შტეინბერგი. ეს უკანასკნელი, მისი ჭლექიანობის გამო, შიდა რუსეთის რომელიღაც გუბერნიიდან იყო გადმოყვანილი და ადგილობრივ ცხოვრებას სრულიად არ იცნობდა; მესამე კი შუატანის, მაგრამ კარგა ჩასხმული, წვერულვაშ გაპარსული, საბიერი ბაგაროდსკი.— თავმჯდომარე ქუთაისის საოლქო სასამართლისი.

სასამართლოს დაწყებამდე დარბაზში მყოფ საზოგადოებაში და ადვოკატებში იწუნებდნენ დღევანდელ შემადგენლობას: „ვეტად სასტიკნი არიან, მაგათგან გამართლებული ჯერ არავინ გვინახავსო“, მაგრამ ზოგიერთი ნუგეშობდა იმითი, რომ „თავმჯდომარე ბაგაროდსკი ლიბერალი კაცია, ლმობიერი და ახირებულად ადამიანს თავის მრინახველებს არ გაატუჭებინებსო“.

ამავ დროს ეს იმედი მხოლოდ მბჟუტავ სანთელს ჰგავდა, რომელიც მოსამართლეების შებერვით მალე უნდა ჩამქრალიყო.

ამიტომ წუხდნენ ზოგიერთები, თან ნალვლობდნენ: „ჩვენში კიდევ არ არის შემოღებული ეროვნება და ამიტომ არა გვყავს ნაფიცი მსაჯულები, თორემ ისინი როგორ იყვნენ, ბეგის უთუოდ გაამართლებენო. ჩვენში სამართლის საქმე სახაზინო სასამართლოს აქვს დაკისრებული და ესენი კი ადამიანურ გრძნობებს ან ყოფაცხოვრებით მხარეებს ანგარიშს არ უწევენო“.

მაგრამ აგერ მოსამართლეებს სხვა ოთახიდან გამოსული ბრალმდებელი შემოუერთდა. ახალგაზრდა კაცი იყო, ქერა, კარგი შესახედავი, კოხტადაც ეცვა და თავი თითქოს ღირსეულად და დამოუკიდებლად ეჭირა, მხოლოდ მარინამ შეამჩნია, რომ ცოტა ურცხვი და დამცინავი თვალები ჰქონდა.

მარინა ხომ ყოველ წვრილმანს უკვირდებოდა ირგვლივ. მან დიდი ყურადღებით დაათვალიერა დარბაზში, თუ ვინ ან რანაირი ხალხი იყო მოსული სასამართლოზე; რა შთაბეჭდილებას დატოვებდა მათზე დღევანდელი გასამართლება — მარტო სასეიროდ იყვნენ მოსული თუ სხვა რამ საპატიო. მოსაზრებით დაუკვირდა მოსამართლეებსაც და არცთუ მაინცდამაინც მრეწონდა. ბრალმდებელმა კი მაშინვე, მიუხედავად მისი გარეგანი სიკოხტავისა, უარყოფითი განწყობილება შეუქმნა.

— ეს ახალი ბროკუროროია, ლემლეინი.

— ლემლეინი, ლემლეინი, — აჩურჩულდა დარბაზი.

— ვინ არის?

— რუსი არ უნდა იყოს.

— არ ვიცი სწორედ. ვიღაც გადამთიელი კია.

თავმჯდომარემ ზარი დააწკარუნა და დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

საბრალმდებლო ოქმს კითხულობდა შეპელიოვი; მას ჰქონდა მთელი ამ საქმის შემზადება დავალებული და მომხსენებელიც ის იყო. მან კი მეტისმეტი მოხელეური ერთგულებით ოლქის სასამართლოს მდივანს არ-ანდრო წაკითხვა. თვითონ კი კითხულობდა მოხუცის ჩახლეჩილის ხმით და თან დიდად მოსაწყენად, მხოლოდ ზოგან, სადაც ბეგის ულირს საქციელზე იყო მოთხრობილი, აქ თითქოს უფრო გაცხოველებით გადმოსცემდა ეპიზოდებს და ხაზს უსვამდა ესეთ ადგილებს.

საერთოდ კი საბრალმდებლო ოქმი არამცთუ მკვლელობაში ადანაშაულებდა ბეგის, არამედ მას სწამებდა ვოლკოვთან შეტაკების ინიციატივას, ხოლო მოკლული ვოლკოვი „აბრამის ბატკნად“ გამოჰყავდა.

ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო, დაადასტურა, რომ ვოლკოვი მისგან იყო მოკლული, მხოლოდ შეტაკების ინიციატივა უარჰყო. ქართულად ლაპარაკობდა და ამტკიცებდა, თავი შემომაკლაო.

ამ უცნაურმა ქართულმა იურიდიულმა ტერმინმა დიდი სიცხე დააყენა თარჯიმან ცანავას. ის ძალიან გამოცდილი თარჯიმანი იყო და ქართულ იდიომებს მოხერხებულად გადასცემდა ხოლმე, მაგრამ ამ „შემომაკლამ“ მაინც საქმე გაუჭირვა.

ცანავაც ბეგის თანამგრძნობელებში ერია და უნდოდა, რომ სასამართლოსათვის აეხსნა, მკვლელს მოკლულის მოკვლა არ ჰქონია განზრახული, არამედ მან იძულებული გახადა მოეკლაო, მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთი განმარტება ბრალმდებელმა სასაცილოდ აიგდო. მოსამართლეებიც ვერ დააჯერა ცანავამ. შემდეგ ბეგის დამცველიც, ქუთაისის მაშინდელი განთქმული ადვოკატი მოსე ჭიჭოძეც ცანავას წაეხმარა და შეეცადა სიტყვა „შემომაკლა“ ზუსტ იურიდიულ კალაპოტში ჩაეყენებინა, მაგრამ აქედანაც არა გამოვიდა რა.

დარბაზში კი აქა-იქ სიცილი გამოიწვია ამ ქართული სიტყვის გაჯიუტებამ. სასამართლოს თავმჯდომარე ბაგაროდსკი მიხვდა ამ სიტყვის საიდუმლოებას, რადგან ის საქართველოში დიდი ხნის ნამყოფი იყო და ზოგიერთი ასეთი სიტყვის მნიშვნელობა მისთვის გასაგები იყო, მაგრამ იურიდიულ დარჯაში მაინც არ თავსდებოდა და ამიტომ უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

ზოგიერთი ოხუნჯები დარბაზში ერთიმეორეს ჩურჩულით უზიარებდნენ: „რა დღე დაადგებოდა ცანავას, რომ ბეგის ვითქვა „შემომაკვდაო“, ამას ვერაფრით ვერ ახსნიდა. მაინც რა სიტყვები გვაქვს ქართველებს: „შემომეხარჯა“, „შემომგჭამა“ და სხვა ამისთანები. როგორ გინდათ, რომ ამას იურიდიული განმარტება გამოუძებნოთ?!“

ზოგიერთი მოწმეც ადასტურებდა, რომ ბეგლარ გვირგვილიანი იძულებული იყო ვოლკოვი მოეკლაო.

ბრალმდებელი ამ ეტაპზე ეკითხებოდა: „ვითომ რა, ვოლკოვი მიუხტა ბრალდებულს, სცემა, ერეოდა და ის თავს იცავდა, თუ რაო?“ მაგრამ ესეთ სურათს არავინ არ იძლეოდა, ამაზე ბრალმდებელი გესლიანად იღიმებოდა.

ეს კი ჭიჭოძემ ვერ მოითმინა და განაცხადა:

— ბატონი ბრალმდებელი ტყუილად დგება გამარჯვებულის პოზაში. განა მარტო ფიზიკურ შეურაცხყოფაზეა საქმე. ცხადია, გვირგვილიანს მოგერიებით ფიზიკური ბრძოლა არ უწარმოებია, მაგრამ ზოგჯერ არის ისეთი სიტყვები, რომლებიც ფიზიკურ შეურაცხყოფაზე უფრო მწვავეა. აქ კი მტკიცდება, რომ შეურაცხყვეს ჩემი კლიენტის წმიდათა წმიდა. შეუგინეს საშობლო, შეუგინეს მისი მშობლიური ენა. თავმოყვარე ადამიანი იძულებული შეიქნება ასეთ დროს ისეთ სასტიკ ზომებს მიმართოს, როგორ ზომებსაც გვირგვილიანმა მიმართა.

ქიქოძეს კიდევ უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ თავმჯდომარემ საკმარისად მიიჩნია ეს რეპლიკა და წინადადება მისცა დაცველს თავისი მოსაზრებანი თავის საბოლოო სიტყვისათვის შემოენახა.

პროცესის წინასწარი პროცედურა დასრულდა და ჯერი მიდგა კამათზე.

ბრალმდებელმა შორიდან დაიწყო. პირველ ხანად საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაზე ილაპარაკა. ამტკიცებდა, რომ რუსეთთან შეერთებამდე საქართველო დყო სპარსეთისა და ოსმალეთის სათარეშო მოედანი და აქ როგორ რჩებიან ცხოვრებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი. მაშასადამე, არც კულტურულობაზე. ქართველები იკვეხნიან, რომ მათ ჰყავდათ ვითომდა გენიოსი პოეტი რუსთაველი...

ამ „ვითომდა გენიოსობამ“ დარბაზში ყრუ დრტვინვა გამოიწვია, მაგრამ ბრალმდებელი არ დაცხრა:

— მერმედა რა დასწერა? ვიღაც პრინცმა შეიყვარა ვიღაც პრინცესაო. ოო, დიდი ამბავია! ასეთი რომანებით სავსეა მთელი საშუალო საუკუნის ლიტერატურა მსოფლიოში...

დარბაზში იმატა დრტვინვამ.

ბაგარიდსკიმ ზარი დააწკარუნა. შემდეგ ბრალმდებელს შენიშნა:

— თქვენ ნამეტანი შორიდან იწყებთ. აქ ლიტერატურული დისკუსია არა გვაქვს. გთხოვთ, პირდაპირი დღევანდელი პროცესის საგანზე გადახვიდეთ.

ბრალმდებელმა ერთი მჭირდავად გადახედა ბაგაროდსკის და შემდეგ განუცხადა:

— ბატონო თავმჯდომარევ! რაც ვთქვი, ეს მჭირდება სწორედ ბრალდებულის დასახასიათებლად. ამიტომ ნება მიბოძეთ,

ცოტაზე კიდევ განვაგრძო ამ მხრივ ჩემი აზრის გაშუქება. მე ვამტკიცებ, რომ ეს მათი, ქართველების, პოემა მაჩვენებელია ქართველი ხალხის ხასიათისა. რომ მათ აკლიათ სიდინჯე და ძალიან მოგვაგონებენ ველურ ადამიანებს. არიან დაუნდობელნი და უპრინციპონი. პოემის ერთი გმირი მიპარვით, მძინარესა ჰკლავს თავის მეტოქეს, მეორე გმირი, რომელიც ვითომდა მაღალის სიყვარულით არის გამსჭვალული თავისი სატრფოსადმი, პირველსავე შემთხვევაში ღალატობს... ჰმ... თავის წმინდა სიყვარულს და ვიღაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან იჭერს კავშირს...

აქ ქიქოძემ აიმაღლა ხმა:

— ბატონო თავმჯდომარე! ასე არ შეიძლება. თქვენ კარგად ბრძანეთ წეღან: აქ ლიტერატურული დისკუსია არა გვაქვს. მერმე კიდევ, როგორ ამახინჯებს რუსთაველის დიდებული პოემის შინაარს. ის მაგალითები, რაც მან უხეიროდ ამოგლიჯა პოემიდან, ასე შიშვლად არ არის იქ მოცემული. ისინი ყველა დასაბუთებულია, თუ რამ გამოიწვია ხსენებული ქმედობანი. ამას გარდა, ასეთი ჭირდვით მოხსენიება ისეთი ნაწარმოებისა, რაც ჩვენ ხალხს წმიდათა წმიდათ აქვს მიჩნეული, ყოვლად მიუღებელია იმგვარ განათლებული, პასუხისმგებელი პიროვნებისაგან, როგორიც ბატონი ლემლეინი ბრძანდება. მე მოვითხოვ, რომ...

ამაზე ლემლეინმა თავმჯდომარესაც არ აცალა და თვითონ წარმოთქვა რიხიანად:

— თქვენ, ბატონო ნაფიცო ვექილო, ჩემს შესახებ ვერაფერს ვერ მოითხოვთ. მე კი ამ პოემის გარჩევით მინდა დავამტკიცო, რომ...

თავმჯდომარემ შეაწყვეტინა:

— ნუ გადაგვაქვთ სულ სხვა საგანზე კამათი. მე იძულებული ვიქნები, რომ თქვენც, ბატონო ბრალმდებელო, და თქვენც, ბატონო ნაფიცო ვექილო, ორთავენი კალაპოტში ჩაგაყენოთ. — დამსწრეთა უმრავლესობაში გაცხოველებული მოძრაობა შეიქმნა, ბაგარო დსკის მოუწონეს გაფრთხილება, მაგრამ ბრალმდებელმა, ტატყობა, არაფრად მიიჩნია თავმჯდომარის სიტყვები. ის თავისას განაგრძობდა:

— მე სწორედ ამას ვამტკიცებ, რომ თუკი ქართველების ამ წმიდათა წმიდათაში, როგორც აქ ნაფიცმა ვექილმა განაცხა-

და, ისინი ასეთებად არიან გამოყვანილნი, რა უნდა იყვნენ ისინი თვით ცხოვრებაში?! მე ვამტკიცებ, რომ მათ არც თავიანთ წარსულში გააჩნდათ მორალი და საერთოდ დიდი კულტურული დონე და სწორედ ჩვენ, რუსეთმა, ავამაღლეთ იმათი ცოდნით, ზნეობით, ჩვენი შემოერთებიდან დაეტყოთ მათ როგორღაც ადამიანური ნიშანწყალი, მაგრამ, ეტყობა, რომ ჯერ კიდევ ვერ გამოსწორებულან და ისეთივე მხურვალე თავის პატრონებად დარჩნენ, როგორიც იყვნენ აქამდის. ამის მაგალითს დღეს ჩვენი ბრალდებული გვიჩვენებია.

ამის შემდეგ ბრალმდებელი გადავიდა თვით მკვლელობის ამბავზე და უფრო იმ ორიოდე მოწმის ჩვენებას დაეყარა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მოკლულის მღელვარე სიტყვები გვირგვილიანის უზრდელი საქციელით იყო გამოწვეული. მოწმეების დიდი უმრავლესობის ჩვენებას კი გვერდი აუარა, რადგან ეს არ იყო მისთვის ხელსაყრელი, რადგან ისინი სულ საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ.

დასასრულ კი ბრალმდებელი პირადად ბეგლარზე გადავიდა და განაცხადა:

— აბა ერთი შეხედეთ ჩვენს ბრალდებულს! თითქოს ლეკი, ვითომდა რაინდული, ნამდვილად კი დიდად ველური კავკასიური ჩოხა აცვია და ფეხებიც აქაური წუღა-მესტით აქვს შემოსილი... თვითონ კი მეტად წვრილი, თხასავით ჩამოსხმული ფეხები აქვს და ძალიან მოუხდება ფეხებზე ჯაჭვის ბორკილები, რაც მას სულ ჩხრიალ-ჩხრიალით ჩაიყვანს შორეულ ციმბირში. მაგისთანა ვაჟბატონებს ხომ უყვართ ხმაური, ლრიალი, წკრიალი და გზაში არ მოწყინდება... იქ კი, ყინულრვან ციმბირში, მაგის ცხელი თავი ცოტა გაგრილდება და ეს კაროგა.

დარბაზს თითქოს რალაც გმინვა აღმოხდაო, ყრუ ზუზუნი გაისმა. თავმჯდომარემ ზარი ენერგიულად დააწკარუნა და სიტყვა ქიქოძეს მისცა.

ქიქოძემ დაიწყო:

— მე იძულებული ვარ, ცოტა ხანს ბატონ ბრალმდებლის ზოგიერთ დებულებას გავყვე... ის გვიმტკიცებდა, რომ საქართველო რუსეთთან შეერთებამდე არაფერს არ წამოადგენდა და, ეტყობა, ვერ შეითვისეს, თორემ რუსეთმა დიდი სიკეთე უყო საქართველოსო. ბატონი ბრალმდებელი ჩვენში, ეტყობა,

ახლად არის ჩამოსული და არ იცის, რომ ჩვენ რუსეთს დიდად ვაფასებთ. მან მოგვანიჭა დამშვიდებული ცხოვრება, გვაზიარა ევროპის კულტურას, მოგვცა საშუალება გავცნობოდით ჩვენს თავს, ჩვენს ისტორიას, ჩვენს ეროვნულ „მე“-ს. შემოიღო უფრო მტკიცე წესრიგი ადმინისტრაციაში და უფრო ჰუმანური კანონები სამართალში, ვიდრე ჩვენ გვქონდა. ასეთი განათლებული მეზობელი და მფარველი ჩვენ იშვიათად გვყოლია, თუ არ ვიანგარიშებთ შორეულ წარსულში არაბებს და ბიზანტიას. მავრამ იმათი გავლენა ასეთი შედეგიანი, ასე ახლო განცდილი ჩვენი ხალხისათვის არ ყოფილა... ბატონ ბრალმდებელს უთუოდ არ მოეხსენება, რომ ჩვენ ვაფასებთ, შევხარით და გვიყვარს პუშკინი, გოგოლი, გრიბოედოვი, ტოლსტოი და სხვა მოწინავე მწერლების მხატვრული ლიტერატურა, მხოლოდ ჩვენი დიდებული რუსთაველის აგდებით ხსენებას ჩვენს აზროვნებაში ვერავის ვერ მოვუტევებთ, თუნდაც ასეთ პასუხისმგებელ პიროვნებას, როგორიც ბრალმდებელია. ეს იმას უთუოდ თავისი დაუკვირვებლობით და უვიცობით მოსდის...

აქ დარბაზში მყოფმა მარინამ ვერ მოითმინა და ტაში დაჰკრა, სუსტი იყო, მაგრამ ნელინელ სხვებიც აყვნენ და ეს ტაში საერთო გრიალად იქცა.

კვლავ გაისმა ზარის ხმა: ქიქოძემ განაგრძო:

— ჩვენ დიდად მიჩნეული გვაქვს აგრეთვე ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, როგორც დიდი მოაზროვნეები, რომელთაც დიდი კვალი გაავლეს ჩვენს აზროვნებასა და მწერლობაში, მაგრამ ეს ვითომ განათლებული ცარიზმის მოხელეები, ჩინოსნები ვითომ რას გვერჩიან? რას გვერჩიან-მეთქი, რომ ვამბობ, მხედველობაში მყავს მარტო ბატონი ლემლეინი კი არა, არამედ, სამწუხაროდ, ბევრი სხვებიც, რომლებიც უარყოფენ საქართველოს კულტუროსნობას. ესეთი მიმართულება რუსული პრესის ერთ ნაწილს დაეტყო კიდეც: კატკოვის „მოსკოვსკი ვედომოსტს“ და სუვორინის „ნოვოე ვრემიას“. რა დაუშავა იმათ საქართველომ? რად უარყოფენ მის ნაღვაწსა, მის წინანდელ დიდ კულტურას? განა რუსეთის მძლეოსან მსვლელობას ცხოვრებაში ჩვენი ისტორია ხელს უშლის? ჩვენი კულტურა მათსას ჩრდილავს? რა ვუყოთ, რომ ეს წინათ იყო, წინათ, ვიდრე რუსეთი გაერთიანდებოდა ერთ დიდ ერად და გამოვიდოდა ისტორიის დიდ შარაგზაზე? განა ჩვენ ამისათ-

ვის ჩვენი კარგი რაც გვქონია, არ უნდა დავაფასოთ, მადლობით არ მოვიხსენიოთ?.. მაგრამ რას იზამ? ასეთი ქარი ჰქრის ამჟამად რუსეთში ჩვენს მიმართ. ამიტომ დღევანდელი გამოლაშქრება ლემლეინისა არ არის გასაკვირი, მხოლოდ ფრიად საწყენი და შეურაცხმყოფელია...

ამ ადგილას დარბაზში უკვე ერთსულოვანი ტაში აგრიალდა. ბაგაროდსკიმ ძლივს დაამშვიდა მღელვარება.

ქიქოძემ შემდეგში განაცხადა, რომ მას არ ესმის ბრალმდებლის ფრაზა „გახურებული თუ მხურვალე თავი“, ესეც მხოლოდ შეურაცხყოფისათვისაა ნახმარი, თორემ ისე თავისთავად არაფრის მთქმელია. ბრალმდებელს აგრეთვე დაუწუნა ის, რომ ის ბრალდებულს მეტისმეტი აგდებით იხსენიებდა. მას უნდა გაემტყუნებინა და არა აეგდო, მაგრამ ესეც იმ ტენდენციის ბრალია, რაზედაც იყო აშენებული საქართველოს მიმართ მთელი შეხედულება ლემლეინისაო.

დასასრულ მან მოითხოვა, რომ მკვლელობისათვის სრული გამართლება არ შეიძლება, მხოლოდ მცირე სასჯელით უნდა დავკმაყოფილდეთ, რადგან ის იძულებული შეიქნა კაცი მოეკლა და არ არის ღირსი ისეთი მკაცრი სასჯელისა, როგორიც ბრალმდებელმა მოითხოვა — ოცი წლით კატორღის წისჯაო.

სიტყვა მისცეს ბეგის.

მან სხვათა შორის დინჯად, მაგრამ მრისხანედ თქვა:

— მე ვალიარე და ახლაც ვალიარებ, რომ ეგ მოკვალი გოლკოვი, მაგრამ დამნაშავედ თავს სრულიად არა ვგრძნობ: მან შეურაცხყო ჩემი ქვეყანა, ამისათვის სასჯელის ღირსი იყო და მეც დავსაჯე. ცოცხალი რომ იყოს და კიდევ გაიმეორებს მისი უხეში სიტყვები ჩემი სამშობლოს შესახებ, ხელახლა მოვკლავ... — აქ ცოტა შედგა, შემდეგ განაგრძო: — თან მივაყოლებდი დღევანდელ ჩემს ბრალმდებელს, პროკუროր ფონ ლემლეინს.

ამაზე დარბაზში თავშეკავებული სიცილი შეიქნა და თავმჯდომარეს კვლავ დასჭირდა ხალხის დამშვიდება.

ლემლეინი აღშფოთდა ბეგის სიტყვებზე და მოითხოვა, რომ ზედმეტ სასჯელად მთავრობის მოხელის შეურაცხყოფისათვის ბეგი გაეროზგათ, თუმცა გაროზგვა კარგა ხანია უკუგდებული

იყო, მაგრამ ის მაინც მოითხოვდა თავისი განცხადების ოქმში შეტანას.

ბეგის „ასამართლომ მიუსაჯა ოთხი წლით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში ყოფნა. შეპელიოვისაგან ამას არ მოელოდნენ, რადგან იყო მაგალითები, რომ მკვლელობისათვის ის მუდამ კატორღის მომხრე იყო, მაგრამ მაინც ბაგაროდსკის უმადლოდნენ ესეთ განაჩენს: შეპელიოვი დასძლია და მეორე კიდევ აიყოლიაო, ამბობდნენ. იმ წამსვე კი ხმა გავარდა, რომ ბრალმდებელი უკმაყოფილოა განაჩენით და საქმე საოპელაციო ინსტანციაში გადააქვსო.

განაჩენის გამოტანის შემდეგ, როდესაც მოსამართლეებმა კარტოვეს დარბაზი, ხალხს თითქოს ეზარებოდა დარბაზის დატოვება და ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ზანტად გადიოდნენ. უმრავლესობას მაინც ეცოდებოდა ბეგი და ერთხელ კიდევ უნდოდათ შეეხედათ ამ ახოვანი ვაჟკაცისათვის, რომელიც დიდის მხნეობით შეხვდა განაჩენს, და თითქოს ფერიც არ შეცვლია. უკვირდათ კი, რადგან, მართალია, მოელოდნენ უარესს და აქ კი შედარებით მცირე სასჯელი გადაუწყვიტეს. მაგრამ გამოცდილები ამბობდნენ, რომ ტუსაღთა რაზმში ყოფნა კატორღას არ ჩამოუვარდებაო და საშინელია იქაური რეჟიმიო.

ბეგისთან პირველი მაინც მისი დამცველი მოსე ჭიქოძე მივიდა და ანუგეშა:

— გული არ გაიტეხო, კნიაზ ბეგი. ჯერ კიდევ ფონი გასაცვალს არის: უთუოდ პროკურორი შეეცდება საქმე პალატაში გადაიტანოს, მაგრამ ის თუნდა ასე არ მოიქცეს, ჩვენ თვითონ გადავიტანთ და უნდა იმედი გვქონდეს, რომ გავიმარჯვებთ.

— გმადლობთ, ბატონო მოსე, ვიცი, რომ თქვენ დიდად გაისარჯეთ და ეს შედარებით მცირე სასჯელიც თქვენის მეოხებით მომესაჯა.

— მხნედ იყავით, მხნედ! — და მოსე გამოეთხოვა ბეგის. მაგრამ დარბაზიდან გავიდა თუ არა, ირგვლივ ინტელიგენტთა ჯგუფი შემოეხვია. ულოცავდნენ დღეს მის მიერ წარმოთქმულ სიტყვას: „დიდად პატრიოტული და გაბედული სიტყვა იყოო“, ვაჭრებმა ისიც კი უთხრეს: — თქვენ რომ სიტყვას ამბობდით, მე ვიფიქრე, რომელიღაც ქარხნის მეთაურს კითხულობს-მეთქი.

ამაზე მოსემ უპასუხა:

— ბატონო, საქმე ის გახლავს, რომ მე ამ სიტყვისათვის სრულიად არ ვიყავი მომზადებული. მე მხოლოდ მკვლელობის გარშემო მინდოდა ამეშენებინა ჩემი დაცვა...

აქ კალისტრატე ჩაეკვაიძე ჩაერია:

— ო-ო, მოსე! შენ რომ შენებურად აუწიე და გამყიდანი ხმით სიტყვათა ნაკადი გადმოუშვი, მაშინ კი ვიფიქრე, რომ ახლა მოსე მოაჯდა თავის ორატორულ რაშს და ახლა „დიგთხივე და გუუშვი“!

— ოხ, შენ კი რა გითხრა! — მეგობრულად შეღიმილა მოსემ და საერთო სიცილ-ხარხარში გაეცალა იქაურობას.

ვამეხი და ბარამი კი გაემართნენ ბეგისაკენ. ვამეხი იბსენებდა:

— წარმოდგენილი მაქვს ახლა ნექტარინას მდგომარეობა: გუტატი, რომ მოუკლეს...

— ჰო, ჰო! — უმოწმებდა ბარამიც. — მხოლოდ ახლა ეს ბეგის ამბავი მთლად ბოლოს მოუღებს.

— ჰო, ჰო! — გაეცინა ვამეხს. — ახლა კი დასრულდა ნექტარინას დაუსრულებელი ოცნება მაიორატზე. კანდიდატი ალარ გვყავს. — ბარამს როგორლაც ეწყინა ვამეხის ასეთი სიტყვები და შეიკვირვა:

— როგორ? შანს უგებ?!

ვამეხმა გაოცებულმა შეხედა ბარამს და როცა შეამჩნია, რომ ნაწყენი იყო, არაფერი ალარ უთხრა, ისევ ბეგისაკენ დაწინაურდა.

ბეგისთან მთელი ჯგუფი იყო შეკრებილი: ბარონესა, ბაბო, დაგმარა, მიტო და მარინა. ეხვეოდნენ, შუბლსა და თავზე ჰკოცნიდნენ დ ეთხოვებოდნენ.

დაგმარამ საჭიროდ მიიჩნია, ეთქვა ბეგისათვის:

— Не унывай, дядя...*

რასაც მიტომ დააყოლა:

— რა თქმა უნდა. აი მე და დაგმარა მივდივართ პეტერბურგს და თბილისის პალატაში რომ „ნეუდაჩა“ იქნეს, იქ, სენატში, შენს საქმეს, ცხადია, სასიკეთოდ დავატრიალებთ. მერწმუნეთ, კნიაზ ბეგლარ!

ბეგიმ ოდნავ ჩაიღიმა ულვაშებში.

---

* არ დანაღვლიანდე, ბიძია!

ვამეწი და ბარამიც მოვიდნენ. არა უთქვამთ რა, სიტყვიერი უბრალო ნუგეში საჭიროდ არ მიიჩნიეს, ისე გადაეხვივნენ და გაშორდნენ.

ბეგლართან დარჩა მარტო მარინა. სწორედ ამ წუთს მოელოდა, თორემ აქამდის სულ ტოკავდა მოუთმენლობის გამო, მხოლოდ ზრდილობით თავს იკავებდა.

ახლა კი მარტონი არიან. მართალია, ბეგის აქეთ-იქით ხმალაპოღებული ჯარისკაცები უდგანან და ცოტა მოშორებით მათი უფროსიც დგას, რომ ბეგი ციხეში წაიყვანონ, მხოლოდ ჯერ არ ჩქარობენ, რადგან ნაბრძანები აქვთ, რომ ნათესაობას დააცალონ გამოთხოვება.

მარინა არ ერიდება მცველებს და თავით ეყრდნობა ბეგის გულმკერდს. ბეგიც ნაზად ხელს უსვამს თავზე მარინას და თვალები თითქოს დაკარგულ ბედნიერებას სადღაც შორს ეძებენ, აქ კი ახლოს სევდის ანარეკლი აქვს გადაფარებული, ბაგეები ჩურჩულებენ:

— მარინა... ძვირფასო, ძვირფასო!

ო-ო, რამდენი ნაღველია ამ სიტყვებში ჩაქსოვილი. უეცრად:

— აბა, მარინა, ჩემო მტრედო, ახლა კი დროა გავიყარნეთ... — მარინა შეფრთხიალდა:

— ჩვენ გავიყარნეთ?! კი არა... ჩვენ ხვალ, ზეგ ჯვარს დავიწერთ. რას შემომაჩერდი? ჰო, ციხეში, ციხეში, სატუსაღოში. მე ვიცი, რომ ეს შეიძლება...

ბეგი ნაღვლიანად თავს გაიქნევს:

— რა გულუბრყვილო ხარ, მარინა ძვირფასო. — შემდეგ ამოოხვრით ამბობს: — შენ ვგონია, მე ისეთი გაუგებარი ვარ, რომ შენს ახალგაზრდა ცხოვრებას, შენს მშვენიერ მომავალს წინ გადავეღობო?

— ბეგი! ბეგი... ბეგ... ლიარ! რას ამბობ მაგას? გესმის, რას ამბობ?

— ძალიან კარგად, ძვირფასო. მე უკვე დალუპული კაცი ვარ, შენ კი მომავალი წინ გაქვს. მე რა უფლება მაქვს...

— ჩშშ... ჩუმად! აღარ გაიმეორო ეგ სიტყვები. ჯერ ერთი, ვიწ მოგახსენა, რომ შენ დალუპული ხარ? მე აქ არა ვარ! მე გამომრიცხე შენი ცხოვრებიდან? სადაც უნდა წახვიდე, სადაც უნდა გაგაგზავნონ, მე შენთან ვიქნები, იცოდე, ყველგან

წამოგყვები. მანამდე კი ხვალ, ზეგ ჯვარს დავიწერთ... უთუოდ, აუცილებლად.

ბეგის თვალთ გაუნათლდა. მარინა თავისკენ მიიზიდა. თვალებში ჩახედა. მარინას თვალებმა კიდევ უფრო გაუმტკიცეს რწმენა მარინას გადაწყვეტილებისადმი და ვნებიანად, ძლიერგასაგონად წარმოთქვა:

— რა ქალი ხარ, რა... მარინა... ძვირფასო...

მარინამ თავისი სიტყვა შეასრულა. ორი დღის შემდეგ მართლაც ნებართვა მიიღო და სატუსალოში იმან და ბეგიმ ჯვარი დაიწერეს.

რასაკვირველია, არავითარი ზეიმი არ ახლდა მათ ქორწინებას და სახლშიაც, როდესაც ჯვრისწერის შემდეგ ბარონესას №-ში დაბრუნდა მარინა, მიჯდა ერთ კუთხეში და დიდხანს, დიდხანს სადღაც გაიყურებოდა.

XXIV

აქ კი საბოლო წერტილი დავსვათ, ციბედულ!

მით უფრო, რომ გვირგვილიანების როლი ცხოვრებაში უკვე დასრულდა. ისე კი სწორედ ჩემ მიერ ალებულ ხანის შემდეგ იწყება დიდად აღმაფრთოვანებელი ისტორიული სვლა, შეტაკება და ბრძოლა საქართველოშიაც რევოლუციური ხალხისა. სწორედ იმ დროს იწერებოდა პარტიის მოწოდებაში:

„რევოლუცია გრგვინავს! რუსეთის რევოლუციური ხალხი ყალყზე შედგა. საიერიშოდ შემოერტყა მეფის მთავრობას; ფრიალებს წითელი დროშები, შენდება ბარიკადები, ბარაბს იხმობს ხალხი და იერიშით მიდის სახელმწიფო დაწესებულებებზე. კვლავ გაისმა მამაკაცთა ყიჟინა, კვლავ ამღერდა მიყუჩებული ცხოვრება. რევოლუციის გემმა იალქანი აუშვა და თავისუფლებისაკენ გაეშურა. ამ გემს რუსეთის პროლეტარიატი ჭეშმარიტი ხელმძღვანელობს... ისინი ებრძვიან თავის მოწინააღმდეგეებს — შინაურ რეაქციას და გარედან მომძლავრებულ მტერს, რაიც ბოლოს სრულდება ხალხის სრული გამარჯვებით".

აქ რამდენი გულის მომწყვლელი, რამდენი სულიერად აღმაფრთოვანებელი ხუროთია მაშინდელი ცხოვრებით მოცემული.

აქ გვირგვილიანებს უკვე ადგილი აღარა აქვთ.

ბერთემს უკვე ხელმძღვანელობენ: ჩელა, მიქე, წამოზრდილი გური, ფარნა და ფანთას ვაჟი; სქვამაიაც კი, იოსებ ობოლი, დღეს მოწინავე კოლმეურნეა...

საერთოდ ამ დიდად საგულისხმო პერიოდს ჩვენი ცხოვრებისას თავისი მემატიანე ჰყავს და კიდევ გაუჩნდება: პირუთვნელი და სწორუტყუარი. მხოლოდ სასურველი იყო, რომ გარდა წმინდაწყლის მეცნიერული გამოკვლევებისა, ქართულ მხატვრულ სიტყვასაც მინდობილი ჰქონოდა გადასულ-გმირულ ქმედობათა აგალობება.

რასაკვირველია, ეს მას დღესაც მინდობილი აქვს. ეს არის თვით ცხოვრების შენაკვეთი და მოელის მის შემსრულებლებს.

აბა, ბიჭებო, მომავლებო! თქვენ გენაცვალეთ, თქვენ იცით! მე კი, როდესაც პირველად ამ ნაწარმოების დაწერა განვიზრახე, აზრად ისა მქონდა, ჩემი შეძლებისამებრ, ქართული მხატვრული სიტყვით ჩამომეძერწა წარსულის დუხჭირი და კარგი მხარეები, თუ ეს „კარგი“ მხარეები წარსულს სადმე გააჩნდა და...

როგორ ხედავთ, კარგა შორს. შევჩერდი ჩემს თხრობაში, დღევანდელ დღემდე კი, თუმცა ერთ დროს ვტრაბახობდი, მაინც ვერ მოვედი.

ჰა, ჰა! მახსენდება: ბიბლიური მოხე ვერ შევიდა ალთქმის ქვეყანაში.

ან ნაწარმოებში შემრჩა მხოლოდ „წამოქოჩრილი“ ხალხი, შემდეგი მათი საგულისხმო საქციელი, ნებისყოფა და ხასიათის გამოვლინება აუწერელი დამრჩა.

ეს არც თუ ცოლი საქმეა.

შეიძლება ოდესმე, თუ ჩემმა გულმა ძგერა არ მიატრვა, კიდევ შევხვდეთ ჩემს ნაწარმოებებში აქ გამოყვანილ ზოგიერთ მოქმედ პირს. რასაკვირველია, მათი უმეტესობა მაშინდელი ახალგაზრდობა იქნება, რომელთაც შექმნეს ჯერ უნახავი, ახალი სოციალისტური საზოგადოება და განამტკიცეს იგი.

შეიძლება წილად მხვდეს ეს ბედნიერება, რომ მათზედაც წავიმღერო ჩემებურად.

მანამ კი... ბარათაშვილისა არ იყოს:

„დეე, დუმილიც მიმითვალონ შენდამი ლოცვად“.

ჩემო სათაყვანო საშობლო!

ჩემო ციბედულ!

„გვირგვილიანების ოჯახი“

1954 წელს შალვა დადიანმა დაასრულა ბეჭდვა თავისი ახალი რომანისა „გვირგვილიანების ოჯახი“, რომელზეც იგი ინტენსიურად მუშაობდა ბოლო წლების მანძილზე. ეს იყო ტრილოგიად ჩაფიქრებული ნაწარმოების პირველი ნაწილი. სამწუხაროდ, მწერალმა ბოლომდე ვერ შეასხა წორცი თავის ჩანაფიქრს და შემდგომში ტრილოგიაზე მუშაობა ღარ გაუგრძელებია.

„გვირგვილიანების ოჯახი“ ჩვენმა სალიტერატურო კრიტიკამ იმთავითვე მიიჩნია ქართული პროზის უმნიშვნელოვანეს შენაძენად. ამგვარ შეფასებას განაპირობებდა ნაწარმოების პრობლემური მრავალმხრივობა და მხატვრული ოსტატობის მაღალი დონეც. რომანში აღწერილია მეოცე საუკუნის დასაწყისის უმწვავესი სოციალური პროცესები, კერძოდ, მოვლენები, რომლებიც ჩვენში 1905 წლის რევოლუციის წინა ხანაში განვითარდა. შ. დადიანის, როგორც უშუალო თვითმხილველი და თანამონაწილე ამ მოვლენებისა, კარგად იცნობდა მაშინდელ ვითარებას და ყველაფერი თითქმის დოკუმენტური სიზუსტით ასახა თავის რომანში. ამდენად, ის, რაც ბევრისათვის ნაწარმოების გამოქვეყნების დროს უკვე ჩვენი ისტორიის განვლილ ეტაპს წარმოადგენდა, შ. დადიანისათვის ჯერ კიდევ განცდილი და ნაგრძნობი სინამდვილე გახლდათ და ამან, ბუნებრივია, კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინა რომანის საერთო გაბედობილებაზე.

ამჟამად მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ „გვირგვილიანების ოჯახი“ მასში ასახულ მოვლენათაგან საკმაოდ დიდ ხნის, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ დაიწერა და ამან აითვისა ზეგავლენა მოახდინა ნაწარმოებში დასმულ პრობლემათა მსჯელობის ველობრივ გააზრებაზე.

„გვირგვილიანების ოჯახი“ თავისი მხატვრული სტრუქტურით, მეტად ორიგინალური ნაწარმოებია ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

მასში ერთი ოჯახის თავგადასავლის მოთხრობის საფუძველზე მთელი თავისი მრავალსახოვნებითაა დახატული იმჟამინდელი ეპოქის უმთავრესი სოციალური მიმართულებანი. გვირგვილიანების ოჯახის წევრებისა და მათთან დაკავშირებულ პიროვნებათა ცხოვრებისეული ბედის აღწერით მწერალი განზოგადებულად მოგვითხრობს მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე ჩვენში განვითარებულ უმწვავეს მოვლენათა შესახებ.

რომანის მხატვრულ-სტრუქტურულ ორიგინალობაზე საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ შენაკადებს, რომლებიც თავიდან ბოლომდე გასდევს ნაწარმოებს და მრავალ საინტერესო საკითხს ეხება. ამ შენაკადების მთავარ პერსონაჟად ნაწარმოებში გამოყვანილია ციბედული, რომელიც მწერალს მარადქალურობის ინდივიდუალიზებულ სახე-სიმბოლოდ ჰყავს დასახული.

შენაკადებს ავტორმა მრავალმხრივი ფუნქცია დააკისრა. მათში ხშირად პუბლიცისტური ფორმით, კონკრეტულ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, ახსნილი და განმარტებულია მწერლის მსოფლმხედველობის ცალკეული საკითხები, გამოთქმულია საფუძლისხმო მოსაზრებანი, მოწვდილია სათანადო ინფორმაციები რომანში აღწერილ მოვლენათა არსში უკეთ გასარკვევად. ასე რომ, ეს შენაკადები, უმეტეს შემთხვევაში, თავისებური კომენტარებს ფუნქციასაც ასრულებენ და გვიადვილებენ ავტორისეული ჩანაფიქრის სიღრმისეულ გააზრებას.

„გვირგვილიანების ოჯახის“ ქრონოტოპი სტრუქტურა, ერთ-ერთი შენაკადის მიხედვით, თვით შ. დადიანმა ამგვარად განმარტა: „ბელეტრისტული მდინარე თავისი შენაკადებით“. მართალია, ეს განმარტება ტრადიციული ლიტერატურათმცოდნეობითი ცნებების ჩარჩოებში არ თავსდება, მაგრამ იმაზე კი ნათლად მიგვანიშნებს, რომ მწერალი განმაპირობებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად და „გატკეპნილი ბილიკიდან“ თავდასაღწევ საშუალებად, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ შენაკადებს მიიჩნევდა.

შ. დადიანის რომანმა ახალი ძალით გამოაბრწყინა ავტორის ენობრივი სტილი. ლექსიკურ სიუხვეს, სიტყვიერ არისტოკრატიზმს, ფრაზის დახვეწილობას და ფერთიანობას დიდად უწყობს ხელს მეგრული ენიდან და იმერული დიალექტიდან მიზანსწრაფული ზომიერებით გამოყენებული სიტყვა-გამოთქმები. ეს პროცესი კარგად გაცნობიერებული და სიფრთხილის სასწორზე აწონილ-დაწონილი მხატვრული ხერხი რომ არის, ამას ნათლად ადასტურებს ერთ-ერთ შენაკადში ამასთან დაკავშირებით ავტორის მიერ გაკეთებული კომენტარი. სალიტერატურო ენაში ასეთი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარება, მწერლის აზრით, უპირველეს ყოვლისა, „ნაწერის სურნელებისთვის გამოსადეგი“ საშუალებაა, ეთნოგრაფიული კოლორიტის მიღწევის საიმედო გზაა.

შ. დადიანის რომანის მხატვრულ თავისთავადობას დიდად განსაზღვრავს აგრეთვე ნაწარმოებისათვის მკაფიოდ დამახასიათებელი დოკუმენტურობა და პუბლიციზმი. მწერალი ცდილობს სიღრმისეულად განგვაცდევინოს ჩვენი საუკუნის დასაწყისის საზოგადოების სოციალური, ზნეობრივი და ეროვნულ-პატრიოტული განწყობილება და მკითხველიც

ასე ნოქალ იმ ჰაერით, რითაც მისი პერსონაჟები სუნთქავდნენ. ან ძიებ-
იგი მხატვრული ნაწარმოების თვის, ერთი შეხედვით, ისეთ უჩვეულო
ხერხებსაც მიმართავს, როგორებიცაა ციტატების მოშველიება „ავტორი-
ტეტული წყაროებიდან“, ვრცელი ლირიკული და პუბლიცისტური გა-
დახვევები და მსჯელობანი, ისტორიული წყაროებისა და დოკუმენ-
ტური მასალების მოშველიება, ფანტაზიით შექმნილი პერსონაჟების გვერ-
დით საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული პიროვნებების ჩაროვა ხდ-
ბის პროცესში და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ რომანის მთავარი პათოსი ფეოდალურ არის-
ტოკრატიასა და რევოლუციურ ძალებს შორის მძაფრი კლასობრივი
დაპირისპირების გამოხატვაა, ნაწარმოები მარტო ამ საკითხებით არ შე-
მოიფარგლება და მწერალი ცდილობს მაშინდელი ჩვენი საზოგადოების
რიგი ცხოვრების ფართო სპექტრი წარმოაჩინოს. ამ თვალსაზრისით ყუ-
რადღებას იქცევენ ილიას ეროვნული იდეების მიმდევარი პატრიოტ-
ინტელიგენტები („მეველის“ ფსეედონიმით ცნობილი პუბლიცისტი და-
ვით მიქელაძე, ბაბო გავლენიშვილი, ნაწილობრივ, ვამეხ გვირგვილია-
ნიცა და სხვ.), ე. წ. ავტონომისტები, ტერორისტ-ავანტიურისტები, სა-
ეკლესიო ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური
წრის მოხელენი, ქალაქ ქუთაისის უმაღლესი რანგის ხელისუფალნი, სამ-
ღვდელო პირები და ა. შ.

ერთი სიტყვით, „გვირგვილიანების ოჯახი“ 900-ანი წლების დასა-
წყისის ჩვენი ცხოვრების ვრცელ მხატვრულ პანორამას წარმოადგენს და
აშკარად გამოვლენილ ავტორისეული ტენდენციურობის მიუხედავად,
რაც რევოლუციური მოვლენებისადმი მის მკვეთრად პოზიტიურ დამო-
კიდებულებაში გამოიხატება, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ პე-
რიოდის ქართული საზოგადოებრივი ყოფის მრავალფეროვნებაზეც. ის
რომ, რომანი თავისებურად ეხმიანება და მკითხველის ცნობიერებაში
აღადგენს ჩვენი იმჟამინდელი ისტორიიდან კარგად ცნობილ ამა თუ
მნიშვნელოვან ფაქტსა და მოვლენას.

როგორც რომანის სათაურიდანვე ნათლად ჩანს, ნაწარმოებში მწერ-
ლის ყურადღების ცენტრში, უწინარეს ყოვლისა, გვირგვილიანების ოჯა-
ხის ბედი, მისი წევრების თავგადასავალია. მოქცეულნი. სწორედ ამ დიდ
ოჯახის ირგვლივ იკვრება რომანის მრავალრიცხოვან პერსონაჟთა წრე
და ყოველი მათგანის ცხოვრების აღწერა-დახასიათება ავტორს გვი-
გვილიანებთან უშუალო კავშირ-ურთიერთობაში ხდება, რადგანაც გვირ-
გვილიანები, როგორც ფეოდალური არისტოკრატიის უმაღლესი ფენის
წარმომადგენლები, მთიანი სამეგრელოს აღწერილი რეგიონის — ბერთუ-
მისა და მისი შემოგარენის ცხოვრებისთვის ტრადიციულად ტონის მიმ-
ცემი ჰ როვნებანი იყვნენ.

მაგრამ გაიდა დრო, ბევრი რამ შეიცვალა და ახალმა ვითარებამ
ულმობელი განაჩენი გამოუტანა ძველ იერარქიულ ყოფას. რომანში
ნაჩვენებია გვირგვილიანების ოჯახური დინასტიის როგორც სოციალუ-
რი, ისე ზნეობრივი რღვევა და გადაგვარება.

ამ პროცესების ცენტრში, პირველ ყოვლისა, გვირგვილიანების დიდ

ოჯახის რძალი — ნექტარინაა მოქცეული. ეს პატივმოყვარე ქალბატონი, რომელიც თავგანწირვით ლამობს დროის დინების შეჩერებას და ძველი დიდების შენარჩუნებას, ერთი უმაღლესი ავადმყოფური ოცნებითაა შეპყრობილი — მის ხელქვეით თავი მოუყაროს გვირგვილიანების მთელ ავლადიდებას და გაერთიანებული მამულის ბაზაზე ხელისუფლებას მაიორატის შექმნის უფლება გამოთხოვოს. ამ მიზნის მიღწევას წირავს იგი ყველაფერს და მის ამ ავადმყოფურ და დაუნდობელ პატივმოყვარეობას საზღვარი არა აქვს.

ნექტარინა გვირგვილიანის სასახლე მწერალმა გარყვნილების, უზნეობისა და ზღვარდაუდებელი ადამიანური ბოროტების ამაზრზენ საუფლოდ დაგვიხატა. ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ცოტა თუ შეიძლება გავიხსენოთ ისეთი ქალი პერსონაჟი, რომელიც ამ სასახლის მთავარ დასახლისს შეედრებოდეს თავისი ავხორცობითა და ზნედაცემულობით. ნაწარმოებში ნექტარინას სახე ისეა წარმოსახული, რომ ბოროტი ადამიანური ვნებებით ჩამოჭუფრულ მის სულში ერთი ნათელი წერტილიც კი არსად მოიპოვება. რომანში დიდი ფსიქოლოგიური ოსტატობითაა გაშიშვლებული ნექტარინას ავხორცი პიროვნული ბუნება და ამაზრზენი ადამიანური უზნეობანი.

ნაწარმოების მთავარ პერსონაჟთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აგრეთვე ვამეხ გვირგვილიანი, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია. მწერალმა მისი სახით შექმნა ტიპი შინაგანად წინააღმდეგობრივი იმ პიროვნებისა, რომელიც ბოლომდე ვერაა გათვითცნობიერებული თავის მისწრაფებებში და ნათლად გამოკვეთილი ცხოვრებისეული მიზანსწრაფვაც არ მოეპოვება. შან დარწმუნებით იცის, რომ ძველმა ცხოვრებამ ჩაიღურის წყალი დალია და იგი ახლით უნდა შეიცვალოს, მაგრამ როგორ და რა გზით, ეს მკაფიოდ გააზრებული არა აქვს.

ცხოვრების განმაახლებელ გზათა მაძიებელი ვამეხი ხან სოციალ-დემოკრატების იდეებს თანაუგრძნობს, ხან კიდევ მკვეთრად გამოვლენილ ეროვნულ-პატრიოტულ პოზიციებზე დგას, მაგრამ, როგორც თავადაც ამბობს, მას არც მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოქალაქეობრივი მრწამსი გაჩენია და არც ახალი მოქმედების არსშია საფუძვლიანად გარკვეული. ამაში, ცხადია, დასაძრახი არაფერია. ამდროინდელ ინტელიგენტთა მორის მრავლად მოიპოვებიან ისეთები, რომელთაც ნათლად არ ესმოდათ არსებული ვითარება, დაბნეული იყვნენ და სიღრმისეულად ვერ ერკვეოდნენ მრავლნებში. სწორედ ამგვარი პიროვნებაა ვამეხ გვირგვილიანი, რომლის პროგრესული აზროვნება სიტყვიერი ჭადაგებებსა და თანაგრძნობის იქით ვერ მიდის. ის, ფაქტობრივად, მხოლოდღა უმოქმედო, მეოცნებე ქაცია და პრაქტიკულად არაფერს აკეთებს თავისი იდეური მრწამსის ცხოვრებაში ხორცშესასხმელად. მისი პოლიტიკური რევოლუციური თუ პატრიოტული ქადაგებანი უფრო ხშირად საგვიანციო-პროპაგანდისტული მსჯელობის ფარგლებს ვერ ცდება და დღის ტაკურ-დამრიგებლური პათოსითაა სავსე.

ვამეხ გვირგვილიანის გაორებულ პიროვნულ ბუნებას ნათლად ავ-

ლენს, ერთის მხრივ, მისი კეთილგანწყობითი დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატებისადმი, მეორეს მხრივ კი აქტიური მხარდაჭერა ეროვნულ-პატრიოტული იდეებისადმი. როგორც მამულიშვილი, იგი პირდაპირ მიმდევარია XIX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი პატრიოტების ეროვნული იდეებისა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომანის ის ეპიზოდი, სადაც გადმოცემულია ვამეხისა და მისი სიჭაბუკისდროინდელი სატრფოს — ბაბო გავლენიშვილის საუბარი სა-ქართველოს აწმყოსა და მომავალზე.

ეს დიალოგი კარგად გამოხატავს არა მარტო ამ ორი პიროვნების ეროვნულ მრწამსს, არამედ მაშინდელი ჩვენი ინტელიგენციის პატრიოტულად განწყობილი დიდი ნაწილის სულისკვეთებასაც. ამ საუბარში მწერალმა შინაგანად, ვფიქრობ, თავისი პროტესტანტული დამოკიდებულებაც აშკარად გამოამჟღავნა რევოლუციის მიმდევართა მიერ ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გამო ოცწლიანი განშორების შემდეგ უეცრად შეხვედრილი ვამეხი და ბაბო გრძნობამორეულნი და სევდით მოცულნი იხსენებენ თავიანთი ცხოვრების ადრეულ ხანას, მაშინდელ საზოგადოებრივ განწყობილებას, დროს, როცა, განსხვავებით ახალი პერიოდისაგან, უფრო მეტი იყო ფიქრი საქართველოზე და „მთელი ჩვენი ინტელიგენცია სამშობლოს ემსახურებოდა: ჟურნალ-გაზეთების გამოცემით, თეატრით, საზოგადოებრივ დაწესებულებათა შექმნით, არ იყვნენ კოსმოპოლიტები და სამშობლოს კეთილდღეობით ეგონათ, რომ კაცობრიობის საგანძურში ჩვენც შეგვეძინდა ჩვენი წვლილი".

ახალმა დრომ, აღზევებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ კი სხვაგვარად დასვა საკითხი და ეროვნული ინტერესები ლამის ზედმეტ ბარგად გამოაცხადა, ერი გადაგვარების პირამდე მივიდა. ამ ვითარებით სასოწარკვეთილი ვამეხი ვერავითარ პერსპექტივას ვერ ხედავს და დარწმუნებით ამბობს, რომ „საქართველოს მომავალი საშინელია". იგი გულისტკივილით საუბრობს იმაზე, რომ მშობლიური ენა გაძევებულია სასწავლებლებიდან, ხელისუფლების გამარუსებელმა პოლიტიკამ ეკლესიაშიც სლავური შემოგვაპარა. „სკოლებში ხომ ქართული ენა დიდი ხანია მაჩანჩალასავით უკან არის მიგდებული".

ვამეხის ამ ნაღვლიან საუბარს, როგორც ითქვა, ეროვნული უპერსპექტივობის გრძნობაც უდევს საფუძვლად. ახალი, რევოლუციური ძალა, რომელიც იმხანად გამოდიოდა ასპარეზზე, ეროვნული პრობლემისადმი თავისი ნიჰილისტური დამოკიდებულებით ჩვენი ინტელიგენციის დიდ ნაწილში ამ სკეპტიციზმს კიდევ უფრო ზრდიდა. ამიტომაც არაა შემთხვევითი, რომ ვამეხის მსჯელობაში მწერალმა სავსებით ლოგიკურად ჩართო XIX საუკუნის ცნობილი პუბლიცისტის — გიორგი მუხრანსკის გახმაურებული უკუღმართი თეორია პატარა ერების დიდ ერებში გათქვეფის აუცილებლობის შესახებ.

როგორც ითქვა, უპერსპექტივობის ტრაგიკულ განცდას ვამეხ გვერგვილიანი განუყოფელად უკავშირებს სოციალისტების მოღვაწეობის სოციალ-დემოკრატები, მისი შეფასებით, ის პიროვნებანი ჟრიან, რომელთაც „სამშობლოც არა სწამთ... ისინი ზრუნავენ კაცობრიობისთვის, ან უკეთ, კაცობრიობის ერთი ნაწილისთვის — პროლეტარებისთვის — პრო-

ლეტარიატს კი სამშობლო არა აქვს. არ სჭირდება. მაშასადამე, ქართველი ხალხიც უნდა გაითქვიფოს კაცობრიობის ამ ნაწილში და დაჰკარგოს თავისი ეროვნული სახე, ეროვნული თვისებები, ის, რაც საუკუნეობით გამოუმუშავებია ქართველობას თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე".

არა მგონია, რომანის ეს და მსგავსი მსჯელობანი მწერალს მხოლოდ იმ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების დასახასიათებლად ჰქონდეს გამიზნული. ღრმად მწამს, რომ ამდაგვარი მსჯელობის პათოსი და სულისკვეთება, ქვეტექსტი და მიზანდასახულება საბჭოური პერიოდის ეროვნული პოლიტიკისადმი შინაგანად კრიტიკული დამოკიდებულებითაც იყო განპირობებული.

ამ თვალსაზრისს კიდევ უფრო განმიმტკიცებს ვამეხის ის სიტყვები, რომელთაც იგი საქართველოს მომავალთან დაკავშირებით წარმოთქვამს: „ეჰ, ბაბო! ჩვენ ვინ გვეკითხება საქართველოს ბედ-იღბალზე ზრუნვას! იმ ბედს ვეშაპები წყვეტენ, ჩვენ არც გვეკითხებიან ისე. ძარჯვნით რუსეთის ცარიზმი, მარცხნით ყველაზე უფრო ძლიერი და პოპულარული სოციალ-დემოკრატია. მე და შენ კი ობლები ვართ, ბაბო, საქართველოს ობლები! გვებრალებოდეს ჩვენი ქვეყანა, გვებრალებოდეს ჩვენი თავი".

ასეთ შენიღბულ და „გულის ძვისაფხან ფრაზებს", რომელთა პირდაპირი ფორმით გამოთქმაც იმ დროს, როცა ეს რომანი იწერებოდა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, შ. დადიანი არც თუ იშვიათად გამოათქმევინებს თავის პერსონაჟებს, ი, თუნდაც, კიდევ ერთი ასეთი მაგალითიც — რუსეთ-იაპონიის ომის ვამეხ გვირგვლიანისეული შეფასება: „ეჰ, ჩემო ბაბო, რუსეთმა იაპონიასთან ეს ომი შეიძლება წააგოს კიდეც. ამის ნიშნები უკვე ჩანს, მაგრამ მერე ჩვენ რა? ქართველობა უმოწყალოდ იხოცება ამ ომში, მერე ვისთვის, რისთვის?" „ეჰ, მართალი ხარ ილიამ: „ვთქვი თუ ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის ჩემ სიმარდესა?!"

ეს ტრიქონები მაშინ იწერებოდა, როცა დიდ სამამულო ომად მონათლული ომი უკვე დამთავრებული იყო და მასში მონაწილე სამასი ათასამდე ქართველის სიცოცხლე დამიწებული. და როცა შ. დადიანი ზემოთ ციტირებულ კითხვებს სვამდა, ღრმად მწამს, რომ შენიღბულად ამ ომის ტრაგიკულ შედეგებსაც გულისხმობდა. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საბჭოური პერიოდის მანძილზე თუმცა შეფარვით, მაგრამ მისებრი პირდაპირობითა და სიმძაფრით ეს საბედისწერო კითხვები — მერე ვისთვის? მერე რისთვის? — ცოტას თუ დაუსვამს ასე გაბედულად.

რომანში აღწერილი დრო ჩვენი ცხოვრების ის ხანა იყო, როცა საქართველოში ქატკოვ-იანოვსკების რეაქციული იმპერიული რეჟიმი მძვინვარებდა. მას დაემატა სამოღვაწეო ასპარეზზე ეროვნულობის წინააღმდეგ გააფთრებით მებრძოლი ახალი ბნელი ძალის — სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გამოსვლა. შ. დადიანი პატრიოტული შეშფოთებით გვესაუბრება ამ მოვლენებზე და შთამბეჭდავად გვიჩვენებს ჩვენი ერის მოწინავე შვილების ბრძოლას ეროვნული თვითარსებობის გადასარჩენად. მართალია, ეს ხაზი რომანის მაგისტრალურ მიმართულებად

არ ჭკეულა, მაგრამ მწერალი ამ საჭირბოროტო პრობლემებსაც ბი ტოვებას უყურადღებოდ და ეს დიდი რისკის ფასად კეთდება. ვფიქრობ, მკითხველისათვის ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ის, რომ ერთნულ საკითხებზე ავტორის ასეთი მწყვეტ მსჯელობა სტალინური დიქტატურის პერიოდში ოღლი საქმე არ იყო და შესაძლოა საბედისწეროც გამხდარიყო მწერლისათვის.

ნათქვამმა რომ მეტი კონკრეტულობა შეიძინოს, მოვიშველიებ ორიოდე მაგალითს:

ჭუთაისში სტუმრად ჩასულ ვამეხ გვირგვილიანს დათა მიქელაძე, „მეველის“ ფსევდონიმით ცნობილი პუბლიცისტი, გულისტკივილით ესაუბრება პატრიოტ იხტელიგენტთა გადაწყვეტილებაზე, თავდადებით იბრძოლონ ეროვნულ თავისთავადობის გადასარჩენად და დაღუპისაგან დაიხსნან სამშობლო. ამ საუბრის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ის გამხდარა, რომ ცხოვრების ასპარეზზე აღზევებულმა ახალმა ძალამ „სოციალ-დემოკრატებმა თავისი ქადაგებებითა და საგაზეთო წერილებით ხალხს ლამის შეაძულონ თავისი სამშობლო!... სამშობლო, კაცო, სამშობლო! ეგენი ამბობენ მეშას სამშობლო არა აქვს, მისი სამშობლო ის არის, სადაც ის სამუშაოს იშოვნისო“.

„ბრაფერი წმინდა არა აქვს ამ ხალხს, არა! მოშხამულები არიან კოსმოპოლიტობით“, — აღშფოთებული დაასკვნის ბოლოს მეველე და ამ აღშფოთებით ნათლად ავლენს ქართველი პატრიოტ ინტელიგენტთა პოზიციას სოციალ-დემოკრატებისადმი.

ასევე დიდმნიშვნელოვანია მხატვრული სახე ქართველთა მძაულე რუსი ინჟინრის — ვოლკოვისა, რომელიც თავისი ცინიზმითა და გესლიანი დამოკიდებულებით ჩვენი ქვეყნისადმი, უდიდეს გულისწყრომას იწვევს. ვოლკოვის სახით მწერალმა იმ რუსების განზოგადებული ტიპი შექმნა, რომლებიც გულუბრყვილოდ მონათლული ქართველობისადმი ზიზღითა და ბრძოლით იყვნენ გაწყობილნი. ასეთი რუსები, სამწუხაროდ, არასოდეს ყოფილან საძებარნი ჩვენში. ამიტომაც აღიქმება თავისებურ ეროვნულ შურისძიებად ვოლკოვის მოკვლა ბეგი გვირგვილიანის მიერ.

ადამიანის მოკვლა, ცხადია, თავისთავად უდიდესი ცოდვაა, მაგრამ ის მიზეზები, რამაც ეს მკვლელობა გამოიწვია, მთლიანად ანეიტრალებენ ამ უმძიმეს ცოდვას. ვოლკოვმა, ვინ მოთვლის, ეს უკვე მერამდენედ გესლიანად შეურაცხყო საქართველო, ქართველი ხალხი, ჩვენი ერი, რის გამოც რომანის ერთ-ერთმა პერსონაჟმა ქართველთა „წმიდათა წმიდაში შემგინებელს რევოლვერით სული გააფრთხობინა“. ამიტომაცაა, რომ ბეგი გვირგვილიანის ეს რაინდული საქციელი ეროვნული გმირობის ტოლფას ფაქტად აღიქვა საზოგადოებამ.

მაგრამ ვოლკოვი, სამწუხაროდ, გამონაკლისი არ არის. მისი მსგავსი რუსები სხვანიც მრავლად იყვნენ საქართველოში. ეს ნათლად ჩანს რომანის ბოლო ფურცლებიდან, სადაც ბეგის სასამართლოა აღწერილი. ამ სასამართლოს მოხელენი — ასინი ყველანი რუსები ანდა გარუსებული უცხოელები არიან — ცინიზმისა და ზიზღის ახალ ნაკადს ანთხევენ ქართველი ხალხის დასაფლავად. მათ განჭიქების საგნად ჩვენი კულტურა უნდა

ნაესი ძეგლი — „ვეფხისტყაოსანიც“ კი აქციეს. ამიტომაც იქცა ეს სასა-მართლო ეროვნული ღირსების დაცვის ასპარეზად, რაც ნათლად დადას-ტურდა, ერთის მხრივ, მრავალრიცხოვან დამსწრეთა ერთსულოვანი პატ-რიოტული განწყობილებით, მეორეს მხრივ კი ბრალდებულის დამცველი ვექილის — მოსე ჯიქოძის მჭევრმეტყველური გამოსვლით.

როგორც ვნახეთ, „გვირგვილიანების ოჯახი“ მრავალმხრივ საინტე-რესო ნაწარმოებია, რომელშიც მასშტაბურად და მრავალსახოვნად ჩისახა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული ყოფის არსებითი მომენტები, მი-უხედავად იმისა, რომ დრომ ზოგიერთი რამ ავტორისეულ შეხედულება-თაგან გადააფასა და გააფერმკრთალა, შალვა დადიანის ეს რომანი მაინც რჩება მეოცე საუკუნის ქართული პროზის ერთ-ერთ საგულისხმო ნა-წარმოებად.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

რედაქტორი ქეთინო კვინტრაძე

მხატვრები: დავით დუნდუა, თამაზ შარიფაშვილი

მხატვრული რედაქტორი ლერი ღვინჯილია

ტექნიკური რედაქტორი ეთერი ციხელაშვილი

კორექტორები: ნუნუ მაზნიაშვილი, მარიკა ჯანიკაშვილი

გადაეცა წარმოებას 14.05.96. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.08.96

საბეჭდი ქაღალდი 84×108 1/32. გარნიტურა ვენა. ბეჭდვა მაღალი.

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 26,9. სააღრ.-საგამომც. თაბახი 24,2,2.

ტირაჟი 7000. შეკვ. № 284.

ფასი სახელშეკრულებო

7

გამომცემლობა „საქართველო"

თბილისი, მარჯანიშვილის 5.

ს.ააქციო საზოგადოება „ფარნავაზი" თბილისი, ქრონიკორის გამზირი № 7